პრაქტიკული
სავარჯიშოების
კრებული

# ქართული ენის

## შემსწავლელთათვის



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ
ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

პრაქტიკული
სავარჯიშოების
კრებული

# ქართული ენის

შემსწავლელთათვის

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

# წინასიტყვაობა

## სავარჯიშოების კრებული ქართული ენის შემსწავლელთათვის

წლების განმავლობაში იყო დამატებითი გრამატიკული სავარჯიშოების არსებობის დიდი საჭიროება. ვერც ენის შესასწავლი და ვერც სასკოლო სახელმძღვანელოები სრულად ვერ უზრუნველყოფდნენ იმ საკვანძო საკითხების დაძლევას, რაც ქართული ენის შემსწავლელს ხვდება. ენის ათვისებისათვის აუცილებელია ენობრივი სისტემის ისეთი ელემენტების გაცნობიერება, რაც გააადვილებს კომუნიკაციის პროცესს. ამას სჭირდება ხანგრძლივი ვარჯიში, ავტომატიზმამდე მისული პრაქტიკა. ეს კი დიდძალი სავარჯიშო მასალის არსებობის გარეშე შეუძლებელია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს საკვანძო საკითხები, მათი საკომუნიკაციო დანიშნულება და იმ ტიპის აქტივობები, რომლებიც გააადვილებს მათ ათვისებას და გამოყენებას. სწორედ ეს პრინციპები უდევს საფუძვლად სავარჯიშოების კრებულს, რომელიც შეიქმნა დაგეგმილი მეთოდური ხედვით და ენის სწავლების პროცესში ჩართული მასწავლებლების პრაქტიკული ცოდნით.

სავარჯიშოების კრებულის გამოყენების არეალი მეტად ფართოა: ის შეიძლება კარგი დამხმარე რესურსი აღმოჩნდეს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის, ქართული ენის დისტანციური კურსის მსმენელთათვის, არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის არაქართველი მასწავლებლებისათვის, იმ საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც ქართული ენის შესწავლის კურსში არიან ჩართულები და ზოგადად, ქართული ენის შემსწავლელებისათვის.

სავარჯიშოების კრებული შედგება ათი თავისაგან და მოიცავს იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ენის შემსწავლელთათვის არის პრობლემატური და განსაზღვრულია ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძველზე. ეს თავებია: 1. ფონეტიკა; 2.არსებითი სახელი; 3. თანდებულიანი ფორმები; 4. მსაზღვრელ-საზღვრული; 5. სახელთა წარმოქმნა; 6. ზმნა; 7. თავაზიანი ფორმები; 8. ზმნის კატეგორიები; 9. მაერთებელი კავშირები; 10. მაქვემდებარებელი კავშირები.

სავარჯიშოების კრებულს წინ უძღვოდა პრობლემათა კვლევა და მათი ანალიზი ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებაში ჩართული მასწავლებლების ხედვის გათვალისწინებით. სწორედ

ამან განაპირობა სავარჯიშოების პრაქტიკული ხასიათი, დანიშნულება და ეფექტიანობა. სავარჯიშოების შექმნის პროცესში მუდმივად მიმდინარეობდა საკითხთა განხილვა, მათი მისადაგება ენის შემსწავლელთა პრობლემებთან, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების შექმნა. სავარჯიშოების კრებულზე მუშაობდნენ კონსულტანტ-მასწავლებლები: ლალი დალაქიშვილი, იზა გვირჯიშვილი, ცაულინა მალაზონია, ია რობაქიძე, ნანა არაბული, ლელა ბუთურიშვილი, ნონა არევაძე-კოტორაშვილი, გიორგი ჭაუჭიძე, თემო შალამბერიძე.

სავარჯიშოების კრებულის მიზანია გააადვილოს ენის სწავლების პროცესი, გამოკვეთოს პრობლემები და მათი პრაქტიკით ხელი შეუწყოს საკითხების ათვისებას, სწავლების პროცესი გახადოს იოლი, პრაქტიკული და სახალისო. ყოველ თავზე დართული სქემები და თვალსაჩინოებები კი ემსახურება საკითხთა ვიზუალურ აღქმას და მათ დამახსოვრებას. ამგვარი სქემები იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ მომავალში მასწავლებლებს მიეცეს ნიმუში გრამატიკული საკითხების ადვილად დაძლევის გზების ძიებისათვის. ამ სახით მიწოდებული საკითხები კი დაეხმარება ენის მასწავლებელსაც და შემსწავლელსაც, რომ ენის ათვისების პროცესი უფრო მიზანმიმართული და ეფექტიანი გახადოს.

**სიხშირე და პრაქტიკა ქმნის ენის გამოყენების ავტომატიზმს** – მეორე ენის სწავლების თეორიაში ეს ცნობილი დებულებაა და სწორედ ესაა ამ კრებულის მთავარი მახასიათებელიც და ღირებულებაც.

**ნინო შარაშენიძე**
პროგრამის კონსულტანტი
კრებულის მეთოდური ხელმძღვანელი

## ლალი დალაქიშვილი

სასიამოვნო პროცესია, როდესაც შენი მრავალი წლის, თვის და თუნდაც წუთის ნაფიქრალი დღის სინათლეზე გამოდის, მით უფრო, თუ ამ საფიქრალ-ნაფიქრალს არა საკუთარი სურვილები და საჭიროებები, არამედ საერთო საჭიროება ესაძირკვლება. სასიამოვნოა, მაგრამ შემდეგ იწყება იმის მოლოდინი, როგორ მიიღებს ამას ის, ვისთვისაც იქმნებოდა. ილიასი არ იყოს, ჩვენ სიყვარულით და სიხარულით მოვიტანეთ, ჩვენო მკითხველო, და დანარჩენი თქვენთვის მოგვინდვია.

## იზა გვირჯიშვილი

დასრულდება რა ნებისმიერი საქმე, ალბათ, ყველა ადამიანი გაანალიზებს და შეაფასებს შრომის შედეგს, კიდევ ერთხელ გაიხსენებს სამუშაო პროცესს და შეეცდება დარწმუნდეს, რომ ეს შედეგი ღირდა გაწეულ შრომად. ასე ვარ მეც და, ვფიქრობ, ჩვენი სამუშაო ჯგუფის ყოველი წევრიც.

წიგნზე მუშაობის პროცესი რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო. სირთულეს ქმნიდა არა მხოლოდ საკუთრივ ქართული ენის გრამატიკის, არამედ მისი სწავლა-სწავლების განსაკუთრებული სპეციფიკა. სწორედ ეს სირთულე ითხოვდა ძიების ერთობ საინტერესო და აზარტულ პროცესს. ლექსიკური ერთეულების მაქსიმალურად ზუსტად არჩევა, დასურათება, სწორად მიგნებული ენობრივი კონსტრუქციებისა თუ საკითხავი ტექსტების შექმნა, სავარჯიშოთა ფორმის შერჩევა და სხვა კიდევ მრავალი, ერთი შეხედვით, წვრილმანი საკითხი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მუშაობისას. ეს ერთობ სასიამოვნო პროცესი იყო. მადლობა ამისთვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო შარაშენიძესა და ჯგუფის ყველა წევრს.

ვფიქრობ, ჩვენ შევქმენით საჭირო და საინტერესო რესურსი, რომელიც, ცხადია, არ არის სრულყოფილი, მაგრამ საკმაოდ დიდ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს. ჩვენთვის საინტერესო იქნება პედაგოგთა და ენის შემსწავლელთა საქმიანი წინადადებები და შენიშვნები შემდგომში გასათვალისწინებლად.

## ნონა არევაძე-კოტორაშვილი

გრამატიკული სავარჯიშოების წიგნზე განსაკუთრებული პროფესიული ინტერესით ვიმუშავე. უპირველესად იმიტომ, რომ თავად ვიქნები აღნიშნული რესურსის მომხმარებელი. ზოგადად, ენის სწავლებაში დიდ მნიშვნელობას იძენს თითოეული დამხმარე მასალა, რომელიც მოქმედ მასწავლებელს გაუადვილებს გრამატიკული საკითხების მიხედვით სავარჯიშოების მოძიების და გამოყენების პროცესს. ჩვენ მიერ შექმნილი წიგნის მომხმარებლები იქნებიან ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლები და უპირველესად, პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლები, რომლებიც ენის სწავლების კურსებს უძღვებიან არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებთან. შესაბამისად, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და პატივია შექმნა რესურსი, რომელსაც მასწავლებელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კომპეტენციის მქონე პროფესიონალები გამოიყენებენ.

## ია რობაქიძე

შესაძლოა, გრამატიკის როლსა და მნიშვნელობაზე ენის ათვისებაში კვლავ დიდხანს იკამათონ მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. შესაძლოა, ჩვენს კრებულსაც გამოუჩნდეს მაკრიტიკებელი – ცალკე გრამატიკაზე მუშაობა რა საჭიროაო. დიახ, გრამატიკული წესები კი არ უნდა გვახსოვდეს, უნდა ვიყენებდეთ მათ, მაგრამ ამ კომპეტენციამდე მისასვლელი გზა გრძელია. სინამდვილე ჯიუტია და ხშირად შეგვახსენებს, თუ როგორ უხერხულობას გრძნობენ გრამატიკული წესების არმცოდნე რიგითი შემსწავლელები საუბრისა და წერისას. ჩემთვის, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, უდავოა, რომ მწირ ენობრივ გარემოში გრამატიკული ყალიბების ცოდნა მთავარი იარაღია ენის ლაბირინთებში გზის გასაკვლევად. მე და ჩემი კოლეგები ვიზიარებთ მიდგომას: გრამატიკა ენისათვის და არა გრამატიკისათვის, თუმცა საჭიროდ მივიჩნევთ მასზე ცალკე და საგანგებო მუშაობასაც და სწორედ ამიტომ შევქმენით ეს კრებული. ვიმედოვნებთ, იგი საიმედო მეგზურობას გაუწევს შემსწავლელებს და გაუადვილებს ქართული ენის რთულ სამყაროში შეღწევას.

## ლელა ბუთურიშვილი

ჩემთვის საინტერესო იყო კრებულზე მუშაობა. ვფიქრობ, მასში დასმულია ის საკითხები, რომლებიც პრობლემურია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას. სავარჯიშოებზე მუშაობისას ვცდილობდი გამეთვალისწინებინა ჩემი მოსწავლეების ინტერესები, კომპეტენცია, შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე, მომეძებნა ამა თუ იმ პრობლემური საკითხის გადაჭრის გზა. შეიძლება ითქვას, შესაძლებლობა მომეცა, გარკვეულწილად, შემეჯამებინა ჩემი პრაქტიკული გამოცდილება. ასევე წიგნის ღირსებად მიმაჩნია ის, რომ დაცულია დიფერენცირებული სწავლების პრინციპი: ერთსა და იმავე საკითხზე მოცემულია სხვადასხვა დონის სავარჯიშოები მარტივიდან რთულისკენ. ეს კი საშუალებას იძლევა არამარტო საფუძვლიანად ამოწურო კონკრეტული თემა, არამედ თითოეულ მოსწავლეს მისცე მისი ცოდნის შესაბამისი დავალება.

წიგნზე მუშაობა ჩემთვის იყო დიდი გამოწვევა და საინტერესო პროცესი. სავარჯიშოების შექმნისას ვითვალისწინებდი იმ პრობლემებს, რაც მხვდებოდა ჩემს პრაქტიკაში გრამატიკის სწავლებისას; ვცდილობდი მომეძებნა გზა ლამის დილემად ქცეული ზოგიერთი გრამატიკული კონსტრუქციის სწავლების გასამარტივებლად. შექმნილი სავარჯიშოების დახვეწაში მეხმარებოდა პროფესიონალთა გუნდი. საბოლოო სახის მიცემამდე სავარჯიშოებს ვტესტავდი ქართული ენის კლუბში ჩართულ მოსწავლეებთან, რაც საშუალებას მაძლევდა, შეძლებისდაგვარად, გამეზომა სავარჯიშოების ეფექტიანობა და შემეტანა ცვლილებები.

წიგნზე მუშაობის დაწყებამდე ყოველთვის მივიჩნევდი, რომ მხოლოდ ერთ გრამატიკულ კონსტრუქციაზე მუშაობა ერთ სავარჯიშოში იქნებოდა მოსაწყენი მოსწავლეებისთვის და იქნებოდა ნაკლებშედეგიანი, რადგან შემსწავლელი მექანიკურად გამოიყენებდა კონსტრუქციას, მაგრამ დატესტვისას აღმოვაჩინე, რომ ზემოთაღნიშნული მექანიკური ქმედება მექანიკურ დამახსოვრებას უწყობს ხელს და განზოგადება შემდეგ უფრო უმარტივდებათ. ამიტომ მუშაობისას ავირჩიე ასეთი პრინციპი: ერთი გრამატიკული საკითხის თითოეული ფორმისთვის ვქმნიდი სავარჯიშოებს და შემდეგ მას მოსდევდა შემაჯამებელი სავარჯიშო. მაგ: მიცემითი ბრუნვის თითოეული თანდებულისთვის თითო სავარჯიშოს შესრულების შემდეგ შევთავაზე მიცემითი ბრუნვის ყველა თანდებულის გამოყენება კონტექსტში.

დატესტვის პროცესში გამოიკვეთა, რომ, როცა შემსწავლელი თვითონ ქმნის წინადადებებს ან ტექსტს კონკრეტული კონსტრუქციის გავარჯიშებისთვის, უკეთ იაზრებს კონსტრუქციის გამოყენების საჭიროებას და მაგალითებიც მოჰყავს საკუთარი გამოცდილებიდან და საჭიროებიდან. მაგ: როცა ვთხოვთ, გამოიყენოს „მაქვს“ ზმნა, ის ადგენს წინადადებებს ადამიანის გარეგნობის შესახებ.

ზმნებზე მუშაობის დროს მოსწავლეებს გაუჭირდათ არა მხოლოდ პარადიგმის სწორად გამოყენება, არამედ თავში დართულ ცხრილში საჭირო პარადიგმის პოვნაც, რამაც დამანახა, რომ საჭირო იყო, შემეთავაზებინა ჯერ პარადიგმაში მოცემული ზმნისთვის შეწყობილი ნაცვალსახელების არსებითი სახელების შესაბამისი ბრუნვის ფორმით ჩანაცვლება და მხოლოდ შემდეგ სხვა ტიპის სავარჯიშოების შეთავაზება.

ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ მოცემული რესურსის გამოყენებამ ჩემს მოსწავლეებს გაუმყარა ცოდნა ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციების, ხელი შეუწყო მათს სწორად გამოყენებას, გაუიოლა ახალი გრამატიკული საკითხების შესწავლა.

## ცაულინა მალაზონია

– არ შეეხოთ, საშიშია! – წლებია ასე კატეგორიულად გვაფრთხილებენ ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს გამოცდილი სპეციალისტები.

მიმიხვდით ალბათ: საქმე ნაღმებს კი არა, ქართული გრამატიკის იმ სიღრმისეულ საკითხებს ეხება, სახელგანთქმულ მეცნიერებსაც რომ უჩენს თავსატეხს და რომლებიც მართლაც ნაღმებივით შეფუთული აწყვია სასწავლო პროგრამებში. ჩვენ კი, მიუხედავად მკაფიო ინსტრუქციებისა, ძალაუნებურად და გამუდმებით ვაწყდებით მათ პირდაპირ გაკვეთილზე.

ვფიქრობ, კრებულში თავმოყრილი პრაქტიკული დავალებები კარგი საშუალება იქნება ამ ნაღმების გასანეიტრალებლად, რადგან სწავლება სირთულის გვერდის ავლა კი არა, მასში მარტივად შესაღწევი გზების ძიებაა.

## თეიმურაზ შალამბერიძე

ჩემთვის ძალიან საინტერესო და პროდუქტიული პროცესი იყო პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდთან ერთად გრამატიკული სავარჯიშოების წიგნზე მუშაობა. კრებულის შექმნა კიდევ ერთი გამოწვევა გახდა ჩვენი პროგრამისთვის. წიგნზე თვალის ერთი გადავლებითაც შენიშნავდით, რომ გუნდმა დიდი შრომა გასწია, რომ შეექმნა მრავალგვერდიანი სოლიდური სასწავლო რესურსი.

ვიცით, რომ ქართული გრამატიკის სწავლება თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც შევეცადეთ, მოგვეძებნა განსხვავებული გზები და ახალი მიდგომები, შეგვედგინა სხვადასხვა კუთხით დამუშავებული და ილუსტრაციებით გამდიდრებული სავარჯიშოები, რომლებიც მაქსიმალურად დაეხმარება ჩვენს კოლეგებს გრამატიკის ეფექტიანად სწავლებასა და მოსწავლეების გრამატიკით დაინტერესებაში.

## გიორგი ჟაუჟიძე

მიხარია, რომ მონაწილეობა მივიღე და ჩემი წვლილი შევიტანე წინამდებარე კრებულის შემუშავებაში. კიდევ უფრო ის მიხარია, რომ ერთობლივი ძალისხმევით ასეთი მოცულობითი ნამუშევრის შედგენა მოხერხდა. ვფიქრობ, მისი გამოყენება დაეხმარება ქართული ენის შემსწავლელებს და გაუადვილებს მათ ამა თუ იმ ენობრივი კატეგორიის ათვისებას.

მე, როგორც მასწავლებელი, დაკვირვებული ვარ, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს ხოლმე გრამატიკული საკითხების მიმართ. ასეთი უხვი ენობრივი დავალებები არამხოლოდ ასეთ მოსწავლეებს გაუადვილებს სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია დავალებების მრავალფეროვნებაც, რაც, ასევე, მოსწავლეთა სხვადასხვა კატეგორიაზე მორგების საშუალებას იძლევა.

რასაკვირველია, ასეთი კრებულის გამოყენება დამოკიდებულია მასწავლებლებზე და მისი მთავარი დანიშნულებაც მასწავლებლების დახმარებაა. აღსანიშნავია, რომ დავალებათა არჩევანი საშუალებას მისცემს მასწავლებელს შეარჩიოს ისეთი და იმდენი დავალება, რომელიც მისი კონკრეტული კლასისთვის ან ამ კლასში მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფისთვის იქნება მიზანშეწონილი.

# შინაარსი


თავი 1.
ქართული ენის ბგერათა სისტემა
და ფონეტიკური სავარჯიშოები 15

თავი 2.
არსებითი სახელი, ბრუნვები
და ბრუნვათა ფუნქციები 135

თავი 3.
თანდებულიანი ფორმები 193

თავი 4.
მსაზღვრელ-საზღვრული 231

თავი 5.
სახელთა წარმოქმნა 239

თავი 6.
ზმნა 309

თავი 7.
თავაზიანი ფორმები 485

თავი 8.
ზმნის კატეგორიები –
ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი 533

თავი 9.
მაერთებელი კავშირები 585

თავი 10.
მაქვემდებარებელი კავშირები 619

# ქართული ანბანი

| | | |
|---|---|---|
| ა | მ | ღ |
| ბ | ნ | ყ |
| გ | ო | შ |
| დ | პ | ჩ |
| ე | ჟ | ც |
| ვ | რ | ძ |
| ზ | ს | წ |
| თ | ტ | ჭ |
| ი | უ | ხ |
| კ | ფ | ჯ |
| ლ | ქ | ჰ |

1

# ქართული ენის ბგერათა სისტემა და ფონეტიკური სავარჯიშოები

# თავი 1.
# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲑᲒᲔᲠᲐᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲔᲑᲘ

## ანბანის შემდგომი საკითხავი მასალა

გაითვალისწინეთ, ხაზგასმული სიტყვები ადამიანთა სახელებია.

ა ე ი ო უ

**ია.**



**აი ია.**

**ეს არის ია.**







**აი ორი ია.**

<u>**ანას**</u> უყვარს ია.



**ბებია.**

აი ბებია.

ეს ჩემი ბებიაა.



**ბაბუა.**

ჩემი ბაბუა.

ჩემი ბაბუა ძალიან კეთილია.



**ბავშვი.**

აი ბავშვი.

ეს ბავშვი ჩემი ძმაა.

# გ



**გემი.**

აი გემი.

ეს გემი ძალიან დიდია.

**გედი.**

აი გედი.

ეს გედი ძალიან ლამაზია.





**გუგა.**

გუგა ბიჭია.

გუგა ძალიან კარგი ბიჭია.

# დ



**დედა.**

აი დედა.
დედაჩემი ძალიან ლამაზია.



**დავითი.**

ბატონი დავითი.
ბატონი დავითი
მაღალი კაცია.



**დემეტრე.**

დემეტრე ბიჭია.
პატარა დემეტრე
ჭკვიანი ბიჭია.

## 3



**ვარდი.**

ვარდი ყვავილია.
ვარდი ძალიან ლამაზი
ყვავილია.



მე ვარ **სალომე**.
ვარდი ძალიან მიყვარს.



**ვეფხვი.**

ვეფხვი ცხოველია.
ვეფხვი გარეული ცხოველია.

# ზ



**ზაზა.**

ზაზა ბიჭია.
ზაზა ძალიან ღონიერი
ბიჭია.



**ზებრა.**

ზებრა ცხოველია.
ზებრა გარეული ცხოველია.

**ზღვა.**

შავი ზღვა.
საქართველოში
შავი ზღვაა.



თ



**თითი.**

ათი თითი.

ადამიანს ათი თითი აქვს.

**თასი.**

აი თასი.

თასში ღვინო ასხია.






**ათასი.**

ათასი გვერდი.

წიგნში ათასი გვერდია.

# კ



**კოტე.**

კოტე ბიჭია.

კოტე ძალიან კარგი ბიჭია.



**კობა.**

კობაც ბიჭია.

კობა გონიერი ბიჭია.



**კატო.**

კატო გოგოა.

კატო ძალიან კოხტა გოგოა.

# ლ



**ლალი.**

ქალბატონი ლალი.

ქალბატონი ლალი ლამაზი ქალია.



**ლელა.**

ლელა გოგოა.

ლელა სოფელში ცხოვრობს.



**ლერი.**

ლერი ბიჭია.

ლერი ძლიერი ბიჭია.



**მამა.**

ჩემი მამა.

მამაჩემი სამინისტროში მუშაობს.



**მამია.**

ბატონი მამია.

ბატონი მამია
მაღალია.



**მურმანი.**

მურმანი კაცია.

მურმანი კაცის სახელია.

## ნ



**ნანა.**

ნანა გოგოა.

ნანა ჭკვიანი გოგოა.



**ნათია.**

ეს ნათიაა.

ნათია სერიოზული გოგოა.



**ნინო.**

ქალბატონი ნინო.

ქალბატონი ნინო

უნივერსიტეტში მუშაობს.

# პ

**პეპელა.**

პეპელა ლამაზია.
ჭრელი პეპელა ძალიან ლამაზია.





**პაპა.**

პაპა მოხუცია.
პეტრე პაპა ძალიან მოხუცია.



**პური.**

პური გემრიელია.
ცხელი პური ძალიან გემრიელია.

# ჟ



**ჟურნალი.**

საინტერესო ჟურნალი.

ეს საინტერესო ჟურნალია.



**ჟირაფი.**

ჟირაფი ცხოველია.

ჟირაფი გარეული ცხოველია.



**ჟუჟუნა.**

ჟუჟუნა ქალია.

ჟუჟუნა ქალის სახელია.



**რეზო.**

ბატონი რეზო.

ბატონი რეზო საინტერესო ადამიანია.



**რადიო.**

ეს რადიოა.

ეს ძალიან ძველი რადიოა.



**რვეული.**

ეს რვეულია.

ეს რვეული ჩემია.

## ს

**საათი.**
ეს საათია.
ეს საათი ძალიან დიდია.





**სურათი.**
დიდი სურათი.
ეს დიდი სურათი ძალიან ლამაზია.

**საწოლი.**
დიდი საწოლი.
ეს დიდი საწოლი ჩემია.



## ტ



**ტატო.**

ტატო ბიჭია.

ტატო ძალიან კარგი ბიჭია.



**ტასო.**

ტასო გოგოა.

ტასო ძალიან კარგო გოგოა.



**ტურა.**

ტურა ცხოველია.

ტურა გარეული ცხოველია.

## ფ



**ფაფა.**

ფაფა გემრიელია.

ბავშვს გემრიელი ფაფა უყვარს.



**ფილმი.**

საინტერესო ფილმი.

ეს ფილმი ძალიან საინტერესოა.



**ფერი.**

ლამაზი ფერი.

ეს კაბა ლამაზი ფერია.



**ქუდი.**

დიდი ქუდი.

ეს ქუდი ძალიან დიდია.



**ქარი.**

ძლიერი ქარი.

დღეს ძლიერი ქარია.



**ქერა.**

ქერა თმა.

ტასოს ქერა თმა აქვს.

## ღ



**ღორი.**

დიდი ღორი.

ეს ძალიან დიდი ღორია.



**ღიმილი.**

ლამაზი ღიმილი.

ჯაბას ლამაზი ღიმილი აქვს.



**ღონიერი.**

ღონიერი კაცი.

ტასოს მამა ძალიან ღონიერია.

ყ



**ყვავილი.**

ია ყვავილია.
ია ძალიან ლამაზი ყვავილია.



**ყაყაჩო.**

ყაყაჩო ყვავილია.
ყაყაჩო ძალიან ლამაზი ყვავილია.

**ბაყაყი.**

ბაყაყი მწვანეა.
ბაყაყი წყალში ყიყინებს.



# შ

**შავი.**

შავი მანქანა.
მე შავი მანქანა
არ მომწონს.





**შორენა.**

შორენა გოგოა.
შორენა გოგოს სახელია.

**შაქარი.**

შაქარი ტკბილია.
ჩაიში ბევრი შაქარია.



ჩ



**ჩანთა.**

დიდი ჩანთა.

ეს დიდი ჩანთა ჩემია.



**ჩემი.**

ჩემი ჩანთა.

ჩემი ჩანთა ძალიან დიდია.



**ჩინეთი.**

ჩინეთი ქვეყანაა.

ჩინეთი ძალიან დიდი ქვეყანაა.

## ც



**ცივი.**

ცივი წყალი.

ეს ძალიან ცივი წყალია.



**ცირა.**

ცირა გოგოა.

ცირა ძალიან ლამაზი გოგოა.



**ცხელი.**

ცხელი ჩაი.

ძალიან მინდა ცხელი ჩაი.

ძ

**ძიძია.**

ძიძია ქალია.
ძიძია ქალის ქართული
სახელია.





**ძროხა.**

ძროხა ცხოველია.
ძროხა შინაური
ცხოველია.

**ძეხვი.**

ძეხვი გემრიელია.
ზურას ძეხვი ძალიან უყვარს.



## წ



**წიგნი.**

ეს წიგნია.

ეს ძალიან საინტერესო წიგნია.



**წყალი.**

ცივი წყალი.

ეს წყალი ძალიან ცივია.

**წითელი.**

წითელი კაბა.

წითელი კაბა ძალიან ლამაზია.



ჭ

**ჭიქა.**

ეს ჭიქაა.

ეს ლამაზი ჭიქაა.





**ჭამს.**

ბიჭი ჭამს.

ბიჭი საჭმელს ჭამს.

**საჭმელი.**

გემრიელი საჭმელი.

ეს საჭმელი ძალიან გემრიელია.



## ხ



**ხათუნა.**

ხათუნა გოგოა.

ხათუნა ლამაზი გოგოა.



**ხელი.**

ორი ხელი.

ადამიანს ორი ხელი აქვს.



**ხუთი.**

ხუთი ოთახი.

სახლში ხუთი ოთახია.

ჯ



**ჯვარი.**

ეს ჯვარია.

ეს ლამაზი ჯვარია.

**ჯოხი.**

გრძელი ჯოხი.

ეს ჯოხი ძალიან გრძელია.





**ჯაბა.**

ჯაბა ბიჭია.

ჯაბა ძალიან ჭკვიანი ბიჭია.

## ჰ



**ჰავა.**

თბილი ჰავა.

საქართველოში თბილი ჰავაა.

ჰაერი. კარგი ჰაერი. მთაში კარგი ჰაერია.



**ჰამაკი.**

კარგი ჰამაკი.

ჰამლეტს კარგი ჰამაკი ჰქონდა.

# დონე A1 / A2

**სავარჯიშო 1.** **ბლოკში მოცემული სიტყვები გადაწერე ცხრილში:**

ფირი. ბარი. პირი. ფაფა. ტელეფონი. პაპა. თარი. ბურთი. ფაქტი. ბაღი. ბერი. საფენი. პუნქტი. ფოთოლი. ბარათი. ფარი. პლანშეტი. პინგვინი. კარტოფილი. პომიდორი. პეპელა. საპონი

| ბ | ფ | პ |
| --- | --- | --- |
| | | |

**სავარჯიშო 2.** **ბლოკში მოცემული სიტყვები გადაწერე ცხრილში:**

სოკო. კარი. ქაქანი. გოგო. კოკა. ქუდი. გული. კატა. გმირი. ქათამი. ქერა. კულა. ქოთანი. კუდი. გვარი. ქულა. კერა. ქარი. კაკანი.

| გ | ქ | კ |
| --- | --- | --- |
| | | |

**სავარჯიშო 3.** **ბლოკში მოცემული სიტყვები გადაწერე ცხრილში:**

დათვი. თუთა. ტორი. ტომატი. დოლი. თათი. პეტრე. დაფა. ჩითი. თეთრი. მაგიდა. ტაფა. თოვლი. თითი. დრო. ტარო. თარო. ტივი.

| დ | თ | ტ |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 4.** **ბლოკში მოცემული სიტყვები გადაწერე ცხრილში:**

ძმა. ცელი. წყალი. ძიძა. ბიძა. ცული. წურავს. ციფრი. წიწილა. ცოლი. წვიმა. ცურავს. ძერა. წერა. წამწამი. ცვარი. წილი.

| ძ | ც | წ |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 5.** **ბლოკში მოცემული სიტყვები გადაწერე შესაბამის ცხრილში:**

ყელი. ღამე. ხელი. ხვავი. ღომი. ყაყაჩო. ღვარი. ყური. ხანა. ყეფა. ხვავი. ღერი. ყვავი. ხმა. ყბა. ყმა. ღონიერი. ხურდა. ყაყანი. ღუღუნი.

| ყ | ხ | ღ |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 6.** **წინა სავარჯიშოებიდან ამოიწერე სიტყვათა წყვილები, რომლებიც ერთი ასოთი განსხვავდებიან და დააწყვილე:**

მაგალითად: თარი – ტარი  ქუდი – კუდი  ფაფა – პაპა

.................... .................... .................... ....................

.................... .................... .................... ....................

.................... .................... .................... ....................

.................... .................... .................... ....................

.................... .................... .................... ....................

**სავარჯიშო 7.** **წაიკითხე სწორად:**

| | |
|---|---|
| ყაყაჩო | ყუთი |
| ცისარტყელა | ყვავილი |
| ბაყაყი | ყური |
| ყველი | მარწყვი |

**სავარჯიშო 8.** **მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და წაიკითხე სწორად:**

| | |
|---|---|
| წყალი | წელიწადი |
| წვიმა | წამალი |
| მასწავლებელი | წვენი |
| ცომი | მოსწავლე |
| მაწონი | ცარცი |
| წერო | მწერი |
| წურავს | ცურავს |

**სავარჯიშო 9.** **ჩასვი გამოტოვებული ასო სათანადო ადგილას:**

## პ / ფ





- ა - ა

- ა - ა

## ყ / ხ





- ე ლ ი

- ე ლ ი

## პ / ფ





- უ რ ი

- უ რ ი

სავარჯიშო 10. **ჩასვი გამოტოვებული ასო სათანადო ადგილას:**

## კ / ქ



**- ა რ ი**



**- ა რ ი**

## პ / ფ



**- ი რ ი**



**- ი რ ი**

**სავარჯიშო 11.** **გადახაზე ზედმეტი (განსხვავებული) სიტყვა:**

მაგალითი: **ბაღი. ბალი. ~~პური.~~ ბერი**

ა) პაპა. ფაფა. პატარა. პეტრე.
ბ) ფოთოლი. ფაფა. ფარი. პარი.
გ) ზარი. სარი. სწორი. სწავლა.
დ) სწავლა. ზრუნვა. ზოლი. ზაზა.
ე) ყური. ყაყაჩო. ხალი. ყელი.
ვ) გული. გვარი. გემი. ქუდი.
ზ) ქუდი. ქარი. ქორი. გორი.
თ) ქერი. კუდი. კუ. კაკალი.
ი) ქურქელი. ჯარი. ჯორი. ჯამი.
კ) ჭა. ჭერი. ჯერი. ჭამა.
ლ) ჩირი. ჭირი. ჩოჩორი. ჩქარი.
მ) ძერა. ხარი. ხელი. ხურმა.

**სავარჯიშო 12.** **შეარჩიე შესაფერისი სიტყვა და ჩასვი წინადადებაში:**

## კარი თუ ქარი?



ამოვარდა დიდი ______________

და დახურა ყველა ______________

## ქორი თუ გორი?





აფრინდა ______ , აფრინდა ______

გადაიფრინა მთა, ტყე და ______



## ფაფა თუ პაპა?

ანიმ არ შეჭამა ______

გააბრაზა ფიდო ______





## წელი თუ ცელი?



ამუშავდა ჩემი ______

მაგრამ კი ამტკივდა ______

## ქუდი თუ კუდი?



მელამ დაიხურა ______

მოწმედ მოიყვანა ______

**სავარჯიშო 13.** **გადახაზე არასწორი ფორმები:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | თავი | ტავი |
| 2. | თოთი | ტოტი |
| 3. | კატა | კათა |
| 4. | კური | ყური |
| 5. | პოტოლი | ფოთოლი |
| 6. | ციცილა | წიწილა |
| 7. | პატარა | ფათარა |
| 8. | ტოვლი | თოვლი |
| 9. | პატარა | ბატარა |
| 10. | კაკაჩო | ყაყაჩო |
| 11. | კატა | გატა |
| 12. | ქართული | კართული |
| 13. | გომში | კომში |
| 14. | ათამი | ატამი |
| 15. | კომპიუტერი | კომფიუთერი |

**სავარჯიშო 14.** **ყოველ ბლოკს მიუწერე სათანადო ასოზე დაწყებული სიტყვები:**



**ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 15.** **ᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲔ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲮᲐᲖᲔᲑᲖᲔ (ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔ, ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ):**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ზ | ა | ფ | ხ |
| ე | ზ | ღ | ვ | ა | უ |
| მ | ვ | ა | ი | ფ | ლ |
| ი | ი | რ | რ | ა | ი |
| ი | გ | ბ | უ | დ | ე |
| ნ | ე | ი | კ | ი | რ |
| ა | ნ | ი | ა | ლ | ა |
| კ | ა | კ | ბ | ი | პ |

**სავარჯიშო 16.** **ჩასვი სათანადო ასო / ბგერა:**



I. - უ დ ე

ა) ბ; ბ) გ; გ) წ; დ) მ.

II. - ე პ ე ლ ა

ა) ბ; ბ) პ; გ) წ; დ) მ.





III. - ე ხ ი

ა) ბ; ბ) გ; გ) ფ; დ) მ.



IV. - ო გ ო ნ ა

ა) ბ; ბ) გ; გ) წ; დ) გ.



V. - ა რ ა დ ა

ა) კ; ბ) გ; გ) წ; დ) ს.



VI. - ა რ ი

ა) კ; ბ) ქ; გ) წ; დ) ს.




VII. - ა ფ ა

ა) ხ; ბ) გ; გ) დ; დ) ს.



VIII. - რ ა ქ ტ ო რ ი

ა) კ; ბ) გ; გ) წ; დ) ტ.




IX. - ე ა ტ რ ი

ა) თ; ბ) მ; გ) წ; დ) ს.



X. - ა ღ ლ ი

ა) კ; ბ) წ; გ) წ; დ) ძ.

XI. - ი გ ნ ი

ა) ბ; ბ) გ; გ) წ; დ) ც.





XII. - ა რ ც ი

ა) კ; ბ) ც; გ) წ; დ) ძ.

XIII. - ო რ ი

ა) ღ; ბ) ყ; გ) წ; დ) ს.





XIV. - უ რ ი

ა) ღ; ბ) ყ; გ) ჩ; დ) ნ.

XV. - ა რ ი

ა) ც; ბ) ა; გ) ყ; დ) ხ.



სავარჯიშო 17. **ჩასვი სათანადო ასო / ბგერა:**

I. - ა დ ე

ა) ფ; ბ) გ; გ) წ; დ) ბ.





II. - უ რ ი

ა) დ; ბ) ფ; გ) ვ; დ) პ.

III. - ა რ ა

ა) დ; ბ) წ; გ) ფ; დ) პ.





IV. - ო გ რ ა

ა) ქ; ბ) ს; გ) გ; დ) ც.

V. - ო მ პ ო ტ ი

ა) დ; ბ) კ; გ) ვ; დ) ც.





VI. - უ რ ქ ი

ა) დ; ბ) ტ; გ) ქ; დ) კ.



VII. - ე ლ ფ ი ნ ი

ა) დ; ბ) ს; გ) ვ; დ) ტ.



VIII. - ა ნ კ ი

ა) დ; ბ) ტ; გ) ვ; დ) ც.



IX. - ო ხ ი

ა) გ; ბ) წ; გ) ვ; დ) თ.



X. - ა ბ რ ი

ა) გ; ბ) წ; გ) ძ; დ) ც.



XI. - ყ ა რ ო

ა) ქ; ბ) წ; გ) ვ; დ) ც.



XII. - ი ც ა რ ი

ა) გ; ბ) წ; გ) ვ; დ) ც.



XIII. - ო ბ ე

ა) ღ; ბ) ყ; გ) წ; დ) ს.



XIV. - ე ლ ი

ა) ღ; ბ) ყ; გ) ჩ; დ) ნ.

XV. - ე

ა) ც; ბ) ა; გ) ყ; დ) ხ.



**სავარჯიშო 18.** **ჩასვი სათანადო ასო / ბგერა:**



I. კ ა - ა

ა) პ; ბ) გ; გ) ბ; დ) ჩ.



II. პ ე - ე ლ ა

ა) ბ; ბ) პ; გ) წ; დ) მ.




III. დ ა - ა

ა) კ; ბ) გ; გ) ფ; დ) ჩ.



IV. გ ო - რ ა

ა) ს; ბ) გ; გ) ქ; დ) დ.



V. მ ე - ა რ ე

ა) კ; ბ) გ; გ) ჭ; დ) თ.



VI. მ ა ნ - ა ნ ა

ა) გ; ბ) ქ; გ) ჩ; დ) ლ.



VII. ბ ა - ე

ა) ტ; ბ) გ; გ) დ; დ) ს.

VIII. ტ რ ა ქ - ო რ ი

ა) კ; ბ) გ; გ) თ; დ) ტ.





IX. თ ი - ი

ა) თ; ბ) მ; გ) დ; დ) ს.



X. მ - ი ვ ი

ა) კ; ბ) ჩ; გ) ჩ; დ) ძ.

XI. წ ი - ი ლ ა

ა) ხ; ბ) გ; გ) წ; დ) ც.





XII. ც ა რ - ი

ა) წ; ბ) ქ; გ) ც; დ) ძ.

XIII. ბ ე - უ რ ა

ა) ყ; ბ) ღ; გ) თ; დ) ს.





XIV. ბ ა - ა ყ ი

ა) ჩ; ბ) ყ; გ) ღ; დ) ს.



XV. ბ უ - ა რ ი

ა) ც; ბ) ა; გ) ყ; დ) ხ.

**სავარჯიშო 19.** **ჩასვი სათანადო მარცვალი:**



I. - - ტ ი

ა) ბა; ბ) გა; გ) პა; დ) წა.



II. - - რ ი

ა) გუ; ბ) ხუ; გ) პუ; დ) ბუ.



III. - - რ ი

ა) ბა; ბ) ფა; გ) რა; დ) რა.



IV. - - რ ა

ა) გო; ბ) ქო; გ) დო; დ) ლო.



V. - - რ ი

ა) კა; ბ) წა; გ) გა; დ) ჟა.



VI. - - ლ ა

ა) ხი; ბ) ტი; გ) ქი; დ) კი.



VII. - - დ ა

ა) ჰე; ბ) ფე; გ) ტე; დ) დე.



VIII. - - ფ ა

ა) ტა; ბ) გა; გ) ნა; დ) და.

IX. - - ს ი

ა) რა; ბ) ტა; გ) თა; დ) მა.





X. - - ხ ვ ი

ა) ხე; ბ) ძე; გ) წე; დ) ჯე.



XI. - - რ ო

ა) წე; ბ) ძე; გ) ფე; დ) ქე.



XII. - - მ ი

ა) ძო; ბ) სო; გ) ტო; დ) ცო.

XIII. - - რ ი

ა) დო; ბ) ღო; გ) ხო; დ) კო.





XIV. - - რ ი

ა) ხუ; ბ) ვუ; გ) ყუ; დ) კუ.

XV. - - დ ი

ა) თი; ბ) წი; გ) ჯი; დ) ხი.



**სავარჯიშო 20.** **ჩასვი სათანადო მარცვალი:**



I. ს ა - - ნ ი

ა) კა; ბ) გა; გ) პა; დ) ბა.



II. პ ე - - პ ე ლ ა

ა) გე; ბ) ცე; გ) პე; დ) ბე.



III. ფ ა - - ფ ა რ ი

ა) ბა; ბ) ფა; გ) რა; დ) რა.



IV. ნ ი ა ნ - -

ა) გი; ბ) ქი; გ) დი; დ) ლი.



V. თ ი - - ნ ი

ა) კა; ბ) ვა; გ) გა; დ) ჟა.



VI. ქ ა ლ ა - -
ა) ხი; ბ) ტი; გ) ქი; დ) კი.



VII. მ ა გ ი - -
ა) ღა; ბ) ფა; გ) ტა; დ) და.



VIII. ტ რ ა ქ - - რ ი
ა) ტო; ბ) გო; გ) ბო; დ) თო.



IX. ფ უ ნ - - შ ა
ა) ქუ; ბ) ტუ; გ) თუ; დ) მუ.



X. ს ა ვ ა რ - - ლ ი
ა) ხე; ბ) ძე; გ) წე; დ) ჯე.

XI. ფ ი - - ლ ი

ა) წა; ბ) ძა; გ) ფა; დ) პა.





XII. ს ა - - რ ი

ა) ზე; ბ) ძე; გ) ტე; დ) ცე.



XIII. ს ა - - მ ო

ა) ღა; ბ) ცა; გ) შა; დ) პა.



XIX. ს ა - - რ ე

ა) ღუ; ბ) გუ; გ) ყუ; დ) ჰუ.



XV. ხ ე რ - -

ა) ჩე; ბ) ტე; გ) ყე; დ) ხი.

**სავარჯიშო 21.** **რომელი ასოა გამოტოვებული – ც თუ წ?**



მ ა - ო ნ ი



- ა რ - ი



- ო - ხ ი



- ე რ ო



- უ რ ა ვ ს



- უ რ ა ვ ს

**სავარჯიშო 22. გადახაზე არასწორი ფორმა და დაწერე სწორად:**

მოსშავლე; წელი; შიგნი; სასწავლებელი; მასშავლებელი; შვიმა;
წიწილა, შერილი, მშერალი; წიგნი; წერო; წრუშუნა;

**სავარჯიშო 23. მოძებნე სიტყვები და გააფერადე სხვადასხვაფრად:**



**სავარჯიშო 24.** **რომელი ასოა გამოტოვებული – ც თუ წ?**



- ვ ი მ ა



- ც ო მ ი



- ა მ ა ლ ი



- ვ ე ნ ი



მ ა ს - ა ვ ლ ე ბ ე ლ ი



მ ო ს - ა ვ ლ ე

**სავარჯიშო 25.** **ფრჩხილებში მოცემული სიტყვებიდან შეარჩიე სწორი ვარიანტი და ჩაწერე წინადადებაში:**

ა) მთის კალთებზე ..................................... ბალახს ძოვს. (ცხვარი, ცხვირი)

ბ) ამ თოჯინას პატარა ..................................... აქვს. (ცხვარი, ცხვირი)

გ) მისი ..................................... ვახტანგია. (სახლი,  სახელი)

დ) მისი ..................................... ახლოსაა. (სახლი, სახელი)

ე) ..................................... სამუშაო იარაღია. (ცალი, ცელი)

ვ) კატოს ..................................... წინდა დაეკარგა. (ცალი, ცელი)

ზ) დათოს უფროსი ..................................... ჰყავს. (ხმა, ძმა)

თ) დედა ნანას ..................................... ვარცხნის. (თმას, მთას)

ი) ტურისტებმა მთა და ..................................... მოიარეს. (ბარი, ბაღი)

კ) ეს ხეხილის ..................................... ჩვენია. (ბარი ბაღი)

სავარჯიშო 26. **დაწერე სწორად:**



ნაღინი ..................................................



ცისარტღელა ..................................................



ღვითელი ..................................................



ღაღაჩო ..................................................



მარცღვი ..................................................



ბაღაღი ..................................................





ღური ............................................................

ღვავილი ............................................................





ღუთი ............................................................

ღველი ............................................................

**სავარჯიშო 27. მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და სურათებს მიუწერე შესაბამისი სიტყვა**

ცეცხლი, ძაღლი, ზღარბი, ჭანჭური, ზოოპარკი, საავადმყოფო, კომპიუტერი,

საქაღალდე, ვარსკვლავი, კლდე, ყურძენი, ჭინჭარი



























## სავარჯიშო 28. დააკვირდი სიტყვებს – რა ცვლის სიტყვების მნიშვნელობას?

1. ბარი ▶ ჯარი ▶ სარი ▶ ხარი ▶ ზარი ▶ დარი ▶ ქარი ▶ ტარი ▶ შარი
2. ქალი ▶ ცალი ▶ ბალი ▶ ვალი ▶ შალი ▶ ნალი
3. ცული ▶ გული ▶ სული ▶ ფული ▶ ნული ▶ წული ▶ მული
4. ქერი ▶ ქორი ▶ ქარი
5. ბალი ▶ ბელი ▶ ბოლი

## სავარჯიშო 29. მოცემული ასოების გამოყენებით ააწყვე სიტყვები (ყოველი ასოს ჩაწერის შემდეგ გადახაზე ეს ასო ასოთა ბლოკში):

ა ლ ღ ი ა ფ დ ფ ა რ პ ვ უ ო ფ

ყ ა პ ა ა ჯ ა ფ ა ა ყ ი ვ ი

1. ფ
2. პ
3. დ
4. ჯ
5. ყ
6. ღ
7. ყ

**სავარჯიშო 30.** **შეარჩიე საჭირო სიტყვა და ჩასვი შესაბამის წინადადებაში:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კალია | ქალი | გალია | ქერი | სახლი |
| ქარი | სახელი | ქორი | ზარი | ხარი |

ა) პაპამ ცხენებს ........................................ აჭამა.

ბ) ეზოში ........................................ შემოფრინდა.

გ) ჩიტის ........................................ თეთრია.

დ) მინდორში დახტის ........................................ .

ე) ეს ........................................ ანას დედაა.

ვ) ........................................ ხეს ფოთლებს აცლის.

ზ) სკოლაში ........................................ დარეკეს.

თ) მამამ ........................................ იყიდა.

ი) ბავშვს ........................................ ბებიამ დაარქვა.

კ) ჩემი ........................................ შორს არ არის.

**სავარჯიშო 31.** **მიუწერე ფოტოს შესაბამისი სიტყვა და წაიკითხე ხმამაღლა:**

პანდა / ფანტა / პანტა

**პანდა** არის ცხოველი. **პანდა** არის ბამბუკის დათვი

**ფანტა** არის სასმელი. **ფანტა** არის გაზიანი სასმელი

**პანტა** არის  ხილი. **პანტა** არის ტყის მსხალი



..................................................



..................................................



..................................................

**სავარჯიშო 32.** **ნახატების მიხედვით შეადგინე წინადადება და წაიკითხე ხმამაღლა:**





ა) .................................................. .................................................. ..................................................





ბ) .................................................. .................................................. ..................................................

**სავარჯიშო 33.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ჩემი / ცემი და წაიკითხე ხმამაღლა:**




ეს არის **ჩემი** ფოტო.

ეს არის სოფელი **ცემი**.

.................................... არის .................................... სოფელი.

გიორგი არის .................................... მეგობარი.

ეს .................................... სახლია.

.................................... არის კურორტი.

.................................... არის .................................... სოფლის ახლოს.

**სავარჯიშო 34.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ყელი / ხელი და წაიკითხე ხმამაღლა:**



ხელი



ყელი

გუშინ მძიმე ჩანთა მეჭირა და ახლა .................................... მტკივა.

გუშინ ცივი წყალი დავლიე და დღეს .................................... მტკივა.

მენეჯერმა .................................... მოაწერა ხელშეკრულებას.

ლიას  გლანდები აქვს და ხშირად აქვს .................................... გაწითლებული.

**სავარჯიშო 35.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ათენი / ატენი და წაიკითხე ხმამაღლა:**







ეს არის **ათენი** ეს არის **ატენი**

........................................ არის სოფელი საქართველოში

........................................ არის საბერძნეთის დედაქალაქი

........................................ ცნობილია შესანიშნავი ყურძნის ჯიშით „ატენური“

........................................ არის დემოკრატიის სამშობლო

**სავარჯიშო 36.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები პარიზი / ფარიზი და წაიკითხე ხმამაღლა:**







ეს არის **პარიზი** ეს არის **ფარიზი**

........................................ არის სოფელი საქართველოში

........................................ არის საფრანგეთის დედაქალაქი

........................................ არის მსოფლიო მოდის ცენტრი

........................................ არის ბოლნისის რაიონში

........................................ მდებარეობს მდინარე ხრამის ნაპირზე

........................................ ცნობილია ეიფელის კოშკით

**სავარჯიშო 37.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები გივი / კივი და წაიკითხე ხმამაღლა:**



ეს არის გივი



ეს არის კივი

.................................... ხილია

ეს არის .................................... ბერიკაშვილი

.................................... არის კახელი

.................................... დიეტური ხილია

.................................... ვიტამინებით მდიდარი ნაყოფია

.................................... ცნობილი ქართველი მსახიობია

.................................... ძალიან უყვარს ....................................

**სავარჯიშო 38.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ღობე / ყორე და წაიკითხე ხმამაღლა:**



ეს არის ღობე



ეს არის ყორე

.................................... არის ქვის

.................................... არის ხის, ან რკინის

ქვის ღობეს ჰქვია ....................................

მესერი არის ხის ....................................

**სავარჯიშო 39.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ტატა / თათა ან ტატას / თათას და წაიკითხე ხმამაღლა:**



ეს არის **ტატა** ეს არის **თათა**

.................................... წაბლისფერთმიანი გოგონაა.

.................................... შავთმიანი გოგონაა. ....................................

.................................... აცვია წითელი.

.................................... აცვია ლურჯი კაბა.

.................................... უკეთია სათვალე.

.................................... აცვია ცისფერი ფეხსაცმელი.

.................................... იღიმის, .................................... ლაპარაკობს.

**სავარჯიშო 40.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ჩვენი / წვენი და წაიკითხე ხმამაღლა:**



ეს **წვენია** ეს **ჩვენია**

დედამიწა ....................................

ეს ვაშლის ....................................

ეს ფორთოხლის ....................................

ეს სკოლა ....................................

ეს ატმის .................................... ?

**სავარჯიშო 41.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები ლოდი / ლოთი და წაიკითხე ხმამაღლა:**



ეს არის **ლოთი**



ეს არის **ლოდი**

.................................... არის დიდი ქვა

.................................... არის ის, ვინც დამოკიდებულია ალკოჰოლზე

.................................... არის მდინარის ნაპირზე.

.................................... ადამიანი, რომელიც ბევრ ალკოჰოლურ სასმელს იღებს.

კლდიდან ჩამოვარდა ....................................

**სავარჯიშო 42.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები დაფა / ტაფა და წაიკითხე ხმამაღლა:**




ეს არის **დაფა**



ეს არის **ტაფა**

.................................... კიდია კედელზე.

.................................... არის ქურჭელი.

.................................... სასკოლო ნივთია.

.................................... ძალიან ცხელია.

.................................... გაზქურაზე დგას.

მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ მაგნიტური ....................................

**სავარჯიშო 43.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები გოგოსი / ქოქოსი /კოკოსი/ და წაიკითხე ხმამაღლა:**



გოგო



ქოქოსი



თუთიყუში კოკო

ეს ჩანთა არის ...............................................

ეს ხილი არის ...............................................

ეს ქუდი არის თუთიყუში ...............................................

ეს წითელი ჩანთა არის ...............................................

ტროპიკულ ქვეყნებში იზრდება ...............................................

ეს გალია არის ...............................................

**სავარჯიშო 44.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე სიტყვები გალია / კალია და წაიკითხე ხმამაღლა:**



გალია



კალია

............................................... მწვანეა

............................................... რკინისაა

............................................... მწერია

............................................... სახლის ფრინველისა და ცხოველის საცხოვრებელია.

**სავარჯიშო 45. ჩასვი ფოტოს ნომერი ცხრილში სწორად:**

| სიტყვა | ფოტო | წინადადება |
|---|---|---|
| ტყე | | მგელი ცხოვრობს ტყეში. |
| ტაფა | | დედა კვერცხს ტაფაზე წვავს. |
| ფაფა | | ნიკოს არ უყვარს ფაფა. |
| ქუდი | | ნინოს მოეწონა ლურჯი ქუდი. |
| კატა | | კატა შინაური ცხოველია. |
| დღე | | ზამთარში დღე მოკლეა. |
| ქადა | | თორნიკეს არ მოეწონა ქადა. |
| კუდი | | კურდღელს მოკლე კუდი აქვს. |
| პაპა | | ბავშვებმა გუშინ თოვლის პაპა გააკეთეს. |
| დაფა | | დაფის წინ მასწავლებლის მაგიდა დგას. |

1.


2.


3.


4.



5.


6.


7.


8.


9.


10.


**სავარჯიშო 46.** **დააკავშირე სიტყვა სურათთან:**

I.  ჩითი

II.  სახლი

III.  ყელი

IV.  გალია

V.  ტარო

VI.  კალია

VII.  სახელი

VIII.  ხელი

IX.  თარო

X.  ჩიტი

**სავარჯიშო 47.** **კონტექსტის მიხედვით შეარჩიე სწორი ფორმა:**

I. დაფის ........................................ არის მასწავლებლის მაგიდა. (წინ / შინ)

II. დედამ ........................................ გამოაცხო. (ფური / პური)

III. ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკაში არის სულ ახალი ........................ (წიგნები / ციკნები)

IV. ორი........................................ წინ ბათუმში ვცხოვრობდი. (წლის / წილის)

V. ........................................ გაიღო და ლიკა შემოვიდა. (კარი / ქარი)

VI. ღორის ნაშიერს ჰქვია ........................................ . (გოჭი / კოჭი)

VII. გოგიამ საქონელს ზამთრისთვის ........................................ მოუტანა. (ჭალა / ჩალა)

VIII. მტკვარზე დაცურავს ........................................ . (თივა / ტივი)

IX. ნიანგს დიდი........................................ აქვს. (ფირი / პირი)

X. მარიკას ძალიან უხდება ........................................ თმა. (ქერა / კერა)

**სავარჯიშო 48.** **მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

ჩემი – ცემი, ჭია – ჩია, პური – ფური, სახლი – სახელი, პაპა – ფაფა.

I. ........................................................................................................

II. ........................................................................................................

III. ........................................................................................................

IV. ........................................................................................................

V. ........................................................................................................

VI. ........................................................................................................

VII. ........................................................................................................

VIII. ........................................................................................................

IX. ........................................................................................................

X. ........................................................................................................

**სავარჯიშო 49.** **იპოვე შეცდომა და გაასწორე:**

I. დედამ ლამაზი გაბა შემიკერა.
II. ხეს მაგარი კერქი აქვს.
III. ნინოს ძალიან უყვარს კარალიოკის ქირი.
IV. ჩიამაია ლამაზი მწერია.
V. დღეს კარგი ტარია.
VI. ეს წყალი ძალიან ყრმაა.
VII. ჩემი ხმა სკოლის მოსწავლეა.
VIII. ნათია გაცივდა. სიცხე აქვს და ღელი სტკივა.
IX. წიგნების ტაროსთან ჟურნალების მაგიდა დგას.
X. გიორგის უყვარს ლექსების ცერა.

**სავარჯიშო 50.** **შეუსაბამე ფოტოს სახელი:**

1. 
2. 
3. 
4. 
5. 
6. 

7. 

8. 

9. 

10. 


11. 

12. 

13. 

14. 

ა) კუდი ბ) პაპა გ) დღე დ) ქალი ე) ქუდი ვ) კარი ზ) ტარო თ) კალია

ი) გალია კ) ქარი ლ) ფაფა მ) გალი ნ) თარო ო) ტყე

1. ..............................

2. ..............................

3. ..............................

4. ..............................

5. ..............................

6. ..............................

7. ..............................

8. ..............................

9. ..............................

10. ..............................

11. ..............................

12. ..............................

13. ..............................

14. ..............................

**სავარჯიშო 51.** **ფოტოების მიხედვით ჩასვი გამოტოვებული სიტყვა წინადადებებში:**



თოვლის ..................................

მოვიდა, თეთრი წვერებგრძელია...



ჭია ..................................

ხვალ როგორი დარია?



ქურდს ..................................

ეწვისო.



ხელმა ხელი დაბანა,

ორივემ

..................................



სულ შენ გინდა მთელი

ეზო, .................................. ,

.................................. ,

თეთრო .................................. ?!



მელამ თავისი

..................................

მოწმედ მოიყვანაო.

## სავარჯიშო 52.

ა) **დააკვირდი სქემას და ჩასვი გამოტოვებული ასოები:**

> **დაიმახსოვრეთ,**
>
> საერთაშორისო სიტყვებში **P = პ F = ფ**

---ას---ორტი; აერო---ორტი; კომ---იუტერი; ---არიზი;
ტელე---ონი; ო---ისი; სუ---ერმარკეტი; ---რინტერი; ---ინალი; კა---ე;
ოლიმ---იადა; მიკრო--ონი; კონ---იდენციალური; ---არლამენტი;
დე---უტატი; ---ო---ულარული; ---როგნოზი; --ორტალი; ---ორტი;
---ლანეტა; ---ერს---ექტივა; ----ონდი; ---ედაგოგი.

ბ) **მიღებული სიტყვები წაიკითხე სწორად**

## სავარჯიშო 53.

ა) **გადახაზე ზედმეტი ასო სიტყვაში**

შივილი, შივილიშივილი, ჩივიდმეტი, წილის, ჰიქვია, კიბილი

ბ) **წინა სავარჯიშოს სიტყვები ჩაწერე სწორად**

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

გ) **შეადგინე წინადადებები ზემოთ მოცემულ სიტყვებზე**

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

.....................................................................................................................

## სავარჯიშო 54.

### ა) სიტყვაში შეცვალე პირველი ასო და მიიღე ახალი სიტყვა

ც-ე-მ-ი; ..........

ქ-უ-დ-ი; ..........

ც-ე-ლ-ი; ..........

ც-უ-რ-ა-ვ-ს; ..........

ქ-ა-ნ-ი; ..........

ჩ-ი-რ-ი; ..........

ყ-ე-ლ-ი; ..........

ფ-უ-რ-ი; ..........

ფ-ი-რ-ი ..........

### ბ) წინა სავარჯიშოში მიღებული სიტყვები გამოიყენე წინადადებებში (ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები სათანადო ადგილას)

**ჩემი/ცემი**

.......... სოფელი .......... ბორჯომის რაიონშია.

**ცურავს/წურავს**

ნინო ზღვაში კარგად ..........

დედა სველ ტანსაცმელს ..........

**ჩირი/ჟირი**

.......... იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა;

ბებიამ გემრიელი .......... მოამზადა.

### ქანი/კანი

ამ ფორთოხალს თხელი ........................ აქვს;

ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ ჩნდება მაგმური ........................ ;

### ხელი/ყელი

„ ........................ ხელს ბანს, ორივე კი პირს„

გავცივდი და ........................ მტკივა

### ქუდი/კუდი

მელამ თავისი ........................ მოწმედ მოიყვენაო.

ზამთრისთვის ახალი ........................ ვიყიდე.

### ფური/პური

........................ ძროხის მეორე სახელია;

ბებიამ გემრიელი ........................ გამოაცხო;

### ფირი/პირი

........................ ფოტოსურათის გადასაღები სპეციალური ლენტია;

დილით ხელ- ........................ დაიბანა ლიამ.

### ცელი/წელი

ერთი ........................ თორმეტი თვეა;

მამამ პატარა ........................ გაუკეთა პატარა გიოს

სავარჯიშო 55. **შეარჩიე და ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:**

ფაფა ქალი პაპა დარი ცელი გალია წელი კალია
გალი დაფა ჩემი ტაფა თარი ცემი

კარგი ამინდი არის ....................

მოხუცი კაცი არის ....................

მავთულის ან რკინის ბადით გაკეთებული ყუთი არის ....................

რძეში ან წყალში მოხარშული საჭმელი არის ....................

საკლასო ოთახში კედელზე დაკიდებული საწერი საშუალება არის ....................

ქურქელი, რომელშიც ვწვავთ რამეს, არის ....................

მწერი, რომელსაც აქვს გრძელი ფეხები და ხტუნავს, არის ....................

მუსიკალური ინსტრუმენტი არის ....................

თორმეტი თვე არის ....................

მდედრობითი სქესის შუა ხნის ადამიანი არის ....................

ბალახის სათიბი სამუშაო იარაღი არის ....................

სოფელი ბორჯომის რაიონში არის ....................

ქალაქი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არის ....................

ის, რაც მე მეკუთვნის, არის ....................

**სავარჯიშო 56.** **ჩასვი სწორად სიტყვებში ბ, ფ ან პ:**

ა) - ა ნ ქ ა რ ი



ბ) - ო ტ ო



გ) - ი რ ი



დ) ს ა - ო ნ ი



ე) - ე რ ა დ ი



ვ) - უ რ ი



ე) - ი ნ გ ვ ი ნ ი



ვ) ა ვ ტ ო - უ ს ი



ზ) ვ ე ლ ო ს ი - ე დ ი



გაანაწილე სწორად ცხრილში ზემოთ მოცემული სიტყვები და წაიკითხე ხმამაღლა!

| ბ | ფ | პ |
|---|---|---|
| | | |

## სავარჯიშო 57. გახაზე სწორი ფორმა, გადახაზე არასწორი:

ა) კემი / გემი; კისერი / გისერი; გრძელი / კრძელი;

ბ) ჩიტი / ჩიდი; ტელეფონი / დელეფონი; ხატავს / ხადავს

გ) ღამით / ყამით; ყვავილი / ღვავილი; მაღაზია / მაყაზია

დ) პატარა / ბადარა; ვეშაპი / ვეშაბი; ტრანსფორტი / ტრანსპორტი

ე) სპილო / სფილო; პინგვინი / ფინგვინი; კომპიუტერი / კომფიუტერი

## სავარჯიშო 58. იპოვე შეცდომით დაწერილი ასო და სიტყვა გადაწერე სწორად:

ა) ვეშაბს აქვს დიდი პირი.

..................................................

ბ) ბიჭმა ძაყლი დახატა.

..................................................

გ) ბოდასები იყიდება სპორთულ მაღაზიაში.

..................................................

დ) მე მღავს ორი და და ერთი ძმა.

..................................................

ე) გიამ დილით ადრე გაიყვიძა.

..................................................

ვ) დყეს გოგა და მისი მეგობრები ტყეში მიდიან სოკოზე.

..................................................

ზ) ჩემი ცანთა ძალიან მძიმეა.

..................................................

თ) მგერავი ჩვენი სახლის გვერდით ცხოვრობს.

..................................................

ი) მაგიდა დგას გედელთან.

..................................................

კ) გაკვეთილი რამდენიმე ცუთში იწღება.

..................................................

**სავარჯიშო 59.** **კონტექსტის მიხედვით ჩასვი სიტყვები:**

**ქუდი / კუდი**

ა) დედამ ლამაზი .................................... მიყიდა.

ბ) მელიას ფუმფულა .................................... აქვს.

**კარი / ქარი**

გ) გარეთ ისე ციოდა, სასწრაფოდ .................................... დავხურე.

დ) გარეთ საშინელი .................................... იყო და ეზოში ვერ ვითამაშე.

**ხელი / ყელი**

ე) დათოს სიცხე აქვს და .................................... სტკივა.

ვ) ასწიეთ მარჯვენა .................................... !

**პაპა / ფაფა**

ზ) .................................... სახლის წინ ზის და გაზეთს კითხულობს.

თ) ჰერკულესის .................................... ძალიან გემრიელია.

**გონიერი / ღონიერი**

ი) თუ საჭმელს კარგად შეჭამ, .................................... იქნები!

კ) გია ბევრს კითხულობს და ამიტომ ძალიან .................................... ბიჭია.

**სავარჯიშო 60.**

ა) **ამოარჩიე შეცდომით დაწერილი სიტყვები, რომლებიც უნდა იწყებოდეს პ-ზე:**

ფოსტერი, ფოსტა, ბარტყი, ბარათი, ბური,
ბერსონაჟი, ფედიატრი, ფაციენტი, ფარდა

ბ) **გადაწერე შეცდომით დაწერილი სიტყვები სწორად და ხმამაღლა წაიკითხე!**

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

**სავარჯიშო 61.** **დააკვირდი სურათებს და წაიკითხე სწორად:**



საჭმელი



ბაჭია



ჭრიჭინა



ხაჭაპური



ჭინჭარი



ჭაჭა



ჭუკი



ბიჭი



ჭა



ჭანჭური



ჭურჭელი

**სავარჯიშო 62.** ცხრილში მოცემულ ნომრებს მოუწერე ფოტოს დასახელება




| | |
|---|---|
| 1. | 7. |
| 2. | 8. |
| 3. | 9. |
| 4. | 10. |
| 5. | 11. |
| 6. | |

### სავარჯიშო 63.

### ა. ჩასვი წინადადებაში მოცემული სიტყვები და წაიკითხე

ბაქია ბიქი ქინქარი ქანქურის ქრიქინა
ხაჭაპურს ქაქა საქმელია ქანქური ქიკარტი

1. ეს ........................................ არის ბიქიკო.
2. ეს თეთრი ........................................ ბიქიკოსია.
3. ბიქიკო ქრელი ქიქით ........................................ წვენს სვამს.
4. დაწურულ ყურძენს ........................................ ჰქვია.
5. დედა ........................................ ქრის.
6. ხაჭაპური გემრიელი ........................................ .
7. ........................................ ქრიქინებს და ქრიქინებს.
8. ქერამი და ........................................ ხილია.
9. ქიქა ........................................ .
10. ეს ........................................ ქიქიკოს ეზოშია.
11. ქაბუკამ კედელზე ........................................ დაარჭო.

### ბ. შეადგინე ტექსტი მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ბაქია, ბიქი, ქა, ქაქა, ქინქარი, საქმელი, გოქი,
ქიკარტი, ქურქელი, საქმელი, ქანქური

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

სავარჯიშო 64. **შეურჩიე სახელები ფოტოებს და მიუწერე:**

ჯიხვი, ჯოგი, ჯაჭვი, ჯოკონდა, ჯემპრი, მოაჯირი, მაჯა, სამაჯური, ჯიბე, ჯეჯილი, ჯვარი























**სავარჯიშო 65.** **შეარჩიე და ჩასვი წინადადებაში საჭირო სიტყვა. წაიკითხე წინადადებები ხმამაღლა.**

**სამაჯური / ჯაჭვი**
1. ჯორჯს მაჯაზე ................................ უკეთია.

**ჯვარი / ჯავრი**
2. ჯუნამ ჯუმბერს ოქროს ................................ აჩუქა.

**ჯეჯილი / ჯონჯოლი**
3. მინდორში მწვანე ................................ ბიბინებს.

**ჯემპრი / ჯიბე**
4. ჯემალს ლურჯი ................................ აცვია

**ჯინას / ჯოკონდას**
5. მუზეუმში ................................ სურათი კიდია.

**ჯახი / ჯიხვი**
6. გარეულ თხას ................................ ჰქვია.

**ჯოგი / ჯაგი**
7. მთაში ჯიხვების ................................ ჯეჯილს ძოვს.

**მოაჯირს / მუჯირს**
8. ჯარჯი კიბეზე ჩადის და ................................ ეჯახება.

**სავარჯიშო 66.** **გაანაწილეთ უჯრებში მოცემული სიტყვები და წაიკითხეთ**

ჯონჯოლი, ჯემი, სამაჯური, ჯამი, ქამარი, ქუთაისი, ფქვილი, ახალი, მოახლე, ჰერეთი, ჰოროსკოპი, მაქმანი, ჰამაკი, საქანელა, მეხი, ხორცი, საქათმე, სახლი, ჰაერი, საჰარა, ოცდახუთი, ხვავი, ჯიხვი, ჯებირი, ჯავახეთი, ჯიბე, იალქანი.

| ქ | ხ | ჯ | ჰ |
|---|---|---|---|
| მაქმანი | სახლი | ჯიბე | ჰამაკი |

### სავარჯიშო 67. შეარჩიე სათანადო სიტყვები და ჩასვი წინადადებაში:

#### ა) ცელი / წელი

პაპამ ........................................ გალესა.

ახალი ........................................ მალე დადგება.

ნინოს ........................................ ტკივა.

ანკეტაში დაბადების ........................................ ჩავწერე.

........................................ ხის ტოტზე კიდია.

ახალი ........................................ ბაზარში ვიყიდე.

სოფელში ........................................ არ მაქვს.

ეს კარგი ........................................ იქნება.

ეკას წვრილი ........................................ აქვს.

#### ბ) ცურავს / წურავს

გემი ოკეანეში ........................................

პაპა ყურძენს ........................................

დედა სარეცხს ........................................

ტივი მდინარეში ........................................

ანა ძალიან კარგად ..............................

გედი ტბაში ..............................

მათე ლიმონს ..............................

წყალში ხის ნაფოტი ..............................

### გ) ჩალა / ქალა

გლეხი .............................. ქრის.

ძროხა .............................. ჭამს.

.............................. სავსეა ჩიტებით.

მდინარის პირას არის დიდი .............................. .

.............................. საქონლის საკვებია.

.............................. ში პატარა წისქვილია.

### დ) კეფა / ყეფა

თავის უკანა ნაწილს .............................. ჰქვია.

თამარს .............................. სტკივა.

ამ ლეკვმა .............................. არ იცის.

ძაღლმა .............................. დაიწყო.

მთელი ღამე ძაღლების .................................................. ისმოდა.

### ე) გონიერი / ღონიერი

თუ კაცი გონიერია, სოფელი .................................................. .

ეს სპორტსმენი ძალიან .................................................. .

ანა კარგად სწავლობს, .................................................. გოგოა.

პეტრე .................................................. კაცი იყო და ყველაფერი უცებ გაიგო.

ორი .................................................. მოჭიდავე ერთმანეთს ეჯიბრება.

ჰერაკლე პატარაობიდანვე ძალიან .................................................. იყო.

### ვ) ჩირი/ჭირი

ბებიამ ატმის .................................................. მურაბის წვენში მოხარშა.

შავი .................................................. შუა საუკუნეების ეპიდემია იყო.

თვისტომის დამწუნებელსა .................................................. მიუვა კარზედა (ა. წერეთელი)

.................................................. დაჭრილი, გამხმარი ხილია.

ჭანჭურის .................................................. სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

სოფელში სხვადასხვა ხილისგან უამრავი .................................................. მზადდება.

### სავარჯიშო 68. **ჩასვი გამოტოვებული ასოები:**

**ჭ / ჯ**

-იკარტი, -იქა, სა-მელი, -რელი, ხა-აპური, ჭრი-ინა, ჭინ-არი, -აბუკი, -ია, ჭუ-ყი, ჭა-ა, სამა-ური, -უჯა, -იბე, -იში, ჯე-ილი, მაჯლა-უნა, რ-ული, -ულიეტა, -ებირი, -ამი.

**ტ / თ**

მე-რო, მა-არებელი, -ოკი, -ეფში, -ავი, -აფლი, მ-ერი, მ-რედი, მ-ვერი, -ირილი, -ვირთი, პორ-ი, თე-რი, -ამაში, თი-ი, -ოვლი, პასპორ-ი, ტორ-ი, -ერფი, მ-კიცე, მ-ევანი, -კივილი, ა-ამი. ნა-ესავი. -ბილისი, მა-ემატიკა.

**გ / კ**

-ოგრა, -ოჭი, კო-ა, -ალამი, -ბილი, გო-ო, გიორ-ი, -ლასი, -ემი, გა-რა, მ-ელი, ნამ-ალი, მრ-ვალი, -რძელი, -ული, განგ-აში, -ვერცხი სან-არი, დანად-არი, აკა-ი, მ-ზავრი, -ორი, წი-ნი, ნა-ავი, ნერ-ი, კარ-ი, -ზა. -ალია, ე-ატერინე, -ვირა.

**ძ / წ**

ძი-ა, -ნელი, -მა, -ვალი, ბი-ია, ბო-ი, მ-ყერი, წი-ილა, ძუნ-ი, მ-კრივი, -ვიმა, -ამი, -უთი, -ვეთი. საბ-ელი, -როხა, -ეხვი, ყურ-ენი, -მარი, ძვირი, ძვირფასი, ძეგლი, ძირი, ძილი, უძირო, მძივი, -ალა, -აღლი, -ლიერი. -ითელი, -იფელი, ღა-ვი, -იჭვი, -იგნი, სა-ური, ბრო-ეული, მა-ონი, -ვრილი, მ-არე, -ყნარი.

## სავარჯიშო 69.

### ა) ჩაწერე საჭირო ასო ფ / პ

.......................... — ური, აპა, ირი, ეპი

.......................... — აფა, ერი, იფქი, ური

### ბ) შედგენილი სიტყვები ჩაწერე წინადადებებში:

1. დედამ .......................... გამოაცხო.
2. ციდან ცვივა თოვლის .......................... .
3. რა .......................... არის ზღვა?
4. ექიმმა უთხრა ნანას: - აბა, .......................... გააღე!
5. .......................... და კარლსონი ზღაპრის გმირები არიან.
6. ჩვენი კამეჩი .......................... .
7. ლიას .......................... პენსიონერია.
8. მამამ გიოს ..........................დაუსხა თეფშზე.

### გ) შეადგინე წინადადებები ამ სიტყვებზე

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

## სავარჯიშო 70.

### ა) ჩაწერე საჭირო ასო: თ / ტ

........................ — ითი, მა, ივა, ოფი

........................ — აფა, ოტი, ელეფონი, აფა

### ბ) შედგენილი სიტყვები ჩაწერე წინადადებებში:

1. ........................ ცხელია.
2. ცერა ........................ ყველაზე მსუქანია.
3. ჯარისკაცმა ........................ მხარზე გადაიკიდა.
4. პაპამ ცხენს ........................ დაუყარა.
5. არჩილმა ხის პატარა ........................ გათალა.
6. ........................ რეკავს.
7. მოხარშული სიმინდის ........................ ძალიან გემრიელია.
8. ნინოს გრძელი, ქერა ........................ აქვს.

### გ) ამ სიტყვებით შეადგინე წინადადებები

........................................................................

........................................................................

........................................................................

........................................................................

........................................................................

## სავარჯიშო 71.

### ა) ჩაწერე საჭირო ასო: ჭ / ჯ

.......................... → იქა, ა, რელი, ამა

.......................... → ამი, იბე, ოხი, აქვი

### ბ) შედგენილი წინადადებები ჩაწერე წინადადებებში:

1. კაფეში ერთი .................................... ყავა დავლიე.
2. .................................... პეპელა ყვავილზე დაჯდა.
3. შარვალს ოთხი .................................... აქვს.
4. ჩვენს სოფელში ყველა ეზოში არის .................................... .
5. მამამ .................................... აიღო და საქანელა ჩამოკიდა.
6. ლუკას ლეკვს ბევრი .................................... უყვარს.
7. .................................... ქურჭელია.
8. ბებომ ხმელი .................................... ბუხარში შეაგდო.

### გ) ამ სიტყვებით შეადგინე წინადადებები

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

**სავარჯიშო 72.** **სწორად გაანაწილე სიტყვები:**

**ქარი / კარი**

- ქუჩაში ........................ ქრის და კოტემ ........................ დახურა.

**ქუდი / კუდი**

- ქეთომ ........................ დაიხურა, კატამ ........................ აპრიხა.

**სავარჯიშო 73.** **სიტყვები ჩასვი წინადადებებში:**

საპონი პაპა ფაფა ფური ფირი პური

- ფეფოს ........................ ცხელია
- პავლეს ........................ მძღოლია
- ეს ხორბლის ........................
- ჩვენი კამეჩი ........................
- გუშინ ფოტოაპარატის ........................ ვიყიდე
- აბაზანაში ........................ არ დევს

**სავარჯიშო 74.**

ა) **ჩასვი ასოები სიტყვებში:** ფ / პ

- ფ ა - ა
- პ ა - ა
- - უ რ ი
- ს ა - ო ნ ი
- - ი რ ი

ბ) **შეადგინე წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით**

........................................................................................................

........................................................................................................

**სავარჯიშო 75.** **ჩასვი სიტყვებში შესაბამისი წყვილები:**

**ფხ, ცხ, ჩხ, თხ, რხ, წყ, ტყ, პყ,**

ს ა ფ რ - - ე   მ ა რ - - ე ნ ა   ს ა - - ე კ ი   მ ე - - ე რ ი   - - ა ლ ტ უ ბ ო

ც ი ს ა რ - - ე ლ ა   ს ა - - ა რ ი   მ ა - - ი ლ ი

# ტექსტები კარნახისთვის

**ა) მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე სწორად.**

ეს გოგო გულნარაა. მისი გვარია გეგეშიძე. გულნარა ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს. იქ სულ მწვანე გორაკებია. გულნარას დედას გიული ჰქვია. გიული გურმანია. ის ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს. გულნარას მამა არის გივი. გივი გემის კაპიტანია. მისი გემი ხვალ პორტიდან გავა და ოკეანეში გაცურავს.

**ბ) მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე ტექსტი.**

კაკლის ხეზე კოდალა ზის და აკაკუნებს. კოდალას გრძელი ნისკარტი და მოკლე კუდი აქვს. კეკე კოდალას უყურებს გაკვირვებული. ეკამ კეკეს მოკლე კაბა შეუკერა. კაბას გრძელი ელვაშესაკრავი აქვს.

ეკას და კეკეს ძმას აკაკი ჰქვია. აკაკის კბილი ასტკივდა. კეკემ უთხრა აკაკის: კიდევ თუ შეჭამ ბევრ ტკბილეულს, კბილი უფრო აგტკივდებაო. ახლა კვირაა და აკაკი კბილის ექიმთან მიდის. კბილის კლინიკა მეორე მიკრორაიონშია.

**დ) მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე.**

გოგა და მისი კლასელები ხატვის გაკვეთილზე არიან. გოგამ ქაღალდის გემი გააკეთა. გაიანემ კი დიდი გემი დახატა. გაიანეს გემს მაღალი ანძა აქვს. გემზე კაპიტანი, ეკიპაჟის წევრები და მგზავრები არიან. გემი რკინისაა. გემმა გეზი ამერიკისკენ აიღო. ის ოკეანეში მიცურავს. გემის კაუჭს ღუზა ჰქვია. გემი კარგია მოგზაურობისთვის.

**ე) მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე.**

ტაბაწყურის ტბა ბორჯომისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების საზღვარზე მდებარეობს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1991 მეტრია. აუზის ფართობი 83 კვადრატული კილომეტრია. ტაბაწყურის წყალი მტკნარია. ის მდიდარია თევზით. ტაბაწყურის ტბა გაყინულია დეკემბრის ბოლოდან მარტის დასაწყისამდე. აქაურობას ხშირად სტუმრობენ ტურისტები.

ვ) **მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე.**

ყურძენი ხილია. ხმელ ყურძენს ქიშმიშს ეძახიან. ქიშმიში ძალიან ტკბილია. ყურძნისგან ღვინოსა და ძმარს ამზადებენ. ვახტანგი და კახა ძმები არიან. ჯურხა ხერხეულიძე მათი ბიძაა. ჯურხა ბიძიას კახეთში ვენახი და ხეხილის ბაღი აქვს. რთველის დროს ჯურხა ბიძია ძმიშვილებს ხშირად ეძახის და ისინი მას ყურძნის კრეფაში ეხმარებიან. ბაღში არის, მსხლის, ვაშლის, ატმისა და ფეიხოას ხე. ხეზე ჰამაკი კიდია. კახას ახლა ჰამაკში სძინავს, ვახტანგი ყურძენს კრეფს.

ზ) **მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე.**

ეს ჩანთა ჯემალის არის. ჩანთა ნარინჯისფერია. ჩანთაში ჩირი და ჩურჩხელაა. ჯემალი ჩემი ბიძაშვილია. ის თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხოვრობს და ჩვენთან ხშირად მოდის.

ეს ჯამი ჩემია. ჯამი ლურჯია. ჯამში ხილის ჯემია. ჯემალი ჯერ ჩირს ჭამს, მერე ჩურჩხელას, შემდეგ ჯემს. ის ჩუმად ჭამს, რადგან დედაჩემი ამბობს, რომ ჯერ ჩურჩხელის ჭამა ადრეა.

თ) **მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე.**

ეს ბიძინაა. ბიძინა გვარად ძოწენიძეა. ის წნორში, ბიძასთან და ბიცოლასთან ერთად ცხოვრობს. ბიძინას ბიცოლას ციცინო ჰქვია. ციცონოს მწვანე თვალები და წითელი თმა აქვს. ბიძინას ბიძია 50 წლისაა. მას ბესიკი ჰქვია. ბიძინას ბიძიას 100 ცხვარი და 20 ძროხა ჰყავს. ძროხები და ცხვრები მინდორში მწვანე ბალახს ძოვენ. ბიძინა ძროხებსა და ცხვრებს წყალს ასმევს და საძოვარზე უშვებს. ბიძინა ახლა ვენახშია და მწიფე რქაწითელის ყურძენს კრეფს.

ი) **მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე.**

შიო, შოთა და შეთე ძმები არიან. სამი ძმა ეზოში შეშას ჩეხს. ეს წიფლის შეშაა. შეშა ღუმელში იწვის. შიო შეშას წვრილად ჩეხს. შოთა შეშას ურიკაზე სწორად, ნაწილ-ნაწილ აწყობს, მერე ჯიხურში შეაქვს გასაშრობად და შესანახად. შეთემ ცულით შეშის ჩეხვა ძლივს ისწავლა და ძალიან წუხს, რომ ჩქარა ვერ მუშაობს. თუმცა ძმებს მოსწონთ მისი მცდელობა. ძმებს ახლა შიათ. ისინი ცხელ ღუმელში შემწვარ კარტოფილს შეექცევიან.

ა) **დაწერე წინადადებები კარნახით:**

**ფ - პ**

1. ფეფოს **ფაფა** ცხელია.
2. პავლეს **პაპა** მძღოლია
3. ჩვენი კამეჩი **ფურია.**
4. ეს ხორბლის **პურია.**
5. კარის წინ ტილოს **საფენი** დევს.
6. აბაზანაში **საპონი** არ დევს.
7. გუშინ ძველი ფოტოაპარატის **ფირი** ვიყიდე.
8. ცხელი კარტოფილით **პირი** დავიწვი.

ბ) **დაწერე წინადადებები კარნახით:**

**თ - ტ**

1. თეკლემ **თარო** დაალაგა.
2. მოხარშული სიმინდის ორი **ტარო** შევჭამე
3. თინამ **ჩითის** კაბა ჩაიცვა.
4. ტატომ ხეზე **ჩიტის** ბუდე დაინახა.
5. ხბომ **თივა** შეჭამა.
6. მდინარეზე **ტივი** მიცურავს.

## მოისმინე მასწავლებლის მიერ წაკითხული და დაწერე სიტყვები სწორად

**ასო-ბგერა ჭ**

ჭიკარტი, ჭიქა, ხაჭაპური, ჭრიჭინა, ჭინჭარი, ჭია, ჭაჭა, ჭურჭელი, ბიჭი, ბაჭია, ჭანჭური, ბეჭედი, მჭედელი.

ასო-ბგერა ჯ

სამაჯური, ჯუჯა, ჯიბე, ჯიში, ჯეჯილი, ჯუნა, მაჯლაჯუნა, რჯული, ჯულიეტა, ჯებირი, ჯამი, ჯავახეთი, საჯავახო, ჯავრი, მეჯვარე, ჯვარი,  ჯაჭვი, ჯოხი, ჯიხვი.

ასო-ბგერა ტ

მეტრო, მატარებელი, მტერი, მტრედი, მტვერი, ტირილი, ტვირთი, პორტი, პიტნა, პასპორტი, ტორტი, ტერფი, ტბა, მტკიცე, მტევანი, ტკივილი, ატამი.

ასო-ბგერა თ

თოფი, თეთრი, თმა, თამაში, თითი, თათია, თოვლი, თეფში, თავი, სათავე, თაფლი, თხოვნა, უთო, სითბო, თბილისი, მათემატიკა, ნათესავი, მართალი.

ნ) მოისმინე მასწავლებლის წაკითხული და დაწერე

ერთ ტყეში, კაკლის ტოტზე კოდალამ იმდენი უკაკუნა, სანამ კიტრივით მრგვალი მატლი არ ამოათრია.

– ნელა, მეტკინა, – ამოიკვნესა მატლმა, – ცოტა ფრთხილად არ შეგიძლია?

გაოცებული კოდალა კინაღამ ხის ტოტიდან ძირს  ჩამოვარდა.

– შენ რა, ლაპარაკობ? – თვალები კაკლისოდენა გაუხდა კოდალას.

– აბა შენც შეგაწყვეტინონ ჭამა, მერე კი ნეკნები გატკინონ, მაშინ ნახავ როგორ ალაპარაკდებიო, – მიუგო მატლმა.

– შენც ხომ ჩემი საკვები იყავი, ახლა კი ჭამა შემაწყვეტინე, თანაც მადაც აღარ მაქვს, მოლაპარაკე მატლი როგორ შევჭამოო, – შეწუხდა კოდალა.

– მოდი, ასე მოვიქცეთ, შენ ჩემნაირების ჭამას შეეშვი, მე დაგეხმარები და გზებს გაგისუფთავებ ხის ტოტებზე, საჭმელი კი ჩვენ გარდა კიდევ ბევრი გექნებაო, – ურჩია მატლმა.

დაფიქრდა კოდალა, მეგობრობაზე უკეთესს რას შესთავაზებდნენ?!

ლალი დალაქიშვილი

## მოისმინე მასწავლებლის წაკითხული, დაწერე და წაიკითხე

### ე. ასო-ბგერა გ

გოგრა, გოჭი, გმირი, გოგო, გიორგი, გემი, გაგრა, მგელი, მრგვალი, გრძელი, გული, განგაში, სანგარი, დანადგარი, მგზავრი, გორი, წიგნი, ნაგავი, ნერგი, კარგი, გზა.

### ვ. ასო-ბგერა კ

კოკა, კალამი, კბილი, კივი, კვერცხი, კალია, კაკაბი, კენკრა, კვიცი, კოჭი,  საკაბე, საკერავი, კულტურა, ტკბილი, აკაკი, კლასი, ტკბილეული, კვირა.

### ზ. ასო-ბგერა ძ

ბრძენი, ძიძა, ძნელი, ძმა, ძვალი, ბიძია, ბოძი, საბძელი, ძროხა, ძეხვი, ყურძენი, ძმარი, ძვირი, ძვირფასი, ძეგლი, ძირი, ძილი, უძირო, მძივი, ძალა, ძაღლი, ძლიერი.

### თ. ასო-ბგერა წ.

წითელი, წიფელი, ღაწვი, წიწვი, წიგნი, საწური, ბროწეული, მაწონი, წვრილი, მწარე, მოწყენილი, წყნარი, მწყერი, წიწილა, ძუნწი, მწვრთნელი, მწკრივი, წვიმა, წამი, წუთი, წვეთი.

### ი. ასო-ბგერა ც

ცა, ცარცი, ცრემლი, ცეცხლი, ცხელი, ცხრა, ცხვირი, ცურვა, ციყვი, ცივი, ცოცხი, სიცოცხლე, ნამცხვარი, მეცხვარე, ოცდაცხრა, ცაცხვი, მოცხარი, ცხარე, სარეცხი, მრეცხავი, მორცხვი.

### კ. ასო-ბგერა ჩ

ჩალა, ჩურჩხელა, ჩიტი, ჩითი, ჩანგალი, ნიჩაბი, ჩირი, ჩურჩული, ჩუქურთმა, ნორჩი, ჩემი, ჩვენ, ჩვილი, სარჩული, ჩანთა, საჩუქარი, ჩექმა, ბაჩო, ჩინი, ჩრდილი.

## დაწერე წინადადებები კარნახით:

ქ – კ

1. ქუჩაში **ქარი** ქრის და კოტემ **კარი** დახურა.
2. ქეთომ **ქუდი** დაიხურა.
3. კატამ **კუდი** აპრიხა.
4. ქარიმმა ათი **ქულა** მიიღო.
5. **კულა** ქურქელია და მას მაღალი ყელი აქვს.
6. ბებომ თქვა, ვინც ბევრს ლაპარაკობს, ის **ქაქანებსო**.
7. ქათამმა კვერცხი დადო და ახლა **კაკანებს**.
8. დედას **ქერა** თმა აქვს.
9. კესანემ **კერა** მოგავა.
10. ბატკანმა ვაშლის **ქერქი** შეჭამა.
11. შინდის **კერკი** გემრიელია.
12. ამ თვითმფრინავის პილოტი ქალია.
13. **კალია** ღობეზე ახტა.
14. გიგო პაპას ძაღლს **ქეცი** აქვს.
15. ბუხართან სამი **კეცი** დევს.

## დაწერე წინადადებები კარნახით:

ც – წ

1. ვაჟამ **ცელი** გალესა.
2. ერთი **წელი** გავიდა.
3. პაპას **წელი** სტკივა.
4. დილით ბალახებზე **ცვარი** დევს.
5. მთის **წვერი** თოვლმა დაფარა.
6. თოვლის პაპას გრძელი, თეთრი **წვერი** აქვს.

## დაწერე წინადადებები კარნახით:

ჩ – ქ

1. ჩინარამ სიმინდის **ჩალა** ძროხას შეუტანა.
2. **ქალა** მდინარემ დატბორა.
3. ბებომ სოფლიდან ჩურჩხელა და **ჩირი** ჩამოიტანა.
4. „**ქირი** იქა – ღხინი აქა“.
5. სოფელში ერთი **ჩია** ბერიკაცი გამოჩნდა.
6. აბრეშუმის **ქია** თუთის ფოთოლს ჭამს.
7. ჩინური **ჩაი** სურნელოვანია.
8. ქოლამ **ქა** ამოთხარა.
9. ბადრის ძაღლს **ჩანჩურა** ჰქვია.
10. **ქანქურის** მურაბა გემრიელია.

## დაწერე წინადადებები კარნახით:

კ – ყ

1. კრუხის **კაკანი** წიწილებს არ ესმით.
2. მოვაჭრეების **ყაყანი** ქუჩის ბოლოში ისმოდა.
3. ბუს **კივილი** ტყიდან ისმის.
4. მამლის **ყივილი** ადამიანს აღვიძებს.
5. ერეკლემ **კეფა** მოიფხანა.
6. ძაღლის **ყეფა** ყვავებს აფრთხობს.
7. ახალ თოვლზე კურდღლის **კვალი** გამოჩნდა.
8. გვირილა არის სამკურნალო **ყვავილი**.

## დაწერე წინადადებები კარნახით:

გ – ღ

1. **გორი** პატარა ქალაქია.
2. დედა **ღორი** ღრუტუნებს.
3. ჩემი **გვარი** სიაში არ წერია.
4. წვიმის შემდეგ დიდი **ღვარი** მოვარდა.
5. **გომის** მთა გურიაშია.
6. **ღომის** მოხარშვა ვისწავლე.
7. გიგის **გონიერი** ძაღლი ჰყავს.
8. ყველა სპორტსმენი **ღონიერია.**
9. გულიკოს **გერი** ექიმია.
10. სამი **ღერი** ასანთი ავიღე.
11. გვირაბში მატარებლის **გუგუნი** გაისმა.
12. სახლის სახურავიდან მტრედის **ღუღუნი** გავიგე.

## დაწერე წინადადებები კარნახით:

ღ-ყ

1. კარი **ღია** იყო.
2. პატარა **ღელე** ადიდდა.
3. სანდროს **ყელი** სტკივა.
4. ქართული **ყველი ყველის** საერთაშორისო  ფესტივალზე გავიდა.

## ამოხსენი რებუსები

გაითვალისწინე, ნიშანი , ნიშნავს, რომ უნდა გამოაკლო ასო.

ა) 

ბ) 

გ) 

დ) 

# საკითხავი ტექსტები

## წაიკითხე ლექსი



დათვმა თათით თოვლი ხვეტა,
გაამზადა თბილი ბინა,
ბელებს ფაფა მოუმზადა,
ყელი ჩაუკოკლოზინა.
ძმებმა ცერი წინ წასწიეს,
ჯამებს მოულოკეს ძირი,
ქიქა წყალიც მიაყოლეს,
როგორღა ვთქვათ მათზე ძვირი?
გულში იკრავს დედა ბელებს, –
სიყვარული ადგათ სხივად,
მამა დათვი ხმას არ იღებს. –
ღიმილი აქვს დრუნჩზე მძივად.

ლალი დალაქიშვილი





## წაიკითხე!

ა) ქარმა ქუჩაში ქეთინოს
ქუდი ქარდაქარ აქანა,
მისდევს ქარდაქარ ქარივით
ჩვენი ქეთინო პატარა:
– ქარო, ნუ ქრიო ქარივით, –
ქოთქოთებს გოგო პატარა.

ბ) ფეფო ფურებს ეფერება,
მოსწონს სოფლად ყოფნა ფეფოს,
დაჰფოფინებს თავზე სახლ-კარს.
უფროსობას მართლა ფერობს.

გ) ყვავი ყრანტალებს, ყვავილებს
ყურებს უყრუებს ყივილით,
ყვავილებს ყურზე აუკრავთ
ყურსაცვამები ღიმილით,
ყვავს თავი ყინჩად უჭირავს.
მღერა ჰგონია ყივილი.

ლალი დალაქიშვილი

## წაიკითხე!

ა) „ქორმა წიწილა წაიღო,
იძახდა წიავ, წიავსა“,
წიწკანებს გული დაეწვათ,
შეუდგნენ წრიალ წრიალსა.
წეროს შესძახეს წუხილით: –
ქორმა წაიღო წიწილა!
წერომ წიწილა სულ მალე
უკანვე მოაწრიალა.

ბ) გუშინ გოგამ გიგას გამო
გააბრაზა ყველა გოგო.
გიგას  ნათქვამს დაეთანხმა, –
მეგობრობენ! – აბა, როგორ
„ბიჭი უფრო ძლიერია,
რას დაჯაბნის აბა გოგო
თუ ასეა, უთხრა გულომ,
შენზე უკეთ ვსწავლობ, როგორ?

ლალი დალაქიშვილი

## წაიკითხე!

ა) მერცხალო, ეგ მაკრატელი
მითხარ: მართლა მართალია?
მარო მერცხლებს მიჰყვა უკან:
პასუხს ელის რახანია.
მერცხლებს მისი მოლოდინი
არ ადარდებთ, ვიტყვი მართალს;
მაკრატელა ბოლოებით
მიაპობენ სივრცეს მაღლა.

ბ) მელა მამალს მინდვრისაკენ
მიაპარებს და თან მალავს,
უნდა ძღვენი მოუმზადოს
მელაკუდას , მისთვის მთავარს.
მამლის ყვირილს მიჰყვნენ უკან:
მოძმენი და მარჯვე მარო,
მალე უნდა მოაბრუნოს,
მალე უნდა დაეხმაროს.
მოხვდა მხარზე მიწის გუნდა
მელა სიმწრით იზელს თათებს
და მამალი მეგობრებთან,
სიყვარულის კოცონს ანთებს.

ლალი დალაქიშვილი

1

## ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ!

### ასო კ

აბა, კარგად დააკვირდი:
თავი აქვს და თითქოს არც აქვს;
მაგრამ ნუკი დაიწუნებთ,
ისიც ახალ სიტყვებს ქარგავს:
კიტრი, კომში, კარტოფილი,
კოწახური, კიდევ კივი,
ალბათ, გიყვარს, დამეთანხმე,
„კანმა“ ყველას გაჰკრა კბილი.
კალამი და კალმისტარი
კლასი,  კარადა, კედელი –
ალბათ, სკოლას გაგახსენებს,
არ იქნება, ალბათ ძნელი;
გიყვარს ჩაცმა და დახურვა:
აქაც „კანი“ სიტყვას ამბობს:
კაბა, კოფთა, გრძელი კაშნე –
ზამთარში ხომ ყველას ათბობს.
 ახლა ცხოველებს ვესტუმროთ:
კატა, კოალა და კიბო.
რაღა უნდა დავამატოთ,
რაღამ უნდა გაგვაკვირვოს.
კვირა დასვენების დღეა,
ხოდა, მოვრჩი, უკვე ნაღდად,
ასო კ ხომ გაიცანით,
ახლა კი იყავით კარგად.

ᲚᲐᲚᲘ ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ!

### ᲐᲡᲝ Გ

მორკალული თავი აქვს და
მრგვალზე მრგვალი მუცელი.
გ-ს რად უნდა ბევრი ქება,
ბევრი ფანქარ-ფურცელი.
ამ ასოზე დაიწყება
ბევრი სიტყვა ქართული:
გოგო, გვარი, გვირილები,
გმირი წელგამართული,
გოზინაყი ტკბილზე ტკბილი.
გოგრა, გული, გარგარი.
გულს ახარებს განდაგანა,
ადანდალი დანდალი.
გრძელი არის მისი ჯარი,
განედი და გრძედივით,
განა მართლა დაიღლება
ან მოჰყვება ყბედივით?
განი დინჯად გულს გადგვიშლის
მოღუღუნე მტრედივით.

ᲚᲐᲚᲘ ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## წაიკითხეთ სწორად:

– წ – – ც –

წვიმა მოდის ციდან, ცრის,
წიწილები წივიან,
დედა კრუხის ფრთების ქვეშ
ყველას თავის წილი აქვს.
ესმით კრუხის კრიახი:
„ცა იქცევა, მოდით აქ!“
შეეშინდათ – რა ვქნათო?
ყველას ციცქნა გული აქვს.
კრუხმა თვითონ მოძებნა,
ფრთა გაშალა მარაოდ,
წიწილები წივიან –
აღარ წავალთ, არაო!

იზა გვირჯიშვილი



## ▶ წაიკითხეთ სწორად:

– წ –

ამ წიფლის ძირში წრუწუნა
ცხოვრობს მრავალი წელია.
წვალობს, წუხს, თუმც არ წუწუნებს,
წაბლის და წიფლის მტერია.
წაბლს შეაგროვებს წინდაწინ,
მერე მოურბენს წიფელსაც,
კნატუნასა და გემრიელს,
თან მსუყესა და წითელსა .
აღარ აწუხებს არც წვიმა,
არც სიცივე და თოვლია.
ამდენი წაბლი, წიფელი
ნეტავ თუ ვინმეს ჰქონია?

იზა გირჯიშვილი

## წაიკითხეთ ლექსი სწორად:

მოდის ტყიდან ზღარბი,
მოაქვს ხილი ჭარბი.
დარდობს: არ ვარ დიდი,
არ მაქვს ფეხი მარდი.
დაბადების დღე აქვს,
ჩემს გოგონას – ბარბის,
დღეს სამი წლის გახდა,
წლები როგორ გარბის!
ახლა დებთან ერთად
მინდორ-მინდორ დარბის,
უყვარს ხილის ტორტი
და მურაბა ვარდის...
ჩაუარა ციყვებს,
უცებ გახსნა წარბი,
– ჩამოჯექი! – სკამი
შესთავაზეს დაღლილს.

გავაგოროთ თხილი,
ვითამაშოთ ნარდი....
შეიცხადა ზღარბმა,
– არა, დებო, არ ღირს!
დაბადების დღე აქვს
ჩემს გოგონას – ბარბის.
ალბათ უკვე მეძებს,
ორღობეში დარბის.....
გაეღიმათ ციყვებს,
აქვთ თვალები ხარბი.
– დახმარება გინდა?
– კარგი დაო, კარგი!
მიეშველნენ  მარდად,
ჩამოართვეს ბარგი.
კაკლითა და თხილით
გაახარეს ბარბი.

ცაულინა მალაზონია

# ენისგასატეხი

## წაიკითხე სწრაფად და უშეცდომოდ:

- ჭინჭარში ჭირჭინობელა ჭიანურივით ჭრიჭინებს.
- თეთრი თრითინა თეთრ თოვლზე თრთოდა.
- წვიმის წვეთები წრუწუნას წვრილ კუდის წვერზე დაეცა.
- შარიანი შარისათვის შარს დაეძებს შარა-შარა.
- კაჭაჭში კჭკაჭი ჭიანჭველას არ აჭაჭანებს.
- ყვავი ყვა-ყვას ყრანტალებსო, ყორანი კი აჯავრებსო.
- აბლაბუდა, მაბლაბუდა, შიგ ობობა გაბლანდულა.

## წაიკითხე სწრაფად

„ჩუმად გამცალა ყვანჩალამ,
ჩარდახში არა დამრჩა რა,
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი,
ჩანთით შინ წააჩანჩალა“.

## წაიკითხე სწრაფად

### ივარჯიშე ენისგასატეხის კითხვაში:

ჯონის ჯინსის შარვალს ლურჯი ჯიბე აქვს. ჯამილამ ჯინამ, ჯუმბერმა და ჯუნამ ჯონჯოლი დაკრიფეს. გაჯავრებულმა ჯულიეტამ ჯონი სამჯერ დააჯარიმა.

ჯორჯის მაჯაზე სამაჯური უკეთია და ყელზე ჯაჭვზე ჩამობმული ჯვარი ჰკიდია. ჯენიფერმა ჯოკონდას ფოტო ორჯერ გადაუღო. ჯიხვების ჯოგი ჯაგნარში ჯეჯილს ძოვდა.

## ენისგასატეხი

### წაიკითხე სწორად და სწრაფად

| ქერი | ქირი | ქორი | ქური |
|---|---|---|---|
| **ქანქური** | ქინქარი | ქივქავი | ქურქელი |
| **ქორფლი** | ქოგრიტი | ქადრაკი | ქარხალი |
| **ქიანქველა** | ქრიქინა | ქუქყი | ქიქყინა |
| **ქუკი** | ქოკი | ქაკი | ქოტი |
| **ბიქი** | ბექი | ბაქია | ბაბაქუა |
| **ქა** | ქაქა | ქია | ქილოფი |
| **ხუქუქი** | ხვანქკარა | ხექექური | ხაქაპური |

# 2

# არსებითი სახელი, ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები

# თავი 2.
# არსებითი სახელი, ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები

## ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები

| ბრუნვები | კითხვები | ბრუნვის ნიშანი | ნიმუში | ფუნქცია |
|---|---|---|---|---|
| სახელობითი | ვინ? რა? | ი,<br>-- | კაც-ი, ჩანთა<br>დავით-ი, ანა | სუბიექტი,<br>ობიექტი |
| მოთხრობითი | ვინ? რა? | -მა,<br>-მ | კაც-მა, ჩანთა-მ<br>დავით-მა, ანა-მ | სუბიექტი |
| მიცემითი | ვის? რას? | -ს | კაც-ს, ჩანთა-ს<br>დავით-ს, ანა-ს | სუბიექტი,<br>ობიექტი |
| ნათესაობითი | ვისი? რისი? | -ის,<br>-ს | კაც-ის, ჩანთ-ის,<br>წყარო-ს(ი)<br>დავით-ის, ანა-ს(ი) | კუთვნილება |
| მოქმედებითი | რით? | -ით,<br>-თი | კაც-ით, ჩანთ-ით,<br>წყარო-თი<br>დავით-ით, ანა-თი | ინსტრუმენტი,<br>დრო |
| ვითარებითი | რად? | -ად,<br>-დ | კაც-ად, ჩანთ-ად,<br>წყარო-დ<br>დავით-ად, ანა-დ | გარდაქცევითობა |
| წოდებითი | ვინ? რა? | -ო, -ვ<br>--- | კაც-ო, ჩანთა-ვ,<br>წყარო-ვ<br>დავით! ანა! | მიმართვა |

## (A1) სავარჯიშო 1. შეარჩიე სწორი ფორმა:

სკოლას / სკოლის / სკოლა

1. ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა მესამე სართულზეა.

ბიბლიოთეკას / ბიბლიოთეკის / ბიბლიოთეკით

2. ........................................ შენობას ძალიან ლამაზი თაღები აქვს.

ენას / ენის / ენა

3. ქართული ........................................ წიგნი მაგიდაზე დევს.

ფანქრით / ფანქარით / ფანქრის

4. ფიქრიამ ყვითელი ........................................ დახატა მზე.

მასწავლებელის / მასწავლებლის / მასწავლებელი

5. ........................................ მაგიდაზე ლამაზი თაიგული დევს.

მეგობრის / მეგობარის / მეგობარი

6. მე და ჩემმა დამ გუშინ ........................................ დაბადების დღეზე კარგი დრო გავატარეთ.

ფანჯრის / ფანჯარის / ფანჯარა

7. ........................................ იქით ჩანს ყვავილებიანი ლამაზი ეზო.

ტანსაცმლის / ტანსაცმელის / ტანსაცმელი

8. დედამ ჩემი ახალი კაბა ........................................ კარადაში შეინახა.

სოფლის / სოფელის / სოფელი

9. ჩვენი ........................................ უკან მაღალი მთებია.

მდინარის / მდინარეს / მდინარე

10. ბიჭები ........................................ პირას სხედან და ირუჯებიან.

## (A1) სავარჯიშო 2. სიტყვათა ბლოკიდან გადააჯგუფე ცხრილში ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელები:

სახლი. ფანჯარა. სკოლა. ვაშლი. ხილი. დაფა. ფანქარი. წიგნი. რვეული. ჩანთა. პერანგი. კაბა. კაშნე. მასწავლებელი. მოსწავლე. ფილმი. ჟურნალისტი. ეზო. ავტობუსი. კომპიუტერი. დრო. შემოდგომა. კვირა. ორშაბათი. ტორტი. ხაჭაპური. ბებია. მზე. უნივერსიტეტი. საათი. მანქანა. ჟურნალი. პასპორტი. კლასი. ძმა, მამა. დედა. ტელევიზორი. საათი. სტუდენტი. დღე. დილა. მინდორი.

| ხმოვანფუძიანი | თანხმოვანფუძიანი |
|---|---|
| | |

**(A1) სავარჯიშო 3. დაასრულე და ჩაიწერე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში: ეს ამბავი მოხდა 18 (თვრამეტ) სექტემბერს.**

| | |
|---|---|
| ეს ამბავი მოხდა<br>ის დაიბადა<br>ის ჩამოვა<br>ის შეგვხვდება<br>ის დარეკავს | 31 დეკემბერი<br>1959 წელი<br>26 ოქტომბერი<br>8 მარტი<br>4 აპრილი<br>3 ივნისი<br>2000 წელი<br>ორშაბათი<br>სამშაბათი<br>დილა |

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

**(A1) სავარჯიშო 4. ჩაწერე წინადადებები ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე:**

**ნიმუში:** 10 + 10 = 20 **ათს მივუმატოთ ათი უდრის ოცს.**
1 - 1 = 0 **ერთს გამოვაკლოთ ერთი, უდრის ნულს.**
12 სთ. 40 წთ. **პირველს აკლია ოცი წუთი.**

1. 15 + 25 = 40 ........................................
2. 11 + 2 = 13 ........................................
3. 32 + 10 = 42 ........................................
4. 7 + 7 = 14 ........................................
5. 50 + 50 = 100 ........................................
6. 28 + 5 = 33 ........................................
7. 2 + 3 + 5 ........................................
8. 111 + 6 = 117 ........................................
9. 1000 + 1000 = 2000 ........................................
10. 45 - 5 = 40 ........................................
11. 10 - 8 = 2 ........................................
12. 18 - 11 = 6 ........................................
13. 11 სთ. 35 წთ. ........................................
14. 13 სთ. 55 წთ. ........................................
15. 11 სთ. 45 წთ. ........................................

**(A1) სავარჯიშო 5.** **მრავალწერტილის ნაცვლად ჩაწერე კვირის რომელიმე დღე:**

**მაგალითი: ლალი სკოლაში ორშაბათს იყო.**

1. ბელა მეგობრებთან ერთად ................................ სტადიონზე წავიდა.
2. ................................ გაიმართება ჩვენი სკოლის საახალწლო ღინისძიება.
3. მე ................................ დაბადების დღე მაქვს
4. შენ გინდა ................................ შევხვდეთ ერთმანეთს?
5. ................................ გაგაცნობ ჩემს მეგობრებს.
6. ხვალ ................................ სამოგზაუროდ მივდივარ.
7. მე არ ვიცოდი, რომ ................................ დათო სკოლაში არ წავიდა.
8. ................................ მასწავლებელთან ერთად ექსკურსიაზე მივდივართ.
9. დირექტორმა დამიბარა ................................ , 5 საათზე.

**(A1) სავარჯიშო 6.** **ბლოკში მოცემული ხმოვანფუძიანი სახელები დაახარისხე ცხრილში:**

მთა. კაბა. დრო. კოფე. ხე. ტყე. გოგო. ხბო. ჩაი. ტაქსი. დედა. კაშნე. დღე. მზე. დაფა. პაპა.

| კვეცადი | უკვეცელი | გამონაკლისები |
|---|---|---|
| | | |

## (A1) სავარჯიშო 6. ბლოკში მოცემული თანხმოვანფუძიანი სახელები დაახარისხე ცხრილში:

სახლი. ტანსაცმელი. ხილი. წიგნი. კაკალი. რვეული. სკამი. ატამი. ბიჭი. თავი. გემი. მინდორი. ცხენი. ლიმონი. დოლი. ალუბალი. შარვალი. მასწავლებელი. გამყიდველი. ფრინველი. ხელთათმანი. დღიური. პერანგი. ყვავილი.

| კუმშვადი | უკუმშველი | გამონაკლისები |
|---|---|---|
| | | |

## (A1) სავარჯიშო 7. წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით:

ეს ........................ ოჯახია (ეკა). ეკა 13 ........................ არის და მეშვიდე კლასში სწავლობს (წელი). ეკას ........................ ორი წელი თელავში იცხოვრა, ახლა სიღნაღში ცხოვრობს (ოჯახი). ეკა ........................ სკოლაში სწავლობს, ამიტომ თბილისში ცხოვობს (კომაროვი). ის დაინტერესებულია ........................ (მათემატიკა) და უნდა, მათემატიკოსი გამოვიდეს. ეკას ბაბუაც მათემატიკოსია, ის ........................ ასწავლის სკოლაში (მათემატიკა). ეკას დედა ანა ექიმია. ის პედიატრია და ........................მკურნალობს (ბავშვები). ეკას მამა გია მხატვარია. ის ახლა ........................ მუშაობს ტურისტულ კომპანიაში (ფოტოგრაფი). ის ძალიან ბევრს მოგზაურობს საქართველოში და ლამაზ ........................ იღებს (ფოტოები). ეკას ძმა დათო თარჯიმანია. მან შვიდი ენა იცის. დათო 22 წლისაა და ტურისტულ კომპანიაში მუშაობს. ეკას ბებია დიასახლისია. ადრე ის ........................ მუშაობდა (მზარეული). ახლა სახლშია, ........................ უვლის (სახლი) და ეკას უმცროს ........................სანდროს ზრდის (ძმა). სანდრო 5 წლისაა და ბაღში დადის.

**(A1) სავარჯიშო 8.** **დააკვირდი ნიმუშს და მიუწერე სიტყვებს მრავლობითი რიცხვის ფორმა:**



ჩანთა



ჩანთები



საშლელი



..........................................




დაფა




..........................................



ფანქარი



..........................................



კალამი



..........



რუკა



..........



მაგიდა



..........



სათამაშო



..........



წიგნი



..........

## (A1) სავარჯიშო 9. ჩასვი ფრჩხილებში მოცემული სიტყვა სწორი ფორმით:

**ნიმუში:** ჩვენი სკოლა **ქუჩის** ბოლოშია. (ქუჩა)

1. ეს .................................... ეზოა. (სკოლა)
2. აქ .................................... ადგილია. (ჩანთა)
3. .................................... ყიდვა მინდა. (რუკა)
4. ნანას მოსწონს ახალი .................................... ფერი. (დაფა)
5. ლელამ წითელი .................................... ყიდვა გადაწყვიტა. (კაბა)
6. ეს .................................... ჩანთაა. (მოსწავლე)
7. .................................... სხივი ანათებს. (მზე)
8. ზაზა დაბადების .................................... ზეიმზე მიდის. (დღე)
9. ციყვი .................................... ტოტზე ზის. (ხე)
10. დათოს .................................... სუნი არ უყვარს. (რძე)

## (A2) სავარჯიშო 10. ჩასვი ფრჩხილებში მოცემული სიტყვა სწორი ფორმით:

**ნიმუში: თხამ** დაიკიკინა. (თხა)

1. .................................... ბეჯით მოსწავლეებს სიგელები გადასცა. (სკოლა)
2. .................................... მწვანე ფოთლებს მოეფარა. (ლოკოკინა)
3. ნიკას .................................... ჩონგური გაუკეთა. (პაპა)
4. ლევანს .................................... წიგნი უყიდა. (დედა)
5. შემოდგომით .................................... იკლო. (დღე)
6. ვაშლის .................................... ნაყოფი არ მოისხა. (ხე)
7. სავსე .................................... ქუჩები გაანათა. (მთვარე)
8. .................................... ღრუბლებიდან გამოანათა. (მთვარე)
9. .................................... თავისი სპლიყვი წყალთან მიიყვანა. (სპილო)
10. .................................... ლოკოკინას გზა დაუთმო. (კუ)

## (A1) სავარჯიშო 10. აწარმოე მრავლობითი რიცხვი ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** წიგნი – წიგნ-ებ-ი; ქათამი – ქათმ-ებ-ი; რკო – რკოები; კუ – კუები; ბადე – ბადე-ებ-ი; გზა – გზ-ებ-ი;

| | | |
|---|---|---|
| რვეული ........ | მერხი ........ | ძაღლი ........ |
| კალამი ........ | მასწავლებელი ........ | საპონი ........ |
| უთო ........ | ვიოლინო ........ | სურო ........ |
| რუ ........ | ბუ ........ | ყრუ ........ |
| მდინარე ........ | მოსწავლე ........ | კლდე ........ |
| მანქანა ........ | მაგიდა ........ | დაფა ........ |

## (A1) სავარჯიშო 11. ჩაწერე სწორი ფორმა:

**ნიმუში:** როგორ სწრაფად გადის წლები. (წლეები/წლები)

1. მაგიდაზე ........ აწყვია. (საყვავილები / საყვავილეები)
2. სამკითხველოში ........ შემოიტანეს.
   (საქაღალდეები / საქაღალდები)
3. წვიმიანი ........ დაიწყო. (დღები / დღეები)
4. ასე გადიოდა ........ . (თვები / თვეები)
5. დედა მასზე ფიქრში ........ არ ეძინა. (ღამეები / ღამები)
6. საქართველოში წყალუხვი ........ არის.
   (მდინარეები/მდინარები)
7. ხევსურეთში მაღალი ........ . (კლდეებია / კლდებია)
8. მებადურებმა ........ გაშალეს. (ბადები / ბადეები)
9. ........ ბევრი თევზი დაიჭირეს. (მეთევზებმა / მეთევზეებმა)
10. ეს ყვავილნარი ცნობილმა ........ გააშენეს.
    (მებაღეებმა / მებაღე)

## (A1/A2) სავარჯიშო 12. ჩასვი სიტყვა სწორი ფორმით:

**საკუთარი სახელები**
**...ა/ე+ს**
**დედა, მამა, ბებია, ბაბუა**
**(საკუთარი ოჯახის წევრები)**

**დანარჩენი**
**.....ა/ე+ის**
**დედა, მამა, ბებია, ძმა**
**(სხვისი ოჯახის წევრები)**

**ნიმუში:** ნათია – ნათიას ყვავილები

**ნიმუში:** სკოლა – სკოლის ეზო

ა) (ლალა) კლასელი ..............................

ბ) (ოპერა) მომღერალი ..............................

გ) (თეა) ძმა ..............................

დ) (ახალციხე) ცენტრი ..............................

ე) (მეხანძრე) ფორმა ..............................

ვ) (შორენა) დედა ..............................

ზ) (როზა) სახლი ..............................

თ) (მერია) შენობა ..............................

ი) (დაბა) სახელი ..............................

კ) (ვარშავა) მერი ..............................

ლ) (გია) სამსახური ..............................

ზ) (ანას დედა) სათვალე ..............................

თ) (ლეილას ბებია) საფულე ..............................

ი) მე ვამბობ: (დედა ფოტო) ..............................

## (A1) სავარჯიშო 13.

### ა) გადახაზე არასწორი ფორმა:

დღეები, მაგიდები, ~~კვირეები~~, წიგნები, მდინარები, მანქნები, თვეები, მთები, თვლები,  ხეები, წლეები, ძმაები, დები, კლდეები, გზაები, გოგოები, ბიჭები, ზღვაები, მდინარეები, თვები, წლები, კალმები, თვალები, მაგიდაები, საპონები, საპნები, მანქანები, კალამები, წიგნიები.

### ბ) ყველა სწორი ფორმის გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

**ნიმუში:** დღეები დღეებს მისდევდა.

1. ..............................
2. ..............................
3. ..............................
4. ..............................
5. ..............................
6. ..............................
7. ..............................
8. ..............................
9. ..............................
10. ..............................
11. ..............................
12. ..............................
13. ..............................
14. ..............................
15. ..............................

(A1) სავარჯიშო 14. **შეარჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:**

**ნიმუში:** გიორგი იღვიძებს (07:35) ...............
(რვის ოცდახუთ წუთზე, რვის ოცდახუთ წუთს,
**რვას რომ ოცდახუთი წუთი აკლია**).

1. ლიკა ყოველ დღე (09:45) ............... მიდის სკოლაში
(ათის თხუთმეტ წუთზე, ათის თხუთმეტ წუთს, ათს რომ თხუთმეტი წუთი აკლია).
2. შენ დილას (07:20) ............... იღვიძებ
(რვის ოც წუთზე, რვას ოც წუთს, რვას რომ ოცი აკლია).
3. გიორგი და ლიკა იძინებენ (00:30) ...............
(პირველს ნახევარზე, პირველის ნახევარზე, პირველს რომ ოცდაათი წუთი აკლია).
4. ლეილა მოდის სამსახურიდან სახლში (19:35) ...............
(რვას რომ აკლია ოცდახუთი წუთი, რვის ოცდახუთ წუთზე, რვას ოცდახუთ წუთში).
5. მე მუშაობას ვიწყებ (10:40) ...............
(თერთმეტის ორმოც წუთზე, თერთმეტს რომ ოცი აკლია, თერთმეტს ოცი წუთი აკლია).
6. თიკა დადის ქართული ენის წრეზე ...............
(სამშაბათს, ოთხშაბს, ხუთშაბათს; სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი)
............... (სამ საათზე, სამი საათს, სამი საათი).
7. თქვენ ყოველ დილას მიდიხართ სკოლაში (08:50) ...............
(ცხრას აკლია ათი წუთი, ცხრის ათ წუთზე, ცხრას რომ აკლია ათი წუთი).
8. ჩვენ ვიძინებთ ძალიან ადრე, (22:15) ...............
(თერთმეტის თხუთმეტ წუთს, ტერთმეტს რომ აკლია თხუთმეტი წუთი, თერთმეტის თხუთმეტ წუთზე).
9. თათია უნივერიტეტში მიდის ...............
(მეტროთ, მეტროთი, მეტროში).
10. ნარიყალაზე ავედით ...............
(საბაგიროთი,საბაგიროდ, საბაგიროში).

(A1) სავარჯიშო 15.

**ა) გადახაზე არასწორი ფორმა:**

**ნიმუში:** ~~ა) მგელის~~ ბ) ატმით გ) ფანქრის

| | | |
|---|---|---|
| ა) ბაზარის | ბ) ცხვრის | გ) ფანქრით |
| ა) მატარებლის | ბ) მეზობელით | გ) კურდღლად |
| ა) კალმით | ბ) ატამის | გ) ქათამის |
| ა) მამლის | ბ) თავშლით | გ) მსხალის |
| ა) მარნის | ბ) სოფელად | გ) საქმლით |
| ა) მეგობარად | ბ) წყლის | გ) ნამცხვრით |
| ა) საბნის | ბ) რძალად | გ) ქურქლით |
| ა) სავარძლის | ბ) მასწავლებლად | გ) წამალის |
| ა) ხანძარის | ბ) სტუმრის | გ) შვლის |
| ა) ნაცრის | ბ) აივნის | გ) დაბლით |

**ბ) დაწერე სწორად არასწორი სიტყვები:**

**ნიმუში:** მგლის

........................................................................................................................

........................................................................................................................

**გ) ჩასვი სიტყვა საჭირო ფორმით**

**ნიმუში:** მე მიყვარს ფანქრით (ფანქარი) ხატვა.

გუშინ ........................................ (მეგობარი) წერილი მივიღე.

........................................ (მასწავლებელი) შეკითხვას ანამ სწორად უპასუხა.

ამ ........................................ (წამალი) მკურნალობენ კორონავირუსს.

ეს ........................................ ფერი (ნაცარი) პიჯაკი ძალიან მომწონს.

ჩემი ........................................ (სოფელი) მარჯვნივ არის მთები.

ცივი ........................................ (წყალი) ბანაობა არ შეიძლება.

........................................ (მამალი) ყივილზე მელიას გაეღვიძა.

ხვალ მე და დედა ბებიასთან მივდივართ ........................................ (სტუმარი).

........................................ (მარანი) კარი ყავისფერია.

ამ ........................................ (სავარძელი) გადასაფარებელი მწვანეა.

## (A2) სავარჯიშო 15.

**ა) ტექსტში სათანადო ადგილზე ჩაწერე სიტყვა „დედა“ სხვადასხვა ბრუნვის ფორმით:**

რა კარგია, თუ გყავს ..............................

ყველას დარდი იცის ..............................

გიჭირს? მიაშურებ ..............................

მოგწონს ხელის სითბო ..............................

მალე შენც იქცევი ..............................

მუდამ მყავდი ჩემო ..............................

**ბ) ტექსტში სათანადო ადგილზე ჩაწერე სიტყვა „წყალი“ სხვადასხვა ბრუნვის ფორმით:**

დედამიწას ფარავს ..............................

და სიცოცხლეს მოგვცა ..............................

მოგვწყურდება? ვსვამთ ..............................

თითებს გვიზრობს ყინვა..............................

გულს ვიბრუნებთ ისევ ..............................

თოვლი გვიბრუნდება ..............................

იყავ მუდამ, ცივო ..............................

## (A1) სავარჯიშო 16.

**ა) დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სქემას და გადაიყვანე სიტყვები მრავლობით რიცხვში:**

**---- ~~ა~~+ ებ-  ---- ე+ებ-**

| | | | |
|---|---|---|---|
| ზღვა | .......... | დღე | .......... |
| მთა | .......... | მდინარე | .......... |
| და | .......... | კლდე | .......... |
| ძმა | .......... | წრე | .......... |
| ჩანთა | .......... | თვე | .......... |

**ბ) ჩასვი სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით:**

გაზაფხულის .......... მარტი, აპრილი, მაისი (თვე).

საქართველოში არის მაღალი .......... (მთა) და .......... (კლდე).

ჩემი .......... (და) ცხოვრობენ თელავში.

მთაში არის ჩქარი .......... (მდინარე).

ახლა გამოვჭრათ ეს .......... (წრე) და შევაწებოთ ერთმანეთს.

ჩემი .......... (ძმა) სახლში არ არიან.

ეს .......... (ჩანთა) თქვენია?

შაბათი და კვირა არის დასვენების .......... (დღე).

## (A1) სავარჯიშო 17.

### ა) დააკავშირე სიტყვები ერთმანეთთან:

**ნიმუში:** ატლასი ▶ კაბა

| | |
|---|---|
| მოგზაური | ბეჭედი |
| დედა | რეჟისორი |
| ოქრო | დღე |
| ფილმი | ჩანთა |
| ხე | ფიფქი |
| მზე | რეჟიმი |
| თოვლი | ფოთოლი |
| დღე | სხივები |
| მზე | სათვალე |

### ბ) შეადგინე სიტყვათა შეთანხმებები:

**ნიმუში:** ატლასის კაბა

### გ) შენ მიერ შედგენილ ფრაზებზე შეადგინე წინადადებები

**ნიმუში:** მე ძალიან მომწონს ატლასის კაბა

(A1+) სავარჯიშო 18. **ფოტოების მიხედვით შეადგინე წინადადებები; გამოიყენე სიტყვები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:**



**ნიმუში:** ეს არის ტანსაცმლის კარადა.



...............................................................................................



...............................................................................................



...............................................................................................



...............................................................................................



...............................................................................................















(A2) სავარჯიშო 19.

**ა) გამოიყენე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და ჩასვი სიტყვები თვალი და წელი სწორი ფორმით:**

დაიმახსოვრე: თუ **თვალი ან წელი** ადამიანის სხეულის ნაწილია, ის არ იკუმშება.

თვალი

ბაბუაჩემს .................................. ოპერაცია გაუკეთეს.

ამ ბეჭდის .................................. ყიდვა მინდა.

მარჯვენა ....................... უფრო კარგად ხედავს ბებია, ვიდრე მარცხენა ....................... .

ჩემს ველოსიპედს ერთი .................................. არ აქვს.

წელი

აპრილი .................................. მეოთხე თვეა.

რამდენიმე დღის წინ .................................. ტკივილმა შემაწუხა.

ამ .................................. არ ვარ კმაყოფილი.

**ბ) გამოიყენე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და ჩასვი სიტყვები დედა და მამა სწორი ფორმით:**

დაიმახსოვრე: თუ დედა, მამა, **ბებია, პაპა** საკუთარ დედას, მამას, ბებიას ან პაპას აღნიშნავს, არ იკვეცება.

ხვალ ............................. დაბადების დღეა, ზეგ კი ............................. დაბადების დღე.

.................................. დღე გაზაფხულზეა, სამ მარტს.

ასეთი .................................. იამაყებდა ყველა.

ამ ლექსის სათაურია „.................................. დარიგება“.

.................................. და ჰყავს, .................................. კი – ერთი ძმა.

## (A2) სავარჯიშო 20. ჩასვი სიტყვა საჭირო ფორმით:

.................................... (დედა) დაბადების დღისთვის ტორტი გამაცხო.

ჩანთაში დევს ............................ , ............................ , ............................ (კალამი, წიგნი, რვეული).

ჩემს .................................... (სახლი) დიდი .................................... (აივანი) აქვს.

.................................... (დღე) ბოლოს იქნება შეხვედრა.

სამი .................................... (კვირა) მივდივარ სამოგზაუროდ.

ნინო .................................... (მასწავლებელი), ხვალ სკოლაში ვერ მოვალ.

ამ .................................... (წიგნი) ძალიან დამაინტერესა.

.................................... (მზე) სისტემაში ცხრა პლანეტაა.

შენი და .................................... (ექიმი) მუშაობს?

ამ .................................... (სკოლა) სჭირდება .................................... (ქიმია) მასწავლებელი.

## (A2) სავარჯიშო 21. ჩასვი მოცემული სიტყვები სწორი ფორმით წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას:

ფოსტა შხაპი ყურსასმენები ხელფასი (2X) ლეპტოპი

ოთახი მანქანა დღე ხელშეკრულება

ხელს მოვაწერ ამ .................................... .

ბანკში ავიღებ .................................... .

მოვემზადები ხვალინდელი .................................... .

დილით ადრე ავდგები და .................................... მივიღებ.

.................................... გავყიდი. აღარ მომწონს.

სახლიდან სკოლაში წავიღებ .................................... . პრეზენტაცია მაქვს.

შევამოწმებ ჩემს .................................... . ვაკანსიის პასუხს ველოდები

ჩემი დაბადების დღე მოდის და გავალამაზებ ჩემს .................................... .

როცა ვვარჯიშობ, ვიყენებ .................................... .

გუშინ .................................... ავიღე და საყიდლებში დავხარჯე.

## (A2) სავარჯიშო 22. გადახაზე ზედმეტი:

**ნიმუში:** ა) ქათამს; ბ) მსხალს; გ) სკამს; დ) ~~სკოლის~~

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ა) წიგნმა; | ბ) ბავშვმა; | გ) ჩანთას; | დ) ირემმა. |
| 2. | ა) ბიჭს; | ბ) მასწავლებელს; | გ) ძაღლს; | დ) მელია. |
| 3. | ა) მაგიდა; | ბ) მგელმა | გ) სკამი; | დ) ფანჯარა. |
| 4. | ა) ზამთრის; | ბ) ქათმის; | გ) სკოლის; | დ) ჩანგლით. |
| 5. | ა) სოკო | ბ) საქმედ; | გ) სახლად; | დ) ქალაქად. |
| 6. | ა) ფანქრით; | ბ) ჭიქით; | გ) თმით; | დ) საჭმლის. |
| 7. | ა) მზეო; | ბ) ცაო; | გ) დედავ; | დ) შარვალი. |
| 8. | ა) თბილისს; | ბ) ნესვს; | გ) თასს; | დ) ფასს. |
| 9. | ა) ჩექმა; | ბ) ჭერამმა; | გ) ატამმა; | დ) ირემმა. |
| 10. | ა) თევზზე; | ბ) თავზე; | გ) კოვზზე; | დ) გაზზე. |

## (A2) სავარჯიშო 23. ჩასვი სწორი ფორმით:

**ნიმუში: ბლის** მურაბა ძალიან გემრიელია. (ბალის / ბლის)

1. ........................................ ჩიტი დახატა. (ოთარიმ / ოთარმა)
2. ნინოს ........................................ წინ იასამანია. (ფანჯარის / ფანჯრის)
3. ბადრიჯანი ........................................ ძალიან გემრიელია. (ნიგოზით / ნიგვზით)
4. ........................................ პირას ხის სახლი იდგა. (ტყეს / ტყის)
5. ........................................ წყაროს წყალი დალია. (ირემა / ირემმა)
6. მინდორი სავსე იყო ჭრელი ........................................ . (პეპელებით / პეპლებით)
7. ნოდარი ........................................ მაგიდასთან დგას. (მასწავლებელის / მასწავლებლის)
8. ........................................ , ამოდი, ამოდი! (მზე / მზეო)
9. პოეტი ........................................ წერს. (ლექსი / ლექსს)
10. ამ ........................................ ძალიან დავინტერესდი. (ამბავით / ამბით)

## (A2) სავარჯიშო 24. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

**ნიმუში: მასწავლებლის** მაგიდა დგას დაფის წინ.

ფანჯრის, ქარხნით, მასწავლებლად, მაწვნით, რძლად, ატამმა, ამბად, მატარებლები, საბნის, მტრად, მინდვრად, ბლით.

1. ...
2. ...
3. ...
4. ...
5. ...
6. ...
7. ...
8. ...
9. ...
10. ...

## (A2) სავარჯიშო 25. იპოვე შეცდომა და გაასწორე: (ზოგ წინადადებაში შეცდომა არ არის)

1. ჩვენს ეზოში ბევრი ბალის ხეა. ...
2. პეპლები ულამაზესი მწერები არიან. ...
3. იორის ხეობა ძალიან ლამაზია. ...
4. თამარი ბერიძე, მოდი აქ! ...
5. გიორგიმ ნინო სტუმრად დაპატიჟა. ...
6. თორნიკევ, როგორ ხარ? ...
7. დედამ წამალი კოვზზე დაასხა. ...
8. ეკა დედას მაგიდის  ალაგებაში დაეხმარა. ...
9. ნელი მეზობელად ცხოვრობს. ...
10. ამ კაფეს პატრონი ბიძაჩემია. ...

**(A2) სავარჯიშო 26.** **გადაანაწილე მოცემული სიტყვები ცხრილში:**

კერვა, მოყვარე, რემა, მტერი, მაწონი, რძე, პეპელა, ბეგარა, კავკასია, ურემი, სტუმარი, ქარხანა, ნიორი, მამა, ტომარა.

| კუმშვადი | კვეცადი | კუმშვად-კვეცადი |
|---|---|---|
| ატამი | დედა | ფანჯარა |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

**(A2) სავარჯიშო 27.**

**ა) გადაიყვანე სიტყვები მრავლობით რიცხვში:**

**ნიმუში:** ქერამი – ქერმები

პეპელა –
ირემი –
ალუბალი –
მთა –
ფანჯარა –
მატარებელი –
მტერი –
ქარხანა –
მასწავლებელი –
მინდორი –

**ბ) მრავლობითი რიცხვის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

1. ...
2. ...
3. ...
4. ...
5. ...
6. ...
7. ...
8. ...
9. ...
10. ...

### (A2) სავარჯიშო 28. ჩასვი შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

**ნიმუში:** ნინოს უნდა **თმის** შეჭრა. (თმა)

1. ბაღში ბევრი ............................................... ხე გვაქვს. (ალუბალი)
2. ნოდარი მარიამთან ............................................... მივიდა. (სტუმარი)
3. ............................................... მუშაობა გუშინ დაიწყო. (ქარხანა)
4. ლეილამ გუშინ ............................................... მომიტანა. (წიგნი)
5. დაინტერესებული ვარ ახალი ............................................... . (მოსწავლე)
6. ჩემო ............................................... , შენი მეკვლე ვარ! (ქვეყანა)
7. გუშინ მესენჯერით დავურეკეთ ჩემს ............................................... . (ძმა)
8. ავტორი წიგნში შეიტანს რამდენიმე მოთხრობასა და ............................................... . (ლექსი)
9. მსაჯმა ფეხბურთელს ყვითელ ............................................... ერთად წითელიც აჩვენა და მოედნიდან გააძევა. (ბარათი)
10. ............................................... მანქანა იყიდა. (თამაზი)

### (A2) სავარჯიშო 29. რომელ წინადადებაში წერია არასწორი ფორმით ხაზგასმული სიტყვა?

1.

ა) <u>ქათამა</u> წყალი დალია და ღმერთს შეხედაო.

ბ) <u>მარიამმა</u> წყლის დასალევად სავსე ჭიქა აიღო.

გ) <u>სკამმა</u> თქვა, მე რომ არ ვიყო, მაგიდას ფასი არ ექნებაო.

დ) გასულ ზაფხულს <u>ბათუმმა</u> უამრავი ტურისტი მიიღო.

2.

ა) ქალაქ <u>ქუთაის</u> ათასწლოვანი ისტორია აქვს.

ბ) პატარა გოგონა სათამაშოების მაღაზიაში ლეგოს <u>ფასს</u> უყურებდა.

გ) დიდხანს არჩევდა ნიკო მაღაზიაში ლამაზ <u>ანკესს</u>.

დ) მართა ბებო ისე დაბერდა, <u>ნემსს</u> ვეღარ ხედავდა.

3.

ა) ბიჭს თავისი თუთიყუშებისთვის <u>გალიის</u> ყიდვა უნდოდა.

ბ) მოხუცი ცოლ-ქმარი <u>მაგნოლიის</u> ქვეშ მიირთმევდა ნაყინს.

გ) ბავშვები ექსკურსიაზე <u>ვარძიის</u> სანახავად წავიდნენ.

დ) <u>იაპონიას</u> ჩემპიონატში ტოჩინოშინი გამოდის.

## (A2) სავარჯიშო 30. მოცემული წყვილებიდან წინადადებაში ჩასვი სწორი ფორმა:

1. გასულ ზაფხულს ანიმ ბევრი .................................................... (წიგნი / წიგნს) წაიკითხა.
2. .................................................... (ბიჭი / ბიჭმა) დიდხანს იფიქრა და წასვლა გადაიფიქრა.
3. .................................................... (მძღოლს / მძღოლმა) არ უნდოდა ხიდზე გადასვლა.
4. საკლასო ოთახში მხოლოდ ერთი .................................................... (მოსწავლეს / მოსწავლის) ჩანთა იდო.
5. მშენებელმა .................................................... (ჩაქუჩად / ჩაქუჩით) დაამტვრია ძველი კარი.
6. მანანამ ბოთლი ყვავილების .................................................... (ქოთნის / ქოთნად) გადააკეთა.
7. ჩემო .................................................... (შვილი / შვილო), ყველაფერი უნდა გააკეთო, რათა კარგად ისწავლო.
8. დედამ .................................................... (შვილების / შვილებს) ჩანთებში წიგნები ჩაალაგა.
9. ყველამ თავისი .................................................... (საგზალმა / საგზალი) აიღო და გზას გაუდგა.
10. ორი ათასი წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ორი .................................................... (სახელმწიფო / სახელმწიფოს) არსებობდა.

## (A2) სავარჯიშო 31. ჩასვი შესაბამისი ბრუნვის ნიშანი: ...მა/...მ/...ი/X (არაფერი)

ა) დედა.... ნამცხვარი გამოაცხო.

ბ) მძღოლ.... სატვირთო მანქანაზე მუშაობს.

გ) მამა.... გაზეთს კითხულობს.

დ) ლევან.... უნივერსიტეტში სწავლობს.

ე) პროფესორ.... პრეზენტაცია გააკეთა ეკოლოგიური პრობლემების შესახებ.

ვ) სკოლა.... სოფლის ცენტრში დგას.

ზ) სუსანა.... კოლეჯი შარშან დაამთავრა.

თ) კლიენტ.... სახლს ქირაობს.

ი) ბაღის გამგე.... საბავშვო ბაღს მართავს.

კ) მარიამ.... გამოცდებზე მაღალი ნიშნები მიიღო.

## (A2) სავარჯიშო 32. ფრჩხილებში მოცემული არსებითი სახელი ჩასვი მიცემით ბრუნვაში:

1.

ა) ჩემს .................................... (მშობლები) ძალიან უყვარდათ ქართულად ლაპარაკი.

ბ) სტუმრების შევსლის დროს ახალგაზრდა ქალმა .................................... (მაგიდა) თეთრი ქსოვილი გადააფარა.

გ) მაღალი ხე ღამის სიბნელეში ქარისგან ირხეოდა და .................................... (მგზავრები) აშინებდა.

დ) შვილიშვილების მოსვლის დროს ბებია .................................... (ქათმები) საკენკს უყრიდა.

ე) ბანკის შესასვლელში მდგარ .................... (პოლიციელი) სახეზე ნიღაბი ეკეთა.

2.

ა) მოხუცი ბებია შორს მიმავალ .................................... (კაცი) უყურებდა.

ბ) ძლიერი ქარი ლამაზად არხევდა მაღალ .................................... (მაგონილია).

გ) მშენებელს ჩაფხური მოეხადა და .................................... ამწეს უყურებდა.

დ) საღამოს ნიავი .................................... (მებაღე) ძალიან სიამოვნებდა.

ე) სამი მოსწავლე ერთად ასრულებდა .................................... (დავალება).

## (A2) სავარჯიშო 33. ხაზგასმული არსებითი სახელი შეარჩიე საჭირო ბრუნვის ფორმით:

1.

ა) მოსწავლეები კითხულობენ უინტერესო .................................... (ტექსტები).

ბ) .................................... (წიგნი) ფურცლებზე ჯერ კიდევ იყო ცრემლების კვალი.

გ) მოხუცმა ქალმა .................................... (ჯოხი) აიარა აღმართი.

დ) გვიან ღამით დაამთავრა .................................... (ექიმი) თავის სამუშაო.

ე) გათბობისთვის საჭირო ღუმელი .................................... (ფანჯარა) წინ იდგა.

2.

ა) ყვავილებიანი პირველკლასელები .................................... (დერეფანი) ბოლოში ერთად იდგნენ.

ბ) საფოსტო ყუთიდან წითელთმიანმა .................................... (გოგონა) დედას წერილი ამოიღო.

გ) ხშირად პატარებს აკლიათ ხოლმე .................................... (დედა) სითბო.

დ) ყურძნის მტევნები აქა-იქ ეკიდა .................... (სეტყვა) განადგურებულ ვენახში.

ე) ახალგაზრდა გოგონათვის ყველაზე რთული გადაწყვეტილება საშუალო .................................... (სკოლა) დამთავრებაზე უარის თქმა იყო.

**(A2) სავარჯიშო 34.** **ჩასვი სწორად ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ფრჩხილებში მოცემული არსებითი სახელები:**

**1. სოფელი**

ა) მოთხრობ. ბრუნვა) სოფელმა ნელ-ნელა გაიღვიძა.

ბ) (ნათესაობ. ბრუნვა) ........................ დასაწყისში დიდი ძველი შენობა იდგა.

**2. კატა**

ა) (სახელობითი ბრუნვა) ........................ მზეს ეფიცხებოდა გატრუნული.

ბ) დიდ ბურძგლა (მიცემითი ბრუნვა) ........................ ძაღლი მისდევდა და ის იყო, უნდა დასწეოდა.

**3. კაფე**

ა) შემინული (ნათ. ბრ.) ........................ გვერდით ყვავილები იყიდებოდა.

ბ) მალე მივადექით (მიც. ბრ) ........................ , სადაც გემრიელი ყავა მეგულებოდა.

**4. ქვეყანა**

ა) ჩემი (ნათ. ბრ) ........................ ბუნება მართლაც განსაკუთრებულია.

ბ) ამ ეგზოტიკური (მოქმ. ბრუნვა) ........................ მოხიბლული დავრჩით ყველანი.

**5. ღვინო**

ა) შავმა (მოთხ. ბრ) ........................ ყველა უცებ დაათრო.

ბ) (ნათ. ბრ) ........................დასამზადებლად ყურძენს წურავენ და ქვევრებში ასხამენ.

**(A2) სავარჯიშო 35.** **დააჯგუფე სიტყვები ცხრილში ბრუნვების მიხედვით:**

საქმლის, საუზმის, კალმით, ფარდა, ბებიამ, ოჯახმა, თოვლის, ფეხით, ველოსიპედი, ბურთით, გიორგიმ, თაფლი, ბავშვებმა, კაცის, გოგონასი, ტანსაცმლით, წყლის, მასწავლებელმა, თვითმფრინავით, ღამით, დილით, ბარათი, ხილი, მდინარის, ექიმმა, პაციენტმა

| სახელობითი | მოთხრობითი | ნათესაობითი | მოქმედებითი |
|---|---|---|---|
| | გიორგიმ | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

**(A2) სავარჯიშო 36.**

**ა) გადაიყვანე სიტყვები მრავლობით რიცხვში:**

1. მტევანი – მტევნები
2. ბუდე – ..........
3. ადამიანი – ..........
4. მეზობელი – ..........
5. კედელი – ..........
6. ქვევრი – ..........
7. ფოტო – ..........
8. ტყე – ..........
9. მინდორი – ..........
10. დავალება – ..........

**ბ) შეადგინე წინადადებები მრავლობითი რიცხვში მოცემული სახელების გამოყენებით:**

1. კედლები ბავშვის ოთახში ვარდისფერი იყო.
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

## (A2) სავარჯიშო 37. დააჯგუფე სიტყვები ცხრილში:

ისარი, კაკალი, კალენდარი, კონსერვატორია, ნათურა, ნომერი, პეპელა, რკინა, სათვალე, სია, სიმღერა, სიტყვა, ტყემალი, ფანჯარა, უფლება, ფუტკარი, ქამარი, ქვიშა, ქოლგა, ღრუბელი, ყინვა, ცხვარი, წამალი, სინათლე, სავარძელი, მაცივარი, დედოფალი, ტომარა.

| კუმშვადი<br>სიტყვის შიგნით იკარგება ხმოვანი | კვეცადი<br>იკარგება სიტყვის ბოლო ხმოვანი | კუმშვად-კვეცადი<br>ერთდროულად იკარგება ხმოვნები სიტყვის შიგნითაც და სიტყვის ბოლოშიც |
|---|---|---|
| კაკალი | უფლება | ფანჯარა |
| | | |
| | | |
| | | |

## (A2) სავარჯიშო 38. ჩასვი სიტყვები სათანადო ბრუნვის ფორმით:

**მაგალითი:** დილაობით **ფანჯრის** გაღება აუცილებელია. (ფანჯარა)

1. .................................... ახლოს მდინარე მიედინებოდა. (ქარხანა)
2. ახალი სახლი შევიძინე ფართო .................................... ზღვის მხარეს. (ფანჯარა)
3. ძალიან მიყვარს .................................... ქერა მწვანე მინდორზე. (პეპელა)
4. ყველა ადამიანმა თავისი ვალი უნდა მოიხადოს .................................... წინაშე. (ქვეყანა)
5. .................................... ბევრია საინტერესო ადამიანი. (ქვეყანა)
6. სანტა კლაუსი ბუხარში .................................... ძვრება. (ტომარა)
7. .................................... ტოტზე კოდალამ ბუდე გაიკეთა. (წიფელა)
8. ავტომანქანა .................................... იყო დატვირთული. (ტომარა)
9. სურათზე .................................... მზე იყო გამოხატული. (მარჯვენა)
10. ქალაქი .................................... იყო მდიდარი. (ქარხანა)
11. მე მდიდარი ვარ ჩემი.................................... . (მოყვრები)

(A2) სავარჯიშო 39. **ამოიწერე ტექსტიდან არსებითი სახელები და დააჯგუფე რიცხვის მიხედვით:**

ნაყინის ბუხრები ფანჯარა
სახლს ყარაულმა

არცთუ დიდი ხნის წინათ ბოლონიაში, ზედ მთავარ მოედანზე, ნაყინის სახლი ააგეს. .................... სახლს მარმელადის სახურავი ჰქონდა, საკვამურებიდან კვამლის მაგივრად გათქვეფილი ნაღები ამოდიოდა, .................... კი სულ ერთიანად დაშაქრული ხილისა გაემართათ. დანარჩენი ყველაფერი ნაყინისა იყო – კარებიც, კედლებიც. ავეჯიც რომ ავეჯია, ისინიც ნაყინისა იდგა. ერთი პატარა ბიჭი ლამის ზედ აეკრა სასადილო მაგიდას. იმდენი ულოკა ოთხივე ფეხი, მაგიდამ ვეღარ გაუძლო და თავზე დაემხო თავის თეფშებიანად და ლამბაქებიანად. მერე სულ შოკოლადიანი ნაყინის თეფშები და ლამბაქები ეწყო იმ მაგიდაზე! თანაც ნუღარ იტყვი, როგორი შოკოლადიანი ნაყინისა! ერთხელაც იქით ქალაქის .................... ჩაიარა და დაინახა – ერთი .................... თანდათან დნებოდა. – არიქათ! – ყვირილი ატეხა ყარაულმა. – მალე! ყველანი ერთბაშად მისცვივდნენ შემდნარ .................... და გაჩაღდა ლოკვა, მაგრამ რა გაჩაღდა! – დედაშვილობამ, სავარძელი მაინც გამომიტანეთ! – საბრალოდ იხვეწებოდა ერთი დედაბერი.

(A2) სავარჯიშო 40. **ფრჩხილებში მოცემული არსებითი სახელები ჩასვი შესაბამის ბრუნვაში:**

1. (ქათამი) .................... წყალი დალია და ცას შეხედა.
2. გაზაფხულის (თვე) .................... მარტი, აპრილი და მაისი.
3. სუფრა სხვა ხილთან ერთად (ატამი) .................... დაამშვენა.
4. საქართველოს დედაქალაქ (თბილისი) .................... ბევრი უცხოელი სტუმრობს.
5. (ისტორია) .................... ფურცლებზე ბევრი საინტერესო ამბავია.
6. (დედაჩემი) .................... ჩემი ყველა საიდუმლო იცის.
7. ჩემი სახლი ცენტრში, (მაღაზია) .................... წინ დგას.
8. ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა (ავარია) .................... შემდეგ
9. (ლომი) .................... ისე დაიღრიალა, ყველა სოროში მიიმალა.
10. (ზეიმი) .................... დიდხანს გაგრძელდა.
11. ჩემს (კლასი) .................... წლის ბოლოს გამოცდა დაუნიშნეს.
12. (ბაბუაჩემი) .................... თავისი ცხოვრება სკოლაში გაატარა.
13. (გალია) .................... კარი ღია დარჩა, ჩიტმაც დრო იხელთა და გაფრინდა.
14. (ქიმია) .................... სახელმძღვანელო ვიყიდე.
15. ახალმა (სკამი) .................... ყველას მოწონება დაიმსახურა.

**(A2) სავარჯიშო 41. ჩასვი ტექსტში სიტყვები შესაბამისი ბრუნვის ფორმით:**

1. ........................ სკოლაში დაიწყო მუშაობა. (ეთერი)
2. ........................ არ უყვარს, როცა საუბარს აწყვეტინებენ. (რამაზი)
3. ........................ სახლი ააშენა. (ნესტანი)
4. ........................ ბევრი საქმე აქვს. (ომარი)
5. ........................ მანქანა შარშან იყიდა. (დავითი)
6. ........................ გუშინ დამირეკა. (სიმონი)
7. ........................ ახალი ტელეფონი აქვს. (თენგიზი)
8. ........................ გაცნობა ვერ მოვასწარი. (ცაგარელი)
9. ........................ ყველაფერი სწორად გააკეთა. (თამარი)
10. ........................ გაკვეთილები უკვე მოამზადა. (გიორგი)

**(A2) სავარჯიშო 42.** **წაიკითხე ტექსტი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს ქვეშ ხაზი გაუსვი, ამოიწერე და მიუწერე სახელობითი ბრუნვის ფორმა:**

ერთმა **ჩიტმა** ტყეში ერთი მოხერხებული ალაგი იპოვა და ბუდე გაიკეთა. მერე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დადო. სამ კვირაში გამოჩეკა პატარა ჩიორები. დედა თავის შვილებს უზიდავდა კალიებს, პეპლებს, ბუზებს, აჭმევდა და ზრდიდა.

დიდ სიხარულში იყო ჩიორა. ჩქარა დავაფრენ ჩემს ბარტყებსო. მაგრამ მალე უბედურება ეწვია. წყეულმა მელიამ ბუდეს მიაგნო, ხის ძირში მიცუნცულდა და ჩიორას დაემუქრა: – თუ ბარტყს არ გადმომიგდებ, ყველას შეგჭამთო.

შეეშინდა საწყალ ჩიორას. აიყვანა ერთი ბარტყი და გადმოუგდო მელიას. მელიამ პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მაგრამ მსუნაგმა ვერ ამოივსო მუცელი, ისევ მიადგა ჩიტს და კვლავ დაემუქრა.

დაღონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელიამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა, მაგრამ ისევ მიადგა მუქარით.

მწარედ დაღონებულმა ჩიორამ მესამე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელიამ გაარბენინა და ისიც სწრაფად გადაყლაპა. და ისევ მიადგა.

უბედურმ ჩიტმა, ბოლო ბარტყიც გადაუგდო, მერე შემოჯდა ერთ ხეზე და მეტად დაღონებულმა ტირილი დაიწყო. მონადირემ დაინახა და ჰკითხა:

– ეგრე მწარედ რამ დაგაღონა, ჩიორაო? ჩიტმა თავისი ამბავი უთხრა, მონადირემაც პირობა მისცა, რომ დაეხმარებოდა.

– ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელიასთან მიიყვანა. მონადირემ მელიას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევინა. ჩიორას კი თავისი ბარტყები დაუბრუნა, გახარებულმა ჩიტმა სიმღერა დაიწყო.

**მაგალითად: ჩიტმა – ჩიტი**

## (A2.) სავარჯიშო 43. აწარმოე ფორმები მოდელის მიხედვით:

**მოდელი:** ის (ბავშვი) სწავლობს გაკვეთილს ........ მან (ბავშვმა) ისწავლა გაკვეთილი

1. კაცი აკეთებს საქმეს ........ გააკეთა
2. ბავშვი წერს დავალებას ........ დაწერა
3. მხატვარი ხატავს სურათს ........ დახატა
4. მარიამი ხსნის ამოცანას ........ ამოხსნა
5. მუშა მუშაობს ........ იმუშავა
6. ბიჭი თამაშობს ........ ითამაშა
7. ბიჭს მოაქვს წიგნი ........ მოიტანა
8. ანა ნახულობს ფილმს ........ ნახა ფილმი
9. დედა ყიდულობს პურს ........ იყიდა პური
10. საბას მოაქვს რვეული ........ მოიტანა რვეული
11. ჩემი ძმა მუშაობს ბანკში ........ იმუშავა ბანკში

## (A2) სავარჯიშო 44. შეარჩიე სწორი ფორმა:

1. ........ წვერი ძალიან წვრილია (ფანქარის/ფანქრის)
2. ........ თვალი მართლა ლამაზია (ბეჭედის/ბეჭდის)
3. ამ ........ ყველა გაოცებული იყო (ამბავით/ამბით)
4. გოგონას ........ მოხატული კაბა ეცვა (პეპელებით/პეპლებით)
5. ........ ჩაით გავუმასპინძლდი სტუმრებს (ლიმონის/ლიმნის)
6. ქართული ........ შესახებ მსოფლიოში ყველამ იცის (ანბანის/ანბნის)
7. ურმის ........ აქეთ-იქით გარბოდა (თვალები/თვლები)
8. ........ ტკივილნა ძალიან შემაწუხა (თვლების/თვალების)
9. ........ დედის ქანდაკება დგას თბილისში (ქართვლის/ქართველის)
10. ბიჭს არ დავიწყებია ........ მორეკვა (ცხვრის/ცხვარის)

**(A2). სავარჯიშო 45.** **ტექსტიდან ამოწერე სხვადასხვა ბრუნვის ფორმები და გადაანაწილე ცხრილში:**

- ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,

ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა – ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ქიანქველასა.

| წოდებითი | სახელობითი | მიცემითი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

**(A2) სავარჯიშო 46.** **ჩაწერე წინადადებები ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე:**

**ნიმუში:** 1 + 6 = 7 ერთს მივუმატოთ ექვსი **ტოლია შვიდის.**

1. 15 + 25 = 40 ..............................
2. 11 + 2 = 13 ..............................
3. 32 + 10 = 42 ..............................
4. 7 + 7 = 14 ..............................
5. 50 + 50 = 100 ..............................
6. 28 + 5 = 33 ..............................
7. 2 + 3 + 5 = 10 ..............................
8. 111 + 6 = 117 ..............................
9. 1000 + 1000 = 2000 ..............................
10. 45 - 5 = 40 ..............................
11. 10 - 8 = 2 ..............................
12. 18 - 11 = 6 ..............................
13. 11.35 ..............................

**(A2) სავარჯიშო 47.** **წაიკითხე მენიუ და ამოიწერე მოქმედებითი ბრუნვის ფორმები**



აპეტაიზერი
APPETIZER / АППЕТАЙЗЕР

შემწვარი სულგუნი გაწურული მაწვნით
Fried Sulguni with wrung Matsoni 13.50 ₾
Жаренный сыр Сулугуни с Мацони

შემწვარი ელარჯის ბურთულები ნუშის ბაჟეთი
Fried Elarji balls with almond sauce 17.50 ₾
Жаренные шарики еларджы с миндалевым соусом Баже

შემწვარი კალმარის რგოლები წითელი წიწაკის სოუსით
Fried calamari rings with red chilli sauce 17.50 ₾
Жаренные кольца кальмара в красном соусе чили

შემწვარი ქათმის ჩხირები თაფლის და მდოგვის სოუსით
Fried chichken sticks with honey and mustard sauce 16.50 ₾



ბადრიჯანი ნიგვზით
Eggplant with walnuts
Баклажаны с грецкими орехами

აწეწილი ბადრიჯანი ნივრით და ქინძით
Pulled eggplant with garlic and coriander
Баклажаны с чесноком и кинзой

კიტრი პომიდვრის სალათი ნიგვზით
Cucumber and tomato salad with walnuts 11.00 ₾
Салат из помидоров и огурцов с грецкими орехами

თხის ყველის სალათი ხილით
Goat cheese salad with fruits 29.00 ₾
Салат из козьего сыра с фруктами

მწვანე სალათი ნაკლებმარილიანი ორაგულით 19.50
Green salad with cured salmon
Зеленый салат с малосольным лососем

ცეზარი ორაგულით
Caesar salad with salmon 26.00

..............................

..............................

**(A2) სავარჯიშო 48.** **წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვი მოცემული სიტყვები სწორი ფორმით:**

~~შედევრი,~~ ღამე, დილა, ბებია, კვერცხი, ტაფა, მზე, ცეცხლი, ოთახი, სითბო, კულინარია

**ნიმუში:** უცხოელი ქართული ხუროთმოძღვრების **შედევრს** გაეცნო.

1. ………………… 12 საათია, უკვე ახალი წელია!
2. სკოლაში ………………… გაკვეთილები გვიტარდება.
3. ბებო ………………… ადრე იღვიძებს.
4. ………………… გემრიელი საუზმე გამიმზადა.
5. საუზმის დროს ………………… მირთმევა სასარგებლოა.
6. ………………… თოვლი დაადნო.
7. დედა ………………… ცეცხლზე დგამს.
8. ბუხარი კარგად ათბობს ჩვენს ………………… .
9. ბებოს ………………… და ალერსმა ყველაფერი დამავიწყა.
10. პაპამ ბუხარში ………………… აანთო.

**(A2) სავარჯიშო 49.** **შეცვალე ფრაზები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** ვახტანგი წერს / ვახტანგმა დაწერა / ვახტანგს დაუწერია (ვახტანგი)
ლელა ქარგავს/ ლელამ მოქარგა/ ლელას მოუქარგავს (ლელა)

1. ………… წერს ………… დაწერა ………… დაუწერია. (დავითი)
2. ………… სწავლობს ………… ისწავლა ………… უსწავლია. (ლევანი)
3. ………… ხატავს ………… დახატა ………… დაუხატავს. (თამარი)
4. ………… კითხულობს ………… წაიკითხა ………… წაუკითხავს. (მარიამი)
5. ………… უყურებს ………… უყურა ………… უყურებია. (გიორგი)
6. ………… კერავს ………… შეკერა ………… შეუკერავს. (დალი)
7. ………… თამაშობს ………… ითამაშა ………… უთამაშია. (ნანა)
8. ………… აშენებს ………… ააშენა ………… აუშენებია. (ავთო)
9. ………… მღერის ………… იმღერა ………… უმღერია. (ნუნუ)
10. ………… ცეკვავს ………… იცეკვა ………… უცეკვია. (პეტრე)

## (A1/A2) სავარჯიშო 50. დაწერე სახელები სწორი ფორმით:

1. ........................................, სად მიდიხარ? (დავითი)
2. მოდი, ........................................, ერთად ვიმეცადინოთ! (ნანა)
3. ........................................! – დაუძახა დედამ გოგონას. (მარიამი)
4. ........................................, ჩემო მეგობარო, როგორ ხარ? (ვახტანგი)
5. ........................................, ნუ აწყენინებ მეგობარს! (ლილე)
6. სად უნდა ისწავლო, ........................................? (გიორგი)
7. ჩვენთან მოდიხარ, ........................................? (აკაკი)
8. ........................................, შენ ეს წიგნი წაკითხული გაქვს? (ნუნუ)
9. ........................................, შეგიძლია დამეხმარო? (ნინო)
10. ეს ყველაფერი შენც კარგად იცი, ჩემო ......................................... (ლევანი)

## (A2) სავარჯიშო 51. წაიკითხე ტექსტი. გახაზე არსებითი სახელები და გაანაწილე ცხრილში ნიმუშის მიხედვით:

მთელი ღამე თოვდა. **დილით** ადრე ადგა ბებია და ღუმელში **ცეცხლი** დაანთო. ნახევარ საათში ჩვენი პატარა ოთახი, მწვანედ შეღებილი და დიდფანჯრიანი, ისე გაამხიარულა სითბომ, საწოლიდან გადმოვძვერი და მივუჯექი საუზმეს, რომელიც სკამზე გადაფარებულ ტილოზე დამხვდა გაშლილი. პატარა ტაფას სახურავი ავხადე, ბებოს კვერცხი შეეწვა.

არ ვიცი, როგორ ახერხებდა ბებია კვერცხის ისე შეწვას, რომ კულინარიის შედევრს ჰგავდა. პატარა და მაღალკედლებიანი ტაფა პირამდე იყო სავსე მზისფერი კვერცხით.

შემწვარი მზის დისკო მე და ბებომ შუაზე გავინაწილეთ.

HTTP://KIDS.GE/STORY?ID=114 ქეთევან გარაყანიძე

| ხმოვანფუძიანი | თანხმოვანფუძიანი |
|---|---|
| (დილა) დილით | ცეცხლი |
| | |
| | |
| | |
| | |

## (A2) სავარჯიშო 52.

### ა) უპასუხე კითხვებს სწორი ფორმით:

**ნიმუში:** (ლიმონი) რისი წვენი? – ლიმონის წვენი

(ნიორი) რისი სუნი? –

(მაწონი) რისი ქილა? –

(სახლი) რისი სახურავი? –

(კუ) რისი ბაკანი? –

(საპონი) რისი ბუშტი? –

(ჟოლო) რისი მურაბა? –

(ქვეყანა) რისი საზღვარი? –

(რძე) რისი გემო? –

(მაგიდა) რისი ფეხი? –

### ბ) ზემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

**ნიმუში: ლიმონის** წვენი სასარგებლოა

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................

## (A2) სავარჯიშო 53. არჩიე სწორი ფორმა და ჩაწერე წინადადებაში:

1. ბეღურა .................................... რაფაზე შემოჯდა. (ფანჯარის / ფანჯრის)
2. სახლს საკმაოდ დიდი .................................... ჰქონდა. (ფაჯარები/ ფანჯრები)
3. მე  მიყვარს ჩემი .................................... ისტორია.  (ქვეყანას / ქვეყნის)
4. ევროპის .................. დიდი ნაწილი განვითარებულია. (ქვეყნების / ქვეყანების)
5. მოხუცს მძიმე .................................... წაღება გაუჭირდა. (ტომრის / ტომარის)
6. ფქვილის .................................... მძიმეა. (ტომრები / ტომარები)
7. .................................... ფრთები სუსტია. (პეპელას / პეპლის)
8. მინდორში ჭრელი .................................... გაფრინავდნენ. (პეპელები / პეპლები)
9. ქალაქში ახალი ............................ აშენება გადაწყვიტეს. (ქარხანას / ქარხნის)
10. ქვეყანაში .................................... არ მუშაობს. (ქარხანები / ქარხნები)

## (A2) სავარჯიშო 54.

ა) მოცემული სიტყვები ვითარებითი ბრუნვის ფორმით ჩაწერე წინადადებებში:

**ნიმუში:** „ტანი კალმად (კალამი) მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები...“

1. ქაოსურად წარმოქმნილი გარევაჭრობა მოწესრიგებული ............................ (ბაზარი) გადაიქცა.
2. თოვლი მზის პირველივე სხივებზე სახურავებიდან ............................ (წყალი) ჩამოიღვარა.
3. ასპარეზობის შემდეგ ყველაზე პატარა მოციგურავე ტურნირის პირველ ............................ (ნომერი) დაასახელეს.
4. მოსწავლეები საბავშო მწერალთან............................ (სტუმარი) მივიდნენ.
5. ზოგ ადამიანს სხვისი წყენინება ............................ (არაფერი) უღირს.
6. გიორგიმ სკოლაში ქიმიის ............................ (მასწავლებელი) დაიწყო მუშაობა.
7. ჩემს ............................ (მეზობელი) ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გადმოვიდა საცხოვრებლად.
8. ბებომ ნუცას ვაშლი მისცა და უთხრა: ............................ (შაქარი) შეგერგოსო.
9. ნათელამ ის მაღალი გოგო თავის ............................ (რძალი) გაგვაცნო.
10. ტექსტის ბოლოს მთავარი პერსონაჟი ............................ (მთხრობელი) გადაიქცა.

ბ) ფრჩხილებში მოცემული სიტყვები გადაიყვანე მოქმედებით ბრუნვაში და შეადგინე ახალი წინადადებები:

**ნიმუში:** მანანამ შემაჯამებელი დავალება შავი კალმით დაწერა.

.....................................................................................................................................

.....................................................................................................................................

.....................................................................................................................................

.....................................................................................................................................

.....................................................................................................................................

.....................................................................................................................................

## (A2) სავარჯიშო 55.

### ა) ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩაწერე სწორი ფორმით:

**ნიმუში:** დედამ პატარა ქილაში ჭარხლის (ჭარხალი) მწნილი ჩადო.

1. ............................................ (ბაზარი) ტერიტორიაზე ტექნიკის ახალი მაღაზია გაიხსნა.
2. გიორგიმ ............................................ (ფანქარი) სათლელი დაკარგა.
3. მუშებს ცემენტის რამდენიმე ............................................ (ტომარა) შეძენა სურდათ.
4. იუბილარი საპატიო ............................................ (სტუმარი) გვერდით დაჯდა.
5. მეგობრები ერთმანეთს ............................................ (არაფერი) გამო დაუპირისპირდნენ.
6. გასაუბრებაზე აპლიკანტებს მინიჭებული ............................................ (ნომერი) მიხედვით იძახებდნენ.
7. ზოოპარკში ზოლებიანი ............................................ (აფთარი) ლეკვები დაიბადნენ.
8. სამზარეულოს იატაკზე დაყრილ ............................................ (შაქარი) ნამცეცებს ჭიანჭველა დაესია.
9. ბებომ ............................................ (თავსაფარი) ბოლოები მაგრად შეიკრა.
10. მარტოხელა ............................................ (ბებერი) სახლს სახურავიც დაზიანებოდა და შესასვლელი კარიც.

### ბ) ფრჩხილებში მოცემული სიტყვები გადაიყვანე მრავლობით რიცხვში და შეადგინე ახალი წინადადებები:

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

(A2) სავარჯიშო 56.

ა) ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩაწერე სწორი ფორმით:

**ნიმუში:** ბებომ კაკლის (კაკალი) მურაბა მოხარშა.

1. ნანა წყაროზე .................................... (წყალი) მოსატანად წავიდა.
2. .................................... (საბძელი) წინ პატარა კომშის ხე დგას.
3. .................................... (მსხალი) მურაბას სასიამოვნო ფერი აქვს.
4. სასმელების კომპანია „ბაკარდიმ“ ბაზარზე .................................... (ალუბალი) რომი გამოიტანა.
5. ილიას უნივერსიტეტში დაარსდა .................................... (სამართალი) სკოლა.
6. რკინიგზის სადგურში .................................... (მატარებელი) გამცილებელი
7. ლეილას .................................... (მეზობელი) შვილი ცნობილი ექიმია.
8. ორი დღის წინ ჩემი .................................... (რძალი) მეგობარი გვესტუმრა.
9. კარგი ამბის .................................... (მახარობელი) სახელს ყველა ხმამაღლა იმეორებდა.
10. .................................... (მასწავლებელი) ჩანთა სკოლის ეზოში სკამზე იდო.

ბ) ფრჩხილებში მოცემული სიტყვები გადაიყვანე მრავლობით რიცხვში და შეადგინე ახალი წინადადებები:

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

..............................................................................................................................

## (B1) სავარჯიშო 57.

**ა) დააკვირდი როგორ იბრუნვის სხვადასხვა ხმოვანზე დასრულებული სახელი**

| ბრუნვა | ბრუნვის ნიშანი | არსებითი სახელი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახელობითი | -ი, - | სახლ-ი | კიბე | ოქრო | კაბა | კენგურუ |
| მოთხრობითი | მ, მა | სახლ-მა | კიბე-მ | ოქრო-მ | კაბა-მ | კენგურუ-მ |
| მიცემითი | ს | სახლ-ს | კიბე-ს | ოქრო-ს | კაბა-ს | კენგური-ს |
| ნათესაობითი | -ის, -ს | სახლ-ის | კიბ-ის | ოქრო-სი | კაბ-ის | კენგურუ-სი |
| მოქმედებითი | -ით, -თი | სახლ-ით | კიბ-ით | ოქრო-თი | კაბ-ით | კენგურუ-თი |
| ვითარებითი | -ად, -დ | სახლ-ად | კიბ-ედ | ოქრო-დ | კაბ-ად | კენგურუ-დ |
| წოდებითი | -ო, -ვ - | სახლ-ო | კიბე | ოქრო | კაბა | კენგურუ |

**ბ) გამოიყენე ცხრილი და აბრუნე: ვარდი, ციხე, გოგო, კატა, კუ**

სახელობითი ..........

მოთხრობითი ..........

მიცემითი ..........

ნათესაობითი ..........

მოქმედებითი ..........

ვითარებითი ..........

წოდებითი ..........

**(A2-B1) სავარჯიშო 58.** **დააკავშირე ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ბიჭი | წაიკითხა |
| ბიჭმა | ცხოვრობს. |
| ბიჭს | დავიბადე |
| ბიჭის | ამაყობს |
| ბიჭით | არის |
| ბიჭად | უყვარს |
| ბიჭო | არ გესმის? |

**(B1) სავარჯიშო 59.** **შეარჩიე და ჩასვი სწორი ფორმით:**
**ბიჭი, ბიჭმა, ბიჭს, ბიჭის, ბიჭით, ბიჭად, ბიჭო**

1. ეს ........................................ ქავჭავაძის ქუჩაზე ცხოვრობს.
2. ამ ........................................ წიგნი ერთ დღეში წაიკითხა.
3. ამ ........................................ ძალიან უყვარს წერილების წერა.
4. ამ ........................................ დედა არის მასწავლებელი.
5. აკაკი თავისი ხუთივე ........................................ საზღვარგარეთ გაემგზავრა.
6. რა კარგია, ........................................ რომ დავიბადე.
7. ........................................ , არ გესმის? ზარი დაირეკა!

**ბ) დაწერე მსგავსი წინადადებები, გამოიყენე სიტყვის შვიდივე ბრუნვა:**

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

## (B1) სავარჯიშო 60. ჩასვი წინადადებაში სწორი ფორმით კენგურუ

1. ........................................ ჩანთოსანი ცხოველია.
2. ........................................ მუცელზე ჩანთა აქვს.
3. ........................................ ბალახი შეჭამა.
4. ........................................ ჩანთაში შვილი ჰყავს.
5. ეს პატარა ცხოველი ........................................ შვილია.
6. ავსტრალიური დოლარის ერთ გვერდზე ........................................ გამოსახულებაა.
7. ავსტრალია ამაყოფს გიგანტური ........................................ .
8. არა აქვს მნიშვნელობა, სპილოდ დაიბადები თუ ........................................ .
9. ჩემო ლამაზო ........................................ , აი შენი სახლი.

## (B1) სავარჯიშო 61. მიუწერე სიტყვებს დაბოლოება მოცემულ წინადადებებში:

1. თბილისი არის საქართველო-- დედაქალაქი.
2. ფეხბურთელ-- გოლი გაიტანა.
3. ჩემი მეგობრ-- დაბადების დღეზე მივდივარ.
4. მასწავლებლებ--, თქვენ გაქვთ ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესია.
5. მე ყოველდღე ვურეკავ ჩემს და-- ტელეფონით.
6. ეს ლექსი კომპოზიტორმა სიმღერა-- გადააკეთა.
7. გამარჯობა, ქალბატონებ-- და ბატონებ--!
8. ეს ქუდი ნინომ ხელი-- მოქსოვა.
9. წვიმა-- და ქარ-- შეაწუხა სოფელი.
10. მდინარის ნაპირზე ველოსიპედ-- გავისეირნე.

(B1) სავარჯიშო 62. **წაიკითხე ქვემოთ მოცემული სამი ლექსი, ამოწერე სხვადასხვა ბრუნვის ფორმები და დააჯგუფე ცხრილში:**

მოდი ვნახოთ ვენახი
**ხალხური**

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა;
მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ ვნახე თოფი, მიწამ ჭამა თოფი.
მიწამ თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

■

აპრილს უყვარს ია ლურჯი,
მაისს – წვიმა წანწკარა,
კლდეს – მდინარის შეძახილი,
ჯეჯილს – წყარო ანკარა,
ქალას – სტვენა ბულბულისა
ტყის შრიალში ჩართული,
მე ყველაფერს მირჩევნია
ჩემი ტკბილი ქართული!

ხუტა ბერულავა

■

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად მოვედი

იეთემ გურჯი

| მოთხრობითი | მიცემითი | ნათესაობითი | წოდებითი |
|---|---|---|---|
| რამ | აპრილს | მდინარის | ჩემო |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

**(B1) სავარჯიშო 63. მიუწერე სიტყვებს -მა ან -ს ბრუნვის ნიშნები:**

**ნიმუში:** ძაღლ-მა, მამალ-ს

## სოფლის მაშენებლები

ერთი ძაღლი და ერთი მამალი დაძმობილდნენ: სოფელი ავაშენოთო!

**ძაღლ--** ჰკითხა მამალ- : როგორ ავაშენოთო?

მამალ-- უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.

წავიდნენ ტყეში. ძაღლ-- ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა და ყივილი დაიწყო. მელ-- ხმა შემოესმა, მოვიდა, მამალ--- ჰკითხა: მანდ რას აკეთებო?

მამალ-- უთხრა: სოფელ-- ვაშენებთო.

მელ--- უთხრა: ჩამოდი, სახლისთვის ადგილი მომიზომეო!

მამალ-- უთხრა: მამასახლისი მანდა წევს, გააღვიძე, ეგ მოგიზომსო!

მელა-- მამლის შეჭმის სურვილით გონება აერია, ძაღლთან მივიდა და უთხრა: მამასახლისო, ადე, სახლის ალაგი მინდაო.

წამოდგა ძაღლი, მელ-- გაეკიდა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. წავიდა ნაცემი მელა. გაგლეჯილი, ნათრევი გორაზე წამოდგა და დაუძახა ძაღლ-- და მამალ--: მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართა, მაგრამ თუ თქვენ მაგ საქმით სოფელ-- ააშენებთ, მაგასაც ვნახავთო.

## (A2) სავარჯიშო 64. შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით და ჩასვი წინადადებაში:

მელა/მელამ/მელას

1. ........................................ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო.

ძაღლი/ძაღლმა/ძაღლს

2. ........................................ ჰკითხა მამალს, სოფელი როგორ ავაშენოთო.

დედა/დედამ/დედას

3. ........................................ ტელევიზორს უყურებს და თან საქმეს აკეთებს.

ქიანქველა/ქიანქველამ/ქიანქველას

4. რწყილმა უთხრა ........................................ , წავალ, თოკს მოვიტან და ორმოდან ამოგიყვანო.

საქართველო/საქართველომ/საქართველოს

5. ........................................ სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს.

სოფელი/სოფელმა/სოფელს

6. ამ ........................................ აქვს ერთი ორსართულიანი სკოლა და ერთიც საბავშვო ბაღი.

ქმარი/ქმარმა/ქმარს

7. ლუარსაბ! – დაუძახა ........................................ დარეჯანმა.

რუსთაველი/რუსთაველმა/რუსთაველს

8. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შოთა ........................................ მე-12 საუკუნეში დაწერა.

თვალები/თვალებმა/თვალებს

9. გიორგი ისე გაოცდა, საკუთარ ........................................ არ დაუჯერა.

მასწავლებელი/მასწავლებელმა/მასწავლებელს

10. ერთი საუკეთესო, ყველასგან გამორჩეული ........................................ გვყავდა.

## (B1) სავარჯიშო 65. დაასრულე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები და გადაწერე წინადადებები სწორად:

ა) **ნიმუში:** (გოგო) კაბა ჩაიცვა. **გოგომ კაბა ჩაიცვა.**

1. (ევა) ტელეფონი  იყიდა. ..............................
2. (დედა) გემრიელი ხაჭაპური გამოაცხო ..............................
3. (მოსწავლე) დავალება ვერ დაწერა ..............................
4. (კორონა ვირუსი) შეცვალა მთელი მსოფლიო. ..............................
5. (წიგნი) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ..............................
6. (ბიზნესი) წარმატება მომიტანა. ..............................
7. (ნიკა) დაინახა ადიდებული მდინარე ..............................
8. (პაპა) ხილი იყიდა ახალ ბაზარში ..............................

## (B1) სავარჯიშო 66. ჩასვი ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები სწორ ბრუნვაში კონტექსტის მიხედვით:

**ნიმუში:** (ძმა) ძმის ოთახში შუქი ისევ ენთო.

1. (ძმა) .............................. ჯერ კიდევ ეძინა.
2. (შეშა) .............................. ღუმელი შუაღამემდე ენთო და სახლში თბილოდა.
3. (ფეხი) გიორგი სამსახურში .............................. წავიდა.
4. (მასწავლებელი) .............................. მაგიდაზე ყვავილები ეწყო.
   (დამლაგებელი) ანა ამ ოფისში .............................. მუშაობს დიდი ხანია.
5. (მეგობარი) ..............................! აქეთ წამოდი, მანდ გზა დაზიანებულია!
6. (ბიჭი) .............................., მოდი, ფეხბურთი ვითამაშოთ!
7. (მენეჯერი) ნიკოს ძალიან მოსწონს ბანკის .............................. მუშაობა.
8. (თამაში) თამუნა ბურთის .............................. დაიღალა და ყვავილების კრეფა დაიწყო.

**(B1) სავარჯიშო 67. ამოწერე ტექსტიდან ნათესაობითი ბრუნვის შემცველი სიტყვათა წყვილები:**

**ნიმუში:** სიღნაღის ნახვა

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონია. ცნობილია ღვინის კულტურით. **სიღნაღის** ნახვა ნამდვილად ღირს კახეთში სტუმრობისას. სიღნაღი ცნობილია, როგორც სიყვარულის ქალაქი, ესაა ტურისტებში პოპულარული ადგილი თავისი სილამაზისა და პეიზაჟის გამო. სიღნაღს გარს არტყია გალავანი, რომელიც მსოფლიოში ჩინეთის დიდი კედლის შემდეგ მეორეა სიდიდით.

ქალაქი გადაჰყურებს ალაზნის ველსა და კავკასიონს. კახეთში მდებარეობს ბოდბის მონასტერი, რომელიც მე-9 საუკუნეში აშენდა. მონასტრის ტერიტორიაზე წმინდა ნინოს წყაროა, რომელსაც, ლეგენდის მიხედვით, განკურნების ძალა აქვს. ამ ადგილსაც არაჩვეულებრივი ხედი აქვს ალაზნის ველზე და კავკასიონზე. წინანდლის სახლ-მუზეუმი განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომაზე. სახლი, რომელიც სალონის ფუნქციას ასრულებდა, ეკუთვნოდა მე-19 საუკუნის პოეტს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მას აქვს ულამაზესი ბაღი და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს წინანდლის მარანი, რომელიც აშენდა მე-19 საუკუნეში.

დღეს სახლ-მუზეუმი მუდმივად მასპინძლობს გამოფენებს, კონცერტებს, ლიტერატურულ ღონისძიებებსა და მასტერკლასებს. წინანდლის სახლ-მუზეუმში არის ადგილი, რომელსაც სიყვარულის ხეივანს ეძახიან. ლეგენდის თანახმად, თუ შეყვარებულები თვალდახუჭულები გაივლიან ხეივანს, მათ ბედნიერი ურთიერთობა ექნებათ.

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

**(B1) სავარჯიშო 68.** **წაიკითხე ლექსი და ამოწერე ვითარებითი ბრუნვის ფორმები:**

**გაითვალისწინე, ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ნიშანს ემატება ა.**

**მაგ: ფრთხილ-ად-ა**

რამ შემქმნა **ადამიანად?**
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავი მუდამა
ღრუბელთ გულ-მკერდის
მძივადა,
მიწაზე გადმოსაგდებად,
ცვარად ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა!
ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა.

ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.
მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამაწბილადა;
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა.
გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არემარესა.

ვაჟა-ფშაველა

**ნიმუში:** ადამიანად, წვიმადა..

(B1) სავარჯიშო 69.

ა) ხაზგასმული სახელები ჩაწერე ცხრილში დაბოლოების მიხედვით:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | -ი | | |
| მოთხ. | -მა, მ | | |
| მიც. | -ს | | |
| ნათ. | -ის | | |
| მოქმ. | -ით | | |
| ვით. | -ად | | |
| წოდ. | -ო, -ვ | | |

ა. ნინამ ეს სახლი 40 ათას **დოლარად** იყიდა.

ბ. აქ მოდი, **მეგობარო!**

გ. ამ **მუზეუმს** ახალი თანამშრომელი ჰყავს.

დ. ამ **ფულით** ვიყიდე სარეცხი მანქანა და მაცივარი.

ე. ამ **გოლით** მარადონა **ოქროს თასის** მფლობელი გახდა.

ვ. რამ შემქმნა **ადამიანად**?

ზ. **მადონნამ** თბილისში ბინა **300 დოლარად** იქირავა.

თ. კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი **წესად** დარგე!

ი. ცა **ქუდად** მიაჩნია და დედამიწა **ქალამნად**.

კ. მაგრამ სხვა **მიწის** რა უნდა მშურდეს, **სამშობლოვ, ჩემო,** შენს **შვილს** და **პატრონს**!

ბ) ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

## (B1) სავარჯიშო 70.

### ა) ტექსტში გახაზე ვითრებითი ბრუნვის გამომხატველი სიტყვები:

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ ერთ ქვეყანაში, კარგად არც კი მახსოვს, ის კი ვიცი, რომ ყველა ბედნიერად ცხოვრობდა.. ბედნიერება იყო, აბა რა , უნდოდათ და ერთობოდნენ: დადიოდნენ სასეირნოდ, სათევზაოდ, ერთმანეთთან სტუმრად სიარული ხომ ყველაზე მეტად უყვარდათ. განსაკუთრებით სოფლად,  ერთი კეთილი ქალის  ოჯახში უყვარდათ მისვლა. ქალი ჯერ ზღაპრებს მოუყვებოდა, საინტერესო ამბებით ჭკვიანურად მიაწვდიდა დარიგებას, მერე სუფრასთან მიიწვევდა საჭმელად და ნაირ-ნაირ ნამცხვრებს ჩამოურიგებდა, ესეც არ აკმაყოფილებდა. შინ წასულებს წასაკითხად ისეთ ჯადოსნურ წიგნებს ატანდა, ვინც წაიკითხავდა, იმ სამყაროში ხვდებოდა. თან დაიბარებდა: მერე მომიყევით, სად იყავით და რა ნახეთო. მაგრამ ვინ რას მოყვებოდა:  წიგნები იმიტომ მიჰქონდათ, რომ კარგი მასპინძლობისათვის მადლობა ეთქვათ, თორემ ვერ წარმოედგინათ, რას მისცემდათ ფურცლების შრიალი. იცოდა ეს ქალმა, მაგრამ არაფერს ამბობდა, ისევ კეთილად მასპინძლობდა.

ერთხელ ამ ქვეყანაში სასწაული მოხდა: ადამიანებმა უცბად სხვადასხვა ენაზე დაიწყეს საუბარი: ინგლისურად, ფრანგულად,  ესპანურად...მოხუცი-ახალგაზრდად იქცა, ახალგაზრდა-მოხუცად. მოკლედ, აირია ქვეყანა. მეფემ ქვეყნად მიავლინა თავისი ვეზირები: გაიგეთ, ხალხი ასე უცნაურად რატომ ალაპარაკდაო. მაგრამ პასუხს ვინ გასცემდა? წიგნის კითხვა დიდად არავის უყვარდა. ბოლოს ის ქალი მოვიდა, სოფლად რომ ცხვრობდა, და უთხრა: ასე სხვადასხვა ენაზე იმიტომ ალაპარაკდნენ, ცოდნა აკლიათ, თორემ ენის ცოდნა ურიგო არ არისო. – როგორ ვუშველოთო? – იკითხა მეფემ. – როგორ და მე რომ წიგნები მივეცი, უნდა წაიკითხონ, გონება გაუნათდებათ... და ენაც ეცოდინებათ, ქვეყნებსაც მოივლიან და ისევ ბედნიერად იგრძნობენ თავსო. სხვა გზა არ ჰქონდათ და დაიწყეს: ჯერ ზანტად, მერე ისეთი ტემპით, ქალი წიგნების მიწოდებას ვეღარ ასწრებდა: თურმე მარტო გართობა კი არა, კარგი რამეებიც შეეძლოთ და მოეფინნენ ქვეყანას: მასწავლებლებად, ექიმებად, მზარეულებად, მომღერლებად. ემსახურებოდნენ ხალხს იაფად, ან საზღაურის გარეშე. ყველა ბედნიერი იყო.

2

ბ) ტექსტიდან ამოწერილი სიტყვები დაახარისხე ცხრილში

| როგორ? | რად? /პროფესია | რად / მიზანი | რად? / დანიშნულება | რად? / გარდაქმნა-შეცვლა | რამდენად? |
|---|---|---|---|---|---|
| კარგად | ექიმად | სათევზაოდ | საჭმელად | ახალგაზრდად | იაფად |

გ) ცხრილში შეტანილი სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები

# 3

# არსებითი სახელი, ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები

# თავი 3.
# ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ

| ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ | | |
|---|---|---|
| **სახელობითი ბრუნვა** | **-ვით** | ადამიანივით |
| **მოთხრობითი ბრუნვა** | | |
| **მიცემითი ბრუნვა** | **-ვით, -თან, -ზე, -ში, შუა, შორის** | მზესავით, კაცსავით, სახლთან, მაგიდაზე, უჯრაში... ქალაქებს შუა, სოფლებს შორის |
| **ნათესაობითი ბრუნვა** | **-თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე, გამო, მიერ, გარდა, მიმართ, შესახებ, ნაცვლად, მაგიერ, მიხედვით, გარეშე, შემდეგ** | მეგობრისაგან, სახლისკენ, მოსვლისთანავე, მეზობლის გამო, მეგობრისთვის, მზისებრ, მოსწავლის მიერ, ბავშვების გარდა, მასწავლებლის მიმართ, წიგნის შესახებ, რვეულის ნაცვლად, წიგნის მაგიერ, მოთხრობის მიხედვით, ფანჯრის გარეშე, წუთის შემდეგ |
| **მოქმედებითი ბრუნვა** | **-ურთ, -იდან (< -იდან < ით-გან)** | შვილებითურთ, სახლიდან |
| **ვითარებითი ბრუნვა** | **-მდე / ა-მდე** | სახლამდე, ქალაქამდე |
| **წოდებითი ბრუნვა** | | |

## ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ

**-ვით** – მსგავსება (კაცივით)
**-თან** – ადგილი, მიმართება (სახლთან)
**-ზე** – ადგილი, მდებარეობა, დრო (მაგიდაზე, ხუთ საათზე)
**-ში** – ადგილი, მდებარეობა, დრო (ქუჩაში, ხუთ წუთში)
**-თვის** – დანიშნულება, დრო (ძმისთვის, შვილითვის)
**-გან** – გამოსვლითობა, მასალა (ძმისგან, ხისგან)
**-კენ** – მიმართულება (სახლისკენ)
**-იდან** – გამოსვლითობა, ადგილი, დრო (თბილისიდან, ორშაბათიდან)
**-მდე** – მიღწევითობა, დრო (სახლამდე, მაისამდე)
**შორის** – მდებარეობა, დროის შუალედი, მიმართება, გამორჩევითობა (ორ ქალაქს შორის, ორ საათსა და ხუთ საათს შორის, მეგობრებს შორის)
**შუა** – საგანებს შორის მდებარეობა, დრო (ტოტებს შუა, შუა ზამთარში)
**მიერ** – მოქმედი პირი (მეცნიერის მიერ, ჩემ მიერ)
**გამო** – მიზეზი (სიცხის გამო)
**გარდა** – გამორიცხვა (ჩემ გარდა)
**მიმართ** – დამოკიდებულება (მის მიმართ)
**შესახებ** – რაიმეს, ვინმეს თაობაზე (ჩემ შესახებ, წიგნის შესახებ)

# A1

**სავარჯიშო 1. დააკვირდი სურათებს და დაასრულე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** მაგიდაზე დგას ქურქელი.



ჯამში არის ფაფა.



წყალბურთელი წყალ-- თამაშობს ბურთს.



ჭიქა-- ჟოლოს წვენია



ბიჭი ცხენ-- ზის.



მასწავლებელი საკლასო ოთახ-- არის და დაფა-- წერს.



**სავარჯიშო 2.** **დააკვირდი სქემას; ნიმუშის მიხედვით დაწერე სიტყვა საჭირო ფორმით და შეადგინე წინადადება:**

**დაიმახსოვრე:** -ი+ვით + --სავით;

მაგრამ --ა+სავით; -----ე+სავით; -----ო+სავით; ---უ+სავით

**ნიმუში:** ლომ-ი + ვით = ლომ-სა + ვით; ბავშვ-ი + ვით = ბავშვ-სა + ვით;
მეგობარ-ი + ვით + მეგობარ-სა + ვით;
მაგრამ – დედა-სა + ვით; დღე-სა + ვით; კუ-სა + ვით; ნინო-სა + ვით

ძმა ..........

..........

თოჯინა ..........

..........

ბურთი ..........

..........

წყარო ..........

..........

მდინარე ..........

..........

უთო ..........

..........

თოვლი ..........

..........

ნუნუ ..........

..........

კატა ..........

..........

კურდღელი ..........

..........

**სავარჯიშო 3. იპოვე შეცდომა და გასწორე:**

ზოგ წინადადებაში შეცდომა არ არის. ყურადღება მიაქციე სიტყვათა დაწერილობას.

1. მაიკლი არის ამერიკადან. ........
2. მე და ჩემი და ვართ საქართველოდან. ........
3. შენი ბიძაშვილი ეგვიპტედან არის? ........
4. ისინი არიან ავსტრალიდან. ........
5. თქვენ ხართ ერაყიდან. ........
6. ფაიკი არის თურქეთიიდან. ........
7. ლუდვიგი და კურტი არიან გერმანიადან. ........
8. შენ მონაკოდან ხარ. ........
9. ლელა არის რუსთავიდან. ........
10. ნინო არის საირმეიდან. ........

**სავარჯიშო 4. ჩასვი სიტყვა სწორი ფორმით:**

ნიმუში: ნიკი არის **ინგლისიდან.** (ინგლისი)

1. ჩემი მეგობარი არის ........ (საბერძნეთი).
2. ქეითი არის ........ (კანადა).
3. ალი და აიდა არიან ........ (აზერბაიჯანი).
4. ჩვენ ვართ ........ (ჩილე).
5. შენ და შენი დეიდაშვილი ხართ ........ (ზიმბაბვე)?
6. ჩარლი არის ........ (ავსტრია).
7. თქვენ ხართ ........ (მარნეული).
8. პეტრე არის ........ (რუსეთი).
9. ლუსინე და კარენი არიან ........ (სომხეთი).
10. შენი მოსწავლე არის ........ (ნაურუ)?

**სავარჯიშო 5.** **ჩასვი დაბოლოებები --დან --მდე:**

ნიმუში: **თვიდან თვემდე** 30-31 დღეა. (თვე-თვე)

1. შესვენება გვაქვს ორი (საათი) ............ სამ (საათი) ............ .
2. (მარნეული) ............ (სადახლო) ............ არის დაახლოებით 38 კილომეტრი.
3. (დეკემბერი) ............ (იანვარი) ............ შვებულებაში ვარ.
4. (კვირა) ............ (კვირა) ............ შვიდი დღეა.
5. თათიას (სახლი) ............ (სამსახური) ............ შორია.
6. შოთა დასასვენებლად წავა (ივლისი) ............ (აგვისტო) ............ .
7. (წელი) ............ (წელი) ............ 12 თვეა.
8. ნოდარი (თებერვალი) ............ (მაისი) ............ ლონდონში ცხოვრობდა.
9. (სექტემბერი) ............ (ნოემბერი) ............ არის ორი თვე.
10. (აპრილი) ............ (ივნისამდე) ............ პროექტს ვამზადებთ.

**სავარჯიშო 6.** **უპასუხე კითხვებს; პასუხისათვის გამოიყენე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები შესაბამისი თანდებულებით:**

**მაგალითი:** სად იყო კონცერტი? კონცერტი იყო ფილარმონიაში

1. – იპოვე ჩემი წიგნები? სად იყო?
   (მაგიდა) ............
2. – ალო, ახლა, სად ხარ?
   (ლექცია) ............
3. – სად წავიდა დედა, არ გინახავს?
   (სოფელი) ............
4. – სად არის შენი აუდიტორია?
   (სართული) ............
5. – სად მიდის ეს ავტობუსი?
   (სურამი) ............
6. – ხვალ სად მიდის შენი კლასი?
   (ესკურსია) ............
7. – სად არის შენი სახლი?
   (მთავარი ქუჩა. კუთხე) ............
8. – სად გაფრინდა შენი ქაღალდი?
   (ცა) ............
9. სად მიდიხარ?
   (სამუშაო) ............
10. რაზე ოცნებობ?
    (საზღვარგარეთ წასვლა) ............

## სავარჯიშო 7. გაეცანი მენიუს და მოქმედებითი ბრუნვის ფორმები (-ით) შეცვალე თანდებულიანი ფორმებით

**იხელმძღვანელეთ ნიმუშით:**

ღვეზელი ხორცით ▶▶▶ ღვეზელი ხორცთან ერთად

### აპეტაიზერი
**APPETIZER / АППЕТАЙЗЕР**

შემწვარი სულგუნი გაწურული მაწვნით 13.50 ₾
Fried Sulguni with wrung Matsoni
Жаренный сыр Сулугуни с Мацони

შემწვარი ელარჯის ბურთულები ნუშის ბაჟეთი
Fried Elarji balls with almond sauce 17.50 ₾
Жаренные шарики еларджы с мендалевым соусом Баже

შემწვარი კალმარის რგოლები წითელი ჩილის სოუსით
Fried calamari rings with red chilli sauce 17.50 ₾
Жаренные кольца кальмара в красном соусе чили

შემწვარი ქათმის ისრები თაფლის და მდოგვის სოუსით
Fried chichken sticks with honey and mustard sauce 16.50 ₾

მწვანე სალათი ნაკლებმარილიანი ორაგულით 19.50
Green salad with cured salmon
Зеленый салат с малосольным лососе[illegible]

ცეზარი ორაგულით
Caesar salad with salmon 26.00

კიტრი პომიდვრის სალათი ნიგვზით
Cucumber and tomato salad with walnuts 11.00 ₾
Салат из помидоров и огурцов с грецкими орехами

თხის ყველის სალათი ხილით
Goat cheese salad with fruits 29.00 ₾
Салат из козьего сыра с фруктами

ბადრიჯანი ნიგვზით
Eggplant with walnuts
Баклажаны с грецкими орехами

აწეწილი ბადრიჯანი ნივრით და ქინძით
Pulled eggplant with garlic and coriander
Баклажаны с чесноком и кинзой

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**სავარჯიშო 8.** **დაასრულე სიტყვები ტექსტში:**

მე მოსწავლე ვარ, მე-5 კლას-- ვსწავლობ. დილით ვიღვიძებ 8 საათ--, ვდგები, ვემზადები სკოლ--- და ცხრას რომ აკლია თხუთმეტი წუთი, გავდივარ სახლ----. გაჩერება-- ფეხით მივდივარ. იქ ავდივარ ავტობუს-- და მივდივარ სკოლ--- 9 საათ--. სკოლაში მეგობარ--- ერთად დავდივარ. გაკვეთილების დასრულების ..................................... მივდივარ ბიბლიოთეკაში წიგნი------. ბიბლიოთეკი--- მივდივარ ხატვა--. ჩემი სახლი სამხატვრო სკოლა----- ახლოსაა, ამიტომ სახლი---- ფეხით მივდივარ. ვისვენებ, მუსიკას ვუსმენ და ვმეცადინეობ. ექვს საათ-- ვვახშმობ. შვიდი საათი--- 9 საათ---- ვუყურებ ფილმს ან ვკითხულობ წიგნს. ზოგჯერ ყველა ერთად მივდივართ სპექტაკლ-- ან კაფე--. ათ ან თერთმეტ საათ-- ვიძინებ.

# A1 / A2

**სავარჯიშო 1.** **დააკვირდი სქემას; ნიმუშის მიხედვით დაწერე სიტყვა საჭირო ფორმით და შეადგინე წინადადება:**

| | |
|---|---|
| **მაგიდა+სთან**<br>**მდინარე+სთან**<br>**უთო+სთან**<br>**რუ+სთან** | მაგრამ –<br>**სახლ (ი)+თან**<br>**მეგობარ+თან**<br>**საათ+თან**<br>**ქურქელ+თან** |

**ნიმუში:** (სუფრა) სუფრასთან; სტუმარი სუფრასთან დაჯდა.
(თეფში) თეფშთან; თეფშთან დანა-ჩანგალიც უნდა იყოს.

ზღვა ..........................................................................

..........................................................................

ტყე ..........................................................................

..........................................................................

ქალაქი ..........................................................................

..........................................................................

სკოლა ..........................................................................

..........................................................................

ღუმელი ..........................................................................

..........................................................................

გზა ..........................................................................

..........................................................................

ძაღლი..........................................................................

..........................................................................

წყარო ..........................................................................

..........................................................................

კუ ..........................................................................

..........................................................................

# A2

**სავარჯიშო 1.** **აირჩიე შესაფერისი თანდებული:**

| დან – ადგილი, შენობა; (საიდან?) | გან – მასალა, ადამიანი; (რისგან? ვისგან?) |
|---|---|
| ბიბლიოთეკი**დან წიგნი წავიღე.** | ნინოს**გან წიგნი წავიღე.** |
| | **ქაღალდს** ხის**გან ამზადებენ**. |

1. ............................................ 2 საათზე მოვდივარ. (სკოლიდან / სკოლისგან)
2. გოზინაყს თაფლისა და ........................................ ამზადებენ. (კაკლიდან / კაკლისგან)
3. გუშინ თამარი ............................................ გვიან დაბრუნდა. (ნათიადან / ნათიასგან)
4. შენი ძმა ................................. როდის ჩამოვიდა. (ლონდონიდან / ლონდონისგან)
5. საცივის რეცეპტი ................................ ვისწავლე. (მზარეულიდან / მზარეულისგან)
6. ნიკა .............. ერთი თვის წინ გაწერეს. (საავადმყოფოდან / საავადმყოფოსგან)
7. სოსო, წიგნი ამოიღე ............................................ ! (ჩანთიდან / ჩანთისგან)
8. ............................................ როდის მოიტანენ დივანს? (მაღაზიიდან/მაღაზიისგან)
9. ლიკამ ........................................ ულამაზესი გირლიანდები დაამზადა. (ქაღალდიდან / ქაღალდისგან)
10. ამირანმა ............................................ წითელი ცხვირსახოცი ამოიღო. (ჯიბიდან / ჯიბისგან)

## სავარჯიშო 2.

### ა) ტექსტში გახაზე -ვით თანდებულიანი ფორმები -ვით – ისეთი, როგორიც. გამოხატავს მსგავსებას

ბუბას მართლა ბავშვივით გული ჰქონდა. რაც უნდა ცუდი გაგეკეთებინა, უცებ ავიწყდებოდა. ფართოდ გაახელდა მთვარესავით თვალებს, ჩიტივით გაშლიდა უზარმაზარ ხელებს, თავს გადააქნევდა და დინჯი ნაბიჯით წავიდოდა. მიდიოდა დათვივით ბაჯბაჯით, მიდიოდა და გულით მზე მიჰქონდა.

მისგან განსხვავებით პავლე სვავივით იყო. ბოროტებით სავსე გული ჰქონდა. ერთი პატარა წყენაც კი ზღვასავით ავსებდა, აყვირდებოდა და ყველას ეჩხუბებოდა. ყველას ეშინოდა მისი. ჭირივით ერიდებოდნენ. ერთი სიტყვით, ორი სხვადასხვა მხარე იყო, ნათელი და ბნელი.

### ბ) გახაზული ფორმების გამოყენებით შეადგინე წინადადებები

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........

## სავარჯიშო 3. შეარჩიე შესაბამისი თანდებული (-ში, -ზე,) და ჩაწერე:

1. მე ვცხოვრობ თბილის--, აღმაშენებლის ქუჩა--.
2. ახალი წიგნები მაგიდა-- ეწყო.
3. დღეს ჩემი საყვარელი მომღერალი ჩამოდის და მივდივარ კონცერტ--.
4. სტადიონ-- უამრავი ადამიანი შეკრებილიყო.
5. მე ყოველ ზაფხულს ვისვენებ ზღვა--, ბათუმ--.
6. ნიკო ყოველთვის აგვიანებს გაკვეთილ-.
7. გუშინ მარინა გამოფენა-- იყო.
8. მაცივარ-- ყველაფერი ლამაზად შეელაგებინათ.
9. ყველაზე მთავარი ადამიან-- არის ღირსება.
10. ჩემი მეგობარი ხვალ ლონდონ-- მიემგზავრება.

## სავარჯიშო 4. აწარმოე სწორი ფორმა (-ი-ვით / სა-ვით) და ისე ჩასვი ტექსტში:

**მაგალითად:** ვაშლ-ი-ვით – ისეთი, როგორიც ვაშლი
გოგონა-სა-ვით – ისეთი, როგორიც გოგონა

1. მამაჩემის დიდი ბაბუა .................... კაცი იყო. (მთა)
2. კოწია .................... ერთგული ადამიანი იყო. (ძაღლი)
3. .................... ვერავინ დაგამახსოვრებს თავს თავისი სიძველეებით. (თბილისი)
4. .................... ნათელი იყო ყველაფერი. (დღე)
5. ისე გაალამაზა ყველაფერი, .................... ბრწყინავდა. (სასახლე)
6. უკანასკნელი .................... ამღერდა. (გედი)
7. თბილი, საოცრად თბილი ხელები ჰქონდა დედას, .................... . (თონე)
8. ჩემს შემოხედვაზე .................... რატომ გაწითლდი? (ბავშვი)
9. ისეთი დიდი და ბუმბერაზი იყო, .................... . (დევი)
10. ისეთი ჰაერივით გოგო იყო, .................... . (პეპელა)

**სავარჯიშო 5. დააკვირდი სქემას და მოცემულ სიტყვასთან გამოიყენე სწორი თანდებული (-ში; -ზე):**

შენობა **-ში** ღონისძიება **- ზე**

**ნიმუში:** მე დავდივარ სკოლა-ში **ნიმუში:** მე მივდივარ კონცერტ-ზე

1. მე ხშირად ვვარჯიშობ ........................................ (დარბაზი).
2. მე ძალიან მიყვარს ........................................ (თეატრი) სიარული, მაგრამ წელს ........................................ (სპექტაკლი) არ ვყოფილვარ.
3. ლიზი ხვალ მიდის ........................................ (დაბადების დღე).
4. ........................................ (საკლასო ოთახი) წიგნების კუთხე გვაქვს.
5. დედა ყოველ დილას დადის ........................................ (ბაზარი).
6. მომავალ წელს ჩვენ მივდივართ ........................................ (ბანკეტი).
7. ამ ........................................ (სასტუმრო) ორი ოთახია თავისუფალი.
8. ორი კვირის შემდეგ ............................ (ექსკურსია) მივდივართ ............................ (მუზეუმი).
9. მე თოვლის ბაბუას როლში ვიქნები სკოლის საახალწლო ...............................(ზეიმი).
10. ამ ........................................ (კინოთეატრი) ორასი ადგილია მაყურებლებისთვის.
11. ჩვენი სკოლიდან სამი მასწავლებელი წავიდა ........................................ (ტრენინგი).
12. შარშან 26 მაისს დამოუკიდებლობის ................................ (დღესასწაული) ძალიან ბევრი ახალგაზრდა იყო.
13. გაგა ფიზიკის ........................................ (გაკვეთილი)ა.
14. პროფესორი ჯავახიშვილი აგვისტოს დასაწყისში ........................................ (კონფერენცია) გამოდის.
15. შავ პარასკევს .................................. (მოლი) უამრავი ადამიანი დადის საყიდლებზე.

**სავარჯიშო 6. დროის გამოსახატავად სწორად შეარჩიე თანდებული (ში, ზე, იდან, დან, თვის):**

საღამოს რვა საათ-- ყველა დიდ დარბაზში შეიკრიბა და ტრადიციულად საინტერესო ამბების მოყოლა დაიწყეს.

კაპიტანმა ჩაახველა, ერთი წუთით ფიქრმა გადაიყვანა წარსულ-- და დაიწყო: ახალგაზრდობა-- თავგადასავლები მიზიდავდა. ბევრის მომსწრე ვარ, მაგრამ ეს ყველაზე საუცხოო ისტორიაა წარსული--:

1918 წლის ოქტომბერ--, შემოდგომა--, უცნაური ამინდები დაიწყო ქალაქში: ხან ციოდა, ხანაც ცხელოდა; დილით დაეცემოდა ტემპერატურა, საღამოს--- კი ისეთ მაღალ ნიშნულზე ადიოდა, სუნთქვა ჭირდა. ასე გაგრძელდა ოქტომბრ---, ნოემბრ---, დეკემბრის ბოლოსა--- ყველაფერი დამშვიდდა.

მერე ასე ამბობდნენ ქალაქელები გასულ შემოდგომა--: გაგვიბრაზდა, გადაირია და ბოლოს ჭკუაზე მოვიდაო.

## სავარჯიშო 7.

ა) **გაეცანი მითითებას. განსაზღვრე რა ფუნქცია აქვს -თან თანდებულს წინადადებაში და მიუწერე:**

-თან თანდებულიანი ფორმა აღნიშნავს:

ა) საგნის სიახლოვეს – **სახლთან იდგა**

ბ) მიმართულებას – **სკოლასთან მიდის**

გ) თანაობას – **დედასთან ერთად**

1. მეგობრებთან ერთად ექსკურსიაზე ვიყავი. ..............................
2. უნივერსიტეტთან პატარა მყუდრო კაფეა. ..............................
3. მაგიდასთან იჯდა მაღალი კაცი და კითხულობდა. ..............................
4. ყველაფერი გავიგე, ხვალ პარკთან მოვალ. ..............................
5. ნიკას მკერდთან პატარა ჭრილობა ჰქონდა. ..............................
6. მეზობელთან პატარა ბიჭი მოვიდა. ..............................
7. ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუის. ..............................
8. ყოველდღე ქალი ზღვასთან მიდიოდა და მზის ამოსვლას უყურებდა. ..............................
9. მოდი ხვალ ტყესთან შევიკრიბოთ და ყვავილები დავკრიფოთ. ..............................
10. ჩემი საკლასო ოთახი ბიბლიოთეკასთანაა. ..............................

ბ) **დააკვირდი სურათებს და შეადგინე წინადადებები -ზე და -თან თანდებულის გამოყენებით:**

**გაითვალისწინე!**

| | | |
|---|---|---|
| თანხმოვანფუძიანებთან | ფუძე+ თან | ბაღ+თან |
| ხმოვანფუძიანებთან | ფუძე+ ს+თან | კლდე+ს+თან |



1. ....................

2. ....................

3. ....................



1. ....................

2. ....................

3. ....................

გ) თანდებულიანი ფორმების გამოყენებით და სურათების მიხედვით შეადგინე ორი პატარა ამბავი :

1. ....................

2. ....................

**სავარჯიშო 9.** **დააკვირდი ნიმუშებს და მიუთითე რას გამოხატავს -თვის თანდებული ხაზგასმულ სიტყვებში:**

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა + **თვის** – ოჯახ-ის-თვის...

**დრო** – ცხრა საათისთვის
**დანიშნულება** – მეგობრისთვის
**მიზანი** – შვილის მომავლისთვის
**მიზეზი** – ზარმაცობისთვის
**ბოდიშის მოხდა** – ბოდიში დაგვიანებისთვის
**მადლობის გადახდა** – გმადლობთ სიყვარულისთვის

1. ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო. ...............
2. ქალაქში გასულ წელსააშენეს თავშესაფარი მოხუცებისთვის. ...............
3. ლექციაზე სიცილისთვის სტუდენტმა გაფრთხილება მიიღო. ...............
4. ეს არის ყველაზე მოკლე ნაბიჯი წარმატებისათვის. ...............
5. უხეშობისათვის ფეხბურთელი სტადიონიდან გააძევეს. ...............
6. დიდი მადლობა ასეთი ზრუნვისათვის. ...............
7. 12 საათისთვის ყველა მოსწავლე სკოლასთან შეიკრიბა. ...............
8. ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმია. ...............
9. ბოდიში შეწუხებისთვის, ხომ ვერ დამეხმარებით? ...............
10. გიორგი წარმატებისათვის ბევრს მეცადინეობდა. ...............

**სავარჯიშო 10.** **შეადგინე -თვის თანდებულიანი ფორმების გამოყენებით მსგავსი წინადადებები:**

...............

...............

...............

...............

...............

**სავარჯიშო 11. შემოხაზე სწორი პასუხი:**

1. **რომელი ხაზგასმული სიტყვა წერია შეცდომით?**
   ა) მშიერი მგელი ძაღლივით ყეფდა.
   ბ) დალის მამა პატარა ბავშვივით ტიროდა.
   გ) მეზობლის ბურთს დოლივით ურტყამდნენ ეზოს ბავშვები.
   დ) ისეთი საღამო იდგა, დილავით ანათებდა მზე.

2. **რომელი ხაზგასმული სიტყვა წერია შეცდომით?**
   ა) დაღამდა, მაგრამ ახალი მთვარე მზესავით ანათებდა.
   ბ) პატარა ბოკვერს ლომსავით ფაფარი ჰქონდა.
   გ) ბებიამ მთვარესავით ჭადები ბუხრიდან გამოიღო, წინსაფარი გადაუსვა და სუფრაზე დაალაგა.
   დ) ჩემი ეზო ბაღჩავით იყო აყვავებული.

3. **რომელი ხაზგასმული სიტყვა წერია შეცდომით?**
   ა) გაჩერებასთან სამი მოხუცი ქალბატონი საუბრობდა.
   ბ) დედამ ბარათთან ერთად წიგნებიც მიიღო ჯარში წასული შვილისგან.
   გ) საქართველოს ფოსტის ბიჭმა ამანათან ერთად წერილიც მოიტანა.
   დ) კართან სამი სველი ძაღლი იდგა და კუდს აქნევდა.

4. **რომელი ხაზგასმული სიტყვა წერია შეცდომით?**
   ა) მთელი ზაფხული უბნის ბავშვები მდინარეზე იყვნენ.
   ბ) ჩემი მეგობრები არასდროს ამბობენ უარს თევზზე.
   გ) მახარე მესამე კლასში იყო და ხაზზე სწორად ვერ წერდა ასოებს.
   დ) ჩემს კატას ძალიან უყვარს სახურავზე ძილი.

5. **რომელი ხაზგასმული სიტყვა წერია შეცდომით?**
   ა) ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლი უფრო ადრე დაიდგა, ვიდრე თბილისში.
   ბ) მთელი დღეები შიშში გაატარა პატარა თაგუნამ.
   გ) მანუჩარი მთელი დღე არ ბრუნდებოდა სახლში.
   დ) ჯარისკაცებს საახალწლო მარში სამხედრო მარში შეეშალათ.

**სავარჯიშო 12.** **შეარჩიე და ჩაწერე შესაბამისი თანდებულიანი ფორმა:**

1. ოცი წლის ახალგაზრდა .................................................... (ბავშვივით / ბავშვთან) დარბოდა სტადიონზე.
2. დილით მამამ ცხელი პური მოიტანა და .............................................. (მაგიდაზე / მაგიდაში) დადო.
3. ისე უცებ დაიწყო კოკისპირული წვიმა, რომ ბავშვებმა .................................................... (სახლში / სახლზე) შესვლა ვერც კი მოასწრეს.
4. სტომატოლოგიურ კაბინეტში ახალგაზრდა ქალი .................................................... (შვილთან / შვილივით) ერთად შევიდა.
5. ლამარას ახალი კაბა თავისი .............................. (ქალიშვილისთვის / ქალიშვილისგან) უნდოდა.
6. მანუჩარმა გაზეთები მაგიდაზე დაალაგა და .................................................... (ტელევიზორისკენ /ტელევიზორისგან) წავიდა.
7. ცხრა წელი გავიდა, რაც იამზეს თავისი .................................................... (მეგობრისგან / მეგობრიდან) წერილი არ მიუღია.
8. სკოლაში .................................................... (მისვლისთანავე /მისვლისთვის) ნინიკომ ჩანთიდან ისტორიის სახელმძღვანელო ამოიღო და კითხვა დაიწყო.
9. გუშინ ჩვენი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტი .................................................... (მეუღლისგან / მეუღლითურთ) ჩამობრძანდა საქართველოში.
10. დედამ წიგნები მიიღო თავისი შვილის .................................................... (მასწავლებლისგან / მასწავლებლიდან).
11. მუშებმა ჯერ ბოლომდე დაასრულეს საქმის კეთება და შემდეგ დაიწყეს .................................................... (უფროსისგან / უფროსიდან) მოტანილი კერძების ჭამა.
12. რენატი მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ელოდა .................................................... (მეგობრებისგან / მეგობრებიდან) დაპატიჟებას.

## სავარჯიშო 13. შეარჩიე შესაბამისი ფორმა და ჩაწერე:

1. მამამ მაგიდა ............................ მიდგა. (კედელთან / კედელზე)
2. ლიამ ახალი სურათი ............................ დაკიდა. (კედელთან / კედელზე)
3. ჩვენი სახლი ............................ ახლოს იდგა. (ტყესთან / ტყეზე)
4. ამ უდაბურ ............................ ბევრი რამ მიამბო პაპაჩემმა. (ტყესთან/ ტყეზე)
5. ფუტკარი მინდვრის ............................ მიფრინდა. (ყვავილებთან / ყვავილებზე)
6. პეპლები მინდვრის ............................ დასხდნენ. (ყვავილებთან / ყვავილებზე)
7. ციყვი ნაძვის ............................ ახტა. (ხესთან / ხეზე)
8. ბურთი ერთ ............................ მიგორდა. (ხესთან / ხეზე)
9. მასწავლებელი ჩემს ............................ გაჩერდა. (მერხთან / მერხზე)
10. წიგნი ჩანთიდან ამოვიღე და ............................ დავდე. (მერხთან / მერხზე)

## სავარჯიშო 14. შეარჩიე წინადადებისთვის შესაფერისი ფორმა და ჩაწერე:

1. ჩიტუნიამ ............................ პატარა ბუდე გაიკეთა. (ბალახებისგან / ბალახებიდან)
2. ჩიტუნია ............................ ამოფრინდა. (ბალახებისგან/ბალახებიდან)
3. მან ყველაფერი ............................ დაამზადა. (ყვავილებისგან / ყვავილებიდან)
4. ეს სურნელი მინდვრის ............................ მოდის. (ყვავილებისგან / ყვავილებიდან)
5. ............................ ულამაზეს ნივთებს ამზადებენ. (ხისგან / ხიდან)
6. ნანამ ნაძვის ............................ სათამაშოები ჩამოხსნა და შეინახა. (ხისგან / ხიდან)
7. ბავშვები სველი ............................ კოშკს აკეთებენ. (ქვიშისგან / ქვიშიდან)
8. ცხელი ............................ პატარა კუ გამოძვრა. (ქვიშისგან / ქვიშიდან)
9. ............................ ძლივს აძვრა მაგნიტი. (რკინისგან / რკინიდან)
10. პაპამ ნიკას ............................ პატარა ხმალი გაუკეთა. (რკინისგან / რკინიდან)

ქართულში მსგავსების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა **-ვით** თანდებულის დართვა სახელზე.

- თანხმოვანფუძიანი სახელები: სახელობითს+ვით (**სახლი + ვით**);
- ხმოვანფუძიანი სახელები: მიცემითს + ა + ვით ; (**მთა - ს + ა + ვით**)

## სავარჯიშო 15.

**ა) ჩაწერე მოცემული სახელები შესაბამის სვეტებში და, ზემოთ მოცემული წესისა და ნიმუშების მიხედვით, აწარმოე მსგავსების გამომხატველი ფორმები:**

თოვლი, გზა, ხე, მაიმუნი, კლდე, ლიმონი, თაფლი, ურო, შაქარი, რძე, ყინული, კუ.

| ხმოვან-ფუძიანი | -ვით თანდებულიანი მსგავსების გამომხატველი ფორმა | თანხმოვან-ფუძიანი | -ვით თანდებულიანი მსგავსების გამომხატველი ფორმა |
|---|---|---|---|
| მთა | მთა-ს-ა-ვით | სახლი | სახლი-ვით |

**ბ) დააკვირდი ზემოთ მოცემულ წესს და ჩასვი მოცემული სიტყვა სწორი ფორმით:**

1. წყალი ................................ ცივია. (ყინული)
2. ბიჭი ................................ დახტოდა ხეებზე. (მაიმუნი)
3. მას ................................ თეთრი ხელები ჰქონდა. (თოვლი)
4. ეს მიწა ................................ მაგარია. (კლდე)
5. ეს ვაშლი ................................ მჟავეა. (ლიმონივით / ლიმონისავით)
6. ბებომ ................................ ტკბილი ნამცხვარი გამოაცხო. (თაფლისავით / თაფლსავით)
7. გოგონა ალვის ................................ მაღალი იყო. (ხესავით / ხისავით)
8. ის ................................ ნელა მიდის. (კუ)
9. ამ კაცის ამბავი ................................ გრძელი იყო. (გზა)
10. მისი ჩანთა ................................ მძიმეა. (ურო)

**გ) ცხრილში ნაწარმოები სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

**ნიმუში:** ა) ეს კაცი **მთასავით** მაღალია. ბ) ეს ბინა ჩემი **სახლივით** თბილი არაა.

1. ................................
2. ................................
3. ................................
4. ................................
5. ................................
6. ................................
7. ................................
8. ................................
9. ................................
10. ................................

## სავარჯიშო 16.

**ა) გახაზე ტექსტში მსგავსების გამომხატველი სიტყვები:**

სოხუმელი ბერძენის, ხრისტო ალექსანდრიდის შვილი იყო იანგული. ნაფოტივით თხელსა და ბექებგანიერს სწორი, ლამაზი ცხვირი, ნახშირივით შავი თვალები და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. რომ იდგა, მუხლებამდე სწვდებოდა უზარმაზარი ტორები. თოთხმეტი წლისა იყო. თავის ტოლ უბნის ბიჭებს შიშის ზარს სცემდა. საოცარი ჩხუბი იცოდა, ორ-სამ ბიჭს ერთად გაასილაქებდა, ხელს არ გაანძრევინებდა. კატასავით სწრაფი იყო, კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი. ზამთარ-ზაფხულ სატინის შავი ხალათით დადიოდა მკერდგაღეღილი.

ნ. დუმბაძე „ HELLADOS"

**ბ) გახაზული სიტყვების გამოყენებით შეადგინე ახალი წინადადებები:**

## სავარჯიშო 17. ჩასვი სიტყვები -თან თანდებულიანი ფორმით:

1. მთელი სოფელი შეიკრიბა .................................... (წყარო).
2. გოჩა .................................... ცხოვრობს ქუთაისში (ძმა).
3. ჩვენს .................................... ორი დიდი ნაძვის ხე დგას (სახლი).
4. .................................... სტუდენტები დგანან (უნივერსიტეტი).
5. მანანა .................................... ზის და თმას ივარცხნის (სარკე).
6. გიორგი დათოს .................................... ელოდება (კორპუსი).
7. ხალხი მაღაზიის გვერდით .................................... თავიანთ რიგს ელოდებიან (ბანკი).
8. .................................... ბიბლუსის მაღაზიაა (მეტრო).
9. N2 მიკროავტობუსი მიდის საქართველოს ეროვნულ .................................... (არქივი).

| თანხმოვანფუძიან სიტყვებთან<br>**„......თან“** | ხმოვანფუძიან სიტყვებთან<br>**„......სთან“**<br>**(ა,ე,ო,უ + სთან)** |
|---|---|
| **ნიმუში:** დირექტორ**თან** მეგობარ**თან** | **ნიმუში:** ლეილა**სთან** გამგე**სთან** |

10. „ვაიკიკის“ მაღაზია სტუდენტურ .................................... არის (კაფე).
11. რომელი ტრანსპორტი დადის .................................... (თბილისი მოლი)?
12. ტექნიკის მაღაზია .................................... არის (ოპერა).
13. ნინი .................................... მეგობრობს (ნათია).
14. ლევანი ვიღაც უცნობ .................................... ლაპარაკობს ქუჩაში (ბიჭი).
15. ნია .................................... ერთად ისვენებს ბორჯომში (მშობლები).

### სავარჯიშო 18. წინადადებებში ჩასვი სიტყვა „მხატვარი“ შესაბამისი თანდებულიანი ფორმით:

ჩემი მეგობარი ............ ფუნჯი და საღებავები ვიყიდე.

ჩქარი ნაბიჯით წავიდა ცნობილი ............ პატარა შალვა.

ამ ............ ............ გადაიდო მნიშვნელოვანი შეხვედრა.

............ ვისწავლე, როგორ შევაზავო ფერები.

ეს ტილო დახატულია ცნობილი ............ ............ .

............ ............ გამოჩენილი უპატივცემულობა სამარცხვინო საქციელია.

### სავარჯიშო 19. ჩასვი სიტყვა საჭირო ფორმით :

**დაიმახსოვრე: -იდან** აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს (სახლიდან გავდივარ რვა საათზე), ან მოქმედების დაწყების დროს (ცხრა საათიდან სამ საათამდე ვარ სამსახურში).

**-ისგან** აღნიშნავს: მოქმედების განხორციელების წყაროს (მეგობრისგან მივიღე წერილი) და მასალას (ეს კოვზი ხისგან გამოთალა ბაბუაჩემმა).

**ნიმუში:** (მანქანა) მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა დედა და სახლისკენ წავიდა.

მამამ საბავშვო (ბაღი) ............ გამოიყვანა დღეს ილია.

სწავლა განახლდება (პირველი თებერვალი) ............ .

(მოსწავლეები) ............ ბევრს სწავლობს კარგი მასწავლებელი.

კონფერენციის შესახებ (კოლეგა) ............ გავიგე.

ბოთლებს და ცელოფანის პარკებს ამზადებენ (პოლიეთილენი) ............ .

(სიხარული) ............ თითქოს დაფრინავდა პატარა გოგონა.

სანთელი კეთდება (პარაფინი) ............ .

(გაკვეთილები) ............ მივდივარ ბიბლიოთეკაში.

**სავარჯიშო 20.**

**ა) ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩაწერე ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** (თბილისი და მარნეული) შორის;
თბილისსა და მარნეულს შორის

(კატა და თაგვი)-ვით
კატასა და თაგვსავით

(საქართველო და ამერიკა) შორის ........................................

(მეგობრები და მასწავლებლები) მიმართ ........................................

(გაციება და სიცხე) გამო ........................................

(დაწოლა და დაძინება) თანავე ........................................

(მშობლები და ახლობლები) მიერ ........................................

(წიგნი და რვეული)-ში ........................................

(სკოლა და სახლი)-თვის ........................................

(მეგობრები და ნათესავები)-გან ........................................

(გაზაფხული და შემოდგომა)-ზე ........................................

(მამა და მეგობარი)-ვით ........................................

**ბ) შეადგინე წინადადებები შენ მიერ წარმოებული თანდებულიანი სიტყვათშეთანხმებების გამოყენებით:**

**ნიმუში:** თბილისსა და მარნეულს შორის არის სოფლები: კუმისი და კოდა.
კატასა და თაგვსავით დარბოდნენ ოთახებში ნია და ლია.

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

### სავარჯიშო 21.

**ა) დააკვირდი სქემას, გადახაზე არასწორი ფორმა და დაწერე სწორი ფორმით:**

ჩემ
შენ
მის
ჩვენ
თქვენ
მათ

-თვის, -გან, -კენ; ----- მიერ, ----- მიმართ, ------ გამო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩემსკენ | შენგან | მისთვის | ........................ |
| შენ მიერ | შენს გამო | შენკენ | ........................ |
| ჩვენგან | ჩვენს მიმართ | ჩვენ გამო | ........................ |
| მათს მიმართ | ჩვენსკენ | შენ გამო | ........................ |
| თქვენ მიმართ | მათ მიერ | ჩვენ გამო | ........................ |
| ჩემსგან | ჩემკენ | ჩემ მიმართ | ........................ |
| შენგან | შენსკენ | შენს მიერ | ........................ |
| მისგან | მისთვის | მისსკენ | ........................ |

**ბ) დააკვირდი სქემას; ნიმუშის მიხედვით ჩასვი სიტყვა საჭირო ფორმით:**

**ნიმუში:** ჩემკენ სწრაფად მოდიოდა ბავშვი.

დღეს (შენი) ........................ წაკითხულმა ლექსმა გამახარა.

ეს სახლი ბაბუამ ააშენა, ბაღიც (მისი) ........................ არის გაშენებული.

სად ხართ? ჩვენ (თქვენი) ........................ მოვდივართ.

(ჩვენი) ........................ არ გადადო საქმეები, სხვა დროს გნახავთ.

ეს წიგნი (შენი) ........................ ვიყიდე, იმედია, მოგეწონება!

არ მომწონს (მათი) ........................ თქვენი დამოკიდებულება.

ეს კოქტეილი ხილისაა? (მისი) ........................ თუ მზადდებოდა კოქტეილი არ ვიცოდი.

**გ) თანდებულიანი ნაცვალსახელების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

........................................................................

........................................................................

........................................................................

## სავარჯიშო 22. თანდებულების გამოყენებით დაასრულე სიტყვები:

თბილისი საქართველოს დედაქალაქი და საქართველო- ყველაზე დიდი ქალაქია, აქ მილიონ-ნახევრ- ადამიანი ცხოვრობს. თბილის-- არსებობს ლეგენდა. ის გვიყვება თბილისის დაარსების ---------. თბილისი ქალაქებს ----------- ულამაზესია არა მარტო ძველი  შენობებით, ქუჩებით, ჩუქურთმიანი აივნებით, არამედ გულთბილი და კეთილი ხალხით. აქ ერთმანეთ--- მეგობრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ებრაელები... ისინი ერთმანეთის--- ბევრს სწავლობენ. თბილისში ახლად გაცნობილ ადამიანსაც კი დიდ ხნის ნაცნობი---- ექცევიან. თბილისის ქუჩების----- ჩვეულებრივია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი. აქ ყველა სტუმარს ჩამოსვლ---- წასვლა---- დიდ პატივს სცემენ. მე ხვალ გავემგზავრები ჩემი უსაყვარლესი ქალაქის--- და ბედნიერების--- ამაღამ, ალბათ ვერ დავიძინებ.

# A2 / B1

**სავარჯიშო 1.** სავარჯიშოს მიზანი – დაწესებულებისა და პიროვნების შეპირისპირების კონტექსტი

| -ში<br>დაწესებულება (შენობა) | -(ს)თან<br>პიროვნება |
|---|---|
| **ნიმუში:** მე მივდივარ საავადმყოფო-**ში** | **ნიმუში:** მე მივდივარ ექიმ-**თან** |

1. გუშინ მთელი დღე ვიყავი .................................... და ვკითხულობდი წიგნს (სახლი).
2. მე დავდივარ .................................... (სკოლა).
3. ლია და თიკო საღამოს მათემატიკის .................................... მიდიან (მასწავლებელი).
4. დღეს სკოლის .................................... ვიყავი (დირექტორი).
5. მე ვრეკავ .................................... .................................... (ოფისი / მენეჯერი).
6. ხვალ ჩემი და .................................... რჩება სახლში (მეგობარი).
7. დღეს მე ვიყავი .................................... . საქმე მქონდა .................................... (ბანკი / კრედიტ-ოფიცერი).
8. ჩვენს ქუჩაზე ხანძარია. ჩემი მეზობელი რეკავს .................................... (სახანძრო).
9. მოქალაქეები ქუჩაში .................................... ლაპარაკობენ (პოლიციელი).
10. ბიძაჩემი უკვე 10 წელია .................................... მუშაობს (პოლიცია).
11. მენეჯერი .................................... საუბრობს (თანამშრომლები).
12. კომპანიის თანამშრომლები .................................... დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე არიან (სამსახური).
13. მანქანა გამიფუჭდა და .................................... მივდივარ (ავტომექანიკოსი).
14. მთელი დღე .................................... ვიქნები (ავტოსახელოსნო).
15. დათა ბიძია .................................... ლაპარაკობს .................................... (მეზობელი / ეზო).

## სავარჯიშო 2. დააკვირდი სქემას და ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით:

სავარჯიშოს მიზანია კონტექსტი – სივრცეში ორიენტაცია – შენობის შიგნით, თუ შენობასთან ახლოს

| **-ში**<br>შენობის შიგნით | **(ს)თან**<br>შენობასთან ახლოს |
|---|---|
| **ნიმუში:** ბანკ**ში**, მაღაზია**ში** | **ნიმუში:** ბანკ**თან**, მაღაზია**სთან** |

1. გიორგი სალაროსთან დგას. ის ახლა არის ................................ (ბანკი).
   გიორგი ბანკის წინ დგას. ის ახლა არის ................................ (ბანკი).
2. მზია პირველ სართულზე გაკრულ კედლის გაზეთს კითხულობს.
   ის ახლა ................................ არის (სკოლა).
3. მზია სკოლის შენობიდან გავიდა და იქვე გაჩერდა. ის ახლა ................................
   დგას (სკოლა).
4. გიორგი, ახლა გამოვდივარ სახლიდან, სად იქნები, სახლში?
   არა, გარეთ ვიქნები ................................ (კორპუსი).
5. 9 აპრილის ბაღი არის ამერიკის საელჩოს ძველ ................................ (შენობა).

## სავარჯიშო 3.

### ა) გაეცანი მითითებას და დაასრულე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

დაიმახსოვრე: **-ში თანდებულიანი ფორმები აღნიშნავს:**

ა) **კონკრეტულ აქტივობაში მონაწილეობას:** ნინო ფილმში თამაშობს მთავარ როლს

ბ) **მოქმედების დროს სხვა ქმედებას:** ის თამაშში ჩაერია.

გ) **შემოსაზღვრული ტერიტორიის / საგნის შიგნით:** სახლში ოთხი ოთახია: ჩანთაში წიგნია.

დ) **დროის მონაკვეთს:** ის სამ საათში იმღერებს;

ე) **წელიწადის დროებს:** ზამთარში; ზაფხულში

ვ) **საგნის ღირებულებას:** კაბაში რა გადაიხადე?

1. ორ თვე-- გაზაფხული დადგება.
2. ევროპა-- ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტი სოფელი ბოჭორნაა.
3. თმა-- ჭაღარა შეერია ბებოს.
4. ზაფხულ-- ყველაზე მეტი ადამიანი ისვენებს.
5. ამ ფილმ-- ჩემი საყვარელი მსახიობი თამაშობს.
6. დასასვენებლად ხშირად დავდივარ მთა--.
7. ჩაი-- ბევრ შაქარს ნუ ჩაყრით! – გვირჩევენ ექიმები.
8. მეგობრების საუბარ-- არ ჩავერევი.
9. ამ ფეხსაცმელ-- ძვირი გადავიხადე, მაგრამ კმაყოფილი ვარ.
10. თავის ძველ სახლ-- დაბრუნდნენ ფიდო პაპა და ესმა ბებია.
11. ოთხ წელ-- ერთხელ მოდის 29 თებერვალი და მას ნაკიანი წელიწადი ჰქვია.
12. ყველას არ უყვარს სამზარეულო-- ფუსფუსი.

### ბ) შეუსაბამე წინადადებების ნომრები მითითების პუნქტებს:

გაითვალისწინეთ: შესაძლებელია ერთ პუნქტს შეესაბამებოდეს რამდენიმე წინადადება

ა) .................... ბ) .................... გ) .................... დ) ....................

ე) .................... ვ) ....................

### სავარჯიშო 4.

**ა) გაეცანი მითითებას და დაასრულე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:**

დაიმახსოვრე: **-ზე თანდებული გამოიყენება და აღნიშნავს:**

ა) **საგნის ზედაპირს:** მაგიდაზე დგას ლარნაკი.

ბ) **ზუსტ დროს:** ცხრა საათ**ზე** იწყება შეხვედრა; სამ**ზე** მოვალ შენთან.

გ) **წელიწადის დროებთან:** გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

დ) **ვინმეს ან რამის შესახებ:** ამ წიგნზე ვსაუბრობთ ორივე; „დედაზე ისეთი რა უნდა ვთქვა...“

ე) **ხარისხის ფორმის საწარმოებლად:** ნანაზე მაღალია, მაგრამ დათოზე დაბალია სანდრო, ანუ დათო ყველაზე მაღალია.

ვ) **ღონისძიებაზე დასასწრებად წასვლას.** სპექტაკლზე მივდივარ; პაემანზე არ დააგვიანო.

1. ყველაზე მაღალ მთა-- გარეკა საბალახოდ ცხვარი მწყემსმა.
2. გაკვეთილ-- დროულად მისვლა აუცილებელია.
3. თორმეტ-- გადავწყვიტეთ გასვლა.
4. უშგულ-- მაღალი დასახლებული პუნქტია ბოჭორნა.
5. შემოდგომა-- განახლდა სწავლა სკოლებში.
6. ზღვისპირა კურორტებ-- ზაფხულში ბევრი ხალხია.
7. საქართველო-- ხშირად საუბრობენ ევროპული ტელეარხების ჟურნალისტები.
8. ამ აუქციონ-- დასწრება მეგობარმა მირჩია.
9. კულინარია-- ბევრს ვკითხულობდი.
10. მზე-- გარუჯვა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

**ბ) შეუსაბამე წინადადებების ნომრები მითითების პუნქტებს:**

**გაითვალისწინეთ:** შესაძლებელია ერთ პუნქტს შეესაბამებოდეს რამდენიმე წინადადება

ა) .................... ბ) .................... გ) ....................

დ) .................... ე) .................... ვ) ....................

გ) **დაუბრუნდი წინა სავარჯიშოების მითითებებს და შეადგინე წინადადებები მოცემულ სიტყვებზე ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** საბადურის **ტყე-ზე** წერილი წავიკითხე.
დღეს საბადურის **ტყე-ში** დიდი თოვლი მოვიდა

სოფელზე, კაფეში, ხელში, დედაზე, ფილმზე, სოფელში, ფილმში, მაგიდაზე, სახლში, მთაზე, მთაში.

1. ...............................................
2. ...............................................
3. ...............................................
4. ...............................................
5. ...............................................
6. ...............................................
7. ...............................................
8. ...............................................
9. ...............................................
10. ...............................................

## სავარჯიშო 5.

### ა) დაუკავშირე სიტყვები ფრაზებს:

**ნიმუში:** ძმაზე (უფროსი/ უმცროსი) ▶ ძმასთან შედარებით ასაკით (დიდი /პატარა)

| | |
|---|---|
| ლომივით | ჩემი ძმის შესახებ |
| სამზარეულოში | როგორც ლომი |
| ჩემს ძმაზე | იქ, სადაც დედაა |
| დედასთან | სამზარეულოს შიგნით |
| დედასავით | ერთი კვირის შემდეგ |
| ფურცელზე | როგორც დედა |
| ერთ კვირაში | ფურცლის ზედაპირზე |
| მეგობართან ერთად | მეგობარიც მახლავს |
| მანქანაში | საქართველოსთან შედარებით |
| საქართველოზე (დიდი) | მანქანის შიგნით |

A პუნქტსა და B პუნქტს შორის / შუა




### ბ) შეადგინე წინადადებები მარცხენა სვეტში მოცემული სიტყვების გამოყენებით:

**ნიმუში:** ლია ძმაზე სამი წლით უფროსია.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........
11. ..........

### სავარჯიშო 6.

**ა) დაუკავშირე სიტყვა შესაბამის ფრაზას ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** სახლისთვის ▶ სახლში გამოყენების მიზნით

| | |
|---|---|
| ოფისისთვის | ახალ წელს რომ გამოვიყენოთ |
| მეგობრისგან | თოვლის ბაბუას მიერ |
| ახალი წლისთვის | მოსწავლეებზე განხორციელებული |
| სახლისკენ | ოფისის საჭიროებისთვის |
| თოვლის ბაბუასგან | მეგობარმა რომ გადმომცა |
| ჩემი ძმისთვის | ბავშვებმა რომ გააკეთეს |
| მოსწავლეების მიმართ | იმიტომ, რომ არდადეგები არის/იქნება |
| ბავშვების მიერ | სახლის მიმართულებით |
| არდადეგების გამო | როგორც კი დაიწყო |
| დაწყების თანავე | ჩემი ძმას სჭირდება |
| ფილმის დასრულების შემდეგ | როცა ფილმი მორჩება |

**ბ) ჩასვი საჭირო სიტყვა წინა სავარჯიშოს მარცხენა სვეტიდან:**

**ნიმუში:** თბილი ტანსაცმელი მჭირდება სახლისთვის (სახლში რომ ჩავიცვა)

ცხრა საათზე მოსწავლეები ................................ მიდიან.

ნინოს ნაძვის ხის ქვეშ დახვდა ................................ დატოვებული წიგნი.

8 მარტიდან 15 მარტამდე ................................ სკოლა არ იმუშავებს.

დედა ................................ გოზინაყს ამზადებს.

ჩვენი ................................ ახალი ავეჯი შეიძინეს.

ყვირილი ................................ ძალადობაა.

სიმღერის ................................ დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

საჩუქარს ვარჩევ ................................ .

ეს პროექტი მომზადებულია სკოლის ................................ .

საშინაო დავალება ................................ გადავიწერე.

## სავარჯიშო 7. შემოხაზე სწორი პასუხი:

1. რომელია სწორი ფორმა:
   ა) ჩვენს შესახებ
   ბ) თქვენ მიერ
   გ) შენს გამო

2. რომელია სწორი ფორმა:
   ა) ჩემს მეგობართან
   ბ) ჩემი მეგობართან
   გ) ჩემ მეგობართან

3. რომელია ზედმეტი:
   ა) დედისთვის
   ბ) დილისთვის
   გ) პურისთვის

4. რომელი გამოხატავს გამორიცხვას?
   ა) სწავლის შესახებ
   ბ) სწავლის გარდა
   გ) სწავლისთვის

5. რომელი ფრაზა გამოხატავს მიზეზს:
   ა) ავადმყოფობის შესახებ
   ბ) ავადმყოფობის გამო
   გ) ავადმყოფობის მიმართ

6. რომელი არ გამოხატავს დროს:
   ა) დილისთვის
   ბ) დილიდან
   გ) დილასავით

7. რომელი არ გამოხატავს დროს:
   ა) შემოდგომაზე
   ბ) ორ საათზე
   გ) მაგიდაზე

8. რომელი არ გამოხატავს ადგილ-მდებარეობას:
   ა) მაგიდაზე
   ბ) გზაზე
   გ) გაკვეთილზე

9. რომელი სიტყვა ნიშნავს – მეგობართან ერთად:
   ა) მეგობარივით
   ბ) მეგობართან
   გ) მეგობრითურთ

10. რომელი გამოხატავს მასალას:
   ა) ხიდან
   ბ) ხისკენ
   გ) ხისგან

### სავარჯიშო 8.

**ა) ტექსტში მოცემულ სიტყვებს სწორად შეურჩიე თანდებულები (-ზე, -დან, -ში, -თან) და ჩაწერე:**

**იანგულის --** ჩემი ნაცნობობა 1938 წლის **შემოდგომა--** დაიწყო. დეიდაჩემმა ნინამ, ობლობა რომ არ მეგრძნო, **თბილისი---** ჩამოსული მეორე დღესვე მთელ **სოხუმ--** სახელგანთქმულ მუსიკის მასწავლებელ ელენა მიხაილოვნა **ნავროდსკაიას---**_მი- მიყვანა და სთხოვა:

– ობოლია, დედამისი **ვიოლინო--** ატარებდა, უდედობა და ობლობა რომ არ იგრძ- ნოს, უარს ნუ მეტყვით, აიყვანეთო.

ნავროდსკაიამ ჯერ სმენა გამისინჯა, მერე ნოტების **კითხვა--** გამომცადა, **თითებ--** დამხედა, ნიკაპის ქვეშ ხელით კოჟრი მომისინჯა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ მე- ორე **ოთახ--** გავიდა, **ოთახი---** ვიოლინო გამოიტანა, სიმები მოუშალა და ააწყვეო, მითხრა...

ნ. დუმბაძე. „ჰელადოს“

**ბ) ტექსტში ხაზგამულ სიტყვებზე შეადგინე წინადადებები:**

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........

**დაიმახსოვრე!** -თვის თანდებულიანი ფორმები გამოხატავს როგორც დროს (კითხვა – როდისთვის?), ასევე დანიშნულებას (კითხვები – ვისთვის? რისთვის?)!

## სავარჯიშო 9.

**ა) მოცემული სიტყვები გაანაწილე ცხრილში:**

**თეკლასთვის, ჩაისთვის, ორშაბათისთვის,** სამშაბათისთვის, პრეზენტაციისთვის, შემოდგომისთვის, პიჯაკისთვის, ჩემთვის, ხვალისთვის, მეგობრისთვის, გაზაფხულისთვის, ჯანმრთელობისთვის, ხუთი საათისთვის.

| დანიშნულების გამომხატველი<br>ვისთვის? რისთვის? | დროის გამომხატველი<br>როდისთვის? |
|---|---|
| თეკლასთვის, ჩაისთვის. | ორშაბათისთვის... |
| | |
| | |
| | |
| | |

**ბ) ცხრილში მოცემული სიტყვებიდან შეარჩიე შესაფერისი, ჩაწერე წინადადებაში და მიუწერე შესაბამისი კითხვა:**

**ნიმუში:** ეს წიგნი **თეკლასთვის** ვიყიდე. (ვისთვის?)
ეს ჭიქები **ჩაისთვისაა**. (რისთვის?)
**ორშაბათისთვის** ამ საქმეს დავამთავრებ. (როდისთვის?)

1. ლუკა ............ ინტერნეტში ინფორმაციას ეძებს.
2. ის ............ უკვე მზად იქნება თემის წარსადგენად.
3. დღეს თუ არა, ............ მაინც არაფერი დაგეგმო, კინოში წავიდეთ!
4. ანა ............ კაშნეს ქსოვს.
5. ფეხით სეირნობა ............ სასარგებლოა.
6. ............ უკვე სკოლაში ვიქნებით.
7. ............ ევროპაში მოგზაურობას ვგეგმავ.
8. ახალი ............ ლამაზი კაშნე ვიყიდე.
9. დედას ეს ნამცხვარი ............ გამოუცხვია.
10. ............ ............ დავპატიჟე სტუმრები.

B1

**სავარჯიშო 1. ჩაწერე გამოტოვებული თანდებულები:**

ერთ დღეს თანდებულები წაიჩხუბნენ. დავა დაიწყეს იმა--, რომელი იყო მთავარი და ყველა-- მნიშვნელოვანი მათ შორის.

მეო, ამბობდა – ......... თანდებული, ორ ბრუნვას ვეხმარებიო...

მერე რაო, არ დაუთმო – .... თანდებულმა, სამაგიეროდ სულ ვიღაცას ადარებ საკუთარ თავს, სხვა რა შეგიძლიაო?! შენ ჩემსა-- ჭკვიანი არ ხარ; აი, მე კი იმდენ საქმეს ვაკეთებო. ზუსტ დროს აღვნიშნავო, რომელ საათ-- უნდა დაიწყოს ადამიანმა ესა თუ ის საქმე, ჩემ გარეშე ვერ გაარკევესო; ზედაპირზე საგნებს ვაჩვენებო, რა--- დადგას ან დადოს ესა თუ ის საგანი; ვინმეს ან რამის შესახებ ვსაუბრობო, უფროს-უმცროსობის და ხარისხის გამოხატვა ჩემ გარეშე შეუძლებელია, მოკლედ მე ვარ, ვინც ვარო! არაფერიც! აპილპილდა – .... , ჩემზე მეტი შენ რით ხარო. მე შიგნით რაც არის დამალული, იმასაც ვაჩვენებო, სახლ-- თუ გარეთ, ყველგან საჭირო ვარო; დროსაც აღვნიშნავ და ერთის საქმეში მეორის ჩარევაც შემიძლია ისე, რომ ყველა კმაყოფილი იყოსო. მათს საუბარ-- ახლა ----- ჩაერია: ერთმანეთ-- თუ არ ვიმეგობრებთ ისე ვერაფერს გავაწყობთო. შეწუხდა მიცემითი ბრუნვა: ყველა საჭირო რომ არ იყოთ, ჩემს ადგილს კი არ დაგითმობდითო, – შესძახა თანდებულებს. რის--- კამათობთ, ვერ გავიგე და არაფრის ----------- რატომ სტკენთ გულს ერთმანეთსო. საღამო--- გაძლევთ დროს, თუ არა და რომელ ბრუნვასაც გინდათ, იმას დაუმეგობრდითო. მართალიაო, თქვა – ..... თანდებულმა, საქმეს ჩხუბა--- ნუ მიიყვანთო.

# 4

# მსაზღვრელ-საზღვრული

# თავი 4.
# მსაზღვრელ-საზღვრული

| ბრუნვები | I პირთან ახლო მყოფი საგანი | | II პირთან ახლო მყოფი საგანი | | III პირთან ახლო მყოფი საგანი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახელობითი | ეს ბიჭი | ეს | ეგ წიგნი | ეგ | ის გოგო | ის |
| მოთხრობითი | ამ ბიჭ**მა** | ამან | მაგ წიგნ**მა** | მაგან | იმ გოგო**მ** | იმან |
| მიცემითი | ამ ბიჭ**ს** | ამას | მაგ წიგნ**ს** | მაგას | იმ გოგო**ს** | იმას |
| ნათესაობითი | ამ ბიჭ**ის** | ამის | მაგ წიგნ**ის** | მაგის | იმ გოგო**ს** | იმის |
| მოქმედებითი | ამ ბიჭ**ით** | ამით | მაგ წიგნ**ით** | მაგით | იმ გოგო**თი** | იმით |
| ვითარებითი | ამ ბიჭ**ად** | ამად | მაგ წიგნ**ად** | მაგად | იმ გოგო**დ** | იმად |
| წოდებითი | ............ | ............ | ............ | ............ | ............ | ............ |

| | |
|---|---|
| **მიცემითი** | ამ ბიჭ**ივით**, მაგ გოგოს**ავით**, იმ კაც**ივით**<br>ამ სახლ**თან**, მაგ სახლ**თან**, იმ სახლ**თან**<br>ამ ბიჭ**ზე**, მაგ წიგნ**ზე**, იმ გოგო**ზე**<br>ამ სახლ**ში**, მაგ სახლ**ში**, იმ სახლ**ში**<br>ამ სახლებს **შორის**, მაგ სახლებს **შუა**, იმ სახლებს **შორის** |
| **ნათესაობითი** | ამ ბიჭის(ა)**თვის**, მაგ გოგოს(ა)**თვის**, იმ გოგოს(ა)**თვის**<br>ამ წიგნის(ა)**გან**, მაგ წიგნის(ა)**გან**, იმ წიგნის(ა)**გან**<br>ამ სახლის(ა)**კენ**, მაგ ქუჩის(ა)**კენ**, იმ ეზოს(ა)**კენ**<br>ამ წიგნ**ის გამო**, მაგ წიგნ**ის შესახებ**, იმ წიგნ**ის გარდა...** |
| **მოქმედებითი** | ამ სახლ**იდან**, მაგ სახლ**იდან**, იმ სახლ**იდან** |
| **ვითარებითი** | ამ სახლ**ამდე**, მაგ ქუჩ**ამდე**, იმ ეზო**მდე** |

| ბრუნვები | ხმოვანფუძიანი | თანხმოვანფუძიანი | კუთვნილებითი ნაცვალსახელი |
|---|---|---|---|
| სახელობითი | პატარა სახლი | დიდი სახლი | ჩემი სახლი |
| მოთხრობითი | პატარა სახლმა | დიდმა სახლმა | ჩემმა სახლმა |
| მიცემითი | პატარა სახლს | დიდ სახლს | ჩემს სახლს |
| ნათესაობითი | პატარა სახლის | დიდი სახლის | ჩემი სახლის |
| მოქმედებითი | პატარა სახლით | დიდი სახლით | ჩემი სახლით |
| ვითარებითი | პატარა სახლად | დიდ სახლად | ჩემ სახლად |
| წოდებითი | პატარა სახლო | დიდო სახლო | |

| ბრუნვები | ხმოვანფუძიანი | თანხმოვანფუძიანი | კუთვნილებითი ნაცვალსახელი |
|---|---|---|---|
| სახელობითი | პატარა სახლივით | დიდი სახლი | ჩემი სახლი |
| მოთხრობითი | | | |
| მიცემითი | პატარა სახლში<br>პატარა სახლთან<br>პატარა სახლზე | დიდ სახლში<br>დიდ სახლთან<br>დიდ სახლზე | ჩემს სახლში<br>ჩემს სახლთან<br>ჩემს სახლზე |
| ნათესაობითი | პატარა სახლისთვის<br>პატარა სახლისკენ<br>პატარა სახლისგან | დიდი სახლისთვის<br>დიდი სახლისკენ<br>დიდი სახლისგან | ჩემი სახლისთვის<br>ჩემი სახლისკენ<br>ჩემი სახლისგან |
| მოქმედებითი | პატარა სახლიდან | დიდი სახლიდან | ჩემი სახლიდან |
| ვითარებითი | პატარა სახლამდე | დიდ სახლამდე | ჩემ სახლამდე |
| წოდებითი | | | |

## A2. სავარჯიშო 1: ჩასვი ნაცვალსახელი სწორი ფორმით:

1. .................................... სახლი ბაბუაჩემისაა. (ეს, ამ)
2. .................................... სახლში დაიბადნენ დედაჩემი და ბიძაჩემი. (ეს, ამ)
3. თქვენს მაგიდაზე წიგნი დევს და შეგიძლიათ .................................... წიგნი მომიტანოთ? (ეგ, მაგ)
4. ბანკი სად არის .................................... ქუჩაზე? – აი, ხედავთ .................................... შენობას? .................................... პირველ სართულზე არის ბანკი. (ეს, ამ; ის, იმ; ის, იმის)
5. .................................... წიგნი ძალიან მომეწონა, .................................... წაკითხვას კი არ გირჩევ. (ეს, ამ; ეს, ამის)
6. დიდი ხანია .................................... მაგიდის ყიდვა მინდა, ძალიან მომწონს. (ეს, ამ)
7. ნიკა, რა ჰქვია .................................... გოგონას, რომელიც ფანჯარასთან დგას? (ის, იმ)
8. ჩემს ძმას ბინა .................................... კორპუსში აქვს, მეხუთე სართულზე. (ეს, ამ)
9. .................................... სავარძელი მინდა ვიყიდო, გუშინ რომ ვნახეთ ავეჯის მაღაზიაში. (ის, იმ)
10. .................................... კერძის რეცეპტი გაქვს? ძალიან გემრიელია. (ეს, ამ)

## A2. სავარჯიშო 2: ჩასვი ნაცვალსახელი სწორი ფორმით:

1. ძალიან დიდი მადლობა .................................... საჩუქრისთვის. (ეს, ამ)
2. .................................... მოსწავლესავით კარგად კლასში ვერავინ ვერ წერს. (ეს, ამ)
3. რა დევს .................................... ჩანთაში? (ეს, ამ)
4. .................................... საკითხების შესახებ ორშაბათს გაკვეთილზე ვისაუბრებთ. (ეს, ამ)
5. ნანა, შენ ახლა სად ხარ? მეც .................................... ქუჩისკენ წამოვალ. (ეგ, მაგ)
6. გოგონა ----------- სახლიდან გამოვიდა და ახლა ჩვენკენ მოდის. (ის, იმ)
7. სად წავიდა ნიკა? – აი, .................................... სახლისკენ წავიდა. (ის, იმ)
8. .................................... თვის ბოლომდე აუცილებლად უნდა დავამთავროთ ჩვენი პროექტი. (ეს, ამ)
9. .................................... გაზეთში დაიბეჭდა ანას ძმის ძალიან საინტერესო მოთხრობა. (ეს, ამ)
10. სად იყიდე .................................... კომპიუტერი? მეც მინდა ახალი კომპიუტერი და .................................... მომეწონა. (ეს, ამ)

## A2. სავარჯიშო 3: ჩასვი ნაცვალსახელები სწორი ფორმით:

1. შენ წაიკითხე ............ წიგნი? მითხარი რამე ............ წიგნის შესახებ, მეც მინდა წავიკითხო. (ეს, ამ; ეს, ამ)
2. გუშინ ............ მანქანა ............ სახლთან იდგა, ალბათ ჩვენი მეზობლისაა. (ეს, ამ; ის, იმ)
3. სად არის ............ ქუჩაზე აფთიაქი? – აი, ............ ორ სახლს შორის აარის აფთიაქი. (ეს, ამ; ის, იმ)
4. ვისთვის გინდა ............ საჩუქარი? ............ საჩუქარს ჩემი მეგობრისთვის ვყიდულობ, ............ გოგოსთვის, გუშინ ჩემთან ერთად რომ იყო კაფეში. (ეს, ამ; ეს, ამ; ის, იმ)
5. ............ საათი ძალიან მომწონს. სულ მინდოდა ............ ყიდვა და ჩემს დაბადების დღეზე ვიყიდე. (ეს, ამ; ეს, ამ, ამის)
6. ............ დავალება ძნელია და ვერ დავწერე. ............ ნაცვლად სხვა დავალება დავწერე. (ეს, ამ; ეს, ამ, ამის)
7. ............ წიგნი იცი. ჩემმა ძმამ მირჩია ............ წაკითხვა, თვითონ წაიკითხა და ძალიან მოეწონა. (ეს, ამ; ას, ამ, ამის)
8. დიდი ხანია ............ სავარძლის ყიდვას ვფიქრობ. ჩემს კაბინეტში, ............ ძველი სავარძლის ნაცვლად ............ დავდებ, მე ვფიქრობ, უფრო კარგი იქნება. (ეს, ამ; ის, იმ; ეს, ამ, ამას)

## A2. სავარჯიშო 4: დაწერე წინადადებები მოცემულ ფორმებზე:

ამ ოთახში ............

მაგ წიგნისთვის ............

იმ დღეს ............

მაგ ჟურნალში ............

იმ მაგიდაზე ............

**A2. სავარჯიშო 5: ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით:**

1. ჩემი ბაბუა სოფელში ................................ სახლში ცხოვრობს. (დიდი)
2. შენ სად ცხოვრობ: აი, იმ ................................ კორპუსში ვცხოვრობ. (წითელი)
3. ................................ სართულზე ცხოვრობს ანა? (რომელი)
4. ძალიან მინდა ტელევიზორი მქონდეს ჩემს ................................ ოთახში. (საძინებელი)
5. ვოცნებობ ................................ და ................................ სამზარეულოზე. (დიდი, ლამაზი)
6. როდის დამპატიჟებ შენს ................................ ნამცხვარზე? (გამომცხვარი)
7. ძალიან მინდა ბათუმის ................................ ბაღში წასვლა, ამბობენ, რომ ძალიან ლამაზია. (ბოტანიკური)
8. დალევ ................................ წყალს? კი, დავლევ. (მინერალური)
9. ამ ქალაქის ერთ-ერთ ................................ შენობას წარმოადგენს ................................ საუკუნეში აშენებული ეს სახლი. (მნიშვნელოვანი, გასული)
10. ................................ საცურაო აუზში ყოველთვის ბევრი ხალხია. (დიდი)

## A2 / B1 სავარჯიშო 6: ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით:

ლომი და თაგვი
ეზოპეს მიხედვით

ერთხელ თაგვი .................................. (თავისი) გზაზე მიდიოდა და უეცრად მძინარე ლომი დაინახა. მას ადრე არასოდეს ენახა ლომი ახლოდან და ინტერესით მიუახლოვდა, რათა მის .................................. (დიდი) და .................................. (ფაფუკი) ფაფარს შეხებოდა. თაგვმა ლომს ზურგზე გადაურბინა და მის .................................. (ხშირი) ფაფარში შეძვრა. მართალია, თაგვი ძალიან მსუბუქი იყო, მაგრამ ლომმა მაინც გაიღვიძა. .................................. (შეშინებული) თაგვმა გაქცევა დააპირა, მაგრამ .................................. (გაბრაზებული) ლომმა დაიჭირა, დაიღრიალა და თაგვის შეჭმა დააპირა. ლომის თათებში .................................. (მოქცეული) და .................................. (დაბნეული) თაგვს შეეშინდა, მერე კი .................................. (განრისხებული) ლომს უთხრა:

– ნუ გაბრაზდები, .................................. (დიდი) მეფეო, მაპატიე და ამ სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ, შეიძლება მომავალში მეც დაგეხმარო.

.................................. (დიდი) და .................................. (ძლიერი) ლომს გაეცინა პატარა და .................................. (სუსტი) თაგვის სიტყვებზე, მაგრამ თაგვი მაინც გაუშვა.

გავიდა დრო. ერთხელ ტყეში მონადირეები გამოჩნდნენ. ლომის დასაჭერად ხაფანგი გააკეთეს და ლომი მალევე დაიჭირეს. .................................. (გახარებული) მონადირეებმა გადაწყვიტეს, ლომი მეფისთვის მიეყვანათ. მათ ლომი ხეზე მიაბეს და თვითონ .................................. (დიდი) ფორნის მოსაყვანად წავიდნენ, რათა ლომი იმ ფორნით მიეყვანათ მეფესთან.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა თაგვი. თაგვმა ლომი მაშინვე იცნო, მასთან მიირბინა, თავისი .................................. (მჭრელი) კბილებით თოკი გადაჭრა და ლომი გაათავისუფლა. შემდეგ .................................. (გახარებული) და .................................. (გათავისუფლებული) ლომს უთხრა:

– ხომ ხედავ, ზოგჯერ .................................. (პატარა) და .................................. (სუსტი) თაგვსაც შეუძლია .................................. (დიდი) და .................................. (ძლიერი) ლომს დაეხმაროს.

# 5

# სახელთა წარმოქმნა

# თავი 5.
# სახელთა წარმოქმნა

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
|---|---|---|
| ქონა-ყოლის სახელები (= აქვს / ჰყავს) | -იან | ცოლიანი, შვილიანი, ქუდიანი, კაბიანი, პალტოიანი, ქურთუკიანი, მარილიანი... |
| | -იერ | ნიჭიერი, გონიერი, ღონიერი, წესიერი... |
| | -ოსან | ჩოხოსანი, ცხენოსანი, მანდილოსანი, ათოსანი, ფრიადოსანი... |
| | -ოვან | კლდოვანი, ერთფეროვანი, გულოვანი... |
| | -ა | ცისფერთვალება, წითელპერანგა, გრძელფეხება, დიდყურა, დიდყურება, დიდგულა... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
|---|---|---|
| უქონლობის სახელები (= არ აქვს, არ ჰყავს) | უ – ო | უშვილო, უფულო, უქუდო, უმარილო, უცოლო, უდედმამო, ულამაზო, უსახლკარო... |
| | უ – ურ / ულ | უბედური, უკეთური, უსახური, უფერული... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
|---|---|---|
| სადაურობისა და წარმომავლობის სახელები | -ელ<br>ადამიანი | ინგლისელი, ესპანელი, პოლონელი, თბილისელი, ქუთაისელი, ქალაქელი, სოფლელი... |
| | -ურ / ულ<br>(პროდუქტი, უსულო) | ინგლისური, ესპანური, პოლონური, თბილისური, ქუთაისური, ქალაქური, სოფლური... |
| წევრი, მიმდევარი | -ელ | ფეხბურთელი, კალათბურთელი, ხელბურთელი ... |
| ხარისხი: | -ურ | ბავშვური, ქალური, კაცური |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
|---|---|---|
| ხელობა-პროფესიის სახელები | მე – ე | მებაღე, მეცხვარე, მეპურე, მეთევზე, მემანქანე, მეეტლე, მენავე, მეეზოვე... |
| | მე – ურ / ულ | მეზღვაური, მებადური ( > ბადე), მებარგული ( > ბარგი)... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| გეოგრაფიული სახელები | -ეთ | რუსეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, ჩინეთი, თურქეთი, სომხეთი; კახეთი, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი... |
| | სა – ეთ | საფრანგეთი, საბერძნეთი... |
| | სა – ო | საქართველო, სამეგრელო, საინგილო, საგარეჯო (ქალაქი საქართველოში)... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| დანიშნულების სახელები ( = -თვის) | სა – ე | სათვალე (> თვალი), საყურე (> ყური), საყინულე (> ყინული), საკაბე (> კაბა), საპალტოე (> პალტო), საჩოხე (> ჩოხა), საფულე (> ფული), საქათმე (> ქათამი), საღორე (> ღორი)... |
| | სა – ო | სასადილო (> სადილი), სამზარეულო (> მზარეული), სახელოსნო (> ხელოსანი), სალექციო (> ლექცია), საკონსულტაციო (>კონსულტაცია), სამედიცინო (> მედიცინა), საპატარძლო (> პატარძალი), საუნივერსიტეტო (> უნივერსიტეტი), სასამართლო (> სამართალი), საჩემო (> ჩემი), საშენო (> შენი)... |
| | სა – ურ / ულ | საფეხური (> ფეხი), საგანძური (> განძი), სათითური (> თითი), საცეცხლური (> ცეცხლი), საბარგული (> ბარგი)... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| აბსტრაქტული სახელები | -ობა | მშვიდობა, მეგობრობა, ბავშვობა, ამხანაგობა... |
| | -ება | თავისუფლება, ბედნიერება, უბედურება, გონიერება... |
| | სი – ე | სილამაზე, სიკეთე, სიბრძნე, სიმშვიდე, სიზარმაცე, სიწითლე, სიცოცხლე, სიბერე, სიღარიბე, სიმდიდრე, სიხარბე, სიძუნწე, სიძნელე... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| წინავითარების სახელები (რაც იყო ადრე) | ნა – არ / ალ | ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნასახლარი, ნატაძრალი, ნაცოლარი, ნამასწავლებლარი, ნაზამთრალი... |
| | ნა – ევ | ნამდინარევი, ნაკვალევი, ნასადილევი, ნავახშმევი, ნაშუადღევი, ნაშუაღამევი |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| კნინობით-ალერსობითი სახელები | -აკ | წიგნაკი (პატარა წიგნი), გორაკი (პატარა გორა), ღილაკი... |
| | -ა | დედოფალა (= თოჯინა) |
| | -იკო | დედიკო, მამიკო, ძამიკო, დაიკო...<br>თამრიკო, ნინიკო, ვანიკო, მაიკო... |
| | -ია | ბიძია, დაია, ძამია... |
| | -უნა | ჩიტუნა, დათუნა, კაცუნა... |
| | -იკ-ელ-ა | ზურიკელა |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| ნარ- სუფიქსიანი სახელები (სადაც ბევრია) | -ნარ | ნაძვნარი, მუხნარი, ფიჭვნარი, წაბლნარი, ბუჩქნარი; ყვავილნარი, ბაღნარი, ქვიშნარი, თიხნარი... |

| შინაარსი | მაწარმოებელი | მაგალითი |
| --- | --- | --- |
| ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი სახელები | -ის | თბილისი, შინდისი, ვეძისი (ვეძა)... |
| | -ით | შემთხვევით, შემთხვევა, რიცხვითი (> რიცხვი), კითხვითი (> (შე)კითხვა), წერითი (> წერა), შრომითი (> შრომა)... |
| | -ად | გულადი, პურადი (> პური), ტანადი (> ტანი)... |
| | -ით-ად | ძირითადი, გულითადი... |

კომპოზიტები

| | |
| --- | --- |
| ფუძის გაორმაგებით: | თავთავი, წამწამი, კაჭკაჭი... |
| და კავშირით შეერთებული: | ხანდახან, პირდაპირ, დღედაღამ, სხვადასხვა |
| სხვადასხვა ფუძის შეერთებით: | დედამიწა, ვაჟკაცი<br>ქვანახშირი (ქვა + ნახშირი)<br>ავდარი (ავი = ცუდი + დარი)<br>ორშაბათი (ორ + შაბათი)<br>სამშაბათი (სამ + შაბათი)<br>ოთხშაბათი (ოთხ + შაბათი)<br>ათასი (ათ + ასი) |
| პირველი ფუძე ნათესაობით ბრუნვაში: | დისშვილი (დის + შვილი)<br>ძმისშვილი (ძმის + შვილი)<br>დეიდაშვილი (დეიდა(ს) + შვილი)<br>ბიძაშვილი (ბიძა(ს) + შვილი)<br>წუთისოფელი (წუთის + სოფელი) |

(A1). სავარჯიშო 1. **წაიკითხე განმარტება და ჩასვი სწორად სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები:**

განმარტება: -ელ ბოლოსართი აღნიშნავს ადამიანთა სადაურობას;

-ურ / ულ ბოლოსართი აღნიშნავს რა ჯგუფის სახელების სადაურობას;

დაიმახსოვრე: თუ სიტყვაში გვხვდება რ თანხმოვანი, რა ჯგუფის სახელების სადაურობას აკეთებს -ულ ბოლოსართი. მაგ: ამერიკა-ამერიკული

**ნიმუში:** ეს კაცი არის **ინგლისელი.** (ინგლისი)

მე მიყვარს **ინგლისური** ჩაი. (ინგლისი)

1. იაპონია

ა) ............................................. ენა რთულია.

ბ) ეს ............................................. ქალი კარგად საუბრობს.

2. თელავი

ა) მე ვარ ............................................. .

ბ) ............................................. ამბები მომენატრა.

3. გერმანია

ა) ............................................. ენის სწავლა დავიწყე.

ბ) ჩემი ............................................. მეგობარი ხვალ ჩამოდის საქართველოში.

4. აჭარა

ა) მე მიყვარს ............................................. ხაჭაპური.

ბ) ინგა ............................................. და ჩაქვში ცხოვრობს.

5. აზერბაიჯანი

ა) ............................................. ფლავი გემრიელია.

ბ) მე ბევრი ............................................. მეგობარი მყავს.

## (A1). სავარჯიშო 2. მოცემული სიტყვები დააჯგუფე ცხრილში:

თურქეთი, ფრანგი, რუსეთი, თურქი, სომეხი, ჩეხი, საფრანგეთი, ოსი, სომხეთი, ჩეხეთი, არაბი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, უზბეკი, ჩეჩენი, ყირგიზი, ჩეჩნეთი, არაბეთი, ქართველი, იაპონელი, საქართველო

| ქვეყანა | ეროვნება |
|---|---|
| | |

## (A1). სავარჯიშო 3. გეოგრაფიული სახელებიდან აწარმოე სადაურობის სახელები ნიმუშის მიხედვით:

| | | |
|---|---|---|
| უზბეკეთი | უზბეკი | უზბეკ -ური |
| ჩეხეთი | | |
| არაბეთი | | |
| რუსეთი | | |
| საბერძნეთი | | |
| ჩეჩნეთი | | |
| საფრანგეთი | | |
| სომხეთი | | |
| ყირგიზეთი | | |
| თურქეთი | | |

ბ) შენ მიერ მიღებული სიტყვების გამოყენებით დაწერე წინადადებები:

## (A1). სავარჯიშო 4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვი -ელ, -ულ -ურ სუფიქსები:

**ნიმუში:** გიორგიმ იცის **ინგლისური** ენა.

1. გიორგი კახეთიდან არის. ის არის კახ--- .
2. ეს არის იმერ--- ხაჭაპური.
3. დედამ ბაზარში გორ--- ვაშლი იყიდა.
4. ნოდარ დუმბაძე ქართვ--- მწერალია.
5. ამერიკ--- სენატორი საქართველოშია.
6. იამ იცის ესპან--- ენა.
7. ანიტამ ისწავლა ქართ--- ენა.
8. ეს ჩანთა არის ჩინ--- .
9. ეს კაცი არის ჩინ--- .
10. ეს კომპიუტერი არის იაპონ--- .

## (A1) სავარჯიშო 5. დაასრულე სიტყვები (ელი / ური):

| | | |
|---|---|---|
| 1. | იტალი--- | მამაკაცი |
| 2. | ბრაზილი--- | მოცეკავე |
| 3. | რუს- | მოგზაური |
| 4. | ფრანგ--- | პური |
| 5. | ბრაზილი--- | ცეკვა |
| 6. | თურქ--- | ფლოვი |
| 7. | ირან--- | მხატვარი |
| 8. | ქართ--- | სამზარეულო |
| 9. | სოფლ--- | სიმწვანე |
| 10. | ქალაქ--- | მეეზოვე |

**(A1) სავარჯიშო 6.** **წაიკითხე ტექსტი, ხაზი გაუსვი გეოგრაფიულ / წარმომავლობის აღმნიშვნელ სიტყვებს და დაახარისხე ცხრილში:**

ყოველწლიურად ლათინურ ამერიკაში, რიო-დე-ჟანეიროში იმართება ლათინური ცეკვების ფესტივალი. ცეკვების პირველი კარნავალი 1940 წელს გაიმართა და მაშინ არცთუ ისე ბევრი ქვეყანა იყო ჩართული. ძირითადად ქალაქის უბნებს შორის ტარდებოდა შეჯიბრი.

დღეს ამ ცეცხლოვანი ცეკვის ფესტივალში უკვე მონაწილეობს იტალია, ესპანეთი, ინგლისი, კანადა, ნორვეგია, გერმანია, ჩეხეთი.

არგენტინელებს აქ იზიდავთ ფერადოვანი ჩაცმულობა. ფრანგები, რუსები და მექსიკელები მოცეკვავეთა რიტმებით არიან აღფრთოვანებულნი. ნორვეგიელებს, ყველაფერთან ერთად, ცხელი სეზონი იზიდავთ, კანადელებს კი – სამხრეთული ეგზოტიკა. რაც შეეხებათ აღმოსავლეთიდან ჩამოსულებს: ჩინელებს, იაპონელებს და ინდოელებს, მათ დღესასწაულის ბრწყინვალება აჯადოებთ.

| გეოგრაფიული სახელები | სადაურობის სახელები |
|---|---|
| იტალია | იტალიელი |

(A1) სავარჯიშო 7.

ა) **გახაზე ტექსტში რთული სიტყვები:**

ჩემი ნათესავები

ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა, ქუთაისში დაიბადა. მისი ნათესავები ახლაც ქუთაისში ცხოვრობენ. ახლა მეც ბიძაჩემთან და ბიცოლაჩემთან ვცხოვრობ. ძალიან საყვარელი ოჯახია. სამი თაობა ცხოვრობს ერთად: – ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი, მათი შვილი, რძალი და შვილიშვილები. ქალიშვილი და სიძე ცალკე ცხოვრობენ. – ძალიან მიყვარს დიდი ოჯახები. ჩემი რძალი სასიამოვნო ქალია და უყვარს სტუმრები. კარგი მზარეულიცაა და უგემრიელეს სადილებს ამზადებს. დიდი ეზო აქვთ, ორსართულიანი საკუთარი სახლი ლამაზი აივნებით, ხეხილის ბაღით, პატარა ბოსტნითა და დიდი ვენახით. ადრე ვენახს და ხეხილის ბაღს ბაბუაჩემი უვლიდა. ბაბუა გარდაიცვალა და ახლა ბიძაჩემი უვლის. ბოსტნის და სახლის მოვლა ბიცოლაჩემის საქმეა. ბავშვებს ჩემი რძალი უვლის. სადილებს ზოგჯერ რძალი აკეთებს, ზოგჯერ – ბიცოლაჩემი. მოკლედ, ამ დიდ ოჯახში ყველას თავისი საქმე აქვს.

ბ) **ხაზგასმული სიტყვების გამოყენებით დაწერე შენი ოჯახისა და ახლობლების შესახებ:**

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

..................................................................................................................................

## (A1) სავარჯიშო 9. შეავსე ცხრილი:

**ნიმუში:** აფრიკა – აფრიკელი – აფრიკული

| ქვეყანა | ადამიანი | ნივთი |
|---|---|---|
| საქართველო | | |
| | ფრანგი | |
| | თურქი | |
| რუსეთი | | |
| | | ბრაზილიური |
| იტალია | | |
| | | აზერბაიჯანული |
| სომხეთი | | |
| | ესპანელი | |
| | | ამერიკული |

## (A1) სავარჯიშო 10. ჩასვი სწორი ფორმა:

**ნიმუში:** ჩემი მეგობრის ქმარი არის **ბელგიელი.** (ბელგიელი / ბელგიური)

1. .................................... ყველი ძალიან გემრიელია. (ფრანგი / ფრანგული)
2. ელენეს უყვარს .................................... სერიალები. (თურქი / თურქული)
3. ნოდარი კვირაში ერთხელ .................................... ღვინოს სვამს. (იტალიელ / იტალიურ)
4. თიკოს ბევრი .................................... მეგობარი ჰყავს. (სომეხი / სომხური)
5. ჩემი ბიძაშვილი არის .................................... . (ინგლისელი / ინგლისური)
6. ეს ტოლმა არის .................................... . (აზერბაიჯანელი / აზებაიჯანული)
7. გიორგი ახლა ჰოლანდიაშია და .................................... მხატვრების სურათებს ათვალიერებს. (ჰოლანდიელი / ჰოლანდიური)
8. ნანას და ნაირას ტელეფონები არის .................................... . (კორეელი / კორეული)
9. გუშინ საქართველოში .................................... კონგრესმენი ჩამოვიდა. (ამერიკელი / ამერიკული)
10. .................................... მანქანები ძალიან ხარისხიანია. (გერმანელი / გერმანული)

**(A1). სავარჯიშო 11. ჩასვი წარმომავლობის აღმნიშვნელი სიტყვები სწორი ფორმით:**

**ნიმუში:** კაბუკი არის **იაპონური** თეატრი. (იაპონია)
ლაო ძი არის **იაპონელი**. (იაპონია)
დედაჩემი არის **ბერძენი**. (საბერძნეთი)

1. მე ძალიან მომწონს .................................... ფილმები (ამერიკა).
2. ფარიდი ბაქოში ცხოვრობს. ის არის .................................... (აზერბაიჯანი).
3. ნიკა კვირაში ერთხელ .................................... ყველს ჭამს (ჰოლანდია).
4. თიკო, გაიცანი. ეს არის ჩემი .................................... ბებია (საქართველო).
5. შენი მეგობარი სადაურია? ის .................................... (გერმანია).
6. ეს პიცა არის .................................... (იტალია).
7. გიორგი ახლა საფრანგეთშია და .................................... ღვინოს სვამს (საფრანგეთი).
8. ანას და ნათიას ტელეფონები .................................... (ჩინეთი).
9. ამიტაბჰ ბაჩანი .................................... მსახიობია (ინდოეთი).
10. ნანა .................................... ენის მასწავლებელია (ინგლისი).

## (A1+). სავარჯიშო 12.

### ა) აწარმოე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** ხანძარი – მეხანძრე

| | |
|---|---|
| თევზი – | ზღაპარი – |
| ქუდი – | მანქანა – |
| ცხვარი – | საათი – |
| ვენახი – | ღვინო – |
| საზღვარი – | დოლი – |

### ბ) დააკავშირე წარმოქმნილი სიტყვა განმარტებასთან:

**ნიმუში:** მეხანძრე ▶ ▶ ▶ ▶ ▶ ვინც აქრობს ხანძარს

| | |
|---|---|
| მეთევზე | ვინც მართავს მანქანას (ახლა – მატარებელს) |
| მექუდე | ვინც აკეთებს საათს |
| მეცხვარე | ვინც იცავს საზღვარს |
| მევენახე | ვინც აყენებს ღვინოს |
| მესაზღვრე | ვინც უკრავს დოლს |
| მეზღაპრე | ვინც იჭერს თევზს |
| მემანქანე | ვინც უვლის ვენახს |
| მესაათე | ვინც კერავს ქუდს |
| მეღვინე | ვინც ყვება ზღაპარს |
| მედოლე | ვინც მწყემსავს ცხვარს |

### გ) შენ მიერ დაწერილ სიტყვებზე შეადგინე წინადადებები:

.......................................................................................................

.......................................................................................................

.......................................................................................................

.......................................................................................................

.......................................................................................................

.......................................................................................................

**(A1). სავარჯიშო 13. აწარმოე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:**

1.





ა) ეს არის კიბის სა---ურ-- ეს არის ადამიანის ნა-ფეხ-ურ-ი







ეს ჭიქა არის -------იანი ეს ჭიქა არის უ-------ო







ბ) ეს არის კარის სა---ური ამ კაბას აქვს სა---ო





ეს არის ---ოსანი ეს კაცი არის ----ოვანი





გ) ეს ბიჭი ----ოსანია

გზაზე მიდის ----იანი ბიჭი



მაგრამ...







მაგრამ: ეს არის საჯინიბო

ეს კაცი არის მეჯინიბე

## (A2). სავარჯიშო 14. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

**ნიმუში:** მთვარე, მთვარიანი, უმთვარო

1. **უმთვარო** ღამე ბნელია,
2. **მთვარიანი** და ნათელი ღამე იყო გუშინ.
3. ჩემი ფანჯრიდან ახალი **მთვარე** ჩანს.

**ა) ბავშვი, ბავშვიანი, საბავშვო, უბავშვო, ბავშვობა**

1. .................................................. სოფელში გავატარე;
2. ამ სახლში ცხოვრობს ორი ..................................................;
3. ამ .................................................. ბაღში დადის ჩემი ძმა.
4. სამარშრუტო ტაქსში .................................................. ქალი ამოვიდა.
5. .................................................. სახლში მოსაწყენი სიჩუმეა.

**ბ) სტუმარი, სტუმრიანი, უსტუმრო, სასტუმრო, სტუმრობა**

1. მე მიყვარს მეგობართან .................................................. ;
2. წელს .................................................. ახალი წელი გვქონდა პანდემიის გამო.
3. ახლა .................................................. მყავს და არ მცალია.
4. ეს .................................................. შარშან ააშენეს ამ ქუჩაზე.
5. საქართველოში ბევრია .................................................. ოჯახი.

## (A2). შეადგინე წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ფული, უფულო, ფულიანი, საფულე

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

..........................................................................................................................................

## (A2). სავარჯიშო 15. ჩასვი უქონობა-უყოლობის აღმნიშვნელი სიტყვები სწორი ფორმით:

**ნიმუში:** ქუდი – უქუდო    ბედი – უბედური

1. ........................................ ყავა არ მიყვარს. (შაქარი)
2. ეს ლამაზი ვარდი არის ........................................ . (სუნი)
3. ჩემი ძმა არის ........................................ . (ცოლი)
4. ........................................ საჭმელი უგემურია. (მარილი)
5. მამიდაჩემის რძალი ........................................ იყო. (შვილი)
6. ჩვენი მეზობელი არის ........................................ . (სახლ-კარი)
7. ........................................ კაცი საწყალია. (ფული)
8. ნინოს ........................................ ცხოვრება ჰქონდა. (ფერი)
9. ლალის მეზობელი არის ........................................ . (შნო)
10. ........................................ ქალი მწარედ ტიროდა. (ბედი)

## (A2). სავარჯიშო 16. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

ნაძვნარი (ადგილი, სადაც ბევრი ნაძვია), სიკეთე, ჩოგბურთელი, ცხენოსანი (ის, ვინც ცხენზე ზის), მშვიდობა, საფეხური, სამზარეულო, მეპურე, მეზღვაური, მარილიანი, ლურჯთვალა (ლურჯი თვალები აქვს)

**ნიმუში:** ნინო არის **ცისფერთვალება** გოგო.

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

**(A2). სავარჯიშო 17.** **იპოვე შეცდომა და გასწორე. ზოგ წინადადებაში შეცდომა არ არის:**

ყურადღება მიაქციე სიტყვათა დაწერილობას.

ა)

1. კახეთური ღვინო ძალიან პოპულარულია. ..........
2. ჩემს სტუმრებს მოეწონათ რაჭველი ლობიანი. ..........
3. ლევან თედიაშვილი არის  ქართველი მოჭიდავე. ..........
4. მეგრური სულგუნი ძალიან გემრიელია. ..........
5. საქართველოს მთაში ბევრი ნასოფლარია. ..........

ბ)

1. დედა მიწა ჩვენი სახლია. ..........
2. ნინოს დისშვილი სტუდენტია. ..........
3. ჩემი ბიძა შვილი მეექვსე კლასში სწავლობს. ..........
4. მწიფე თავთავი კომბაინით აიღეს. ..........
5. მაგიდაზე სხვა და სხვა საჭმელი ეწყო. ..........

**(A2). სავარჯიშო 18.** **გადახაზე ზედმეტი:**

**ნიმუში:** ა) საქართველო; ბ) სამეგრელო; გ) საგარეჯო; დ) ~~საფრანგეთი~~

1. ა) მოკრივე; ბ) მოცეკვავე; გ) ბეისბოლისტი; დ) მოჭიდავე.
2. ა) მებაღე; ბ) მასწავლებელი; გ) მეეტლე; დ) მეკარე.
3. ა) ფეხბურთელი; ბ) კალათბურთელი; გ) ჩოგბურთელი; დ) რაგბისტი.
4. ა) შვილიანი; ბ) ულვაშიანი; გ) უცოლო; დ) ცოლიანი.
5. ა) უცოლო ბ) უშვილო; გ) უქუდო; დ) სამშობლო.
6. ა) სოფლელი; ბ) ქალაქელი; გ) გორული; დ) ქართველი.
7. ა) გერმანული; ბ) იტალიური; გ) სვანური; დ) ამერიკელი.
8. ა) ფინელი; ბ) რუსი; გ) თურქი; დ) ფრანგი.
9. ა) გონიერი; ბ) აფრიკელი; გ) ნიჭიერი; დ) წესიერი.
10. ა) სათვალე; ბ) სამეგრელო; გ) საყურე; დ) საფულე.

## (A2) სავარჯიშო 19. ჩასვი ქონა-ყოლის აღმნიშვნელი სიტყვები სწორი ფორმით:

**დააკვირდი!** ზოგ ფორმაში ხმოვანი იკარგება.

**ნიმუში:** ეს **შარვლიანი** გოგო ჩემი დაა. (შარვალი)
დღეს **მზიანი** დღეა. (მზე)

1. ეს .................................... კაცი ბიძაჩემია. (ულვაში)
2. დღეს .................................... ამინდია. (ღრუბელი)
3. ჩემი უფროსი დეიდაშვილი არის .................................... . (ცოლი)
4. გუშინ მთაზე .................................... კაცი დავინახე. (ცხენი)
5. გაზაფხულზე ხშირად არის .................................... ამინდი. (მზე)
6. ნოდარს არ უყვარს .................................... საჭმელი. (მარილი)
7. .................................... დიაბეტი საშიში ავადმყოფობაა. (შაქარი)
8. .................................... ხელებით ჭამა არ შეიძლება. (ჭუჭყი)
9. .................................... მთები ძალიან ლამაზია. (თოვლი)
10. ნათიამ .................................... კაბა იყიდა. (ყვავილები)

## (A2-B1) სავარჯიშო 20. აწარმოე სიტყვები. გამოიყენე მაწარმოებლები: -ელ, იანი, უ – ო, მე – ურ, -ისტი, -ოსანი, მე – ე, მო – ე, ურ / ულ, სა – ო.

**ნიმუში:** კარი – მეკარე

| | |
|---|---|
| მარნეული – | ფრიადი – |
| ზღვა – | კრივი – |
| მარილი – | რაგბი – |
| ბაღი – | მეგრელი – |
| ცოლი – | სოფელი – |

## (A2) სავარჯიშო 21. წაიკითხე ტექსტი და ჩასვი ფრჩხილებში მოცემული სიტყვები სწორი ფორმით:

ეს არის დათო წერეთელი. დათო არის .................................... (ბათუმი). მაგრამ ახლა უნივერსიტეტში სწავლობს, ამიტომ თბილისში ცხოვრობს. დათო არის .................................... (რაგბი). ის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობს. დათო სკოლაში კარგად სწავლობდა, .................................... იყო (ათი). უნივერსიტეტშიც სტიპენდიანტია. დათოს ცოლი არ ჰყავს, ის .................................... (ცოლი). მას ოჯახში ჰყავს დედა, მამა, ბებია, ბაბუა და ძმა. დათოს მამა არის .................................... (ზღვა). ის გემზე მუშაობს. დათოს დედა სკოლაში ასწავლის. ის მასწავლებელია. დათოს ბაბუა ....................................ა (ბაღი). ყვავილებს უვლის. დათოს ძმა არის .................................... (ფეხბურთი). ის არის .................................... (ცოლ-შვილი). მისი ცოლი ჯერ არ მუშაობს, დიასახლისია.

## (A2) სავარჯიშო 22. დააკვირდი მაწარმოებელ აფიქსებს და გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

**ნიმუში: სა**ბანკ**ო**, **სა**კანცელარი**ო**, **სა**ტელევიზი**ო**, **სა**კაბე

1. საშაქრე, საქაღალდე, მეეზოვე, საკარაქე
2. ქუდიანი, წვერიანი, შავთმიანი, უკბილო.
3. ყვავილოვანი, სურნელოვანი, წერტილოვანი, საზღვაო;
4. უგემური, უდღეური, უმანქანო, უსაქმური
5. მეპურე, საპურე მექუდე, მემანქანე;
6. მებარგული, მეზღვაური, საზღვაო, მებადური;
7. ნასოფლარი, ნაწვიმარი, სახელოვანი ნასახლნარი;
8. უბედური, უძლური, უგემური, უქუდო
9. ფიქვნარი, ყვავილნარი, ნაძვნარი, ყვავილიანი
10. კითხვითი, კვეცადი, გულითადი, ძირითადი

### სადაურობა / წარმომავლობა

| ეროვნება | | პროდუქტი |
|---|---|---|
| სუფიქსი „-ელ-“<br>**ქართვ-ელ-ი**<br>**ჩინ-ელ-ი** | სუფიქსი „-ულ-“<br>თუ სიტყვის ფუძეში არის „რ“<br>**ქართ-ულ-ი** | სუფიქსი „-ურ-“<br>თუ არ არის სიტყვის ფუძეში „რ“<br>**ჩინ-ურ-ი** |

**(A2) სავარჯიშო 23. ჩასვი სწორი ფორმა:**

1. ამ კაფეში გემრიელი პიცა მზადდება. (იტალიელი / იტალიური / იტალიული)
2. საქართველო პოპულარულია ღვინით. (კახელი / კახული / კახური)
3. ნატას ძალიან მოსწონს სუნამოები. (ფრანგი / ფრანგული / ფრანგური)
4. ადრე საქართველოში ძალიან პოპულარული იყო კინოფილმები. (ინდოელი / ინდული / ინდური)
5. ალექსანდრე პუშკინი პოეტია. (რუსი / რუსული / რუსური)
6. სუში ცნობილი კერძია. (იაპონელები / იაპონული / იაპონური)
7. მერსედესი მარკის ავტომანქანაა. (გერმანელი / გერმანული / გერმანური)
8. ჯულია რობერტსი ცნობილი კინოვარსკვლავია. (ამერიკელი / ამერიკული / ამერიკური)
9. საზი და თარი ნაციონალური მუსიკალური საკრავებია. (აზერბაიჯანელი / აზერბაიჯანული / აზერბაიჯანური)
10. დამწერლობა მსოფლიოში არსებული დამწერლობიდან ერთ-ერთია. (სომეხი / სომხული / სომხური)

## (A2) სავარჯიშო 24. დააკვირდი სქემას და ჩაწერე გამოტოვებული სიტყვა:

### ხელობა – პროფესიის სახელები (სპორტსმენები)

| | | |
|---|---|---|
| სუფიქსი „-ელ-“<br>სიტყვა, რომლის ფუძეშიც არის „ბურთი“<br>**ფეხბურთ-ელი** | სუფიქსები „მო--ე“<br>ქართული<br>წარმოშობის სიტყვა<br>**მო-კრივ-ე** | სუფიქსი „-ისტ-“<br>უცხოური<br>წარმოშობის სიტყვა<br>**ჰოკე-ისტ-ი** |



1. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**
   **ბეისბოლი**

   ეს სპორტსმენი არის

   ..............................................



2. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**
   **კალათბურთი**

   ეს სპორტსმენი არის

   ..............................................



3. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**
   **კრივი**

   ეს სპორტსმენი არის

   ..............................................



4. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**
   **ჭადრაკი**

   ეს სპორტსმენი არის

   ..............................................



5. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**

ფეხბურთი

ეს სპორტსმენი არის

..............................................



6. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**

ჰოკეი

ეს სპორტსმენი არის

..............................................



7. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**

რაგბი

ეს სპორტსმენი არის

..............................................



8. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**

ცურვა

ეს სპორტსმენი არის

..............................................



9. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**

ჩოგბურთი

ეს სპორტსმენი არის

..............................................



10. **სპორტის ამ სახეობას ჰქვია**

ჭიდაობა

ეს სპორტსმენი არის

..............................................



11. სპორტის ამ სახეობას ჰქვია

ფრენბურთი

ეს სპორტსმენი არის

..............................................



12. სპორტის ამ სახეობას ჰქვია

ძიუდო

ეს სპორტსმენი არის

..............................................



13. სპორტის ამ სახეობას ჰქვია

წყალბურთი

ეს სპორტსმენი არის

..............................................



14. სპორტის ამ სახეობას ჰქვია

კარატე

ეს სპორტსმენი არის

..............................................

## (A2) სავარჯიშო 25.

### ა) ნიმუშის მიხედვით აწარმოე ქონების სახელები:

**ნიმუში:** ქუდი ▶ ქუდიანი   წვიმა ▶ წვიმიანი   ფანქარი ▶ ფანქრიანი

სათვალე
(რა?)



სათვალიანი
ქალი
(როგორი?)



1. თოვლი ..........
2. მზე ..........
3. კაბა ..........
4. მარილი ..........
5. კარაქი ..........
6. ხორცი ..........
7. შვილი ..........
8. ცოლი ..........
9. ქმარი ..........
10. თოფი ..........
11. კლდე ..........
12. შარვალი ..........
13. კაშნე ..........
14. ფანჯარა ..........
15. მანქანა ..........

### ბ) წინა სავარჯიშოში წარმოებული ქონების სახელებისგან შეადგინე წინადადებები:

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........

## (A2) სავარჯიშო 26.

### ა) დააკვირდი წარმოების წესს:

| სიტყვა | მისგან ნაწარმოები ქონლობის სიტყვა | მნიშვნელობა |
|---|---|---|
| საქმე | უ-ქონლობ-ის/უსაქმ-ური | საქმეს არ აკეთებს |
| მეზობელი | უ-მეზობლ-ო | მეზობლები არ ჰყავს |
| დარდი | უ-დარდ-ო | დარდი არა აქვს |
| გემო | უ-გემ-ურ-ი | გემო არ აქვს |
| სული | უ-სულ-ო | სული არ აქვს |
| გული | უ-გულ-ო | გული არ აქვს |
| კუდი | უ-კუდ-ოკუდი | არა აქვს |
| ყური | უ-ყურ-ო | ყური არა აქვს |
| დრო | უ-დრო-ო | დრო აქ აქვს |
| მთვარე | უ-მთვარ-ო | ამ ღამით მთვარე არ არის |

### ბ) ბლოკში მოცემული სიტყვებისგან აწარმოე უქონლობის სახელები:

მზე. წვერი. მადა. შარფი.
პალტო. ჩანთა. სახე. ძალა. შარვალი. ქამარი. მკლავი. ნიჭი

| უ–ო | ურ / (უ-ულ) |
|---|---|
| | |

(A2) სავარჯიშო 27.

ა) გახაზე სიტყვის ძირი და გამოყავი უყოლობა / უქონლობის სახელთა მაწარმოებლები:

ნიმუში: უ-ნამუს-ო (ნამუსი არ აქვს) უ-ბედ-ურ-ი
უ-შვილ-ო (შვილი არ ჰყავს)

1. უგულო
2. უფულო
3. უცოლო
4. უყურო
5. უგუნური
6. უძლური
7. უფერული
8. უწვერული
9. უდაბური
10. უფერული

(A2+).

ბ) მოიფიქრე პატარა ტექსტი ამ სიტყვების გამოყენებით:

## (A2-B1) სავარჯიშო 28.

**ა) დააკვირდი ნიმუშებს და მოცემული სიტყვებისგან აწარმოე ახალი სიტყვები (-იერ, / -იელ):**

**ნიმუში:** მადლი მადლ-იერ-ი ხანა ხნ-იერ-ი (როგორი?)

ხორცი ხორც-იელ-ი (რ რ > რ ▶ ლ)

1. კანონი ..............................
2. ნიჭი ..............................
3. წამი ..............................
4. ძალა ..............................
5. ხანა ..............................
6. ზომა ..............................
7. გონი ..............................
8. სული ..............................
9. ნება ..............................
10. წესი ..............................

**ბ) წინა სავარჯიშოში მიღებული სიტყვების გამოყენებით აწარმოე წინადადებები:**

**მაგალითად:** ეს მოქმედება მართლაც **კანონიერი** იყო.

1. ..............................
2. ..............................
3. ..............................
4. ..............................
5. ..............................
6. ..............................
7. ..............................
8. ..............................
9. ..............................
10. ..............................

(B1) სავარჯიშო 29.

**ა) ტექსტიდან ამოიწერე წარმოქმნილი სიტყვები და გაანაწილე ცხრილში**

**ბ) ქონების სახელებისგან აწარმოე უქონლობის სახელები და გვერდით უჯრაში შეიტანე, ასევე უქონლობის სახელები შეცვალე ქონების სახელებით:**

ავად გახდა ნინიკო,
აბა რა იქნებოდა?!
უქუდოდ და უშარფოდ
თოვლით ინამქრებოდა.
არ გაიგო მშობლების,
არ უსმინა ბებიას,
ჰოდა ახლა სიცხე აქვს
ციცქნას, ნაწნავებიანს.
შეიკრიბა ოჯახი,
ითათბირეს, იდავეს:
„უექიმოდ რა ვქნათო?“
ჰოდა გამოიძახეს.
შემობრძანდა ექიმი,
მიეგება ბებია,
შიშით უცქერს გოგონა
ბიძას სათვალებიანს.

„ – უპალტოოდ იყავი?
ასე რატომ იცელქე?
ახლა ნემსი ვიმარჯვოთ
და დავსაჯოთ სიცელქე“ –
მშვიდად უთხრა ექიმმა,
ეშმაკური ღიმილით
ნინიკო კი უყურებს
შიშითა და ტკივილით.
– ქუდითაც და შარფითაც
ვივლი დღეის იქითო,
ოღონდ გთხოვთ, რომ გასწიოთ
ნემსი შორს და იქითო.
ასე, ჭკუა ისწავლა
გონიერი ქალია; –
ქუდიან, შარფიანად
ეს ზამთარი გალია.

ლალი დალაქიშვილი

| ქონების სახელები | | უქონლობის სახელები | |
|---|---|---|---|
| მადლიერი | უმადლო | უტვინო | ტვინიანი |
| | | | |

**(A2) სავარჯიშო 30. მოცემული სიტყვები ჩასვი წინადადებებში:**

ნაქალაქარი. ნამონასტრალი. ნასოფლარი. ნაზამთრალი. ნაბატონარი. ნამწყემსარი. ნაცოლარი. ნაბანაკარი. ნააბანოევი. ნამასწავლებლარი.

1. აქ ჩვენი ............................, გასულ წელს მთელი ზაფხული აქ გავატარეთ.
2. ჩვენი სოფლის ახლოს დმანისის ............................ მდებარეობს.
3. ............................ ხეები საცოდავად გამოიყურებოდა.
4. ძველ ............................ თავი ისევ უფროსი ეგონა.
5. ეს ქალი ჩემი ძმის ............................ .
6. ამ ............................ სასწაულით ჯვარი ისევ შერჩენია.
7. ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი ცხვარში ყოფნის პერიოდი აღწერა მოთხრობაში „ ............................ მოგონებანი“.
8. თბილისის ძველ უბნებში, აბანოთუბანში შეგხვდებათ ბევრი .............................
9. იმ მოხუც ქალბატონს რომ უყურებ, ჩემი ............................ .
10. ამ სახლებს რომ უყურებ, ამ ............................, ადრე ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ.

**(A2) სავარჯიშო 31. წაიკითხე და გახაზე კნინობით-ალერსობითი სახელები, ამოიწერე და გამოყავი მაწარმოებელი აფიქსები:**

ძლიერ მიყვარს დედიკო,
დაიკო და მამიკო,
ხოდა ეს ციცქნა გული
სამზე როგორ გავიყო.
მაგრამ გეტყვით ჩურჩულით,
არვინ უნდა გაიგოს.
უფრო მიყვარს თოჯინა,
ჩემი კოხტა მაიკო.
გასულ ზაფხულს მიყიდა
დაიკონა ნინიკომ,
ჩემი კარგი დაია
ძლიერ მიყვარს ამიტომ.
დედოფალას ოქროს თმებს
ვვარცხნი დილა-საღამოს,
ბიძია კი მიწყრება
ფრთხილად, მართლა არ ავნოს.
რა ვქნა, უნდა მოვკაზმო,
იყოს უფრო ლამაზი,
გააკვირვოს დათუნა
და თოჯინა ანასი.

ლალი დალაქიშვილი

**(A2) სავარჯიშო 32. მიუწერე ფოტოს სიტყვა:**

სახანძრო, მარილი, ხანძარი, სამარილე, ფული, სასადილო,
შაქარი, საფულე, ქათამი, საშაქრე, სახანძრო, სადილი, საქათმე.



**ნიმუში:** ავადმყოფი




საავადმყოფო





1. ..................................................  ..................................................






2. ..................................................  ..................................................





3. ..............................  ..............................





4. ..............................  ..............................





5. ..............................  ..............................






6. ..............................  ..............................

**(A2) სავარჯიშო 33.** **დააკავშირე ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ხანძარი | საქათმე |
| ფული | სასადილო |
| ქათამი | საფულე |
| მარილი | საშაქრე |
| შაქარი | სამარილე |
| ავადმყოფი | სახანძრო |
| სადილი | საავადმყოფო |

**(A2) სავარჯიშო 34.**

**ა. მოცემული სიტყვები გაანაწილე ცხრილში:**

ხანძარი საქათმე ფული სასადილო ქათამი
საფულე მარილი საშაქრე შაქარი სამარილე
ავადმყოფი სახანძრო სადილი საავადმყოფო

| საგანი | ფუნქცია / დანიშნულება |
|---|---|
| ხანძარი | სახანძრო |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

ბ) წინა დავალებაში (34.ა) წარმოდგენილი სიტყვები დაახარისხე ცხრილში ფორმის მიხედვით:

| ს ა – – – – ე | ს ა – – – – – – – – ო |
|---|---|
| საქათმე | საავადმყოფო |
| | |
| | |
| | |

## (A2) სავარჯიშო 35. ჩასვი სწორი ფორმა

ხანძარი / სახანძრო

1. ტყეში ........................ დილის ხუთ საათზე დაიწყო. ........................ მანქანა ტყეში დროზე მოვიდა.

მარილი / სამარილე

2. მაგიდაზე ორი ........................ იდო, მაგრამ ........................ არც ერთში არ იყო.

ქათამი / საქათმე

3. პაპამ ........................ სახლის უკან ააშენა. და შიგ 10 ........................ შეუშვა.

საშაქრე / შაქარი

4. ლიამ სავსე ........................ მაგიდაზე დადო, მერე ორი კოვზი ........................ ამოიღო და ყავაში ჩაყარა.

ავადმყოფი / საავადმყოფო

5. ქალაქის ცენტრში ახალი ........................ აშენდა და ძველი შენობიდან 10 ........................ აქ გადმოიყვანეს.

სასადილო / სადილი

6. ........................ ყოველთვის 2 საათზეა და ამ დროს ყველა ........................ ოთახშია.

საფულე / ფული

7. დედამ ლიას წითელი ........................ აჩუქა, მამამ კი ........................ .

## (A2) სავარჯიშო 36.

### ა) ფოტოებს მიუწერე სახელი:

თევზი, მეტყევე, მეპურე, მეთევზე, პური, ცხვარი, მებაღე, ბაღი, მეცხვარე, საზღვარი, მესაზღვრე, ტყე, საათი





























## ბ) მიუწერე საქმიანობა, პროფესია

1. ის, ვინც უვლის ტყეს, არის – მეტყევე
2. ის, ვინც აქრობს ხანძარს, არის ..........
3. ის, ვინც აკეთებს საათებს, არის ..........
4. ის, ვინც იჭერს თევზს, არის ..........
5. ის, ვინც პატრონობს ცხვარს, არის ..........
6. ის, ვინც უვლის ბაღს, არის ..........
7. ის, ვინც აცხობს პურს, არის ..........
8. ის, ვინც იცავს საზღვარს, არის ..........

## გ) პროფესიას მიუწერე მოვალეობა:

მეხანძრე  აქრობს ხანძარს

მებაღე ..........

მეტყევე ..........

მესაათე ..........

მეთევზე ..........

მეცხვარე ..........

მესაზღვრე ..........

მეპურე ..........

## დ) დააწყვილე წინა დავალების სიტყვები:

| მოვლენა-საგანი | პროფესია |
|---|---|
| ხანძარი | მეხანძრე |
| | |
| | |
| | |

## (A2) სავარჯიშო 37. გამოიყენე წინა დავალებები და დაასრულე წინადადებები:

1. მამას აქვს ყავისფერი ................................ .
2. ამ საფულეში არის ბევრი ................................ .
3. ქათმები არიან ................................ .
4. **საფულეში არის** ................................ .
5. ................................ ხანძარს აქრობს.
6. ტყეში მეხანძრეები ................................ მანქანებით ხანძარს აქრობენ.
7. ................................ სიცხეს იზომავს.
8. სოფელში არის ექიმი, მაგრამ არ არის ................................ .
9. ოჯახში ................................ არის 2 საათზე და ჩვენ ვჭამთ ტოლმას.
10. სადილი არის ................................ ოთახში.

## (A2) სავარჯიშო 38. დააკავშირე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** კაბა ........................................ სა-კაბ-ე

| | |
|---|---|
| **სადილი** ................................ | **სა-სადილ-ო** |
| ზაფხული | სასადილო |
| ტელეფონი | სახანძრო |
| სადილი | საავადმყოფო |
| ოჯახი | საოჯახო |
| ავადმყოფი | სატელეფონო |
| ხანძარი | საზაფხულო |
| პური | საპურე |
| კაბა | საკაბე |
| ფული | საფულე |

## (A2) სავარჯიშო 39.

**ა) დააკავშირე სიტყვა განმარტებასთან:**

| | |
|---|---|
| ბავშვიანი | ჰყავს მანქანა |
| შაქრიანი | აქვს ფული |
| ცხენიანი | ჰყავს ბავშვი |
| მანქანიანი | ჰყავს ცხენი |
| ფულიანი | აქვს თვალი |
| თვლიანი | აქვს შაქარი |
| ბურთიანი | აქვს სამი საფეხური |
| გრძელთმიანი | აქვს მარილი |
| ჭაღარათმიანი | აქვს გრძელი თმა |
| სამსაფეხურიანი | აქვს ჭაღარა თმა |
| მარილიანი | აქვს ბურთი |

**ბ) გამოყავი სიტყვის ძირი და მაწარმოებლები ნიმუშის მიხედვით:**

| სიტყვა | ძირი | დაბოლოება (სუფიქსი) | ბრუნვის ნიშანი |
|---|---|---|---|
| ბავშვიანი | ბავშვ- | -იან- | -ი |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

**გ) პირველ სვეტში მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

## (A2) სავარჯიშო 40.

ა) მოცემული სიტყვებით აწარმოე ახალი ფორმები

ბ) შეადგინე წინადადებები:

წვენი, თოვლი, წვიმა, ღრუბელი, მზე, ტყე, მთა, ჭორფლი, ჩანთა, ვაშლი, ტკბილი, შვილი

**ნიმუში:** წვენი – წვნიანი

გახსოვდეს, ზოგიერთი სიტყვა შეიძლება შეიკუმშოს ან შეიკვეცოს

**ნიმუში:** ეს წვნიანი ბებიას რეცეპტით მოვამზადე

## (A2) სავარჯიშო 41.

### ა) გაანაწილე სიტყვები ცხრილში მაწარმოებლების მიხედვით:

რძიანი, მექუდე, ყვავილიანი, საკაბე, უჩანთო, საქათმე, საბავშვო, პომიდვრიანი, ნივრიანი, უშაქრო, ულამაზო, ფეხიანი, საფეხური, ნაფეხური, თბილისელი, თურქული, ლურჯთვალა

| -იან | უ-ო | სა-ე | სა-ო | სა-ურ | -ელ | -ურ / ულ | -ა | ნა-ურ | მე-ე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |

### ბ) შეარჩიე სიტყვები ცხრილიდან და შეადგინე წინადადებები:

**ნიმუში:** თოვლში კარგად ჩანს ჩვენი ნაფეხურები.

## (A2) სავარჯიშო 42.

### ა) დაუკავშირე სიტყვა განმარტებას:

| | | |
|---|---|---|
| 1. | **უმარილო** | აქვს მარილი<br>არ აქვს მარილი |
| 2. | **ორსართულიანი** | აქვს ორი სართული<br>არ აქვს ორი სართული |
| 3. | **ნიჭიერი** | აქვს ნიჭი<br>არ აქვს ნიჭი |
| 4. | **შავთვალა** | აქვს შავი თვალები<br>არ აქვს შავი თვალები |
| 5. | **უდედმამო** | ჰყავს დედა და მამა<br>არ ჰყავს დედა და მამა |
| 6. | **უშაქრო** | აქვს შაქარი<br>არ აქვს შაქარი |
| 7. | **უთოვლო** | არის თოვლი<br>არ არის თოვლი |
| 8. | **ყვავილებიანი** | აქვს ყვავილები<br>არ აქვს ყვავილები |
| 9. | **შვილიანი** | ჰყავს შვილი<br>არ ჰყავს შვილი |

ბ) შეავსე ცხრილის ცარიელი უჯრები:

| სიტყვის შინაარსი | წარმოქმნილი სიტყვა | სიტყვის ძირი | წარმომქმნელი აფიქსი |
|---|---|---|---|
| მიუთითებს ძირეული სიტყვით გადმოცემული საგნის ქონაზე / ყოლაზე | ფულიანი | ფულ- | -იან- |
| მიუთითებს ძირეული სიტყვით გადმოცემული საგნის არ ქონაზე / არ ყოლაზე | უთოვლო | თოვლ- | უ-ო |

გ) შეადგინე წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

ფულიანი, უთოვლო, შვილიანი, უშაქრო, ყვავილებიანი, უდედმამო, შავთვალა, უმარილო, ნიჭიერი, ორსართულიანი

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........
11. ..........

**(A2) სავარჯიშო 43.** **დააწყვილე სიტყვები და მათი გამოყენებით ააგე წინადადებები:**

| | |
|---|---|
| სასადილო | ნაჭერი |
| საზაფხულო | საუბარი |
| საოჯახო | დარბაზი |
| სათამაშო | ოთახი |
| სატელეფონო | ალბომი |
| საბანკეტო | ტანსაცმელი |
| საკაბე | ტრაქტორი |
| სათესლე | ხორცი |
| სამწვადე | ავეჯი |
| საოფისე | კარტოფილი |

**ნიმუში:** საკაბე ნაჭერი წითელია.

(B1) სავარჯიშო 44.

ა) აწარმოე სიტყვები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენე აფიქსები: სა-ე):

**ნიმუში:** ქუდი – საქუდე

კაბა – ..............................

თვალი – ..............................

ყვავილი – ..............................

ფული – ..............................

ძროხა – ..............................

ქვაბი – ..............................

კურდღელი – ..............................

ყური – ..............................

ბ) წინა სავარჯიშოს გამოყენებით მიუწერეთ ფრაზებს განმარტება:

**ნიმუში:** ქსოვილი, რომლითაც ქუდი უნდა შეკერო არის **საქუდე** ქსოვილი.

კაბის შესაკერი ქსოვილი არის ..............................

თვალებზე გასაკეთებელი აქსესუარი ..............................

ლარნაკი, რომელშიც ყვავილებს ვდგამთ, არის ..............................

ფულის შესანახი არის ..............................

ძროხის სახლი არის .............................., ანუ ბოსელი

ცხვრის სახლი არის .............................., ანუ ფარეხი.

კურდღლის სახლს ჰქვია ...............................

## (A2) სავარჯიშო 45.

### ა) აწარმოე სიტყვები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენე აფიქსები: სა-ო):

**ნიმუში:** მუშაობა – სამუშაო

სადილი ..................
კონფერენცია ..................
ტელევიზია ..................
სოფელი ..................
ექიმი ..................
ბავშვი ..................
ავადმყოფი ..................
მოტივაცია ..................

### ბ) წინა სავარჯიშოს გამოყენებით შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები:

**ნიმუში:** ხვალიდან ახალი **სამუშაო** მაგიდა მექნება

1. ვსადილობთ .................. ოთახში.
2. ძალიან საინტერესო .................. გადაცემას ვუყურებ.
3. ჩემი მეგობარი .................. თემაზე მუშაობს.
4. მიყვარს .................. ფილმების ყურება.
5. მე და მამა ხშირად დავდივართ .................. და ბევრ თევზს ვიჭერთ.
6. .................. წერილს ვწერ.
7. ეს .................. შარშან ააშენეს 100 ავადმყოფისთვის.
8. .................. სამუშაოები კახეთში თებერვლიდან იწყება.

(A2) სავარჯიშო 46.

ა) აწარმოე სიტყვები ნიმუშის მიხედვით
(გამოიყენე აფიქსები: სა-ურ / ულ):

**ნიმუში:** მსახური – სამსახური

თაგვი ..............................
ფეხი ..............................
ხელი ..............................
ბარგი ..............................
ტერფი ..............................
თავი ..............................
მაჯა ..............................
საგანძური ..............................

ბ) წინა სავარჯიშოს გამოყენებით შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები:

**ნიმუში:** ახალი **სამსახური** ჩემს სახლთან ახლოა.

1. ჩემს მანქანას დიდი .............................. აქვს.
2. ბებომ .............................. კარადაში დადგა.
3. ჩემმა მეგობარმა კურორტის .............................. აიღო.
4. კარის .............................. შესაკეთებელია.
5. სახლისთვის კიბის 20 .............................. მჭირდება.
6. ჩვენი ქვეყნის .............................. და სიმდიდრე მისი ეთნიკური მრავალფეროვნებაა.
7. მოთხრობას .............................. ვერა და ვერ შევურჩიე.
8. ეს .............................. ძალიან უხდება შენს კაბას.

(A2-B1) სავარჯიშო 47.

**ა) ცხრილში მოცემული სიტყვები დააკავშირე ისე, რომ მიიღოთ კომპოზიტები:**

**ნიმუში:** თავშიშველი

| | |
|---|---|
| მამა | ბურთელი |
| კალათ | შიშველი |
| თავ | ჩემი |
| სამ | კლასელი |
| თანა | წინ |
| ხელის | სართულიანი |
| თვალ | ფერი |
| ვარდის | გული |
| ხელფეხ | შეკრული |
| ვარდის | შვილი |
| ძმის | მიწა |

**ბ) მიღებული კომპოზიტების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

## (A2) სავარჯიშო 48.

**გაითვალისწინე!** ერთცნებიანი კომპოზიტები, ანუ ის სიტყვები, რომლებიც ერთ ცნებას აღნიშნავს, უდეფისოდ იწერება, ხოლო ორ- და მეტცნებიანი – დეფისით.

**ა) გადახაზე არასწორად დაწერილი კომპოზიტები:**

**დედაშვილი**, ბიძაშვილმამიდაშვილი, და-ძმა, ცოლქმარი, ბებიაბაბუა;
ჩქარჩქარა, მთა-მთა, ნელნელა, თანდა-თან, სხვა-და-სხვა;
აიარ-ჩამოიარა, წავიდწამოვიდა, აატარ-ჩამოატარა, მიიფანტმოიფანტა
ცისფერთვალება, შავ-ყურა, დიდგულა, დიდ-ცხვირა.

**ბ) არასწორად დაწერილი სიტყვები გადაწერე სწორად:**

**მაგალითი:** დედა-შვილი

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

## (A2) სავარჯიშო 49. გამოიყენე მაწარმოებლები სა-ე, სა-ო, სა-ურ / ულ და აწარმოე სახელები:

**ნიმუში:** თითი – სათითე, სა-ო

ა) მანქანას (ქარი) .......... მინა დაუზიანდა.
ბ) სოფელს ახალი (სკოლა) .......... ავტობუსი ემსახურება.
გ) (სწრაფი) .......... დახმარების მანქანას ყველა გზას უთმობდა.
დ) (კლასი) .......... ოთახი ნაირფერი ბუშტებით იყო მორთული.
ე) (ნადირი) .......... თოფი იქვე კედელზე მიეყუდებინა მონადირეს.
ვ) (დღესასწაული) .......... სუფრაზე ელაგა ნამცხვრები და ტკბილეული.
ზ) ნიკას (ფული) .......... მუქი შინდისფერია.
თ) მალე დაიწყება (ზაფხული) .......... არდადეგები.
ი) ქალაქში ყვითელი (მარშრუტი) .......... ტაქსები დადის.
კ) ჩემმა დამ (შინ) .......... დავალება ათ წუთში დაწერა.

## (A2) სავარჯიშო 50.

### ა) დაწერე ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** წვერიანი – წვერი

ა) ცხენოსანი – ..............................
ბ) სევდიანი – ..............................
გ) კოპლებიანი – ..............................
დ) საქმიანი – ..............................
ე) უჭკუო – ..............................
ვ) უხეირო – ..............................
ზ) უნალექო – ..............................
თ) ნიღბიანი – ..............................
ი) მტვრიანი – ..............................
კ) უმარილო – ..............................

### ბ) მიუსადაგე წინა სავარჯიშოს სიტყვები განმარტებებს:

**ნიმუში:** ის, ვისაც ჭკუა არ აქვს – უჭკუო

1. ის, ვისაც ხეირი არაფერში აქვს – ..............................
2. ის, რასაც მარილი არ აქვს – ..............................
3. ის, რასაც ნალექი არ აქვს – ..............................
4. ის, ვინც ცხენზე ზის – ..............................
5. ის, რასაც ბევრი მტვერი აქვს – ..............................
6. ის, ვისაც ნიღაბი უკეთია – ..............................
7. ის, ვისაც სევდა აწუხებს – ..............................
8. ის, ვინც უდამ საქმეს აკეთებს – ..............................
9. ის, რასაც კოპლები აქვს – ..............................

(A2) სავარჯიშო 51.

ა) აწარმოე ხარისხის ფორმები შემდეგი სიტყვებისგან:

გაითვალისწინე, რომ ყველა სიტყვას სამივე ფორმა არ ექნება.
ასევე, ზოგიერთი ზედსართავი განსხვავებულად იწარმოება:

| ზედსართავი სახელი | უფროობითი ხარისხი | ოდნაობითი ხარისხი |
| --- | --- | --- |
| შავი | | |
| კეთილი | | |
| გრძელი | | |
| **მწარე** | **უმწარესი** | **მომწარო** |
| მოკლე | | |
| მაღალი | | |
| ძლიერი | | |
| ძველი | | |
| ცუდი | | |
| ლამაზი | | |
| კარგი | | |

ბ) დაწერე ნიმუშის მიხედვით:

| | |
| --- | --- |
| უშავესი – ყველაზე შავი | მოშავო – ოდნავ შავი |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

(A2) სავარჯიშო 52.

ა) დააჯგუფე ქვემოთ მოცემული სიტყვები ცხრილში:

მენავე, სიყვარული, სიხარბე, უპატრონო, ოქროსქოჩრიანი, საცოლე, უსახელო, სიძუნწე, სილამაზე, ასთავიანი, მეთევზე, სამშობლო, ნავენახევი, ნაზამთრალი, მეპურე, სამშვიდობო, საბავშვო

| ხელობის | ქონა-ყოლის | უქონლობა-უყოლობის | წინა ვითარების | დანიშნულების |
|---|---|---|---|---|
| | | უპატრონო | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

ბ) მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

## (A2) სავარჯიშო 53.

ა) აწარმოე ხელობის სახელები მე-ე, მე-ურ აფიქსების დახმარებით:

**ნიმუში:** თევზი – მეთევზე

ა) ცხვარი ..............................
ბ) ვენახი ..............................
გ) ურემი ..............................
დ) თავი ..............................
ე) ზღვა ..............................
ვ) ვალი ..............................
ზ) საათი ..............................
თ) ნახირი ..............................
ი) მაწონი ..............................
კ) ბადე ..............................

ბ) შეადგინე წინადადებები მიღებული სიტყვების გამოყენებით:

..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................
..............................................................................................................................

## (A2) სავარჯიშო 54. შეადგინე ახალი სიტყვები ნიმუშის მიხედვით და ჩასვი წინადადებაში:

**ნიმუში:** ხალხი – ხალხ**ური**; იმე**რ**ეთი – იმერ**ული**
(რადგან სიტყვაში არის „რ“, ბოლოსართი-სუფიქსი **„ური“** გახდა **„ული“**.)

1. საქართველოში .................................. (კახეთი) ღვინო საკმაოდ პოპულარულია.
2. .................................. (გურია) სიმღერების შესრულება საკმაოდ რთულია.
3. 26 მაისს ბევრი .................................. (კულტურა) ღონისძიება იმართება.
4. ამ მაღაზიაში მხოლოდ .................................. (კომპიუტერი) ტექნიკაა.
5. .................................. (ინფორმაცია) ტექსტების წაკითხვა ზოგიერთ მოსწავლეს არ უყვარს.
6. .................................. (ხევსური) ტანსაცმელი პოპულარულია ახალგაზრდებში.
7. .................................. (ბერძენი) მითოლოგია მდიდარია პერსონაჟებითა და თავგადასავლებით.
8. ალექსანდრეს რცხვენოდა თავისი .................................. (ბავშვი) საქციელის.
9. ძალიან მინდა .................................. (თუში) ყველის გასინჯვა.
10. ახალი მასწავლებელი .................................. (გაბრაზება) იყო.

## (A2) სავარჯიშო 55. ჩასვი შესაბამისი ფორმა:

1. ადამიანი, რომელსაც ქუდი არ ახურავს, არის .................................. (ქუდიანი / უქუდო).
2. ადამიანი, რომელსაც სახლ-კარი არ აქვს, არის .................................. (უსახლკარო /სახლკარიანი).
3. სოფელი, რომელსაც სახელი არ აქვს, არის .................................. (უსახელო / სახელოვანი).
4. სახლი, რომელსაც ფანჯარა არ აქვს, არის .......................... (უფანჯრო / ფანჯრიანი).
5. ტელეფონი, რომელსაც ფანარი არ აქვს, არის ...................... (უფანრო / ფანრიანი).
6. ინტერნეტს, რომელსაც კაბელი არ სჭირდება .................................. (უკაბელო / საკაბელო) ინტერნეტი ჰქვია.
7. კაცს, რომელსაც ცოლი არ ჰყავს, .......................... (უცოლო / ცოლიანი) კაცი ჰქვია.
8. შარვალს, რომელსაც ქამარი არ სჭირდება .................................. (უქამრო / ქამრიანი) შარვალი ჰქვია.
9. ადამიანი, რომელსაც შვილები არ ჰყავს .................................. (შვილიანი / უშვილო) ადამიანია.
10. (უკუდო / კუდიანი) ..................................ის ცხოველია, რომელსაც კუდი არ აქვს.

## (A2) სავარჯიშო 56. ჩასვი შესაბამისი ფორმა:

1. ხელოსანმა ................................ (საქამრე / ქამრიანი) ტყავი იყიდა.
2. მონადირეს ირემი ................................ (სათოფე / თოფიან) მანძილზე მიუახლოვდა.
3. მომღერალი ................................ (საკონცერტო / კონცერტის) დარბაზის შესასვლელში იდგა.
4. ამ მაღაზიაში ................................ (საპალტოე / პალტოიანი) ქსოვილი არ იყიდება.
5. ფერმერმა ................................ (საკარტოფილე/კარტოფილიანი) ტერიტორია ადრე გაზაფხულზე დაამუშავა.
6. მეზობლის ................................ (სავენახე / ვენახიანი) ადგილზე ხეები იყო ამოსული.
7. შორეული ქვეყნის ................................ (საელჩოს / ელჩის) სახურავი წითლად იყო შეღებილი.
8. (სახალხო / ხალხური) ................................ ლექსები ძალიან პოპულარულია.
9. (სამზარეულოს / მზარეულობას) ................................ ავეჯი ნელ-ნელა შეიტანეს სახლში.
10. ინდიელების ბელადს დიდი ................................ (ყურიანი / საყურე) ეკეთა მარცხენა ყურზე.

## (A2) სავარჯიშო 57. მოცემულ სიტყვას დაამატე სათანადო აფიქსი და ჩასვი წინადადებაში:

**ნიმუში:** გზა – გზიანი – უგზო,
კამათელი – კამათლიანი – უკამათლო.

1. მამაჩემს ................................ (შაქარი) დიაბეტი აქვს.
2. სადილი ძალიან ................................ (მარილი) გამოვიდა და არავინ არ შეჭამა.
3. წინ ................................ (ტალახი) გზა ჩანდა და მგზავრი ვერ შეძლებდა გავლას.
4. იმ დროს ................................ (მთვარე) ღამეები იყო და გზაში არავინ დადიოდა.
5. დიასახლისმა ................................ (ფქვილი) ხელები წინსაფარზე გაიწმინდა.
6. სტუმარი მორიდებით შემოვიდა და ................................ (ზურგი) სკამზე ჩამოჯდა.
7. ................................ (ღრუბელი) დილა გათენდა და მალე ჩახჩახა მზე ამოვიდა.
8. ნესტანს ................................ (ყვავილები) კაბა ეცვა.
9. ბიჭმა ................................ (წყალი) ბოთლი აიღო.
10. კატას შესცივდა და ეზოს ................................ (მზე) ნაწილი აირჩია.

## (A2-B1) სავარჯიშო 58.

### ა) აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** ადვოკატი – საადვოკატო

პრეზიდენტი ..............................
პარლამენტი ..............................
მასწავლებელი ..............................
მომხმარებელი ..............................
ექიმი ..............................
მორიგე ..............................
მგზავრი ..............................
ბავშვი ..............................

### ბ) ჩასვი შესაბამის წინადადებაში:

1. გიორგიმ ახალციხეში .............................. კომპანია გახსნა.
2. წელს ამ ქვეყანაში ჩატარდება .............................. არჩევნები და ხალხი აირჩევს პრეზიდენტს.
3. .............................. არჩევნები საქართველოში ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება.
4. საქართველოს .............................. ხვალ ახალ კანონს დაამტკიცებს.
5. საქართველოს .............................. სალომე ზურაბიშვილი ამერიკის ელჩს შეხვდა.
6. გოგა .............................. და დაზარალებულს იცავს.
7. სადგურის .............................. მატარებლების გასვლის შემდეგ .............................. შედის და ისვენებს.
8. ეს .............................. 10 წელია სკოლაში მუშაობს.
9. .............................. სკოლის პირველ სართულზეა.
10. .............................. ავტობუსის მძღოლი მგზავრს ესაუბრება.
11. ნინო ლიბერტი ბანკის .............................. და მან ბანკში .............................. სესხი აიღო.
12. ბავშვები .............................. ბაღში შაბათ-კვირას არ დადიან.

## (A2/B1) სავარჯიშო 59. -იერ / -იელ სუფიქსის გამოყენებით აწარმოე ახალი მნიშვნელობის სიტყვები:

**ნიმუში:** ზომა – ზომ-იერი, სახე – სახ-იერი, წიგნი – წიგნ-იერი

1. ხანი ..............................
2. ნიჭი ..............................
3. გონი ..............................
4. ღონე ..............................
5. წესი ..............................
6. ჟამი ..............................
7. ხორცი ..............................
8. მადლი ..............................
9. კანონი ..............................
10. მშვენი ..............................

## (A2–B1) სავარჯიშო 60.

### ა) აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** ტრანსპორტი – სატრანსპორტო

| | |
|---|---|
| ბანკი .............................. | თემი .............................. |
| კრედიტი .............................. | თხილამური .............................. |
| დებიუტი .............................. | რაკეტა .............................. |
| აღდგომა .............................. | მედიცინა .............................. |
| ტყე .............................. | შემოდგომა .............................. |

### ბ) დააკავშირე:

**ნიმუში:** საკრედიტო ▶ ისტორია

| | |
|---|---|
| სააღდგომო | გუნდი |
| სათხილამურო | კვერცხი |
| საფეხბურთო | ტრასა |
| საშემოდგომო | ფაკულტეტი |
| სამედიცინო | დანადგარი |
| სარაკეტო | მოსავალი |
| საფინანსო | სიმღერა |
| სადებიუტო | ქსელი |
| სააფთიაქო | ორგანიზაცია |

**ვ) შეარჩიე სწორი ვარიანტი და შეავსე გამოტოვებული სიტყვები:**

**ნიმუში:** კრედიტი / საკრედიტო

ნინოს კარგი ..................................... ისტორია აქვს.

1. **აღდგომა / სააღდგომო**

   დედამ საღამოს ..................................... კვერცხი შეღება.

   ..................................... წელს არის მაისში.

2. **თხილამური / სათხილამურო**

   მამამ ლევანს ზამთრისთვის იაპონური ..................................... უყიდა.

   ბაკურიანში ახალი ..................................... ტრასა ამუშავდა.

3. **ფეხბურთს / საფეხბურთო**

   ამ ..................................... კლუბში საუკეთესო ..................................... თამაშობენ.

4. **სამედიცინო / მედიცინა**

   მარიანა ..................................... ფაკულტეტზე სწავლობს.

   ნაიას ძალიან აინტერესებს ..................................... .

5. **რაკეტა / სარაკეტო**

   რუსეთი თურქეთზე ..................................... დარტყმებისთვის ემზადება.

   ნატომ საქართველოს ..................................... მოწყობილობა უფასოდ გადასცა.

6. **ფინანსები / საფინანსო**

   მიკრო ..................................... ორგანიზაცია ფერმერებისთვის სესხის გაცემას იწყებს.

   ამ სახლის რემონტისთვის საკმარისი ..................................... არ გვაქვს.

7. **დებიუტი / სადებიუტო**

   დღეს სცენაზე ლიკას ..................................... შედგა და მან ორი .....................................

   სიმღერა შეასრულა.

   ახალგაზრდა ფეხბურთელმა თვის ბოლოს ..................................... თამაშში მიიღო

   მონაწილეობა.

9. **შემოდგომა / საშემოდგომო**

   ..................................... სამუშაოები  ოქტომბრიდან დაიწყება.

10. **აფთიაქი / სააფთიაქო**

    ეს წამალი არცერთ ..................................... ქსელში არ არის.

    ავერსის ..................................... ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარეობს.

## (A2/B1) სავარჯიშო 61. ქვემოთ მოცემული სიტყვები გამოხატავს რაღაცის ქონას; დააჯგუფე ისინი დაბოლოებების მიხედვით:

შაქრიანი, ერთფეროვანი, ცხენოსანი, ქუდიანი, ყვავილოვანი, წიწვოვანი, ორსართულიანი, სურნელოვანი, ქუდოსანი, ცხენიანი, თეთრკაბიანი, ფოთლოვანი, თაფლიანი, მარილიანი, გუმბათოვანი

| I | II | III |
|---|---|---|
| | | |

## (A2/B1) სავარჯიშო 62. ერთნაირი მაწარმოებლების მქონე სიტყვები გაანაწილე ცხრილის შესაბამის სვეტში:

**უ**დედმამ**ო**, დედმამ**იანი**, ცოლშვილ**იანი**, **უ**ცოლშვილ**ო**, **უ**ღრუბლ**ო**, ღრუბლ**იანი**, ჩანთ**იანი**, **უ**ჩანთ**ო**, შაქრ**იანი**, **უ**შაქრ**ო**, **უ**მარილ**ო**, მარილ**იანი**, მაღალხმ**იანი**, **უ**ხმ**ო**, ფანჯრ**იანი**, **უ**ფანჯრ**ო**

| ვინც ჰყავს ან რაც აქვს, არის: | ვინც არ ჰყავს ან რაც არ აქვს, არის: |
|---|---|
| 1. წიწაკიანი | 1. უწიწაკო |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |
| 11. | 11. |

## (A2/B1) სავარჯიშო 63. ჩაწერე შესაბამისი სიტყვა ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში: ვახშმის** შემდგომი დრო არის **ნა-ვახშმ-ევ-ი.**

1. ადგილი, სადაც რამის კვალია, არის ............................................ .
2. სადილის შემდგომი დრო არის ............................................ .
3. შუადღის შემდგომი დრო არის ............................................ .
4. შუაღამის შემდგომი დრო არის ............................................ .
5. ადგილი, სადაც მდინარე იყო, არის ............................................ .
6. ის, რაც ვადაზე ადრე მოხდა, არის ............................................ .
7. ხილი, რომელიც გვიან დამწიფდა, არის ............................................ .
8. ადგილი, სადაც წინათ დარბაზი იყო, არის ............................................ .
9. რთვლის შემდეგი დრო არის ............................................ .
10. ის, რაც ნგრევის შემდეგ დარჩა, არის ............................................ .

## (A2/B1) სავარჯიშო 64. ჩაწერე შესაბამისი სიტყვა ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** ადგილი, სადაც ადრე სოფელი იყო, არის (სოფ~~ე~~ლი) **ნა**-სოფლ-**არი**.
(ავდ~~ა~~რი) ავდრის შემდეგ ამინდს ჰქვია ნა-ავდ**რ-ალი**.

1. ადგილი, სადაც ადრე ქალაქი იყო, არის ............................................ .
2. რამაც ზამთარი გამოიარა, არის ............................................ .
3. ადგილი, სადაც ადრე სახლი იყო, არის ............................................ .
4. ადგილი, სადაც ადრე ვენახი იყო, არის ............................................ .
5. ნემსის ჩარჭობის ადგილი არის ............................................ .
6. ადგილი, სადაც ადრე ტყვია მოხვდა ............................................ .
7. ის, რაც ადრე სახელი იყო, არის ............................................
8. ადგილი, სადაც ადრე ომი იყო, არის ............................................ .
9. ხანძრის შემდეგ ადგილი არის ............................................ .
10. ადგილი, სადაც ადრე ჭაობი იყო, არის ............................................ .

## (A2/B1) სავარჯიშო 65.

### ა) აწარმოე ახალი სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** სახე (-იან, -იერ, უ-ო, უ-ურ), სახ-იან-ი -----, სახ-იერ-ი ----,
უ-სახ-ო -----, უ-სახ-ურ-ი

1. მადლი (-იან, -იერ, -ობა, უ-ო, სა-ო): ........................................
2. კაცი ( -ურ, -იან, -ობა, -უნა, უ-ო, უ-ურ, სა-ე, ნა-არ): ........................................
3. ცხენი (-იან, -ოსან, სა-ე, უ-ო): ........................................
4. ხმა:(-ურ, -იან, -ოვან, სა-ო, უ-ო, უ-ურ): ........................................
5. წიგნი(-იან,-იერ,-აკი,უ-ო,სა-ე,უ-ურ): ........................................
6. შაქარი (-იან, სა-ე, უ-ო): ........................................
7. ხილი (-იან, მე-ე, სა-ე, უ-ო): ........................................
8. სახლი (-იან, -ობა, -მო-ე, სა-ე, უ-ო, ნა-არ): ........................................
9. ყვავილი (-იან, -ოვან, სა-ე, მო-ე, უ-ო, ნა-არ, მე-ე): ........................................
10. ქარი (-იან, უ-ო, სა-ე) ........................................

### ბ) მიღებული სიტყვებიდან აირჩიე სხვადასხვა მაწარმოებლიანი 10 სიტყვა და მათი გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

**მაგალითად:** მის გონებას უსახური ფიქრი არ გაჰკარებია.

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

**(A2/B1) სავარჯიშო 66.** **დააჯგუფე საერთო ძირის სიტყვები ნიმუშის მიხედვით:**

სახიანი, ცოლიანი, უძალო, ბავშვური , საფიქრალი, სოფლური, უქუდო, ძალოვანი, ქალაქობანა, ძმური, საცოლე, მოგზაური, ქუდიანი, საქუდე, უძმო, ნასოფლარი, საძმო, უცოლო, საბავშვო, ქალაქური, სახიერი, სასოფლო, ბავშვიანი, მეგზური, მექუდე, უსახო, ქალაქელი, მგზავრი, საცოლო, უსახური, ძლიერი, უბავშვო, გზიანი, ძალიანი, უგზო, ფიქრიანი, მოძალადე, საგზაო, ბავშვობა, ნაცოლარი, სოფლელი, სამგზავრო, ქუდოსანი, საქალაქო, ნაქალაქარი, მგზავრობა, ნაფიქრი, ძმობა, ძალადობა.

| ძირეული სიტყვა | მისგან ნაწარმოები სიტყვები |
|---|---|
| გზა | გზიანი, უგზო, მოგზაური, საგზაო, მეგზური, მგზავრი, მგზავრობა, სამგზავრო |
| სახე | |
| ქალაქი | |
| ფიქრი | |
| სოფელი | |
| ქუდი | |
| ძმა | |
| ცოლი | |
| ბავშვი | |
| ძალა | |

## (A2/B1) სავარჯიშო 67. დააკავშირე:

| | |
|---|---|
| ვისაც ცოლი ჰყავს | მანდილიანი / მანდილოსანი |
| ვისაც დედმამა ჰყავს | ქუდიანი / ქუდოსანი |
| ვისაც ცხენი ჰყავს | წვერიანი / წვეროსანი |
| ვისაც წვერი აქვს | დედმამიანი |
| ვისაც ქუდი აქვს | შუბიანი / შუბოსანი |
| ვისაც მანდილი აქვს | ფარიანი / ფაროსანი |
| ვისაც ჩოხა აქვს | ცოლიანი |
| ვისაც შუბი აქვს | ცხენიანი / ცხენოსანი |
| ვისაც ფარი აქვს | ჩოხიანი / ჩოხოსანი |

## (B1) სავარჯიშო 68. აწარმოე ქონების სახელები -ოსან და -იან სუფიქსების გამოყენებით:

**ნიმუში:** ფარი ▶ ფარ-ოსანი, ფარ-იანი

| | |
|---|---|
| წვერი ........................ | ქუდი ........................ |
| ცხენი ........................ | ჩოხა ........................ |
| შუბი ........................ | მანდილი ........................ |

## (B1) სავარჯიშო 69.

### ა) შეადგინე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

**ფეხი – სა - ფეხ - ური**

| | |
|---|---|
| 1. მაჯა ........................ | 6. ცეცხლი ........................ |
| 2. განძი ........................ | 7. ტერფი ........................ |
| 3. გზა ........................ | 8. ხელი ........................ |
| 4. თითი ........................ | 9. ყელი ........................ |
| 5. თაგვი ........................ | 10. თავი ........................ |

## (B1) სავარჯიშო 70.

**ა) შეადგინე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:**
**მრავალი – სი-მრავლ-ე**

1. გიჟი ....................
2. ბინძური ....................
3. მარდი ....................
4. სწრაფი ....................
5. ახალი ....................
6. სულელი ....................
7. ფრთხილი ....................
8. ბნელი ....................
9. მლაშე ....................
10. ნათელი ....................
11. ბრძენი ....................

**ბ) გამოიყენე წინა სავარჯიშოს სიტყვები და შეადგინე წინადადებები:**

**ნიმუში:** სიმრავლე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა მათემატიკაში.

....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................
....................................................................................................

## (B1) სავარჯიშო 71.

### ა) შეადგინე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

**ბანკი – სა-ბანკ-ო**

1. ფონდი ..........
2. ბაჟი ..........
3. ლარი ..........
4. ოლქი ..........
5. ხალხი ..........
6. ბავშვი ..........
7. ექიმი ..........
8. ადვოკატი ..........
9. სწრაფი ..........
10. ავტომობილი ..........
11. მშობელი ..........
12. ქვეყანა ..........

### ბ) გამოიყენე წინა სავარჯიშოს სიტყვები და შეადგინე წინადადებები:

**ნიმუში:** საქართველოს საბანკო ასოციაციამ ახალი განცხადება გაავრცელა.

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

(B2) სავარჯიშო 72.

**ა) ტექსტიდან ამოიწერე პროფესია / ხელობის აღმნიშვნელი სახელები და გამოყავი მაწარმოებლები:**

თბილისური სული მხოლოდ არქიტექტურისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები არ არის, ის თბილისელი ოსტატებიც არიან, ვინც მამაპაპურ ხელობას ძველთაგან მისდევენ...

ისე გამოვიდა, რომ ტფილისში ყველა ეროვნებას საკუთარი ხელობა ჰქონდა. აი, მაგალითად, სომხები მეჩექმეები იყვნენ. ებრაელების საქმე კი ვაჭრობა იყო. რაც შეეხება მებარგულებს, ამ საქმეს თავდაპირველად ხელს მხოლოდ ტფილისში პროვინციებიდან ჩამოსულები ჰკიდებდნენ.

თბილის-ქალაქის ნავთით მომარაგებისა და ფეხსაცმლის გაპრიალების საქმე კი ოდითგან აისორ მენავთეებს ებარათ.

მაგრამ ამ პროფესიის ადამიანების გარდა ქალაქში განთქმულნი იყვნენ რაჭველი მეპურეები. მემანქანეებიც მრავლად ცხოვრობდნენ თბილისში. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან იყვნენ ჩამოსულნი. რკინიგზაზე კი მეისრეები და მილიციელები საქმიანობდნენ.

**ბ) ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ახალი წინადადებები:**

**(B1) სავარჯიშო 73.** **ნიმუშის მიხედვით აწარმოე ახალი სიტყვები:**

ავიაცია – **საავიაციო** კანფეტი – **საკანფეტე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აგიტაცია | – ............ | კაბა | – ............ |
| 2. | სკოლა | – ............ | კარტოფილი | – ............ |
| 3. | აბაზანა | – ............ | შაქარი | – ............ |
| 4. | ბინა | – ............ | შარვალი | – ............ |
| 5. | ბანკეტი | – ............ | მარილი | – ............ |
| 6. | ავტომობილი | – ............ | კალამი | – ............ |
| 7. | გზა | – ............ | მურაბა | – ............ |
| 8. | ბანაკი | – ............ | ქათამი | – ............ |
| 9. | ზამთარი | – ............ | ბატი | – ............ |
| 10. | სწავლა | – ............ | ძროხა | – ............ |

**(B1) სავარჯიშო 74.**

ა) **დააკვირდი წარმოების წესს!**



სახლი



ნასახლარი



ქალაქი



ნაქალაქარი



სოფელი



ნასოფლარი

ბ) აწარმოე მსგავსი სიტყვები და მიუწერე განმარტებები:

**მ-ალ / მ-არ**

1. მონასტერი – ნამონასტრალი = ადრე იყო მონასტერი
2. ცოლი – ........................................
3. მასწავლებელი – ........................................
4. ზამთარი – ........................................
5. მწყემსი – ........................................
6. ბატონი – ........................................
7. თავადი – ........................................
8. დედოფალი – ........................................
9. ბანაკი – ........................................
10. ქეიფი – ........................................

ბ) მიღებული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

........................................
........................................
........................................
........................................
........................................
........................................
........................................
........................................
........................................
........................................
........................................

(B1) სავარჯიშო 75.

ა) შეადგინე სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** მწნილი – სა-მწნილ-ე

1. მარილი ..........
2. შაქარი ..........
3. პური ..........
4. მურაბა ..........
5. სალათა ..........
6. ფარდა ..........
7. კაბა ..........
8. ყური ..........
9. ძროხა ..........
10. სახლი ..........
11. ფული ..........

ბ) გამოიყენე წინა სავარჯიშოს სიტყვები და შეადგინე წინადადებები:

**ნიმუში:** ბებომ სამწნილე ქურქელი კარგად გარეცხა.

# 6

ზმნა

# თავი 6.
# ზმნა[1]

S = სუბიექტი (მოქმედი პირი)  O = ობიექტი (სამოქმედო პირი)

**უცვლელი კონსტრუქციის ზმნები**

| ყოფნა-არსებობის ზმნები | არის (ყოფნა) | S – სახელობითი |
|---|---|---|
| ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის ზმნები | ჰყავს (ყოლა)<br>აქვს (ქონა)<br>უხარია (გახარება)<br>უყვარს (სიყვარული)<br>მოსწონს (მოწონება)<br>ჰქვია (რქმევა)<br>აკლია (კლება) | S – მიცემითი<br>O – სახელობითი |
| გადაადგილების ზმნები | მიდის (წასვლა)<br>ადის (ასვლა)<br>შედის (შესვლა)<br>ჩადის (ჩასვლა)<br>გადადის (გადასვლა) | S – სახელობითი |
| მდგომარეობის გამომხატველი ზმნები | დგას (დგომა)<br>ზის (ჯდომა)<br>წევს (წოლა)<br>წვება (დაწოლა)<br>ღირს (ღირება) | S – სახელობითი |
| ბუნების მოვლენათა გამომხატველი ზმნები | გრილა (აგრილება)<br>ცივა<br>თბილა<br>ცხელა | S – სახელობითი |

[1] კრებულის ამ ნაწილში წარმოდგენილია ზმნები, რომლებიც დალაგებულია ორ ძირითად ჯგუფად: **უცვლელი კონსტრუქციის ზმნები** (ანუ რომელთა სუბიექტი და ობიექტი ბრუნვას არ იცვლის) და **ცვალებადი კონსტრუქციის ზმნები** (ანუ რომელთა სუბიექტი და ობიექტი ბრუნვაცვალებადია). ამ ორ ჯგუფს წინ უძღვის გაანალიზებული ზმნების ცხრილები, რომლებიც კრებულის მომხმარებელს გაუადვილებს ზმნის პარადიგმისა და სავარჯიშოების მოძებნას. ზმნის პარადიგმები წარმოდგენილია  მხოლოდ ძირითადი მწკრივებით (უფრო მეტად A 2 და B 1 დონისათვის აქტიური მწკრივები) და I და II პირის მხოლობითის ფორმები (რადგან სუბიექტური წყობის ზმნებში ამ პირებში მრავლობითის ფორმები დაირთავენ -თ ბოლოსართს და, ამდენად, ადვილი აღსადგენია, ხოლო ობიექტური უღლების ზმნებში კი წარმოდგენილია I და II პირების მრავლობითის ფორმებიც). **III პირი** კი წარმოდგენილია სრულად – როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებით, რადგან III პირის წარმოებას უკავშირდება არა მხოლოდ **პირის ნიშანთა** გამოყენების პრინციპი, არამედ სწორედ მესამე პირის ფორმებში ჩანს **სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები**. მათი სწორად გამოყენება კი ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ენის შემსწავლელებისათვის. ვიმედოვნებთ, ზმნათა ამგვარი მიწოდება და სავარჯიშოები დაეხმარება ენის შემსწავლელებს ამ რთული საკითხის დაძლევაში.

### ზმნა: ყოფნა – არის

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვარ მე, ხარ შენ,<br>არის **ის**, არიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიყავი მე, იყავი შენ<br>იყო **ის**, იყვნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვიქნები მე, იქნები შენ<br>იქნება **ის**, იქნებიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვიქნებოდი მე, იქნებოდი შენ<br>იქნებოდა **ის,** იქნებოდნენ ისინი |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვიყავი მე, იყავი შენ<br>იყო **ის**, იყვნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიყო მე, უნდა იყო შენ<br>უნდა იყოს **ის**, უნდა იყვნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ვყოფილვარ მე, ყოფილხარ შენ<br>ყოფილა **ის**, ყოფილან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ვყოფილიყავი მე, უნდა ყოფილიყავი შენ<br>უნდა ყოფილიყო **ის**, უნდა ყოფილიყვნენ **ისინი** |

## დავალება 1. დააკავშირე ფორმები ერთმანეთთან

| | |
|---|---|
| გუშინ | ვიქნებით |
| დღეს | იყავით |
| ხვალ | ვიყავი |
| გუშინწინ | იყვნენ |
| მაზეგ | ვიყავით |
| გუშინწინისწინ | ვარ |
| ორი კვირის წინ | იყო |
| ხუთი წლის წინ | იქნებიან |
| ახლა | იქნები |
| ახლა | |

**სავარჯიშო 2.** **ჩასვი სწორი ფორმები**

1. გუშინ ჩვენს სკოლაში კონცერტი .................................... . (იყო / იქნება)
2. ხვალ შეხვედრა სად .................................... ? (იქნები / იქნება)
3. ერთი წლის წინ .................................... პარიზში. (ვიქნები / ვიყავი)
4. სად .................................... შენი კლასი ექსკურსიაზე. (იქნება / იყო)
5. სამი საათის წინ მეგობრები სახლში .................................... . (იყვნენ / იყო)
6. საინტერესოა, შენ ვინ .................................... ათი წლის წინ. (იყო / იყავი)
7. თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობრები .................................... . (იყავით / იყვნენ)
8. ხვალ ჩვენ ბოლო გაკვეთილზე არ .................................... . (ვიქნებით / იქნებით)
9. ვინ .................................... შარშან შენს დაბადების დღეზე? (იყო / იყვნენ)
10. ვინ .................................... ზეგ შენს წვეულებაზე? (იქნები / იქნება)

**სავარჯიშო 3.** **მოცემული სიტყვებით დაწერე წინადადებები:**

იქნებით ....................................................................................................

ვარ ....................................................................................................

იყავით ....................................................................................................

იქნებით ....................................................................................................

იყო ....................................................................................................

იყვნენ ....................................................................................................

ვიქნები ....................................................................................................

ვიყავი ....................................................................................................

იქნება ....................................................................................................

იყავი ....................................................................................................

იქნებიან ....................................................................................................

**სავარჯიშო 4.** **შეადგინე ტექსტი თემაზე: „დაბადების დღე“, გამოიყენე წინა სავარჯიშოში მითითებული ზმნები**

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

**ზმნა: ყოლა – ჰყავს**

| | |
|---|---|
| **აწმყო**<br>(ახლანდელი დრო) | მყავს მე ის, გყავს შენ ის<br>ჰყავს **მას ის**, ჰყავთ **მათ ის** |
| **უწყვეტელი**<br>(წარსული უსრული) | მყავდა მე ის, გყავდა შენ ის<br>ჰყავდა **მას ის**, ჰყავდათ **მათ ის** |
| **მყოფადი**<br>(მომავალი დრო) | მეყოლება მე ის, გეყოლება შენ ის,<br>ეყოლება **მას ის**, ეყოლებათ **მათ ის** |
| **ხოლმეობითი**<br>(განმეორებული მოქმედება წარსულში) | მეყოლებოდა მე ის, გეყოლებოდა შენ ის,<br>ეყოლებოდა **მას ის**, ეყოლებოდათ მათ **ის** |
| **წყვეტილი**<br>(წარსული სრული) | .................... (.................... , ....................) |
| **მეორე კავშირებითი**<br>(სასურველი მოქმედება) | .................... (.................... , ....................) |
| **პირველი თურმეობითი**<br>(წარსული შედეგობითი) | მყოლია მე ის, გყოლია შენ ის,<br>ჰყოლია **მას ის**, ჰყოლიათ **მათ ის** |
| **მეორე თურმეობითი**<br>(სასურველი მოქმედება წარსულში) | უნდა მყოლოდა მე ის, უნდა გყოლოდა შენ ის<br>უნდა ჰყოლოდა **მას ის**, უნდა ჰყოლოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. ჩაწერე გამოტოვებული ფორმები:

| | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი | ხოლმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | გყავს | | | |
| მას | | ჰყავდა | | |
| ჩვენ | | | გვეყოლება | |
| თქვენ | | | | |
| მათ | | | | ეყოლებოდათ |

## სავარჯიშო 2. წინადადებებში ჩაწერე „ჰყავს“ ზმნა შესაბამისი ფორმით:

1. მე ადრე დიდი შავი ძაღლი ..............................., ახლა კი პატარა თეთრი პუდელი ............................... .
2. ახალგაზრდობაში ჩემს ბებიას ბევრი მეგობარი ............................... .
3. თქვენს მეზობელს რამდენი შვილი ............................... ?
4. დიდი ეზო რომ გქონდეს, რამდენი ძაღლი ............................... ?
5. საფეხბურთო გუნდს ამჟამად რვა სათადარიგო ფეხბურთელი ............................... .
6. ბერლინის ზოოპარკში იშვიათი სახეობის ტყუპი პანდები ............................... .
7. ჩემპიონატზე ჭიდაობის გუნდს ორი ფალავანი უნდა ..............................., მაგრამ ტრავმის გამო მხოლოდ ერთი მოჭიდავე ............................... .
8. ასეთი კეთილი რომ არ იყო, ამდენი მეგობარი არ ............................... .
9. დიდი ხნის წინ, პირველ კლასში, ჩვენ ძალიან კეთილი მასწავლებელი ..............................., რომელმაც წერა-კითხვა გვასწავლა.
10. თუ მარკეტში კარგი მომსახურება არ იქნება, მაშინ მათ მომხმარებელი არ ............................... .

## სავარჯიშო 3. მოცემული ზმნები ტექსტში ჩაწერე შესაბამის ადგილას:

ჰყოლიათ ჰყავდათ ეყოლებათ ჰყავთ ჰყოლოდათ

სასტუმრო „საქართველო“ უკვე მრავალი წელია ტურისტებს და ადგილობრივ ვიზიტორებს ემსახურება. მათ ყოველთვის ბევრი სტუმარი ............................... და ახლაც საკმაოდ ბევრი ვიზიტორი ............................... . სასტუმროს მენეჯერი ფიქრობს, რომ თუ ისინი რამდენიმე მაღალი კლასის ნომერს დაამატებენ, მომავალში კიდევ უფრო მეტი ვიზიტორი ............................... .

სულ ახლახან სასტუმროს ცნობილი ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ეწვია. მენეჯერმა ტელევიზიებთან ინტერვიუში თქვა, რომ ადრეც ............................... ცნობილი ადამიანები სტუმრად. ასევე მენეჯერმა აღნიშნა, რომ ამ რანგის მსახიობი ორი წლის წინ რომ ..............................., მას ამდენ სერვისს ვერ შესთავაზებდნენ, რაც ახლა შეძლეს.

## სავარჯიშო 4. მოცემულ ზმნებზე შეადგინე წინადადებები და ჩაწერეთ:

გვყავს, ჰყავთ, ჰყავდა, მყავს, მეყოლება, გეყოლებათ, მეყოლებოდა, გვყავდა, ეყოლებოდათ, უნდა ჰყოლოდა

1. ...............................
2. ...............................
3. ...............................
4. ...............................
5. ...............................
6. ...............................
7. ...............................
8. ...............................
9. ...............................
10. ...............................

**ზმნა: ქონა – აქვს**

| | |
|---|---|
| **აწმყო** (ახლანდელი დრო) | მაქვს მე ის, გაქვს შენ ის, აქვს **მას ის**, აქვთ **მათ ის / ისინი** |
| **უწყვეტელი** (წარსული უსრული) | მქონდა მე ის, გქონდა შენ ის, ჰქონდა **მას ის**, ჰქონდათ **მათ ის / ისინი** |
| **მყოფადი** (მომავალი დრო) | მექნება მე ის, გექნება შენ ის, გვექნება ჩვენ ის ექნება **მას ის**, ექნებათ **მათ ის/ისინი** |
| **ხოლმეობითი** (განმეორებული მოქმედება წარსულში) | მექნებოდა მე ის, გექნებოდა შენ ის ექნებოდა **მას ის**, ექნებოდათ **მათ ის / ისინი** |
| **წყვეტილი** (წარსული სრული) | ............ (............ , ............) |
| **მეორე კავშირებითი** (სასურველი მოქმედება) | ............ (............ , ............) |
| **პირველი თურმეობითი** (წარსული შედეგობითი) | მქონია მე ის, გქონია შენ ის ჰქონია **მას ის**, ჰქონიათ **მათ ის / ისინი** |
| **მეორე თურმეობითი** (სასურველი მოქმედება წარსულში) | უნდა მქონოდა მე ის, უნდა გქონოდა შენ ის უნდა ჰქონოდა **მას ის**, უნდა ჰქონოდათ **მათ ის / ისინი** |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე წინადადებისათვის შესაფერისი ფორმა

1. დღეს რამდენი გაკვეთილი ............ ლადოს? (გვაქვს / აქვს / გვაქვს)
2. ჩვენ დღეს ხუთი გაკვეთილი ............ . (აქვთ / გვაქვს / მაქვს)
3. დღეს მენიუში რა ............ . (აქვთ / გვაქვს / გვქონდა)
4. ადრე სოფელში მხოლოდ ერთი ტელევიზორი ............ . (ჰქონდათ / მექნება / მაქვს)
5. მალე ახალი ჩანთა ............ . (ჰქონდათ / აქვს / მექნება)
6. როცა პატარა ვიყავი, გრძელი თმა ............ . (მქონია / მაქვს / მექნება)
7. ნიკას უნდა ბევრი ბურთი ............ . (აქვს / აქვთ / ჰქონდეს)
8. სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ ლამაზი სახლი ............ . (მაქვს / მქონოდა / მქონდა)
9. მოსწავლეებს შესაძლებლობა ............ კარგად იგრძნონ თავი. (ექნებათ / გვექნება / ექნება)
10. ბავშვებს ლამაზი ოცნებები ............ . (აქვთ / გვაქვს / გაქვს)

## სავარჯიშო 2. ჩასვი ბლოკში მოცემული სიტყვები დიალოგში

გქონდეს. გაქვს. მაქვს. გვაქვს. გვქონდა. მქონდეს. გაქვთ. გვქონია. გვაქვს. ჰქონიათ. გვქონია. გქონდეს. მექნებოდა. აქვთ

1) – საკუთარი სახლი ........................................ ?
– დიახ, ........................................, მაგრამ მარტო არ ვცხოვრობ
– შენს მეგობრებს როგორი სახლები ........................................?
– ზოგი საკუთარ სახლში ცხოვრობს, ზოგი-ბინაში.
– ბაღები თუ ........................................?
– ადრე ........................................, მაგრამ ახლა უკვე აღარ ........................................, რადგან მოსარწყავი წყალი არ არის.
– ადრე რომელი ხილის ხეები ........................................?
– ადრე, როცა პატარა ვიყავი ........................................ ბლის, ვაშლის და მსხლის ხეები, ახლა კი აღარ ........................................, მარტო ბოსტანი ........................................ .
– წყალი რომ ........................................, რას დარგავდი?
– წყალი რომ ........................................, გავაშენებდი დიდ ბაღს, ........................................ კივი, ვაშლი, მსხალი და ყველაფერი, რაც ჩვენთან ადრე ........................................ ჩვენს ბაბუებს.

## სავარჯიშო 3. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები წარმოადგინე სათანადო ბრუნვის ფორმით და შეადგინე წინადადებები

1. ........................................ აქვს (დედა. ყვავილები)
2. ........................................ აქვთ (ბავშვები. წიგნები)
3. ........................................ ჰქონდა (მამა. გაკვეთილები)
4. ........................................ ექნებოდა (მეგობარი. დრო)
5. ........................................ ჰქონდა (პროფესორი. ლექცია)
6. ........................................ ჰქონიათ (მეზობლები. ყურძენი)
7. ........................................ უნდა ჰქონოდა (ბავშვები. კომპიუტერი)
8. ........................................ ჰქონდათ (მოსწავლეები. დავალება)
9. ........................................ ექნებოდათ (გაზეთი. სიახლეები)
10. ........................................ გვაქვს (ფეხბურთელი. ვარჯიში)

## სავარჯიშო 4. დაწერე შენი ეზოს და სახლის შესახებ, გამოიყენე წინა სავარჯიშოს ზმნები

................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................

**ზმნა: გახარება – უხარია**

| | |
|---|---|
| **აწმყო**<br>(ახლანდელი დრო) | მიხარია მე ის, გიხარია შენ ის,<br>უხარია **მას ის**, უხარიათ **მათ ის** |
| **უწყვეტელი**<br>(წარსული უსრული) | მიხაროდა მე ის, გიხაროდა შენ ის,<br>უხაროდა **მას ის**, უხაროდათ **მათ ის** |
| **მყოფადი**<br>(მომავალი დრო) | გამიხარდება მე ის, გაგიხარდება შენ ის<br>გაუხარდება **მას ის**, გაუხარდებათ **მათ ის** |
| **ხოლმეობითი**<br>(განმეორებული მოქმედება წარსულში) | გამიხარდებოდა მე ის, გაგიხარდებოდა შენ ის<br>გაუხარდებოდა **მას ის**, გაუხარდებოდათ **მათ ის** |
| **წყვეტილი**<br>(წარსული სრული) | გამიხარდა მე ის, გაგიხარდა შენ ის<br>გაუხარდა **მას ის**, გაუხარდათ **მათ ის** |
| **მეორე კავშირებითი**<br>(სასურველი მოქმედება) | უნდა გამიხარდეს მე ის, უნდა გაგიხარდეს შენ ის<br>უნდა გაუხარდეს **მას ის**, უნდა გაუხარდეთ **მათ ის** |
| **პირველი თურმეობითი**<br>(წარსული შედეგობითი) | გამხარებია მე ის, გაგხარებია შენ ის<br>გახარებია **მას ის**, გახარებიათ **მათ ის** |
| **მეორე თურმეობითი**<br>(სასურველი მოქმედება წარსულში) | უნდა გამხარებოდა მე ის,უნდა გაგხარებოდა შენ ის<br>უნდა გახარებოდა **მას ის**, უნდა გახარებოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის პირის მიხედვით:

1. – ჩემი სიხარული რატომ არ ............................ (გიხარია / მიხარია)? – ჰკითხა გაბრაზებულმა ეკამ მეზობელს.
2. დედას ძალიან ............................ (გიხაროდა / უხაროდა) შვილის დაბრუნება.
3. ყველას ............................ (გამიხარდება / გაგვიხარდება) ჩვენი სამშობლოს წარმატება.
4. გულშემატკივრებთან ერთად სტადიონის პერსონალსაც ............................ – (გაუხარდებოდა / გაგიხარდებოდა) საყვარელი გუნდის გამარჯვება.
5. მამა რომ მოვიდა, ჯერ ძაღლმა დაიწყო კუდის ქიცინი, შემდეგ ნიკოლოზს ............................ (გაუხარდა / გამიხარდა).
6. ამ სათამაშოს ჩუქება ნელის უნდა ............................ . (გაუხარდეს / გაგიხარდეს)
7. ასე ძალიან თამრიკო ბიცოლას ჯერ არაფერი ............................ (გამხარებია / გახარებია).
8. ნანას ქმრის დაბრუნება რომ არ ............................ (გამხარებოდა / გახარებოდა), ასე სწრაფად არ მივიდოდა შინ.

**სავარჯიშო 2.** **შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის რიცხვის მიხედვით:**

1. ბავშვებს მოხარშული სიმინდი ზღვაში ბანაობაზე მეტად ............ (უხარია / უხარიათ).
2. ჩემი ნაჩუქარი წითელყდიანი წიგნი პაატას პატარა ბავშვივით ............ (უხაროდა / უხაროდათ).
3. – ნეტავ, თუ ............ (გაუხარდებათ / გაუხარდება) ბიჭიკოს ჩემი საჩუქარი, – ფიქრობდა ნიკუშა და დაბადების დღეზე მიდიოდა.
4. პატარა ლაშას დედას შინ დაბრუნება ისე ............ (გაუხარდათ / გაუხარდა), რომ მაგიდის გარშემო დაიწყო სირბილი.
5. – დღეს რა უნდა გავაკეთო, დედას რომ ............ (გაუხარდეს / გაუხარდეთ)? – ფიქრობდა შინ მიმავალი მაკა.
6. მანანამ ისე დაამთავრა სამსახური, არაფერი ............ გახარებია / გახარებიათ.
7. თოვლის მოსვლა ნუკრის უნდა ............ (გახარებოდათ / გახარებოდა), მაგრამ არ გახარებია.

**სავარჯიშო 3.** **დააკვირდი ზმნის ფორმებს და შეარჩიე სახელის სწორი ბრუნვები:**

1. პირველი თოვლის მოსვლა ............ (ბავშვებს / ბავშვები) ძალიან უხარიათ.
2. ............ (მეგიმ / მეგის) ძალიან უხაროდა ხოლმე, როდესაც შინ დაბრუნებულს დალაგებული სახლი ხვდებოდა.
3. ამ საღამოს ............ (მერაბი / მერაბს) ძალიან გაუხარდება, შვილი თუ ესტუმრება.
4. სტუმრების დანახვა ............ (მიმოზას / მიმოზამ) ისე გაუხარდა, რომ აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა.

### სავარჯიშო 4. შეავსე ნიმუშის მიხედვით:

| მას უხარია (III პირი) | ჩვენ გვიხარია (I პირი) |
|---|---|
| მას უხაროდა | |
| მას გაუხარდება | |
| მას გაუხარდებოდა | |
| მას გაუხარდა | |
| მას გაუხარდეს | |
| მას გახარებია | |
| მას გახარებოდა | |

### სავარჯიშო 5. შემოხაზე არასწორი ვარიანტი:

ა) დედას ყველაზე ძალიან თავისი შვილის წარმატება უხარია.

ბ) ბავშვმა თავისი სათამაშო ძალიან გაუხარდა.

გ) დამლაგებელს არ ახსოვდა, ასე რაიმე გახარებოდა.

დ) მანანას ძალიან გაუხარდებოდა თავისი სათამაშო რომ ეშოვა.

### სავარჯიშო 6. მოცემულ ზმნებზე შეადგინეთ წინადადებები და ჩაწერეთ:

მიხარია, გვიხარია, არ გიხარია?
უნდა გვიხაროდეს, გამიხარდა, გაგიხარდა, გაგიხარდება,
გამიხარდება, უნდა გამხარებოდა, არ გამიხარდა

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**ზმნა: სიყვარული – უყვარს**

| | |
|---|---|
| **აწმყო**<br>(ახლანდელი დრო) | მიყვარს მე ის, გიყვარს შენ ის, გვიყვარს ჩვენ ის<br>უყვარს **მას ის**, უყვართ **მათ ის** |
| **უწყვეტელი**<br>(წარსული უსრული) | მიყვარდა მე ის, გიყვარდა შენ ის, გვიყვარდა ჩვენ ის<br>უყვარდა **მას ის**, უყვარდათ **მათ ის** |
| **მყოფადი**<br>(მომავალი დრო) | მეყვარება მე ის, გეყვარება შენ ის, გვეყვარება ჩვენ ის<br>ეყვარება **მას ის**, ეყვარებათ **მათ ის** |
| **ხოლმეობითი**<br>(განმეორებული მოქმედება წარსულში) | მეყვარებოდა მე ის, გეყვარებოდა შენ ის, გვეყვარებოდა ჩვენ ის<br>ეყვარებოდა **მას ის**, ეყვარებოდათ **მათ ის** |
| **წყვეტილი**<br>(წარსული სრული) | |
| **მეორე კავშირებითი**<br>(სასურველი მოქმედება) | |
| **პირველი თურმეობითი**<br>(წარსული შედეგობითი) | მყვარებია მე ის, გყვარებია შენ ის, გვყვარებია ჩვენ ის<br>ჰყვარებია **მას ის**, ჰყვარებიათ **მათ ის** |
| **მეორე თურმეობითი**<br>(სასურველი მოქმედება წარსულში) | უნდა მყვარებოდა მე ის, უნდა გყვარებოდა შენ ის<br>უნდა ჰყვარებოდა **მას ის**, უნდა ჰყვარებოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის პირის მიხედვით:

1. „მე ძლიერ .................................... (მიყვარს / გიყვარს) იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა.“ *გალაკტიონი*
2. ძალიან .................................... (გიყვარდა / უყვარდა) ბებიას ჭამის დროს წყლის მოტანა.
3. ძალიან მიყვარდა ვანილის ნაყინი, ახლაც მიყვარს და ცხოვრების ბოლომდე .................................... . (მეყვარება / გეყვარება)
4. თურმე ვაჟას მეზობელთან სტუმრად ჩამოსული გოგო .................................... . (ყვარებია / მყვარებია)
5. გივის საკუთარი თავი რომ .................................... (გყვარებოდა / ჰყვარებოდა), ასეთ საქციელს არ ჩაიდენდა.

## სავარჯიშო 2. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის რიცხვის მიხედვით:

1. ბავშვებს ძალიან ........................ (უყვარს / უყვართ) სათამაშო ცხოველები.
2. ნიკუშას ძაღლებთან თამაშზე უფრო კატებთან თამაში ........................ . (უყვარდა / უყვარდათ)
3. ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე ........................ (მეყვარება / გვეყვარება) ჩვენი სამშობლო.
4. ლამარა მასწავლებელი არ ელოდა, რომ თავის მოსწავლეებს ასე ძლიერ ........................ (ეყვარებოდათ / ეყვარებოდა) წიგნის კითხვა.
5. ასე ალალად არავის ........................ (ყვარებია / ყვარებიათ) მარტო დარჩენილი ლეკვები.
6. დედასაც რომ ისევე ........................ ყვარებოდა თავისი შვილები, როგორც ბებიას უყვარდა, მაშინ არ მიატოვებდა.

## სავარჯიშო 3. დააკვირდი ზმნის ფორმებს და შეარჩიე სახელის სწორი ბრუნვები:

1. ........................ (მოსწავლეები / მოსწავლეებს) ძალიან უყვართ თავიანთი მასწავლებელი.
2. ........................ (გოგონა / გოგონას) დილით რძის დალევა უყვარდა ხოლმე.
3. ყველა ........................ (სტუდენტი / სტუდენტს) არ ეყვარება გამოცდის წინ სწავლა.
4. ........................ (მაკას / მაკა) ასე თუ ეყვარებოდა თავისი ახალი ჩანთა, არავინ არ ელოდა.
5. ყველამ დაინახა, როგორ უანგაროდ ყვარებიათ ........................ (შვილები / შვილებს) მოხუცი მანუჩარი.
6. ........................ (ელზას / ელზამ) რომ ისევე ყვარებოდა თავისი ძაღლი, როგორც კატა უყვარდა, არ გაყიდდა.

**სავარჯიშო 4.** **შეავსე ნიმუშის მიხედვით:**

| | |
|---|---|
| მე მიყვარს (I პირი) | თქვენ გიყვართ (II პირი) |
| მე მიყვარდა | |
| მე მეყვარება | |
| მე მეყვარებოდა | |
| მე მყვარებია | |
| მე მყვარებოდა | |

**სავარჯიშო 5.** **შემოხაზე არასწორი ვარიანტი:**

ა) ამ მომღერალს ყველაზე ძალიან თავისი სიმღერების შესრულება უყვარს.

ბ) ბავშვმა დილით ადგომა იშვიათად თუ ეყვარება.

გ) მე არასდროს არ მყვარებია დილით ადრე ადგომა.

დ) მანუჩარს რომ ელზა ყვარებოდა, ახლა უკვე ოჯახი ექნებოდა.

**სავარჯიშო 6.** **იპოვე არასწორი ფორმა:**

| | I. | II. | III. |
|---|---|---|---|
| ა) | მიყვარდა. | გვიყვარს | უყვართ |
| ბ) | მეყვარება. | გვეყვარება | ეყვარებათ |
| გ) | მყვარება. | გვიყვარდათ | უყვარდნან |
| დ) | მიყვარს. | გვყვარებია | ჰყვარებია |

**სავარჯიშო 7.** **ამოიწერე ხაზგასმული ზმნები და შეუწყვე სუბიექტი. დააკვირდი, რომელ ბრუნვაშია სუბიექტი:**

ყველა ბავშვს **უყვარს** ნაყინი. იშვიათად, რომ რომელიმე ბავშვს არ უყვარდეს. ვი-საც ბავშვობაში ნაყინი უყვარდა, დიდობაშიც უყვარს, თუმცა შედარებით იშვიათად ჭამს. ბავშვებს ვერ წარმოუდგენიათ, თუ ოდესმე არ **ეყვარებათ** ნაყინი ბავშვობაში ალბათ ყველა ადამიანს **ყვარებია** ნაყინი და არც იმაშია რამე გასაკვირი, ყველას რომ თავისებურად **ყვარებოდა**.

| | |
|---|---|
| **ზმნები** | ...... **მას (ბავშვს) უყვარს,** ...... |
| **სუბიექტის ბრუნვა** | ...... |

**სავარჯიშო 8.** **ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეავსე გამოტოვებული ფორმები:**

| რიცხვი | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი |
|---|---|---|---|
| **მხოლობითი** | მე მიყვარს სწავლა.<br>შენ გიყვარს სწავლა.<br>................................................ . | მე მიყვარდა სიმღერა.<br>................................................ .<br>მას უყვარდა სიმღერა. | ................................................ .<br>შენ გეყვარება ხატვა.<br>მას ეყვარება ხატვა. |
| **მრავლობითი** | ჩვენ გვიყვარს სწავლა.<br>................................................ .<br>მათ უყვართ სწავლა. | ჩვენ გვიყვარდა სიმღერა.<br>თქვენ გიყვარდათ სიმღერა.<br>................................................ . | ჩვენ გვეყვარება ხატვა.<br>................................................ .<br>მათ ეყვარებათ ხატვა. |

**სავარჯიშო 9.** **შეადგინე წინადადება ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** უყვარს (მას ის) – გოგონას ხატვა უყვარს.

ა) უყვარდათ (მათ ის) – ................................................................................ .

ბ) მეყვარება (მე ის) – ................................................................................ .

გ) გვიყვარდა (ჩვენ ის) – ................................................................................ .

დ) ყვარებიათ (მათ ის) – ................................................................................ .

**სავარჯიშო 10.** **შეადგინე მცირე ზომის ტექსტი მოცემული ფორმების გამოყენებით:**

უყვარს, უყვარდა, ეყვარება, ყვარებია

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

................................................................................................................................

**ზმნა: მოწონება – მოსწონს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | მომწონს მე ის, მოგწონს შენ ის, მოგვწონს ჩვენ ის<br>მოსწონს **მას ის**, მოსწონთ **მათ ის** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | მომწონდა მე ის, მოგწონდა შენ ის, მოგვწონდა ჩვენ ის<br>მოსწონდა **მას ის**, მოსწონდათ **მათ ის** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | მომეწონება მე ის, მოგეწონება შენ ის<br>მოეწონება **მას ის**, მოეწონებათ **მათ ის** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | მომეწონებოდა მე ის, მოგეწონებოდა შენ ის<br>მოეწონებოდა **მას ის**, მოეწონებოდათ **მათ ის** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | მომეწონა მე ის, მოგეწონა შენ ის, მოგვეწონა ჩვენ ის<br>მოეწონა **მას ის**, მოეწონათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა მომეწონოს მე ის, უნდა მოგეწონოს შენ ის<br>უნდა მოეწონოს **მას ის**, უნდა მოეწონოთ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მომწონებია მე ის, მოგწონებია შენ ის, მოგვწონებია ჩვენ ის<br>მოსწონებია **მას ის**, მოსწონებიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მომწონებოდა მე ის, უნდა მოგწონებოდა შენ ის<br>უნდა მოსწონებოდა **მას ის**, უნდა მოსწონებოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. გახაზე სწორი ფორმა:

1. **ლია / ლიას მოსწონს ჩემი ნახატები**
2. ვინ / ვის მოსწონს როკმუსიკა?
3. ბიჭს / ბიჭი მოსწონდა სოფლის ეს უცნაური წყნარი ცხოვრება.
4. ვერ ვიტყვი, რომ მას / ის მოეწონა ამბის ასეთი უეცარი შემოტრიალება.
5. მშობლებს / მშობლები მოსწონთ, ასიამოვნონ შვილებს.
6. გია / გიას არ მოსწონს ძველებური სტილის ტანსაცმელი.
7. პატარა გოგონებს / გოგონები მოსწონთ თოჯინებით თამაში.
8. მამას / მამა მოეწონა ლუკას შესრულებული სიმღერა.
9. ნეტა, ვის / ვინ მოსწონს ასეთი წვიმიანი და ცივი ამინდი?
10. მასწავლებელი / მასწავლებელს მოსწონებია ლიას დავალებები და კარგი ქულაც დაუწერია.

## ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 2. ᲨᲔᲐᲕᲡᲔ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

| | ᲐᲬᲛᲧᲝ | ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ | ᲛᲧᲝᲤᲐᲓᲘ | ᲮᲝᲚᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘ | ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ | ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მე | მომწონს | | | მომეწონებოდა | | |
| შენ | | მოგწონდა | | | | |
| მას | | | მოგვეწონა | | | |
| ჩვენ | | | | | | |
| თქვენ | | | | | | მოგეწონოთ |
| მათ | | | | | მოეწონათ | |

## ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 3. ᲛᲘᲣᲬᲔᲠᲔ ᲖᲛᲜᲣᲠ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ:

| ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ | ᲛᲐᲡ | ᲘᲡ |
|---|---|---|
| მომეწონა | | |
| მოგწონებიათ | | |
| მოგწონთ | | |
| მოგვწონებია | | |
| მოგეწონება | | |
| მოეწონებოდათ | | |
| მოსწონდა | | |

## ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 4. ᲒᲐᲮᲐᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ:

1. **ბავშვებს ნამცხვარი ძალიან** მომეწონა / მოეწონა / **მოეწონათ.**
2. სკოლის ახალი შენობა ყველას მოგწონს / მომწონს / მოსწონს.
3. კარგი ფილმია. წესით, ჟიურის უნდა მოსწონებია / მოეწონოს / მოსწონდა.
4. ჩვენი ახალი მასწავლებელი მოგწონებია / მოგწონდეს / მოგეწონა?
5. მშვენიერი სპექტაკლი იყო, ძალიან მოგვეწონა / მოგვწონს / მოგვწონებია.
6. რაც არ უნდა გამეკეთებინა სადილად, უმცროს შვილს არაფერი მოსწონს / მოსწონდა / მოეწონა.
7. მე მივხვდი, რომ შენ დაბადების დღის ტორტი არ მომეწონა / მოგეწონა / მოეწონა.

**სავარჯიშო 5.** **ჩასვით სახელები და ნაცვალსახელები სწორად და გადაწერეთ წინადადება:**

**ნიმუში:** (მამა) მოსწონს დილაობით (სირბილი)
მამას მოსწონს დილაობით სირბილი.

1. (ყველა) მოეწონა (ახალი ავეჯი)

2. (ბავშვები) მოსწონთ (წითელი ფერი)

3. (ბაჩო) არ მოსწონებია (ახალი ველოსიპედი) და უტირია.

4. (შენ) ბავშვობაში მოგწონდა (კინოში სიარული)?

5. (ჩვენი ძაღლი) არ მოსწონს ხოლმე (უცხო ადამიანები) სახლში.

6. (პატარები) არ მოეწონათ (წამლის გემო)

**სავარჯიშო 6.** **შეადგინეთ პატარა ტექსტი ნებისმიერ თემაზე, სადაც გამოიყენებთ ზმნას „მოსწონს“ სხვადასხვა მწკრივისა, პირისა და რიცხვის ფორმით:**

**ზმნა: რქმევა – ჰქვია**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | მქვია მე ის, გქვია შენ ის, გვქვია ჩვენ ის<br>ჰქვია **მას ის**, ჰქვიათ **მათ ის** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | მერქვა მე ის, გერქვა შენ ის, გვერქვა ჩვენ ის<br>ერქვა **მას ის**, ერქვათ **მათ ის** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | მერქმევა მე ის, გერქმევა შენ ის, გვერქმევა ჩვენ ის<br>ერქმევა **მას ის**, ერქმევათ **მათ ის** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | (და)მერქმეოდა მე ის, გერქმეოდა შენ ის<br>(და)ერქმეოდა **მას ის**, (და)ერქმეოდათ **მათ ის** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | .................... (.................... , ....................) |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | .................... (.................... , ....................) |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მრქმევია მე ის, გრქმევია შენ ის, გვრქმევია ჩვენ ის<br>ჰრქმევია **მას ის**, ჰრქმევიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მრქმეოდა მე ის, უნდა გრქმეოდა შენ ის<br>უნდა ჰრქმეოდა **მას ის**, უნდა ჰრქმეოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. შეავსეთ გამოტოვებული ფორმები:

| | აწმყო | მყოფადი | უწყვეტელი | ხოლმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | გქვია | | | |
| მას | | | ერქვა | |
| ჩვენ | | გვერქმევა | | |
| თქვენ | | | | |
| მათ | | | | ერქმეოდათ |

**სავარჯიშო 2.** **ტექსტიდან ამოწერეთ „ჰქვია“ ზმნის ფორმები და მიუწერეთ გრამატიკული პირები, დრო და მწკრივი:**

**ნიმუში:** ამ ადგილს შუა საუკუნეებში მეფეთა ველი **ჰრქმევია,**
ხოლო ახლა მშვიდობის მოედანი **ჰქვია.**
**ჰრქმევია – მას ის, წარსული, I თურმეობითი**
**ჰქვია – მას ის, ახლანდელი დრო, აწმყო.**

1. მე ადრე დამწყები მასწავლებელი მერქვა, ახლა კი მენტორი მასწავლებელი მქვია.

...............................................................................

2. ჩვენ გვეგონა, რომ ლანას დიდ ბებიას ელენე ერქვა და თურმე ელისაბედი ჰრქმევია.

...............................................................................

3. ამ ესტაფეტის დროს გოგონების გუნდს „თოლია“ ერქმევა, რადგან, როგორც ვიცი, ვაჟების გუნდს უნდა ჰრქმეოდა ჩვენ მიერ შერჩეული „ალბატროსი“.

...............................................................................

4. ჩვენ ვიყავით იმ მოვლენების მონაწილეები, როცა საქართველოს თავისუფალი ქვეყნის სახელი ერქმეოდა.

...............................................................................

5. ამ სპექტაკლში შენს პერსონაჟს ერქმევა „პლატონი“, ხოლო მეორე სპექტაკლში გერქმევა – „კოსტა“.

...............................................................................

6. შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ ფერია უნდა გრქმეოდა.

...............................................................................

7. რა ჰქვია ისეთ ადამიანს, რომელიც პირობას არ ასრულებს?

...............................................................................

8. რა უნდა გვერქვას, რომ ადვილად დაიმახსოვროს მომხმარებელმა ჩვენი სახელი?

...............................................................................

9. ამერიკის აბორიგენ მოსახლეობას ინდიელები ჰქვიათ.

...............................................................................

10. რა ერქვა შენს შავ კატას, რომელიც სტუდენტობის დროს გყავდა?

...............................................................................

### ზმნა: კლება – აკლია

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | მაკლია მე ის, გაქლია შენ ის, გვაკლია ჩვენ ის<br>აკლია **მას ის**, აკლიათ **მათ ის** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | .................................... (.................................... , ....................................) |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | მეკლება მე  ის, გექკება შენ ის, გვეკლება ჩვენ ის<br>ეკლება **მას ის**, ეკლებათ **მათ ის** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | მეკლებოდა მე ის, გეკლებოდა შენ ის, გვეკლებოდა ჩვენ ის<br>ეკლებოდა **მას ის**, ეკლებოდათ **მათ ის** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | მაკლდა მე ის, გაკლდა შენ ის, გვაკლდა ჩვენ ის<br>აკლდა **მას ის**, აკლდათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | მაკლდეს მე ის, გაკლდეს შენ ის, გვაკლდეს ჩვენ ის<br>აკლდეს **მას ის**, აკლდეთ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მკლებია მე ის, გკლებია შენ ის, გვკლებია ჩვენ ის<br>ჰკლებია **მას ის**, ჰკლებიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მკლებოდა მე  ის, უნდა გკლებოდა შენს ის,<br>უნდა ჰკლებოდა **მას ის**, უნდა ჰკლებოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. აუღლე ზმნა აკლია აწმყოს მწკრივში:

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**სავარჯიშო 2.** **გახაზე სუბიექტის სწორი ფორმა:**

1. ხუთი / ხუთს აკლია ოცი წუთი.
2. საქმის დასრულება / საქმის დასრულებას ჯერ ბევრი აკლია.
3. ვინ ჭამა ამდენი კანფეტი? ყუთს / ყუთი ბევრი აკლია!
4. ქალაქში წასულ შვილიშვილებს / შვილიშვილები ძალიან აკლიათ ხოლმე ტკბილი ბებოების ხელი.
5. ამ საუკუნეში ჩვენ, ადამიანები / ადამიანებს განსაკუთრებით გვაკლია და გვჭირდება ბუნებასთან ურთიერთობა.
6. ქვევრი / ქვევრს ათიოდე ლიტრა ღვინო აკლდა.
7. სუფრა/სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა.
8. დედას მიაჩნდა, რომ მის შვილებს / შვილები არაფერი არ უნდა ჰკლებოდათ.
9. ჩანს, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა / მიყვანას ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰკლებია.

**სავარჯიშო 3.** **დააკვირდი წინა სავარჯიშოს და დაურთე ზმნებს პირის ნიშნები:**

1. ძილი -აკლია, უფრო დიდხანს უნდა იძინო!
2. რვას აკლდ- ხუთი წუთი, სახლში რომ მივედი.
3. ჩვენ არ --აკლია მოთმინების უნარი.
4. მას არასოდეს -კლებია გარშემომყოფთა ყურადღება.
5. არა მგონია, მას ზრუნვა და სიყვარული ჰკლებოდ- თავისიანებისგან.

**სავარჯიშო 4.** **მოიფიქრე წინადადებები შემდეგ ზმნურ ფორმებზე:**

1. აკლია ............................................................
2. აკლდა ............................................................
3. ჰკლებია ............................................................
4. გვაკლია ............................................................
5. გაკლიათ ............................................................

**სავარჯიშო 6.** **შეადგინე პატარა ტექსტი ნებისმიერ თემაზე, სადაც სხვა ზმნებთან ერთად გამოიყენებ ზმნის „აკლია“ სხვადასხვა მწკრივისა და პირის ფორმებს.**

## ზმნა: წასვლა – მიდის

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | მივდივარ მე, მიდიხარ შენ, მივდივართ ჩვენ<br>მიდის **ის**, მიდიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | მივდიოდი მე, მიდიოდი შენ, მივდიოდით ჩვენ,<br>მიდიოდა **ის**, მიდიოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | მივალ მე, მიხვალ შენ, მივალთ ჩვენ<br>მივა **ის**, მივლენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | მივიდოდი მე, მიხვიდოდი შენ<br>მივიდოდა **ის**, მივიდოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | მივედი მე, მიხვედი შენ,<br>მივიდა **ის**, მივიდნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა მივიდე მე, უნდა მიხვიდე შენ<br>უნდა მივიდეს **ის**, უნდა მივიდნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მივსულვარ მე, მისულხარ შენ<br>მისულა **ის**, მისულან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მივსულიყავი მე, უნდა მისულიყავი შენ<br>უნდა მისულიყო **ის**, უნდა მისულიყვნენ **ისინი** |

## სავარჯიშო 1. შეავსე ცხრილი:

| | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი | წყვეტილი | მეორე კავშირებითი |
|---|---|---|---|---|---|
| მე | | | | | წავიდე |
| შენ | მიდიხარ | | წახვალ | | |
| მას | | | | | |
| ჩვენ | | მივდიოდით | | | |
| თქვენ | | | | წახვედით | მოგეწონოთ |
| მათ | | | | | |

## სავარჯიშო 2. აარჩიე სწორი ფორმა:

1. **მე დღეს სამსახურში არ** ........................ **(მივდივარ** / მიდიხარ / მიდის).
2. შენ არ ........................ (მივდივარ / მიდიხარ / მიდის) კინოში?
3. ბავშვები ჟივილ-ხივილით ........................ (მიდიან / მივდივართ / მიდიხართ) სკოლისაკენ.
4. მე ძალიან ნელა ........................ (მოდიოდი / მოვდიოდი / მოდიოდა), ამიტომაც დამაგვიანდა.
5. დაურეკე, თორემ გია უკვე მალე ........................ (წავალ / წავა / წახვალ) სახლში.
6. ყველაზე ადრე შენ ........................ (წახვალ / წავა / წავალ) აქედან?
7. აქ ვარ, არსად ........................ (წავსულვარ / წასულხარ / წასულა)!
8. ქალს, სადაც არ უნდა ........................ (წასულიყავი / წავსულიყავი / წასულიყო), ყველგან ერთი და იგივე ფიქრები უტრიალებდა.

## სავარჯიშო 3. გადაიყვანე წინადადებები წყვეტილში:

1. რომელ თვეში მიდიხარ გერმანიაში?

   ..................................................................................................

2. პატარა ბიჭები სოფლის მოედანზე მიდიან ფეხბურთის სათამაშოდ.

   ..................................................................................................

3. აი, ჩვენც მოვდივართ!

   ..................................................................................................

4. ჩემი მეგობრები ყავის დასალევად მოდიან ჩემთან.

   ..................................................................................................

**სავარჯიშო 4.** **გაანაწილე სწორად მიმართულების გამომხატველი ზმნები:** **გადის, გამოდის, მოდის, ჩადის, გადადის, ამოდის**

1. მზე აღმოსავლეთიდან .......... .
2. დრო ძალიან სწრაფად .......... .
3. დამთავრდა ზაფხული, .......... სექტემბერი – სწავლისა და მუშაობის დრო.
4. გოგონა კიბეზე სწრაფად .......... და სტუმარს ეგებება.
5. ბიჭი სწრაფად .......... ქუჩის მეორე მხარეს.
6. დათო გამოცდიდან გახარებული .......... .

**სავარჯიშო 5.** **მოიფიქრე პატარა ტექსტი ნებისმიერ თემაზე, სადაც სხვა ზმნებთან ერთად გამოიყენებ მიმართულების გამომხატველ ზმნებს სხვადასხვა მწკრივისა და პირის ფორმით:**

..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........
..........

**ზმნა: ასვლა – ადის** (თავისებური ზმნა / მწკრივში მონაცვლე)

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ავდივარ მე, ადიხარ შენ, ავდივართ ჩვენ, ადის **ის**, ადიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ავდიოდი მე, ადიოდი შენ, ავდიოდით ჩვენ ადიოდა **ის**, ადიოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ავალ მე, ახვალ შენ, ავალთ ჩვენ ავა **ის**, ავლენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ავიდოდი მე, ადიოდი შენ, ავდიოდით ჩვენ ავიდოდა **ის**, ავიდოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ავედი მე, ახვედი შენ, ავედით ჩვენ ავიდა **ის**, ავიდნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ავიდე მე, უნდა ახვიდე შენ, უნდა ავიდეთ ჩვენ უნდა ავიდეს **ის**, უნდა ავიდნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ავსულვარ მე, ასულხარ შენ, ავსულვართ ჩვენ ასულა **ის**, ასულან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ავსულიყავი მე, უნდა ასულიყავი შენ, უნდა ასულიყო **ის**, უნდა ასულიყვნენ **ისინი** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: შევიდა, გავიდა, გადავიდა, ამოვიდა, ჩამოვიდა** | |

## სავარჯიშო 1. წინადადებაში ჩასვი შესაბამისი პირის ფორმა:

1. მინდოდა მთაზე .................... (ასულიყავი / ავსულიყავი / ასულიყო)
2. ნიკა ხილის დასაკრეფად ხეზე .................... (ავედი / ავიდნენ / ავიდა)
3. ახლა არ მცალია, კიბეზე .................... (ადის / ავდივარ / ადიხართ)
4. ტურისტები მთაწმინდაზე საბაგირო გზით .................... (ავდივარ / ადიხართ / ადიან)
5. საღამოობით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად აივანზე .................... (ადიოდით / ავდიოდით / ადიოდნენ)
6. ფრენა რომ ვიცოდე, ვარსკვლავზე .................... (ახვიდოდო / ავიდოდი / ავიდოდა)
7. ცოტა ხანში ნაია მეგობართან უნდა .................... (ავიდეს / ავიდე / ახვიდეთ)
8. მითხარი, ოდესმე მთვარეზე .................... (ავსულვარ / ასულა / ასულხარ)
9. ახლა ფიქრობდა ანა, რომ დედასთან აუცილებლად უნდა .................... (ავსულიყავი / ასულიყავი / ასულიყო)
10. ჩემი მეგობრები პარაშუტით გადმოსახტომად თვითმფრინავით უნდა .................... (ავიდნენ / ავიდეს / ავიდეთ)

**სავარჯიშო 2.** **დააჯგუფეთ ზმნები დროის მიხედვით:**

უნდა ავსულიყავი. ავდივარ. ავალ. ავა. ავლენ. ავდიოდი.
ადიოდა. ადიოდნენ. უნდა ასულიყო. ახვედი. უნდა ახვიდეთ. ავედი.
ავიდოდი. ავიდოდა. ავიდოდნენ. ავიდა. ავიდნენ.
უნდა ავიდე. მე უნდა ავიდე. ის, უნდა ავიდეს. ასულხართ. ავსულვარ.
ასულა. ასულან. უნდა ასულიყვნენ. ახვიდოდი.

| ახლანდელი / აწმყო | წარსული | მომავალი მყოფადი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

**სავარჯიშო 3.** **აღადგინეთ დიალოგებში გამოტოვებული სიტყვები:**

**ა)** **ახვიდე / ადის**

– უკაცრავად, ეს საბაგირო გზა ფუნიკულიორზე ............................ ?
– დიახ, ამ საბაგიროთი შეგიძლიათ ფუნიკულიორზე ............................ .

**ბ)** **ავდიოდი / ადიოდი**

– დედა, გახსოვს როგორ სწრაფად ............................ ხეზე?
– რა თქმა უნდა, შენ ყველაზე სწრაფად ............................ .

**გ)** **ადის / ავიდა**

– მამაჩემი ალპინისტი იყო, ის ყველაზე მაღალ მთაზე-ევერესტზე ............................ .
– მამაჩემი კი მაშველია და ყველაზე მაღალ კიბეზეც უშიშრად ............................ .

**დ)** **ავიდე / ავიდეთ**

– მინდა მთის წვერზე აშენებულ ციხეზე ............................ .
– მე კი მინდა, რომ ჩვენ ერთად ნარიყალაზე ............................ და თბილისს გადმოვხედოთ.

**ე)** **ავდიოდით / ავსულვართ**

– ვინ იცის რამდენჯერ ............................ ერთად ამ თოვლიან მწვერვალებზე!
– მეც მახსოვს როგორ ............................, მაშინ ახალგაზრდები ვიყავით.

**სავარჯიშო 4.** **შეადგინე წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:**

1. ადის ..........
2. ადიან ..........
3. ავალ ..........
4. ახვალ ..........
5. ავიდნენ ..........
6. ადიოდნენ ..........
7. ავიდეს ..........
8. ასულხარ? ..........
9. უნდა ასულიყო ..........
10. ავსულიყავით ..........

**სავარჯიშო 5.** **წინა სავარჯიშოში მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ პატარა დიალოგი:**

– გამარჯობა, ოდესმე სიმაღლეზე ასულხარ?
– რა, თქმა უნდა, ადრე ხეებზე ავდიოდი, ახლა კი...

..........

..........

..........

..........

**სავარჯიშო 6.** **გაითვალისწინე, რომ ადის ზმნის მსგავსად იწარმოება შედის, გადის, გამოდის, მიდის... ზმნები და დააჯგუფე ბლოკში შემოთავაზებული ზმნის ფორმები ცხრილში**

ჩავიდნენ, მიდიან, ჩახვედით, შევდივართ, გადავლენ, გავდივართ. მივედი, გავდივარ, ჩავედი, ავალ, შევალ, წავალ, გადავედი, მივედი, დავდივარ, შევიდა, მიდის, ადიან, წავლენ, გადიხარ, მიხვალ, მოხვედი, ჩადიხარ, შეხვალ, გავა, წავა, გავიდა, შევდივარ, ავდივარ, ავედი, გავალ, გადავდივარ, შედიხართ, ჩავლენ, მოვიდნენ, შედიხართ

| ახლანდელი / აწმყო | წარსული | მომავალი მყოფადი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

### ზმნა: შესვლა – შედის

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | შევდივარ მე, შედიხარ შენ,<br>შედის **ის**, შედიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | შევდიოდი მე, შედიოდი შენ<br>შედიოდა **ის**, შედიოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | შევალ მე, შეხვალ შენ<br>შევა **ის**, შევლენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | შევიდოდი მე, შეხვიდოდი შენ<br>შევიდოდა **ის**, შევიდოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | შევედი მე, შეხვედი შენ<br>შევიდა **ის**, შევიდნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა შევიდე მე, უნდა შეხვიდე შენ<br>უნდა შევიდეს **ის**, უნდა შევიდნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | შევსულვარ მე, შესულხარ შენ,<br>შესულა **ის**, შესულან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა შევსულიყავი მე, უნდა შესულიყავი შენ<br>უნდა შესულიყო **ის**, უნდა შესულიყვნენ **ისინი** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: შედის, გადის, ადის, ჩადის, მიდის, მოდის...** | |

## სავარჯიშო 1. დააკავშირე ერთმანეთთან:

| | |
|---|---|
| ადის | ქვევით |
| ჩადის | ზევით |
| შედის | გარეთ |
| გადის | შიგნით |
| მოდის | იქეთ |
| მიდის | აქეთ |

## სავარჯიშო 2. ჩასვი პირის ნაცვალსახელები წინადადებაში:

1. ........................ ადიხარ მეორე სართულზე.
2. ........................ ადის კიბეზე.
3. ........................ ჩავდივართ ქვევით.
4. ........................ ჩადიან ამერიკაში გემით.
5. ........................ გავდივარ გარეთ და ავდივარ ავტობუსში.
6. ........................ რომელ რესტორანში შედიხართ?
7. ........................ ყოველ დილით მეტროში შედიხარ?
8. ........................ შედის სუპერმარკეტში.
9. ........................ დღეში ორჯერ კაფეში შევდივარ.
10. ........................ რომელ საათზე მოდის აქ?
11. ........................ ამ წუთში ავდივარ ფუნიკულიორზე.
12. ........................ყველანი ერთად ავდივართ მთაწმინდის პარკში.

## სავარჯიშო 3. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი ფორმით – შესვლა:

ა) **ის** ახლა ........................ კაფეში.
ბ) **შენ** გუშინ რატომ არ ........................ სკოლაში?
გ) **ისინი** თეატრში ხვალ საღამოს რომელ საათზე ........................ ?
დ) **მე** ყოველ დილით სუპერმარკეტში ........................ .
ე) ეს მიკროავტობუსი ავტოსადგურში მალე ........................ .
ვ) მგზავრები აეროპორტის შენობაში ერთი საათის წინ ........................ .
ზ) მე და ჩემი და ახლა ეთნოგრაფიულ მუზეუმში უნდა ........................ .
თ) **თქვენ** გუშინ რომელ საათზე ........................ უნივერსიტეტში?
ი) საქართველო ........................ კავკასიის რეგიონში.
კ) ახალქალაქის ტერიტორია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ........................ .

**სავარჯიშო 4. ჩასვი შესაბამის რიცხვსა და პირში ზმნა – შესვლა:**

1. ახლა უნივერსიტეტში  5 სტუდენტი ................................ .
2. მე და ჩემი დეიდა ახლა მეტროში ................................ .
3. ეს გმირები მალე ისტორიაში ................................ .
4. ზარი დაირეკა და მე გაკვეთილზე უნდა ................................ .
5. კანონში ცვლილება აუცილებლად უნდა ................................ .
6. ისინი სახლში საღამოობით ................................ .
7. დრო რომ მქონდეს ლექციაზე აუცილებლად ................................ .
8. მინდოდა სპორტულ დარბაზში ................................, მაგრამ გადავიფიქრე.
9. ამ სახლში მარტო არასოდეს ................................ !
10. თურმე ეს ლექსი მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში ................................ .

**სავარჯიშო 5. ჩასვი სიარულის გამომხატველი ზმნები სწორად:**

**ადის / ჩადის**

1. კატა სახურავზე ................................ .
2. მეხანძრე ახლა სახლის სახურავიდან ................................ .
3. ნინო ავტობუსიდან ................................ .
4. ეკა მატარებელში ................................ .
5. გიორგი ხილის დასაკრეფად ვაშლის ხეზე ................................ .
6. მატარებელი ბათუმში 14 საათზე ................................ .
7. საღამოა და მზე ლამაზად ................................ .
8. როცა ვნერვიულობ, წნევა 200-ზე ................................ .
9. მატარებელი ბაკურიანიდან ბორჯომში ................................ .
10. ბაბუა ნელი ნაბიჯით აღმართზე ................................ .

## სავარჯიშო 6. აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

| კითხვა / მწკრივი | მე | შენ | ის | ჩვენ | თქვენ | ისინი |
|---|---|---|---|---|---|---|
| რას ვაკეთებ? ახლანდელი დრო (აწმყო) | შევდივარ | | | | | |
| რას ვაკეთებდი? წარსული უსრული (უწყვეტელი) | შევდიოდი | | | | | |
| რას გავაკეთებ? მომავალი დრო (მყოფადი) | შევალ | | | | | |
| რას გავაკეთებდი? განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი) | შევიდოდი | | | | | |
| რა გავაკეთე? წარსული სრული (წყვეტილი) | შევედი | | | | | |
| რა უნდა გავაკეთო? სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი) | შევიდე | | | | | |
| რა გამიკეთებია? წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი) | შევსულვარ | | | | | |
| რა გამეკეთებინა? სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი) | შევსულიყავი | | | | | |

**სავარჯიშო 7.** **გადაიყვანე მოცემული ტექსტი მომავალ და წარსულ დროში (წყვეტილში):**

დღეს ორშაბათია და მე 8 საათზე სკოლაში **მივდივარ**. ამიტომ დილით ადრე **ვდგები, ვსაუზმობ** და **გავდივარ** ეზოდან. **ავდივარ** სოფლის ცენტრში, **შევდივარ** ჩემი კლასელის სახლში და მერე ორივე ერთად **გამოვდივართ** გარეთ. სკოლამდე ხან მანქანით **მივდივართ**, ხან ფეხით. ზოგჯერ სოფლის ავტობუსშიც **ავდივართ** და სკოლასთან **ჩავდივართ**. მერე **შევდივართ** სკოლის ეზოში, **ავდივართ** მეორე სართულზე და **შევდივართ** ჩვენს საკლასო ოთახში. მასწავლებელი და დანარჩენი მოსწავლეებიც ერთად **შემოდიან**. ზოგჯერ კლასში სკოლის დირექტორიც **შემოდის, აინტერესებს**, ყველა მოსწავლე ყოველდღე მოდის თუ არა სკოლაში.

გაკვეთილების შემდეგ სკოლიდან **გავდივართ** და სახლში **მივდივართ**. სახლი შორსაა და 500 მეტრს ფეხით **დავდივართ**. გზაზე მდინარეა, მდინარეზე ხიდია და ჩვენ ხიდზე **გადავდივართ**. ეს ხიდი განიერია და ზედ დიდი მანქანებიც **გადადიან**.

1. ..............................

2. ..............................

### სავარჯიშო 8. ჩასვი პირისა და რიცხვის მიხედვით:

ა) **შევდიოდი – შევიდოდი**

თბილისში ყოფნისას ოპერაში თვეში ერთხელ **შევდიოდი**.

ის სახლში უკანა კარიდან **შედიოდა** და მერე წინა კარიდან გამოდიოდა.

1. მე ყოველ დილით ადრე სპორტულ დარბაზში ........................ .
2. ბევრი ფული რომ მქონოდა, ........................ მოხუცთა სახლში და მათ ლამაზ საღამოებს მოვუწყობდი.
3. არამგონია, ის არ ........................ ბანკში ძარცვისთვის.
4. ანა თამართან თვეში ერთხელ ........................ და წამლები მიჰქონდა.
5. რატომ არ ........................ სავავადმყოფოში, გეშინოდა?
6. ბებია რომ ცუდად იყო, მასთან შვილიშვილები ხშირად ........................ .
7. 10 საათია, ბავშვები ალბათ უკვე ........................ საბავშვო ბაღში.
8. ........................ ხოლმე ეს ჩემი მეგობარი სალოცავში და სამი საათი ლოცულობდა.
9. ამ პარტიაში ........................ , კარგი პროგრამა რომ ჰქონდეთ.
10. რამე რომ იყოს, პარლამენტში არ ........................ ?

### სავარჯიშო 9. ჩასვი შესაბამისი პირისა და რიცხვის მიხედვით:

**შევედი – მინდა / უნდა შევიდე**

**ნიმუში:** მე უკვე შევედი სკოლაში.

მე ის ახლა უნდა შევიდეს პოლიკლინიკაში.

1. დროა ........................ კლასში, ზარი უკვე დაირეკა.
2. როდის უნდა ........................ გასაუბრებაზე?
3. ანა რატომ არ ........................ კონფერენციაზე?
4. შენ უკვე ........................ კინოში?
5. მინდა ........................ კინოთეატრში 7 საათიან სეანსზე.
6. როგორ უნდა ........................ ისინი სტადიონზე, თუ ბილეთები არ ექნებათ?
7. ჩვენ ამ დარბაზში ბევრჯერ ........................, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ.
8. აუცილებლად უნდა ........................ მინისტრთან, გადაუდებელი საქმე მაქვს.
9. ამ კაფეში კარგ ხაჭაპურებს აცხობენ, გინდა ........................?
10. გია უკვე ........................ სახლში თუ იევ ეზოშია?

**სავარჯიშო 10.** **ჩასვი შესაბამისი პირითა და რიცხვით:**

**ნიმუში: შევსულვარ ნეტა / უნდა შევსულიყავი**

1. ჯერ არ ..............................., გარეთ ვარ.
2. ნეტა ..............................., იქნებ ბებია ცოცხალი გენახა.
3. ............................... ეს ბიჭი ეზოში და თამაში დაუწყია.
4. შენ რომ იმ სახლში ..............................., ეს ყველაფერი არ მოხდებოდა.
5. დედა რატომ უნდა ..............................., თუ შვილს არავის დანახვა არ უნდოდა?
6. ............................... როდესმე ამ სასახლეში?
7. ამტკიცებენ თითქოს ჩვენ უნდა ............................... იმ დროს გამოცდაზე, მაგრამ როგორ თუ რეგისტრაცია არ იყო დაწყებული?
8. ვერ გამიგია, პირველი რატომ უნდა ............................... თქვენ და არა მე?
9. არა, ჯერ არ ..............................., ველოდები.
10. მინდოდა ბანკში ..............................., მაგრამ ვერ მოვასწარი.

**ზმნა: ჩასვლა – ჩადის**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ჩავდივარ მე, ჩადიხარ შენ<br>ჩადის **ის**, ჩადიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ჩავდიოდი მე, ჩადიოდი შენ<br>ჩადიოდა **ის**, ჩადიოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ჩავალ მე, ჩახვალ შენ<br>ჩავა **ის**, ჩავლენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ჩავიდოდი მე, ჩახვიდოდი შენ<br>ჩავიდოდა **ის**, ჩავიდოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ჩავედი მე, ჩახვედი შენ<br>ჩავიდა **ის**, ჩავიდნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ჩავიდე მე, უნდა ჩახვიდე შენ<br>უნდა ჩავიდეს **ის**, უნდა ჩავიდნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ჩავსულვარ მე, ჩასულხარ შენ<br>ჩასულა **ის**, ჩასულან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ჩავსულიყავი მე, უნდა ჩასულიყავი შენ<br>უნდა ჩასულიყო **ის**, უნდა ჩასულიყვნენ **ისინი** |

**მსგავსი წარმოების ფორმებია: ............ გასვლა -გადის, შესვლა-შედის, ჩასვლა-ჩადის, ასვლა-ადის, მისვლა-მიდის, მოსვლა -მოდის, გადასვლა-გადადის, გადმოსვლა-გადმოდის.**

## სავარჯიშო 1. ჩასვი წინდადებაში ჩავდივარ შესაბამისი მწკრივის ფორმით:

1. ვინ იცის ჩემი ძმა აქ რამდენჯერ ............ და უთევზავია.
2. მასთან ერთად მეც რომ ............, ეს ამბავი არ მოხდებოდა.
3. მეჩქარება, თბილისში, მამაჩემთან უნდა ............ .
4. გუშინ ჩქაროსნული მატარებლით ფოთიდან ბათუმში 2 საათში ............ .
5. ხვალ აუცილებლად ............ და მოხუც დედას ვნახავ.
6. ტბაზე მაშინ ............ , როცა იქ არავინ იყო.
7. შენ როდესმე ............ წყალტუბოში მატარებლით?
8. მეგობარს მივწერე, რომ ხვალ მე აუცილებლად ............ , ტრანსპორტი რომ ყოფილიყო.
9. მესამე სართულიდან პირველზე ბებია სულ ფეხით ............ .
10. ახლა სარდაფში უნდა ............ და ხილის წვენი ამოვიტანო.

## სავარჯიშო 2. ჩასვი შესაბამისი პირის ფორმით ჩასვლა / ჩავდივარ:

**ნიმუში:** მე მინდა ქუთაისში ჩასვლა / მე ჩავალ პარიზში დილის სამ საათზე.

1. მატარებელი ვალეში დილის 7 საათზე .......................... .
2. გიგა სახურავიდან .......................... .
3. წერილს ფოსტით მოიტანენ, საჭირო არ არის თბილისში შენი .......................... .
4. ლიფტი თუ არ მუშაობს, მეათე სართულიდან პირველზე – გვიწევს.
5. ალპინისტი მწვერვალიდან 8 საათში .......................... .
6. ჩვენი ძაღლი თევზის დასაჭერად მდინარეზე .......................... .
7. მე ყოველ ზაფხულს სოფელში .......................... ბებიასთან.
8. ის თავის ძმასთან ერთად კვირაში ერთხელ კახეთში .......................... .
9. რატომ .......................... მეტროში, ავტობუსით წადი.
10. თქვენ ახლა გორაკიდან .......................... და იქ ბურთით ითამაშებთ.

## სავარჯიშო 3. ჩასვი პირი ზმნის შესაბამისად:

**ნიმუში:** ის მდინარეზე ჩადიოდა ყოველ საღამოს.

1. .......... ყოველ დილით ჩავდივარ ფეხბურთის მოედანზე და ვთამაშობ.
2. .......... რატომ არ ჩადიან სოფელში მშობლებთან?
3. .......... მანქანით 2 საათში ჩავა სამტრედიაში.
4. .......... ახლა ჩემს ძმასთან უნდა ჩავიდე საჩხერეში.
5. .......... როდესმე აქ ჩასულხარ?
6. .......... რომ 100 დოლარი მომცენ, იანვარში მდინარეში მაინც არასოდეს ჩავიდოდი.
7. .......... ყოველთვის ამ დროს ჩავდივართ სასადილო ოთახში.
8. .......... რომელ საათზე ჩადიხართ მეტროში?
9. .......... ჩადიხარ მატარებლიდან ამ გაჩერების შემდეგ.
10. .......... ჩადიოდა ეზოში და ორი საათი სეირნობდა.

**სავარჯიშო 4. ჩასვი პირის ნაცვალსახელები წინადადებაში:**

1. .................. ჩადიხარ მეორე სართულიდან.
2. .................. ჩადის კიბეზე.
3. .................. ჩავდივართ ქვევით.
4. .................. ჩადიან ამერიკაში გემით.
5. .................. ჩავდივარ ეზოში და ავდივარ ავტობუსში.
6. .................. რომელ საათზე ჩადიხართ რესტორანში?
7. .................. ყოველ დილით მეტროში რატომ ჩადიხარ?
8. .................. სუპერმარკეტში და ყიდულობენ პურს.
9. .................. რომელ საათზე ჩამოდის აქ?
10. .................. ამ წუთში ჩავდივარ ფუნიკულიდან.
11. .................. ყველანი ერთად ჩავდივართ მთაწმინდის პარკიდან.

**სავარჯიშო 5. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი ფორმით – შესვლა:**

ა) ის ახლა .................................................. კაფეში.

ბ) შენ გუშინ რატომ არ .................................................. სკოლაში?

გ) ისინი თეატრში ხვალ საღამოს რომელ საათზე .................................................. ?

დ) მე ყოველ დილით სუპერმარკეტში .................................................. .

ე) ეს მიკროავტობუსი ავტოსადგურში მალე .................................................. .

ვ) მგზავრები აეროპორტის შენობაში ერთი საათის წინ .................................................. .

ზ) მე და ჩემი და ახლა ეთნოგრაფიულ მუზეუმში უნდა .................................................. .

თ) თქვენ გუშინ რომელ საათზე .................................................. უნივერსიტეტში?

ი) საქართველო .................................................. კავკასიის რეგიონში.

კ) ახალქალაქის ტერიტორია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში .................................................. .

**სავარჯიშო 6.** **ჩასვი შესაბამის რიცხვსა და პირში ზმნა – ჩასვლა:**

1. ახლა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 5 სტუდენტი .................................. .
2. მე და ჩემი დეიდა ახლა მეტროში .................................. .
3. ეს გმირები მალე სამშობლოში .................................. .
4. ზარი დაირეკა და მე პირველ სართულზე უნდა .................................. .
5. საქართველოს ელჩი ამ საღამოს სომხეთში .................................. .
6. ისინი ბაღში საღამოობით .................................. .
7. დრო რომ მქონდეს ფეხბურთის სათამაშოდ ეზოში .................................. .
8. მინდოდა სპორტულ დარბაზში .................................., მაგრამ გადავიფიქრე.
9. ზღვაში მარტო არასოდეს .................................. !
10. საღამოა და მზე ერთ საათში .................................. .

**სავარჯიშო 7.** **ჩასვი სიარულის გამომხატველი ზმნები სწორად:**

**ადის / ჩადის**

1. კატა სახურავზე .................................. .
2. მეხანძრე ახლა სახლის სახურავიდან .................................. .
3. ნინო ავტობუსიდან .................................. .
4. ეკა მატარებელში .................................. .
5. გიორგი ხილის დასაკრეფად ვაშლის ხეზე .................................. .
6. მატარებელი ბათუმში 14 საათზე .................................. .
7. საღამოა და მზე ლამაზად .................................. .
8. როცა ვნერვიულობ, წნევა 200-ზე .................................. .
9. მატარებელი ბაკურიანიდან ბორჯომში .................................. .
10. ბაბუა ნელი ნაბიჯით აღმართზე .................................. .

**ზმნა: გადასვლა – გადადის**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | გადავდივარ მე, გადადიხარ შენ,<br>გადადის **ის**, გადადიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | გადავდიოდი მე, გადადიოდი შენ<br>გადადიოდა **ის**, გადადიოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | გადავალ მე, გადახვალ შენ<br>გადავა **ის**, გადავლენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | გადავიდოდი მე, გადახვიდოდი შენ<br>გადავიდოდა **ის**, გადავიდოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | გადავედი მე, გადახვედი შენ<br>გადავიდა **ის**, გადავიდნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა გადავიდე მე, უნდა გადახვიდე შენ<br>უნდა გადავიდეს **ის**, უნდა გადავიდნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | გადავსულვარ მე, გადასულხარ შენ<br>გადასულა **ის**, გადასულან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა გადავსულიყავი მე, უნდა გადასულიყავი შენ<br>უნდა გადასულიყო **ის**, უნდა გადასულიყვნენ **ისინი** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია:<br>მივდივარ, მოვდივარ, შევდივარ, გავდივარ, ავდივარ, ჩავდივარ, გადმოვდივარ.** | |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:

1. გიორგი და ნინო მერვე კლასში ........................ (გადავიდა / გადავიდნენ /გადადის).
2. შენ ყოველ დილით ქუჩაზე ........................ (გადავდივარ /გადადის /გადადიხარ).
3. თამთა საცხოვრებლად თბილისში ........................ (გადასულა / გადასულხარ / გადავსულვარ).
4. შენ და შენი ძმა ბებიასთან ხშირად ........................ ხოლმე (გადავიდოდით /გადახვიდოდით / გადავიდოდნენ).
5. გუშინ მეზობელთან უნდა ........................ (გადავსულიყავი / გადასულიყავი / გადავსულიყავით).
6. ულამაზესი ბეჭედი ხელიდან ხელში ........................ (გადავდიოდი / გადადიოდი / გადადიოდა).
7. მე და დედაჩემი საღამოს უბნის მარკეტში ........................ (გადავალთ / გადახვალ / გადავლენ).
8. მარინა, ნინოსთან როდის უნდა ........................ (გადავიდე / გადახვიდე / გადავიდეს).
9. შენ თურმე მეცხრე კლასში ........................ (გადავსულვარ / გადასულხარ / გადასულა).
10. მძიმე ურემი ხიდზე ........................ (გადადის / გადავდივარ / გადადიხართ).

**სავარჯიშო 2.** **მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

გადადის, გადასულხართ, უნდა გადავიდეს, გადახვალთ, გადავიდა,
უნდა გადასულიყვნენ, გადავიდოდით, გადადიოდა, გადავიდნენ, გადავდიოდით.

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე მცირე ტექსტი:**

გადავდივარ, გადასულან, გადადიოდა, გადახვედით,
უნდა გადახვიდე, გადახვალთ.

ზმნა: დგომა – დგას

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვდგავარ მე, დგახარ შენ,<br>დგას **ის**, დგანან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიდექი მე, იდექი შენ,<br>იდგა **ის**, იდგნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვიდგები მე, იდგები შენ,<br>იდგება **ის**, იდგებიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვიდგებოდი მე, იდგებოდი შენ<br>იდგებოდა **ის**, იდგებოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავდექი მე, დადექი შენ,<br>დადგა **ის**, დადგნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიდგე მე, უნდა იდგე შენ,<br>უნდა იდგეს **ის**, უნდა იდგნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ვმდგარვარ მე, მდგარხარ შენ,<br>მდგარა **ის**, მდგარან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ვმდგარიყავი მე, უნდა მდგარიყავი შენ,<br>უნდა მდგარიყო **ის**, უნდა მდგარიყვნენ **ისინი** |

## სავარჯიშო 1. დააკავშირე სწორად:

| | | | |
|---|---|---|---|
| მე | დგას | მე | იდექი |
| შენ | დგანან | შენ | ვიდექი |
| ის | ვდგავარ | ის | ვიდექით |
| ჩვენ | დგახარ | ჩვენ | იდგნენ |
| თქვენ | ვდგავართ | თქვენ | იდგა |
| ისინი | დგახართ | ისინი | იდექით |

| | | | |
|---|---|---|---|
| მე | ვიდგები | მე | დადგა |
| შენ | იდგებით | შენ | დავდექი |
| ის | იდგები | ის | დადექი |
| ჩვენ | იდგებიან | ჩვენ | დადგნენ |
| თქვენ | ვიდგებით | თქვენ | დავდექით |
| ისინი | იდგება | ისინი | დადგნენ |

## სავარჯიშო 2. დააჯგუფე მოცემული ზმნები:

**დგახარ**, დგას, **იდგებიან**, ვმდგარვარ, ვიდექი, ვიდგები, დადგა, იდგებით, მდგარხარ, **ვმდგარიყავი**, ვიდგებოდი, უნდა იდგეთ, მდგარან, უნდა მდგარიყავი, ვდგავარ

| ახლანდელი დრო | წარსული დრო | მომავალი დრო |
|---|---|---|
| 1. დგახარ | ვმდგარიყავი | იდგებიან |
| 2. | | |
| 3. | | |

## სავარჯიშო 3. ჩაწერე წინადადებისთვის სწორი ფორმა:

1. გუშინ სტუდენტები მთელი დღე უნივერსიტეტის ეზოში ........................ (დგანან / მდგარან)
2. სად ........................ ილია ჭავჭავაძის ძეგლი? (დგას/ მდგარიყო)
3. ჩემი მეგობარი სკოლასთან უნდა ........................, მაგრამ არ დამხვდა. (იდგა / მდგარიყო)
4. ბიჭი სახლიდან გავიდა და ეზოში ........................ . (იდგება/ დადგა)
5. პატარა გოშია ამაყად ........................ საქათმის კართან და მამალს უყეფდა. (იდგებოდა / იდგა)
6. ბავშვები ........................ და მოუთმენლად ელოდნენ ნაყინს. (მდგარან / იდგნენ)
7. იმ ადგილას ახლა დიდი ორსართულიანი სახლი ........................ . (იდგა / დგას)
8. ის ისევ აქ ........................ მანამ, სანამ თვითონ არ მოისურვებს წასვლას. (დგას, იდგება)
9. ყველა ერთად ........................ სამშობლოს სადარაჯოზე. (იდგები / ვიდგებით)
10. მე არასოდეს ........................ პურის რიგში. (ვმდგარვარ / მდგახარ)

## სავარჯიშო 4. მე-2 სავარჯიშოში მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

1. ........................
2. ........................
3. ........................
4. ........................
5. ........................
6. ........................
7. ........................
8. ........................
9. ........................
10. ........................

## ზმნა: ჯდომა – ზის (ის)სხედან (ისინი)

| | |
|---|---|
| **აწმყო** | ვზივარ მე, ზიხარ შენ, ვსხედვართ ჩვენ, სხედხართ თქვენ,<br>ზის **ის**, ვსხედვართ **ჩვენ**, სხედან **ისინი** |
| **ნარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიჯექი მე, იჯექი შენ, ვისხედით **ჩვენ**, ისხედით თქვენ,<br>იჯდა **ის**, ისხდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვიჯდები მე, იჯდები შენ, ვისხდებით **ჩვენ**, ისხდებით თქვენ,<br>იჯდება **ის**, ისხდებიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვიჯდებოდი მე, იჯდებოდი შენ, ვისხდებოდით **ჩვენ**, ისხდებოდით თქვენ,<br>იჯდებოდა **ის**, ისხდებოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავჯექი მე, დაჯექი შენ, დავსხედით ჩვენ, დასხედით თქვენ,<br>დაჯდა **ის**, დასხდნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიჯდე მე, უნდა იჯდე შენ, უნდა ვისხდეთ ჩვენ,<br>უნდა იჯდეს **ის**, უნდა ისხდნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ვმჯდარვარ მე, მჯდარხარ შენ, ვმსხდარვართ ჩვენ, მსხდარხართ თქვენ<br>მჯდარა **ის**, მსხდარან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ვმჯდარიყავი მე, უნდა მჯდარიყავი შენ, უნდა ვმსხდარიყავით ჩვენ,<br>უნდა მსხდარიყავით თქვენ<br>უნდა მჯდარიყო **ის**, უნდა მსხდარიყვნენ **ისინი** |

## სავარჯიშო 1. შეავსე ზმნის სათანადო ფორმებით:

| აწმყო (ახლა) | უწყვეტელი (წარსულში) | მყოფადი (მომავალში) | ხოლმეობითი (წარსულში) | წყვეტილი (წარსულში) |
|---|---|---|---|---|
| მე ვზივარ | მე ვიჯექი | მე ............ | მე ვიჯდებოდი | მე ............ |
| შენ ............ | შენ ............ | შენ იჯდები | შენ ............ | შენ დაჯექი |
| ის ზის | ის იჯდა | ის ............ | ის იჯდებოდა | ის ............ |
| ჩვენ ვსხედვართ | ჩვენ ............ | ჩვენ ვისხდებით | ჩვენ ............ | ჩვენ დავსხედით |
| თქვენ ............ | თქვენ ისხედით | თქვენ ............ | თქვენ ისხდებოდით | თქვენ ............ |
| ისინი სხედან | ისინი ............ | ისინი ისხდებიან | ისინი ............ | ისინი დასხდნენ |

## სავარჯიშო 2.

### ა) შეავსე ზმნის ფორმები:

მე ............ ჩვენ ვისხდეთ

შენ იჯდე თქვენ ............

ის იჯდეს ისინი ............

### ბ) ზემოთ მოცემული ზმნები ჩასვი შესაბამის წინადადებაში:

1. ის ნიკას გვერდით უნდა ............ .
2. მე უნდა ............ საქესთან.
3. შენ ამ სავარძელზე უნდა ............ .
4. ისინი ერთად უნდა ............ ამ მერხთან.
5. ჩვენ სად უნდა ............ ?
6. თქვენ აქ არ უნდა ............ .

## სავარჯიშო 3. გადაიყვანე წინადადებები მრავლობით რიცხვში:

| მხოლობითი რიცხვი<br>მე სკამზე ვზივარ | მრავლობითი რიცხვი<br>ჩვენ სკამებზე ვსხედვართ |
|---|---|
| ჩემ გვერდით ჩემი ძმა ზის. | |
| შენ რომელ რიგში იჯდები? | |
| ბიჭი აქვე ახლოს მჯდარა. | |
| უნდა იჯდე და უსმინო მშვიდ მუსიკას. | |
| შეიძლება, თქვენ გვერდით დაჯდეს ეს გოგონა? | |
| ჩემი მეგობარი გუშინ კლასში იჯდა. | |
| მე არ ვიჯდებოდი ასე უსაქმოდ. | |
| შენ უნდა მჯდარიყავი მის ადგილას. | |
| აქ შენ იჯექი? | |
| ის უსიტყვოდ დაჯდა. | |

## სავარჯიშო 4. შეარჩიეთ სწორი ფორმა და ჩაწერეთ:

**ნიმუში:** ჩვენ არ **ვსხედვართ** ერთად. (ვზივართ /ვსხედვართ)
ის **ზის** სკამზე. (ზის / სხედან)

1. ჩვენ დიდხანს უნდა .................... მოსაცდელში. (ვმჯდარიყავით / ვმსხდარიყავით)
2. ისინიც აქ უნდა .................... , ამავე ავტობუსში. (მჯდარიყვნენ / მსხდარიყვნენ)
3. შენ და ეკა არ .................... თვითმფრინავში? (მჯდარხართ / მსხდარხართ)
4. მე და შენ ხომ არ .................... ერთად? (ვიჯდეთ / ვისხდეთ)
5. ისინი ერთ მერხთან .................... . (ზიან / სხედან)
6. ბავშვებო, თქვენ სად უნდა .................... . (იჯდეთ / ისხდეთ)
7. მე ამ სკამზე .................... . (ვიჯდები / ვისხდებით)
8. შენ მატარებლის რომელ ვაგონში .................... . (იჯექი / ისხედით)
9. ისინი დარბაზში სულ ბოლო რიგში .................... . (იჯდებიან / ისხდებიან)
10. .................... , ბავშვებო! – თქვა მასწავლებელმა. (დაჯექით / დასხედით)

**სავარჯიშო 5.** **შეარჩიეთ და ჩასვით გამოტოვებული ზმნები ტექსტში:**

სხედან, ზის, **ვზივარ**, მსხდარან, დაჯდა, ისხდნენ, ისხდა, იჯდება, ისხდებიან, ვიჯდე, ვმჯდარვარ

თებერვლის დასაწყისია. თბილა. **ვზივარ** ჩემს მყუდრო ეზოში და ვუსმენ ჩიტბატონას სტვენას. ვხედავ იქვე, ვარდის ბუჩქთან, ................ ბეღურა, ყავისფერი ფრთებით, და უშველებელი ქიაყელა ამოჰყავს მიწიდან. დანარჩენი ბეღურები ღობეზე ................ და უყურებენ. როგორც იქნა, ამოაძვრინა ქიაყელა ყავისფერფრთიანმა, აფრინდა და ისიც თავის მეგობრებთან ................ ღობეზე. ქიაყელა ქვის ღობეზე დააგდო. სხვა ბეღურები ისევ ისე მშვიდად ................ . მოგვიანებით შევნიშნე, თურმე იქვე კაკლის ხეზე კაჭკაჭები ................ . ორი მომცრო ბეღურა ყავისფერფრთიანთან უფრო ახლოს ................ . ორივემ ნისკარტი გაჰკრა ქიაყელას . მაინტერესებს, ასე მშვიდად ................ ყავისფერფრთიანი, თუ რამეს მოიმოქმედებს, ან როდემდე ................ კაჭკაჭები კაკლის ხეზე. მაგრამ მთელი დღე ხომ არ უნდა ................ და მათ ვუყურებდე. ამდენი ხანი ეზოში არასოდეს ................ , დროა ჩემს საქმეს მივხედო, ისინი უჩემდაც შეძლებენ ცხოვრებას.

**სავარჯიშო 6.** **წინა სავარჯიშოში მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:**

1. ................
2. ................
3. ................
4. ................
5. ................
6. ................
7. ................
8. ................
9. ................
10. ................

**ზმნა: წოლა – წევს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვწევარ მე, წევხარ შენ, ვწევართ ჩვენ, წევხართ თქვენ,<br>წევს **ის**, წვანან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვწვებოდი მე, წვებოდი შენ,<br>წვებოდა **ის**, წვებოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავწვები მე, დაწვები შენ,<br>დაწვება **ის**, დაწვებიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავწვებოდი მე, დაწვებოდი შენ<br>დაწვებოდა **ის**, დაწვებოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავწექი მე, დაწექი შენ<br>დაწვა **ის**, დაწვნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავწვე მე, უნდა დაწვე შენ<br>უნდა დაწვეს **ის**, უნდა დაწვნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დავწოლილვარ მე, დაწოლილხარ შენ,<br>დაწოლილა **ის**, დაწოლილან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დავწოლილიყავი მე, უნდა დაწოლილიყავი შენ<br>უნდა დაწოლილიყო **ის**, უნდა დაწოლილიყვნენ **ისინი** |

## სავარჯიშო 1. აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

| კითხვა / მწკრივი | მე | შენ | ის | ჩვენ | თქვენ | ისინი |
|---|---|---|---|---|---|---|
| რას ვაკეთებ? ახლანდელი დრო (აწმყო) | ვწევარ | | | | | წვანან |
| რას ვაკეთებდი? წარსული უსრული (უწყვეტელი) | | წვებოდი | | | | წვებოდნენ |
| რას გავაკეთებ? მომავალი დრო (მყოფადი) | | | | დავწვებით | | |
| რას გავაკეთებდი? განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი) | | | დაწვებოდა | | | |
| რა გავაკეთე? წარსული სრული (წყვეტილი) | დავწექი | | დაწვა | | | დაწვნენ |
| რა უნდა გავაკეთო? სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი) | | დაწვე | | | | (უნდა) დაწვნენ |
| რა გამიკეთებია? წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი) | | | | დავწოლილვართ | დაწოლილხართ | |
| რა გამეკეთებინა? სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი) | დავწოლილი-ყავი | | დაწოლილიყო | | | დაწოლილი-ყვნენ |

**სავარჯიშო 2.** **ჩასვი წინადადებაში შესაბამისი პირის ნაცვალსახელები:**

1. ............................................ ამაზე ადრე არასდროს დავწოლილვარ.
2. ............................................ თურმე გვიან დაწოლილა და ადრე ამდგარა.
3. ............................................ წუხელ რომელ საათზე დაწექი?
4. ............................................ ისე ცუდად იყო, საავადმყოფოში დაწოლილა.
5. ............................................ ადრე უნდა დავწვე, ხვალ გამოცდა მაქვს.
6. ............................................ ადრე კი წვება, მაგრამ გვიან ეძინება.
7. ............................................ დაწოლილიყო და დაუძინია.
8. ............................................ ამ სასაფლაოზე გვერდიგვერდ წვანან.
9. ............................................ რომელ საათზე დაწვა, არ იცი?
10. ............................................ ყოველთვის გვიან წვებოდით დასაძინებლად.

**სავარჯიშო 3.** **ჩასვი წინადადებებში ზმნა წევები შესაბამისი მწკრივის ფორმით. გამოიყენე პირველი და მეორე დავალების ცხრილი:**

1. სტუდენტები ღამით ადრე უნდა ............................................ , რომ დილით მეტი ენერგია ჰქონდეთ.
2. ამ სასაფლაოზე გვერდიგვერდ ............................................ სამშობლოსთვის დაღუპული გმირები.
3. რა ჰქენი, უკვე ............................................ ?
4. დედა დაღლილი იყო და ვურჩიე ............................................ .
5. 10 საათია, დროა ............................................ და დაიძინოთ.
6. ამაღამ ყველანი გვიან ............................................ , რადგან სტუმრები გვყავს.
7. წინა ღამით მე და ჩემი შვილი 9 საათზე ............................................ .
8. წესით თქვენ ახლა უკვე უნდა ............................................ და იძინებდეთ.
9. თურმე პაპაჩემი იქვე ბუხართან ............................................ და ტკბილად ჩასძინეია.
10. მთის ფერდობზე ყინულოვანი თოვლი ............................................ .

**სავარჯიშო 4.** **ჩასვი დიალოგში გამოტოვებული ზმნა ვწევარ-წოლა სწორი ფორმით:**

– გამარჯობა ნინელი!
– საღამო მშვიდობისა, მეზობელო!
– შეგიძლია ჩემთან გამოხვიდე?
– სამწუხაროდ არა, მეძინება და უნდა .................................... .
– რა დროს .................................... 9 საათია.
– ხომ იცი, როგორ ვიღლები სამსახურში? ამიტომ სამუშაო დღეებში ყოველთვის ადრე .................................... .
– რაც არ უნდა დაღლილი ვიყო, მასე ადრე მაინც ვერ .................................... .
– შენ ხომ ძალიან ენერგიული გოგო ხარ, საერთოდ რომ არ .................................... , არაფერი მოგივა.
– თუ ადრე .................................... , მაინც არ დამეძინება და რად მინდა.
– რატომ, ლოგინში .................................... მაინც ძალიან სასიამოვნოა.
– კი მთელი დღე .................................... , თუ ჩემს საქმეს სხვა გააკეთებდა.
– ერთხელ მაინც .................................... თავის დროზე და ნახავ რა მალე დაგეძინება.
– კაი, ამაღამ უნდა .................................... , ვნახოთ, რა გამოვა.
– .................................... , დამიჯერე, ძილის ფასები მოგიწესრიგდება. დედაჩემი სულ მარიგებდა ბავშვობაში რომ ყოველთვის თავის დროზე .................................... .

**ზმნა: დაწოლა – წვება**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვწვები მე, წვები შენ<br>წვება **ის**, წვებიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვწვებოდი მე, წვებოდი შენ,<br>წვებოდა **ის**, წვებოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავწვები მე, დაწვები შენ<br>დაწვება **ის**, დაწვებიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავწვებოდი მე, დაწვებოდი შენ,<br>დაწვებოდა **ის**, დაწვებოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავწექი მე, დაწექი შენ<br>დაწვა **ის**, დაწვნენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავწვე მე, უნდა დაწვე შენ<br>უნდა დაწვეს **ის**, უნდა დაწვნენ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დავწოლილვარ მე, დაწოლილხარ შენ<br>დაწოლილა **ის**, დაწოლილან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დავწოლილიყავი მე, უნდა დაწოლილიყავი შენ,<br>უნდა დაწოლილიყო **ის**, უნდა დაწოლილიყვნენ **ისინი** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ჩავწვები, მივწვები...** | |

## სავარჯიშო 1.

**ა) შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:**

| | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი | წყვეტილი | მეორე კავშირებითი |
|---|---|---|---|---|---|
| მე | | | | | |
| შენ | წვები | | | | |
| მას | | | დაწვება | | |
| ჩვენ | | ვწვებოდით | | | |
| თქვენ | | | | | დაწვებოდით |
| მათ | | | | | |

**ბ) შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით (ზმნა გადაიყვანე მყოფადში):**

**ნიმუში:** მიშოს ლეკვი იატაკზე **წვება.**
**მიშოს ლეკვი იატაკზე დაწვება.**

1. მე დღეს ჩემს ლოგინში არ ვწვები, ტახტზე ვწვები.

.........................................................................................

2. ბავშვებო, თქვენ ტახტზე წვებით თუ ხალიჩაზე?

.........................................................................................

3. ცხენები მინდორში წვებიან.

.........................................................................................

4. შენ საავადმყოფოში წვები?

.........................................................................................

5. როცა ცხელა, ჩვენ ჰამაკში ვწვებით.

.........................................................................................

**გ) ზემოთ მოცემულ წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით: (ზმნის აწმყო / მყოფადის ფორმები შეცვალე უწყვეტლის და ხოლმეობითის ფორმებით)**

**ნიმუში:** მიშოს ლეკვი იატაკზე **წვებოდა** – მიშოს ლეკვი იატაკზე **დაწვებოდა**.

1. .........................................................................................
2. .........................................................................................
3. .........................................................................................
4. .........................................................................................
5. .........................................................................................

## სავარჯიშო 2.

**ა) შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:**

| | წყვეტილი | მეორე კავშირებითი | პირველი თურმეობითი | მეორე თურმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | დაწექი | | | |
| მას | | | დაწოლილა | |
| ჩვენ | | უნდა დავწვეთ | | |
| თქვენ | | | | დაწოლილიყავით |
| მათ | | | | |

**ბ) ხაზგასმულ ადგილას ზმნების მიხედვით სწორად ჩასვით ნაცვალსახელები:**

1. ძალიან ციოდა და .................................... ბებოსთან დავწექი.
2. .................................... პლაჟზე გასარუჯად დაწოლილხართ.
3. ნინოს კატა პატარაა, .................................... ყუთში ჩაწვა.
4. .................................... ნეტავ ასე ადრე არ დაწოლილიყავით.
5. .................................... ცხრა საათზე უნდა დაწვნენ.
6. .................................... თავისი შვილის ფეხებთან დაწოლილიყო.

**გ) შეადგინე ორ-ორი წინადადება ცხრილში მოცემული მწკრივების ფორმების გამოყენებით:**

**ნიმუში:** ადრე რომ **დავწოლილიყავით**, ადრე ავდგებოდით.
კატა ბებოს საწოლზე **დაწოლილიყო**.

1. ....................................
2. ....................................
3. ....................................
4. ....................................
5. ....................................
6. ....................................
7. ....................................
8. ....................................

## სავარჯიშო 3.

**ა) წაიკითხე ტექსტი და მოცემული ზმნები ჩასვი შესაბამის ადგილას:**

დაწვნენ იწვა მიწოლილიყო დავწექი დავწვე

გუშინ დედა და ბებია ადრე ............................ . მეც ადრე ............................ . ჩემმა ძმამ, ნიკომ თქვა:

– კინოს ვუყურებ და გვიან უნდა ............................ .

დილით ვნახეთ, რომ ნიკო ტახტზე ............................ . კატა ნიკოს ფეხებთან ............................ და მასაც ეძინა.

**ბ) ამოწერე თქვენ მიერ ტექსტში ჩასმული ზმნები, შეუწყე პირები და მიუწერე შესაბამისი მწკრივის დასახელება:**

**ნიმუში:** იწვა ის – წყვეტილი.

1. ............................
2. ............................
3. ............................
4. ............................

## სავარჯიშო 4. შეადგინე პატარა ტექსტი შესასწავლი ზმნების გამოყენებით:

............................

**ზმნა: ღირება – ღირს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვღირვარ მე, ღირხარ შენ<br>ღირს **ის**, ღირან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვღირდი მე, ღირდი შენ<br>ღირდა **ის**, ღირდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვეღირები მე, ეღირები შენ<br>ეღირება **ის**, ეღირებიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობით-შედეგობითი)** | ვეღირებოდი მე, ეღირებოდი შენ<br>ეღირებოდა **ის**, ეღირებოდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ............................................ |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვეღირო მე, უნდა ეღირო შენ<br>უნდა ეღიროს **ის**, უნდა ეღირონ **ისინი** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ვღირებულვარ მე, ღირებულხარ შენ<br>ღირებულა **ის**, ღირებულან **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ვღირებულიყავი მე, უნდა ღირებულიყავი შენ<br>უნდა ღირებულიყო **ის**, უნდა ღირებულიყვნენ **ისინი** |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის პირის მიხედვით:

1. – შენ ჩალის ფასიც არ ............................ (ღირხარ / ღირს),
   – უთხრა გაბრაზებულმა ნასყიდამ მეზობელს.
2. ფასების მომატების შემდეგ ერთი კილოგრამი პური სამი ლარი ............................ (ღირდა / ვღირდი).
3. სანამ გლეხები თავიანთ მოსავალს ბაზარზე არ გაიტანენ, მანამდე სოფლის მეურნეობის პროდუქტები ძვირი ............................ (ვეღირები / ეღირება).
4. საზღვარგარეთ ერთი ლიტრი წყალი ხუთი დოლარი ............................ (ღირებულა / ღირებულხარ).

## სავარჯიშო 2. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის რიცხვის მიხედვით:

1. ზაფხულობით მოხარშული სიმინდები ხუთი ლარი ........................ (ღირან / ღირს).
2. შარშან აღდგომის წინ გასაყიდი გოჭები 200-200 ლარი ........................ (ღირდნენ / ღირდა).
3. ასე თუ გაგრძელდა ლიტრი ბენზინი ორ წელიწადში ხუთი ლარი ........................ (ეღირება / ეღირებიან).
4. სტადიონზე შესვლა 100 ლარი რომ ........................ (ღირებულიყო / ღირებულიყვნენ), დიდი რიგები არ იქნებოდა.

## სავარჯიშო 3. დააკვირდი ზმნის ფორმებს და შეარჩიე სახელის სწორი ბრუნვები:

1. ყველა მაღაზიაში ........................ (სათამაშოები / სათამაშოებს) იაფი უნდა ღირდეს.
2. გუშინ ბაზარში ........................ (კიტრი / კიტრმა) პომიდორზე ძვირი ღირდა.
3. გაისად ორთაჭალაში ........................ (ბინა / ბინას) ალბათ, 1500 დოლარი ეღირება.
4. შუა ზაფხულში სამი ლარი ........................ (კიტრი / კიტრს) ჯერ არ ღირებულა.

## სავარჯიშო 4. გადაიყვანე ზმნის მწკრივის პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა იმავე მწკრივის მეორე პირის მრავლობით რიცხვში:

| ის ღირს (III პირი) | თქვენ ღირხართ (II პირი) |
|---|---|
| ის ღირდა | |
| ის ეღირება | |
| ის ეღირებოდა | |
| ის ღირებულა | |
| ის ღირებულიყო | |

**სავარჯიშო 5.** **ამოიწერე ხაზგასმული ზმნები და შეუწყვე სუბიექტი. დააკვირდი, რომელ ბრუნვაშია სუბიექტი:**

სუპერმარკეტში როდესაც შედიხარ, იქ უამრავი პროდუქტია და ყველა სხვადასხვა ფასი **ღირს**. მათი ფასები ზოგჯერ ყოველ დღე იცვლება: ზოგი უფრო ძვირი **ღირს**, ვიდღე გუშინ **ღირდა**. ამიტომაც საქონელს ახალახალი ფასები აკრია. არავინ არ იცის წინასწარ, თუ რა რა ფასი **ეღირება** და გაყიდვების მენეჯერები დილით ადრე ამოწმებენ ფასებს. შეიძლება რომელიმე ნივთი უფრო ძვირი ან იაფი **ღირდეს** და ახალი ფასი იყოს საჭირო.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც პროდუქტი უფრო ძვირი **ღირებულა**, მაგრამ მასზე შედარებით დაბალი ფასი იყო მითითებული. ამის გამო კლიენტებს უჩხუბიათ, ნაკლები რომ **ღირებულიყო**, მხოლოდ მაშინ ვაპირებდით ყიდვასო.

| სუბიექტი სახელობით ბრუნვაში | სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში | სუბიექტი მიცემით ბრუნვაში |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 6.** **ჩაწერე სწორი ფორმა:**

1. ახალი სათამაშოები ძალიან ძვირია, ხოლო ძველები საკმაოდ იაფი ................................ (ღირს / ღირდა).
2. ნიჯათმა მანქანის ნაწილები ვერ იყიდა, რადგან ძვირი ................................ (ღირდა / ეღირება).
3. მალე შემოვა მაღაზიებში კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ძვირი ................................ (ეღირება / ღირდა).
4. შარშანწინ ჩვენს მეზობლებს დიდი მიწის ნაკვეთი უყიდიათ, რომელიც 10 000 ლარი ................................ (ღირებულა / ღირებულიყო).

**სავარჯიშო 7.** **შეადგინე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** ღირს (ის) – წიგნი 10 ლარი ღირს.

1. ღირდა (ის) — ............................................................ .
2. ეღირება (ის) — ............................................................ .
3. ღირებულა (ის) — ............................................................ .
4. ღირებულიყო (ის) — ............................................................ .

**სავარჯიშო 8.** **შეადგინე მცირე ზომის ტექსტი მოცემული ფორმების გამოყენებით:**

ღირს, ღირდა, ეღირება, ღირებულა.

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

............................................................................................................................................

ზმნა: გრილა – აგრილება (პირნაკლი, რიცხვნაკლი და მწკრივნაკლი ზმნა)

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | გრილა |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | გრილოდა |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | აგრილდება |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | აგრილდებოდა |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | აგრილდა |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | (რომ / უნდა) აგრილდეს |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | აგრილებულა |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა აგრილებულიყო |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ცივა, ცხელა, თბილა** | |

**სავარჯიშო 1. სიტყვათა ბლოკში მოცემული ზმნებიდან შეარჩიე შესაბამისი და ჩაწერე წინადადებაში:**

აგრილდება, გრილა, აგრილდებოდა, აგრილდა, აგრილებულიყო, გრილოდა, აგრილებულა, აგრილდეს.

**ნიმუში:** ტყეში **გრილა.**

1. გუშინ ძალიან ................................ .
2. შემოდგომით ყოველთვის ................................ .
3. ამ საღამოს უცბად ................................ .
4. მომავალი კვირიდან მთელ საქართველოში ................................ .
5. ვფიქრობდი, სექტემბერში მაინც ................................ , მაგრამ ისევ ცხელა.
6. საღამო შემოპარულა და უკვე ................................ .
7. რომ ................................ , კარგი იქნება.
8. საღამოს უნდა ................................ , მაგრამ მაინც სიცხისგან ვარვარებდა დედამიწა.
9. ხეების ჩრდილში სასიამოვნოდ ................................ .
10. ისე ................................ , რომ თბილი ლაბადა ჩავიცვი.

**სავარჯიშო 2.** **შეავსე ტექსტში გამოტოვებული ადგილები ზმნების სათანადო ფორმებით:**

აგვისტოს ბოლოა. ზაფხული მთავრდება. ცხელა, ისე ცხელა, რომ მზისგულზე წყალი თითქმის ადუღებამდე მიდის. ყველა შეწუხებულია სიცხით, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ სექტემბრიდან .................... . ისე, ფერისცვალების შემდეგ, წესით, უნდა .................... , მაგრამ არ .................... . მხოლოდ ხეებს შეეპარათ სიყვითლე. მახსოვს, შარშან, ამ დროს, უფრო მეტად .................... , ამიტომ მკლავიანი მაისური მეცვა. ისე მთაში უკვე .................... , მეგობარს ველაპარაკე გუშინ, ყაზბეგში ცხოვრობს. იქ თურმე ისე .................... , რომ საღამოობით თბილად იცვამენ. ჩვენც გვეგონა, რომ 20 აგვისტოდან .................... , მარგრამ – არა. არა და რა კარგი იქნება, საღამოს მაინც რომ .................... , პარკში უფრო დიდხანს ვისეირნებთ.

**სავარჯიშო 3.** **სიტყვათა ბლოკში მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

**ზმნა: სიცივე – ცივა**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ცივა |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ციოდა |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ეციება |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ეციებოდა |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | აცივდა |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | აცივდეს |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | აციებულა |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | აციებულიყო |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ცხელა, თბილა გრილა, წვიმს, თოვს, ბნელა** .......... | |

## სავარჯიშო 1. ჩასვი სწორი ფორმით – სიცივე

1. ისეთი ზამთარია არც თბილა და არც .......... .
2. თბილად ჩაიცვი, მთაში ალბათ .......... .
3. შარშან ამ დროს ბაკურიანში უკვე .......... .
4. თბილი ტანსაცმელი არ წამომიღია, არ ვიცოდი თუ .......... .
5. ნოემბერში ამინდი შეიცვალა და ასე ნაადრევად .......... .
6. მაინცდამაინც ძალიან უნდა .........., რომ შენ თბილად ჩაიცვა?
7. ასეთი ძლიერი ყინვა და .......... ჯავახეთს არ ახსოვს.
8. ამასობაში თურმე ხეებს ფოთლები გასცვენია და კარგადაც .......... .
9. სოფელში რომ უკვე .........., მერცხლები თბილ ქვეყნებში გაფრინდებოდნენ.
10. თუ ასე უნდა .........., ზღვაზე წასვლა რაღა საჭირო იყო?

**სავარჯიშო 2.** **ჩასვი წინადადებაში გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით:**

ცივა – სცივა, ცხელა – სცხელა, თბილა – სთბილა

**დააკვირდი!**

| ამინდი: გარეთ ცივა, ცხელა, თბილა | ადამიანის შეგრძნება: მას სცივა, სცხელა, სთბილა |
|---|---|

1. უკვე გაზაფხულია, გარეთ მზე ანათებს და ................................ .
2. ბარში უფრო ................................ , ვიდრე მთაში.
3. შემოდგომის ბოლოს თოვლი მოდის და გარეთ დარჩენილ ფისოს ძალიან ................................ .
4. ფოთლებში შემალულ ბეღურას ისე ძალიან აღარ ................................ .
5. თბილი ნიავი უბერავს და მასაც ამიტომ ................................ .
6. შუადღისას ზღვაზე ისე ................................ , გარეთ არავინ გამოდის.
7. გივის კორონავირუსი აქვს, ხან ................................ და კანკალებს, ხანაც ძალიან ................................ და ოფლიანობს.
8. გარეთ უქუდოდ არ გახვიდე, ხომ ხედავ როგორ ................................ .
9. მართას ისე ................................ , მთელი სხეული გაეყინა.
10. მატარებელში ტემპერატურა 30 გრადუსამდეა და ყველა მგზავრს ძალიან ................................ .

**სავარჯიშო 3.** **ჩასვი წინადადებაში სწორად:** ცივი / ცივა

1. ზამთარში ყოველთვის თოვს და ................................ .
2. თებერვალში ................................ ამინდია.
3. გიამ ................................ წყალი დალია.
4. ანამ ................................ ხელები ჯიბეში ჩაიწყო.
5. შემოდგომაზე თბილა თუ ................................ ?
6. მთებზე უკვე მოთოვა და აქ ამიტომ ................................ .
7. დედოფალი ................................ ხმით ლაპარაკობდა.
8. ვაიმე, როგორ ................................ , კარი დახურეთ!
9. ვერ გამიგია ასე რატომ ................................ !
10. ქურთუკი რატომ გაცვია, ასე ძალიან ................................ ?

**ზმნა: სითბო – თბილა**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | თბილა ის |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | თბილოდა ის |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დათბება ის |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დათბებოდა ის |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დათბა ის |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | დათბეს ის |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამთბარა ის |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | დამთბარიყო ის |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ცივა, ცხელა, გრილა** | |

## სავარჯიშო 1.

**ა) დაუკავშირე ერთმანეთს (ერთ ფორმას უკავშირდება რამდენიმე):**

| | |
|---|---|
| გუშინ | თბილა |
| გუშინწინ | თბილოდა |
| სამი დღის წინ | დათბება |
| დღეს | დათბებოდა |
| ხვალ | დათბა |
| ზეგ | დათბეს |
| მაზეგ | დამთბარა |
| ერთი კვირის შემდეგ | დამთბარიყო |
| შარშან | |
| მომავალ წელს / გაისად | |
| გვიან | |
| ადრე | |
| დილით / შუადღისას / საღამოს | |

ბ) **დაწერე წინადადებები მიღებული სიტყვათა შეთანხმებების გამოყენებით:**

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

**სავარჯიშო 2.** **დააკვირდი ფოტოს და უპასუხე კითხვებს სრული წინადადებებით:**

რომელ დღეს თბილოდა ყველაზე მეტად? ..............................................

დღის რომელ მონაკვეთში თბილოდა ყველაზე მეტად? ..............................................

რომელ დღეს თბილოდა ყველაზე ნაკლებად? ..............................................




**სავარჯიშო 3.** **იპოვე 7 დღის ამინდის პროგნოზი (AMINDI.GE) და უპასუხე შეკითხვებს სრული წინადადებებით:**

რომელ დღეს დათბება ყველაზე მეტად? ..............................................

დღის რომელ მონაკვეთში დათბება ყველაზე მეტად? ..............................................

რომელ დღეს დათბება ყველაზე ნაკლებად? ..............................................

რომელ ქალაქში დათბება ყველაზე მეტად? ..............................................

თბილა თუ არა დღეს შენს სოფელში? / ქალაქში? ..............................................

**სავარჯიშო 4.** **გახაზე სწორი ვარიანტი:**

თებერვალია და ისე (თბილა / თბილოდა) ........................, თითქოს გაზაფხულია.

მალე მარტი მოვა და (დათბება / დათბა) ........................ .

შარშან ამ დროს არ (დათბებოდა / თბილოდა) ........................ .

ბარში ისე (დამთბარა / დათბება) ........................, რომ ენძელები და ყოჩივარდები ამოსულა.

არა და არ (დათბებოდა / დათბა) ........................, ისევ ცივა ჩვენთან.

სახლში რომ (დამთბარიყო / დამთბარა) ........................, ბუხარი სწრაფად ავანთეთ.

მეგონა, გაზაფხულზე (დათბა / დათბება) ........................, მაგრამ ისევ ცუდი ამინდია.

შარშან მარტის ბოლოს ძლივს (თბილა / დათბა) ........................ .

გვიან შემოდგომაზეც ისევ (თბილა / დათბა) ........................ ჩემს სოფელში.

ოთახში კარგად (დათბება / თბილოდა) ........................ და იების სასიამოვნო სუნი იდგა.

**ზმნა: სიცხე – ცხელა**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ცხელა |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ცხელოდა |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ეცხელება |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ეცხელებოდა |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დაცხა |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ცხელოდეს |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ცივა, გრილა, თბილა, თოვს, წვიმს** ........................ | |

## სავარჯიშო 1. ჩასვი წინადადებაში სწორი მწკრივის ფორმით: ცხელა

**ნიმუში:** ახლა აგვისტოა და ზღვის პირას ძალიან ცხელა.

1. ზაფხულობით, შუადღის 2 საათზე კახეთში ძალიან ........................ .
2. დასავლეთ საქართველოში აგვისტოში წვიმიან დღესაც ........................ .
3. გუშინ ბათუმში ისე ძალიან ........................ , მზეზე კვერცხი შეიწვებოდა.
4. ხვალინდელი პროგნოზით გავიგებთ ქობულეთში უნდა ........................ თუ არა.
5. ზეგ ამ დროს თბილისში ალბათ ძალიან ........................ .
6. ისეთი ზომიერი ამინდია, ალბათ მთაში არც ........................ და არც ეციება.
7. ზაფხულია, ........................ , ........................ , ბუღი ასდის ქალაქს.
8. როგორი ამინდი იყო გუშინ დილით, ძალიან ........................ ?
9. მზის ქუდი არ დაგავიწყდეს, ხომ იცი ამ დროს რა ძალიან ........................ .
10. ქუთაისში როგორი ამინდი იქნება, ........................ ?

## **სავარჯიშო 2.** **ჩასვი სწორი ფორმით: ცხელა / სცხელა**

**ნიმუში:** დათოს ძალიან სცხელა.
თბილისში ახლა მზე ანათებს და ცხელა.

1. ჩიტებს სწყურიათ და .................................... .
2. – ოჰ, როგორ .................................... , – სწუხს ოთარი და აღმართზე ნელა მიაბიჯებს.
3. როცა .................................... , ბევრი წყალი უნდა დალიო.
4. ახლა ძალიან .................................... და ზღვაში შესვლა არ შეიძლება.
5. მთაში ცივა, ბარში .................................... .
6. ჩრდილში დაისვენე, იქ არ .................................... .
7. გიო ფეხბურთს ვერ ითამაშებს, რადგან გარეთ ძალიან .................................... .
8. .................................... და ნოდარი მდინარეზე საცურაოდ მიდის.
9. როცა ადამიანს .................................... , ბევრი აქტიურობა სახიფათოა.
10. ავადმყოფს სიცხემ აუწია და ძალიან .................................... .

## **სავარჯიშო 3.** **ჩასვი წინადადებაში სწორად: დასცხა / დაცხა**

**ნიმუში:** ნაწვიმარზე ისე დაცხა, **ყველანი სახლებში მიიმალნენ**.
შუადღისას მწყემსს ძალან  დასცხა და ჩრდილში ბალახებზე წამოგორდა.

1. მზე ზენიტშია და უკვე .................................... კიდეც.
2. ირმებს .................................... და მდინარისკენ წავიდნენ წყლის დასალევად.
3. დათვებსაც .................................... და ბეჰემოტებსაც.
4. ისე .................................... , ყველა ჩრდილს აფარებს თავს.
5. უდაბნოში .................................... და ქარავანმა სვლა შეანელა.
6. ერთხელ პატარა ბეკეკას .................................... და წყალი მოსწყურდა.
7. გვეყოფა მუშაობა, ძალიან .................................... , – თქვა ბრიგადის მეთაურმა.
8. როგორ .................................... , ალბათ იწვიმებს.
9. ავადმყოფს .................................... და ტემპერატურა მოემატა.
10. სამი დღეა რაც ასე .................................... და ყვავილებმა უწყლობით მოიწყინეს.

S = სუბიექტი (მოქმედი პირი) O = ობიექტი (სამოქმედო პირი)

**ცვალებადი კონსტრუქციის ზმნები**

| ცოდნა-შემეცნების ზმნა | ცოდნა, იცის | S - მოთხრობითი, მიცემითი<br>O - სახელობითი |
|---|---|---|
| აქტიური მოქმედების გამომხატველი ზმნები | ჭამს (ჭამა)<br>ხატავს (ხატვა)<br>იბანს (დაბანა)<br>იცვამს (ჩაცმა)<br>ივარცხნის (დავარცხნა)<br>იწყებს (დაწყება)<br>კითხულობს (კითხვა)<br>წერს (წერა, დაწერა)<br>სწავლობს (სწავლა)<br>ყიდის (გაყიდვა)<br>აკეთებს (კეთება)<br>ბარავს (ბარვა)<br>აცივებს (გაცივება)<br>აცხელებს (გაცხელება)<br>ახურავს (დახურება) | S – სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი<br>O – მიცემითი, სახელობითი |
| სუბიექტის მოქმედებაზე ორიენტირებული ზმნები (მომავალ დროს აწარმოებენ ი- ნიშნით) | საუზმობა, საუზმობს<br>ვახშმობა, ვახშმობს<br>ლაპარაკი, ლაპარაკობს<br>მუშაობა, მუშაობს<br>თამაში, თამაშობს<br>ცხოვრება, ცხოვრობს<br>საუბარი, საუბრობს<br>ფიქრი, ფიქრობს<br>დაძინება, იძინებს | S – სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი |
| ძირმონაცვლე ზმნები | სვამს (სმა, დალევა)<br>აძლევს (მიცემა)<br>დადის (სიარული) | S – სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი<br>O – მიცემითი, სახელობითი |
| ჯანმრთელობის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები | ახველებს (დახველება) | S – სახელობითი, მოთხრობითი |
| ვიზუალური აღქმის ზმნები | უყურებს (ყურება) | S – სახელობითი, მოთხრობითი<br>O – მიცემითი |

### ზმნა: ცოდნა – იცის

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვიცი მე ის, იცი შენ ის<br>იცის **მან ის**, იციან **მათ ის** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიცოდი მე ის, იცოდი შენ ის<br>იცოდა **მან ის**, იცოდნენ **მათ ის** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | მეცოდინება მე ის, გეცოდინება შენ ის<br>ეცოდინება **მას ის**, ეცოდინებათ **მათ ის** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | მეცოდინებოდა მე ის, გეცოდინებოდა შენ ის,<br>გვეცოდინებოდა ჩვენ ის, გეცოდინებოდათ თქვენ ის<br>ეცოდინებოდა **მას ის**, ეცოდინებოდათ **მათ ის** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ........................................ |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიცოდე მე ის, უნდა იცოდე შენ ის,<br>უნდა იცოდეს **მან ის**, უნდა იცოდნენ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მცოდნია მე ის, გცოდნია შენ ის, გვცოდნია ჩვენ ის, გცოდნიათ თქვენ ის<br>ცოდნია **მას ის**, ცოდნიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მცოდნოდა მე ის, უნდა გცოდნოდა შენ ის,<br>უნდა გვცოდნოდა ჩვენ ის, უნდა გცოდნოდათ თქვენ ის<br>უნდა ცოდნოდა **მას ის**, უნდა ცოდნოდათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. ჩასვი ნაცვალსახელი სწორად:

1. .............................. იცის ქართული კარგად
2. ნეტავი მცოდნოდა .............................. ეს!
3. ადრე .............................. კარგად იცოდა ცეკვა.
4. კურსის დამთავრების შემდეგ .............................. კარგად მეცოდინება ინგლისური.
5. კარგი იქნებოდა.............................. გვცოდნოდა ეს ამბავი.
6. .............................. ზუსტად უნდა იცოდე ტრენინგის თარიღი.

## სავარჯიშო 2. გადაიყვანე ზმნები მრავლობით რიცხვში:

1. მე მეცოდინება მისი პასუხი. ჩვენ .............................. .
2. მან იცის ფრანგული. მათ .............................. .
3. შენ იცოდი თამაშის დაწყების დრო. თქვენ .............................. .
4. მან უნდა იცოდესთამაშის წესები. მათ .............................. .

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

ვიცი მეცოდინება ვიცოდი მეცოდინებოდა
უნდა ვიცოდე მცოდნია მცოდნოდა

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე ტექსტი:**

ვიცით ვიცოდით უნდა ვიცოდეთ მცოდნია მეცოდინება

### ზმნა: ჭამა – ჭამს

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვჭამ მე მას, ჭამ შენ მას,<br>ჭამს **ის მას**, ჭამენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვჭამდი მე მას, ჭამდი შენ მას<br>ჭამდა **ის მას**, ჭამდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | შევჭამ მე მას, შეჭამ შენ მას<br>შეჭამს **ის მას**, შეჭამენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | შევჭამდი მე მას, შეჭამდი შენ მას<br>შეჭამდა **ის მას**, შეჭამდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | შევჭამე მე ის, შეჭამე შენ ის<br>შეჭამა **მან ის**, შეჭამეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა შევჭამო მე ის, უნდა შეჭამო შენ ის<br>უნდა შეჭამოს **მან ის**, უნდა შეჭამონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | შემიჭამია მე ის, შეგიჭამია შენ ის, შეგვიჭამია ჩვენ ის, შეგიჭამიათ თქვენ ის<br>შეუჭამია **მას ის**, შეუჭამიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა შემეჭამა მე ის, უნდა შეგეჭამა შენ ის, უნდა შეგვეჭამა ჩვენ ის,<br>უნდა შეგეჭამათ თქვენ ის,<br>უნდა შეეჭამა **მას ის**, უნდა შეეჭამათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1.

### ა) შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:

| | აწმყო | მყოფადი | უწყვეტელი | ხოლმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | ჭამდი | შეჭამდი |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | ჭამთ | შეჭამთ | | |
| მათ | | | | |

**ბ) შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით (ზმნა გადაიყვანე მყოფადში):**

**ნიმუში:** მე დედასთან ერთად კაფეში პიცას **ვჭამ.**
**მე დედასთან ერთად კაფეში პიცას შევჭამ.**

1. ბავშვები სკოლის ბუფეტში ქათმის ბურგერს .................................................... .
....................................................................................................................................................
2. შენ ახლა ხაჭაპურს .................................................... თუ ლობიანს?
....................................................................................................................................................
3. თქვენ კოლეგებთან ერთად .................................................... ყოველდღე?
....................................................................................................................................................
4. გიორგი პამიდვრის წვნიანს არ .................................................... .
....................................................................................................................................................
5. ჩვენ დღეს სახლში .................................................... თუ რესტორანში?
....................................................................................................................................................

**გ) ზემოთ მოცემული წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით (ზმნის აწმყო/მყოფადის ფორმები შეცვალე უწყვეტლის და ხოლმეობითის ფორმებით):**

**ნიმუში:** მე დედასთან ერთად კაფეში პიცას **ვჭამდი.**
**მე დედასთან ერთად კაფეში პიცას შევჭამდი.**

6. ....................................................................................................................................................
7. ....................................................................................................................................................
8. ....................................................................................................................................................
9. ....................................................................................................................................................
10. ....................................................................................................................................................

**სავარჯიშო 2.** **დააკვირდი და წინადადებებში სწორი ბრუნვის ფორმით ჩაწერე სიტყვები:**

| | |
|---|---|
| **აწმყო: ჭამს**<br>**მყოფადი: შეჭამს**<br>**უწყვეტელი: ჭამდა**<br>**ხოლმეობითი: შეჭამდა** | → **ის მას (ბავშვი ხაჭაპურს)** |

**ნიმუში:** .................................... (კატა) ვერ ჭამს ცხელ .................................... (საჭმელი).

**კატა** ვერ ჭამს ცხელ **საჭმელს**.

1. .................................... (რა) შეჭამს .................................... (ნინო) სკოლიდან რომ მოვა?
2. გემრიელ .................................... (ნამცხავრი) ჭამდნენ .................................... (ბავშვები).
3. .................................... (დათო) ბევრ .................................... (თხილი) არ შეჭამდა.
4. .................................... (ცხენი) ჭამს .................................... (თივა), .................................... (ძაღლი) .................................... (ხორცი).

**სავარჯიშო 3.**

ა) **შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირებისა და მწკრივების მიხედვით:**

| | წყვეტილი | მეორე კავშირებითი | პირველი თურმეობითი | მეორე თურმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | შეგიჭამია | შეგეჭამა |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | შეჭამეთ | შეჭამოთ | | |
| მათ | | | | |

**ბ) მოცემული წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით (ზმნის წყვეტილის ფორმა შეცვალე II კავშირებითის ფორმით):**

**ნიმუში:** მე დედასთან ერთად კაფეში პიცა **შევჭამე.**
მე დედასთან ერთად კაფეში პიცა **უნდა შევჭამო.**

1. ბექამ და აისელმა ბებოს გამომცხვარი ნაზუქი .......................... .
..........................................................................................
2. სპილომ ბავშვების მიტანილი ბოსტნეული სწრაფად .......................... .
..........................................................................................
3. ჩემი პიცა თქვენ .......................... ?
..........................................................................................
4. ჩვენ მჭადი და ყველი .........................., თქვენ რა .......................... ?
..........................................................................................

**გ) ზემო მოცემული წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით (ზმნის წყვეტილის და IIკავშირებითის ფორმები შეცვალე I თურმეობითის და II თურმეობითის ფორმებით):**

**ნიმუში:** მე თურმე დედასთან ერთად კაფეში პიცა **შემიჭამია.**
მე დედასთან ერთად კაფეში პიცა **უნდა შემეჭამა.**

1. ..........................................................................................
2. ..........................................................................................
3. ..........................................................................................
4. ..........................................................................................
5. ..........................................................................................

**სავარჯიშო 4.** **წინადადებებში სწორი ბრუნვის ფორმით ჩაწერე სიტყვები, შემდეგ კი ეს წინადადება გადაიყვანე II კავშირებითის მწკრივში:**

..............................

..............................

..............................

..............................

**მან ის (ბავშვმა ხაჭაპური)**

**ნიმუში:** **კატამ** (კატა) არ შეჭამა ცხელი **საჭმელი** (საჭმელი).

**კატამ არ უნდა შეჭამოს ცხელი საჭმელი.**

1. .............................. (დედა) .............................. (ნაყინი) შეჭამა?

..............................

2. მე და .............................. (გია) ბროკოლის .............................. (სუპი) შევჭამეთ.

..............................

3. მე, როგორც .............................. (დეგუსტატორი), რამდენიმე .............................. (კერძი) შევჭამე.

..............................

4. შენ და .............................. (მამა) იტალიურ რესტორანში .............................. (პიცა) შეჭამეთ.

..............................

5. შენ, როგორც .............................. (სტუმარი) .............................. (ტორტი) იუბილართან ერთად შეჭამე.

..............................

6. .............................. (ცხვრები) ილიას მოტანილი .............................. (ბალახი) შეჭამეს.

..............................

**სავარჯიშო 5.** **წინადადებებში სწორი ბრუნვის ფორმით ჩაწერე სიტყვები, შემდეგ კი ეს წინადადებები გადაიყვანე II თურმეობითის მწკრივში:**

.............................................

.............................................

.............................................

.............................................

**მას ის (ბავშვს ხაჭაპური)**

**ნიმუში:** თურმე **კატას** (კატა) შეუჭამია ცხელი **საჭმელი** (საჭმელი).

**კატას უნდა შეეჭამა ცხელი საჭმელი.**

1. მე, როგორც შენს ............................ (მეგობარი) შემიჭამია შენი ............................ (საუზმე).

.......................................................................................................................

2. ............................ (თუთიყუში) თავისი ............................ (საკენკი) შეუჭამია.

.......................................................................................................................

3. ზოოპარკის ............................ (მაიმუნები) და ............................ (დათვები) 120 კილო ............................ (ბანანი) შეუჭამიათ.

.......................................................................................................................

4. თქვენ, ............................ (ექიმები) არაჯანსაღი ............................ (საკვები) შეგიჭამიათ?

.......................................................................................................................

5. შენ, როგორც ............................ (ტურისტი) ეგზოტიკური კერძი შეგიჭამია?

.......................................................................................................................

6. ჩვენ, ............................ (მზარეულებს) ბევრი სახის ............................ (დესერტი) შეგვიჭამია.

.......................................................................................................................

## სავარჯიშო 6.

**ა) შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით**

ჭამთ შეჭამენ ვჭამდით შემიჭამია შეგეჭამა შეჭამა

1. ........
2. ........
3. ........
4. ........
5. ........
6. ........

**ბ) შეადგინე ტექსტი შენ მიერ შედგენილი წინადადებების გამოყენებით**

**ზმნა: ხატვა – ხატავს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვხატავ მე მას, ხატავ შენ მას<br>ხატავს **ის მას**, ხატავენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვხატავდი მე მას, ხატავდი შენ მას<br>ხატავდა **ის მას**, ხატავდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავხატავ მე მას, დახატავ შენ მას<br>დახატავს **ის მას**, დახატავენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავხატავდი მე მას, დახატავდი შენ მას<br>დახატავდა **ის მას**, დახატავდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავხატე მე ის, დახატე შენ ის,<br>დახატა **მან ის**, დახატეს **მათ ის** |
| **სასურველი და აუცილებელი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავხატო მე ის, უნდა დახატო შენ ის<br>უნდა დახატოს **მან ის**, უნდა დახატონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიხატავს მე ის, დაგიხატავს შენ ის,<br>დაუხატავს **მას ის**, დაუხატავთ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამეხატა მე ის, უნდა დაგეხატა შენ ის,<br>უნდა დაგვეხატა ჩვენ ის, უნდა დაგეხატათ თქვენ ის<br>უნდა დაეხატა **მას ის**, უნდა დაეხატათ **მათ ის** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ჩახატავს, გადახატავს, გადმოხატავს, მოხატავს...** | |

## სავარჯიშო 1.

**ა) შეარჩიეთ და ჩაწერეთ ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:**

| | აწმყო | მყოფადი | უწყვეტელი | ხოლმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | ხატავდი | დახატავდი |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | ხატავთ | დახატავთ | | |
| მათ | | | | |

**ბ) წინადადებაში ჩაწერე ნიმუშის მიხედვით (ზმნები ჩაწერე აწმყოს მწკრივში, შემდეგ გადაიყვანე მყოფადში და ისე გადაწერე წინადადებები):**

**ნიმუში:** მე ავტოპორტრეტს ვხატავ.

**მე ავტოპორტრეტს დავხატავ.**

1. ბავშვები კლასის გერბს ............................ .

..........................................................................................

2. შენ სოკოს ............................ თუ ქოლგას?

..........................................................................................

3. თქვენ ძალიან ლამაზ პეიზაჟებს ............................ .

..........................................................................................

4. მარინა წიგნის ილუსტრაციებს ............................ .

..........................................................................................

5. ჩვენ საახალწლო ზეიმისთვის აფიშებს ............................ .

..........................................................................................

**გ) წინადადებები გადაწერე ნიმუშის მიხედვით (ზმნის აწმყოსა და მყოფადის მწკრივის ფორმები შეცვალე უწყვეტლის და ხოლმეობითის მწკრივის ფორმებით და ისე გადაწერე):**

**ნიმუში:** მე ავტოპორტრეტს **ვხატავდი.**

**მე ავტოპორტრეტს დავხატავდი.**

1. ..........................................................................................

..........................................................................................

2. ..........................................................................................

..........................................................................................

3. ..........................................................................................

..........................................................................................

4. ..........................................................................................

..........................................................................................

5. ..........................................................................................

..........................................................................................

## სავარჯიშო 2. დააკვირდი და წინადადებებში სწორი ფორმით ჩაწერე სიტყვები:

**აწმყო: ხატავს**

**მყოფადი: დახატავს**

**უწყვეტელი: ხატავდა**

**ხოლმეობითი: დახატავდა**

→ **ის მას (ბავშვი ყვავილს)**

**ნიმუში: ნინო** (ნინო) ხატავს ქრელ **წინდას** (წინდა).

1. .................................... (ბადრი) სკოლის კედელზე .................................... (სტენსილი) დახატავს.
2. ფერად-ფერად .................................... (ბუშტები) ხატავდნენ .................................... (ბავშვები).
3. ამ ლამაზ .................................... (პეიზაჟი) .................................... (მხატვარი) დახატავდა.
4. .................................... (სპილო) ხორთუმით ხატავს გრძელ .................................... (ხაზები).

## სავარჯიშო 3.

**ა) შეარჩიეთ მოცემული ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:**

| | წყვეტილი | მეორე კავშირებითი | პირველი თურმეობითი | მეორე თურმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | დაგიხატავს | დაგეხატა |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | დახატეთ | დახატოთ | | |
| მათ | | | | |

ბ) ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ (ᲖᲛᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲔ ᲯᲔᲠ ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲡ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ):

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:** მე თოვლიანი გზა **დავხატე**.

**მე თოვლიანი გზა უნდა დავხატო.**

1. რომანმა და კარინამ საახალწლო სუფრა .................................... .

...................................................................................................

2. ბორჯომის პარკში მხატვარმა ჩემი პორტრეტი .................................... .

...................................................................................................

3. ბავშვებო, წაიკითხეთ ეს მოთხრობა და .................................... რამდენიმე ილუსტრაცია.

...................................................................................................

4. ჩვენ პეპლები .................................... , თქვენ რა .................................... ?

...................................................................................................

გ) ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ ᲕᲑ-ᲨᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ II ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝ I ᲗᲣᲠᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ II ᲗᲣᲠᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲗ:

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:** ამ სურათისთვის მე ბევრი ესკიზი **დამიხატავს**.

**ამ სურათისთვის მე ბევრი ესკიზი უნდა დამეხატა.**

1. ...................................................................................................

...................................................................................................

2. ...................................................................................................

...................................................................................................

3. ...................................................................................................

...................................................................................................

4. ...................................................................................................

...................................................................................................

**სავარჯიშო 4.** **წინადადებებში სწორი ფორმით ჩაწერე სიტყვები, შემდეგ კი – ეს წინადადება გადაიყვანე II კავშირებითის მწკრივში:**

..........................................................

..........................................................

**მან ის** (ბავშვმა ყვავილი)

**ნიმუში:** **კატომ** (კატო) ხის **სახლი** (სახლი) დახატა.

**კატომ ხის სახლი უნდა დახატოს.**

1. .......................... (ილუსტრატორი) საბავშვო წიგნის .......................... (ყდა) დახატა.

..........................................................................................................

2. მე და .......................... (ზურა) კედელზე ობობის .......................... (ქსელი) დავხატეთ.

..........................................................................................................

3. მე, როგორც .......................... (დიზაინერი) კაბის ორი .......................... (ესკიზი) დავხატე.

..........................................................................................................

4. შენ და .......................... (გიორგი) რამდენი .......................... (სურათი) დახატეთ?

..........................................................................................................

5. აკადემიის .......................... (სტუდენტები) საკურსო .......................... (დავალება) ტბის ნაპირზე დახატეს.

..........................................................................................................

**ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 5.** **ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲩᲐᲬᲔᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ – ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔ II ᲗᲣᲠᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲨᲘ:**

..........................................

..........................................

**მას ის (ბავშვს ყვავილი)**

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ:** თურმე **კატოს** (კატო) ხის **სახლი** (სახლი) დაუხატავს.
**კატოს ხის სახლი უნდა დაეხატა.**

1. .................... (მხატვარი) დიდი .................... (ტილო) დაუხატავს.

..........................................

2. აკადემიის .................... (სტუდენტები) და სკოლის .................... (მოსწავლეები) მისალოცი ბარათებისთვის .................... (ყვავილები) დაუხატავთ.

..........................................

3. თქვენ, .................... (მწერლები) საკუთარი მოთხრობისთვის .................... (ილუსტრაცია) დაგიხატავთ?

..........................................

4. ჩვენ, .................... (ბებიები) შვილიშვილებისთვის ბევრი .................... (ნახატი) დაგვიხატავს.

..........................................

**სავარჯიშო 6.** **შეადგინე წინადადებები ისე, რომ გამოიყენო ცხრილში მოცემული ყველა მწკრივი. წინადადებები შეადგინე მესამე პირის მხოლობით და მრავლობით რიცხვში**

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........
11. ..........
12. ..........
13. ..........
14. ..........
15. ..........
16. ..........

**ზმნა: დაბანა – იბანს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვიბან მე მას, იბან შენ მას<br>იბანს **ის მას**, იბანენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიბანდი მე მას, იბანდი შენ მას<br>იბანდა **ის მას**, იბანდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავიბან მე მას, დაიბან შენ მას<br>დაიბანს **ის მას**, დაიბანენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავიბანდი მე მას, დაიბანდი შენ მას<br>დაიბანდა **ის მას**, დაიბანდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავიბანე მე ის, დაიბანე შენ ის<br>დაიბანა **მან ის**, დაიბანეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავიბანო მე ის, უნდა დაიბანო შენ ის<br>უნდა დაიბანოს **მან ის**, უნდა დაიბანონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიბანია **მე ის, დაგიბანია შენ ის, დაგვიბანია ჩვენ ის, დაგიბანიათ თქვენ ის**<br>დაუბანია **მას ის**, დაუბანიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამებანა მე ის, უნდა დაგებანა შენ ის, უნდა დაგვებანა ჩვენ ის, უნდა დაგებანათ თქვენ ის<br>უნდა დაებანა **მას ის**, უნდა დაებანათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. დაწერე ზმნის სწორი ფორმა:

1. ის ჭამის წინ ყოველთვის იბანს ხელ-პირს.
2. ისინი ................................ .
3. მე რომ გუშინ ადრე მოვსულიყავი, აუცილებლად ვიბანავებდი.
4. შენ რომ გუშინ ადრე მოსულიყავი, ................................ .
5. ის ზამთარში ყოველთვის ცივი წყლით იბანდა ტანს.
6. თქვენ ................................ .
7. მას ხელები კარგად დაუბანია.
8. მათ ................................ .
9. თქვენ სადილის შემდეგ ხელები დაიბანეს.
10. მან ................................ .

**სავარჯიშო 2.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

ვიბან დავიბან დავიბანე ვიბანდი დავიბანდი
უნდა დავიბანო დამიბანია დამებანა

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე ტექსტი:**

ვიბან დავიბან დავიბანე უნდა დავიბანო დამიბანია

## ზმნა: დაბანა – ბანს

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვბან მე მას მას, ბან შენ მას მას<br>ბანს **ის მას მას**, ბანენ **ისინი მას მას (თავს/ხელებს)** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვბანდი მე მას მას, ბანდი შენ მას მას<br>ბანდა **ის მას მას**, ბანდნენ **ისინი მას მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავბან მე მას მას, დაბან შენ მას მას<br>დაბანს **ის მას მას**, დაბანენ **ისინი მას მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავბანდი მე მას მას, დაბანდი შენ მას მას<br>დაბანდა **ის მას მას**, დაბანდნენ **ისინი მას მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავბანე მე მას ის, დაბანე შენ მას ის<br>დაბანა **მან მას ის**, დაბანეს **მათ მას ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავბანო მე მას ის, უნდა დაბანო შენ მას ის<br>უნდა დაბანოს **მან მას ის**; დაბანონ **მათ მას ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიბანია მე (მისთვის) ის, დაგიბანია შენ (მისთვის) ის<br>დაუბანია **მას (მისთვის) ის**, დაუბანიათ **მათ (მისთვის) ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | დამებანა მე (მისთვის) ის, დაგებანა შენ მისთვის ის<br>დაებანა **მას (მისთვის) ის**, დაებანათ **მათ (მისთვის) ის** |

**შენიშვნა:** **ვიბან** ზმნა შეიძლება იყოს ორპირიანიც. მაგ: დედა ბანს შვილს ორპირიანი ფორმაც ისევე იწარმოება, როგორც – სამპირიანი ფორმა

## სავარჯიშო 1. შეავსე ცხრილი:

| | მე | შენ | ის | მან | მას | ჩვენ | თქვენ | ისინი (მას მას) | მათ (მას ის) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რას ვაკეთებ?/ აკეთებ? აკეთებს? | | ბან | | | | | | | |
| რას ვაკეთებდი? / აკეთებდი? / აკეთებდა | ვბანდი | | | | | | ბანდით | | |
| რას გავაკეთებ? / გააკეთებ? / გააკეთებს? | | | დაბანს | | | დავბანთ | | | |
| რას გავაკეთებდი? / გააკეთებდი? / გააკეთებდა? | | | | | | | | დაბანდნენ | |
| რა გავაკეთე? / გააკეთე? / გააკეთა? | | | | დაბანა | | | | | |
| რა გავაკეთო? / გააკეთო? / გააკეთოს? | | დაბანო | | | | | | | დაბანონ |
| რა გამიკეთებია? / გაგიკეთებია? / გაუკეთებია? | დამიბანია | | | | | | | | |
| რა გამეკეთებინა? / გაგეკეთებინა? / გაეკეთებინა? | | | | | დაებანა | | | | |

**ბ) პირველ სავარჯიშოში მიღებული კონსტრუქციების გამოყენებით შეადგინე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** დედა (ის) პატარა ნიკუშას (მას) პირს (მას) ბანს.

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

................................................................................................................................................

**სავარჯიშო 2. ჩაწერე ზმნა ბანს საჭირო ფორმით:**

**ნიმუში:** გუშინ ნინომ თავის პატარა ლეკვს ფეხები (რა გააკეთა?) **დაბანა**

1. თოჯინებს ანა ყოველ დილით (რას აკეთებს?) .............................. პირს.
2. მე ჩემს უმცროს დას (რას ვაკეთებდი?) .............................. ხელ-პირს.
3. ლიას თვალები თუ სტკივა შენ შეგიძლია გვირილის ნაყენით (რა გააკეთო?) .............................. !
4. მარიამმა და გიამ ტალახში ჩავარდნილი ლეკვი იპოვეს , ჯერ აჭმევენ და შემდეგ (რას გააკეთებენ?) .............................. ტანს.
5. პანდემიის დროს ხელები ხშირად უნდა (რა გავაკეთოთ?) ..............................
6. შენ სამსახურში ხელებს ხშირად (რას გააკეთებდი?) .............................. თბილი წყალი რომ არ იყოს?
7. მე სამსახურში ხელები არასოდეს (რა გამიკეთებია?) .............................. საპნით.
8. პანდემია ასეთი მასშტაბური არ იქნებოდა, პირადი ჰიგიენა რომ დაეცვა ყველას და ხელები ხშირად (რა გაეკეთებინა?) ..............................
9. ლალის ხშირად (რა გაუკეთებია?) .............................. პატარა კნუტები.

**სავარჯიშო 3.** **აირჩიე სწორი ვარიანტი:**

**ნიმუში:** ლია / ლიამ / **ლიას** პირს ბანს ვანო.

1. პატარა თაზომ ............................ კარგად არ დაიბანა.
   (ხელები / ხელებმა / ხელებს)
2. ............................ ხელები ხშირად უნდა დაიბანოს. (ბავშვი / ბავშვმა / ბავშვს)
3. სამსახურიდან მოვედი და ............................ ჯერ არ დამიბანია.
   (ხელები / ხელებმა / ხელებს)
4. პანდემიის გამო ხელებს ხშირად ............................ ნინო.
   (იბანს / დაიბანა / დაუბანია)
5. ქურქლის გარეცხვის შემდეგ ხელები ყოველთვის (............................).
   (ვიბანდი / იბანდა / დაიბანე)
6. ............................ ხელ-პირი ჯერ არ დაუბანია და მაგიდასთან ზის.
   (გიგა / გიგამ / გიგას)
7. ჩვენი კატა თათებით ............................ სახეს. (დაიბანა / დაებანა / იბანდა)
8. უკვე 10 წუთია, ............................ იბან. (ხელები / ხელებმა / ხელებს)
9. ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, თუ ცივი წყლით ............................ პირს.
   (დაიბანა / დაუბანია /დაიბან)

**ზმნა: ჩაცმა – იცვამს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვიცვამ მე მას, იცვამ შენ მას<br>იცვამს **ის მას**, იცვამენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიცვამდი მე მას, იცვამდი შენ მას<br>იცვამდა **ის მას**, იცვამდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ჩავიცვამ მე მას, ჩაიცვამ შენ მას<br>ჩაიცვამს **ის მას**, ჩაიცვამენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ჩავიცვამდი მე მას, ჩაიცვამდი შენ მას<br>ჩაიცვამდა **ის მას**, ჩაიცვამდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ჩავიცვი მე ის,ჩაიცვლი შენ ის<br>ჩაიცვა **მან ის**, ჩაიცვეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ჩავიცვა მე ის, უნდა ჩაიცვა შენ ის<br>უნდა ჩაიცვას **მან ის**, უნდა ჩაიცვან **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | ჩამიცვამს მე ის, ჩაგიცვამს შენ ის, ჩაგვიცვამს ჩვენ ის, ჩაგიცვამთ თქვენ ის<br>ჩაუცვამს **მას ის**, ჩაუცვამთ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა ჩამეცვა მე ის, უნდა ჩაგეცვა შენ ის,<br>უნდა ჩაეცვა **მას ის**, უნდა ჩაეცვათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. ჩასვი სწორი ფორმა:

1. როცა ცივა, ხალხი თბილად იცვამს.
2. როცა ცივა, ადამიანები თბილად ................................ .
3. ძალიან აცივდა. თბილად უნდა ჩავიცვა.
4. ძალიან აცივდა. მან თბილად უნდა ................................ .
5. მე არასოდეს ჩამიცვამს თბილად.
6. ჩვენ ................................ თბილად.
7. პატარაობაში დათა შორტებს იცვამდა.
8. პატარაობაში დათა და გიგი შორტებს ................................ .
9. გუშინ მე ახალი მაისური მეცვა დაბადების დღეზე.
10. გუშინ მას ახალი შარვალი ................................ .

**სავარჯიშო 2.** **ჩასვი სწორი ნაცვალსახელი:**

1. .................................... უნდა ჩაიცვა და გახვიდე შინიდან.
2. .................................... იცვამს ზაფხულის ტანსაცმელს.
3. .................................... ყოველთვის ეცვა თბილი ქურქი.
4. .................................... ზამთარში ჩაიცვამენ ზამთრის ბოტებს.
5. .................................... ლამაზად ეცვა წვეულებაზე.

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

იცვამს    იცვამდა    ჩაიცვამს    ჩაიცვა    ჩაიცვამდა
უნდა ჩაიცვას    ჩაუცვამს    ჩაეცვა

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე ტექსტი:**

ვიცვამ    ჩავიცვამ    ვიცვამდი    უნდა ჩავიცვა    ჩამიცვამს

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

## სავარჯიშო 5. ფრჩხილებში ჩასმული ფორმებიდან შეარჩიე შესაფერისი და ჩასვით წინადადებაში:

1. ამ საღამოზე მე ყველასაგან გამორჩეული ტანსაცმელი უნდა ................................ .
   (ჩავიცვა / ვიცვამ / ჩამიცვამს)
2. კონკურსის წესების თანახმად უნდა ................................ შავი სამოსი.
   (ჩამეცვა / მცმია / ვიცვამდი)
3. ყოველ ზამთარს ლელა თავის საყვარელ წითელ პალტოს ................................ .
   (ჩაიცვა / ეცვა / იცვამდა)
4. ამ ადამიანებს არასდროს არ ................................ ქურქი.
   (ჩაუცვამთ / ჩაეცვათ /ეცვათ)
5. სერგომ დედის ნაჩუქარი სვიტერი ................................ .(აცვია / ჩაიცვა / ჩაუცვამს)
6. დღეს საღამოს შენ რომელ კაბას ................................ .(ჩაიცვამს / იცვამდი / ჩაიცვამ)
7. ჩემი თანაკლასელები სასკოლო ფორმას ................................ , მე კი, არა
   (იცვამენ / ჩაიცვამენ / იცვამდნენ)
8. ამ ქალს თავიდან ბოლომდე შავი ტანსაცმელი ................................ .
   (ჩაუცვამს / აცვია / აცვიათ)
9. მინდოდა ახალი შარვალი არ ................................ , მაგრამ სხვა გზა არ იყო.
   (ჩაგვეცვა / ჩამეცვა / ჩავიცვა)
10. აი, შენ ................................ შენი პალტო და წადი. (ჩავიცვი / ჩაიცვი / მაცვია)

## სავარჯიშო 6. მოცემულ ზმნებს შეუწყე სიტყვები სწორი ფორმით და წინადადება ისე გადაწერე:

1. (ბიჭი, შარვალი) ................................ ჩაუცვამს.
2. (შენ კაბა) ................................ იცვამ.
3. (მოცეკვავეები. ფორმები) ................................ აცვიათ.
4. ზეიმზე (ლალი) ................................ ახალი (კაბა) ................................ უნდა ჩაიცვას.
5. ლაშქრობისას (კოტე, სპორტული ტანსაცმელი) ................................ იცვამდა.
6. (გოგონა. სველი სამოსი)................................ ეცვა.
7. (მაყურებლები. კოსტუმები) ................................ კარნავალზე ჩაიცვამენ.
8. (მერაბი. ქურთუკი) ................................ ჩაიცვი!
9. (გოგო. მაღალი ქუსლები) ................................ ჩაეცვა და ტრიალებდა.
10. (მზარეულები, ერთნაირი ტანსაცმელი) ................................ ჩაიცვეს.

**სავარჯიშო 7.** **დააჯგუფე მოცემული სიტყვები ცხრილში:**

იცვამს. ჩაიცვა. ჩამეცვა. ჩამიცვამს. ვიცვამ. ჩაიცვამთ. ვიცვამდით. ჩაგიცვამს. ჩაუცვამს. იცვამენ. იცვამდნენ. ჩაგვეცვა. ჩაუცვამთ ჩაგეცვათ. იცვამ. ჩავიცვი. იცვამდით. ჩავიცვამ. ჩაეცვათ. ვიცვამთ. ჩავიცვამთ. ჩაიცვამენ. ჩაგეცვა. ჩაგვიცვამს. ჩაეცვათ. ჩაგიცვამთ. ჩაიცვამ. იცვამთ. ჩაიცვამენ. ჩაიცვი.

| ახლანდელი დრო (აწმყო) | წარსული უსრული (უწყვეტელი) | მომავალი დრო (მყოფადი) | განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი) | წარსული სრული (წყვეტილი) | სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი) | წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი) | სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

**სავარჯიშო 8.** **შემოთავაზებული სიტყვებისგან შეადგინე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**მაგალითი:** ვიცვამ – მე ყოველ დილით ახალ ტანსაცმელს ვიცვამ.

1. ჩაიცვა ........................................
2. ჩაიცვით ........................................
3. ვიცვამდი ........................................
4. ჩაეცვა ........................................
5. ჩაგვეცვა ........................................
6. ჩაუცვამთ ........................................
7. იცვამდა ........................................
8. ჩამიცვამს ........................................
9. იცვამს ........................................
10. ჩაუცვამთ ........................................

**სავარჯიშო 9.** **წინა სავარჯიშოში მითითებული სიტყვების გამოყენებით შეადგინე პატარა ტექსტი:**

### ზმნა: დავარცხნა – ივარცხნის

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვივარცხნი მე მას, ივარცხნი შენ მას<br>ივარცხნის **ის მას**, ივარცხნიან **ისინი მას (თმას)** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვივარცხნიდი მე მას, ივარცხნიდი შენ მას<br>ივარცხნიდა **ის მას**, ივარცხნიდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავივარცხნი მე მას, დაივარცხნი შენ მას<br>დაივარცხნის **ის მას**, დაივარცხნიან **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავივარცხნიდი მე მას, დაივარცხნიდი შენ მას<br>დაივარცხნიდა **ის მას**, დაივარცხნიდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავივარცხნე მე ის, დაივარცხნი შენ მას<br>დაივარცხნა **მან ის**, დაივარცხნეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავივარცხნო მე ის, უნდა დაივარცხნო შენ ის<br>უნდა დაივარცხნოს **მან ის**, უნდა დაივარცხნონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამივარცხნია მე ის, დაგივარცხნია შენ ის, დაგვივარცხნია ჩვენ ის, დაგივარცხნიათ თქვენ ის<br>დაუვარცხნია **მას ის**, დაუვარცხნიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამევარცხნა მე ის, უნდა დაგევარცხნა შენ ის<br>უნდა დაევარცხნა **მას ის**, უნდა დაევარცხნათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. გახაზე ზმნის სწორი ფორმა:

1. დღეს ლია ქორწილში მიდის და ახლა სალონში თმას .................................... .
   (დაივარცხნა / ივარცხნის / დაუვარცხნია)
2. ხვალ თეა დილით თმას .................................... .
   (დაივარცხნის / ივარცხნიდა / დაევარცხნა)
3. სტუმრები მოდიან და ნათიამ თმა უნდა .................................... .
   (ივარცხნის / დაივარცხნიდა/ დაივარცხნოს)
4. პატარაობაში ნინი და მაკა ყოველთვის .................................... თმას.
   (დაივარცხნიდნენ / ივარცხნიდნენ /ივარცხნიან)

## სავარჯიშო 2. დაწერე ზმნები სწორი ფორმით:

1. მას დაუვარცხნია თმა. ჩვენ ....................................
2. შენ დაივარცხნი თმას. ისინი ....................................
3. ისინი დაივარცხნიდნენ თმას. მე ....................................
4. მან უნდა დაივარცხნოს თმა. თქვენ ....................................
5. ის ივარცხნიდა თმას. ისინი ....................................

**ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 3.** **ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:**

ვივარცხნი   ვივარცხნიდი   დავივარცხნი   დავივარცხნე
უნდა დავივარცხნო   დამივარცხნია   დამევარცხნა

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

**ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 4.** **ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ:**

ვივარცხნი   დავივარცხნე   ვივავრცხნიდი   დავივარცხნი
უნდა დავივარცხნო   დამივარცხნია

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

..............................................................................................................

**ზმნა: დაწყება – იწყებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვიწყებ მე მას, იწყებ შენ მას<br>იწყებს **ის მას**, იწყებენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიწყებდი მე მას, იწყებდი შენ მას<br>იწყებდა **ის მას**, იწყებდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავიწყებ მე მას, დაიწყებ შენ მას<br>დაიწყებს **ის მას**, დაიწყებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავიწყებდი მე მას, დაიწყებდი შენ მას<br>დაიწყებდა **ის მას**, დაიწყებდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავიწყე მე ის, დაიწყე შენ ის<br>დაიწყო **მან ის**, დაიწყეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავიწყო მე ის, უნდა დაიწყო შენ ის<br>უნდა დაიწყოს **მან ის**, უნდა დაიწყონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიწყია მე ის, დაგიწყია შენ ის, დაგვიწყია ჩვენ ის, დაგიწყიათ თქვენ ის<br>დაუწყია **მას ის**, დაუწყიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამეწყო მე ის, უნდა დაგეწყო შენ ის<br>უნდა დაეწყო **მას ის**, უნდა დაეწყოთ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. მოცემული ზმნის ფორმა გადაიყვანე მრავლობით რიცხვში:

1. მოსწავლე სწავლას იწყებს ორშაბათს.
   მოსწავლეები ................................ .
2. ადრე სპორტსმენი ვარჯიშს იწყებდა 3 საათზე.
   ადრე სპორტსმენები ................................ .
3. ამბობენ, ბაბუაჩემს ადრე დაუწყია მუშაობა.
   ამბობენ, ჩვენს ბაბუებს ................................ .
4. ლიამ ორი დღის წინ დაიწყო ინგლისურის სწავლა.
   ლიამ და ქეთიმ ................................ .
5. ნეტა, ადრე დამეწყო სადილის მომზადება.
   ჩვენ ................................ .

**სავარჯიშო 2.** **ჩასვი სწორი ფორმა:**

1. .................... 7 საათზე დაიწყეს კონცერტი. (ბავშვებმა / ბავშვები)
2. .................... უნდა დაიწყოს სწავლა ზეგ. (გოჩა / გოჩამ)
3. .................... იწყებენ მუშაობას დილის 9 საათზე. (მუშები / მუშებმა)
4. .................... ზაფხულში ვარჯიშს დილაადრიან იწყებდნენ. (ფეხბურთელები / ფეხბურთელებს)
5. .................... სიამოვნებით დაიწყებდა ქართული სიმღერების სწავლას, დრო რომ ჰქონოდა. (ის / მან)
6. .................... მალე უნდა დაიწყონ წიგნის ბეჭდვა. (გამომცემლობა / გამომცემლობამ)

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე წინადადებები**

ვიწყებ   დავიწყებ   ვიწყებდი   დავიწყე   დავიწყებდი
უნდა დავიწყო   დამიწყია   დამეწყო

..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე ტექსტი:**

იწყებს   დაიწყებს   იწყებდა   დაიწყო   უნდა დავიწყო   დამიწყია

..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................
..........................................................................................

**ზმნა: კითხვა – კითხულობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვკითხულობ მე მას, კითხულობ შენ მას<br>კითხულობს **ის მას**, კითხულობენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვკითხულობდი მე მას, კითხულობდი შენ მას<br>კითხულობდა **ის მას**, კითხულობდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | წავიკითხავ მე მას, წაიკითხავ შენ მას<br>წაიკითხავს **ის მას**, წაიკითხავენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | წავიკითხავდი მე მას, წაიკითხავდი შენ მას<br>წაიკითხავდა **ის მას**, წაიკითხავდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | წავიკითხე მე ის, წაიკითხე შენ ის<br>წაიკითხა **მან ის**, წაიკითხეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა წავიკითხო მე ის, უნდა წაიკითხო შენ ის<br>უნდა წაიკითხოს **მან ის**, უნდა წაიკითხონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | წამიკითხავს მე ის, წაგიკითხავს შენ ის, წაგვიკითხავს ჩვენ ის, წაგიკითხავთ თქვენ ის<br>წაუკითხავს **მას ის**, წაუკითხავთ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა წამეკითხა მე ის<br>(უნდა წაეკითხა **მას ის**, უნდა წაეკითხათ **მათ ის**) |

## სავარჯიშო 1. მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:

კითხულობს წაიკითხავს წაიკითხა კითხულობდა წაიკითხავდა
უნდა წაიკითხოს წაუკითხავს უნდა წაეკითხა

| ის | მას | მან |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 2.** **შემოხაზე სწორი ვარიანტი:**

ა) ჩვენ წაგვიკითხავს ეს წიგნი
ბ) ჩვენ წაგიკითხავთ ეს წიგნი

ა) მან წაიკითხა მოთხრობა
ბ) მათ წაიკითხა მოთხრობა

ა) თქვენ კითხულობდი გაზეთს
ბ) შენ კითხულობდი გაზეთს

ა) მას უნდა წაგვეკითხა ზღაპარი
ბ) ჩვენ უნდა წაგვეკითხა ზღაპარი

ა) ისინი წაიკითხავენ აფიშას
ბ) ჩვენ წაიკითხავენ აფიშას

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

ვკითხულობ ვკითხულობდი წავიკითხავ წავიკითხე
წავიკითხავდი უნდა წავიკითხო წამიკითხავს უნდა წამეკითხა

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე ტექსტი:**

კითხულობ წაიკითხავ წაიკითხე წამიკითხავს
უნდა წაიკითხო ვკითხულობდი

**ზმნა: წერა – წერს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვწერ მე მას, წერ შენ მას<br>წერს **ის მას**, წერენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვწერდი მე მას, წერდი შენ მას<br>წერდა **ის მას**, წერდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავწერ მე მას, დაწერ შენ მას<br>დაწერს **ის მას**, დაწერენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავწერდი მე მას, დაწერდი შენ მას<br>დაწერდა **ის მას**, დაწერდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავწერე მე ის, დაწერე შენ ის<br>დაწერა **მან ის**, დაწერეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავწერო მე ის, უნდა დაწერო შენ ის<br>უნდა დაწეროს **მან ის**, უნდა დაწერონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიწერია მე ის, დაგიწერია შენ ის; დაგვიწერია ჩვენ ის, დაგიწერიათ თქვენ ის<br>დაუწერია **მას ის**, დაუწერიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამეწერა მე ის, უნდა დაგეწერა შენ ის<br>უნდა დაეწერა **მას ის**, უნდა დაეწერათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. გამუქებული სიტყვების მიხედვით მიუწერე წინადადებებს პირის ნაცვალსახელები:

**ის / მას / მან ისინი / მათ**

**ნიმუში:** ნიკომ დაწერა წერილი. (მან)
გიას დაუწერია პროექტი. (მას)
ანიტა წერს წერილს. (ის)

1. მასწავლებელს ცუდი ნიშანი არასოდეს დაუწერია. (..........)
2. ჩემი მეგობრები ახლა გამოცდაზე არიან და ტესტს. (..........)
3. ბავშვები ქართულ ანბანს ადვილად წერენ. (..........)
4. დავით აღმაშენებელმა დაწერა „გალობანი“. (..........)
5. მოსწავლე ამოცანას დაფაზე დაწერსლ (..........)
6. დედაჩემს წერილი დაუწერია და მაგიდაზე დაუტოვებია. (..........)
7. არტურ, გავიგე, რომ რომანი დაგიწერია. (..........)
8. გიორგის უნდოდა შთამომავალს მისი საფლავის ქვაზე ეს სიტყვები დაეწერა. (..........)
9. ბავშვებმა ნახევარგვერდიანი ტექსტი 5 წუთში დაწერეს. (..........)
10. მოგვიანებით გენერალი თავის პატაკში ამ სიტყვებს დაწერს. (..........)

## სავარჯიშო 2. ჩასვი პირის ნაცვალსახელები სწორად წინადადებაში:

**მე / შენ / მას / ჩვენ / თქვენ / მათ**

**ნიმუში:** მას ამაზე მეტი რა უნდა დაეწერა წერილში.

1. .................................... წერილი უნდა დამეწერა, მაგრამ გადავიფიქრე.
2. ეს ლექსი .................................... ბავშვობაში დაუწერია.
3. ახლა .................................... განცხადება უნდა დავწეროთ.
4. ნიკა, .................................... დავალება უკვე დაწერე?
5. .................................... როდის დაწერ ტექსტს?
6. ნუგზარს ვთხოვე .................................... დაეწერა პროექტი.
7. .................................... ორი სიტყვა რომ დაეწერა, იმის თავიც კი არ ჰქონდა.
8. ეს პოემა .................................... არ უნდა დაგეწერათ?
9. .................................... დავალებას რომ წერდნენ, დაამთავრეს?
10. ახლა .................................... კალამი რომ მქონდეს, კარგ მუსიკას დავწერდი.

## სავარჯიშო 3. ჩასვი შესაბამისი პირისა და რიცხვის ფორმით ზმნა:

**ვწერ / დავწერე / დავწერ**

1. .................................... , .................................... და ვეღარ დავამთავრე.
2. დავალებას ახლა რომ .................................... , აქამდე სად იყავი?
3. მან 100 წლის წინ .................................... ეს წიგნი.
4. ეს პოემა შოთა რუსთაველმა თამარ მეფის პატივსაცემად .................................... .
5. ქეთევანი ყოველდღე ლექსებს .................................... და უჯრაში ინახავს.
6. დროზე .................................... თუ .................................... .
7. ბევრჯერ .................................... კომენტარი და ისევ წავშალე.
8. ის თავის ჩვენებაში ხვალ სიმართლეს .................................... .
9. გამოცდა გვქონდა და ტესტი კარგად .................................... .
10. აქამდე ვერაფერი .................................... და ახლა რაღას .................................... ?

**სავარჯიშო 4.** **გადაიყვანე ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** მე ახლა დავალებას ვწერ.
ის ახლა დავალებას დაწერს.

1. მე პროექტის ანგარიშს ვწერდი, ის .................................... .
2. შენ რამდენი გვერდი დაწერე? მან .................................... .
3. მე ყოველდღე პატაკს უნდა ვწერდე, თქვენც .................................... .
4. ის ვერ დაწერდა ამ წერილს, შენ .................................... .
5. კი, მე დამიწერია მსგავსი ტესტი, კი, მას .................................... .
6. მე არ უნდა დავწერო ფეისბუკპოსტი. მან .................................... .
7. ჩემი მეგობრები წერენ სიმღერა კონცერტისთვის. მათ .................................... .
8. შენ როდესმე მუსიკა დაგიწერია? მას როდესმე .................................... .
9. არა, მე არასდროს დამიწერია მუსიკა. არა, თქვენ .................................... .
10. მას რა წერილი დაუწერია! შენ .................................... .

**ზმნა: წერა – წერს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვსწავლობ მე მას, სწავლობ შენ მას<br>სწავლობს **ის მას**, სწავლობენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვსწავლობდი მე მას, სწავლობდი შენ მას<br>სწვალობდა **ის მას**, სწავლობდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვისწავლი მე მას, ისწავლი შენ მას<br>ისწავლის **ის მას**, ისწავლიან **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვისწავლიდი მე მას, ისწავლიდი შენ მას<br>ისწავლიდა **ის მას**, ისწავლიდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვისწავლე მე ის, ისწავლე შენ ის<br>ისწავლა **მან ის**, დალევენ **ისინი მას** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვისწავლო მე ის, უნდა ისწავლო შენ ის<br>უნდა ისწავლოს **მან ის**, უნდა ისწავლონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მისწავლია მე ის, გისწავლია შენ ის, გვისწავლია ჩვენ ის,<br>გისწავლიათ თქვენ ის<br>უსწავლია **მას ის**, უსწვალიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მესწავლა მე ის, უნდა გესწავლა შენ ის,<br>უნდა ესწავლა **მას ის**, უნდა ესწავლათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის პირის მიხედვით:

1. ყველა ჭკვიანი ადამიანი ცხოვრების ბოლომდე ............................ . (სწავლობს / ვსწავლობ)
2. როდესაც სოფელში ვცხოვრობდი, ინგლისურს ვერ ............................ . (ვსწავლობდი / სწავლობდი)
3. ხვალ დილით ამ ლექსის ბოლო სტროფსაც ............................ და ისე წავალ სკოლაში. (ვისწავლი / ისწავლის)
4. სანამ გაკვეთილებს ............................ , საჭმელს ვჭამდი ხოლმე. (ვისწავლიდი / ისწავლიდა)
5. ეკა, ბიბლიოთეკაში რომ წასულიყო, მეგობრებთან ერთად ............................ ახალ სცენარს. (ვისწავლიდი / ისწავლიდა)
6. მასწავლებელმა ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისში ............................ თავისი მოსწავლეების სახელები. (ისწავლა / ისწავლე)
7. ზოგიერთი მასწავლებელი ამბობს, რომ ბავშვმა გრძელი ლექსები არ უნდა ............................ . (ისწავლოს / ვისწავლო)
8. ერთხელ, პატარა რომ ვიყავი, თურმე დიდი ლექსი ............................ . (მისწავლია / უსწავლია)
9. ჩემს მეგობარს სამგვერდიანი სიმღერა ზეპირად ............................ . (გესწავლა / ესწავლა)
10. ხვალ დილამდე მაგდას ინგლისურში სამი გვერდი უნდა ............................ . (ესწავლა / მესწავლა)

**სავარჯიშო 2.** **შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის რიცხვის მიხედვით:**

1. გამოცდის საკითხებს სტუდენტები ერთად ........................ (სწავლობს / სწავლობენ).
2. ორი თვის განმავლობაში ბავშვები სხვა სკოლაში ........................ (სწავლობდნენ / სწავლობდა).
3. ორშაბათიდან, ყოველდღე ერთ გვერდ უცხო ტექსტს წავიკითხავ და 5 ინგლისურ სიტყვას ........................ (ვისწავლი / ვისწავლით).
4. ფიზიკის გამოცდის წინ სტუდენტები ფორმულებს ........................ ხოლმე. (ისწავლიდა / ისწავლიდნენ)
5. დათო და ნათია ტყუპები იყვნენ და სიამოვნებით ........................ ერთად. (ისწავლიდა / ისწავლიდნენ)
6. სამსტრიქონიანი ლექსი ლექსომ ნახევარ საათში ........................ (ისწავლეს / ისწავლა).
7. მოსწავლეებმა გრამატიკული წესები ზეპირად არ უნდა ........................ (ისწავლონ / ისწავლოს).
8. გუშინ მანუჩარს სამი გვერდი ლექსი ........................ (უსწავლია / უსწავლიათ).
9. სტუდენტებს ურთულესი ფორმულები ლექტორის გარეშე ........................ (ესწავლა / ესწავლათ).
10. როგორც დედამ უთხრა, ნინელის ორი სიმღერა უნდა ........................ (ესწავლა / ესწავლათ).

**სავარჯიშო 3.** **დააკვირდი ზმნის ფორმებს და შეარჩიე სიტყვის სწორი ბრუნვები:**

1. ............................................ მთელი დღის განმავლობაში გაკვეთილებს სწავლობენ. (მოსწავლეები / მოსწავლეებს)
2. ............................................ დილით სიმღერას სწავლობდა. (გოგონა / გოგონამ)
3. პრეზენტაციის თავის ნაწილს ყველა ............................................ ისწავლის. (სტუდენტი / სტუდენტს)
4. მათემატიკის გაკვეთილის წინ ............................................ ახალ თეორემას ისწავლიდა ხოლმე. (მაკამ / მაკა)
5. ელზას კარგი ბიბლიოთეკა რომ ჰქონოდა, მისი ............................................ კარგად ისწავლიდნენ. (შვილები /შვილებს)
6. ელზას ............................................ ინგლისური ვერ ისწავლეს. (ბავშვები / ბავშვებმა)
7. ზოგიერთი ამბობს, რომ ............................................ არდადეგებზე არ უნდა ისწავლონ. (ბავშვებს / ბავშვებმა)
8. ............................................ დიდი ლექსები ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში უსწავლია. (კატომ / კატოს)
9. ............................................ საგამოცდო საკითხები დამოუკიდებლად, რეპეტიტორის გარეშე ესწავლა. (კახა / კახას)
10. 1000 ინგლისური სიტყვა ............................................ სამი თვის განმავლობაში უნდა ესწავლა. (ელზამ / ელზას)

### სავარჯიშო 4. შეავსე ნიმუშის მიხედვით:

| მე ვსწავლობ (I პირი) | ისინი სწავლობენ (III პირი) |
|---|---|
| მე ვსწავლობდი | |
| მე ვისწავლი | |
| მე ვისწავლიდი | |
| მე ვისწავლე | |
| მე უნდა ვისწავლო | |
| მე მისწავლია | |
| მე მესწავლა | |

### სავარჯიშო 5. შემოხაზე სწორი ვარიანტი:

ა) მომღერალი პირველად ისწავლა უცხოური სიმღერა.

ბ) ბავშვმა ხვალ დილით გაკვეთილებს ისწავლის.

გ) მე დილით ორსტროფიანი ლექსი უნდა ისწავლოს.

დ) მანუჩარს ერთ დღეში ცეკვის სამი ილეთი უნდა ესწავლა.

### სავარჯიშო 6. იპოვე სწორი ფორმა:

I.

ა) ვისწავლეს.

ბ) უნდა ისწავლოს.

გ) უნდა ვისწავლე.

დ) ისწავლას.

II.

ა) ვსწავლობდნენ.

ბ) ვისწავლით.

გ) ვისწავლიდნენ.

დ) გვესწავლათ.

III.

ა) ვსწავლობდი.

ბ) ვსწავლობდნენ

გ) სწავლობნენ.

დ) ვისწავლა.

**სავარჯიშო 7.** **დააჯგუფე ხაზგასმული ზმნის ფორმები სუბიექტის ბრუნვის მიხედვით:**

საქართველოში ბავშვები 6 წლის ასაკიდან სკოლებში **სწავლობენ**. მე-19 საუკუნეში ყველა ბავშვი ვერ **სწავლობდა** და მხოლოდ მდიდარი ოჯახების შვილები იღებდნენ განათლებას. სკოლაში ვინც კარგად **ისწავლის**, შეუძლია სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დასრულება ვისაც უნდა მან კარგად უნდა **ისწავლოს**.

ძველად ისეთი ადამიანებიც იყვნენ, რომლებსაც სკოლაში სულაც არ **უსწავლიათ** მაგრამ მაინც ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს. მათ რომ **ესწავლათ**, ალბათ უფრო დიდ საქმეებს გააკეთებდნენ.

| სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია | სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია | სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 8.** **ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეავსე გამოტოვებული ფორმები:**

| რიცხვი | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი |
|---|---|---|---|
| **მხოლობითი** | მე ვსწავლობ ინგლისურს.<br>შენ სწავლობ ინგლისურს.<br>.................... | მე ვსწავლობდი სიმღერას.<br>....................<br>ის სწავლობდა სიმღერას. | ....................<br>მე ვისწავლი ხატვას.<br>ის ისწავლის ხატვას. |
| **მრავლობითი** | ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს.<br>....................<br>ისინი სწავლობენ ინგლისურს. | ჩვენ ვსწავლობდით სიმღერას.<br>თქვენ სწავლობდით სიმღერას.<br>.................... | ჩვენ ვისწვალით ხატვას.<br>....................<br>ისინი ისწავლიან ხატვას. |

## სავარჯიშო 9. ჩაწერე სწორი ფორმა ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** რას შვრება? – სწავლობს.

1. ნიკალა ყოველდღე ........................................ (რას შვრება?) ახალ ინგლისურ სიტყვებს.
2. ბაჩანა ერთი წლის განმავლობაში ........................................ (რას შვრებოდა?) მანქანის ტარებას, მაგრამ მაინც ვერ ისწავლა.
3. ცოტა ხანში ყველა ბავშვი ........................................ (რას იზამს?) კომპიუტერულ თამაშებს.
4. შარშან მანქანის ტარება რომ ........................................ (რა გვექნა?), ახლა ფეხით აღარ ვივლიდით.

## სავარჯიშო 10. შეადგინე წინადადება ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** სწავლობს (ის მას) – გოგონა ინგლისურს სწავლობს.

1. ისწავლეს (მათ ის) – ........................................................................ .
2. ვისწავლი (მე მას) – ........................................................................ .
3. უნდა ვისწავლოთ (ჩვენ ის) – ........................................................................ .
4. უსწავლიათ (მათ ის) – ........................................................................ .

## სავარჯიშო 11. შეადგინე მცირე ზომის ტექსტი მოცემული ფორმების გამოყენებით:

სწავლობს, სწავლობდა, ისწავლის, ისწავლა, ისწავლიდა

........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................
........................................................................

**ზმნა: გაყიდვა – ყიდის**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვყიდი მე მას, ყიდი შენა მას<br>ყიდის **ის მას**, ყიდიან **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვყიდდი მე მას, ყიდდი შენ მას<br>ყიდდა **ის მას**, ყიდდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | გავყიდი მე მას, გაყიდი შენ მას<br>გაყიდის **ის მას**, გაყიდიან **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | გავყიდდი მე მას, გაყიდდი შენ მას<br>გაყიდდა **ის მას**, გაყიდდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | გავყიდე მე ის, გაყიდე შენ ის<br>გაყიდა **მან ის**, გაყიდიან **ისინი მას** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა გავყიდო მე ის, უნდა გაყიდო შენ ის<br>უნდა გაყიდოს **მან ის**, უნდა გაყიდონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | გამიყიდია მე ის, გაგიყიდია შენ ის, გაგვიყიდია ჩვენ ის,<br>გაგიყიდიათ თქვენ ის<br>გაუყიდია **მას ის**, გაუყიდიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა გამეყიდა მე ის, უნდა გაგეყიდა შენ ის<br>უნდა გაეყიდა **მას ის**, უნდა გაეყიდათ **მათ ის** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: დაყიდა (მან ის)**<br>**შეიძლება სამპირიანის ფორმით შეგვხვდეს: მიჰყიდა (მან მას ის)** | |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის პირის მიხედვით:

1. მაგდანა ბაზრის წინ დგას და მაწვნებს .......................... (ყიდის / ვყიდი).
2. პატარა ბიჭი ვაგზლის მოედანზე დის სათამაშოებს .......................... (ყიდდი / ყიდდა).
3. დღეს კარგი სათამაშოები მოვიტანე და ხვალ კარგ ფასად .......................... (გაყიდის / გავყიდი).
4. მაწვნებს რომ .........................., მაგდანა ბაზარში გაივლიდა ხოლმე. (გაყიდდი / გაყიდდა)
5. ბევრი კლიენტი რომ ყოფილიყო, მანუჩარი სულ .......................... ახალ საქონელს. (გაყიდდა / გავყიდდი)
6. მაგდანამ მზის ჩასვლამდე .......................... თავისი მაწვნები. (გაყიდა / გაყიდე)
7. მაღაზიის მეპატრონე დაინტერესებულია მაქსიმალურად მეტი პროდუქცია .......................... . (გაყიდოს / გავყიდო)
8. გასულ წელს ახალ გახსნილ ფირმას ყველაზე მეტი საქონელი.......................... (გაგიყიდია / გაუყიდია).
9. მაგდანას მეზობლის მაწვნები თავისი მაწვნების გაყიდვამდე .......................... (გამეყიდა / გაეყიდა).
10. მაგდანას მაწვნები ადრე რომ .......................... შინ მზი ჩასვლამდე დაბრუნდებოდა. (გამეყიდა / გაეყიდა)

**სავარჯიშო 2.** **შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის რიცხვის მიხედვით:**

1. ზაფხულობით სტუდენტები მოხარშულ სიმინდებს .................................... ბათუმის პლაჟებზე. (ყიდის / ყიდიან)
2. თეატრის წინ პავლე სპექტაკლის ბილეთებს .................................... . (ყიდდნენ / ყიდდა)
3. შვილის სწავლის ფულის შესაგროვებლად ვაშლს მოვკრეფთ და ქალაქში .................................... . (გავყიდი / გავყიდით)
4. მატჩის დაწყების წინ მზესუმზირის გამყიდველები ტრიბუნებზე ჩამოივლიდნენ და მზესუმზირას .................................... ხოლმე. (გაყიდდა / გაყიდდნენ)
5. ნიკოლოზის მშობლები სიამოვნებით .................................... ქათმებსა და წიწილებს, მაგრამ არ ჰყავდათ. (გაყიდდნენ / გაყიდდა)
6. სამი თვის წიწილები ათ-ათ ლარად .................................... და ცარიელი კალათით დავბრუნდი შინ. (გავყიდეთ / გავყიდე)
7. ყველამ უნდა დაიცვას სისუფთავე და თავისი საქონელი უნდა .................................... . (გაყიდონ / გაყიდოს)
8. ამ სოფლის გლეხებს არასდროს არ .................................... თავიანთი ღვინო. (გაუყიდია / გაუყიდიათ)
9. სამი საათისთვის უკვე ყველა გამყიდველს .................................... თავისი საქონელი. (გაეყიდათ / გაეყიდა)
10. და-ძმას თავისი წინდები რომ .................................... შინ ადრე დაბრუნდებოდნენ. (გაეყიდა / გაეყიდათ)

**სავარჯიშო 3. დააკვირდი ზმნის ფორმებს და შეარჩიე სახელის სწორი ბრუნვები:**

1. ........................................ მთელი დღის განმავლობაში ყიდიან ცივ სასმელებს. (მაღაზიები / მაღაზიებს)
2. ........................................ დილით წიგნებს ყიდდა, საღამოს უნივერსიტეტში სწავლობდა. (გოგონა / გოგონამ)
3. ........................................ თავის წიაღისეულს უცხოეთში გაყიდის. (საქართველოს / საქართველო)
4. თამაშის დაწყებამდე ........................................ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს გაყიდდა ხოლმე. (მაკამ / მაკა)
5. საზღვრები რომ ღია ყოფილიყო, ........................................ ბევრ მანქანას გაყიდდნენ. (ბიზნესმენები / ბიზნესმენებს)
6. ელზას ........................................ მანდარინები ძალიან იაფად გაყიდეს. (მეზობლებმა / მეზობლებს)
7. სკოლების ახლოს მდებარე ........................................ ალკოჰოლური სასმელები არ უნდა გაყიდონ. (მაღაზიებმა / მაღაზიებს)
8. ჯემებისა და მურაბების ამ ........................................ საკუთარი პროდუქციის პირველი პარტია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გაუყიდია. (კომპანია / კომპანიას)
9. ........................................ შაბიამნის მთელი პარტია დღის პირველ ნახევარში უკვე გაეყიდა. (კახა / კახას)
10. ........................................ ყოველ დღე სამ-სამი კარადა უნდა გაეყიდა. (მარიამმა / მარიამს)

## სავარჯიშო 4. შეავსე ნიმუშის მიხედვით:

| ის ყიდის (III პირი) | თქვენ ყიდით (II პირი) |
|---|---|
| ის ყიდდა | |
| ის გაყიდის | |
| ის გაყიდდა | |
| მან გაყიდა | |
| მან (უნდა) გაყიდოს | |
| მას გაუყიდია | |
| მას გაეყიდა | |

## სავარჯიშო 5. შემოხაზე სწორი ვარიანტი:

1. მაგდანამ სამ საათში სულ გაყიდა თავისი მაწვნები.
2. სანამ ბიზნესმენმა თავის პროდუქციას გაყიდის, მანამდე იქნება მაღაზიაში .
3. მე ჩემი მომზადებული კოტლეტები ხვალ დილით უნდა გავყიდოს.
4. მანუჩარს დილიდან საღამომდე სამი კურდღელი უნდა გაყიდოს.

## სავარჯიშო 6. იპოვე სწორი ფორმა:

| | I. | II. | III. |
|---|---|---|---|
| ა) | გავყიდეს. | ვყიდნენ | ვყიდდი |
| ბ) | უნდა გაყიდოს. | გავყიდით | ვყიდდნენ |
| გ) | უნდა გავყიდე. | გავყიდდნენ | გაყიდნენ |
| დ) | გაყიდას. | გაგვეყიდათ | გავყიდა |

**ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 7. ᲓᲐᲐᲯᲒᲣᲤᲔ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ:**

ხარაგაულის რაიონში, მთავარი გზატკეცილის გასწვრივ, ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა თიხის ქურჭელს **ყიდიან.** ყველა თავის დამზადებულ ქურჭელს ყიდის. წლების წინ მათი მშობლები **ყიდდნენ** საქონელს, ახლა კი ახალგაზრდებიც მათ გვერდით არიან. ზოგი ქოთნებს ყიდის, ზოგი – კეცებს, ზოგი – ყანწებს, ზოგი — თონეებსაც კი. ვინც ბევრ ქურჭელს **გაყიდის,** შემოსავალიც კარგი ექნება. ამიტომ მათ ხარისხიანი ქურჭელი უნდა დაამზადონ და შემდეგ კარგ ფასად **გაყიდონ.**

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთ გამყიდველს დღეში 1000 ლარის საქონელი **გაუყიდია,** თუმცა ისეთი დღეებიც არის ხოლმე, როდესაც ერთ ქოთანსაც კი ვერ **ყიდიან.** ერთხელ ერთი კაცი ორი საათი იდგა გზის პირას, ერთი ქოთანი რომ **გაეყიდა,** მაგრამ არავინაც არ **იყიდა...**

| ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ | ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ | ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ |
|---|---|---|
| | | |

**ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ 8. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ ᲨᲔᲐᲕᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ:**

| ᲠᲘᲪᲮᲕᲘ | ᲐᲬᲛᲧᲝ | ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ | ᲛᲧᲝᲤᲐᲓᲘ |
|---|---|---|---|
| **მხოლობითი** | მე ვყიდი ჩანთას.<br>შენ ყიდი ჩანთას.<br>.................... | მე ვყიდდი პურს.<br>....................<br>ის ყიდდა პურს. | ....................<br>მე გავყიდი კომპიუტერს.<br>ის გაყიდის კომპიუტერს. |
| **მრავლობითი** | ჩვენ ვყიდით ჩანთას.<br>....................<br>ისინი ყიდიან ჩანთას. | ჩვენ ვყიდდით პურს.<br>თქვენ ყიდდით პურს.<br>.................... | ჩვენ გავყიდით კომპიუტერს.<br>....................<br>ისინი გაყიდიან კომპიუტერს. |

**სავარჯიშო 9.** **ჩაწერე სწორი ფორმა ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** რას შვრება? – ყიდის.

1. ნიკალა ყოველდღე .................................... (რას შვრება?) ახალ-ახალ სათამაშოებს.
2. ნინო ერთი წლის განმავლობაში .................................... (რას შვრებოდა?) მანქანის ნაწილებს და შემდეგ საბურავების გაყიდვა დაიწყო.
3. ცოტა ხანში მეზობელი მაღაზიაც .................................... (რას იზამს?) კომპიუტერულ ტექნიკას.
4. შარშანწინ ჩვენი მიწის ნაკვეთი რომ .................................... (რა გვექნა?), ახლა ახალი ხილი არ გვექნებოდა.

**სავარჯიშო 10.** **შეადგინე წინადადება ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** ყიდის (ის მას) – გოგონა ვაშლს ყიდის.

1. გაყიდეს (მათ ის) – .................................................................... .
2. გავყიდი (მე მას) – .................................................................... .
3. უნდა გავყიდოთ (ჩვენ ის) – .................................................................... .
4. გაუყიდიათ (მათ ის) – .................................................................... .

**სავარჯიშო 11.** **შეადგინე მცირე ზომის ტექსტი მოცემული ფორმების გამოყენებით:**

ყიდის, ყიდდა, გაყიდის, გაყიდა, გაყიდდა

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

....................................................................................................

### ზმნა: კეთება – აკეთებს

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვაკეთებ მე მას, აკეთებ შენ მას<br>აკეთებს **ის მას**, აკეთებენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვაკეთებდი მე მას, აკეთებდი შენ მას<br>აკეთებდა **ის მას**, აკეთებდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | გავაკეთებ მე მას, გააკეთებ შენ მას<br>გააკეთებს **ის მას**, გააკეთებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | გავაკეთებდი მე მას, გააკეთებდი შენ მას<br>გააკეთებდა **ის მას**, გააკეთებდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | გავაკეთე მე ის, გააკეთე შენ ის<br>გააკეთა **მან ის**, გააკეთეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა გავაკეთო მე ის, უნდა გააკეთო შენ ის<br>უნდა გააკეთოს **მან ის**, უნდა გააკეთონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | გამიკეთებია მე ის, გაგიკეთებია შენ ის, გაგვიკეთებია ჩვენ ის, გაგიკეთებიათ თქვენ ის<br>გაუკეთებია **მას ის**, გაუკეთებიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა გამეკეთებინა მე ის, უნდა გაგეკეთებინა შენ ის<br>უნდა გაეკეთებინა **მას ის**, უნდა გაეკეთებინათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. სიტყვათა ბლოკიდან წინადადებებში ჩასვი აკეთებს ზმნის შესაბამისი პირის / რიცხვის / დროის ფორმა:

გააკეთა. აკეთებდნენ. გამეკეთებინა. ვაკეთებ. აკეთებს. გავაკეთებდი. გამიკეთებია. ვაკეთებდი. გაუკეთებია. გამეკეთებინა. გავაკეთო.

1. ჩემი გუშინდელი დავალება ჩემმა ძმამ .................................. .
2. ახლა დედა სტუმრებისთვის ხინკალს .................................. .
3. ამ საოცარ სათამაშოებს მე .................................. .
4. ბევრი არაფერი .................................. , მარტო დავხატე.
5. ყოველ წელს საახალწლოდ საჩუქრებს .................................. ჩემი კლასელებისთვის.
6. ხვალისათვის პრეზენტაცია უნდა .................................. .
7. მინდოდა ყველასათვის სიურპრიზი .................................. , მაგრამ არ გამოვიდა.
8. ვინ იცის, რამდენჯერ .................................. ნიკას ასეთი მანქანა.
9. მასალა რომ მქონოდა, მეც .................................. ასეთ ნაძვისხეს.
10. ჩემი კლასელები გაზეთს .................................. , მე კი მინდოდა ფიფქები
.................................. .

## სავარჯიშო 2. ჩასვი შესაბამისი რიცხვის ფორმა:

1. გამოცდაზე ყველა ბავშვი ტესტს .................................... . (აკეთებს / აკეთებენ)
2. მე ხატვის გაკვეთილისთვის მისალოცი .................................... . (გავაკეთე / გააკეთეთ)
3. ნიკა და მისი მეგობრები მთელი დღე .................................... ციგებს. (აკეთებდა / აკეთებდნენ)
4. ადრე ჩვენ ასეთი რამ არ .................................... . (გამიკეთებია / გაგვიკეთებია)
5. მან იცოდა მე ეს ვარჯიში როგორ უნდა .................................... . (გაგვეკეთებინა / გამეკეთებინა)
6. კონკურსისთვის ყველა მოსწავლეს უნდა .................................... საახალწლო დეკორაცია. (გაგვეკეთებინა / გაეკეთებინა)
7. ოჯახში ყველა მძიმე საქმეს ჩემი და .................................... . (აკეთებდა / აკეთებდნენ)
8. დედა და ბებია საახალწლოდ გოზინაყს .................................... . (გააკეთებენ / გააკეთებს)
9. მასწავლებელმა ხვალისათვის ტესტები უნდა .................................... . (გააკეთონ / გააკეთოს)
10. ზეიმისთვის მან ქაღალდის ბევრი ყვავილი .................................... . (გააკეთეს / გააკეთა)

## სავარჯიშო 3. წინადადებისთვის შეარჩიე შესაბამისი პირის ფორმა:

**ა) დათომ ყველა სამუშაო უკვე .................................... .**

1. გავაკეთე. 2. გავაკეთეთ. 3. გააკეთა. 4. გააკეთე

**ბ) მე ჩემი მეგობრებისათვის სალათას .................................... .**

1. აკეთებს. 2. ვაკეთებ. 3. აკეთებ. 4. აკეთებთ

**გ) შეგიძლია ჩემთვის ერთი კარგი საქმე .................................... ?**

1. გააკეთოს. 2. გავაკეთო. 3. გააკეთო. 4. გააკეთოთ

**დ) ადრე ბევრ კეთილ საქმეს .................................... ანდრო.**

1. აკეთებდა. 2. ვაკეთებდი. 3. აკეთებდით. 4. ვაკეთებდით

**ე) მოსწავლეებს ბევრი სათამაშო .................................... ღარიბებისთვის.**

1. გაგვიკეთებია. 2. გამიკეთებია. 3. გაგიკეთებია. 4. გაუკეთებიათ

**ვ) დედა .................................... გემრიელ ჩაის და ჩვენც სუფრას მივუსხდებოდით ხოლმე.**

1. გააკეთებდა. 2. გავაკეთებდით. 3. გაგვიკეთებდა. 4. გამიკეთებდა

## სავარჯიშო 4. წინადადებაში მითითებული სიტყვები გამოიყენეთ სწორი ფორმით:

1. აკეთებს .................... .................... (ლადო. თვითმფრინავი)
2. აკეთებდა .................... .................... (დედა. ნამცხვარი)
3. აკეთებდნენ .................... .................... (მუშები. სახლი)
4. გააკეთებენ .................... .................... (ექიმები. ოპერაცია)
5. გავაკეთებდი.................... .................... (მე. ბაღი)
6. გააკეთებდა .................... .................... (მასწავლებელი. ტესტები)
7. გააკეთა .................... .................... (დათო. ველოსიპედი)
8. გააკეთეს .................... .................... (სტუდენტები. კარნავალი)
9. უნდა გააკეთოს .................... .................... (სკოლა. სპორტდარბაზი)
10. გაუკეთებია .................... .................... (მეგობარი. სახლი)
11. უნდა გაეკეთებინა .................... .................... (ძმა. ავტომანქანა)
12. გაუკეთებიათ .................... .................... (ბავშვები. საჩუქრები)

## სავარჯიშო 5. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1. კეთება ....................
2. ვაკეთებ ....................
3. აკეთებენ ....................
4. აკეთებთ ....................
5. გააკეთეს ....................
6. უნდა გავაკეთოთ ....................
7. გააკეთებ ....................
8. უნდა გაეკეთებინა ....................
9. უნდა გამეკეთებინა ....................
10. გაუკეთებიათ ....................
11. გააკეთა ....................
12. უნდა გააკეთოს ....................
13. გააკეთეთ ....................

## სავარჯიშო 6. წინა წინადადებაში მოცემული სიტყვების გამოყენებით დაწერე პატარა ამბავი:

....................

....................

....................

....................

....................

**ზმნა: ბარვა – ბარავს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვბარავ მე მას, ბარავ შენ მას<br>ბარავს **ის მას**, ბარავენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვბარავდი მე მას, ბარავდი შენ მას<br>ბარავდა **ის მას**, ბარავდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავბარავ მე მას, დაბარავ შენ მას<br>დაბარავს **ის მას**, დაბარავენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავბარავდი მე მას, დაბარავდი შენ მას<br>დაბარავდა **ის მას**, დავბარავდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავბარე მე ის, დაბარე შენ ის<br>დაბარა **მან ის**, დაბარეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავბარო მე ის, უნდა დაბარო შენ ის<br>უნდა დაბაროს **მან ის**, უნდა დაბარონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიბარავს მე ის, დაგიბარავს შენ ის, დაგვიბარავს ჩვენ ის, დაგიბარავთ თქვენ ის<br>დაუბარავს **მას ის**, დაუბარავთ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამებარა მე ის, უნდა დაგებარა შენ ის<br>უნდა დაებარა **მას ის**, უნდა დაებარათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. გადაანაწილეთ მოცემული ზმნები ცხრილში:

უნდა დაებარა, ბარავს, დაუბარავს, დაბარა, დაბარავდა,
უნდა დაბაროს, დაბარავს.

| თიკო (ის), მიწას (მას) | თიკომ (მან), მიწა (ის) | თიკოს (მას), მიწა (ის) |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 2.** **გადახაზე ზედმეტი:**

**ნიმუში:** ა) ბარავენ ბ) დაბარავენ გ) დაუბარავთ დ) ბარავ.

1. ა) ვბარავ; ბ) დამიბარავს; გ) უნდა დამებარა; დ) ბარავდი.
2. ა) დაგიბარავთ; ბ) დაბარეთ; გ) ბარავენ; დ) დაგიბარავთ.
3. ა) დავბარავთ; ბ) ბარავდნენ; გ) დაუბარავთ; დ) დაბარეს.
4. ა) დაბარე; ბ) დავბარავთ; გ) უნდა დაბარო; დ) ბარავდი.
5. ა) ვბარავთ; ბ) დაგვიბარავს; გ) დავბარე; დ) დავბარავთ.
6. ა) დავბარე; ბ) დაბარე; გ) დაბარა; დ) დაუბარავს.
7. ა) დავბარე; ბ) ბარავ; გ) უნდა დაბარო; დ) დაებარათ.
8. ა) ბარავთ; ბ) დაბარა; გ) ბარავენ; დ) ვბარავთ.
9. ა) დაბარეს; ბ) დამიბარავს; გ) დაგვიბარავს; დ) მიუციათ.
10. ა) დაგვიბარავს; ბ) დავბარეთ; გ) დაბარავდა; დ) დავბარავთ.

**სავარჯიშო 3.** **მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:**

ვბარავ, დაგიბარავს, უნდა დაბარონ, დაბარავთ, დაბარა, უნდა დაგვებარა, დაბარავდნენ, ბარავდა, დაბარეს, ვბარავდით.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ მცირე ტექსტი:**

ვბარავ, დაუბარავთ, ბარავდა, დაბარეთ, უნდა დაბარო, დაბარავთ.

..........

..........

..........

..........

..........

**ზმნა: გაცივება – აცივებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვაცივებ მე მას, აცივებ შენ მას<br>აცივებს **ის მას**, აცივებენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვაცივებდი მე მას, აცივებდი შენ მას<br>აცივებდა **ის მას**, აცივებდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | გავაცივებ მე მას, გააცივებ შენ მას<br>გააცივებს **ის მას**, გააცივებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | გავაცივებდი მე მას, გააცივებდი შენ მას<br>გააცივებდა **ის მას**, გააცივებდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | გავაცივე მე ი, გააცივე შენ ის<br>გააცივა **მან ის**, გააცივეს **ისინი მას** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა გავაცივო მე ის, უნდა გააცივო შენ ის<br>უნდა გააცივოს **მან ის**, უნდა გააცივონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | გამიცივებია მე ის, გაგიცივებია შენ ის, გაგვიცივებია ცვენ ის, გაგიცივებიათ თქვენ ის<br>გაუცივებია **მას ის**, გაუცივებიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა გამეცივებინა მე ის, უნდა გაგეცივებინა შებ ის<br>უნდა გაეცივებინა **მას ის**, უნდა გაეცივებინათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. შეარჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:

1. ღელამ ბრინჯის ფაფა სულის შებერვით ..............................
(ვაცივებ / გააცივებ / გააცივა).
2. შენ და შენი ძმა საღამოსთვის ღვინოს ..............................
(ვაცივებთ / აცივებთ / აცივებენ).
3. ჩვენ „ნაპოლეონის" ცომი გამოცხობამდე აუცილებლად უნდა ..............................
(გავაცივოთ / გააცივოთ / გააცივონ).
4. ამირანს ვისკი ..............................ყინულით. (გამიცივებია / გაგიცივებია / გაუცივებია)
5. შენ ზაფხულში წყალს ყოველთვის .............................. .
(ვაცივებდი / აცივებდი / აცივებდა).
6. ლალის და მერის მინერალური წყალი მაგიდაზე მიტანამდე უნდა
.............................. (გაგვეცივებინა / გაგეცივებინათ / გაეცივებინათ).
7. შენ ხინკალი უკვე ..............................? (გაგიცივებია / გაგვიცივებია / გაუცივებიათ)
8. პელმენი თუ არ .............................., ვერ შეჭამ. (გაავიცა / გააცივე / გააცივეს)
9. მე და თიკომ ჩვენი ძმა .............................. . (გააცივეს / გააცივეთ / გავაცივეთ)
10. ბავშვს თბილად ჩააცვი, არ .............................. (გავაცივო / გააცივო / გააცივოს).

**სავარჯიშო 2. დააკავშირე სიტყვები ზმნასთან:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დედამ | უნდა გაეცივებინა |
| 2. | მშობლები | გააცივა |
| 3. | ნათიას | აცივებენ |
| 4. | ძმები | გაუცივებია |
| 5. | გამყიდველს | აცივებდნენ |
| 6. | ქალებმა | უნდა გააცივოს |
| 7. | მოხუცს | გააცივებდნენ |
| 8. | თამარმა | გააცივებს |
| 9. | ანამ და ნანამ | გააცივეს |
| 10. | ბიჭები | უნდა გააცივონ |

**სავარჯიშო 3. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

ვაცივებ, გაუცივებია, უნდა გააცივოს, გააცივებთ, გააცივა, უნდა გაეცხელებინათ, გააცივებდნენ, აცივებდა, გააცივეს, ვაცივებდით.

11. ....................
12. ....................
13. ....................
14. ....................
15. ....................
16. ....................
17. ....................
18. ....................
19. ....................
20. ....................

**სავარჯიშო 4. მოცემული ზმნების გამყენებით შეადგინე მცირე ტექსტი:**

ვაცივებ, გაუცივებიათ, აცივებდა, გააცივეთ, უნდა გააცივო, გააცივებთ.

....................

....................

....................

....................

....................

**ზმნა: გაცხელება – აცხელებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვაცხელებ მე მას, აცხელებ შენ მას<br>აცხელებს **ის მას**, აცხელებენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვაცხელებდი მე მას, აცხელებდი შენ მას<br>აცხელებდა **ის მას**, აცხელებდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | გავაცხელებ მე მას, გააცხელებ შენ მას<br>გააცხელებს **ის მას**, გააცხელებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | გავაცხელებდი მე მას, გააცხელებდი შენ მას<br>გააცხელებდა **ის მას**, გააცხელებდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | გავაცხელე მე ის, გააცხელე შენ ის<br>გააცხელა **მან ის**, გააცხელეს **ისინი მას** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა გავაცხელო მე ის, უნდა გააცხელო შენ ის,<br>უნდა გააცხელოს **მან ის**, უნდა გააცხელონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | გამიცხელებია მე ის, გაგიცხელებია შენ ის, გაგვიცხელებია ჩვენ ის,<br>გაგიცხელებიათ თქვენ ის<br>გაუცხელებია **მას ის**, გაუცხელებიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა გამეცხელებინა მე ის, უნდა გაგეცხელებინა შენ ის<br>უნდა გაეცხელებინა **მას ის**, უნდა გაეცხელებინათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. ჩასვი ზმნა „ვაცხელებ“ სწორი ფორმით:

1. ნიკომ საჭმელი ........................................ .
2. დედაჩემი რძეს ........................................ .
3. რომ არ მეზარებოდეს, ტოლმას ........................................ .
4. გუშინ ნინოს სტუმრებისთვის ფლავი უნდა ........................................ .
5. მზარეულებმა ხაჭაპური უნდა ........................................ .
6. სტუმრები რომ მოვიდნენ, მე ხარჩოს ........................................ .
7. გუშინ შენ და ბებიამ ლობიო ........................................ .
8. ელექტრო ღუმელს სადანები ........................................ .
9. ხვალ მე და თიკა კერძებს ........................................ .
10. დეიდაჩემმა თონე უნდა ........................................ .

**სავარჯიშო 2.** **მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

ვაცხელებ, გაგიცხელებია, უნდა გააცხელონ, გააცხელებთ, გააცხელა, უნდა გაგვეცხელებინა, გააცხელებდნენ, აცხელებდა, გააცხელეს, ვაცხელებდით.

1. ................................................................................
2. ................................................................................
3. ................................................................................
4. ................................................................................
5. ................................................................................
6. ................................................................................
7. ................................................................................
8. ................................................................................
9. ................................................................................
10. ................................................................................

**სავარჯიშო 3.** **აირჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:**

1. გუშინ .................... ლობიანი გააცხელა. (თიკო / თიკომ / თიკოს)
2. შენ და .................... პიცას აცხელებთ. (გოგი / გოგიმ / გოგის)
3. თათია და ნათია ჩაისთვის .................... გააცხელებენ. (წყალი / წყალმა / წყალს)
4. მაგიდაზე მოტანამდე, .................... კარძები უნდა გააცხელოს. (ია / იამ / იას)
5. გუშინ .................... ვაცხელებდი და დავწვი. (საჭმელი / საჭმელმა / საჭმელს)
6. მე და .................... კომპოტი არასოდეს გაგვიცხელებია. (მაკა / მაკამ / მაკას)
7. ნიკა .................... სიამოვნებით გააცხელებდა. (ხაჭაპური / ხაჭაპურმა / ხაჭაპურს)
8. .................... სტუმრებისთვის ტოლმა უნდა გაეცხელებინა. (ანა / ანამ /ანას)
9. ნოდარმა და თაკომ გუშინ .................... გააცხელეს. (ხარჩო / ხარჩომ / ხარჩოს)
10. .................... რძე გაუცხელებია ჩემთვის. (ბებეიაჩემი / ბებეიაჩემმა /ბებიაჩემს)

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნების გამყენებით შეადგინე მცირე ტექსტი:**

ვაცხელებ, გაუცხელებიათ, აცხელებდა, გააცხელეთ, უნდა გააცხელო, გააცხელებთ.

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

**ზმნა: დახურება – ახურებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვახურავ მე მას მას, ახურავ შენ მას მას<br>ახურავს **ის მას მას**, ახურავენ **ისინი მას მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვახურავდი მე მას მას, ახურავდი შენ მას მას<br>ახურავდა **ის მას მას**, ახურავდნენ **ისინი მას მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავახურავ მე მას მას, დაახურავ შენ მას მას<br>დაახურავს **ის მას მას**, დაახურავენ **ისინი მას მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავახურავდი მე მას მას , დაახურავდი შენ მას მას<br>დაახურავდა **ის მას მას**, დაახურავდნენ **ისინი მას მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავახურე მე მას ის, დაახურე შენ მას ის<br>დაახურა **მან მას ის**, დაახურეს **მათ მას ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავახურო მე მას ის, უნდა დაახურო შენ მას ის<br>უნდა დაახუროს **მან მას ის**, უნდა დაახურონ **მათ მას ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიხურავს მე ის (მისთვის), დაგიხურავს შენ ის (მისთვის) დაუხურავს მას **ის (მისთვის)**, დაუხურავთ **მათ ის (მისთვის)** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამეხურა მე ის (მისთვის), უნდა დაგეხურა შენ ის (მისთვის)<br>უნდა დაეხურა **მას ის (მისთვის)**, უნდა დაეხურათ **მათ ის (მისთვის)** |

## სავარჯიშო 1.

### ა) დააკავშირე სიტყვები ზმნასთან:

| | |
|---|---|
| 1. დედამ | უნდა დაეხურა |
| 2. მშობლები | დაახურა |
| 3. ნათიას | ახურავენ |
| 4. ბიჭები | დაუხურავს |
| 5. გამყიდველს | ახურავდნენ |

### ბ)

| | |
|---|---|
| 1. ქალი | უნდა დაახუროს |
| 2. მოხუცებმა | დაახურავდნენ |
| 3. ძმები | დაახურავს |
| 4. ანამ და ნანამ | დაახურეს |
| 5. თამარმა | უნდა დაახურონ |

**გ) მოცემული ფრაზების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**სავარჯიშო 2. შეარჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:**

1. დედამ ნინის თბილი ქუდი .......... . (ახურავს, დაახურა, დაუხურებია)
2. მუშები სახლს სახურავს .......... . (ახურავენ, უნდა დაახურონ, დაახურა)
3. ხვალ მე და ჩემი ძმა ეკლესიას კრამიტს .......... . (დავახურავთ, დაგვიხურავს, ვახურავთ)
4. ნათია, ჩაიდანს თავსახური .......... . (დაახურე, დაახურეს, დავახურეთ)
5. ნოდარის პატარა დაიკოსთვის საბანი .......... . (უნდა დაეხურა, ახურავდა, ვახურავ)
6. დედამიწას ცა ქუდივით .......... . (გვახურავს, ახურავს, ახურავენ)
7. მე საშაქრეს თავსახური .......... . (დავახურე, დაახურე, დაახურეს)
8. გიორგის სკისთვის თავი კარგად არ .......... . (დაუხურავს, დაგიხურავს, დამიხურავს)
9. ღვინის მომზადებისას მეღვინეებმა კასრს თავსახური მჭიდროდ .......... . (დაახურეს, დავახურეთ, დაახურეთ)
10. ბაბუაჩემს ახალგაზრდობაში ცილინდრი .......... . (მეხურა, გეხურა, ეხურა)

**სავარჯიშო 3.** **მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

ვახურავ, დაახურეს, უნდა დაახურონ, დაახურავთ, დაუხურავთ, უნდა დავახურო, დავახურავდით, ახურავდა, ახურავთ, ვახურავდით.

1. ...
2. ...
3. ...
4. ...
5. ...
6. ...
7. ...
8. ...
9. ...
10. ...

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე მცირე ტექსტი:**

ვახურებ, დაუხურებია, ვახურებდით, დაახურეთ, უნდა დაახურო, დაახურებენ.

**ზმნა: საუზმობა – საუზმობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვსაუზმობ მე, საუზმობ შენ<br>საუზმობს **ის**, საუზმობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვსაუზმობდი მე, საუზმობ შენ<br>საუზმობდა **ის**, საუზმობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვისაუზმებ მე, ისაუზმებ შენ<br>ისაუზმებს **ის**, ისაუზმებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვისაუზმებდი მე, ისაუზმებდი შენ<br>ისაუზმებდა **ის**, ისაუზმებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვისაუზმე მე, ისაუზმე შენ<br>ისაუზმა **მან**, ისაუზმებენ **ისინი** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვისაუზმო მე, უნდა ისაუზმო შენ<br>უნდა ისაუზმოს **მან**, უნდა ისაუზმონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მისაუზმია მე, გისაუზმია შენ, გვისაუზმია ჩვენ, გისაუზმიათ თქვენ<br>უსაუზმია **მას**, უსაუზმიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მესაუზმა მე, უნდა გესაუზმა შენ<br>უნდა ესაუზმა **მას**, უნდა ესაუზმათ **მათ** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ვვარჯიშობ, ვლაპარაკობ, ვსადილობ, ვვახშმობ...** | |

## სავარჯიშო 1. აუღლე ზმნა საუზმობს მყოფადში

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| 1. | |
| 2. | |
| 3. | |

## სავარჯიშო 2. ჩასვი სწორი ფორმა

**ნიმუში:** მე ვიცი, რომ შენ დილით ყოველთვის ისაუზმებ. (ისაუზმებ / საუზმობ)

ა) მოდი, .................................! (ისაუზმე / ისაუზმებ)

ბ) შენ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ................................? (საუზმობ / გისაუზმია)

გ) გინდა, ერთად ................................ (ვისაუზმოთ/ ისაუზმონ), ჯერ არც მე (ვისაუზმებდი / მისაუზმია) .

დ) დილით კაფეში შევედი, რომ მსუბუქად ................................. (ესაუზმა / მესაუზმა)

ე) შენ რომ დაურეკე, მამა სწორედ იმ დროს .................................(საუზმობდა / ისაუზმა)

ვ) ბავშვებმა გემრიელად ................................ და მაშინვე ეზოში გაიქცნენ. (უსაუზმიათ / ისაუზმეს)

**სავარჯიშო 3.** **გაანაწილე ცხრილში სწორად:**

საუზმობს, ისაუზმა, უსაუზმია, ვისაუზმებთ, გესაუზმა

| ანმყო | მყოფადი | წყვეტილი | პირველი თურმეობითი | მეორე თურმეობითი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**სავარჯიშო 4.** **შემოხაზე ის წინადადებები, რომლებშიც ზმნა არასწორი ფორმითაა მოცემული:**

1. თქვენ უკვე ისაუზმე?
2. სიამოვნებით ვისაუზმებ თქვენთან ერთად!
3. ღია ტერასაზე საუზმობდა ბატონიშვილი.
4. მათ ჯერ უნდა ისაუზმოს და მერე შეუდგებიან მუშაობას.
5. მინდოდა მესაუზმოს და ისე გავსულიყავი სახლიდან.
6. ასე გემრიელად არასოდეს მისაუზმია.

**სავარჯიშო 5.** **ჩასვი სიტყვა ზმნასთან სწორ ბრუნვაში:**

**ნიმუში:** (ბაბუა) ბაბუა რძითა და თაფლით საუზმობს.

1. (მათე) .................................. დილით არასოდეს საუზმობს.
2. (ბავშვები) .................................. არ უსაზმიათ? უკვე გვიანია.
3. (დამსვენებლები) .................................. გემრიელად საუზმობდნენ ყოველ დილით ადგილობრივი ნატურალური პროდუქტებით.
4. (ყველა) .................................. უნდა ვისაუზმოთ დილით – თუ ჯანმრთელობა გვინდა.
5. (გოგონა) .................................. დინჯად ისაუზმა, წიგნები ჩაალაგა და სკოლისკენ გაუდგა გზას.
6. (ჩვენი სტუმარი) .................................. ისაუზმებს თუ ჯერ სანაპიროზე გაისეირნებს?

## სავარჯიშო 6. დაწერე წინადადებები შემდეგი ფორმების გამოყენებით:

1. საუზმობს ........................................
2. ვისაუზმე ........................................
3. საუზმობდნენ ........................................
4. უსაუზმიათ ........................................
5. გესაუზმა ........................................
6. ისაუზმებ ........................................
7. უნდავისაუზმო ........................................
8. ისაუზმებდით ........................................

## სავარჯიშო 7. შეადგინე პატარა ტექსტი, სადაც გამოიყენებ ზმნას „საუზმობს“ სხვადასხვა მწკრივსა და პირში

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

**ზმნა: ვახშმობა – ვახშმობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვვახშმობ მე, ვახშმობ შენ<br>ვახშმობს **ის**, ვახშმობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვვახშმობდი მე, ვახშმობდი შენ<br>ვახშმობდა **ის**, ვახშმობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვივახშმებ მე, ივახშმებ შენ<br>ივახშმებს **ის**, ივახშმებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვივახშმებდი მე, ივახშმებდი შენ<br>ივახშმებდა **ის**, ივახშმებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვივახშმე მე, ივახშმე შენ<br>ივახშმა **მან**, ივახშმეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვივახშმო მე, უნდა ივახშმო შენ<br>უნდა ივახშმოს **მან**, უნდა ივახშმონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მივახშმია მე, გივახშმია შენ, გვივახშმია ჩვენ, გივახშმიათ თქვენ<br>უვახშმია **მას**, უვახშმიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მევახშმა მე, უნდა გევახშმა შენ<br>უნდა ევახშმა **მას**, უნდა ევახშმათ **მათ** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: სადილობს, საუზმობს.** | |

## სავარჯიშო 1. გაანაწილე მოცემული ზმნები შესაბამის უჯრაში:

ვვახშმობდით, ვახშმობს, უვახშმია, ევახშმა, გვევახშმა, გვივახშმია, უნდა მევახშმა, ვივახშმებ. ვახშმობდით, ვახშმობდეს, უნდა ივახშმოს, ვივახშმეთ, ივახშმებდეთ, ივახშმებდნენ, მივახშმია, ევახშმა, ივახშმებენ, უნდა ივახშმო, ვვახშმობ.

| I პირი | II პირი | III პირი |
|---|---|---|
| ვვახშმობდით | | |

**სავარჯიშო 2.** **მონიშნე სწორი წინადადებები √ ნიშნით. არასწორი წინადადებები გაასწორე და წაიკითხე:**

1. ჩვენ საღამოს ექვს საათზე ვვახშმობთ.
2. არ დაგავიწყდეს, მე და შენ ამ საღამოს ერთად ვახშმობთ.
3. ნიკა უკვე ივახშმა.
4. ნანამ 7 საათზე ივახშმა.
5. გიორგი არ უვახშმია.
6. ნანას თავის ბებოსთან უვახშმია.
7. დღეს ყველას ერთად უნდა გვევახშმა.
8. შენ ჯერ კიდევ არ მივახშმია?
9. რომელ საათზე ვახშმობენ სტუმრები?
10. ნელი სახლში უნდა ივახშოს.

1. ..............................
2. ..............................
3. ..............................
4. ..............................
5. ..............................

**სავარჯიშო 3.** **დააკვირდი ცხრილში მოცემულ სახელის ბრუნვის ფორმას და გაანაწილე ზმნები შესაბამის სვეტში:**

ივახშმოს, ვახშმობს, ივახშმებს, ვახშმობდა, ივახშმებდა, ევახშმა, ივახშმა, უვახშმია

| დავითი | დავითმა | დავითს |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 4.** **წინა სავარჯიშოში მოცემული სახელებისა და ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები**

**ზმნა: ლაპარაკი – ლაპარაკობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვლაპარაკობ მე (ლაპარაკობს **ის**, ლაპარაკობენ **ისინი**) |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვლაპარაკობდი მე (ლაპარაკობდა **ის**, ლაპარაკობდნენ **ისინი**) |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვილაპარაკებ მე (ილაპარაკებს **ის**, ილაპარაკებენ **ისინი**) |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვილაპარაკებდი მე (ილაპარაკებდა **ის**, ილაპარაკებდნენ ისინი) |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვილაპარაკე მე (ილაპარაკა **მან**, ილაპარაკებენ **ისინი**) |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვილაპარაკო მე (უნდა ილაპარაკოს **მან**, უნდა ილაპარაკონ **მათ**) |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მილაპარაკია მე (ულაპარაკია **მას**, ულაპარაკიათ **მათ**) |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მელაპარაკა მე (უნდა ელაპარაკა **მას**, უნდა ელაპარაკათ **მათ**) |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ვმუშაობ, ვვარჯიშობ, ვვახშმობ, ვსადილობ...** | |

აღნიშნული ზმნა იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ორპირიანი ფორმითაც, შემდეგი ყალიბით:

**ზმნა: ლაპარაკი – ლაპარაკობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვლაპარაკობ მე მას, ლაპარაკობ შენ მას (სიმართლეს)<br>ლაპარაკობს **ის მას**, ლაპარაკობენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვლაპარაკობდი მე მას, ლაპარაკობდი შენ მას<br>ლაპარაკობდა **ის მას**, ლაპარაკობდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვილაპარაკებ მე მას, ილაპარაკებ შენ მას<br>ილაპარაკებს **ის მას**, ილაპარაკებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვილაპარაკებდი მე მას, ილაპარაკებდი შენ მას<br>ილაპარაკებდა **ის მას**, ილაპარაკებდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვილაპარაკე მე ის, ილაპარაკე შენ ის<br>ილაპარაკა **მან ის**, ილაპარაკებენ **ისინი მას** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვილაპარაკო მე ის, უნდა ილაპარაკო შენ ის<br>უნდა ილაპარაკოს **მან ის**, უნდა ილაპარაკონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მილაპარაკია მე ის, გილაპარაკია შენ ის, გვილაპარაკია ჩვენ ის, გილაპარაკიათ თქვენ ის<br>ულაპარაკია **მას ის**, ულაპარაკიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მელაპარაკა მე ის, უნდა გელაპარაკა შენ ის<br>უნდა ელაპარაკა **მას ის**, უნდა ელაპარაკათ **მათ ის** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ვთამაშობ მე მას...**<br>**მსგავსად იუღლება: ლაპარაკობს ის (ქართულად)** | |

## სავარჯიშო 1: ჩასვი სწორად:

ლაპარაკობდი, ვილაპარაკო, გვილაპარაკია, მელაპარაკა, ილაპარაკებ, ილაპარაკებდი, ილაპარაკე, ლაპარაკობს

1. ჩემი მეგობარი რამდენიმე ენაზე ................................ .
2. რა დაგემართა, გუშინ რომ მთელი დღე გაუჩერებლად ................................ ?
3. ჩემ მაგივრად ნუ ................................ !
4. უკეთესი იქნებოდა, თუ ბაბუასთან მისთვის საინტერესო ამბებზე ................................ .
5. რა კარგად ................................ !
6. ტელეფონი დამიბრუნე, უნდა ................................ .
7. ამ თემაზე ჯერ არ ................................ .
8. ბავშვებთან უფრო ხშირად უნდა ................................ მათ მომავალზე.

## სავარჯიშო 2. გადაიყვანე წინადადებები ნიმუშის მიხედვით მყოფადში:

**ნიმუში:** მთელი დღე ვლაპარაკობ – მთელი დღე ვილაპარაკებ

1. ჟურნალისტი საინფორმაციო გამოშვებაში დღევანდელ წყალდიდობაზე ლაპარაკობს.

   ................................................................................................

   ................................................................................................

2. ბიძაშვილები საღამოობით ბუხრის წინ ვსხედვართ და ვლაპარაკობთ ათას რამეზე.

   ................................................................................................

   ................................................................................................

3. მასწავლებელი ახალი მასალის შესახებ მკაფიოდ და გასაგებად ლაპარაკობდა.

   ................................................................................................

   ................................................................................................

4. ეს თემა დახურულია, მასზე არასოდეს გვილაპარაკია.

   ................................................................................................

   ................................................................................................

## სავარჯიშო 3. ჩასვი სწორი ვარიანტი:

1. რაც არ უნდა ბევრი ................................ , მაინც ვერ ამოვწურავ სათქმელს.
(ვლაპარაკობ / ვილაპარაკო)
2. შეიძლებოდა მასთან ყველაფერი ................................ .
(მელაპარაკა / მელაპარაკოს)
3. დამესიზმრა – უცნაური კაცი მოვიდა ჩემთან და გაუჩერებლად ................................ .
(ლაპარაკობდა / ილაპარაკა)
4. ბაბუა ბუხრის პირას იჯდა და ზღაპარს ყვებოდა – ყოველთვის გრძლად
................................ . (ილაპარაკა / ლაპარაკობდა)
5. მიკროფონი ჩაირთო – ახლა უკვე შეგიძლია ................................ !
(ილაპარაკოს / ილაპარაკო)
6. რომ რჩებოდე, კარგი იქნებოდა, საღამოს ბევრს ................................ .
(ვლაპარაკობთ / ვილაპარაკებდით)
7. რომ შევედი, კლასში ყველა ერთად ................................ და დიდი აურზაური იყო.
(ლაპარაკობდა / ილაპარაკებდა)

## სავარჯიშო 4. შეავსე ცხრილი:

| | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი | წყვეტილი | მეორე კავშირებითი |
|---|---|---|---|---|---|
| მე | | | | | ვილაპარაკო |
| შენ | ლაპარაკობ | | | | |
| მას | | | | | |
| ჩვენ | | | ვილაპარაკებთ | | |
| თქვენ | | | | | |
| მათ | | | | ილაპარაკეს | |

**სავარჯიშო 5.** **შეადგინე წინადადებები შემდეგ ფორმებზე:**

1. ვილაპარაკე ..........
2. ლაპარაკობდი ..........
3. ულაპარაკია ..........
4. მელაპარაკა ..........

**სავარჯიშო 6.** **შეადგინე პატარა ტექსტი ნებისმიერ თემაზე, სადაც სხვა ზმნებთან ერთად გამოიყენებ ზმნის „ლაპარაკობს" სხვადასხვა მწკრივის, პირისა და რიცხვის ფორმებს:**

..........

**ზმნა: მუშაობა – მუშაობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვმუშაობ მე, მუშაობ შენ<br>მუშაობს **ის**, მუშაობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვმუშაობდი მე, მუშაობდი შენ<br>მუშაობდა **ის**, მუშაობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვიმუშავებ მე, იმუშავებ შენ<br>იმუშავებს **ის**, იმუშავებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვიმუშავებდი მე, იმუშავებდი შენ<br>იმუშავებდა **ის**, იმუშავებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვიმუშავე მე, იმუშავე შენ<br>იმუშავა **მან**, იმუშავეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიმუშაო მე, უნდა იმუშაო შენ<br>უნდა იმუშაოს **მან**, უნდა იმუშაონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მიმუშავია მე, გიმუშავია შენ, გვიმუშავია ჩვენ, გიმუშავიათ თქვენ<br>უმუშავია **მას**, უმუშავიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მემუშავა მე, უნდა გემუშავა შენ<br>უნდა ემუშავა **მას**, უნდა ემუშავათ **მათ** |
| **მსგავსი წარმოების ფორმებია: ვვარჯიშობ, ვლაპარაკობ, ვსადილობ, ვსახშმობ...** | |

## სავარჯიშო 1. ჩასვი შესაფერისი ფორმა:

მემუშავა, მიმუშავია, ვიმუშაო, იმუშავებ, მუშაობენ, იმუშავე, მუშაობდა

**ნიმუში:** დედა და მამა სკოლაში **მუშაობენ**.

1. თუ მეზღვაური გახდები, გემზე .................................... .
2. მოხუცი დილაობით დიდხანს .................................... ბაღში, ხეებს უბარავდა და რწყავდა.
3. კარგ ამინდში რაც არ უნდა დიდხანს .................................... , მაინც არ ვიღლები ხოლმე.
4. გახველებს, დღეს სამსახურში ნუ წახვალ, სახლიდან .................................... !
5. პანდემიის გამო დასაქმებულების უმეტესობა სახლიდან .................................... .
6. დღეს წესით საღამოს ხუთ საათამდე უნდა .................................... .

**სავარჯიშო 1. სწორად შეარჩიე სუბიექტის ბრუნვა:**

**ნიმუში:** **ლუკა** / ლუკამ უკვე სამი თვეა, მუშაობს.

1. ბავშვები / ბავშვებმა ბევრი იმუშავეს ამ პროექტზე და კარგიც გამოუვიდათ.
2. ტელეფონი / ტელეფონმა არ მუშაობს, გაფუჭებულია!
3. როგორც მერე გავიგე, ჩემს მეგობარს / ჩემმა მეგობარმა საზღვარგარეთაც უმუშავია ერთხანს.
4. ექიმი / ექიმმა იმუშავებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.
5. ბავშვებო, თუ შეიძლება ეზოში ითამაშეთ, დედა / დედამ კომპიუტერთან უნდა იმუშაოს.
6. ბებიას / ბებია ამდენი არ უნდა ემუშავა, დაიღალა და წნევამაც აუწია.

**დაასრულე უღლება:**

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| 1. მე ვმუშაობ | ჩვენ ........................................ |
| 2. შენ ........................................ | თქვენ ........................................ |
| 3. მას ........................................ | ისინი ........................................ |

**სავარჯიშო 2. გახაზე და გაასწორე არასწორი წინადადებები:**

1. მან ბევრს მუშაობს. ........................................
2. ეს აპარატი აღარ მუშაობს, გაფუჭებულია. ........................................
3. ბებიას არასდროს გიმუშავია, მუდამ დიასახლისი იყო. ........................................
4. ბატონმა გივიმ 20 წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე. ........................................
5. წინა ორი დღე გადაბმულად ვიმუშავე და ახლა დასვენება მეკუთვნის.
........................................
6. ლაშას მოსწონდა ეს სამსახური, სიამოვნებით იმუშავებდი ზაფხულშიც, თუ აიყვანდნენ. ........................................
7. დღედაღამე მუშაობდნენ გზის მშენებლობაზე მუშები და მალე დაასრულეს კიდეც. ........................................
8. პაპას იმდენი დარჩა დასაბარი, საღამომდე რომ ემუშავა, მაინც ვერ მორჩებოდა. ........................................
9. ყველამ  კარგად მუშაობს. ........................................
10. შემოდგომაზე სოფელში ყველა გაცხარებით მუშაობს, რომ მოსავალი აიღოს.
........................................

**სავარჯიშო 3.** **შეადგინე წინადადებები შემდეგ ფორმებზე:**

1. მუშაობდნენ ..............................
2. იმუშავებს ..............................
3. ვიმუშავებდი ..............................
4. მიმუშავია ..............................
5. უნდა იმუშაო ..............................
6. გემუშავა ..............................

**სავარჯიშო 4.** **შეადგინე პატარა ტექსტი, სადაც სხვა ზმნებთან ერთად გამოიყენებთ ზმნის „მუშაობს" სხვადასხვა მწკრივისა და პირის ფორმებს**

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

..............................

**ზმნა: თამაში / თამაშობა – თამაშობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვთამაშობ მე, თამაშობ შენ<br>თამაშობს **ის**, თამაშობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვთამაშობდი მე , თამაშობდი შენ<br>თამაშობდა **ის**, თამაშობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვითამაშებ მე, ითამაშებ შენ<br>ითამაშებს **ის**, ითამაშებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვითამაშებდი მე, ითამაშებდი შენ<br>ითამაშებდა **ის**, ითამაშებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვითამაშე მე, ითამაშე შენ<br>ითამაშა **მან**, ითამაშეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვითამაშო მე, უნდა ითამაშო შენ<br>უნდა ითამაშოს **მან**, უნდა ითამაშონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მითამაშია მე, გითამაშია შენ, გვითამაშია ჩვენ, გითამაშიათ თქვენ<br>უთამაშია **მას**, უთამაშიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მეთამაშა მე, უნდა გეთამაშა შენ<br>უნდა ეთამაშა **მას**, უნდა ეთამაშათ **მათ** |

## სავარჯიშო 1. მოცემული ზმნები დააჯგუფე პირისა და რიცხვის მიხედვით:

ვთამაშობ, თამაშობ, თამაშობს, ვთამაშობთ, თამაშობთ, თამაშობენ, ვთამაშობდი, თამაშობდი, თამაშობდა, ვითამაშებ, ითამაშებ, ითამაშებს, ვითამაშებთ, ითამაშებთ, ითამაშებენ, ვითამაშებდი, ითამაშებდი, ითამაშებდა, ვითამაშებდით, ითამაშებდით, ითამაშებდნენ, ვითამაშე, ითამაშე, ითამაშა, ვითამაშეთ, ითამაშეთ, ითამაშეს, უნდა ვითამაშო, უნდა ითამაშო, უნდა ითამაშოს, უნდა ვითამაშოთ, უნდა ითამაშოთ, უნდა ითამაშონ, მითამაშია, გითამაშია, უთამაშია, გვითამაშია, გითამაშიათ, უთამაშიათ, უნდა მეთამაშა, უნდა გეთამაშა, უნდა ეთამაშა, უნდა გვეთამაშა, უნდა გეთამაშათ, უნდა ეთამაშათ.

| I პირი – (მე) მხოლობითი რიცხვი | II პირი – (შენ) მხოლობითი რიცხვი | III პირი – (ის, მან, მას) მხოლობითი რიცხვი | I პირი – (ჩვენ) მრავლობითი რიცხვი | II პირი – (თქვენ) მრაავლობითი რიცხვი | III პირი – (ისინი, მათ) მრავლობითი რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**სავარჯიშო 2. ჩასვი წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა:**

**ნიმუში:** ბავშვები თოვლში **თამაშობენ**. (ითამაშეს / **თამაშობენ** / ითამაშეს)

1. ლიამ ჭადრაკის .............................. ისწავლა. (თამაშობს / უთამაშია / თამაში)
2. ლაშა და ლევანი ფეხბურთს .............................. .

   (ითამაშეს / თამაშობენ / უნდა ითამაშონ)
3. სად უნდა .............................. ბავშვებმა? (თამაშობენ / ითამაშონ / ითამაშეს)
4. როდის უნდა .............................. თბილისის „დინამოს“ ?

   (თამაშობს / თამაშობდა / ეთამაშა)
5. მე და ჩემი ძმა ადრე კალათბურთს .............................. .

   (ვითამაშეთ / ვითამაშოთ / ვთამაშობდით)
6. შენ არასოდეს .............................. ხელბურთი? (მითამაშია / უთამაშია / გითამაშია)
7. შენ და შენს ძმას უნდა .............................. ერთად და არ წააგებდით.

   (მეთამაშა / გეთამაშა / გეთამაშათ)
8. მერაბი არასოდეს აღარ .............................. ამ გუნდში.

   (თამაშობს / ითამაშებს / ითამაშა)
9. გიორგი კარგად .............................. ჩოგბურთს. (თამაშობს / ითამაშა / უთამაშია)
10. გუშინ თქვენ .............................. ეზოში?

    (ვთამაშობდით / თამაშობდით / თამაშობდნენ)

**სავარჯიშო 3.** **შეურჩიე მოცემულ ზმნებს სიტყვათა შესაბამისი ფორმები:**

1. უნდა ითამაშოს ............................ ............................ .

   (გურამმა / ჭადრაკი, გურამი / ჭადრაკს)

2. გუშინ ............................ და ............................ თამაშობდით ეზოში?

   (შენ და ლევანმა; შენ და ლევანი)

3. ............................ კარგად ითამაშა ............................ .

   (ლაშამ / ფეხბურთი; ლაშა / ფეხბურთი)

4. ............................ გუშინ დიდხანს უთამაშიათ ............................ და სახლში გვიან მისულან. (ბავშვებს / კალათბურთს; ბავშვებს / კალათბურთი)

5. ............................ უნდა ითამაშონ. (ისინი, მათ)

6. ............................ და ............................ უნდა გვეთამაშა ............................ .

   (მე და ნანას / ჩოგბურთი; მე და ნანა / ჩოგბურთს)

7. ............................ კარგად თამაშობს ............................ .

   (ლევანს / ფრენბურთი; ლევანი / ფრენბურთს)

8. ............................ სკოლის ეზოში ............................ უნდა ითამაშონ.

   (მოსწავლეები / ხელბურთი; მოსწავლეებმა / ხელბურთი)

9. თუ არ იწვიმებს, ............................ ............................ ითამაშებენ.

   (ბავშვებს / წრეში ბურთს; ბავშვები / წრეში ბურთს)

10. ადრე ............................ საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. (დათო /დათომ)

ზმნა: ცხოვრება – ცხოვრობს

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვცხოვრობ მე, ცხოვრობ შენ<br>ცხოვრობს **ის**, ცხოვრობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვცხოვრობდი მე, ცხოვრობდი შენ<br>ცხოვრობდა **ის**, ცხოვრობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვიცხოვრებ მე, იცხოვრებ შენ<br>იცხოვრებს **ის**, იცხოვრებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვიცხოვრებდი მე, იცხოვრებდი შენ<br>იცხოვრებდა **ის**, იცხოვრებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვიცხოვრე მე, იცხოვრე შენ<br>იცხოვრა **მან**, იცხოვრეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიცხოვრო მე, უნდა იცხოვრო შენ<br>უნდა იცხოვროს **მან**, უნდა იცხოვრონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მიცხოვრია მე, გიცხოვრია შენ, გვიცხოვრია ჩვენ, გიცხოვრიათ თქვენ<br>უცხოვრია **მას**, უცხოვრიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მეცხოვრა მე, უნდა გეცხოვრა შენ<br>უნდა ეცხოვრა **მას**, უნდა ეცხოვრათ **მათ** |

## სავარჯიშო 1. აწარმოე ნიმუშის მიხედვით:

| კითხვა / მწკრივი | მე | შენ | ის | ჩვენ | თქვენ | ისინი |
|---|---|---|---|---|---|---|
| რას ვაკეთებ? ახლანდელი დრო (აწმყო) | ვცხოვრობ | | | | ცხოვრობთ | |
| რას ვაკეთებდი? წარსული უსრული (უწყვეტელი) | ვცხოვრობდი | | | | | |
| რას გავაკეთებ? მომავალი დრო (მყოფადი) | | იცხოვრებ | | | | იცხოვრებენ |
| რას გავაკეთებდი? განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი) | ვიცხოვრებდი | | იცხოვრებდა | | | |
| რა გავაკეთე? წარსული სრული (წყვეტილი) | ვიცხოვრე | | | ვიცხოვრეთ | | |
| რა უნდა გავაკეთო? სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი) | ვიცხოვრო | | | | იცხოვროთ | |
| რა გამიკეთებია? წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი) | მიცხოვრია | | | | | უცხოვრიათ |
| რა გამეკეთებინა? სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი) | მეცხოვრა | | | | გეცხოვრათ | |

**სავარჯიშო 2. ჩასვი სწორ ფორმით:**

ცხოვრება / ვცხოვრობ

**ნიმუში:** ის აქ არ ცხოვრობს.

1. შენ ნამდვილად ამ ქალაქში ........................ ?
2. ახლა აქ რატომ ........................ , შენი სახლი ხომ სოფელშია?
3. აქ ........................ მე და ჩემი ოჯახი.
4. სად ........................ ახლა შენი შვილები?
5. აღარ მინდა იმ ქალაქში ........................ , სადაც ამდენი გულცივი ადამიანი ........................ .
6. რატომ ........................ ამ ქვეყანაზე ერთად კეთილები და ბოროტები?
7. ........................ ყველგან ერთნაირია, აქაც და იქაც.
8. კმაყოფილი ხარ შენი ........................ ?
9. ეს წიგნი არ არის ჩემო კარგო, ეს არის ........................ .
10. ასე მშვიდად როგორ ........................ , როცა ქვეყანაში პანდემიაა? არ გეშინიათ?

**სავარჯიშო 3. ჩასვი წინადადებებში შესაბამისი პირითა და რიცხვით:**

ვცხოვრობდი / ვიცხოვრებდი

**ნიმუში:** გიორგი სოფელში ........................ 20 წლის განმავლობაში და კიდევ დიდ ხანს ........................ , რომ სამსახური ქალაქში არ შეეთავაზებინათ.

ა)
1. მე აქ ათი წელი ........................ და მერე სხვა ქალაქში გადავედი.
2. ადრე დედასთან ერთად ........................ ორივე და-ძმა.
3. აქამდე სად ........................ , პარიზში?
4. ძმასთან როდემდე ........................ , შენი ოჯახი ხომ უნდა გქონდეს?

ბ)
5. არასოდეს ........................ ჯავახეთში, რომ არა ჩემი სამსახური.
6. ........................ ტკბილად, ეს ტრაგედია რომ არ დაგვმართოდა.
7. ვიცხოვრებთ ისე, როგორც აქამდე ........................ .
8. ამ ტვირთით როგორ ........................ , არ გაგიჭირდა?
9. ამის შემდეგ ისინი ........................ ერთად, ტკბილად და ბედნიერად.
10. ათი წელი ასე ........................ და ასე ........................ მრავალი წელი, რომ არა ერთი შემთხვევა.

## სავარჯიშო 4. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი პირით და რიცხვით

მიცხოვრია /მეცხოვრა

**ნიმუში:** ძალიან მინდოდა ამ ლამაზ სასახლეში მეცხოვრა.

1. ისე არასოდეს ..............................., რომ შემრცხვეს.
2. არ გინდოდა ............................... მშვიდად?
3. ვინ დაგიშალათ, ............................... ტკბილად.
4. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს ამ სახლში აღარ ............................... .
5. ვერ წარმოვიდგინე იქ როგორ უნდა ............................... .
6. რომ დავფიქრდი, მივხვდი. თურმე რა პატიოსნად ............................... .
7. ვისაც აქ არ ..............................., ვერასოდეს მიხვდება ეს რას ნიშნავს.
8. ომი იყო და როგორმე უნდა ..............................., რომ გადარჩენილიყავით.
9. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ბოლო 3 წელი უნდა ............................... საქართველოში.
10. რამდენ ქალაქში ............................... ბატონო დავით?

## სავარჯიშო 5. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი დროის, პირისა და რიცხვის გამოყენებით

ვიცხოვრე /ვიცხოვრო

**ნიმუში:** არ მესმის, საქართველოს ყველა მოქალაქემ რატომ არ უნდა **იცხოვროს** მეგობრულად.

1. ისე უნდა ..............................., რომ სიკვდილის შემდეგ კარგი სახელი დაგრჩეს ამ ქვეყნად.
2. ............................... აქ რამდენ ხანსაც გინდათ.
3. ............................... მრავალი წელი ტკბილად და ბედნიერად.
4. თუ გინდა რომ ამ ქვეყანაში ..............................., მის წესებს უნდა დაემორჩილო.
5. რვა წელი ერთოთახიან ბინაში ............................... ხუთმა ადამიანმა.
6. მათ ისე ..............................., როგორც შეეძლოთ.
7. ქართველმა ფეხბურთელებმა ერთი წელი გერმანიაში უნდა ............................... .
8. მე ისე უნდა ..............................., როგორც აქამდე ............................... .
9. მას სურს ............................... სოფელში.
10. გადავწყვიტეთ მშვიდად ............................... და ერთმანეთს არაფერი დავუშავოთ.

**ზმნა: საუბარი – საუბრობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვსაუბრობ მე, საუბრობ შენ<br>საუბრობს **ის**, საუბრობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვსაუბრობდი მე, საუბრობდი შენ<br>საუბრობდა **ის**, საუბრობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვისაუბრებ მე, ისაუბრებ შენ<br>ისაუბრებს **ის**, ისაუბრებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვისაუბრებდი მე, ისაუბრებდი შენ<br>ისაუბრებდა **ის**, ისაუბრებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვისაუბრე მე, ისაუბრე შენ<br>ისაუბრა **მან**, ისაუბრეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვისაუბრო მე, უნდა ისაუბრო შენ<br>უნდა ისაუბროს **მან**, უნდა ისაუბრონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მისაუბრია მე, გისაუბრია შენ, გვისაუბრია ჩვენ, გისაუბრიათ თქვენ<br>უსაუბრია **მას**, უსაუბრიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მესაუბრა მე, უნდა გესაუბრა შენ<br>უნდა ესაუბრა **მას**, უნდა ესაუბრათ **მათ** |

## სავარჯიშო 1.

### ა) შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:

| | აწმყო | მყოფადი | უწყვეტელი | ხოლმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | საუბრობდი | ისაუბრებდი |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | საუბრობთ | ისაუბრებთ | | |
| მათ | | | | |

**ბ)** **მოცემულ წინადადებებში ჩაწერე ზმნები აწმყოს მწკრივში, შემდეგ გადაიყვანე მყოფადის მწკრივში და ისე გადაწერე (დააკვირდი ნიმუშს):**

**ნიმუში:** მე ქართულად კარგად **ვსაუბრობ.**
**მე ქართულად კარგად ვისაუბრებ.**

1. ბიჭები ფეხბურთის ტურნირზე .................................... .

.......................................................................................................................

2. შენ ახლა ტელეფონზე .................................... თუ სკაიპში?

.......................................................................................................................

3. თქვენს ამერიკელ მეგობართან ყოველდღე .................................... ?

.......................................................................................................................

4. ნანა მასწავლებელი ბავშვებთან .................................... .

.......................................................................................................................

5. ჩვენ ახლა ეკოლოგიაზე .................................... თუ გლობალიზაციაზე?

.......................................................................................................................

**გ)** **ბ ბლოკის წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით (აწმყო / მყოფადის ფორმები – უწყვეტლის და ხოლმეობითის ფორმებით):**

**ნიმუში:** მე ქართულად კარგად **ვსაუბრობდი**.
**მე ქართულად კარგად ვისაუბრებდი**.

1. .......................................................................................................................

.......................................................................................................................

2. .......................................................................................................................

.......................................................................................................................

3. .......................................................................................................................

.......................................................................................................................

4. .......................................................................................................................

.......................................................................................................................

5. .......................................................................................................................

.......................................................................................................................

## სავარჯიშო 2.

ა) შეარჩიე და ჩაწერეთ ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:

| | წყვეტილი | II კავშირებითი | I თურმეობითი | II თურმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | გისაუბრია | უნდა გესაუბრა |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | ისაუბრეთ | უნდა ისაუბროთ | | |
| მათ | | | | |

ბ) მოცემულ წინადადებებში ჩაწერე ზმნები წყვეტილის მწკრივის ფორმით, შემდეგ გადაიყვანე II კავშირებითში და დაწერე წინადადებები (დააკვირდი მიხედვით):

**ნიმუში:** მე ქართულად კარგად **ვისაუბრე**.
**მე ქართულად კარგად უნდა ვისაუბრო.**

1. ცირამ და გელამ მომავალ პრეზენტაციაზე .................... .
................................................................................
2. ლექტორმა თანამედროვე მედიცინის გამოწვევებზე .................... .
................................................................................
3. ჩემს კოლეგასთან კულინარიულ თემაზე თქვენ .................... ?
................................................................................
4. ჩვენ ბავშვების განათლებაზე საკმაოდ ბევრი .................... ?
................................................................................

გ) ეს წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით და ისე გადაწერე (შეცვლე I თურმეობითის და II თურმეობითის ფორმებით):

**ნიმუში:** თურმე მე ქართულად კარგად **მისაუბრია**.
**მე რომ ქართულად კარგად მესაუბრა.**

1. ................................................................................
................................................................................
2. ................................................................................
................................................................................
3. ................................................................................
................................................................................
4. ................................................................................
................................................................................

**სავარჯიშო 3.** **შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:**

ისაუბრე, ვსაუბრობთ, უსაუბრია, უნდა ვისაუბროთ, საუბრობდნენ.

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

.....................................................................................................

**სავარჯიშო 4.** **მოცემულ ტესტში გამოტოვებულ ადგილას ჩაწერე „საუბრობს“ ზმნა შესაბამისი ფორმით:**

ბავშვთა უფლებები მნიშვნელოვანი თემაა, ამიტომ მასწავლებელი მოსწავლეებთან ხშირად .................... მათს უფლებებზე. ისინი .................... სხვადასხვა შემთხვევებზე და აქტიურად განიხილავდნენ პირად მაგალითებსაც. შემდეგ ბავშვებმა საკუთარ მშობლებთანაც .................... ამ საკითხზე. ახლა ისინი საკუთარ უფლებებზე თამამდ .................... არა მხოლოდ კლასში და სკოლაში, არამედ სხვადასხვა შეხვედრებსა და კონფერენციებზე. იმისათვის, რომ დაცული იყოს ყველა ბავშვის უფლება, ამაზე მომავალშიც უნდა .................... ბავშვებმა და უფროსებმა.

**ზმნა: ფიქრი – ფიქრობს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვფიქრობ მე, ფიქრობ შენ<br>ფიქრობს **ის**, ფიქრობენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვფიქრობდი მე, ფიქრობდი შენ<br>ფიქრობდა **ის**, ფიქრობდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვიფიქრებ მე, იფიქრებ შენ<br>იფიქრებს **ის**, იფიქრებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვიფიქრებდი მე, იფიქრებდი შენ<br>იფიქრებდა **ის**, იფიქრებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვიფიქრე მე, იფიქრე შენ<br>იფიქრა **მან**, იფიქრეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიფიქრო მე, უნდა იფიქრო შენ<br>უნდა იფიქროს **მან**, უნდა იფიქრონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მიფიქრია მე, გიფიქრია შენ, გვიფიქრია ჩვენ, გიფიქრიათ თქვენ<br>უფიქრია **მას**, უფიქრიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მეფიქრა მე, უნდა გეფიქრა შენ<br>უნდა ეფიქრა **მას**, უნდა ეფიქრათ **მათ** |

## სავარჯიშო 1.

### ა) შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:

| | აწმყო | მყოფადი | უწყვეტელი | ხოლმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | ფიქრობდი | იფიქრებდი |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | ფიქრობთ | იფიქრებთ | | |
| მათ | | | | |

**ბ) მოცემულ წინადადებებში შეცვალე ზმნები ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ აწმყოსა და მყოფადის ფორმები):**

**ნიმუში:** მე ჩემს მომავალ პროფესიაზე **ვფიქრობ**.
**მე ჩემს მომავალ პროფესიაზე ვიფიქრებ.**

1. სტუდენტები მომავალ მოგზაურობაზე .................................... .
...................................................................................................

2. თქვენს ჩემს წინადადებაზე .................................... ?
...................................................................................................

3. შენ წერის დაწყებამდე არ .................................... ?
...................................................................................................

4. ვალერი ახალ გამოგონებაზე .................................... .
...................................................................................................

5. ჩვენ .................................... ახალი კინოფილმის გადაღებაზე?
...................................................................................................

**გ) ბ ბლოკის წინადადებები ისე გადაწერე, რომ ზმნის აწმყო / მყოფადის ფორმები შეცვალო უწყვეტლის და ხოლმეობითის ფორმებით:**

**ნიმუში:** მე ჩემს მომავალ პროფესიაზე **ვფიქრობდი**.
**მე ჩემს მომავალ პროფესიაზე ვიფიქრებდი.**

1. ...................................................................................................
...................................................................................................
2. ...................................................................................................
...................................................................................................
3. ...................................................................................................
...................................................................................................
4. ...................................................................................................
...................................................................................................
5. ...................................................................................................
...................................................................................................

## სავარჯიშო 2.

### ა) შეარჩიე და ჩაწერე ზმნის სწორი ფორმები მითითებული პირების და მწკრივების მიხედვით:

| | წყვეტილი | II კავშირებითი | I თურმეობითი | II თურმეობითი |
|---|---|---|---|---|
| მე | | | | |
| შენ | | | გიფიქრიათ | გეფიქრათ |
| მას | | | | |
| ჩვენ | | | | |
| თქვენ | იფიქრეთ | იფიქროთ | | |
| მათ | | | | |

### ბ) მოცემულ წინადადებებში ზმნები ჩაწერე წყვეტილის მწკრივის ფორმით, შემდეგ შეცვალე II კავშირებითის ფორმით და ისე გადაწერე წინადადებები:

**ნიმუში:** მე ჩემს მომავალ პროფესიაზე **ვიფიქრე**.
**მე ჩემს მომავალ პროფესიაზე უნდა ვიფიქრო.**

1. ნიკომ და გიამ ალგებრია ამოცანის ამოხსნაზე ბევრი ................................ .
   ..................................................................................................
2. ნანამ ................................, რომ კინოში წასვლა დაგვიანებული იყო.
   ..................................................................................................
3. თქვენ ................................, რომ არ მოვიდოდი?
   ..................................................................................................
4. ჩვენ მეგობრის დაბადების დღის საჩუქარზე ბევრი ................................ .
   ..................................................................................................

### გ) ბ ბლოკის წინადადებები გადაწერე, ნიმუშის მიხედვით (წყვეტილის და II კავშირებითის ფორმები შეცვალე I თურმეობითის და II თურმეობითის ფორმებით):

**ნიმუში:** მე თურმე ჩემს მომავალ პროფესიაზე **მიფიქრია.**
**მე ჩემს მომავალ პროფესიაზე უნდა მეფიქრა.**

1. ..................................................................................................
   ..................................................................................................
2. ..................................................................................................
   ..................................................................................................
3. ..................................................................................................
   ..................................................................................................
4. ..................................................................................................
   ..................................................................................................

**სავარჯიშო 3.** **შეადგინე წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:**

მიფიქრია უნდა გეფიქრა იფიქრეს ვფიქრობდით უნდა ვიფიქროთ.

1. ..............................

..............................

2. ..............................

..............................

3. ..............................

..............................

4. ..............................

..............................

**სავარჯიშო 4.** **მოცემულ ტექსტში ჩაწერე ვფიქრობ ზმნა შესაბამისი ფორმით:**

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანები .................... , რომ დედამიწა ბრტყელი იყო. თუმცა, შუასაუკუნეებში გამოჩნდა მეცნიერი, რომელიც სხვაგვარად .................... . ეს იყო ნიკოლოზ კოპერნიკი. მის იდეას, რომ დედამიწა მრგვალია, მიმდევრები გამოუჩნდნენ. ასევე .................... იტალიელი მოაზროვნე ჯორდანო ბრუნოც. მას არ .................... საკუთარი თავის გადარჩენაზე. ის წინ აღუდგა კათოლიკურ ეკლესიას და უნდა .................... , რომ ამის გამო ბრუნო კოცონზე დაწვეს. ჩვენ .................... , რომ ასეთი ისტორიული გმირების საინტერესო იქნება მოსწავლეებისთვის.

**ზმნა: დაძინება – იძინებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვიძინებ მე, იძინებ შენ<br>იძინებს **ის**, იძინებენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვიძინებდი მე, იძინებდი შენ<br>იძინებდა **ის**, იძინებდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავიძინებ მე, დაიძინებ შენ<br>დაიძინებს **ის**, დაიძინებენ **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავიძინებდი მე, დაიძინებდი შენ<br>დაიძინებდა **ის**, დაიძინებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავიძინე მე, დაიძინე შენ<br>დაიძინა **მან**, დაიძინეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავიძინო მე, უნდა დაიძინო შენ<br>უნდა დაიძინოს **მან**, უნდა დაიძინონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიძინია მე, დაგიძინია შენ, დაგვიძინია ჩვენ, დაგიძინიათ თქვენ<br>დაუძინია **მას**, დაუძინიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამეძინა მე<br>უნდა დაეძინა **მას**, უნდა დაეძინათ **მათ** |

## სავარჯიშო 1. ჩასვი ნაცვალსახელი სწორად:

1. .................... ზაფხულობით გვიან იძინებდა.
2. .................... დაიძინა გუშინ 11 საათზე.
3. .................... ხშირად დაუძინია აივანზე.
4. .................... უნდა დაიძინოთ უკვე?
5. .................... ხვალ ადრე დავიძინებ.
6. .................... სიამოვნებით დაიძინებდნენ ამ ოთახში.
7. .................... წიგნის კითხვის შემდეგ ვიძინებ.

## სავარჯიშო 2. მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:

იძინებს    დაიძინებს    დაიძინა    იძინებდა    დაიძინებდა
უნდა დაიძინოს    დაუძინია    დაეძინა

| ის | მას | მან |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 1.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

ვიძინებ დავიძინებ დავიძინე ვიძინებდი დავიძინებდი
უნდა დავიძინო დამიძინია დამეძინა

**სავარჯიშო 2.** **მოცემული ზმნის ფორმებით შეადგინე ტექსტი**

ვიძინებ დავიძინებ უნდა დავიძინო დავიძინე
ვიძინებდი დამიძინია

**ზმნა: დალევა / სმა – დალევს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვსვამ **მე მას, სვამ შენ მას**<br>სვამს **ის მას**, სვამენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვსვამდი მე მას, სვამდი შენ მას<br>სვამდა **ის მას**, სვამდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავლევ მე მას, დალევ შენ მას<br>დალევს **ის მას**, დალევენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავლევდი **მე მას, დალევდი შენ მას**<br>დალევდა **ის მას**, დალევდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავლიე მე ის, დალიე შენ ის<br>დალია **მან ის**, დალიეს **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავლიო მე ის, უნდა დალიო შენ ის<br>უნდა დალიოს **მან ის**, უნდა დალიონ **მათ ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამილევია მე ის, დაგილევია შენ ის, დაგვილევია ჩვენ ის,<br>დაგილევიათ თქვენ ის<br>დაულევია **მას ის**, დაულევიათ **მათ ის** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამელია მე ის, უნდა დაგელია შენ ის<br>უნდა დაელია **მას ის**, უნდა დაელიათ **მათ ის** |

## სავარჯიშო 1. შეავსე ცხრილი შესაბამისი ფორმებით:

| აწმყო | უწყვეტე-ლი | მყოფადი | ხოლმეო-ბითი | წყვეტი-ლი | II კავშირე-ბითი | I თურმეო-ბითი | II თურმეო-ბითი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვსვამ (მე მას) | .................... | დავლევ (მე მას) | .................... | დავლიე (მე ის) | .................... | დამილევია (მე ის) | .................... |
| სვამ (შენ მას) | სვამდი (შენ მას) | .................... | დალევდი (შენ მას) | .................... | დალიო (შენ ის) | .................... | დაგელია (შენ ის) |
| ის სვამს | .................... | დალევს (ის მას) | .................... | დალია (მან ის) | დალიოს (მან ის) | დაულევია (მას ის) | დელია (მას ის) |
| .................... | ვსვამდით (ჩვენ მას) | .................... | დავლევდით (ჩვენ მას) | .................... | დავლიოთ (ჩვენ ის) | დაგვილევია (ჩვენ ის) | .................... |
| .................... | .................... | დალევთ (თქვენ მას) | .................... | დალიეთ (თქვენ ის) | .................... | .................... | დაგელიათ (თქვენ ის) |
| სვამენ (ისინი მას) | სვამდნენ (ისინი მას) | დალევენ (ისინი მას) | დალევ-დნენ (ისინი მას) | დალიეს (მათ ის) | დალიონ (მათ ის) | დაულევიათ (მათ ის) | დაელიათ (მათ ის) |

**სავარჯიშო 2.** **შეარჩიე სწორი ფორმა ფრჩხილებში მოცემული სიტყვებიდან:**

1. დილით ნანამ უშაქრო ჩაი .................................. . (სვამს / დალია / დალევს)
2. ის მინერალურ წყალს .................................. . (დალია / დალევს / დალიოს)
3. ანა, შენ ყავას .................................. თუ ჩაის? (დალევ / დალიე / დალიო)
4. ნარინეს რძე ჯერ კიდევ არ .................................. . (დალია / დალევს / დაულევია)
5. არც შენ .................................. წვენი? (დალიე / სვამ / დალევ)
6. დღეს ძალიან ბევრ წყალს .................................. . (ვსვამ / დავლიე / დავლიო)
7. მან ცივი რძე .................................. . (დალია / დალევდა / დაულევია)
8. დილით ყავა უნდა .................................. და ვერ მოვასწარი.
   (დავლიე / დავლიო / დამელია)
9. წამალი უნდა .................................., თორემ უფრო ცუდად გავხდები.
   (დავლევ / დავლიო / დავლიე)
10. საზაფხულო ბანაკში დილაობით ყოველთვის კაკაოს .................................. .
   (ვსვამთ / ვსვამდით / დავლევდით)

**სავარჯიშო 3.** **შეარჩიე მოცემული წინადადებებისთვის შესაფერისი ფორმა და ჩაწერე:**

**ნიმუში:** ლადო არ **სვამს** ლუდს. (ვსვამ / სვამ / **სვამს**)

1. თამარი დილით ერთ ჭიქა რძეს .................................. . (ვსვამ / სვამ / სვამს)
2. ცუდად ვარ და წამლებს .................................. . (ვსვამ / სვამ / სვამს)
3. შენ დილით ყავას .................................. თუ ჩაის? (ვსვამ / სვამ / სვამს)
4. მე და გია კაფეში გემრიელ წვენს .................................. . (ვსვამთ / სვამთ / სვამენ)
5. თქვენ .................................. წვენს? (ვსვამთ / სვამთ / სვამენ)
6. ლელა და ანა საღამოს ჩაის .................................. . (ვსვამთ / სვამთ / სვამენ)
7. რას .................................. შენ და დედა – რძეს თუ ჩაის? (ვსვამთ / სვამთ / სვამენ)
8. თავის ტკივილის დროს ის ციტრამონს .................................. . (ვსვამ / სვამ / სვამს)
9. შენ საერთოდ არ .................................. ღვინოს? (ვსვამ / სვამ / სვამს)
10. მე არ .................................. კოკა-კოლას. (ვსვამ / სვამ / სვამს)

**სავარჯიშო 4.** **დააკვირდი ნიმუშს და წინა სავარჯიშოს წინადადებები დაწერე ისე, რომ გამოხატოს წარსული დამთავრებული მოქმედება**

**ნიმუში:** ლადო არ სვამს ლუდს. – **ლადომ არ დალია ლუდი.**

1. ......................................................................
2. ......................................................................
3. ......................................................................
4. ......................................................................
5. ......................................................................
6. ......................................................................
7. ......................................................................
8. ......................................................................
9. ......................................................................
10. ......................................................................

**სავარჯიშო 5.** **1-ლი სავარჯიშოს ცხრილში მოცემული ზმნებიდან აირჩიე ნებისმიერი 10 და შეადგინე წინადადებები**

1. ......................................................................
2. ......................................................................
3. ......................................................................
4. ......................................................................
5. ......................................................................
6. ......................................................................
7. ......................................................................
8. ......................................................................
9. ......................................................................
10. ......................................................................

**ზმნა: მიცემა / აძლევს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვაძლევ მე მას მას, აძლევ შენ მას მას<br>აძლევს **ის მას მას**, აძლევენ **ისინი მას მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვაძლევდი მე მას მას, აძლევდი შენ მას მას<br>აძლევდა **ის მას მას**, აძლევდნენ **ისინი მას მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | მივცემ მე მას მას, მისცემ შენ მას მას<br>მისცემს **ის მას მას**, მისცემენ **ისინი მას მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | მივცემდი მე მას მას, მისცემდი შენ მას მას<br>მისცემდა **ის მას მას**, მისცემდნენ **ისინი მას მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | მივეცი მე მას ის, მიეცი შენ მას ის<br>მისცა **მან მას ის**, მისცეს **მათ მას ის** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა მივცე მე მას ის, უნდა მისცე შენ მას ის<br>უნდა მისცეს **მან მას ის**, უნდა მისცენ **მათ მას ის** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მიმიცია მე ის (მისთვის), მიგიცია შენ ის (მისთვის), მიგვიცია ჩვენ ის (მისთვის), მიგიციათ თქვენ ის (მისთვის)<br>მიუცია **მას ის (მისთვის)**, მიუციათ **მათ ის (მისთვის)** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მიმეცა მე ის (მისთვის), უნდა მიგეცა შენ ის (მისთვის)<br>უნდა მიეცა **მას ის (მისთვის)**, უნდა მიეცათ **მათ ის (მისთვის)** |

## სავარჯიშო 1. ჩასვი შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

1. .................... უნდა მისცეს წიგნი ანას. (გივი)
2. დიდი სიამოვნებით მისცემდა .................... ნინოს თაიგულს. (თათია)
3. ბევრჯერ მიუცია რჩევა .................... რამაზისთვის. (დედა)
4. .................... ლატარიის ბილეთს აძლევს დედაჩემს. (გამყიდველი)
5. ნეტა, რა მისცეს .................... ნიკოს?! (კლასელები)
6. ყოველ დღე აძლევდა .................... ნოდარს საჭმლის ფულს. (მამა)
7. გუშინ .................... ბევრი დავალება მისცა ბავშვებს. (მასწავლებელი)
8. .................... უნდა მიეცათ ლაშასთვის საჩუქარი. (მეგობრებს)
9. ეს მაკეტები .................... მიუციათ მასწავლებლისთვის. (ბავშვები)
10. .................... ნანას შოკოლადები მისცეს. (გოგოები)

**სავარჯიშო 2.** **გადახაზე ზედმეტი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ა) ვაძლევ; | ბ) მიმიცია; | გ) მივცემ; | დ) მიეცი. |
| 2. | ა) უნდა მიგეცათ; | ბ) აძლევთ; | გ) აძლევენ; | დ) მიეცით. |
| 3. | ა) მივცემთ; | ბ) აძლევდნენ; | გ) მიუციათ; | დ) მისცეს. |
| 4. | ა) მიეცი; | ბ) მივცემთ; | გ) უნდა მისცე; | დ) აძლევდი. |
| 5. | ა) ვაძლევთ; | ბ) მიგვიცია; | გ) მივეცი; | დ) მივცემთ. |
| 6. | ა) მივეცი; | ბ) მიეცი; | გ) მისცა; | დ) მიუცია. |
| 7. | ა) მიეცი; | ბ) აძლევ; | გ) უნდა მისცე; | დ) მიეცათ. |
| 8. | ა) აძლევთ; | ბ) მისცა; | გ) აძლევენ; | დ) ვაძლევთ. |
| 9. | ა) მისცეს; | ბ) მიმიცია; | გ) მიგვიცია; | დ) მიუციათ. |
| 10. | ა) მიგვიცია; | ბ) მივეცით; | გ) მისცემდა; | დ) მივცემთ. |

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

ვაძლევ, უნდა მიგვეცა, მისცა, მიუციათ, უნდა მივცე, მისცემდით, აძლევდნენ, მისცემთ, მიგიცია, მიგვიცია.

1. ......................................................................
2. ......................................................................
3. ......................................................................
4. ......................................................................
5. ......................................................................
6. ......................................................................
7. ......................................................................
8. ......................................................................
9. ......................................................................
10. ......................................................................

**სავარჯიშო 4.** **მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე მცირე ტექსტი:**

ვაძლევ, მიგიციათ, აძლევდა, მიეცი, უნდა მისცე, მისცემთ.

......................................................................

......................................................................

......................................................................

......................................................................

**ზმნა: სვლა / სიარული – დადის**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | დავდივარ მე, დადიხარ შენ,<br>დადის **ის**, დადიან **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | დავდიოდი მე, დადიოდი შენ<br>დადიოდა **ის**, დადიოდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვივლი მე, ივლი შენ<br>ივლის **ის**, ივლიან **ისინი** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვივლიდი მე, ივლიდი შენ<br>ივლიდა **ის**, ივლიდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვიარე მე, იარე შენ<br>იარა **მან**, იარეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვიარო მე, უნდა იარო შენ<br>უნდა იაროს **მან**, უნდა იარონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მივლია მე, გივლია შენ, გვივლია ჩვენ, გივლიათ თქვენ<br>უვლია **მას**, უვლიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მევლო მე, უნდა გევლო შენ<br>უნდა ევლო **მას**, უნდა ევლოთ **მათ** |

## სავარჯიშო 1. შეავსე გამოტოვებული ფორმები:

| აწმყო | უწყვეტე-ლი | მყოფადი | ხოლმეო-ბითი | წყვეტი-ლი | II კავშირე-ბითი | I თურმეო-ბითი | II თურმეო-ბითი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დავდივარ | ............ | ვივლი | ............ | ვიარე | ვიარო | მივლია | ............ |
| ............ | დადიოდი | ............ | ივლიდი | ............ | ............ | ............ | გევლო |
| დადის | ............ | ივლის | ............ | იარა | იაროს | უვლია | ევლოს |
| ............ | დავდიოდი | ............ | ვივლიდით | ............ | ............ | გვივლია | გვევლო |
| დადიხართ | ............ | ივლით | ............ | ............ | ............ | ............ | ............ |
| დადიან | ............ | ივლიან | ივლიდნენ | იარეს | იარონ | ............ | ევლოთ |

**სავარჯიშო 2.** **აირჩიე შესაბამისი ზმნის ფორმა და ჩაწერე:**

1. მე და ზურა ფეხბურთზე ............................ . (დადიან / დავდივართ / დავდივარ)
2. ძმებმა ამ სკოლაში სამი წლი ............................ . (იარა / ვიარე / იარეს)
3. ელენე მე-5 სკოლაში ............................ . (დადიხარ / დადის / დავდივარ)
4. ეს სკოლა ახლოს რომ იყოს, მეც იქ ............................ . (ვივლიდი / ივლიდა / ივლიდი)
5. კვირის რომელ დღეებში ............................ ეს ავტობუსი?
   (დადიან / დადის / დადიხარ)
6. შენ არ ............................ ფეხბურთზე? (დადიხარ / დადის / დავდივართ)
7. მომავალი კვირიდან დათოც ............................ მუსიკაზე. (ივლი / ივლის / ვივლი)
8. სკოლამდე მე და დედამ ბევრი ............................ . (ვიარე / იარა / ვიარეთ)
9. არავინ იცოდა, სად ............................ გიგო კვირაობით.
   (დადიოდი / დადიოდა / დადიოდნენ)
10. ადამიანები ქუჩაში სწრაფად ............................ . (დადის / დადიხარ / დადიან)

**სავარჯიშო 3.** **ფრჩხილებში მოცემული კითხვების დახმარებით ჩაწერე წინადადებაში ზმნა სწორი ფორმით:**

**ნიმუში:** დათოვლილ გზაზე ვიღაცას **უვლია.** (სიარული / რა გაუკეთებია?)

1. შარშან მე და ლელა ცურვაზე ............................ . (სიარული / რას ვაკეთებდით?)
2. დრო რომ მქონდეს, ცეკვაზე ............................ . (სიარული / რას გავაკეთებდი?)
3. ნანა სამსახურში ყოველდღე ფეხით ............................ .
   (სიარული / რას აკეთებდა?)
4. მომავალი კვირიდან თქვენც ............................ სამხატვრო სკოლაში?
   (სიარული / რას გააკეთებთ?)
5. ისინი მეგობრები იყვნენ და სულ ერთად ............................ სკოლაში.
   (სიარული / რას აკეთებდნენ?)
6. მათ მანამდე უნდა ............................ , სანამ სოფელი არ გამოჩნდებოდა.
   (სიარული / რა გაეკეთებინათ?)
7. ბავშვობაში ამ გზებზე შენც ბევრი ............................ .
   (სიარული / რა გაგიკეთებია?)
8. ფეხით ბევრი უნდა ............................ , რომ უფრო ჯანმრთელები ვიყოთ.
   (სიარული / რა უნდა გავაკეთოთ?)
9. იმდენი ............................ , რომ ფეხსაცმელები შემოაცვდათ.
   (სიარული / რა გააკეთეს?)
10. თურმე ეკასაც ............................ სპორტულ დარბაზში.
    (სიარული / რა გაუკეთებია?)

**სავარჯიშო 4.** **პირველ სავარჯიშოში მოცემული სხვადასხვა ზმნის გამოყენებით შეადგინე 10 წინადადება**

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

**ზმნა: დახველება – ახველებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | მახველებს მე, გახველებს შენ, გვახველებს ჩვენ, გახველებთ თქვენ<br>ახველებს **მას**, ახველებთ **მათ** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | მახველებდა მე<br>ახველებდა **მას**, ახველებდათ **მათ** |

**ზმნა: დახველება – ახველებს**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო (აწმყო)** | ვახველებ მე, ახველებ შენ,<br>ახველებს **ის**, ახველებენ **ისინი** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვახველებდი მე, ახველებდი შენ<br>ახველებდა **ის**, ახველებდნენ **ისინი** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | დავახველებ მე<br>დაახველებს **ის**, დაახველებს **მათ** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | დავახველებდი მე, დაახველებდი შენ<br>დაახველებდა **ის**, დაახველებდნენ **ისინი** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | დავახველე მე, დაახველე შენ<br>დაახველა **მან**, დაახველეს **მათ** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა დავახველო მე<br>უნდა დაახველოს **მან**, უნდა დაახველონ **მათ** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | დამიხველებია მე<br>დაუხველებია **მას**, დაუხველებიათ **მათ** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა დამეხველებინა მე<br>უნდა დაეხველებინა **მას**, უნდა დაეხველებინათ **მათ** |

## სავარჯიშო 1. ჩასვი ზმნა „მახველებს“ სწორი ფორმით:

1. ნინო გაცივდა და .................................... .
2. გუშინ .................................... და წამალი დავლიე.
3. ანას და ნათიას მთელი დღე ერთხელაც არ .................................... .
4. შენ და შენი ძმა ალერგიის დროს ხშირად .................................... .
5. მე და ნინომ ბევრი ნაყინი ვჭამეთ და მთელი დღე .................................... .
6. თუ გინდა კარი გაგიღო, დააკაკუნებ და სამჯერ .................................... .
7. მეგონა, წამლის დალევის შემდეგ აღარ .................................... .
8. გიგამ უნდა .................................... , მაგრამ არ შეუძლია.
9. არჩილსა და თათიას ერთი კვირის წინ ძალიან .................................... .
10. ანა, თბილად ჩაიცვი, თუ გინდა, რომ აღარ .................................... .

**სავარჯიშო 2.**

**ა) გადაიყვანე მოცემული ზმნები მრავლობით რიცხვში:**

მახველებს –
დაუხველებია –
დაგახველა –
უნდა დაახველო –
ახველებდა –
დაგახველებს –
უნდა დაგახველოს –
დამახველებდა –
დაახველებს –
დამიხველებია –

**ბ) მრავლობითი რიცხვის ფორმებით შეადგინე წინადადებები:**

11. ..........
12. ..........
13. ..........
14. ..........
15. ..........
16. ..........
17. ..........
18. ..........
19. ..........
20. ..........

**სავარჯიშო 3.** **მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე მცირე ტექსტი:**

მახველებს, დაუხველებიათ, ახველებდა, დაახველეთ,
უნდა დაახველოს, დაახველებთ.

..........

..........

..........

..........

**ზმნა: ყურება – უყურებს**

| | |
|---|---|
| **აწმყო (ახლანდელი დრო)** | ვუყურებ მე მას, უყურებ შენ მას<br>უყურებს **ის მას**, უყურებენ **ისინი მას** |
| **წარსული უსრული (უწყვეტელი)** | ვუყურებდი მე მას, უყურებდი შენ მას<br>უყურებდა **ის მას**, უყურებდნენ **ისინი მას** |
| **მომავალი დრო (მყოფადი)** | ვუყურებ მე მას, უყურებ შენ მას<br>უყურებს **ის მას**, უყურებენ **ისინი მას** |
| **განმეორებული მოქმედება წარსულში (ხოლმეობითი)** | ვუყურებდი მე მას, უყურებდი შენ მას<br>უყურებდა **ის მას**, უყურებდნენ **ისინი მას** |
| **წარსული სრული (წყვეტილი)** | ვუყურე მე მას, უყურე შენ მას<br>უყურა **მან მას**, უყურეს **მათ მას** |
| **სასურველი მოქმედება (მეორე კავშირებითი)** | უნდა ვუყურო მე მას, უნდა უყურო შენ მას<br>უნდა უყუროს **მან მას**, უნდა უყურონ **მათ მას** |
| **წარსული შედეგობითი (პირველი თურმეობითი)** | მიყურებია მე (მისთვის), გიყურებია შენ (მისთვის)<br>უყურებია **მას (მისთვის)**, უყურებიათ **მათ (მისთვის)** |
| **სასურველი მოქმედება წარსულში (მეორე თურმეობითი)** | უნდა მეყურებინა მე (მისთვის), უნდა გეყურებინა შენ (მისთვის),<br>უნდა ეყურებინა **მას (მისთვის)**, უნდა ეყურებინათ **მათ (მისთვის)** |

**სავარჯიშოები 1. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის პირის მიხედვით:**

1. ყოველ დღე დილის გადაცემას .................... და შემდეგ სამსახურში მივდივარ. (უყურებს / ვუყურებ)
2. როდესაც სოფელში ვცხოვრობდი, ულამაზეს ხედებს .................... . (ვუყურებდი / უყურებდი)
3. ხვალ დილით ახალ სერიას ვუყურებ .................... და ისე წავალ სამსახურში. (ვუყურებ / უყურებს)
4. სანამ ქუჩაში ძაღლების ჩხუბს .................... , ჩემი კლასელები შინ წასულიყვნენ. (ვუყურებდი / უყურებდა)
5. მანანა, კინოთეატრში რომ წასულიყო, მეგობრებთან ერთად .................... ახალ ფილმს. (ვუყურებდი / უყურებდა)
6. მასწავლებელმა წინა დღეს .................... თავისი მოსწავლეების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს. (უყურე / უყურა)
7. ბევრი მშობელი ფიქრობს, რომ ბავშვმა ღამით ტელევიზორს არ უნდა .................... . (უყუროს / ვუყურო)
8. პატარა რომ ვიყავი, პირველად ტელევიზორში .................... მამაჩემის სიმღერის კლიპები. (მიყურებია / უყურებია)
9. ჩემს მეგობარს გუშინ სამსაათიანი ფილმისთვის .................... . (გიყურებია / უყურებია)
10. დათოს წუხელ ღამით ფილმისთვის რომ .................... , დილით ადრე ვერ ადგებოდა. (ეყურებინა / მეყურებინა)

## სავარჯიშო 2. შეარჩიე სწორი ფორმა ზმნის რიცხვის მიხედვით:

1. სასწავლო ფილმებს სტუდენტები ერთად ............ აუდიტორიაში. (უყურებს / უყურებენ)
2. ბედნიერი დედა ღიმილით ............ შვილის ცეკვას. (უყურებდნენ / უყურებდა)
3. ჩემს ძმასთან ერთად ხვალ ახალ ფილმს ............ . (ვუყურებ / ვუყურებთ)
4. სტუდენტები თავიანთ ლექტორებს სულ თვალებში ............ ხოლმე. (უყურებდა / უყურებდნენ)
5. დათო სიხარულით ............ კარგ ფილმს თავის მეუღლესთან ერთად. (უყურებდა / უყურებდნენ)
6. მოგზაურები დილით ადრე ადგნენ და მზის ამოსვლას ............ . (უყურეს / უყურა)
7. ჩემს მეგობარს უნდა ხოლმე, რომ ახალ ფილმს ორჯერ მაინც ............ . (უყურონ / უყუროს)
8. ბავშვები კინოში წასულან და საინტერესო ფილმისთვის ............ . (უყურებია / უყურებიათ)
9. სკოლის შემდეგ ბავშვები კინოში წასულან და ახალი ქართული ფილმისთვის ............ . (უყურებია / უყურებიათ)
10. ნინელის სკოლაში წასვლამდე დოკუმენტური ფილმისთვის უნდა ............ . (ეყურებინა / ეყურებინათ)

**სავარჯიშო 3.** **დააკვირდი ზმნის ფორმებს და შეარჩიე სახელის სწორი ბრუნვები:**

1. პანსიონატში მცხოვრები ........................ მთელი დღის განმავლობაში სერიალებს უყურებენ. (მოხუცები / მოხუცებს)
2. ........................ პირველ მერხზე იჯდა და დაფას უყურებდა. (გოგონა / გოგონამ)
3. მომავალი წლიდან ყველა ........................ უყურებს ტელეგაკვეთილებს. (მოსწავლე / მოსწავლემ)
4. ძილის წინ ........................ საბავშვო სპექტაკლებს უყურებდა ხოლმე. (მაკამ / მაკა)
5. ტელევიზორი რომ ჰქონოდა, ........................ საღამოობით სერიალს უყურებდა ხოლმე. (ელზა / ელზამ)
6. ელზას ........................ გუშინ ახალ სერიას ვერ უყურა. (მეზობელი / მეზობელმა)
7. ზოგიერთი ამბობს, რომ ........................ სამი წლის ასაკამდე საბავშვო სერიალებს არ უნდა უყურონ. (ბავშვებს / ბავშვებმა)
8. ........................ იაპონური ანიმაციებისთვის ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში უყურებია. (კატომ / კატოს)
9. ........................ გუშინდელ დღემდე არც ერთი უცხოური ფილმისთვის არ უნდა ეყურებინა. (კახა / კახას)
10. ინგლისურის გაკვეთილებზე ........................ აუცილებლად უნდა ეყურებინათ ვიდეოფილმები. (სტუდენტებმა / სტუდენტებს)

**სავარჯიშო 4.** **გადაიყვანე ზმნის მწკრივის პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა იმავე მწკრივის მესამე პირის მრავლობით რიცხვში:**

| მე ვუყურებ (I პირი) | ისინი უყურებენ (III პირი) |
|---|---|
| მე ვუყურებდი | |
| მე ვუყურებ | |
| მე ვუყურებდი | |
| მე ვუყურე | |
| მე უნდა ვუყურო | |
| მე მიყურებია | |
| მე მეყურებინა | |

**სავარჯიშო 5.** **შემოხაზე სწორი წინადადებები და არასწორი გაასწორე:**

1. მაყურებელი პირველად უყურა ცნობილი რეჟისორის ახალ ფილმს.
2. ბავშვმა ხვალ დილით ანიმაციურ ფილმებს უყურებს.
3. მე დილით დოკუმენტურ ფილმს უნდა უყუროს.
4. თამარს ძილის წინ აუცილებლად უნდა ეყურებინა თავისი საყვარელი სერიალისთვის.

**სავარჯიშო 6.** **იპოვე სწორი ფორმა:**

I.

ა) ვუყურეს
ბ) უნდა უყუროს
გ) უნდა ვუყურე
დ) უყურას

II.

ა) ვუყურებდნენ
ბ) ვუყურებს
გ) ვუყურებდნენ
დ) გვეყურებინა

III.

ა) ვუყურებდი
ბ) ვუყურებდნენ
გ) უყურებნენ
დ) ვუყურა

**სავარჯიშო 7.** **დააჯგუფე ხაზგასმული ზმნის ფორმები სუბიექტის ბრუნვის მიხედვით:**

ხშირად ბავშვები უფროსების საქმიანობას **უყურებენ** და თვითონაც ისე იქცევიან. ერთი ჩემი მეზობლის ბავშვი ყოველდღე **უყურებდა**, როგორ აკეთებდა მამამისი მანქანებს და თვითონაც მანქანის ხელოსანი გახდა. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, ვინც მშობლის საქმიანობას **უყურებს**, ის აუცილებლად იმ პროფესიას აირჩევს. ბევრ ბავშვს საკუთარი ინტერესები აქვს, მის რეალიზებას ეცდება, მიუხედავად იმისა, მშობლის რა საქმიანობისთვისაც არ უნდა **უყურებინა** ბავშვობაში.

ერთი ჩემი მეზობელი, მაგალითად, თეატრის მსახიობი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში საერთოდ არ უყურებია სპექტაკლებისთვის. თუმცა რომ **ეყურებინა**, ალბათ უფრო მეტი ინტრესით მოინდომებდა ამ პროფესიაში ყოფნას.

| სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია | სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია | სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია |
|---|---|---|
| | | |

**სავარჯიშო 8.** **ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეავსე გამოტოვებული ფორმები:**

| რიცხვი | აწმყო | უწყვეტელი | მყოფადი |
|---|---|---|---|
| **მხოლობითი** | მე ვუყურებ გადაცემას.<br>შენ უყურებ გადაცემას.<br>........ | მე ვუყურებდი ფილმს.<br>........<br>ის უყურებდა ფილმს. | მე ვუყურებ ფილმს ხვალ.<br>........<br>ის უყურებს ფილმს ხვალ. |
| **მრავლობითი** | ჩვენ ვუყურებთ გადაცემას.<br>........<br>ისინი უყურებენ გადაცემას. | ჩვენ ვუყურებდით ფილმს.<br>თქვენ უყურებდით ფილმს.<br>........ | ჩვენ ვუყურებთ ფილმს ხვალ.<br>........<br>ისინი უყურებენ ფილმს ხვალ. |

## სავარჯიშო 9. ჩაწერე სწორი ფორმა ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** რას შვრება? – უყურებს.

1. ნიკალა ყოველდღე .................................... (რას შვრება?) ახალ ინგლისურ სასწავლო ვიდეოებს.
2. ბაჩანა მანამდე .................................... (რას შვრებოდა?) სტადიონზე ბავშვების თამაშს, სანამ ფანჯარასთან მისვლა შეეძლო.
3. ცოტა ხანში ყველა ბავშვი .................................... (რას იზამს?) კომპიუტერულ თამაშებს.
4. გუშინ ახალი ფილმისთვის რომ .................................... (რა გვექნა?) ახლა ბილეთების რიგში აღარ ვიდგებოდით.

## სავარჯიშო 10. შეადგინე წინადადება ნიმუშის მიხედვით:

**ნიმუში:** უყურებს (ის მას) – მაკა ფეხბურთს უყურებს.

1. უყურეს (მათ მას) – .................................................... .
2. ვუყურე (მე მას) – .................................................... .
3. უნდა ვუყუროთ (ჩვენ მას) – .................................................... .
4. უყურებიათ (მათ მისთვის) – .................................................... .

**სავარჯიშო 11.** **შეადგინე მცირე ზომის ტექსტი მოცემული ფორმების გამოყენებით:**

უყურებს, უყურებია, უყურა, უყურებდა, (არ) უყურებია

# 7

# თავაზიანი ფორმები

# თავი 7.
# თავაზიანი ფორმები

| | | |
|---|---|---|
| ბატონი დავითი | ქალბატონი მარიამი | ქალბატონი ელენე |
| ბატონმა დავითმა | ქალბატონმა მარიამმა | ქალბატონმა ელენემ |
| ბატონ დავითს | ქალბატონ მარიამს | ქალბატონ ელენეს |
| ბატონი დავითის | ქალბატონი მარიამის | ქალბატონი ელენეს |
| ბატონი დავითით | ქალბატონი მარიამით | ქალბატონი ელენეთი |
| ბატონ დავითად | ქალბატონ მარიამად | ქალბატონ ელენედ |
| ბატონო დავით | ქალბატონო მარიამ | ქალბატონო ელენე |

| ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა (ძირითადად ზმნის მეორე პირის ფორმა) = თავაზიანი მიმართვის ფორმა | | |
|---|---|---|
| ვარ – გახლავართ<br>ხარ – ბრძანდებით<br>არის – ბრძანდება<br>არიან – ბრძანდებიან | ამბობ – ბრძანებთ<br>თქვი – ბრძანეთ<br>გეტყვი – მოგახსენებთ | მოდი – მობრძანდით<br>მოვალ – გეახლებით |
| ჭამე – მიირთვით<br>ვჭამე – გეახელით | მოგეცი – მოგართვით<br>მოგცემ – მოგართმევთ | დაჯექი – დაბრძანდით<br>ადექი – აბრძანდით |
| აიღე – ინებეთ<br>მომეცი – მიბოძეთ | რა გინდა – რა გნებავთ? /<br>რას ინებებთ? | თუ შეიძლება... |

## (A1) სავარჯიშო 1. გახაზე თავაზიანი ფორმები

– გამარჯობათ, ქალბატონო ქეთევან!

– გამარჯობა, დავით!

– ბატონი გიორგი როგორ ბრძანდება?

– მადლობა, კარგად არის, თქვენ როგორ ხართ? მომიკითხე დედაშენი.

– ჩვენც კარგად ვართ! დედას აუცილებლად გადავცემ თქვენს მოკითხვას.

## (A1) სავარჯიშო 2. მოცემული ფორმები გაანაწილე ცხრილში:

დაბრძანდა, ბატონო ზურაბ!, დაჯექი, მიირთვა, გეახელით, მობრძანდით, არიან, მოვალ, თუ შეიძლება, ადექი, მარიამ, ინებეთ, ხარ, ბრძანდებიან, ქალბატონო ქეთევან, შეჭამე, მომეცი, რა გნებავთ, დათო, მოგართმევთ, მივეცი, შებრძანდით, ამბობ, მოგახსენებთ, აიღე.

| ჩვეულებრივი ფორმები | თავაზიანი ფორმები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**(A1) სავარჯიშო 3.** **დააჯგუფე ჩვეულებრივი და თავაზიანი ფორმები;**

დაბრძანდი, ამბობს, ბრძანდებოდა, დაჯდა, თქვა, ჭამდა, იყო, გნებავთ, მიირთმევდა, მოდი, დაჯექი, ბრძანებს, ბრძანა, გინდათ, მობრძანდი, დაბრძანდა, ვჭამე, გეახელით.

| ჩვეულებრივი ფორმები | თავაზიანი ფორმები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**(A1) სავარჯიშო 4.** **მიუწერე თავაზიანი ფორმები:**

**ნიმუში:** ხარ – **ბრძანდებით**

1. ვარ – ..............................
2. ამბობს – ..............................
3. გეტყვი – ..............................
4. ჭამე – ..............................
5. დაჯექი – ..............................
6. ვჭამე – ..............................
7. აიღე – ..............................
8. მოვალ – ..............................
9. თქვი – ..............................
10. არიან – ..............................

**(A1) სავარჯიშო 5.** **დაუკავშირე წინადადების ნაწილები ერთმანეთს:**

| | |
|---|---|
| ბატონი დავითი | ელოდება ამ რიგში ყველა. |
| ბატონმა დავითმა | ხვალ გელოდებით ჩვენთან ოფისში. |
| ბატონ დავითს | ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. |
| ბატონი დავითის | შემობრძანებას ველოდებით. |
| ბატონო დავით, | ამაყობს ჩვენი უნივერსიტეტი. |
| ბატონი დავითით | ბრძანა, ხვალ კონფერენცია იქნებაო. |

**(A1) სავარჯიშო 6.** **შეცვალე თავაზიანი ფორმით:**

1. რა თქვი, ვინ ხარ? ..........
2. თქვენი მეგობარი ახლა სად არის? ..........
3. როგორ ხარ? ..........
4. მე ვარ მასწავლებელი ..........
5. ეს ქალბატონი ქეთევანია ..........
6. ესენი ჩვენი უხუცესები არიან ..........
7. მე თქვენი ექიმი ვარ ..........

**(A1) სავარჯიშო 7.** **ჩასვი ტექსტში „ქალბატონი ელენე“ საჭირო ფორმით:**

1. საინტერესო იყო .......... მიერ მომზადებული პრეზენტაცია.
2. ხვალ სტუმრად გვეწვევა .......... .
3. ყველა ველოდებით .......... .
4. ხვალ რომელ საათზე შედგება ჩვენი შეხვედრა, .......... .
5. .......... მოიწვია შეხვედრაზე ყოფილი სტუდენტები.

**(A1) სავარჯიშო 8.** **აირჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:**

**ხარ / ბრძანდებით**

1. გამარჯობა, ნინო! როგორ .................................... ?
2. ქალბატონო თამარ, როგორ .................................... ?

**ჭამე / მიირთვით**

1. ბატონო ნოდარ, .................................... ხაჭაპური.
2. გიორგი, .................................... ეს ხინკალი, ძალიან გემრიელია.

**აიღე / ინებეთ**

1. ნინო, .................................... შენი კაბა!
2. ქალბატონო ანა, .................................... თქვენი ჩაი!

**მოდი / მობრძანდით**

1. ბატონო თამაზ, ორი კვირის შემდეგ .................................... ჩვენთან.
2. თაკო, აუცილებლად .................................... ხვალ ჩემთან.

**მოგეცი / მოგართვით**

1. ქალბატონო ნინო, გუშინ უკვე .................................... ჩემი სადიპლომო თემა.
2. ნანა, უკვე .................................... შენი წიგნი.

**(A1) სავარჯიშო 9.** **მიუწერე ჩვეულებრივ ფორმას თავაზიანი ფორმა და პირიქით**

| ხარ | ბრძანდებით |
|---|---|
| | მობრძანდით |
| ვარ | |
| არის | |
| | დაბრძანდით |
| | მიირთვით |
| შემოვიდა | |
| მომეცი | |
| | გეახლებით |
| მოვალ | |
| მოგცე | |
| | ბრძანეთ |
| გეტყვი | |
| | რას ბრძანებთ? |

## (A1) სავარჯიშო 10. ჩასვი თავაზიანი ფორმები:

1. როგორ ........................ ბატონი ზურაბი? (არის / ბრძანდება)
2. თქვენ ........................ ამ სახლის პატრონი? თუ შეიძლება, თქვენი პირადობის მოწმობა გვაჩვენეთ! (ხარ / ბრძანდებით)
3. თქვენ ........................ შემდეგი? თქვენ შემდეგ ვიქნები! (ხარ / ბრძანდებით)
4. დღეს ჩვენ გვერდით ........................ თავად წიგნის ავტორი და დიდი სიყვარულით ვთხოვთ მას სცენაზე! (ბრძანდება / არის)
5. ძვირფასო მსმენელებო, მე ........................ ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, ვისაც პირადად უნახავს ომის საშინელი დღეები. (ვარ / გახლავართ)
6. დიახ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, არცთუ ისე ახალგაზრდა ........................ . (ვარ / გახლავართ)

## (A1) სავარჯიშო 11. დააკავშირე ისე, რომ მიიღო თავაზიანობის გამომხატველი ფრაზები:

| | |
|---|---|
| თუ შეიძლება | აი, ამ ოთახში |
| შემობრძანდით | გეახელით |
| აი, მიირთვით | მომაწოდეთ სამარილე |
| რას | მოგახსენოთ |
| გმადლობთ, უკვე | ცხელი ყავა |
| ახლავე შემიძლია | ბრძანეთ და მე მერე მოგახსენებთ |
| ჯერ თქვენ | ინებებთ? |

## (A1) სავარჯიშო 12. მიუწერე კი / არა იმის მიხედვით, გამოყენებულია თუ არა თავაზიანი ფორმაა:

**ნიმუში:** აქ ბრძანდება ჩვენთვის უაღრესად საპატივცემულო პიროვნება. **კი** ჩვენთან სტუმრად არის დედას ბიძაშვილი. **არა**

1. მესამე თქვენ ბრძანდებით! დაგიძახებთ და აი, იმ კარში შებრძანდებით. ........ .
2. იმხანად ქალაქში სტუმრად ბრძანდებოდა გუბერნატორი. ........ .
3. დათო აქ არის? დალაპარაკება მინდა! ........ .
4. ვერ მეტყვით, სად არის ექიმი? ........ .
5. როგორც მითხრეს, თქვენ ბრძანდებით ჩემი შვილის მასწავლებელი. ........ .
6. როგორ ბრძანდებით, გურამ მასწავლებელო? ........ .
7. ქალბატონი თამარიც აქ ბრძანდება? ........ .

## (A1/A2) სავარჯიშო 13. კონტექსტის მიხედვით ჩაწერე საჭირო ფორმა

**ნიმუში:** როგორ **არიან** შენი მშობლები, ნანა? **არიან** / ბრძანდებიან

1. როგორ ........................................, ქალბატონო ელენე? (ხარ / ბრძანდებით)
2. აქ ........................................, მაია! (დაჯექი / დაბრძანდით)
3. თუ შეიძლება, ........................................, ბატონო შოთა! (შემოდი / შემობრძანდით)
4. ნინი, ეს იმერული ხაჭაპური გემრიელია, ........................................! (ჭამე / მიირთვით)
5. შეიძლება, ხვალ გნახოთ და ........................................ ჩვენი ნამუშევარი? (მოგცეთ / მოგართვათ)
6. ........................................, თამარ, საინტერესოდ საუბრობ! (რას ამბობ / რას ბრძანებთ)
7. სულ მართალს ........................................, ჩემო ბატონო! (გეუბნები / მოგახსენებთ)
8. მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, აგერ აქ ........................................! (დაჯექი / დაბრძანდით)
9. მოგესალმებით! მე ........................................ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. (ვარ / გახლავართ)
10. ბატონმა გიგამ ბრძანა, ხვალ ......................................... (მოვალო / გეახლებითო)

## (A1/A2) სავარჯიშო 14. წინა სავარჯიშოში მოცემული წინადადებები შეცვალე საპირისპირო ფორმით ნიმუშის მიხედვით

**ნიმუში:** როგონ არიან შენი მშობლები, ნანა?
როგორ ბრძანდებიან თქვენი მშობლები, ქალბატონო ნანა?

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

................................................................................

**(A2) სავარჯიშო 15.** **დიალოგი შეცვალე ისე, რომ ზმნები თავაზიან ფორმაში ჩასვა:**

– გამარჯობა, როგორ ხარ?
– კარგად, შენ როგორ ხარ?
– არამიშავს... დედა ხომ კარგად არის?
– მადლობა, კი. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა.
– მიხარია... მამა? აქ ხომ არაა ლევან ბიძია?
– კი, აი, იმ მაგიდასთან ზის. შეგიძლია, ნახო, ძალიან გაუხარდება.
– რას ამბობ! მადლობა! ახლავე  მივალ.
– მანამდე აი, ყავა, აიღე!
– დიდი მადლობა! ყავას სიამოვნებით დავლევ!

## (A2) სავარჯიშო 16. ხაზგასმული სიტყვები გადაიყვანე თავაზიან ფორმაში და ისე გადაწერე ტექსტი

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

მე **ვარ** გიორგი ლომჯარია, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილე.

გაიარეთ რეგისტრაცია და **დასხედით** თქვენს ადგილებზე.

მსურს გაგაცნოთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის პროცედურას-თან დაკავშირებული საკითხები.

ზუსტად 2 საათზე **მოვა** კომისიის თავმჯდომარე, რიგრიგობით **მოხვალთ** მაგიდას-თან, ის **მოგცემთ** ბიულეტინს, **მიხვალთ** დახურულ კაბინასთან, **შეხვალთ** და შემო-ხაზავთ სასურველ კანდიდატურას. რომ **გამოხვალთ**, ბიულეტინს ჩააგდებთ საარ-ჩევნო ყუთში და **გახვალთ** გარეთ.

ამის შემდეგ თუ **გინდათ** დაელოდეთ შედეგებს. თუ – არა, **წადით** და **მოდით** შედე-გების გამოცხადების დროს, რომელიც სამი საათის შემდეგ გაიმართება.

**(A2) სავარჯიშო 17. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:**

1. თუ შეიძლება ეს წიგნი ............................................. . (მომაწოდოთ / მომაწოდეთ)
2. შეგიძლიათ, ეს წიგნი ............................................. ? (მომაწოდოთ / მომაწოდეთ)
3. შეგიძლიათ, ორი დღის შემდეგ ............................................. ? (მოხვიდეთ / მობრძანდეთ)
4. შეიძლება, დღეის ნაცვლად ხვალ ............................................. ? (მოვიდე / გეახლოთ)
5. თუ შეიძლება, ............................................. , როდის აპირებთ პროექტის დამთავრებას? (მითხარით / მითხრათ)
6. შეგიძლიათ, ............................................. , რომელი ავტობუსი მიდის საბურთალოზე? (მითხარით / მითხრათ)
7. თუ შეიძლება ............................................. თქვენი საქაღალდე. (მიბოძოთ / მიბოძეთ)
8. შეიძლება , ქალბატონი აქ ............................................. ? (დაჯდეს / დაბრძანდეს)
9. თუ შეიძლება ჩემს აზრსაც ............................................. . (მოგახსენოთ / მოგახსენებთ)
10. შეიძლება , ჩემი აზრიც ............................................. ამ საკითხის შესახებ? (მოგახსენოთ / მოგახსენებთ)

## (A2) სავარჯიშო 18. შეარჩიე და ჩასვი საჭირო სიტყვა გამოტოვებულ ადგილას დიალოგში და ისე წაიკითხე

წაბრძანდით, დაბრძანდით, ბრძანდებით, გახლდით, გეახელით, მიირთმევენ, ხართ, ბრძანეთ, ბრძანდებიან, ბრძანდებით, მოგართმევთ, ვარ, ბრძანებთ, მოგვახსენეთ, ინებეთ

– უკაცრავად, გენაცვალე!
– გისმენთ ბატონო.
– სასტუმროს ადმინისტრატორი თქვენ ……………… .
– დიახ, თქვენ ვინ ……………… .
– მე პროფესორი გიორგი შარაშიძე ……………… .
– გასაგებია. სასტუმროს დირექტორმა მითხრა თქვენი ჩამობრძანების შესახებ. როგორ ……………… ?
– გმადლობთ. კარგად ……………… თავად როგორ ……………… ქალბატონო?
– არამიშავს. გმადლობთ. რით შემიძლია გემსახუროთ?
– წუხელ დავბინავდი თქვენთან და რამდენიმე პრეტენზია მაქვს ნომერთან, კვებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებით.
– ……………… , გისმენთ.
– ნომერი რომ დავჯავშნე, მაშინ შევთანხმდით, რომ დიეტურ მენიუს შემიდგენდით. ვახშამი კი ცხიმიანი, მლაშე და უგემური იყო.
– რას ……………… ! ჩვენ საუკეთესო მზარეულები გვყავს! თქვენ კონფერენციაზე დასწრება გნებავთ, არა? აქ სხვა პროფესორებიც ……………… და ისინიც განსხვავებული მენიუთი ……………… საკვებს.
– ქალბატონო, ვახშამი ……………… და არაფერს ვაჭარბებ.
– რომელ მაგიდასთან ……………… გუშინ საღამოს და რა მიირთვით კონკრეტულად?
– მეორე სართულზე ……………… , 22 მაგიდასთან
– თქვენი მენიუ არ მოითხოვეთ?
– არა, უნდა მომეთხოვა?
– დიახ. ნომერთან დაკავშირებით რა პრობლემა გაქვთ, ისიც ……………… .
– ქუჩის მხარეა და როცა ფანჯარას ვაღებ, ხმაური შემოდის.
– თუ გნებავთ ნომერს გამოგიცვლით.
– დიახ. თუ შეიძლება.
– მე-14 ნომერს გთავაზობთ პირველ სართულზე. აი, ……………… გასაღები. რამდენიმე წუთი აქ ……………… და ნომერს გაგიმზადებენ.
– ორი დღის საფასურს ……………… . აიღეთ თანხა.
– დიდი მადლობა. ნომერი მზადაა.

## (A2) სავარჯიშო 19.

### ა) შეარჩიე სწორი ფორმა და ჩაწერე დიალოგში:

– დილამშვიდობისა, .................................... მანანა!
(ქალბატონი / ქალბატონ / ქალბატონო)
– ოჰ, შენ ხარ, გიორგი?! გამარჯობა!
– როგორ .................................... , ქალბატონო მანანა? (ხარ / ბრძანდები / ბრძანდებით)
– გმადლობ, კარგად. შენ?
– გმადლობთ, მეც არა მიშავს. .................................... , წაგიყვანთ, სად .................................... ?
(დაჯექი / დაბრძანდი / დაბრძანდით) / (მიდიხარ / მიბრძანდები / მიბრძანდებით)
– დიდი მადლობა, გიორგი. სკოლაში მივდივარ. მეჩქარება და არ გეტყვი უარს.
– სკოლა მომენატრა. როგორ .................................... ჩვენი მასწავლებლები?
(არიან / ბრძანდებიან)
– ყველანი კარგად არიან, შრომობენ. შენ შესახებ მომიყევი, მაინტერესებს.
– მე სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე. კარდიოლოგი .................................... ,
კარდიოლოგიურ კლინიკაში ვმუშაობ. (ვარ / გახლავარ / გახლავართ)
– ძალიან მიხარია, მე ყოველთვის მჯეროდა შენი. კარგი იქნება, თუ სავიზიტო ბარათს მომცემ.
– აუცილებლად! აი, .................................... , (აიღეთ / ინებე / ინებეთ) როცა დაგჭირდებათ, მაშინ .................................... . (მოდით / მობრძანდი / მობრძანდით)
– დიდი მადლობა, ჩემო კარგო!
– მადლობა თქვენ გაწეული შრომისთვის! კარგად .................................... ,
მანანა მასწავლებელო! (იყავით / ბრძანდებოდე / ბრძანდებოდეთ)
– ნახვმდის, გიორგი!

## (A2) სავარჯიშო 20. დაწერე მოცემული დიალოგი თავაზიანი ფორმით

– გამარჯობა!

– გამარჯობა, რით შემიძლია გემსახურო?

– ქართულ-სომხურ ლექსიკონს ვეძებ, შენს მაღაზიაში ხომ არ არის?

– გვქონდა, ორი დღით ადრე რომ მოსულიყავი, შეიძენდი.

– სამწუხაროა. აღარ გექნება?

– კი, როგორ არა. ერთ კვირაში კიდევ გვექნება და მაშინ მოდი. თუმცა გვაქვს ქართულ-სომხურ-რუსული ლექსიკონიც.

– რა ღირს?

– 22 ლარი.

– ძალიან კარგი, ამასაც ვიყიდი და ერთი კვირის შემდეგაც მოვალ. აიღე ფული.

– აი, შენი ხურდა და წიგნი, აიღეთ.

– გმადლობ!

– ნახვამდის!

– კარგად იყავი!

## (A2) სავარჯიშო 21. წინადადებაში ჩასვი შესაბამისი ზმნა:

ხარ / ბრძანდები

1. გამარჯობა გიორგი. როგორ ................................ .

გნებავთ / გინდათ

2. აქ რა ................................ , მისამართი შეგეშალა?

აიღე / ინებეთ

3. აი, თქვენი ხაჭაპური და წვენი ................................ .

ჭამე / მიირთვით

4. ძვირფასო სტუმრებო, გემრიელად ................................ !

მიირთვით / ჭამეთ

5. ბავშვებო, თქვენთვის ძალიან გემრიელი ნამცხვარი მოვამზადე, მოდით,

................................ .

გეახელით / ვჭამე

6. – სადილზე დაგვეწვიეთ.

– გმადლობთ, ნუღარ შეწუხდებით, უკვე ................................ .

დაჯექი / დაბრძანდით

7. აი, შენი მაგიდა, აქ ................................ .

მოგცემ / მოგართმევთ

8. თქვენი წერილია. აქ დაგველოდეთ და ახლავე ................................ .

ბრძანებთ / ამბობ

9. – რას ................................ ბატონო გივი, რა შეწუხებაა!

გეტყვი / მოგახსენებთ

10. მომისმინეთ და ახლავე დაწვრილებით ................................ ყველაფერს, ქალბატონო თინა.

## (A2) სავარჯიშო 22. შეცვალე წინადადებაში ხაზგასმული ზმნები ჩვეულებრივი ფორმებით

1. უკაცრავად, ვინ ბრძანდებით და რა გნებავთ?

2. ფეხზე აბრძანდით და ბრძანეთ რა პრეტენზია გაქვთ სასამართლოს მიმართ.

3. აი, სამი კილო მარწყვი, ინებეთ.

4. შარვალი 70 ლარი ღირს, ინებეთ თქვენი ხურდა, 30 ლარი.

5. ნება მიბოძეთ, ყველაფერი აგიხსნათ, სინამდვილეში ისე არ მომხდარა, როგორც მამათქვენი ბრძანებს.

6. მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით ამ ფაქტის შესახებ.

7. ამ ყველაფერს ბატონი დავითი საკუთარი თვალით ხედავდა და ის ახლა სიმართლეს ბრძანებს.

8. თუ შეიძლება, მომისმინეთ, ცოტა დროს წაგართმევთ!

9. არა, არ მინდა დესერტი და ჩაი, უკვე გეახელით.

10. დედათქვენი და მამათქვენი როგორ ბრძანდებიან?

**(A2) სავარჯიშო 23. დიალოგში ჩვეულებრივი ფორმები შეცვალე თავაზიანი ფორმებით და გადაწერე:**

– გამარჯობა. თავისუფალი მაგიდა გაქვთ?
– დიახ, აი, აქეთ მოდით, ეს ორი მაგიდა თავისუფალია, სადაც გინდათ, დასხედით.
– მადლობა, სამ ადამიანზე გვინდა შეკვეთა.
– აგერ, აიღეთ მენიუ და მოიფიქრეთ, რას შეუკვეთავთ.
– შეგიძლიათ, მოგვიტანოთ კიტრის და პომიდვრის სალათა, ხილის წვენი, შემწვარი კარტოფილი და ორი იმერული ხაჭაპური?
– დიახ, 20 წუთში ყველაფერს მოგიტანთ.
– ხილის წვენიც არ დაგავიწყდეთ.
– არა, რას ამბობთ! წვენს ახლავე მოგიტანთ. თქვენი ორი მეგობარი აქ არის თუ მერე მოვლენ?
– 10 წუთში მოვლენ, ვიდრე თქვენ მოამზადებთ.
– აი, თქვენი შეკვეთა. გემრიელად შეჭამეთ.
– თქვენ რატომ არაფერს ჭამთ? სხვა რამე ხომ არ მოგიტანოთ?
– როგორ არა, უკვე გეახელით, თუმცა სალათას კიდევ შევჭამდი.
– მოგიტანთ ახლავე.
– შეგიძლიათ, აქეთ მოხვიდეთ? თანხას მოგცემთ.
– კიდევ ხომ არაფერი გინდათ?
– არა გმადლობთ. უკვე ვჭამეთ და ძალიან გემრიელი იყო ყველაფერი. სხვა დროსაც გესტუმრებით.
– ნებისმიერ დროს მოდით და თქვენს სამსახურში გვიგულეთ.
– დიდი მადლობა.
– აი, აიღეთ თქვენი ხურდა.
– ნახვამდის.
– ნახვამდის.

## (A2) სავარჯიშო 24. შეადგინე ორი დიალოგი. ერთში გამოიყენე ჩვეულებრივი ფორმები, მეორეში – თავაზიანი ფორმები:

1. დიალოგი მეგობართან ქუჩაში

..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................

2. დიალოგი მასწავლებელთან სკოლაში

..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................
..............................

## (A2) სავარჯიშო 25. წინადადებებში შესაბამისი ბრუნვის ფორმით ჩაწერე „ქალბატონი ქეთევანი“

**ნიმუში:** დღეს ჩვენმა სტუმარმა, **ქალბატონმა ქეთევანმა,** საინტერესო ისტორია გვიამბო.

1. ამ საღამოს .............................. კონფერენციაზე სიტყვით გამოვა.
2. .............................. მეუღლე და სამი შვილი ჰყავს.
3. სამსახურში .............................. მუშაობით ძალიან კმაყოფილები არიან.
4. გუშინ .............................. ბავშვები მუზეუმში წაიყვანა.
5. აქციის მონაწილეებს .............................. გაგვეცნო.
6. – .............................., მოხსენებას თქვენ წაიკითხავთ თუ თქვენი თანაშემწე?
7. .............................. და მისი მიღწევებით ძალიან ამაყობენ კოლეგები.

**(A2) სავარჯიშო 26.** **წინადადებებში თავაზიანი ფორმები შეცვალე ჩვეულებრივი ფორმებით და პირიქით:**

**ნიმუში:** სად მიდიხარ, ნინო? – **სად მიბრძანდებით, ქალბატონო ნინო?**

ქალბატონო ლილი, თქვენ აქ დაბრძანდით – **ლილი, შენ აქ დაჯექი.**

1. – სად მიდის ნანა? ..............................
2. – ბატონი გიორგი შეხვედრაზე ბრძანდება. ..............................
3. – ქალბატონო ნინო, იმ ოთახში შებრძანდით. ..............................
4. – ხვალ კონსულტაციაზე ათ საათზე მოვალ. ..............................
5. – მომეცი შენი პირადობის მოწმობა! ..............................
6. – ინებეთ თქვენი პასპორტი! ..............................
7. – თქვი, ყურადღებით გისმენ! ..............................
8. – რა გნებავთ, რით დაგეხმაროთ? ..............................
9. – ხვალ გეტყვი ჩემს მოსაზრებას. ..............................
10. – როგორ ხარ, მარიამ? ..............................

**(A2) სავარჯიშო 27.** **დიალოგი შეცვალე ისე, რომ მოსაუბრეებმა ერთმანეთს თავაზიანი ფორმებით მიმართონ:**

- გამარჯობა, სოფო, როგორ გამიხარდა შენი ნახვა, როგორ ხარ?
- კარგად, მერაბ, შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად. საიდან მოდიხარ, აქ რა გინდა?
- მკერავთან ვიყავი აქვე ახლოს. მერაბ, დედაშენი როგორაა, ხომ არის მხნედ?
- კი, კი, კარგად არის. იქნებ მოხვიდე ამ დღეებში ჩვენთან, ძალიან გაუხარდება შენი ნახვა.
- აუცილებლად მოვალ, ძალიან მომენატრა ციალა დეიდა.
- კარგი. უი, რომ მოხვალ, შენს სათვალესაც მოგცემ, ადრე დაგრჩა ჩვენთან.
- მართლა? არ მახსოვდა, სად დამრჩა, მე მეგონა, დავკარგე...
- კარგი, გელოდები. დედასაც ვეტყვი, რომ მოხვალ.
- კარგი... ნახვამდის, მერაბ! შეხვედრამდე.
- ნახვამდის, სოფო, გელოდები.

..............................

..............................

..............................

..............................

## (A2) სავარჯიშო 28. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩაწერე თავაზიანი ფორმით:

........................................ (ჭემალ), მე ........................................ (ვარ) მეათე კლასის მოსწავლის, ლეილა გულიევას მშობელი. ........................................ (გეტყვით), რომ ლეილამ გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში და კვირის ბოლოს ლონდონში მიემგზავრება. რადგან გამგზავრებისთვის სკოლის დახასიათება და თქვენი ხელმოწერაა საჭირო, ხვალ სკოლაში ........................................ (მოვალ). ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ........................................ (ხარ), მაგრამ დიდ დროს არ წაგართმევთ, დახასიათებისთვის საჭირო ფორმას, რომელიც საკონკურსო ორგანიზაციამ მოგვაწოდა, მე თვითონ ........................................ (მოგცემ).

წინასწარ გიხდით მადლობას და იმედი მაქვს, რომ ლეილას გაცილების საღამოზე აუცილებლად ........................................ (მოხვალ).

პატივისცემით, ჰასან გულიევი.

## (A2) სავარჯიშო 29. შეარჩიე და ჩაწერე წინადადების შესაფერისი ფორმა:

1. ბატონო ირაკლი, თქვენ სად ........................................ ? (მიდიხარ / მიბრძანდებით)
2. თუ მომისმენ, ახლავე ........................................ , რაც მოხდა. (გეტყვი / მოგახსენებთ)
3. როგორ ........................................ , პატივცემულო ვახტანგ? (ხარ / ბრძანდებით)
4. ხვალ საღამოს ........................................ , ქალბატონო თამარ. (მოვალ / გეახლებით)
5. ახლავე ........................................ შენს წიგნს, დამელოდე. (მოგცემ / მოგართმევ)
6. როგორ ........................................ , დედა? (ხარ / ბრძანდებით)
7. გისმენთ, ბატონო, რა ........................................ . (გინდა / გნებავთ)
8. შვილო, ........................................ ნამცხვარი ძალიან გემრიელია. (ჭამე / მიირთვი)
9. გმადლობთ, არ შეწუხდეთ, დილით ........................................ , არ მშია. (ვჭამე / გეახელით)
10. არა, ბატონო ლევან, მე ექიმი არ ........................................ . (ვარ / გახლავართ)

**(A2) სავარჯიშო 30.** **დაწერე მოცემული წინადადებები თავაზიანი ფორმით:**

**ნიმუში:** ეს კაცი ექიმი **არის**. / ეს კაცი ექიმი **ბრძანდება**.

1. აი , აიღე, შენი ნივთი. ..............................
2. რა მოგიტანო, რას შეჭამ? ..............................
3. ხაჭაპურს შევმჭამ. ..............................
4. მე გითხარი ჩემი პრობლემის შესახებ. ..............................
5. ვახტანგ, შენ აქ დაჯექი. ..............................
6. რომელი წიგნი გინდა? ..............................
7. თუ შეიძლება, ეს პალტო მომეცი. ..............................
8. ისინი პროფესორ-მასწავლებლები არიან. ..............................
9. რასამბობ?!ნუთუესმართალია?!..............................
10. შენ სად მიდიხარ, ლევან? ..............................

**(A2) სავარჯიშო 31.** **ფრჩხილებში მოცემული სიტყვების ნაცვლად ჩაწერე თავაზიანი ფორმები:**

1. კონფერენციაზე .................... (მერაბმა) საინტერესო მოხსენება წარმოადგინა.
2. სტუდენტი დიდხანს ელოდა .................... (სოფიოს).
3. მანანამ .................... (ელენედ) მოაჩვენა ყველას თავი.
4. მანუჩარი დიდ ხანს ამაყობდა დედით, .................... (ნანულით).
5. .................... (ლუსინე) ჩვენი ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი თანამშრომელია.
6. – .................... არტურ, თქვენ რომელი წლიდან მუშაობთ ამ კომპანიაში?

(A2) სავარჯიშო 32. დააკვირდი ცხრილში მოცემულ ბრუნებას. ქვემოთ მოცემული სახელები ცარიელ ცხრილში გადაანაწილე ბრუნების მიხედვით:

| | | |
|---|---|---|
| **სახელობითი** | ბატონი დავითი | ქალბატონი ელენე |
| **მოთხრობითი** | ბატონმა დავითმა | ქალბატონმა ელენემ |
| **მიცემითი** | ბატონ დავითს | ქალბატონ ელენეს |
| **ნათესაობითი** | ბატონი დავითის | ქალბატონი ელენეს |
| **მოქმედებითი** | ბატონი დავითით | ქალბატონი ელენეთი |
| **ვითარებითი** | ბატონ დავითად | ქალბატონ ელენედ |
| **წოდებითი** | ბატონო დავით | ქალბატონო ელენე |

ნუგზარი, ეკატერინე, ლალი, ქეთევანი, მანუჩარი, ერეკლე, ლალი, გიორგი, მანანა, ბაჩანა, კონსტანტინე, ხათუნა, იაკობი, ილია, შოთა, აკაკი, ვახტანგი, სიმონი, დათო, ირაკლი, ნესტანი, თამარი, ლამარა, მაკა, დაჩი, ალექსანდრე, ლუკა, ნინო, ეთერი, ანა, ნოდარი, ელდარი, ივანე, ვანო...

| **დავითის** მსგავსი | **ელენეს** მსგავსი |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## (A2) სავარჯიშო 33. დააკვირდი შევსებულ ცხრილს. შემდეგ წაიკითხე ტექსტი და ხაზგასმული ფრაზები (სიტყვები) გადაანაწილე ცარიელ ცხრილში:

| ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა (ძირითადად ზმნის მეორე პირის ფორმა) = თავაზიანი მიმართვის ფორმა | | |
|---|---|---|
| ვარ – გახლავართ<br>ხარ – ბრძანდებით<br>არის – ბრძანდება<br>არიან – ბრძანდებიან | ამბობ – ბრძანებთ<br>თქვი – ბრძანეთ<br>გეტყვი – მოგახსენებთ | მოდი – მობრძანდით<br>მოვალ – გეახლებით |
| ჭამე – მიირთვით<br>ვჭამე – გეახელით | მოგეცი – მოგართვით<br>მოგცემ – მოგართმევთ | დაჯექი – დაბრძანდით<br>ადექი – აბრძანდით |
| აიღე – ინებეთ<br>მომეცი – მიბოძეთ | რა გინდა – რა გნებავთ? /<br>რას ინებებთ? | თუ შეიძლება... |

მასპინძლებმა სუფრა შუა ეზოში გაშალეს და სტუმრები მიიპატიჟეს.

– **აქეთ მობრძანდით**, ქალბატონებო და ბატონებო! **ჩრდილში დაბრძანდით**, — ამბობდა ოჯახის უფროსი.

**სტუმრები დასხდნენ** და ჩუმი საუბარი დაიწყეს. მალე სახლიდან ორი **გოგონა გამოვიდა** და სტუმრებს ცივი **კერძები მიართვა**.

– ჯერ ცივი **კერძები მიირთვით**, ძვირფასო სტუმრებო... მალე კი ცხელ **ხაჭაპურებს მოგართმევთ**.

სტუმრები ღიმილით მიირთმევდნენ გულუხვი მასპინძლის მიერ სუფრაზე დალაგებულ კერძებს.

– მართლაც საოცარი მზარეულები არიან ამ მხარეში, უკვე ორი ულუფა **ფხალი გეახელით** და **აღფრთოვანებული გახლავართ**, — ამბობდა ერთი ქალბატონი.

– თქვენ მანანას ხაჭაპურები უნდა ნახოთ, **მალე მოიტანენ**, ალბათ, – უპასუხა მეორემ და მჭადის მიწოდება სთხოვა, – თუ არ შეწუხდებით, **მჭადი მომაწოდეთ...**

– **ინებეთ, გენაცვალე!** – მჭადის თეფში აიღო პირველმა ქალბატონმა და მეორეს მიაწოდა.

| თავაზიანი ფორმები | ჩვეულებრივი ფორმები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## (A2) სავარჯიშო 34. დიალოგი ჩაწერე თავაზიანი ფორმით და წაიკითხე:

– გამარჯობა, მანანა, რა სასიამოვნოა შენი ნახვა, როგორ ხარ?

.................................................................................................................................................

– გამარჯობა, ნოდარ, დიდი მადლობა! კარგად ვარ, შენც ხომ კარგად ხარ?

.................................................................................................................................................

– კი, კი, დედაშენი როგორ არის, რამდენი ხანია არ მინახავს?

.................................................................................................................................................

– დიდი მადლობა, კარგადაა. თქვენ როგორ ხართ ოჯახში, მამაშენი ჩამოვიდა ამერიკიდან?

.................................................................................................................................................

– არა, ჯერ არ ჩამოსულა, მომავალ თვეში ველოდებით და, რომ ჩამოვა, აუცილებლად მოვალთ თქვენთან.

.................................................................................................................................................

– ძალიან გაგვიხარდება. კარგად იყავი, ნოდარ!

.................................................................................................................................................

– კარგად იყავი, მანანა. მომავალ შეხვედრამდე!

.................................................................................................................................................

## (A2) სავარჯიშო 35. გადააკეთე მოცემული წინადადებები თავაზიან ფორმებად და ისე გადაწერე:

1. – როდის გამოთქვით თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ?

   .................................................................................................................................................

2. ახლავე გეტყვით, რასაც ვფიქრობ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

   .................................................................................................................................................

3. ხვალ მოვალ და ჩემს ლექსებს წაგიკითხავთ.

   .................................................................................................................................................

4. ძალიან გამიხარდება, თუ მოხვალთ.

   .................................................................................................................................................

**(A2) სავარჯიშო 36.** **ხაზგასმული ადგილები შეცვალე თავაზიანი ფორმებით და ისე გადაწერე წერილი:**

გამარჯობა, **ჩემო ლაშა**!

დიდი ხანია, რაც აღარ **ჩამოსულხართ** და არ მინახავხართ. კარგი იქნება, თუ კიდევ მოვახერხებთ შეხვედრას და გავაგრძელებთ ძველებურ საუბრებს. გახსოვთ, როგორი გემრიელი ხაჭაპურები **მოგვიტანა** დედათქვენმა? ისეთი გემრიელი იყო, სამი ნაჭერი **შევჭამე**.

როცა **ჩამოხვალთ**, დილაობით **თქვენთან მოვალ** და მე ჩემი ბაღის საუკეთესო ხილს **მოგიტანთ** ხოლმე. მერე დავსხდეთ და მე ჩემს საყვარელ მსხლებს **შევჭამ**, თქვენ კი თქვენი საყვარელი ვაშლები **შეჭამეთ ხოლმე**.

**(A2) სავარჯიშო 37.** **შეადგინე მცირე ტექსტი (წერილი ან დიალოგი), რომელშიც გამოიყენებ თავაზიან ფორმებს:**

## (A2) სავარჯიშო 38.

### ა) დაუკავშირე ერთმანეთს

| | |
|---|---|
| ქალბატონი | თამარ |
| ქალბატონმა | თამარი |
| ქალბატონ | თამარის |
| ქალბატონო | თამარს |
| | თამარმა |
| | თამარით |

### ბ) მიღებულ კონსტრუქციებზე ააგე წინადადებები

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

........................................

## (A2) სავარჯიშო 39. ჩასვი თავაზიანი ფორმები სწორად:

1. გუშინ ........................ სტუმრად დაგვპატიჟა. (ქალბატონი მარიამი)
2. ........................, როგორ ბრძანდებით? (ბატონო დავით)
3. ლიკა დაინტერესდა ........................ ლექციებით. (ქალბატონი ლალი)
4. ეს ქალი ........................ გამეცნო. (ქალბატონი ელენე)
5. გიორგი კარგად იცნობს ........................ . (ბატონი თემური)
6. ხვალ ........................ ჩვენთან მოვა. (ბატონი ნოდარი)
7. ........................ აღფრთოვანებული ვარ. (ქალბატონი ნანა)
8. ........................ ძალიან საინტერესო ლექცია ჰქონდა. (ბატონი ოთარი)
9. ........................, ჩვენთან როდის მოხვალთ? (ქალბატონო ია)
10. ........................ უკვე მეორე წიგნი გამოსცა. (ბატონი ლევანი)

**(A2) სავარჯიშო 40.** **ხაზგასმული სიტყვა შეცვალე თავაზიანი ფორმით:**

1. მე უკვე ათი წელია მასწავლებელი **ვარ**. ..........
2. ქალბატონო მერი, **ჭამე** ხაჭაპური. ..........
3. აი, **აიღე** თქვენი ხურდა, ორი ლარი. ..........
4. დანარჩენ თანხას ხვალ **მოგცემ**. ..........
5. თქვენი მშობლები როგორ **არიან**? ..........
6. ჩემს სათქმელს სხვა დროს **გეტყვი**. ..........
7. გუშინ აჭარული ხაჭაპური **ვჭამე**. ..........
8. ხვალ აუცილებლად **მოდი** თათიასთან. ..........
9. **ადექი** და აქ **დაჯექი**. ..........
10. ბატონო დავით, როგორ ხარ? ..........

**(A2) სავარჯიშო 41.** **მოცემული თავაზიანი ფორმები ჩასვი ტექსტში:**

მიბოძეთ, ბრძანდებიან, მობრძანდით, ბატონო ამირან,

ბრძანდებით, მოგეხსენებათ.

გამარჯობა, .......... !

როგორ .......... ? როგორ .......... თქვენი მშობლები? .......... , რომ ამა წლის 15 მარტს გაიმართება ჩემი წიგნის პრეზენტაცია. ნება .......... , დაგპატიჟოთ. .......... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის სააქტო დარბაზში.

**(A2) სავარჯიშო 42.** **მოცემული თავაზიანი ფორმების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

ქალბატონო მერი, გახლავართ, დაბრძანდით, ბრძანდებით, მიბოძეთ, ბრძანეთ,

გეახლებით, ინებეთ, მოგართმევთ, მიირთვით.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**(A2) სავარჯიშო 43. მაკას წერილი გადაწერე თავაზიანი ფორმით:**

გამარჯობა, მაკა! როგორ ხარ? როგორ არიან შენი მშობლები?

მივიღე შენი წერილი და ძალიან გამიხარდა. მე კარგად ვარ. ჩემი ოჯახიც კარგადაა. მოგიკითხეს მათ. ჩვენ ერთი კვირის წინ ვიყავით ექსკურსიაზე კახეთში. დავათვალიერეთ კახეთის ისტორიული ადგილები. დავაგემოვნეთ კახური კერძები.

როგორც გავიგე, მარტის ბოლოს უნდა წახვიდეთ ექსკურსიაზე კახეთში. გირჩევ, წახვიდე წინანდალში და დაათვალიერო ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. თელავში ნახე ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმი. აუცილებლად ჭამე კახური კერძები. დაჯექი თელავის ძველ ბაღში, გაისეირნე ღამის თელავში.

მე მოგცემ კახეთის ისტორიულ რუკას და დაგეხმარება მარშრუტის სწორად დაგეგმვაში. ექსკურსიის შემდეგ გამიზიარე შთაბეჭდილებები.

კარგად იყავი, მაკა! მომიკითხე შენი ოჯახი

შენი თამარი.

მოგესალმებით, ქალბატონო მაკა! ........................................

### (A2) სავარჯიშო 44. ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები სიტყვათა ბლოკიდან (ორი სიტყვა ზედმეტია):

მოგართმევთ; გეახლებით; მოგახსენებთ; გთხოვთ;
მობრძანდეთ; მობრძანდით;

სსიპ-........................ სკოლის ადმინისტრაციას
ამავე სკოლის პედაგოგის

განცხადება

........................, რომ 2021 წლის 20 მარტს 5 საათზე სკოლის სსიპ-........................ სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდება მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „ძალადობა სკოლაში და მისი პრევენცია“.

........................, ........................!

კონფერენციის დაწყებამდე ........................ კონფერენციის დღის წესრიგს;

პატივისცემით, კონფერენციის ორგანიზატორები.

### (A2) სავარჯიშო 45. შეავსე დიალოგში გამოტოვებული ადგილები

– მოგესალმებით, შეიძლება, შემოვიდე?
– რა თქმა უნდა, ........................! კეთილი იყოს თქვენი ........................!
– გმადლობთ!
– აქ ........................ უფრო კომფორტულად იქნებით, ეკრანი უკეთ ჩანს. ჩაის ........................ თუ ყავას?
– ჩაის ........................, თუ შეიძლება!
– ნამცხვარს ........................?
– გმადლობთ, არ შეწუხდეთ, უკვე ........................ .
– შეხვედრას დავიწყებთ 20 წუთში, ........................ დღის წესრიგი?
– დიახ, თუ არ შეწუხდებით! გმადლობთ!
– აი, ........................ შეხვედრის დღის წესრიგი.
– გმადლობ!
– არაფრის!

## (A2) სავარჯიშო 46. შეცვალე თავაზიანი ფრაზები ჩვეულებრივი ფორმებით:

1. ქალბატონო, მიირთვით ეს კერძი! ..............................
2. აქ დაბრძანდით, ბატონო გურამ. ..............................
3. როგორ ბრძანდება მამათქვენი? ..............................
4. გმადლობთ, უკვე გეახელით. ..............................
5. მე გახლავართ სკოლის დირექტორი. ..............................
6. დიახ, გუშინ მოგართვით ჩემი სივი. ..............................
7. ყავა ხომ არ გნებავთ? ..............................
8. უკაცრავად, რა ბრძანეთ? ვერ გავიგე. ..............................
9. აუცილებლად გეახლებით ამ კერძს. ..............................
10. რას ბრძანებთ, არა მგონია ასე იყოს. ..............................

## (A2) სავარჯიშო 47. მოცემული ფრაზები ჩასვი დიალოგებში:

დაბრძანდით    მომაწოდეთ    გნებავთ    ინებეთ    თუ შეიძლება

ა) – ორი ფინჯანი ყავა და ორი ნაჭერი ხილის ნამცვარი მინდა.
– ყავა ნალექიანი .............................. , თუ უნალექო?
– უნალექო, .............................. .

ბ) – თავისუფალი მაგიდა გაქვთ?
– დიახ. აი იქ .............................. , აივანზე.

გ) – ის ლურჯი პერანგი .............................. თუ შეიძლება!
– რომელი, ორი დიდი ჯიბით?
– დიახ, ეგ!
– აი, .............................. !

## (A2) სავარჯიშო 48. შეარჩიე და ჩასვი დიალოგში შესაბამისი თავაზიანი და ჩვეულებრივი ფორმები:

ა) – საბა, როგორ .................................. ?

– კარგად, გიო, შენ?

– მეც კარგად, შენი ძმა როგორ .................................. ?

– მადლობა, კარგად .................................. .

ბ) – გამარჯობათ, ბატონო შავლეგ, როგორ .................................. ?

– მადლობა,  ბატონო ვასილ. არა მიშავს. თქვენ როგორ .................................. ?

– მეც კარგად. თქვენი მეუღლე როგორ .................................. ?

– მადლობა, ახლა კარგად .................................. .

## (A2) სავარჯიშო 49.

### ა) წინადადებებს მიუწერე შესაბამისი ფრაზა

| სიტუაცია | ფრაზა |
|---|---|
| **როცა შენს მეგობარს სუფრასთან ეპატიჟები, მას ეუბნები ამ ფრაზას** | **მოდი, აქ დაჯექი!** |
| როცა ასაკით შენზე უფროს ადამიანს ავტობუსში ადგილს უთმობ, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა ვერ გაიგე, რა გითხრა შენმა ახლობელმა, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გაინტერესებს, დალევს თუ არა ჩაის შენი სტუმარი, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა ეპატიჟები შენს მეგობარს სახლში, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა ვერ გაიგე, რა გითხრა უცხო ადამიანმა, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გინდა მოიკითხო ასაკით შენზე უფროსი ადამიანი, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა სტუმრად გთხოვენ, კიდევ გასინჯო რაიმე კერძი, მაგრამ მეტი არ გინდა, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა უცხო ადამიანი გთხოვთ, მიაწოდოთ რაიმე ნივთი, მას ეუბნები ამ ფრაზას | |

ბ) წინა სავარჯიშოში მოცემული ფრაზებისა და სიტუაციების გამოყენებით შეადგინე სამი დიალოგი:

................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................
................................................................................................................

## (A2) სავარჯიშო 50.

ა) დააკვირდი ცხრილს:

ხომ არ ........... / ხომ ვერ ........... თავაზიანობის გამომხატველი კონსტრუქციები

| კონტექსტი | თავაზიანი შეკითხვა (ინტერესის გამოხატვა) | თავაზიანი თხოვნა სურვილის გამოხატვა |
|---|---|---|
| კონსტრუქცია | ხომ არ ...........<br>(აწმყო / წყვეტილი / მყოფადი / უწყვეტელი / ხოლმეობითი / 1-ლი თურმეობითი) | ხომ ვერ ...<br>(მომავალი დრო / ხოლმეობითი) |
| ნიმუშები | ხომ არ კითხულობთ ამ წიგნს?<br>ხომ არ წაიკითხეთ ეს წიგნი?<br>ხომ არ წაიკითხავთ ამ წიგნს?<br>ხომ არ კითხულობდით ამ წიგნს?<br>ხომ არ წაიკითხავდით ამ წიგნს?<br>ხომ არ წაგიკითხავთ ეს წიგნი?<br>ხომ ვერ წაიკითხავთ ამ წიგნს?<br>ხომ ვერ წაიკითხავდით ამ წიგნს? | |

### ბ) ჩასვი შესაბამისი ზმნა:

ა) შეჭამთ / ჭამთ

ხომ არ ........................ ხაჭაპურს? ხომ ვერ ........................ ხაჭაპურს?

ბ) წახვალ / წახვედი

ხომ ვერ ........................ აფთიაქში? ხომ არ ........................ აფთიაქში?

გ) ითამაშებ / თამაშობ

ხომ არ ........................ ჭადრაკს?

ხომ ვერ ........................ ჭადრაკს?

დ) მოამზადე / მოამზადებ

ხომ ვერ ........................ სადილს? ხომ არ ........................ სადილი?

ე) იღებ / გადაიღებ

ხომ არ ........................ დაბადების დღის ვიდეოებს?

ხომ ვერ ........................ დაბადების დღის ვიდეოებს?

### (A2) სავარჯიშო 51. მოცემულ სიტუაციებს მიუწერე თავაზიანობის გამომხატველი შესაბამისი ფორმები: ხომ არ... / ხომ ვერ...

| სიტუაცია | თავაზიანი ფრაზა |
|---|---|
| როცა გაინტერესებს, შეჭამს თუ არა პიცას შენი მეგობარი, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გინდა, შენმა ნაცნობმა წაიკითხოს წიგნი, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გინდა, ვინმემ გადაიღოს ფოტო, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გაინტერესებს, მოამზადებს თუ არა მზარეული ამ კერძს, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გინდა ითამაშო ვინმესთან, მას ეუბნები ამ ფრაზას | |
| როცა გაინტერესებს, მიდის თუ არა ვინმე სტადიონზე, მას ეუბნები ამ ფრაზას | |

## (A2) სავარჯიშო 52.

**ა) წინადადებებში ჩასვი ფრაზა ბატონი გიორგი შესაბამისი ბრუნვის ფორმით:**

1. ...................................... გუშინ ახალი წიგნი გამოგიგზავნა.
2. ...................................... დღეს ჩვენთან სტუმრად მოვა.
3. ...................................... ძალიან უყვარს თეატრი.
4. ...................................... მონათხრობმა გაგვახალისა.
5. ...................................... , როდის ჩამოხვედით?
6. სტუმარმა ...................................... გაგვაცნო თავი.
7. ...................................... მთელი სოფელი ამაყობს

**ბ) წინადადების ნაწილები დააკავშირე ერთმანეთთან:**

| | |
|---|---|
| ქალბატონი ქეთევანის | ყველა კმაყოფილი დარჩა. |
| ქალბატონ ქეთევანს | მინდა გაგაცნოთ. |
| ქალბატონო ქეთევან, | გაკვეთილი ჩაგვიტარა. |
| ქალბატონი ქეთევანი | უყვარს ბაღის ყვავილები. |
| ქალბატონმა ქეთევანმა | დაბადების დღეს გილოცავთ! |
| ქალბატონი ქეთევანით | დანახვა ყველას გაუხარდა. |

## (A2) სავარჯიშო 53. მოცემულ თავაზიან ფორმებზე შეადგინეთ წინადადებები:

1. ქალბატონმა ელენემ ......................................
2. ბატონ შალვას ......................................
3. ქალბატონო თინათინ ......................................
4. ბატონი ლევანის ......................................
5. ბატონი ალექსანდრეთი ......................................
6. ქალბატონი დარეჯანი ......................................
7. ბატონი ჯორჯი ......................................

(A2) სავარჯიშო 54.

ა) წაიკითხე დიალოგი. ცხრილში დააჯგუფე თავაზიანი და ჩვეულებრივი ფორმები:

– ვინ ხარ, აქ რა ხდება?
– მე გახლავართ ბარბარე ჯორჯაძე.
– შენ ვიღა ბრძანდები?
– მე ილია ჭავჭავაძე ვარ!
– ის ყმაწვილი, ჩუმად რომ დგას კედელთან, ვინ არის?
– ის თავადი ბაგრატიონი ბრძანდება.
– კი, მაგრამ ის ქალები ვიღა არიან?
– ისინი ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წევრები ბრძანდებიან.
– საინტერესო საზოგადოება შეკრებილა.

| თავაზიანი ფორმები | ნეიტრალური ფორმები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

ბ) დიალოგში თავაზიანი ფორმები შეცვალე ჩვეულებრივი ფორმებით, ხოლო ჩვეულებრივი ფორმები თავაზიანი ფორმებით და გადაწერე.

**(A2) სავარჯიშო 55. შეცვალე წინადადებები თავაზიანობის გამომხატველი ფრაზებით (გამოიყენეთ ფორმები: ამბობ – ბრძანებთ; თქვი – ბრძანეთ; გეტყვი – მოგახსენებთ):**

1. რასაც ახლა შენ ამბობ, ტყუილია ............ .
2. როგორც შოთა რუსთაველი ამბობს, სიცრუე უბედურების სათავეა ............ .
3. აბა, თქვი, სად იყავი გუშინ? ............
4. უთხარი შენს მეგობარს, თქვას სად იყო! ............
5. მე გეტყვით, რა მოხდა! ............
6. ახლა დავითი გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ ............ .

**(A2) სავარჯიშო 56. ხაზგასმული სიტყვები შეცვალე თავაზიანი ფორმებით და ტექსტი ისე გადაწერე:**

დღეს წვეულებას ვმართავ, ჩემო ილია, როცა მოსაღამოვდება, აუცილებლად **მოდი**, მაგრამ მარტო შენ არა, შენი მშობლებიც უნდა **მოვიდნენ**. ისე დღეს კარგ ხასიათზე ვარ და თუ ვინმე გზად შეგხვდება, შეუძლია ისიც **მოვიდეს**. არ გაგკვირდეთ, მე სახლში არ ვიქნები, მაგრამ მალე **მოვალ** და ჩემთან ერთად **მოვლენ** სხვა მეგობრები, ჯერ არ გეტყვი, ვინ იქნებიან.. თუ ადრე **მოხვალ**, ჩემს ოჯახს მიეხმარე. აბა, შენი იცი, შენი იმედი მაქვს.

**(A2/B1) სავარჯიშო 57.** **დაწერე ორი დიალოგი ერთი თავაზიანი, ხოლო, მეორე ჩვეულებრივი ფორმების გამოყენებით (გამოიყენე: ვარ – გახლავართ; ხარ – ბრძანდებით; არის – ბრძანდება; არიან – ბრძანდებიან.):**

.................................................... ....................................................
.................................................... ....................................................
.................................................... ....................................................
.................................................... ....................................................
.................................................... ....................................................
.................................................... ....................................................

**(A2/B1) სავარჯიშო 58.** **წინადადებისათვის შეარჩიე სწორი ფორმა:**

1. ჩემო მეგობარო, შენ ახლა უცნაურ რაღაცებს .......................... . (ბრძანებ / **ამბობ**)
2. ბატონო დავით, რას .......................... ? (ბრძანებთ / ამბობ)
3. გთხოვთ, .......................... , რისი თქმა გსურთ? (ბრძანეთ / თქვით)
4. .......................... , განა სადმეა ასეთი ლამაზი ქვეყანა?! (ბრძანეთ / თქვით)
5. ნიკო, ერთ ჭკვიანურ სიტყვას .......................... და დაიმახსოვრე. (გეტყვი / მოგახსენებთ)
6. ბატონო მოსამართლევ, სრულ სიმართლეს .......................... . (გეტყვი/მოგახსენებთ)
7. დედა .......................... , რომ ძალიან ზარმაცი ვარ. (ამბობს / ბრძანებს)
8. მეფე .......................... , დაიშალეთო! (ამბობს / ბრძანებს)
9. სიახლეების შესახებ თქვენი ამხანაგები .......................... . (გეტყვიან / მოგახსენებენ)
10. ჩვენი დღევანდელი დღის ორგანიზატორები .......................... , რა უნდა გავაკეთოთ. (მოგახსენებენ / გეტყვიან)

## (A2/B1) სავარჯიშო 59. შემოთავაზებული ფორმები სწორად ჩასვი წინადადებებში

მოდი. მოვიდეს. მოვიდნენ. მობრძანდით. მოვალ. მოვა. მოხვალ. გეახლებით. მობრძანდეს

1. თუ არ შეწუხდებით, ბატონ დავითს უთხარით, რომ .................................... .
2. დღეს მეგობრები ვიკრიბებით, შენც .................................... .
3. მშობელს უთხარი, ხვალ სკოლაში .................................... .
4. მიხარია, რომ გხედავთ, .................................... სახლში.
5. დედა, დღეს საღამოს ჩვენთან ლეილა .................................... .
6. გუშინ ჩვენთან დედაჩემის და მამაჩემის მეგობრები .................................... .
7. ხვალ საღამოს ქორწილში შენც .................................... .
8. დიდი სიამოვნებით .................................... სტუმრად, ქალბატონო ნონა!
9. .................................... , დაჯექი, გავიხსენოთ ბავშვობა.

## (A2/B1) სავარჯიშო 60. შეარჩიე სწორი ფორმა

1. ლევან, რომ დაბრუნდი, .................................... საჭმელი. (ჭამე / მიირთვი)
2. ეს ტორტი დედამ გამოგიგზავნათ, გემრიელად .................................... . (ჭამეთ / მიირთვით)
3. დილით გემრიელი ხაჭაპური .................................... . (ვჭამე / გეახელით)
4. ანა, ლუკამ საჭმელი .................................... ? (მიირთვა / ჭამა)
5. სტუმრებმა დოდოს მომზადებული ახალი საჭმელი სიამოვნებით .................................... . (ჭამეს / მიირთვეს)
6. თუ შეიძლება მობრძანდით, ახლავე პიცას მოგართმევთ, გმადლობთ, გზად კაფეში შევიარეთ და უკვე .................................... . (გეახელით / ვჭამეთ)

## (B1) სავარჯიშო 61. დააკავშირე ფრაზები და ააგე დიალოგი:

| | |
|---|---|
| – რას მიირთმევთ? | – არა, გმადლობთ, კოკა კოლას არ ვსვამ, მხოლოდ ყავას |
| – ხაჭაპური რომელი მოგართვათ? | – დიახ, ძალიან მეჩქარება, მენიუ მომიტანეთ... მართლაც გემრიელად გეახელით. |
| – ხომ არ გინდათ, კოკა კოლაც მოგართვათ? | – გმადლობთ... |
| – აი, გემრიელად მიირთვით | – სიამოვნებით, ისევ გეახლებით! |
| – უკვე მიბრძანდებით? | – თუ შეიძლება ერთი ყავა და ხაჭაპური. |
| – კიდევ მობრძანდით! | – თუ გაქვთ, აჭარული მირჩევნია. |

## (B1) სავარჯიშო 62. ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვი შესაბამის წინადადებაში:

ამბობ – ბრძანებთ; თქვი – ბრძანეთ; გეტყვი – მოგახსენებთ;
ამბობს – ბრძანებს; ამბობენ – ბრძანებენ; გეტყვიან – მოგახსენებენ

1. დღეს მე ........................ რა ხდებოდა ქალაქში.
2. ........................, ჩემო ნიკოლოზ, სად დადიოდი მთელი დღე?
3. დიდი ილია ........................, ჩვენ უნდა შევქმნათ მომავალიო.
4. რას ........................, ხომ არ გეშლება?
5. ჩვენი მასწავლებელი ........................, რომ გამოცდები გვექნება.
6. ჩვენი წინაპრები ........................: ამყოლს აჰყე, დამყოლს – დაჰყეო!
7. კარგი, რადგან არ მეშვები, სიმართლეს ........................ .
8. გზას გაუყევით და იქ ........................, საით წახვიდე.
9. ჩვენი ახალი გეგმების შესახებ ჩვენი სკოლის მოსწავლეები ........................ .
10. ........................, რომ აქ თამარ დედოფალს გაუვლია.

## (B1) სავარჯიშო 63. შეადგინე წინადადებები შემოთავაზებული ფორმების გამოყენებით:

ამბობ ........................................................................................

ბრძანებ ........................................................................................

თქვი ........................................................................................

ბრძანეთ ........................................................................................

გეტყვი ........................................................................................

მოგახსენებ ........................................................................................

**(B1) სავარჯიშო 64. გაეცანი ტექსტს, ამოწერე თავაზიანი და ჩვეულებრივი ფორმები და გაანაწილე სათანადო უჯრაში:**

- ბატონო ლუარსაბ, თქვენთან ერთი ქალბატონი მოვიდა, შეხვედრა უნდა.
- ხომ არ უთქვამს, ვინ არის?
- არა, ამბობს საქმე მაქვსო! კარგი, უთხარი, შემოვიდეს!
- შეიძლება?
- დიახ, მობრძანდით.
- შეიძლება, დავჯდე?
- დიახ, დაბრძანდით!
- გისმენთ, რა გნებავთ?
- ახლავე მოგახსენებთ, ჩემს მეზობლად ერთი მოხუცი ცხოვრობს, მისი სახლი ძალიან დაზიანდა და შეკეთება სჭირდება, აი, წერილიც მოგართვით, აქ ყველაფერი წერია.
- თქვენ რამე ინტერესი გაქვთ?
- არა, რას ბრძანებთ, მხოლოდ დახმარება მინდა.
- თავად რატომ არ მობრძანდა?
- იმიტომ,რომ მორიდებულია და არ შეგაწუხებთ, თუმცა მას ყველა იცნობს!
- მართლა? ვინ არის?
- ვინ და საქართველოს დამსახურებული არტისტია.
- თქვენ ვინ ბრძანდებით?
- მე უბრალოდ მეზობელი ვარ. მანანა მქვია.
- მადლობა, რომ მოხვედით, აუცილებლად დავეხმარებით. ინებეთ ჩემი სავიზიტო ბარათი და თუ დაგჭირდათ, დამირეკეთ, კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო მანანა!
- კარგად ბრძანდებოდეთ!

| თავაზიანი ფორმები | ჩვეულებრივი ფორმები |
|---|---|
| | |

**(B1) სავარჯიშო 65.** **წარმოიდგინე, რომ იმყოფები ოფიციალურ მიღებაზე, დაწერე დიალოგი, გამოიყენე როგორც თავაზიანი, ისე ჩვეულებრივი ფორმები:**

.................................................................................................................................................

.................................................................................................................................................

.................................................................................................................................................

.................................................................................................................................................

.................................................................................................................................................

**(B1) სავარჯიშო 66.** **შეავსე დიალოგები საჭირო ფრაზებით:**

**ა) დაბრძანდით, შემობრძანდით, ინებეთ, ბრძანდებით, თუ შეიძლება, შეგიძლიათ, როგორც გნებავთ**

– უკაცრავად, ........................................ მითხრათ, ექიმი ბარაბაძე რომელ კაბინეტში ზის?
– დიახ, 204-ე კაბინეტია, აი, დერეფნის ბოლოს. რიგი უნდა დაიკავოთ.
– გმადლობთ.
– მანამდე თქვენი პირადობის მოწმობა მომაწოდეთ, ........................................ .
– ახლავე, აი, ........................................ .
– ერთი წუთით დამელოდეთ... აი, აიღეთ და ვიზიტის თანხა გადაიხადეთ – 50 ლარი.
– კი, ბატონო, შემიძლია ბარათით გადავიხადო?
– დიახ, ........................................ .
– აი, ბარათი.
– მადლობა, თავისუფალი ........................................ ჩემგან. მოსაცდელ სკამზე ........................................ და რიგს დაელოდეთ. დაგიძახებენ.

**ბ) დაბრძანდით, გეახლებით, როგორც ინებებთ, მოგართმევთ, თუ შეიძლება, დიდი მადლობა**

– გამარჯობა, თავისუფალ მაგიდას ვეძებთ.
– აი, აქ ........................................ .
– თუ შეიძლება, უფრო მყუდრო ადგილი შეგვირჩიეთ, მუსიკამ რომ არ შეგვაწუხოს.
– ........................................ ერთი წუთით... აი, იმ მაგიდაზე რას იტყვით, ფანჯარასთან?
– მშვენიერია, ........................................ .
– მადლობა თქვენ, მენიუს მოვიტან და მეც ახლავე ........................................ .
– მენიუ არ გვინდა. ორი იმერული ხაჭაპური და ჩაი, ........................................ .
– კი, ბატონო, ათ წუთში ........................................ ყველაფერს.

(B1) სავარჯიშო 67. **შეადგინე პატარა ტექსტი ნებისმიერ თემაზე, სადაც გამოიყენებ თავაზიანი მიმართვის ფორმებს**

(B1) სავარჯიშო 68.

ა) **წაიკითხე ან გაითამაშეთ დიალოგი:**

– **ალო, გისმენთ!**
– გამარჯობა, ბატონო ედუარდ!
– **გამარჯობა, ვინ ბრძანდებით?**
– ელისო თოფურია გახლავართ, ოფისის თანამშრომელი.
– **გამარჯობა, ქალბატონო ელისო.**
– როგორ ბრძანდებით, ბატონო ედუარდ?
– **გმადლობთ, კარგად, თავად როგორ გიკითხოთ?**
– ჩვენც არა გვიშავს. თქვენი მეუღლე, ქალბატონი ია, როგორ ბრძანდება, ისევ საავადმყოფოშია?
– **დიახ, კოვიდი დაუდასტურდა და მკურნალობს.**
– თავს როგორ გრძნობს ქალბატონი ია?
– **ახლა უკეთ არის. სამ დღეში სახლში გამოწერენ.**
– ჩვენგან რამე ხომ არ გნებავთ? რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?
– **ნუ შეწუხდებით, ქალბატონო ელისო, მადლობა ყურადღებისთვის.**
– მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ თქვენს მეუღლეს. ნახვამდის, ბატონო ედუარდ!
– **დიდი მადლობა ყურადღებისთვის. მომავალ შეხვედრამდე!**

ბ) **უპასუხეთ შეკითხვას: რატომ საუბრობენ ედუარდი და ელისო თავაზიანი ფორმებით?**

**(B1) სავარჯიშო 69.** **დანომრეთ არეული დიალოგი:**

– გამარჯობა, ბატონო ედუარდ! ..............................

– ელისო თოფურია გახლავართ, ოფისის თანამშრომელი. ..............................

– თავს როგორ გრძნობს ქალბატონი ია? ..............................

– ალო, გისმენთ! ..............................

– გამარჯობა, ქალბატონო ელისო. ..............................

– გამარჯობა, ვინ ბრძანდებით? ..............................

– დიდი მადლობა ყურადღებისთვის. მომავალ შეხვედრამდე! ..............................

– მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ თქვენს მეუღლეს. ნახვამდის, ბატონო ედუარდ! ..............................

– ახლა უკეთ არის. სამ დღეში სახლში გამოწერენ. ..............................

– გმადლობთ, კარგად, თავად როგორ გიკითხოთ? ..............................

– ჩვენც არა გვიშავს. თქვენი მეუღლე, ქალბატონი ია, როგორ ბრძანდება, ისევ საავადმყოფოშია? ..............................

– ჩვენგან რამე ხომ არ გნებავთ? რით შეგვიძლია დაგეხმაროთ? ..............................

– დიახ, კოვიდი დაუდასტურდა და მკურნალობს. ..............................

– ნუ შეწუხდებით, ქალბატონო ელისო, მადლობა ყურადღებისთვის. ..............................

**(B1) სავარჯიშო 70.** **გადაიყვანე წერილი თავაზიან ფორმაში:**

მოგესალმები, გიორგი, როგორ გიკითხო? ხომ კარგად ხარ?

მე ვარ ქალაქ ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლის დირექტორი. მინდა გაცნობო ერთი სიახლის შესახებ, რომელიც ჩვენს სკოლაში დაინერგა. უფროსკლასელები ქართული ენის გაკვეთილზე რომელიმე მწერლის ერთ მოთხრობას ეცნობიან, მერე ის მწერალი ჩვენთან შეხვედრაზე მოდის და მოსწავლეები უსვამენ მას საინტერესო კითხვებს.

ამჯერად ჩვენი რჩეული თქვენ ხართ. გასულ კვირას დავასრულეთ თქვენი მოთხრობის – „ალმოდებული სასახლის“ კითხვა და, ვიდრე შეხვედრაზე მოგიწვევდეთ, წინასწარ მინდა გითხრათ, რომ თქვენ ძალიან ნიჭიერი და ამავე დროს ჰუმანური მწერალი ბრძანდებით.

ნება მომეცით, მოგიწვიოთ სკოლაში პარასკევს, 3 საათზე ძალიან საინტერესო შეხვედრაზე, რომელიც თქვენი ერთი მოთხრობის შესახებ გაიმართება. თუ ამ დროს არ გცალიათ, მაშინ თავად თქვით, როდის ისურვებთ მოსვლას. შეხვედრის პროგრამას და გზის ხარჯებს ორ დღეში ჩვენი კურიერი სახლში მოგიტანთ.

ველოდები თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით: ნინო ვარიაშვილი,
ქ. ახალციხის N5 საჯარო სკოლის დირექტორი. 25.03. 2020.

(B1) სავარჯიშო 71.

**ა) გამოტოვებულ ადგილას სიტყვა ბატონი ჩასვი შესაბამისი ფორმით:**

მე ვიცნობდი ................................ ედმონდ კალანდაძეს. ლექტორებმა ჩვენი კათედრის სტუდენტები მის სახელოსნოში წაგვიყვანეს. ................................ ედმონდის სახელოსნოში ნანახი ხელოვნების გარდა, გასაოცარი იყო თავად ................................ ედმონდის პიროვნებაც...

ამ ჩვენი სტუმრობიდან რამდენიმე წლის შემდეგ ისევ აღმოვჩნდი ................................ ედმონდის სახელოსნოში, ოღონდ, ამჯერად, როგორც მისი მოსწავლე. ................................ ედმონდმა სრულიად სხვა კუთხით დაგვანახა ხელოვნების ისტორიის განვითარების გზა.

................................ ედმონდი არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ ჩემი უფროსი მეგობარიცაა, რომელმაც ხელოვნების ისტორიის გარდა, სამყაროს სხვა თვალით დანახვა მასწავლა – რაც, ალბათ, ................................ ედმონდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისებაა.

................................ ედმონდს ჩვენი საზოგადოება უკვე კარგად იცნობს. მაგრამ დღეს მაინც წარმოდგინდეთ საინტერესო ინტერვიუს მასთან.

**– ................................ ედმონდ, თქვენი აზრით, რა არის ხელოვნება?**

– ხელოვნება, ჩემი აზრით, რთული და ძნელად ასახსნელი მოვლენაა. ხელოვნება არის ის საშუალება, რითაც ადამიანი ცდილობს, გაახანგრძლივოს თავისი სიყვარული და სიცოცხლე....

**– თქვენ ახსენით, რა არის ხელოვნება შემოქმედისთვის და რა არის ის მაყურებლისთვის, ვინც ეზიარება ხელოვნების ნაყოფს?**

– ჩემი აზრით, მაყურებლისთვისაც იგივეა. ის სიამოვნებით უყურებს სურათს, უსმენს მუსიკას, სიმღერას, ან კითხულობს მოთხრობას... და განიცდის ისევე, როგორც შემოქმედი.

**– თქვენ ბრძანებთ, რომ ხელოვნება არის სურვილი, შემოქმედმა გაახანგრძლივოს თავისი ცხოვრება და ეს განცდა გადმოიტანოს მისსავე შექმნილ სამყაროში და აქ ჩნდება კითხვა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხელოვნება ერთგვარი ილუზიაა ცხოვრებაზე, ჩვენს სამყაროზე?**

– რასაკვირველია, ეს ადამიანის გონების მიერ შექმნილი ილუზიაა, მაგრამ, იმის გამო, რომ ეს ილუზიაა, სრულიადაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. უხელოვნებოდ ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია. არ არსებობს ცხოვრება ხელოვნების გარეშე!

**– ................................ ედმონდ, როგორ და როდის გადაწყვიტეთ, რომ მხატვრობა თქვენს პროფესიად გაგეხადათ?**

– ზოგადად ეს ხდება, როცა მომწიფდება ადამიანის გონება, როცა პიროვნება ყალიბდება. მეც, ალბათ, სკოლის დამთავრებისას, დაახლოებით, მე-9-მე-10 კლასში გადავწყვიტე.

– ............................ **ედმონდ, გმადლობ საინტერესო საუბრისთვის, კარგად ბრძან-დებოდეთ. გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში.**

– მადლობა თქვენ.

მზია ჩიხრაძის ინტერვიუს მიხედვით

ელექტრონული ჟურნალი
http://www.georgianart.ge/index.php/ka/
2010-12-03-16-26-26/190-2016-12-25-19-54-27.html

**ბ) ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვებში გამოყენებული თავაზიანი მიმართვის ფორმები შეცვალე ჩვეულებრივი ფორმებით და ისე დაწერე.**

| თავაზიანი ფორმები | ნეიტრალური ფორმები |
|---|---|
| **ედმონდ, თქვენი აზრით, რა არის ხელოვნება?** | **ედმონდ, შენი აზრით, რა არის ხელოვნება.** |
| თქვენ ახსენით, რა არის ხელოვნება შემოქმედისთვის და რა არის ის მაყურებლისთვის, ვინც ეზიარება ხელოვნების ნაყოფს? | |
| თქვენ ბრძანებთ, რომ ხელოვნება არის სურვილი, შემოქმედმა გაახანგრძლივოს თავისი ცხოვრება | |
| ბატონო ედმონდ, როგორ და როდის გადაწყვიტეთ, რომ მხატვრობა თქვენს პროფესიად გაგეხადათ? | |
| ბატონო ედმონდ, გმადლობ საინტერესო საუბრისთვის, კარგად ბრძანდებოდეთ. გისურვებთ წარმატებას თქვენს პროფესიულ საქმიანობაში. | |

**გ) ამოიწერეთ ტექსტიდან თავაზიანი მიმართვის სხვა ფორმები (ზმნები):**

ა. ............................................ ბ. ............................................

**დ) დაწერე, კიდევ რა საშუალებას იყენებს ავტორი თავაზიანი მიმართვისთვის (მოიყვანე შესაბამისი მაგალითი):**

..........................................................................................

..........................................................................................

..........................................................................................

8

# ზმნის კატეგორიები – ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი

# თავი 8.
# ზმნის კატეგორიები – ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი

## ასპექტი

| ზმნა | დაუსრულებელი მოქმედება (უსრული ასპექტი) | დასრულებული მოქმედება (სრული ასპექტი) |
|---|---|---|
| **წერა** | წერს **ის მას**, წერდა, **ის მას** | დაწერს **ის მას**, დაწერა **მან ის** |
| **კითხვა** | კითხულობს **ის მას**, კითხულობდა **ის მას** | წაიკითხავს **ის მას**, წაიკითხა **მან ის** |
| **შენება** | აშენებს **ის მას**, აშენებდა **ის მას** | ააშენებს **ის მას**, ააშენა **მან ის** |
| **რეცხვა** | რეცხავს **ის მას**, რეცხავდა **ის მას** | გარეცხავს **ის მას**, გარეცხა **მან ის** |
| **დარეკვა** | რეკავს **ის**, რეკავდა **ის** | დარეკავს **ის**, დარეკა **მან** |
| **ქრა** | ქრის **ის მას**, ქრიდა **ის მას** | დაქრის **ის მას**, დაქრა **მან ის** |
| **წაშლა** | შლის **ის მას**, შლიდა **ის მას** | წაშლის **ის მას**, წაშალა **მან ის** |
| **ქსოვა** | ქსოვს **ის მას**, ქსოვდა **ის მას** | მოქსოვს **ის მას**, მოქსოვა **მან ის** |
| **ღებვა** | ღებავს **ის მას**, ღებავდა **ის მას** | შეღებავს **ის მას**, შეღება **მან ის** |
| **დაწყება** | იწყებს **ის მას**, იწყებდა **ის მას** | დაიწყებს **ის მას**, დაიწყო **მან ის** |
| **გაგზავნა** | გზავნის **ის მას**, გზავნიდა **ის მას** | გაგზავნის **ის მას**, გაგზავნა **მან ის** |
| **დავარცხნა** | ვარცხნის **ის მას**, ვარცხნიდა **ის მას** | დავარცხნის **ის მას**, დავარცხნა **მან ის** |
| **დაკეტვა** | კეტავს **ის მას**, კეტავდა **ის მას** | დაკეტავს **ის მას**, დაკეტა **მან ის** |
| **გამეორება** | იმეორებს **ის მას**, იმეორებდა **ის მას** | გაიმეორებს **ის მას**, გაიმეორა **მან ის** |
| **გაცხელება** | აცხელებს **ის მას**, აცხელებდა **ის მას** | გააცხელებს **ის მას**, გააცხელა **მან ის** |
| **დაგვა** | გვის **ის მას**, გვიდა **ის მას** | დაგვის **ის მას**, დაგავა **მან ის** |
| **დაპირება** | აპირებს **ის მას**, აპირებდა **ის მას** | დააპირებს **ის მას**, დააპირა **მან ის** |
| **გაკეთება** | აკეთებს **ის მას**, აკეთებდა **ის მას** | გააკეთებს **ის მას**, გააკეთა **მან ის** |
| **გახსენება** | იხსენებს **ის მას**, იხსენებდა **ის მას** | გაიხსენებს **ის მას**, გაიხსენა **მან ის** |
| **ხატვა/დახატვა** | ხატავს **ის მას**, ხატავდა **ის მას** | დახატავს **ის მას**, დახატა **მან ის** |

**(A1) სავარჯიშო 1.** **დაიხმარე სქემა და ბლოკში შემოთავაზებული სიტყვები დააჯგუფე ცხრილში:**

აპირებდა, დაგვის, აკეთებს, აცხელებდა, დაკეტა, გაიმეორა, გვიდა, დავარცხნის, დავარცხნა, გაიხსენა, ვარცხნის, დახატა, გზავნიდა, იხსენებდა, გააკეთა, გაგზავნის, ხატავდა, აპირებს, გააცხელა, გაიხსენებს.

| ზმნები, რომლებიც გამოხატავენ დასრულებულ მოქმედებას (სრული ასპექტი) | ზმნები, რომლებიც გამოხატავენ დაუსრულებელ მოქმედებას (უსრული ასპექტი) |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**(A2) სავარჯიშო2. მოცემული ფორმებიდან შეარჩიე შესაფერისი და ჩასვი წინადადებაში:**

1. მე ყოველთვის .................... საახალწლო საჩუქრებს. (ვგზავნი / გავგზავნე)
2. ხვალ სტილისტი კონკურსისთვის .................... მონაწილეებს. (ვარცხნიდა / დავარცხნის)
3. დედაჩემმა კორონას გამო მაღაზია .................... . (კეტავდა / დაკეტა)
4. მსახიობი სცენაზე დგას და თავის როლს .................... . (გაიმეორებს / იმეორებს)
5. ისე ცხელოდა, ქვებიც კი .................... . (აცხელებს / გააცხელა)
6. ხვალიდან ჩვენი კლასი მთელ ეზოს .................... . (გვიდა / დაგვის)
7. .................... კინოში წავსულიყავი, მაგრამ აღარ წავედი. (დავაპირე / ვაპირებდი)
8. დედამ გუშინ სტუმრებისთვის გემრიელი ხინკალი .................... . (აკეთებდა / გააკეთა)
9. გუშინ მეგობრებმა .................... ჩვენისაუკეთესო მეგობარი, რომელიც საზღვარგარეთ წავიდა. (ვიხსენებდით / გავიხსენეთ)
10. სკოლის გამოფენისათვის მე ჩვენს სოფელს .................... . (ვხატავდი / დავხატავ)

**(A2) სავარჯიშო 3. მოცემული ფორმებიდან შეარჩიე შესაფერისი და ჩასვი წინადადებაში:**

1. ინტერნეტი არ მუშაობდა, ამიტომ წერილს ..................... , ვერ ..................... . (ვგზავნიდი /გავაგზავნე)
2. რა იყო ასეთი, რომ დილიდან ..................... და ვერ ..................... . (გაიმეორა / იმეორებს)
3. რამდენი ხანია სადილს ..................... და ვერ ..................... . (გააცხელე / აცხელებ)
4. ეზოს ..................... და ვერ ..................... , რადგან ისევ დაყარეს ნაგავი. (ვგვი / დავგავე)
5. მართალია ..................... ამ სახლის აშენებას, მაგრამ უშენოდ ვერ ..................... . (დააპირებს / აპირებს)
6. მთელი დღე ..................... თმა და მაინც ვერ ..................... . (დავვარცხნე / ვვარცხნე)
7. საკეტი არ მუშაობდა, ..................... კარს, მაინც ვერ ..................... . (ვკეტავდი / დავკეტე)
8. ეს კარადა გატეხილია, მამაჩემი მთელი დღე ....................., მაგრამ ვერ ..................... . (გააკეთა / აკეთებდა)
9. დიდხანს ..................... ამ სურათს, მაგრამ ბოლომდე ვერ ..................... . (ვხატავდი / დავხატე)
10. ..................... შენი ბავშვობის დღეებს, მაგრამ ვერ ..................... . (გაიხსენე / იხსენებ)

## (A2) სავარჯიშო 4. ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვი წინადადებაში სათანადო ადგილას:

გაგზავნა, ვგზავნი, კეტავს, დაკეტვა, დახატვა, აკეთებს, აცხელებს, გაკეთება, გაცხელება, დაპირება.

1. არ მინდა შენი .................................... , უკეთესია სიტყვა შეასრულო.
2. ამ გაზეთებს პარიზში .................................... .
3. შეიძლება შენი პორტრეტის .................................... ?
4. ჩემი ძმა მაღაზიას ყოველთვის გვიან .................................... .
5. როგორ შეიძლება ამ წერილის .................................... ?
6. არ მინდა ამ პარკის .................................... ძალიან უყვართ ბავშვებს.
7. დედა საჭმელს .................................... ?
8. აქ მინდა დიდი სტადიონის .................................... .
9. უკაცრავად, ამ ხაჭაპურის .................................... მინდა.
10. ბიძაჩემი თავის ავტომანქანას .................................... .

## (A2) სავარჯიშო 5. აღადგინე ფრჩხილებში მოცემული სიტყვები შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

1. (დედა. ბარათი) .................................... ყოველ კვირა გზავნიდა თავის შვილებთან.
2. (ანა. შვილი) .................................... დასასვენებლად გაგზავნა ზღვაზე.
3. თვალდახუჭული .................................... იხსენებდა გასული წლის .................................... .
(გიორგი. ამბები)
4. (ნიკა. ბიჭი) .................................... გაიხსენა, სად ნახა ეს .................................... .
5. აპირებს (სკოლა. მოწყობა) .................................... ექსკურსიის .................................... ?
6. (ლადო. გაკვეთილი) .................................... ყოველდღე იმეორებს.
7. (მამა. დარიგება) .................................... ხშირად მიმეორებდა.
8. (დედა. სადილი) .................................... გაზქურაზე აცხელებს.
9. (დათო. ნანახი) .................................... აუცილებლად დახატავს.
10. (ლია. მარიამი) .................................... დახატა.

**(A2) სავარჯიშო 6. შეარჩიე შესაფერისი ფორმა და ჩასვი:**

1. დღეს საღამოს მეგობრები შეკრებას ................................ .
   (დავაპირე / ვაპირებდით)
2. ამ დღის მოგონებებს გიორგი დღიურში ................................ . (ხატავს / დახატა)
3. ლია აუცილებლად ................................ მზეს. (ხატავს / დახატავს)
4. მთელი დღე ................................ დედა ნაირ-ნაირ საჭმელს.
   (აცხელებს / აცხელებდა)
5. გამყიდველი ყოველ საღამოს მაღაზიას გვიან ................................ .
   (დაკეტა / კეტავდა)
6. როცა სკოლაში დავდიოდით, მაგდა ძალიან საინტერესო სუვენირებს
   ................................ . (გააკეთა / აკეთებდა)
7. მალე პატარა ბაღს ................................ და სტუმრად მოგიწვევ.
   (ვაკეთებ / გავაკეთებ)
8. როცა მაია თქვენთან მოსვლას ................................ , აუცილებლად დაგირეკავ.
   (აპირებს/დააპირებს)
9. ახლი ცოცხი რომ ჰქონოდა, ბაია ამ ქუჩას სუფთად ................................ .
   (გვის / დაგვიდა)
10. ჩემი მეზობელი დღეს დილიდან მთელ პროსპექტს ................................ .
    (დაგვის / გვიდა)

**(A2) სავარჯიშო 7. ყურადღება მიაქციე სრული და უსრული ასპექტის ფორმებს და გახაზე განსხვავებული:**

**ნიმუში:** მუშაობს, მუშაობდა, **<u>იმუშავა</u>**

1. წერს, წერდა, დაწერა
2. კითხულობს, წაიკითხა, წაიკითხავს
3. რეცხავდი, რეცხავ, გარეცხავ
4. ვქსოვდი, ვქსოვ, მოვქსოვე
5. ურეკავდნენ, დაურეკავენ, დაურეკავს
6. აშენებენ, ააშენებენ, აშენებდნენ
7. წაშალე, წაშლი, შლიდი
8. იწყებოდა, დაიწყო, იწყება
9. ვღებავთ, ვღებავდით, შევშებეთ
10. გაქრა, გაქრის, ქრიდა

## (A2) სავარჯიშო 8. ტექსტში ხაზგასმული ზმნები შეცვალე ისე, რომ მიიღო მომავალი დასრულებული მოქმედება:

ჩვენი ოჯახი დიდია, აქ ყველა ასაკის ადამიანი ცხოვრობს და პროფესიაც განსხვავებული აქვთ. ამიტომაც ოჯახში ყველას თავისი საქმე აქვს. დედა მხატვარია, მაგრამ არ მუშაობს, რადგან სახლშიც ბევრი საქმე აქვს. ჩემს პატარა დას **ამზადებს** სკოლისათვის, **ვარცხნის** თმებს, **იმეორებს** მასთან ერთად გაკვეთილებს, მერე სკოლაში **გზავნის** დანარჩენ ორ უფროს დასთან ერთად და თავის საქმეებს იწყებს, **გვის, აცხელებს** საუზმეს ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის. ასე იყო სულ, როცა პატარები ვიყავით, ჩვენც ასე **გვვარცხნიდა, გვამზადებდა** და იმეორებდა ჩვენთან ერთად გაკვეთილებს. ახლა კი ჩვენ თავად **ვაკეთებთ** ჩვენს საქმეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა **კეტავს** თავისი სახელოსნოს კარს და იწყებს მუშაობას. მალე გამოფენა ექნება. ბებია უკვე მოხუცია და **იხსენებს** ძველ ამბებს საღამოობით. მე კონსტრუქტორი ვარ და სხვადასხვა ობიექტების მაკეტებს **ვაკეთებ**. ბავშვობიდანვე **ვაკეთებდი** უცნაურ კონსტრუქციებს და მშობლების მითითებით ეს პროფესია ავირჩიე. მამა მეზღვაურია და **გვპირდება,** რომ ერთხელ მაინც მოგვიწყობს საინტერესო მოგზაურობას ოკეანეში. ერთხელ უკვე ვიყავით და ძალიან მოგვეწონა. ერთი სიტყვით, საინტერესო ოჯახი მაქვს.

## (A2) სავარჯიშო 9. აწარმოე ხაზგასმული სიტყვების პარალელური ფორმები და შეავსე ცხრილი:

| უსრული ასპექტი (დაუსრულებელი მოქმედება) | სრული ასპექტი (დასრულებული მოქმედება) |
|---|---|
| ბიჭი სადარბაზოს დიდხანს **გვიდა.** | |
| | დედამ შვილს თმები უკვე **დავარცხნა.** |
| უკვე ერთი წელია ამ სურათს **ხატავდა.** | |
| | ბავშვმა თავისი ნახატი კონკურსზე **გაგზავნა.** |
| თამარი ადრე ადგომას **აპირებდა.** | |
| | ბიჭმა ღუმელი უკვე **გაახელა.** |
| მოხუცი ჯერ ჯიდევ **იხსენებდა** სასიამოვნო ამბებს. | |
| | ლელამ გაკვეთილები **გაიმეორა.** |
| მთელი დღე ანა დავალებას **აკეთებდა.** | |
| | მამამ სუსხის გამო ფანჯარა **დაკეტა.** |

## (A2) სავარჯიშო 10. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

გვიდა .................................................

ხატავდა .................................................

გაიხსენა .................................................

გააკეთა .................................................

იმეორებდა .................................................

დავარცხნა .................................................

გაგზავნა .................................................

გააცხელა .................................................

გაიხსენებს .................................................

დაკეტავს .................................................

**(A2) სავარჯიშო 11.** **ჩაწერე წინადადებაში გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით:**

**ნიმუში:** ლელა დავალებას **წერს**.
ლელა დავალებას **დაწერს** / ლელამ დავალება **დაწერა**.

1. ნინელი ტელეფონზე რეკავს.
   ................................ ტელეფონზე დარეკა.
2. დედა ნამცხვარს ჭრის.
   ................................ ნამცხვარი დაჭრა.
3. ნიკა დაფას შლის.
   ................................ დაფა წაშალა.
4. მარიამი კაშნეს ქსოვს.
   ................................ მოქსოვა.
5. პეტრე კედელს ღებავს.
   ................................ შეღება.
6. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს.
   ................................ დაიწყო.
7. ხვალ დათო დიდხანს იკითხავს ამ წიგნს.
   ხვალ ................................ ბოლომდე წაიკითხავს ................................ .
8. გია მამასთან რეკავს.
   ................................ მამასთან დარეკავს.
9. მშენებელი სახლს აშენებს.
   ................................ ააშენებს.
10. ანა ტანსაცმელს რეცხავს.
    ................................ გარეცხა.

**(A2) სავარჯიშო 12. დააკვირდი ზმნებს და განაწილე წინადადებები შესაბამის სვეტში:**

**ნიმუში:** გიგომ მთელი ცხოვრება სახლები აშენა.
მეზობელმა სახლს კიდევ ერთი ოთახი მიაშენა.

1. შენ ბაღში გამხმარი ხე **მოჭერი**?
2. დედა სადილისთვის პურს **ჭრიდა**.
3. ნანა წიგნს **კითხულობს**.
4. დილით დედას **ვურეკავდი**.
5. მასწავლებელმა მოთხრობა **წაიკითხა**.
6. ის დაფას სწრაფად **წაშლის**.
7. ახალგაზრდობაში უფრო მეტს **ვწერდი**.
8. ზამთრისთვის თბილ წინდებს **მოვქსოვ**.
9. მე ლამაზი სახლი **ავაშენე**.
10. ხვალ დედა ჩემს ქურთუკს **გარეცხავს**.

| დაუსრულებელი მოქმედება | დასრულებული მოქმედება |
|---|---|
| 1. გიგომ მთელი ცხოვრება სახლები **აშენა**. | 1. მეზობელმა სახლს კიდევ ერთი ოთახი **მიაშენა**. |
| 2. | 2. |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

### (A2/B1) სავარჯიშო 13.

**ა) დააკვირდი საწყისის ზმნისწინს და შეცვალე წინადადებაში ხაზგასმული ზმნის ფორმა ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** გეგმა ასეთია: ჯერ მამას ურეკავ და მერე მიდიხარ მეგობრებთან.
შენ ხვალ მამას დაურეკავ და მერე წახვალ მეგობრებთან.
(დარეკვა – რას გააკეთებ?)

1. ხვალ დილით შენ ხალიჩას **რეცხავ**, მე კი სახლს ვალაგებ.
შენ ხვალ დილით ხალიჩას ..............................., მე კი სახლს დავალაგებ.
(გარეცხვა – რას გააკეთებ?)
2. გადაწყდა! ხვალიდან ქვიშის კოშკებს **ვაშენებ**.
გადაწყდა! ხვალიდან ქვიშის კოშკებს ...............................
(აშენება – რას გავაკეთებ?)
3. ხვალ ჩვენ დაფას **ვშლით**, თქვენ **წერთ**.
ხვალ ჩვენ დაფას ..............................., თქვენ ............................... .
(წაშლა / დაწერა – რას გავაკეთებთ?)
4. ისინი ახლა იწყებენ თამაშს.
ისინი თამაშს ............................... . (დაწყება – რას გააკეთებენ?)
5. კედელს ხვალ თქვენ **ღებავთ**, თქვენი ჯერია.
თქვენ ხვალ კედელს ............................... . (შეღებვა – რას გააკეთებთ?)
6. ბებო ხვალ დაჯდება და მთელ დღეს **ქსოვს**.
ბებო ხვალ წინდას ............................... . (მოქსოვა – რას გააკეთებს?)
7. შევთანხმდით: მე ხვალ მეგობარს **ვურეკავ** და ჩვენთან ვპატიჟებ.
მე ხვალ მეგობარს ............................... და ჩვენთან დავპატიჟებ.
(დარეკვა – რას გავაკეთებ?)
8. მაშ ასე, ხვალიდან კაცები ხმელ ხეებს **ჭრიან**, ბავშვები ხმელ ტოტებს აგროვებენ.
ხვალ კაცები ხეს ..............................., ბავშვები ხმელ ტოტებს შეაგროვებენ.
(მოჭრა – რას გააკეთებენ?)
9. მოგვიანებით შენ დავალებას **წერ** და მერე მიდიხარ სათამაშოდ.
მოგვიანებით შენ დავალებას ............................... და მერე წახვალ სათამაშოდ.
(დაწერა – რას გააკეთებ?)
10. ვიცი, ხვალ საათობით **იკითხავ** წიგნს და ჩემთვის ვერ მოიცლი.
ვიცი, ხვალ წიგნს ბოლომდე ............................... და ჩემთვის ვერ მოიცლი.
(წაკითხვა – რას გააკეთებ?)

ბ) წინა დავალების წინადადებებში მოცემული ზმნები ჩაწერე შესაბამის სვეტში:

| დაუსრულებელი მოქმედება | დასრულებული მოქმედება |
|---|---|
| ურეკავ | დაურეკავ |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## (A2/B1) სავარჯიშო 14. ჩასვი მოცემული სიტყვები შესაბამის ადგილას:

**ნიმუში:** ბოლო დროს ხეების **ქრა** გახშირდა სოფელში,
ახლაც ქერმის ხის **მოჭრა** განუზრახავს ზურაბს. (ჭრა / მოჭრა)

1. .................... ამშვიდებსო , გამიგია. (ქსოვა / მოქსოვა)
2. .................... ვისწავლე და კაშნეს .................... გადავწყვიტე. (ქსოვა / მოქსოვა)
3. დათა .................... სწავლობს. (წერას / დაწერას)
4. ლელამ მეგობარს დეტექტივის .................... ურჩია. (კითხვა / წაკითხვა)
5. ნანამ ხუთი წლის ასაკში უკვე .................... იცოდა. (კითხვა / წაკითხვა)
6. გიამ თავისი ეზოს ღობის .................... გადაწყვიტა. (ღებვა / შეღებვა)
7. დიდი კუნძების .................... გიგას არ გასჭირვებია. (ჭრა /დაჭრა)
8. ამ ხალიჩის .................... გუშინ დაიწყო. (რეცხვა /გარეცხვა)
9. დღეს დედამ ამ ხალიჩის .................... გადაწყვიტა. (რეცხვა / გარეცხვა)
10. ქეთიმ მეგობართან .................... და დალაპარაკება გადაწყვიტა. (რეკვა / დარეკვა)
11. სახლების .................... მისი მოწოდება იყო, ახლაც მრავალსართულიანი კორპუსის .................... დაავალეს. (შენება / აშენება)
12. თავისი საყვარელი წიგნის კიდევ ერთხელ .................... გადაწყვიტა ანამ, უყვარდა ამ გოგოს წიგნების .................... . (კითხვა / გადაკითხვა)

## (B1) სავარჯიშო 15. ნიმუშის მიხედვით აწარმოე სრული ასპექტის ზმნები:

| საწყისი | უსრული ასპექტი (ახლანდელი დრო) | სრული ასპექტი | |
|---|---|---|---|
| | | მომავალი დრო | წარსული დრო |
| გაგზავნა | ვგზავნი | გავგზავნი | გავგზავნე |
| დავარცხნა | ვვარცხნი | | |
| დაკეტვა | ვკეტავ | | |
| გამეორება | ვიმეორებ | | |
| გაცხელება | ვაცხელებ | | |
| დაგვა | ვგვი | | |
| დაპირება | ვაპირებ | | |
| გაკეთება | ვაკეთებ | | |
| გახსენება | ვიხსენებ | | |
| დახატვა | ვხატავ | | |

## (B1) სავარჯიშო 16. შეადგინე ტექსტი წინა სავარჯიშოებში გამოყენებული წინადადებების გამოყენებით:

**გაითვალისწინე:** უნდა გამოიყენო როგორც დაუსრულებელი, ისე დასრულებული მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები:

## ზმნის გვარი

| საწყისი | აქტიური სუბიექტი (მოქმედებითი გვარის ფორმა) | მოქმედება სრულდება, მაგრამ სუბიექტი არ ჩანს (ვნებითი გვარის ფორმა) |
|---|---|---|
| **წერა** | წერს **ის მას**, წერდა, **ის მას**,<br>დაწერს **ის მას**, დაწერა **მან ის** | იწერება **ის**, იწერებოდა **ის**,<br>დაიწერება **ის**, დაიწერა **ის** |
| **დუღილი** | ადუღებს **ის მას**, ადუღებდა **ის მას**,<br>აადუღებს **ის მას**, აადუღა **მან ის** | დუღდება **ის**, დუღდებოდა **ის**,<br>ადუღდება **ის**, ადუღდა **ის** |
| **შენება** | აშენებს **ის მას**, აშენებდა **ის მას**,<br>ააშენებს **ის მას**, ააშენა **მან ის** | შენდება **ის**, შენდებოდა **ის**,<br>აშენდება **ის**, აშენდა **ის** |
| **რეცხვა** | რეცხავს **ის მას**, რეცხავდა **ის მას**,<br>გარეცხავს **ის მას**, გარეცხა **მან ის** | ირეცხება **ის**, ირეცხებოდა **ის**,<br>გაირეცხება **ის**, გაირეცხა **ის**, |
| **კერვა** | კერავს **ის მას**, კერავდა **ის მას**,<br>შეკერავს **ის მას**, შეკერა **მან ის** | იკერება **ის**, იკერებოდა **ის**,<br>შეიკერება **ის**, შეიკერა **ის** |
| **ქრა** | ქრის **ის მას**, ქრიდა **ის მას**,<br>დაქრის **ის მას**, დაქრა **მან ის** | იქრება **ის**, იქრებოდა **ის**,<br>დაიქრება **ის**, დაიქრა **ის** |
| **წაშლა**<br>(მსგავსად იწარმოება გაშლა, გადაშლა, ამოშლა) | შლის **ის მას**, შლიდა **ის მას**,<br>წაშლის **ის მას**, წაშალა **მან ის** | იშლება **ის**, იშლებოდა **ის**,<br>წაიშლება **ის**, წაიშალა **ის** |
| **ქსოვა** | ქსოვს **ის მას**, ქსოვდა **ის მას**,<br>მოქსოვს **ის მას**, მოქსოვა **მან ის** | იქსოვება **ის**, იქსოვებოდა **ის**,<br>მოიქსოვება **ის**, მოიქსოვა **ის** |
| **ღებვა** | ღებავს **ის მას**, ღებავდა **ის მას**,<br>შეღებავს **ის მას**, შეღება **მან ის** | იღებება **ის**, იღებებოდა **ის**,<br>შეიღებება **ის**, შეიღება **ის** |
| **დაწყება** | იწყებს **ის მას**, იწყებდა **ის მას**,<br>დაიწყებს **ის მას**, დაიწყო **მან ის** | იწყება **ის**, იწყებოდა **ის**,<br>დაიწყება **ის**, დაიწყო **ის** |
| **გაგზავნა** | გზავნის **ის მას**, გზავნიდა **ის მას**,<br>გაგზავნის **ის მას**, გაგზავნა **მან ის** | იგზავნება **ის**, იგზავნებოდა **ის**,<br>დაიგზავნება **ის**, გაიგზავნა **ის** |
| **დავარცხნა** | ივარცხნის **ის მას**,ივარცხნიდა **ის მას**,<br>დაივარცხნის **ის მას**, დაივარცხნა **მან ის** | ივარცხნება **ის**, ივარცხნებოდა **ის**,<br>დაივარცხნება **ის**, დაივარცხნა **ის** |
| **დაკეტვა** | კეტავს **ის მას**, კეტავდა **ის მას**,<br>დაკეტავს **ის მას**, დაკეტა **მან ის** | იკეტება **ის**, იკეტებოდა **ის**,<br>დაიკეტება **ის**, დაიკეტა **ის** |
| **დამზადება**<br>(მსგავსად იწარმოება მომზადება) | ამზადებს **ის მას**, ამზადებდა **ის მას**,<br>დაამზადებს **ის მას**, დაამზადა **მან ის** | მზადდება **ის**, მზადდებოდა **ის**,<br>დამზადდება **ის**, დამზადდა **ის** |
| **გაცხელება** | აცხელებს **ის მას**, აცხელებდა **ის მას**,<br>გააცხელებს **ის მას**, გააცხელა **მან ის** | ცხელდება **ის**, ცხელდებოდა **ის**,<br>გაცხელდება **ის**, გაცხელდა **ის** |
| **გაცივება** | აცივებს **ის მას**, აცივებდა **ის მას**,<br>გააცივებს **ის მას**, გააცივა **მან ის** | ცივდება **ის**, ცივდებოდა **ის**,<br>გაცივდება **ის**, გაცივდა **ის** |
| **დაგვა** | გვის **ის მას**, გვიდა **ის მას**,<br>დაგვის **ის მას**, დაგავა **მან ის** | იგვება **ის**, იგვებოდა **ის**,<br>დაიგვება **ის**, დაიგვა **ის** |
| **გაკეთება**<br>(მსგავსად იწარმოება შეკეთება) | აკეთებს **ის მას**, აკეთებდა **ის მას**,<br>გააკეთებს **ის მას**, გააკეთა **მან ის** | კეთდება **ის**, კეთდებოდა **ის**,<br>გაკეთდება **ის**, გაკეთდა **ის** |
| **ბეჭდვა** | ბეჭდავს **ის მას**, ბეჭდავდა **ის მას**,<br>დაბეჭდავს **ის მას**, დაბეჭდა **მან ის** | იბეჭდება **ის**, იბეჭდებოდა **ის**,<br>დაიბეჭდება **ის**, დაიბეჭდა **ის** |
| **ხატვა** | ხატავს **ის მას**, ხატავდა **ის მას**,<br>დახატავს **ის მას**, დახატა **მან ის** | იხატება **ის**, იხატებოდა **ის**,<br>დაიხატება **ის**, დაიხატა **ის** |
| **ხარშვა** | ხარშავს **ის მას**, ხარშავდა **ის მას**,<br>მოხარშავს **ის მას**, მოხარშა **მან ის** | იხარშება **ის**, იხარშებოდა **ის**,<br>მოიხარშება **ის**, მოიხარშა **ის** |

**(A2) სავარჯიშო 1.** **დააკვირდი ზემოთ მოცემულ ცხრილს და ჩაწერე საჭირო ფორმა:**

**ნიმუში:** ბეჭდავს / **იბეჭდება**

გამომცემლობაში საინტერესო წიგნი იბეჭდება.

**ბეჭდავს** / იბეჭდება

გამომცემელი საინტერესო წიგნს ბეჭდავს.

1. შლის / იშლება

დედა ჩემი დაბადების დღის სუფრას ................................ .

შლის / იშლება

ჩვენს ოჯახში დღესასწაულებზე ყოველთვის დიდი სუფრა ................................ .

2. იწყებს / იწყება

მასწავლებელი გაკვეთილს ................................ .

იწყებს / იწყება

გაკვეთილები ჩვენს სკოლაში  ცხრა საათზე ................................ .

3. აკეთებს / კეთდება

ამ ქვეყანაში ბევრი კარგი საქმე ................................ .

აკეთებს / კეთდება

დედაჩემი სახლში ბევრ საქმეს ................................ .

4. კერავს / იკერება

ამ სალონში ქალის ტანსაცმელი ................................ .

კერავს / იკერება

ჩემი მეგობარი ქალის ტანსაცმელს კარგად ................................ .

5. აცივებს / ცივდება

პატარა გოგონასთვის დედა ჩაის ................................ .

აცივებს / ცივდება

ჩემი ჩაი ................................ .

6. გზავნის / იგზავნება

ფოსტით ამანათი ადვილად ................................ .

გზავნის / იგზავნება

ნინო მეგობართან წერილს ................................ .

7. კეტავს / იკეტება

გიორგი მაღაზიას 8 საათზე ................................ .

კეტავს / იკეტება

პანდემიის გამო მაღაზიები ადრე ................................ .

8. რეცხავს / ირეცხება

ბებია ქურქელს ................................ .

რეცხავს / ირეცხება

ჩემი კაბა სარეცხ მანქანაში ................................ .

9. ამზადებს / მზადდება

ამ კაფეში  კონდიტერი ყოველთვის გემრიელ ტორტს ................................ .

ამზადებს / მზადდება

ჩვენთან  გემრიელი სადილი ყოველთვის ................................ .

10. ქსოვს / იქსოვება

ამ სალონში ლამაზი წინდები ................................ .

ქსოვს / იქსოვება

ბებია ჩემს წინდებს  სწრაფად ................................ .

**(A2) სავარჯიშო 2. ჩაწერე ფრჩხილებში მითითებული სიტყვა საჭირო ფორმით:**

**ნიმუში:** თმა სალონში დაივარცხნა თამარმა. (თამარი)

1. (ნანა) .............................. მოსაწვევი ბარათები დაბეჭდა უკვე.
2. ეს (კაფე) .............................. რომელ საათზე იკეტება?
3. სად მზადდება ეს .............................. . (პოსტერები)
4. დიდხანს ხატავდა ამ (სურათი) .............................. ჩემი მეგობარი.
5. ლიამ .............................. (ოთახები) დაგავა.
6. სანამ ლალი (წყალი) .............................. ადუღებს, (კატო) .............................. ცომს მოამზადებს.
7. (თინათინი) .............................. თმა დაივარცხნა.
8. წვიმის შემდეგ ცაზე ლამაზი (ცისარტყელა) .............................. დაიხატა.
9. ბოლოს და ბოლოს კარგი (საქმე) .............................. გააკეთა ადვოკატმა.
10. სტუმრები გვყავდა და ახლა დედა (მაგიდა) .............................. ალაგებს, ხოლო (ბებია) .............................. ჭურჭელს რეცხავს.

**(A2) სავარჯიშო 3. შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** მარიამი სურათს ხატავს.
სურათი იხატება.

1. დავითი წერილს გზავნის. ..............................
2. ნინო მოქსოვს წინდას. ..............................
3. ზაზა კარს კეტავდა. ..............................
4. თეამ ჩაი ადუღა. ..............................
5. მეეზოვე ქუჩას გვის. ..............................
6. დედა სადილს მოამზადებს. ..............................
7. პროფესორმა ლექცია დაიწყო. ..............................
8. მწერალი საინტერესო რომანს წერს. ..............................
9. ეს საშლელი ნაწერს კარგად შლის. ..............................
10. ანარი და ანა ბინას აშენებენ. ..............................

**(A2) სავარჯიშო 4.** **შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** აქ ლამაზი მისალოცი ბარათები მზადდება.
აქ დიზაინერები ლამაზ მისალოც ბარათებს ამზადებენ.

1. კაბის შეკერვამდე ჯერ მოდელები იხატება.

........................................................................................................................................................

2. ამანათები ფოსტიდან ყოველ პარასკევს იგზავნება.

........................................................................................................................................................

3. ეს წვნიანი ჩემთვის ცხელდებოდა?

........................................................................................................................................................

4. ხვალ, 4 საათზე დაიწყება ჩვენი შეხვედრა.

........................................................................................................................................................

5. ეს კედლები ვარდისფრად  შეიღებება.

........................................................................................................................................................

6. ძალიან კარგად დაივარცხნა თქვენი თმა.

........................................................................................................................................................

7. ალბათ, სწრაფად დამზადდება ჩვენი შეკვეთა.

........................................................................................................................................................

8. რესტორნები 28 ნოემბრიდან დაიკეტა.

........................................................................................................................................................

9. ეს წიგნი თვითონ გადაიშალა.

........................................................................................................................................................

(A2) სავარჯიშო 5. **ნიმუშის მიხედვით შეადგინე წინადადებები:**

**ნიმუში:** დახატა (მან ის) ფიროსმანმა დახატა მეეზოვე.
იხატება (ის) ამ სახელოსნოში პორტრეტები იხატება.

იგვება (ის)

..........

კეტავდა (ის მას)

..........

შეკერავს (ის მას)

..........

გაცივდა (ის)

..........

დაბეჭდა (მან ის)

..........

დაიწყება (ის)

..........

დაქრა (მან ის)

..........

დაიშალა (ის)

..........

ააშენებს (ის მას)

..........

შენდებოდა (ის)

..........

**(A2) სავარჯიშო 6.** **დააკავშირე ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** დახატა ▶ ფიროსმანმა სურათი
დაიხატება

1. დაიქრება — დედა ტორტს
   დაჭრის
2. დაკეტავ — შენ ოფისს
   დაიკეტება
3. იგზავნება — პროდუქტი
   გაგზავნის
4. კერავდა — შარვალს მკერავი
   იკერებოდა
5. გაცივდა — ჩაი
   გააცივა
6. დაგავა — ქუჩა მეეზოვემ
   დაიგავა
7. წერდა — დავალება
   იწერებოდა
8. აშენდება — კორპუსი
   ააშენებს
9. ჭამს — ბავშვი ხილს
   იჭმება

(A2) სავარჯიშო 7.

ა) **გადახაზე ზედმეტი:**

**ნიმუში:** დაიქრა იქრებოდა ~~დაქრა~~

| | | |
|---|---|---|
| ხარშავს | მოხარშავს | იხარშება |
| დაივარცხნის | დაივარცხნა | ივარცხნება |
| იწერება | იწერებოდა | დაწერა |
| ააშენა | შენდება | აშენებს |
| ღებავს | იღებებოდა | შეიღებება |
| იქსოვება | მოქსოვა | ქსოვდა |
| რეცხავს | გარეცხავს | ირეცხება |
| დუღდება | ადუღებს | მოადუღებს |
| მზადდება | მოამზადა | ამზადებდა |
| იგვება | იგვებოდა | გვიდა |

ბ) **გადახაზული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................

## (A2) სავარჯიშო 8. გადაანაწილე მოცემული ზმნები ცხრილში:

დაიწყო, გარეცხა, გაიგზავნა, დაბარა, აშენდა, წაიშალა, დაქრა, დაიბეჭდა, დაგავა, დამზადდა.

**ნიმუში:** დაწერა მან (თიკომ) ის (წერილი) იწერება ის (წერილი)

| მოქმედებითი გვარი | ვნებითი გვარი |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |

**ბ) მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

1. ...
2. ...
3. ...
4. ...
5. ...
6. ...
7. ...
8. ...
9. ...
10. ...

## (A2) სავარჯიშო 9. ჩასვი შესაბამისი ბრუნვის ფორმით:

1. ............ დაწერა წიგნი (გივი).
2. დიდი სიამოვნებით გაუგზავნის ............ ნინოს თაიგულს (თათია).
3. გუშინ ............ ოთახს გვიდა (დედა).
4. ვინდოუსის გადაყენებისას ყველა ............ იშლება (ფაილი).
5. შარშან ............ სახლი ააშენა (ნიკო).
6. აღდგომასა და ნოვრუზზე ............ იღებება (კვერცხები).
7. ............ დაფა წაშალა (მასწავლებელი).
8. ............ ყოველდღე 9 საათზე იწყება (გაკვეთილი).
9. ეს სურათები ............ დახატეს (ბავშვები).
10. ............ კაკაოსაგან მზადდება (შოკოლადი).

## (A2) სავარჯიშო 10. აირჩიე და ჩასვი სწორი ფორმა:

1. გუშინ ............................ (თიკო / თიკომ / თიკოს) ............................ .
(ლობიანი / ლობიანმა / ლობიანს) გააცხელა.
2. შენ და ............................ (გოგი / გოგიმ / გოგის) ............................
(წერილი / წერილმა / წერილს) წერთ.
3. თათია და ნათია კერავდნენ ............................ (კაბები / კაბებმა / კაბებს).
4. გუშინ ............................ (კონცერტი / კონცერტმა / კონცერტს) 6 საათზე დაიწყო.
5. ხვალ ............................ (დედა / დედამ / დედას) გააკეთებს ............................
(საჭმელი / საჭმელმა / საჭმელს).
6. მე და ............................ (მაკა / მაკამ / მაკას) ............................
(კომპოტი / კომპოტმა / კომპოტს) ვამზადებთ.
7. მალე ჩემი ............................ (წიგნი / წიგნმა / წიგნს) დაიბეჭდება.
8. გუშინ ............................ (ანა / ანამ / ანას) ............................
(ქურქელი / ქურქელმა / ქურქელს) რეცხავდა.
9. ჩაისთვის ............................ (წყალი / წყალმა / წყალს) უკვე ცხელდება.
10. ............................ (ბებიაჩემი / ბებიაჩემმა / ბებიაჩემს) ............................
(რძე / რძემ / რძეს) ადუღებს ჩემთვის.

## (A2) სავარჯიშო 11.

### ა) გადაიყვანე მოქმედებითი გვარის ზმნები ვნებით გვარში:

| | | | |
|---|---|---|---|
| აშენებს – | ............................ | ხატავს – | ............................ |
| შლის – | ............................ | აკეთებს – | ............................ |
| ამზადებს – | ............................ | აცხელებს – | ............................ |
| წერს – | ............................ | ბეჭდავს – | ............................ |
| ღებავს – | ............................ | კერავს – | ............................ |

### ბ) ვნებითი გვარის ფორმებით შეადგინე წინადადებები:

1. ............................
2. ............................
3. ............................
4. ............................
5. ............................
6. ............................
7. ............................
8. ............................
9. ............................
10. ............................

## (A2) სავარჯიშო 12. დააკავშირე სიტყვები ზმნასთან:

ა)

| | | |
|---|---|---|
| 1. | დედამ | აშენებენ |
| 2. | ნათია | დაქრა |
| 3. | ბავშვებმა | მოქსოვს |
| 4. | ძმები | ვარცხნიდა |
| 5. | სტილისტი | დაწერეს |

ბ)

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჩაი | იბეჭდება |
| 2. | კაბა | იწყება |
| 3. | გაზეთი | ცივდება |
| 4. | საქმე | კეთდება |
| 5. | ლექცია | შეიკერება |

გ) მოცემული ფრაზების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

## (A2) სავარჯიშო 13. შეარჩიე და ჩასვით სწორი ფორმა:

**მოქსოვა / მოიქსოვა**

1. ადვილად .................................. ეს სვიტერი.
2. დედამ თბილი ქუდი .................................. .

**იღებავს / იღებება**

1. ნათია თვალებს ყოველთვის ლურჯად .................................. .
2. არემარე თეთრად .................................. .

**კეტავდა / იკეტებოდა**

1. ეს მაღაზია ყოველთვის გვიან .................................. .
2. ნოდარი კაბინეტს არასოდეს .................................. .

**გაგზავნის / გაიგზავნება**

1. ლუკა შვილს სასწავლებლად ინგლისში .................................. .
2. წერილი ხვალ .................................. .

**დახატა / დაიხატა**

1. ცაზე ღრუბლით კურდღელი .................................. .
2. ბაბუაჩემმა გუშინ ჩემი პორტრეტი .................................. .

(A2-B1) სავარჯიშო 14. **ჩასვი საჭირო ფორმა:**

**ნიმუში:** მეგობარი / მეგობრის მიერ
**მეგობარი** გზავნის წერილს.

მეგობარი / მეგობრის მიერ
წერილი იგზავნება **მეგობრის მიერ**.

გამომცემლობა / გამომცემლობის მიერ
.................................... წიგნი დაიბეჭდება.

გამომცემლობა / გამომცემლობის მიერ
.................................... წიგნს დაბეჭდავს.

კომპანია / კომპანიის მიერ
ამ სახლს აშენებს .................................... .

კომპანია / კომპანიის მიერ
ეს სახლი შენდება .................................... .

ხელოსანი / ხელოსნის მიერ
ეს სახლი იღებებოდა .................................... .

ხელოსანი / ხელოსნის მიერ
.................................... სახლს ღებავდა.

დიზაინერი / დიზაინერის მიერ
.................................... შეკერავს ჩემს კაბას.

დიზაინერი / დიზაინერის მიერ
ჩემი კაბა შეიკერება .................................... .

კონდიტერი / კონდიტერის მიერ
ტორტს აცხობდა .................................... .

კონდიტერი /კონდიტერის მიერ
ტორტი ცხვებოდა .................................... .

## (B1) სავარჯიშო 15. აარჩიე სწორი ვარიანტი:

**ნიმუში:** დედამ ტორტი / ტორტმა / ტორტს აცხობს

1. გამყიდველი მაღაზია / მაღაზიამ / მაღაზიას დაკეტავს.
2. ტორტი / ტორტმა / ტორტს იჭრება.
3. ჩემმა მეგობარი / მეგობარმა / მეგობარს სურათი დახატა.
4. დედა / დედამ / დედას ჩაისადუღებს.
5. შვილიშვილი ბებიასთან წერილი / წერილმა / წერილს გზავნიდა.
6. ჩემი და / დამ / დას დავალებას დაწერს.
7. ხაჭაპური / ხაჭაპურმა / ხაჭაპურს ცხვებოდა.
8. გაკვეთილი / გაკვეთილმა / გაკვეთილს მასწავლებელი ახლა იწყებს.
9. ახალი წიგნი / წიგნმა / წიგნს დაიბეჭდა.
10. ლელა / ლელამ / ლელას კაბა / კაბამ / კაბას შეიკერა.
11. ქათამი / ქათამმა /ქათამს ადვილად იხარშება.

**(B1) სავარჯიშო 16. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

**ნიმუში:** (დედა ტორტი გამოცხობა)

ა) დედამ ტორტი გამოაცხო

ბ) ტორტი ცხვება.

1. (მხატვარი, სურათი, დახატვა)
   ა) ..........
   ბ) ..........
2. (ლია, ყავა, ადუღება)
   ა) ..........
   ბ) ..........
3. (მეეზოვე, ქუჩები, ყოველდღე დაგვა)
   ა) ..........
   ბ) ..........
4. (მასწავლებელი,  გაკვეთილი, დაწყება)
   ა) ..........
   ბ) ..........
5. (ბიჭი, ეს ჩანაწერი, ვეღარ წაშლა)
   ა) ..........
   ბ) ..........
6. (სამშენებლო კომპანია ახალი ბინები აშენება)
   ა) ..........
   ბ) ..........
7. (მამა ეს სახლი დიდი ხნის წინ აშენება)
   ა) ..........
   ბ) ..........
8. (დაბადების დღის ტორტი დედა მალე დაჭრა)
   ა) ..........
   ბ) ..........
9. (ეს წერილი გუშინ გაგზავნა მენეჯერი)
   ა) ..........
   ბ) ..........
10. (მოხარშვა დედა ქათამი)
   ა) ..........
   ბ) ..........

## ქცევა

| ზმნა | მოქმედება სრულდება (არ ჩანს ვისთვის, ანუ არავისთვის) (საარვისო ქცევა) | მოქმედება სრულდება თავისთვის ან სხვისთვის (სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები) |
|---|---|---|
| **წერა** | წერს **ის მას**, წერდა, **ის მას**,<br>დაწერს **ის მას**, დაწერა **მან ის** | იწერს **ის მას**, ჩაიწერა **მან ის**<br>უწერს **ის მას მას**, დაუწერა **მან მას ის** |
| **დუღილი** | ადუღებს **ის მას**, ადუღებდა **ის მას**,<br>აადუღებს **ის მას**, აადუღა **მან ის** | იდუღებს **ის მას** (თავისთვის), აიდუღა **მან ის**<br>უდუღებს **ის მას მას**, აუდუღა **მან მას ის** |
| **შენება** | აშენებს **ის მას**, აშენებდა **ის მას**,<br>ააშენებს **ის მას**, ააშენა **მან ის** | იშენებს **ის მას** (თავისთვის), აიშენა **მან ის**<br>უშენებს **ის მას მას**, აუშენა **მან მას ის** |
| **რეცხვა** | რეცხავს **ის მას**, რეცხავდა **ის მას**,<br>გარეცხავს **ის მას**, გარეცხა **მან ის** | ირეცხავს **ის მას**, გაირეცხა **მან ის**<br>ურეცხავს **ის მას მას**, გაურეცხა **მან მას ის** |
| **კერვა** | კერავს **ის მას**, კერავდა **ის მას**,<br>შეკერავს **ის მას**, შეკერა **მან ის** | იკერავს **ის მას**, შეიკერა **მან ის**<br>უკერავს **ის მას მას**, შეუკერა **მან მას ის** |
| **ჭრა** | ჭრის **ის მას**, ჭრიდა **ის მას**,<br>დაჭრის **ის მას**, დაჭრა **მან ის** | იჭრის **ის მას**, დაიჭრა **მან ის**<br>უჭრის **ის მას მას**, დაუჭრა **მან მას ის** |
| **წაშლა** | შლის **ის მას**, შლიდა **ის მას**,<br>წაშლის **ის მას**, წაშალა **მან ის** | იშლის **ის მას**, წაიშალა **მან ის**<br>უშლის **ის მას მას**, წაუშალა **მან მას ის** |
| **ქსოვა** | ქსოვს **ის მას**, ქსოვდა **ის მას**,<br>მოქსოვს **ის მას**, მოქსოვა **მან ის** | იქსოვს **ის მას**, მოიქსოვა **მან ის**<br>უქსოვს **ის მას მას**, მოუქსოვა **მან მას ის** |
| **ღებვა** | ღებავს **ის მას**, ღებავდა **ის მას**,<br>შეღებავს **ის მას**, შეღება **მან ის** | იღებავს **ის მას**, შეიღება **მან ის**<br>უღებავს **ის მას მას**, შეუღება **მან მას ის** |
| **დაწყება** | იწყებს **ის მას**, იწყებდა **ის მას**,<br>დაიწყებს **ის მას**, დაიწყო **მან ის** | იწყებს **ის მას**, დაიწყო **მან ის**<br>უწყებს **ის მას მას**, დაუწყო **მან მას ის** |
| **დალაგება** | ალაგებს **ის მას**, ალაგებდა **ის მას**,<br>დაალაგებს **ის მას**, დაალაგა **მან ის** | ილაგებს **ის მას**, დაილაგა **მან ის**<br>ულაგებს **ის მას მას**, დაულაგა **მან მას ის** |
| **დავარცხნა** | ვარცხნის **ის მას**, ვარცხნიდა **ის მას**,<br>დავარცხნის **ის მას**, დავარცხნა **მან ის** | ივარცხნის **ის მას**, დაივარცხნა **მან ის**<br>უვარცხნის **ის მას მას**, დაუვარცხნა **მან მას ის** |
| **დაკეტვა** | კეტავს **ის მას**, კეტავდა **ის მას**,<br>დაკეტავს **ის მას**, დაკეტა **მან ის** | იკეტავს **ის მას**, დაიკეტა **მან ის**<br>უკეტავს **ის მას მას**, დაუკეტა **მან მას ის** |
| **დამზადება** | ამზადებს **ის მას**, ამზადებდა **ის მას**,<br>დაამზადებს **ის მას**, დაამზადა **მან ის** | იმზადებს **ის მას**, დაიმზადა **მან ის**<br>უმზადებს **ის მას მას**, დაუმზადა **მან მას ის** |
| **გაცხელება** | აცხელებს **ის მას**, აცხელებდა **ის მას**,<br>გააცხელებს **ის მას**, გააცხელა **მან ის** | იცხელებს **ის მას**, გაიცხელა **მან ის**<br>უცხელებს **ის მას მას**, გაუცხელა **მან მას ის** |
| **გაცივება** | აცივებს **ის მას**, აცივებდა **ის მას**,<br>გააცივებს **ის მას**, გააცივა **მან ის** | იცივებს **ის მას**, გაიცივა **მან ის**<br>უცივებს **ის მას მას**, გაუცივა **მან მას ის** |
| **ყიდვა** | ყიდულობს **ის მას**, ყიდულობდა **ის მას**,<br>იყიდის **ის მას**, იყიდა **მან ის** | ყიდულობს **ის მას**, იყიდა **მან ის**<br>უყიდა **მან მას ის** |
| **გაკეთება** | აკეთებს **ის მას**, აკეთებდა **ის მას**,<br>გააკეთებს **ის მას**, გააკეთა **მან ის** | იკეთებს **ის მას**, გაიკეთა **მან ის**<br>უკეთებს **ის მას**, გაუკეთა **მან მას ის** |
| **ბეჭდვა** | ბეჭდავს **ის მას**, ბეჭდავდა **ის მას**,<br>დაბეჭდავს **ის მას**, დაბეჭდა **მან ის** | იბეჭდავს **ის მას**, დაიბეჭდა **მან ის**<br>უბეჭდავს **ის მას მას**, დაუბეჭდა **მან მას ის** |
| **ხატვა** | ხატავს **ის მას**, ხატავდა **ის მას**,<br>დახატავს **ის მას**, დახატა **მან ის** | იხატავს **ის მას**, დაიხატა **მან ის**<br>უხატავს **ის მას მას**, დაუხატა **მან მას ის** |

| მოქმედება სრულდება თავისთვის (სათავისო) | მოქმედება სრულდება სხვისთვის (სასხვისო) | არ ჩანს ვისთვის სრულდება მოქმედება |
|---|---|---|
| იკეთებს (ის მას)<br>გაიკეთებს (ის მას)<br>გაიკეთა (მან ის) | უკეთებს (ის მას მას)<br>გაუკეთებს (ის მას მას)<br>გაუკეთა (მან მას ის) | აკეთებს (ის მას)<br>გააკეთებს (ის მას)<br>გააკეთა (მან ის) |

## (B1) სავარჯიშო 1.

### ა) ჩაწერეთ ზმნის სწორი ნიშანი ი /უ / x (არაფერი):

მკერავები ...კერავენ კლიენტებს ახალ ტანსაცმელს.
ნარგიზმა იცის კერვა და ხშირად ...კერავს ტანსაცმელებს.
დედაჩემი ლამაზ კაბებს ...კერავს.

### ბ) ჩასვი ზმნის სწორი ფორმები (კერავს / იკერავს / უკერავს):

ლელას ახალი კაბა უნდა. ნათია ლელას .................................... კაბას.
ნათიას უყვარს ტანსაცმლის კერვა. ის ხშირად ...................... სხვადასხვა ტანსაცმელს.
ნათიას არ აქვს ახალი კაბა. ის .................................... თავისთვის ლამაზ კაბას.

### გ) მოცემული ზმნის ფორმების მიხედვით შეადგინე წინადადებები:

კერავენ, იკერავენ, უკერავენ, კერავდა, იკერავდა, უკერავდა.

### დ) მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:

კერავ, უკერავ, იკერავ, ვუკერავდით, ვკერავდით,
ვიკერავდით, უნდა შევიკერო, უნდა შევკერო, უნდა შევუკერო.

| აკეთებს თავისთვის | აკეთებს სხვისთვის | არ ჩანს ვისთვის აკეთებს |
|---|---|---|
| | | |

### ე) ჩასვი დიალოგში მოცემული ზმნის ფორმები: ვიკერავ / უკერავ

რა ლამაზი კაბაა, თათია! ვის .................................... ?
არავის, მარი. მე .................................... . არ მქონდა საზაფხულო კაბა.

### (B1) სავარჯიშო 2.

**ა) ჩაწერე ზმნის სწორი ნიშანი ი /უ / X (არაფერი):**

ლანას ბებია კარგად ... ქსოვდა და ხშირად ... ქსოვდა თბილ ჯემპრებს შვილიშვილებს. მარტო მათ – არა. მათ მეგობრებსაც ... ქსოვდა-ხოლმე, როცა დრო ჰქონდა.

**ბ) ჩასვი ზმნის სწორი ფორმები (იქსოვდა / ქსოვდა / უქსოვდა):**

ბებია შვილიშვილებს ყოველ ზამთარს .................................... თბილ წინდებს.
ბებია სულ სავარძელში იჯდა და .................................... .
ბებია სოფელში იყო და თავისთვის თავშალს .................................... .

**გ) მოცემული ზმნის ფორმების მიხედვით შეადგინე წინადადებები:**

ქსოვს, იქსოვს, უქსოვს, მოქსოვს, მოიქსოვს, მოუქსოვს.

................................................................................................................

................................................................................................................

................................................................................................................

................................................................................................................

................................................................................................................

................................................................................................................

**დ) მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:**

ვიქსოვ, ვქსოვ, ვუქსოვ, მოქსოვა, მოუქსოვა,
მოიქსოვა, მოიქსოვ, მოუქსოვ, მოქსოვ.

| აკეთებს თავისთვის | აკეთებს სხვისთვის | არ ჩანს ვისთვის აკეთებს |
|---|---|---|
| | | |

**ე) ჩასვი დიალოგში მოცემული ზმნის ფორმები: ქსოვ / ვუქსოვ**

ქეთო ბებო, რა სწრაფად .................................... , სად გეჩქარება?
ზამთრისთვის შვილიშვილებს .................................... და მინდა მოვასწრო.

## (B1) სავარჯიშო 3.

### ა) ჩაწერე ზმნის სწორი ნიშანი ი / უ / X (არაფერი):

სამშენებლო კომპანია ქალაქის გარეუბანში ექვსართულიან კორპუსებს ...შენებს.
ჩემი მეგობარი ისანში ...შენებს სახლს.
უნივერსიტეტი სტუდენტებს ...შენებს კამპუსს.

### ბ) ჩასვი ზმნის საჭირო ფორმა (აშენებს / იშენებს / უშენებს):

სამშენებლო კომპანია „მოგზაური“ ................................ სახლებს ბაკურიანში.
სამშენებლო კომპანია „მოგზაური“ მსურველებს ................................ სახლებს ბაკურიანში.
სამშენებლო კომპანიის მენეჯერს ძალიან მოსწონს ეს ადგილი და აქ ................................ სახლს.

### გ) მოცემული ზმნის ფორმების მიხედვით შეადგინე წინადადებები:

ააშენებს, აიშენებს, აუშენებს, აშენებდა, იშენებდა, უშენებდა.

................................................................................................

................................................................................................

................................................................................................

### დ) მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:

უნდა ავუშენო, უნდა ავაშენო, უნდა ავიშენო, ვიშენებდი, ვუშენებდი, ვაშენებდი, ავიშენებდი, ავუშენებდი, ავაშენებდი.

| აკეთებს თავისთვის | აკეთებს სხვისთვის | არ ჩანს ვისთვის აკეთებს |
|---|---|---|
| | | |

### ე) ჩასვი დიალოგში მოცემული ზმნის ფორმები: უშენებს / იშენებს

ნოდარ, ხომ არც იცი, გურამი ლიას ...შენებს იმ სახლს?
– არა. ლიას უკვე აქვს. თავისთვის ...შენებს

## (B1) სავარჯიშო 4.

### ა) ჩაწერე ზმნის სწორი ნიშანი ი /უ / X (არაფერი):

ისანში კარგი სამღებროა. იქ ხარისხიანად ...ღებავენ ტანსაცმელს.

დედა სალონში არ დადის. ის ყოველთვის შინ ...ღებავს თმას.

ჩემს უბანში სილამაზის სალონია და მაღალი ხარისხის საღებავით ...ღებავენ თმას.

### ბ) ჩასვი ზმნის საჭირო ფორმები (ღებავს / უღებავს / იღებავს):

ეს სტილისტი დიდი ხანია მუშაობს სილამაზის სალონში. ის კარგად ............................ თმას კლიენტებს.

ლიკას დრო არ აქვს სალონში რომ წავიდეს და სახლში ............................ თმას.

ნანა ხუთი წელია სტილისტად მუშაობს და ის ყველაზე კარგად ............................ თმას.

### გ) მოცემული ზმნის ფორმების მიხედვით შეადგინე წინადადებები:

ღებავენ, იღებავენ, უღებავენ, ღებავდნენ,
იღებავდნენ, უღებავდნენ.

............................................................

............................................................

............................................................

............................................................

### დ) მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:

ღებავს, უღებავს, იღებავს, იღებავდით, უღებავდნენ,
ღებავდა, შევიღებავ, შევღებავ, შევუღებავ.

| აკეთებს თავისთვის | აკეთებს სხვისთვის | არ ჩანს ვისთვის აკეთებს |
|---|---|---|
| | | |

### ე) ჩასვი დიალოგში მოცემული ზმნის ფორმები: უღებავს/ღებავს

უკაცრავად,ხომ არ იცით, ვინ ............................ „IVERIAბანკის“ ავტომანქანებს?

აი, ის ავტოხელოსანი ............................ „IVERIA ბანკს“ მანქანებს.

(B1) სავარჯიშო 5.

ა) ჩაწერე ზმნის სწორი ნიშანი ი /უ / X (არაფერი):

თენგოს ძალიან უყვარს შემწვარი კარტოფილი. ამიტომ დედა ხშირად ...წვავს თენგოს კარტოფილს.

ანას ოჯახში შემწვარი თევზი ანას გარდა არავის უყვარს. ამიტომ ანა თევზს მხოლოდ თავისთვის ...წვავს.

თუ გინდათ გასინჯოთ უგემრიელესი მწვადი, რესტორან „ჩვენებურში" უნდა შეხვიდე. იქ პროფესიონალურად ...წვავენ მწვადს.

ბ) ჩასვი ზმნის საჭირო ფორმები (წვავდა / იწვავდა / უწვავდა):

არჩილი სტუმრებს მწვადს .................................. .

ლაშა სოკოს ყოველთვის თავისთვის .................................. .

ნიას მამა დაბადების დღეზე უგემრიელეს მწვადს ..................................-ხოლმე.

გ) მოცემული ზმნის ფორმების მიხედვით შეადგინე წინადადებები:

შეწვავს, შეუწვავს, შეიწვავს, უნდა შეიწვას,
უნდა შეიწვას, უნდა შეწვას.

................................................................................................................

................................................................................................................

................................................................................................................

დ) მოცემული ზმნები დააჯგუფე ცხრილში:

ვწვავ, ვუწვავ, იწვავენ, იწვავ, შევუწვი,
წვავდნენ, იწვავდნენ, უწვავდნენ, შევწვი.

| აკეთებს თავისთვის | აკეთებს სხვისთვის | არ ჩანს ვისთვის აკეთებს |
|---|---|---|
| | | |

ე) ჩასვი დიალოგში მოცემული ზმნის ფორმები: ვუწვავ/იწვავ

გია, შენთვის .................................. კვერცხს?

არა. ჯერ ლიას .................................. .

**(B1) სავარჯიშო 1.** **ფრჩხილებში მოცემული საწყისები წარმოადგინე სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმით:**

**ნიმუში:** ნანა ჩაის ................ , შვილიშვილის კი რძეს ................ . (ადუღება)

**ნანა ჩაის იდუღებს, შვილიშვილს კი რძეს უდუღებს.**

1. გიორგი სალაშქროდ წასაღებ საგზალს ................ და თავის ძაღლს ორი დღის სამყოფ საჭმელს ................ (დამზადება).
2. ლელა სუპს ................ , ხოლო დედას ხაჭაპურს ................ (გაცხელება).
3. ექიმი ანკეტაში პაციენტის მონაცემებს ................ და შემდეგ მას წამლის რეცეპტს ................ (წერა).
4. აივნის ქერზე მერცხალი ბუდეს ................ , ეზოში კი გიო ძაღლს პატარა სახლს ................ (შენება).
5. მამა ეზოში მანქანას ................ და ელისოს ველოსიპედს ................ (რეცხვა).
6. ბებო სათვალის ჩასადებს ................ , შვილიშვილს კი ტელეფონის ჩასადებს ................ (კერვა).
7. დედა თბილ ჯემპრს ................ , დარჩენილი ძაფისგან მამას შარფს ................ (ქსოვა).
8. კარნავალისთვის ნათია თმებს ცისფრად ................ , ნანას კი ჟოლოსფრად ................ (შეღებვა).
9. გელა თაროს ................ , თავის ძმას კი საწერი მაგიდის უჯრას ................ (დალაგება).
10. მასწავლებელი მოსწავლეთა მონაცებებს ................ , მოსწავლეებს კი შემაჯამებელ ტესტებს ................ (ბეჭდვა).

(B1) სავარჯიშო 2.

ა) შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

| ზმნა | საარვისო ქცევა | სათავისო ქცევა | სასხვისო ქცევა |
|---|---|---|---|
| ქრა | ვქრი | ვიქრი | ვუქრი |
| წაშლა | | | უშლიდა ის |
| დაწყება | დაქერი შენ | | |
| დავარცხნა | | დავივარცხნით | |
| დაკეტვა | დაკეტეს | | |
| გაცივება | | გავიცივებთ | |

ბ) შეარჩიე ცხრილში მოცემული 6 ფორმა და შეადგინე წინადადებები:

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........

(B1) სავარჯიშო 3. **შეცვალე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

**ნიმუში:** ახალგაზრდა არქიტექტორები ცათამბჯენს აშენებენ.
**ახალგაზრდა არქიტექტორები ბიზნესჯგუფისთვის ცათამბჯენს აშენებენ.**

1. რესტორნის მენეჯერი ზღვის პროდუქტების დიდ შეკვეთას **ყიდულობს**.

.......................................................................................................

2. მე ხშირად **ვაკეთებდი** ალუბლის ტორტს.

.......................................................................................................

3. ბავშვებმა თეატრის აფიშა **დახატეს**.

.......................................................................................................

4. შენ **შეკერე** ეს ბაფთებიანი კაბა?

.......................................................................................................

5. მასწავლებელმა შემაჯამებელი ტესტები **დაბეჭდა**.

.......................................................................................................

6. ბებო ახალმოხარშულ ფაფას სულის შებერვით **აცივებდა**.

.......................................................................................................

7. მე საქრელ დაფაზე **დავქრი** ამ სტაფილოს.

.......................................................................................................

8. შენ ძალიან ლამაზ ფერებში **ღებავ** საქსოვ ძაფებს.

.......................................................................................................

9. მე და ჩემი მეგობრები საახალწლო საჩუქრებს **დავამზადებთ**.

.......................................................................................................

10. სტუდენტები თვის ბოლოს საკურსო თემას **დაწერენ**.

.......................................................................................................

(B1) სავარჯიშო 4.

ა) მოცემული ზმნები ტექსტში ჩასვით შესაბამის ადგილას:

დაბანა / დაიბანა; გავაკეთე / გავუკეთე; გაიღვიძა / გააღვიძა;
დარეკა / დაურეკა; იყიდა / უყიდა; მოიმზადა / მოუმზადა;

მეგიმ დილით ადრე .................... და ბავშვიც .................... . ჯერ თავად .................... ხელ-პირი, მერე ბავშვს .................... . თავისთვის ყავა .................... , ბავშვს ფაფა და ჩაი .................... . ორივემ ისაუზმეს და სახლიდან გავიდნენ. მეგიმ ბავშვი საბავშვო ბაღში მიიყვანა, თავად კი სამსახურში ტაქსით წავიდა. გზაში გაახსენდა, რომ გუშინ დედამ .................... , ამიტომ მოძებნა ტელეფონი და დედასთან .................... . დედამ უპასუხა, რომ საღამოს მას და ბავშვს ვახშმად ელოდებოდა. ბევრი საჭმელი .................... და ბავშვსაც მისი საყვარელი კაკლის ნამცხვარი ....................ო. მეგი შეპირდა დედას, რომ აუცილებლად ესტუმრებოდა.

საღამოს მეგიმ ბავშვი საბავშვო ბაღიდან გამოიყვანა, შემდეგ სუპერმარკეტში შევიდა. მან დედას ყავა და შოკოლადი ...................., თავისთვის ხელსახოცი და პირბადე .................... და ბავშვთან ერთად დედასთან წავიდა.

ბ) ტესტიდან ამოწერე ზმნები და ცხრილში ჩაწერე შესაბამის სვეტში:

| საარვისო ქცევის ზმნები | სათავისო ქცევის ზმნები | სასხვისო ქცევის ზმნები |
|---|---|---|
| | | |

## (B1) სავარჯიშო 5. დიალოგში გამოტოვებულ ადგილას ზმნები ჩაწერე შესაბამისი ქცევის ფორმით:

– გამარჯობა ნინო, თმები შენ ........................ (შეღებვა)?
– კი, მე ........................ (შეღებვა) და ნანასაც მე ........................ (შეღებვა).
– ძალიან ლამაზი ფერია, მიყვარს შინდისფერი. ნანას რა ფერზე ........................ (შეღებვა)?
– ნანას შავი ფერი უნდოდა და შავად ........................ (შეღებვა).
– ძალიან გიხდება. და, თმები სად ........................ (დავარცხნა)?
– ჩვენთან, სალონში სვეტლანასთან ........................ (დავარცხნა), მიხდება?
– კი, ძალიან გიხდება. კარგად ........................ (დავარცხნა) თქვენი სტილისტები. ჩემს უფროს გოგოსაც კარგად ........................ (დავარცხნა) თმები ბანკეტისთვის. იმ კვირაში მეც მოვალ.
– კარგი, გელოდებით! თან ახლა უცხოელი სტილისტია ჩამოსული და სამშაბათს უფასოდ ........................ (დავარცხნა).
– უი, რა კარგია, აბა, დროებით!
– დროებით!

**(B1) სავარჯიშო 6.** **დაწერე ნიმუშის მიხედვით, მიუთითე ქცევა:**

წერა შენება რეცხვა დალაგება ხატვა

**ნიმუში:** მე გუშინ ფეისბუკზე ძალიან სახალისო სტატუსი დავწერე.
ჩემი რიგის ნომერი ხელისგულზე დავიწერე.
დირექტორს გათავისუფლების შესახებ განცხადება დავუწერე.

1. ...........................................................
2. სოფელში სააგარაკოდ პატარა, ლამაზი სახლი ავიშენე.
...........................................................
3. ...........................................................

1. ...........................................................
2. ...........................................................
3. ჩემს შვილს საღებავებით გასვრილი კომბინეზონი გავურეცხე.
...........................................................

1. დასვენების დღეს გარდერობის თაროები დავალაგე.
...........................................................
2. ...........................................................
3. ...........................................................

1. ...........................................................
2. მაისურზე ოკუპაციის საწინააღმდეგო სიმბოლო დავიხატე.
...........................................................
3. ...........................................................

## კონტაქტი

| ზმნა | მოქმედება ასრულებს სუბიექტი (უშუალო კონტაქტი) | მოქმედება სრულდება სხვა პირის ჩართვით, დახმარების მიზნით, იძულებით ან თხოვნით (შუალობითი კონტაქტი) |
|---|---|---|
| **წერა** | წერს **ის მას**, წერდა, **ის მას**,<br>დაწერს **ის მას**, დაწერა **მან ის** | აწერინებს **ის მას მას**<br>დააწერინა **მან მას ის** |
| **დუღილი** | ადუღებს **ის მას**, ადუღებდა **ის მას**,<br>აადუღებს **ის მას**, აადუღა **მან ის** | ადუღებინებს **ის მას მას**<br>აადუღებინა **მან მას ის** |
| **შენება** | აშენებს **ის მას**, აშენებდა **ის მას**,<br>ააშენებს **ის მას**, ააშენა **მან ის** | აშენებინებს **ის მას მას**<br>ააშენებინა **მან მას ის** |
| **რეცხვა** | რეცხავს **ის მას**, რეცხავდა **ის მას**,<br>გარეცხავს **ის მას**, გარეცხა **მან ის** | არეცხვინებს **ის მას მას**<br>გაარეცხვინა **მან მას ის** |
| **კერვა** | კერავს **ის მას**, კერავდა **ის მას**,<br>შეკერავს **ის მას**, შეკერა **მან ის** | აკერვინებს **ის მას მას**<br>შეაკერვინა **მან მას ის** |
| **ჭრა** | ჭრის **ის მას**, ჭრიდა **ის მას**,<br>დაჭრის **ის მას**, დაჭრა **მან ის** | აჭრევინებს **ის მას მას**<br>დააჭრევინა **მან მას ის** |
| **წაშლა** | შლის **ის მას**, შლიდა **ის მას**,<br>წაშლის **ის მას**, წაშალა **მან ის** | აშლევინებს **ის მას მას**<br>წააშლევინა **მან მას ის** |
| **ქსოვა** | ქსოვს **ის მას**, ქსოვდა **ის მას**,<br>მოქსოვს **ის მას**, მოქსოვა **მან ის** | აქსოვინებს **ის მას მას**<br>მოაქსოვინა **მან მას ის** |
| **ღებვა** | ღებავს **ის მას**, ღებავდა **ის მას**,<br>შეღებავს **ის მას**, შეღება **მან ის** | აღებვინებს **ის მას მას**<br>შეაღებვინა **მან მას ის** |
| **დაწყება** | იწყებს **ის მას**, იწყებდა **ის მას**,<br>დაიწყებს **ის მას**, დაიწყო **მან ის** | აწყებინებს **ის მას მას**<br>დააწყებინა **მან მას ის** |
| **დალაგება** | ალაგებს **ის მას**, ალაგებდა **ის მას**,<br>დაალაგებს **ის მას**, დაალაგა **მან ის** | ალაგებინებს **ის მას მას**<br>დაალაგებინა **მან მას ის** |
| **დავარცხნა** | ვარცხნის **ის მას**, ვარცხნიდა **ის მას**,<br>დავარცხნის **ის მას**, დავარცხნა **მან ის** | ავარცხნინებს **ის მას მას**<br>დაავარცხნინა **მან მას ის** |
| **დაკეტვა** | კეტავს **ის მას**, კეტავდა **ის მას**,<br>დაკეტავს **ის მას**, დაკეტა **მან ის** | აკეტვინებს **ის მას მას**<br>დააკეტვინა **მან მას ის** |
| **დამზადება** | ამზადებს **ის მას**, ამზადებდა **ის მას**,<br>დაამზადებს **ის მას**, დაამზადა **მან ის** | ამზადებინებს **ის მას მას**<br>დაამზადებინა **მან მას ის** |
| **გაცხელება** | აცხელებს **ის მას**, აცხელებდა **ის მას**,<br>გააცხელებს **ის მას**, გააცხელა **მან ის** | აცხელებინებს **ის მას მას**<br>გააცხელებინა **მან მას ის** |
| **გაცივება** | აცივებს **ის მას**, აცივებდა **ის მას**,<br>გააცივებს **ის მას**, გააცივა **მან ის** | აცივებინებს **ის მას მას**<br>გააცივებინა **მან მას ის** |
| **ყიდვა** | ყიდულობს **ის მას**, ყიდულობდა **ის მას**,<br>იყიდის **ის მას**, იყიდა **მან ის** | აყიდვინებს **ის მას მას**<br>აყიდვინა **მან მას ის** |
| **გაკეთება** | აკეთებს **ის მას**, აკეთებდა **ის მას**,<br>გააკეთებს **ის მას**, გააკეთა **მან ის** | აკეთებინებს **ის მას მას**<br>გააკეთებინა **მან მას ის** |
| **ბეჭდვა** | ბეჭდავს **ის მას**, ბეჭდავდა **ის მას**,<br>დაბეჭდავს **ის მას**, დაბეჭდა **მან ის** | აბეჭდვინებს **ის მას მას**<br>დააბეჭდვინა **მან მას ის** |
| **ხატვა** | ხატავს **ის მას**, ხატავდა **ის მას**,<br>დახატავს **ის მას**, დახატა **მან ის** | ახატვინებს **ის მას მას**<br>დაახატვინა **მან მას ის** |

**(A2) სავარჯიშო 1.** **ჩასვი წინადადებებში მითითებული სიტყვები პირის ნაცვალსახელების ნაცვლად და სწორი ფორმით:**

**ნიმუში:**

| ვარცხნის ის მას. | ვარცხნის ცხენოსანი ცხენს. (ცხენოსანი ცხენი) |
|---|---|

1. აკერვინებს ის მას მას ................................................................. .
   (გოგონა მკერავი კაბა)
2. ამზადებინებს ის მას მას ................................................................. .
   (დირექტორი მასწავლებელი ღონისძიება)
3. აცხელებინებს ის მას მას ................................................................. .
   (შვილიშვილი ბებია კერძი)
4. აჭრევინებს ის მას მას ................................................................. .
   (დედა მზარეული ტორტი)
5. ალაგებინებს ის მას მას ................................................................. .
   (მამა მაცივარი ლუდი)
6. აქსოვინებს ის მას მას ................................................................. .
   (ნინიკო მქსოველი ქუდი)
7. აკეთებინებს ის მას მას ................................................................. .
   (მამუკა ხელოსანი ჩარჩო)
8. ახატვინებს ის მას მას ................................................................. .
   (თემური მხატვარი სურათი)
9. აღებვინებს ის მას მას ................................................................. .
   (დედა თმა დალაქი)
10. აწყებინებს ის მას მას ................................................................. .
   (მუზა პოეტი ლექსი)

**(A2) სავარჯიშო 2.** **მოცემული საწყისები გადაიყვანე შუალობითი კონტაქტის ფორმაში ნიმუშის მიხედვით:**

**წერა – დააწერინა**

| | | |
|---|---|---|
| შენება – | ყიდვა – | დაკეტვა – |
| კერვა – | ხატვა – | გაკეთება – |
| დაწყება – | წაშლა – | |
| დალაგება – | დამზადება – | |

(A2-B1) სავარჯიშო 3. **მიუწერე, რომელი ზმნის ფორმა გამოხატავს შუალობით კონტაქტს და რომელი – უშუალოს:**

ა) დილით მამამ თორნიკეს მათემატიკის დავალება დააწერინა და მერე წავიდა სამსახურში. ..........

ბ) შვილმა მამას ჯერ რძე აადუღებინა და შემდეგ დაიწყო ფილმის ყურება.

..........

გ) ონისემ თავისი სახლის ბუხარი რაჭველ ოსტატებს ააშენებინა.

..........

დ) ცნობილი ფილმის პერსონაჟი, ვარდო, მოქალაქეთა ტანსაცმელს კიდეც რეცხავდა და კიდეც კერავდა. ..........

ა) გახარებული ლამზირა ნელ-ნელა ჰქრიდა ყველს და თეფშზე ალაგებდა.

..........

ბ) მასწავლებელმა დაფაზე დაწერილი წერილი ჩვრით წაშალა.

..........

გ) მაგდანა შვილების წინდებს ყოველთვის თამარა ბებიას აქსოვინებდა.

..........

დ) მაქსიმემ ღობე ჯერ შუამდე შეღება და შემდეგ ისევ თავიდან დაიწყო.

..........

ე) ახალდაკრეფილი კიტრები ლამზირამ მაგიდაზე დაალაგა.

..........

ვ) პატარა ელისო სიხარულით ავარცხნინებდა ხოლმე თმებს თავის ბიცოლას.

..........

ზ) ბებია ხახვს ზამთრისთვის ამზადებდა ხოლმე და ბეღელში კეტავდა.

..........

თ) მამაჩემი ქამამდე აუცილებლად აცხელებს ხოლმე მჭადს.

..........

## (A2-B1) სავარჯიშო 4. დააკვირდი ნიმუშს და ქვემოთ მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

უშუალო კონტაქტი: ხვალ მოსწავლე საშინაო დავალებას დაწერს.
შუალობითი კონტაქტი: დედამ შვილს ქართულის დავალება დააწერინა.

| # | უშუალო კონტაქტი | შუალობითი კონტაქტი |
|---|---|---|
| 1 | წერს ის მას<br>წერდა ის მას<br>დაწერს ის მას<br>დაწერა მან ის | აწერინებს ის მას მას<br>აწერინებდა ის მას მას<br>დააწერინებს ის მას მას<br>დააწერინა მან მას ის |
| 2 | ადუღებს ის მას<br>ადუღებდა ის მას<br>აადუღებს ის მას<br>აადუღა მან ის | ადუღებინებს ის მას მას<br>ადუღებინებდა ის მას მას<br>აადუღებინებს ის მას მას<br>აადუღებინა მან მას ის |
| 3 | აშენებს ის მას<br>აშენებდა ის მას<br>ააშენებს ის მას<br>ააშენა მან ის | აშენებინებს ის მას მას<br>აშენებინებდა ის მას მას<br>ააშენებინებს ის მას მას<br>ააშენებინა მან მას ის |
| 4 | რეცხავს ის მას<br>რეცხავდა ის მას<br>გარეცხავს ის მას<br>გარეცხა მან ის | არეცხვინებს ის მას მას<br>არეცხვინებდა ის მას მას<br>გაარეცხვინებს ის მას მას<br>გაარეცხვინა მან მას ის |
| 5 | კერავს ის მას<br>კერავდა ის მას<br>შეკერავს ის მას<br>შეკერა მან ის | აკერვინებს ის მას მას<br>აკერვინებდა ის მას მას<br>შეაკერვინებს ის მას მას<br>შეაკერვინა მან მას ის |

1. უშუალო კონტაქტი: ..............................
   ..............................
   შუალობითი კოტაქტი: ..............................
   ..............................
2. უშუალო კონტაქტი: ..............................
   ..............................
   შუალობითი კოტაქტი: ..............................
   ..............................
3. უშუალო კონტაქტი: ..............................
   ..............................
   შუალობითი კოტაქტი: ..............................
   ..............................
4. უშუალო კონტაქტი: ..............................
   ..............................
   შუალობითი კოტაქტი: ..............................
   ..............................
5. უშუალო კონტაქტი: ..............................
   ..............................
   შუალობითი კოტაქტი: ..............................
   ..............................

## (A2-B1) სავარჯიშო 5. დააკვირდი ნიმუშს და ქვემოთ მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

უშუალო კონტაქტი: ხვალ დილით მღებავი მოვა და სამზარეულოს კედლებს შეღებავს.

შუალობითი კონტაქტი: მოხერხებულმა ტომ სოიერმა თავისი მესერი მეგობრებს შეაღებვინა.

| # | უშუალო კონტაქტი | შუალობითი კონტაქტი |
|---|---|---|
| 1 | ქრის ის მას<br>ქრიდა ის მას<br>დაქრის ის მას<br>დაქრა მან ის | აქრევინებს ის მას მას<br>აქრევინებდა ის მას მას<br>დააქრევინებს ის მას მას<br>დააქრევინა მან მას ის |
| 2 | შლის ის მას<br>შლიდა ის მას<br>წაშლის ის მას<br>წაშალა მან ის | აშლევინებს ის მას მას<br>აშლევინებდა ის მას მას<br>წააშლევინებს ის მას მას<br>წააშლევინა მან მას ის |
| 3 | ქსოვს ის მას<br>ქსოვდა ის მას<br>მოქსოვს ის მას<br>მოქსოვა მან ის | აქსოვინებს ის მას მას<br>აქსოვინებდა ის მას მას<br>მოაქსოვინებს ის მას მას<br>მოაქსოვინა მან მას ის |
| 4 | ღებავს ის მას<br>ღებავდა ის მას<br>შეღებავს ის მას<br>შეღებამან ის | აღებვინებს ის მას მას<br>აღებვინებდა ის მას მას<br>შეაღებვინებს ის მას მას<br>შეაღებვინა მან მას ის |
| 5 | იწყებს ის მას<br>იწყებდა ის მას<br>დაიწყებს ის მას<br>დაიწყო მან ის | აწყებინებს ის მას მას<br>აწყებინებდა ის მას მას<br>დააწყებინებს ის მას მას<br>დააწყებინა მან მას ის |

1. უშუალო კონტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
   შუალობითი კოტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
2. უშუალო კონტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
   შუალობითი კოტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
3. უშუალო კონტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
   შუალობითი კოტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
4. უშუალო კონტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
   შუალობითი კოტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
5. უშუალო კონტაქტი: ................................................................................
   ................................................................................
   შუალობითი კოტაქტი: ................................................................................
   ................................................................................

**(A2-B1) სავარჯიშო 6.** **დააკვირდი ნიმუშს და ქვემოთ მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

უშუალო კონტაქტი: ჩემი მეზობელი საოცარ ტოლმას ამზადებს.

შუალობითი კონტაქტი: ცნობილი მზარეული მოსწავლეებს ლამაზ ტორტებს ამზადებინებს.

| # | უშუალო კონტაქტი | შუალობითი კონტაქტი |
|---|---|---|
| 1 | ალაგებს ის მას<br>ალაგებდა ის მას<br>დაალაგებს ის მას<br>დაალაგა მან ის | ალაგებინებს ის მას მას<br>ალაგებინებდა ის მას მას<br>დაალაგებინებს ის მას მას<br>დაალაგებინა მან მას ის |
| 2 | ვარცხნის ის მას<br>ვარცხნიდა ის მას<br>დავარცხნის ის მას<br>დავარცხნა მან ის | ავარცხნინებს ის მას მას<br>ავარცხნინებდა ის მას მას<br>დაავარცხნინებს ის მას მას<br>დაავარცხნინა მან მას ის |
| 3 | კეტავს ის მას<br>კეტავდა ის მას<br>დაკეტავს ის მას<br>დაკეტა მან ის | აკეტვინებს ის მას მას<br>აკეტვინებდა ის მას მას<br>დაკეტვინებს ის მას მას<br>დააკეტვინა მან მას ის |
| 4 | ამზადებს ის მას<br>ამზადებდა ის მას<br>დაამზადებს ის მას<br>დაამზადა მან ის | ამზადებინებს ის მას მას<br>ამზადებინებდა ის მას მას<br>დაამზადებინებს ის მას მას<br>დაამზადებინა მან მას ის |
| 5 | აცხელებს ის მას<br>აცხელებდა ის მას<br>გააცხელებს ის მას<br>გააცხელა მან ის | აცხელებინებს ის მას მას<br>აცხელებინებდა ის მას მას<br>გააცხელებინებს ის მას მას<br>გააცხელებინა მან მას ის |

1. უშუალო კონტაქტი: ........................................

   შუალობითი კოტაქტი: ........................................

2. უშუალო კონტაქტი: ........................................

   შუალობითი კოტაქტი: ........................................

3. უშუალო კონტაქტი: ........................................

   შუალობითი კოტაქტი: ........................................

4. უშუალო კონტაქტი: ........................................

   შუალობითი კოტაქტი: ........................................

5. უშუალო კონტაქტი: ........................................

   შუალობითი კოტაქტი: ........................................

## (A2-B1) სავარჯიშო 7. დააკვირდი ნიმუშს და ქვემოთ მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

უშუალო კონტაქტი: მანუჩარი ყოველ გაზაფხულზე ახალ ფეხსაცმელს ყიდულობს.

შუალობითი კონტაქტი: მელანოს მეზობელი გაჰყვა, რომელმაც ლამაზი საკაბე აყიდვინა.

| # | უშუალო კონტაქტი | შუალობითი კონტაქტი |
|---|---|---|
| 1 | აცივებს ის მას<br>აცივებდა ის მას<br>გააცივებს ის მას<br>გააცივა მან ის | აცივებინებს ის მას მას<br>აცივებინებდა ის მას მას<br>გააცივებინებს ის მას მას<br>გააცივებინა მან მას ის |
| 2 | ყიდულობს ის მას<br>ყიდულობდა ის მას<br>იყიდის ის მას<br>იყიდა მან ის | აყიდვინებს ის მას მას<br>აყიდვინებდა ის მას მას<br>აყიდვინებს ის მას მას<br>აყიდვინა მან მას ის |
| 3 | აკეთებს ის მას<br>აკეთებდა ის მას<br>გააკეთებს ის მას<br>გააკეთა მან ის | აკეთებინებს ის მას მას<br>აკეთებინებდა ის მას მას<br>გააკეთებინებს ის მას მას<br>გააკეთებინა მან მას ის |
| 4 | ბეჭდავს ის მას<br>ბეჭდავდა ის მას<br>დაბეჭდავს ის მას<br>დაბეჭდა მან ის | აბეჭდვინებს ის მას მას<br>აბეჭდვინებდა ის მას მას<br>დააბეჭდვინებს ის მას მას<br>დააბეჭდვინა მან მას ის |
| 5 | ხატავს ის მას<br>ხატავდა ის მას<br>დახატავს ის მას<br>დახატა მან ის | ახატვინებს ის მას მას<br>ახატვინებდა ის მას მას<br>დაახატვინებს ის მას მას<br>დაახატვინა მან მას ის |

1. უშუალო კონტაქტი: ................................................................

   შუალობითი კოტაქტი: ................................................................

2. უშუალო კონტაქტი: ................................................................

   შუალობითი კოტაქტი: ................................................................

3. უშუალო კონტაქტი: ................................................................

   შუალობითი კოტაქტი: ................................................................

4. უშუალო კონტაქტი: ................................................................

   შუალობითი კოტაქტი: ................................................................

5. უშუალო კონტაქტი: ................................................................

   შუალობითი კოტაქტი: ................................................................

## (B1) სავარჯიშო 8. გადაიყვანე ნიმუშის მიხედვით:

ახლანდელი დრო

| თვითონ აკეთებს | სხვისი ნებით / დახმარებით აკეთებს |
|---|---|
| ანა სადილს ამზადებს. | დედა ანას სადილს ამზადებინებს. |

1. გიორგი დავალებას წერს – დედა გიორგის დავალებას ..........
2. მზია ჩაის ადუღებს – ნინო მზიას ჩაის ..........
3. მშენებელი სახლს აშენებს – ინჟინერი მშენებელს სახლს ..........
4. მზარეული ტორტს ქრის – მიმტანი მზარეულს ტორტს ..........
5. ბებია ქურქელს რეცხავს – ნანა ბებიას ქურქელს ..........
6. მამა კერძს აცხელებს – გიორგი მამას კერძს ..........
7. ბებია წინდას ქსოვს – ბებია დედას წინდას ..........
8. ხელოსანი ხის სკამებს აკეთებს – გიორგი ხელოსანს სკამებს ..........
9. თამუნა ბანკში მუშაობასიწყებს – მენეჯერი თამუნას ბანკში მუშაობას ..........
..........
10. მძღოლი ავტობუსის კარს კეტავს – მგზავრი მძღოლს ავტობუსის კარს ..........

## (B1) სავარჯიშო 9. გადაიყვანე წარსულ დროში ნიმუშის მიხედვით:

| ახლანდელი დრო | წარსული დრო |
|---|---|
| მამა შვილს სურათს ახატვინებს. | მამამ შვილს სურათი დაახატვინა. |

1. მოცეკვავე მკერავს კაბას აკერვინებს. ..........
2. თამუნა დიასახლისს ტორტს ამზადებინებს. ..........
3. ანჟელა დედას კერძს აცხელებინებს. ..........
4. მამა შვილს დავალებას აწერინებს. ..........
5. მასწავლებელი მოსწავლეს ამოცანას აწერინებს. ..........
6. ირმა დას სახლს ალაგებინებს. ..........
7. მაია მეგობარს თმას აღებვინებს. ..........
8. გურამი უფროს შვილს მანქანას აყიდვინებს. ..........
9. კლიენტი რედაქციას წიგნს აბეჭდვინებს. ..........
10. გიორგი ხელოსანს გაფუძებულ კომპიუტერს აკეთებინებს. ..........

**(B1) სავარჯიშო 10.** **მიუწერე ვისი ნებით / დახმარებით მოქმედებს სუბიექტი:**

**ნიმუში:** მანანა დავალებას წერდა. **თავისი ნებით**
დედამ მანანას დავალება დააწერინა. **სხვისი დახმარებით**

1. იამზე გუშინ ფანჯრებს ღებავდა. ........
2. თომამ ძმას თავისი სურათი დაახატვინა. ........
3. მზარეულმა ტორტი გამოაცხო. ........
4. დირექტორმა დარაჯს სკოლის ფანჯრები დააკეტვინა. ........
5. ინდირამ ძმას ბანკში კრედიტი ააღებინა. ........
6. ნუცამ პროგრამისტს კომპიუტერში ყველა პროგრამა წააშლევინა. ........
7. ეკამ დედას წითელი ბოლოკაბა მოაქსოვინა. ........
8. მადონამ დილით ყავა აადუღა. ........
9. პაპამ ბაზარში ქლიავი გაყიდა. ........
10. მამიდაჩემმა ტანსაცმელი მრეცხავს გაარეცხვინა. ........

**(B1) სავარჯიშო 11.** **მოცემული სიტყვები ჩასვი ტექსტში შესაბამისი ზმნური ფორმით:**

წერა, შენება, რეცხვა, კერვა, ჭრა, ქსოვა, ღებვა, დაწყება, დალაგება, ყიდვა, გაკეთება, ხატვა, წაშლა, დამზადება, დაკეტვა.

რემონტი ჩვენს სახლში

მაღალმა ხელფასმა დედაჩემს სახლში რემონტი **დააწყებინა**. მან წინასწარ ყველა მასალა ........ რემონტისთვის. ხელოსანს სახლის გარშემო ხარაჩო ........ და მას კედლების გასაფერადებლად საღებავი ........ . მკერავთანაც დროზე მივიდა, ფანჯრებისთვის ფარდები ზომაზე ........ და შესაფერისი ძაფით ........ . მხატვარს საძინებლის კედლები სხვადასხვა ფერით ........ , თავიდან ეს ნახატები არ მოეწონა, ამიტომ ........ და მერე თავიდან ........ . ზოგი ოთახი თვითონ ........ , ზოგიც დამლაგებელს ........ . მქსოველთანაც მივიდა და ლამაზი ხალიჩები ........ . ხელოსანს კარებისთვის ახალი საკეტები ........ , მერე ყველა კარი გასაღებით ........ და გასაღებები შვილებს დაურიგა.

**(B1) დავალება 12.** **ტექსტში მოცემული შუალობითი კონტაქტის ფორმები დაახარისხე ცხრილში:**

სიბერის ასაკმა ვანო პაპას ყველაფერზე ხელი **ააღებინა**. იჯდა და არაფერს აკეთებდა. ბებიამ ხვეწნით **გააკეთებინა** ღობე და ბოსლის სახურავიც **გადაახურვინა**. ეზოშიც კი არ გადიოდა. აღარც საქონელს უვლდა და აღარც ბაღს. იჯდა ერთ კუთხეში. იმ საღამოს ტელევიზორში აღარც თავის საყვარელ თამაშს უყურა და აღარც ბებოს **აყურებინა**. დავიღალეო, უთხრა და **გამოართვევინა**.

გუშინ ბებიამ მისი სათვალე **გააკეთებინა** ხელოსანს და პაპას გაზეთის ორი გვერდი ძალით **წააკითხა**, სადაც მისი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ეწერა, არც ამან გაახალისა მოხუცი. შვილიშვილები კი ძალიან მოენატრა, რამდენჯერმე დარეკა მათთან და მერე ცოლსაც **დაარეკვინა**.

მერე შვილი და რძალი – მზია და ნიკო და შვილიშვილები ჩამოვიდნენ თბილისიდან. ნიკომ პაპას ტყეში ხის ხმელი ტოტები **დააქრევინა** და **დააჩეხინა**. დაჩეხილი შეშა ფარდულში **დაალაგებინა** და **გააშრობინა**. პაპა ექიმთან წაიყვანა, კარგად **გამოაკვლევინა**, რეცეპტი და რჩევები **დააწერინა** ექიმს, მზიას აფთიაქიდან წამლები **მოატანინა** და პაპას სულ ძალით **დაალევინა**.

შვილიშვილების დანახვაზე პაპა გამხიარულდა. 5 წლის ზურას გვერდით მიუჯდა და ტანკები **დაახატვინა**, კუბიკებით მატარებელი **ააწყობინა** და სახლიც **ააშენებინა**. თამუნას მათემატიკის დავალება **დააწერინა** და გაკვეთილებიც **მოამზადებინა**. როცა თამუნამ ყველა გაკვეთილი ისწავლა, პაპამ ჭადრაკი **მოატანინა** და სამი ხელი **წააგებინა**, სამიც **მოაგებინა**. პაპა გამხიარულდა, მღეროდა, იცინოდა. ამ ამბავმა შვილს და რძალს **აფიქრებინა**, რომ პაპას სითბო, ყურადღება და შვილიშვილებით სავსე ხმაურიანი ოჯახი სჭირდება.

მოქმედება ხდება

| საკუთარი ინიციატივით | სხვა პირის ჩართვით | დახმარების მიზნით | იძულებით | თხოვნით |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

# 9

# მაერთებელი კავშირები

# თავი 9.
# მაერთებელი კავშირები

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| და | დაკავშირება | ანა და დავითი სკოლაში არიან.<br>მე და შენ ხვალ წავალთ ბიბლიოთეკაში. |
| თუ | დაკავშირება<br>არჩევანი | დიდი თუ პატარა სკოლაში იყო.<br>ეს წიგნი შენია თუ შენი მეგობრის?<br>ყავა გინდათ თუ ჩაი? |
| არც – არც<br>ვერც – ვერც<br>ნურც – ნურც<br>აღარც – აღარც<br>ვეღარც – ვეღარც<br>ნუღარც – ნუღარც | უარყოფა | არც ეს მინდა და არც ის.<br>ვერც სიტყვებით და ვერც ცრემლებით ვერ გადმოვცემ ჩემს გრძნობას.<br>ნურც დამირეკავ და ნურც წერილს მომწერ.<br>აღარც ნამცხვარი მინდა და აღარც ტორტი.<br>ვეღარც შევჭამ და ვეღარც დავლევ.<br>ნუღარც მოხვალ და ნუღარც დამირეკავ. |
| არათუ – არამედ<br>არა მარტო – არამედ | დამატებითი არჩევანი | მან არათუ დაბადების დღე მომილოცა, არამედ საჩუქარიც გამომიგზავნა.<br>ის არა მარტო დამეხმარა, არამედ ფულიც მაჩუქა. |
| როგორც – ისე<br>კიდეც – კიდეც<br>თან – თან | დამატებითი არჩევანი | როგორც დიდები, ისე პატარებიც კმაყოფილები იყვნენ.<br>კიდეც მღერის და კიდეც ცეკვავს. თან წერს და თან ლაპარაკობს. |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| ან – ან<br>ან – ანდა | ალტერნატივა,<br>არჩევანი | ან მე წავალ, ან შენ წადი.<br>ან მე მოვიტან, ანდა შენ მოიტანე.<br>ერთი ან ორი პური მოიტანე.<br>ან აქ დარჩი, ან სახლში წადი. |
| გინდ(ა) – გინდ(ა)<br>თუნდ – თუნდ | ალტერნატივა,<br>არჩევანი | გინდა ეს ჩანთა წაიღე, გინდა – ის.<br>თუნდ წავიდეს, თუნდ დარჩეს, ჩემთვის სულერთია. |
| ხან – ხან<br>ხან – ხანაც<br>ხან – ხან კი<br>ხან – ხან კიდევ | ალტერნატივა,<br>არჩევანი | ხან წერდა, ხან მუსიკას უსმენდა.<br>ხან თამაშობდა, ხანაც წიგნს კითხულობდა.<br>ხან პიანინოს უკრავდა, ხან კი ბავშვებს ეთამაშებოდა.<br>ხან ლაპარაკობდა, ხან კიდევ სხვებს უსმენდა. |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| **მაგრამ** | დაპირისპირება | **ის ძალიან ლამაზია, მაგრამ არაა ჭკვიანი.** |
| **თუმცა** | დაპირისპირება | **მე არ ვარ დამნაშავე,<br>თუმცა ყველაფერს მე მაბრალებენ.** |
| **ხოლო** | დაპირისპირება | **მე აქ ვიქნები, ხოლო შენ სკოლაში წადი.** |
| **კი** | დაპირისპირება | **მე აქ ვიქნები, შენ კი სკოლაში წადი.** |
| **არ – არამედ<br>კი არ – არამედ** | დაპირისპირება | **მხოლოდ ნათესავები კი არ დაპატიჟეს,<br>არამედ მეზობლებიც.** |
| **ოღონდ** | პირობა | **ოღონდ კარგად ისწავლე და ყველაფერს გიყიდი.** |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| **ესე იგი** | იგივეობა | **ხვალ ჩვენ თეატრში მივდივართ, ესე იგი სახლში არ ვიქნებით.** |
| **ანუ** | იგივეობა | **პატარა ალექსანდრე, ანუ მანანას შვილი,<br>ჩემი მოსწავლეა.<br>კომში, ანუ ბია, ხილია.** |

## (B1) სავარჯიშო 1. მოცემული კავშირები გადაანაწილე ცხრილში:

ნურც – ნურც, როგორც – ისე, და, თუმცა, ანუ, თუნდ – თუნდ, კი, ხან – ხანაც, ოღონდ, თუ, არათუ – არამედ, ვერც – ვერც, ესე იგი, აღარც – აღარც, ან – ან.

| დაკავშირება | დაკავშირება, არჩევანი | უარყოფა | დამატებითი არჩევანი | ალტერნატივა, არჩევანი | დაპირისპირება | იგივეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

## (B1) სავარჯიშო 2. დააკავშირე წინადადების ნაწილები და ისე გადაწერე:

1. არც თეატრში წასვლა უნდოდა,
2. ნინო გასეირნებას აპირებდა,
3. ზაფხულში მზე ანათებს
4. ლიკა თან მღეროდა,
5. ოღონდ არ იტირო,
6. ეს ანას სახლია
7. მე ხატვა მიყვარს,
8. არა მარტო ჭკვიანია,
9. გურამი ხან გაკვირვებული უყურებდა ანას,
10. თამაზი ან შენთან დარჩება,

ა) და ცხელა.
ბ) თუ შენი ბიძაშვილის?
გ) ხან – გაბრაზებული.
დ) არამედ ძალიან ლამაზიც.
ე) მაგრამ გაწვიმდა.
ვ) თან ცეკვავდა.
ზ) არც სახლში დარჩენა.
თ) ან ჩემთან წამოვა.
ი) ხოლო ჩემს დას – კითხვა.
კ) და ყველა სურვილს აგისრულებ.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

## (B1) სავარჯიშო 3. შეარჩიე და ჩასვი სწორი კავშირი:

1. ჩაი .......... ყავა გინდა? (და, თუ, ან)
2. ნინო .......... თამარი სკოლის მოსწავლეები არიან. (და, თუ, ან)
3. ჩემთან წამოხვალ .......... ნანას გაყვები? (და, თუ, ან)
4. კიტრი .......... პომიდორი ბოსტნეულია. (და, თუ, ან)
5. ბუნებაში ხეტიალი გირჩევნია .......... მუზეუმში წასვლა? (და, თუ, ან)
6. ჩანთაში .......... ჯიბეში რა გიდევს? (და, თუ, ან)
7. გიორგის ფეხბურთი უყვარს .......... რაგბი? (და, თუ, ან)
8. შენ .......... თათია ბავშვობის მეგობრები ხართ. (და, თუ, ან)
9. მოგწონს .......... არა ეს საქოწრილო კაბა? (და, თუ, ან)
10. წითელი .......... ვარდისფერი კაბა ხომ არ გაქვთ? (და, თუ, ან)

**(B1) სავარჯიშო 4.** **მოცემული კავშირების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:**

მაგრამ, ნურც-ნურც, თუ, ხოლო, თან-თან, ან-ან, როგორც – ისე, თუმცა, ანუ, არ-არამედ.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**(B1) სავარჯიშო 5.** **წაიკითხე ტექსტი და ჩასვი მოცემული კავშირები:**

კი, ოღონდ, არც-არც, თუმცა, არა მარტო – არამედ, თუ, მაგრამ, ხან-ხან კი, როგორც – ისე, და.

თიკო .......... ნათია კლასელები არიან. ისინი .......... კლასელები, .......... მეგობრებიც არიან. თიკო მაღალია, ნათია .......... დაბალია. ორივე გოგონა გამხდარია, .......... თიკო ნათიაზე გამხდარია. .......... თიკო, .......... ნათია წარჩინებული მოსწავლეები არიან. სკოლასა .......... სახლში ისინი ყოველთვის ერთად არიან. თავისუფალ დროს .......... მუსიკას უსმენენ, .......... ანიმეს უყურებენ. ნათიას ძალიან უყვარს ცურვაც, .......... ჯერ კარგად ვერ ცურავს. .......... თიკოს და .......... ნათიას არ უყვარს ფეხბურთი. ისინი ჩოგბურთის გულშემატკივრები არიან, .......... ხშირად ვერ დადიან კორტებზე.

## (B1) სავარჯიშო 6. დააჯგუფე წინადადებები კავშირის ფუნქციის მიხედვით:

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია **თუ** კავშირის ნაცვლად **და** კავშირის გამოყენება, კავშირის ფუნქცია სიტყვათა დაკავშირებაა.

**ნიმუში:** ვარდის სურნელი მოგწონს თუ იასამნის?

ერთმანეთში ირეოდა ვარდისა თუ/და იის სურნელი.

1. შენ წასაყვანად დედა მოვა თუ მამა ?
2. დიდი თუ პატარა – ყველა ეზოში გამოვიდა.
3. სოფელსა თუ ქალაქში ერთნაირად ცხელოდა.
4. სად გირჩევნია ცხოვრება – სოფლად თუ ქალაქად?
5. წითელი კაბა გირჩევნია თუ თეთრი?
6. ლიამ არ იცის თეთრი ბაფთა გაიკეთოს თუ ვარდისფერი.
7. წიგნსა თუ რვეულს, კალამსა თუ ფანქარს – ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა გიას ჩანთაში.
8. კარგად ვერ გავარჩიე, საქესთან გიორგი იჯდა თუ ლაშა.
9. ყველა ჩაერთო კონკურსში – გოგონები თუ ბიჭები, დიდები თუ პატარები.
10. ლიმონათს მიირთმევთ თუ ნატურალურ წვენს?

| დაკავშირება | არჩევანი |
|---|---|
| ერთმანეთში ირეოდა ვარდისა თუ იის სურნელი. | ვარდის სურნელი მოგწონს თუ იასამნის? |
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |

**(B1) სავარჯიშო 7.** **შეარჩიე და ჩასვი წინადადებაში კონტექსტის შესაბამისი კავშირი:**

ან/ან; მაგრამ; და; ან/ან/ან კიდევ; ნურც/ნურც; გინდ/გინდ; როგორც/ისე; კიდეც/კიდეც; თუმცა; კი.

1. ეს კაცი მსახიობიც არის .................... რეჟისორიც.
2. ქორწილი იყო, .................... ხალხი არ მხიარულობდა.
3. წვეულებას აწყობენ .................... ქორწილის, .................... დაბადების დღის , .................... სხვა ნებისმიერი წარმატების აღსანიშნავად.
4. „დედის წინ მორბენალ კვიცს .................... მგელი შეჭამს, .................... მგლისფერი ძაღლიო.“
5. „პატივს .................... ითხოვ და .................... მიოთხოვო“.
6. გიგას .................... ჭექა-ქუხილის, .................... ელვის ეშინოდა.
7. – რომელი ჩანთა გნებავთ?
   – სულერთია .................... წითელი იყოს, .................... შავი.
8. ეს მანქანა სარეცხს .................... რეცხავს, .................... აშრობს.
9. ეს კერძი პირველად მოვამზადე, .................... ძალიან გემრიელი გამოვიდა.
10. გია მეხუთე კლასშია, ლალი .................... მეორეში.

**(B1) სავარჯიშო 8.** **წაიკითხე წინადადებები, გახაზე მაერთებელი კავშირები და შემდეგ შენ თვითონ დაწერე მსგავსი წინადადებები:**

**ნიმუში:** სამ საათზე **ან** ლია მოვა შენთან, **ანდა** თამუნა.

1. ახლა გინდ ისტორია ისწავლე, გინდა – გეოგრაფია. რა აზრი აქვს!
2. აგერ სცენა, გინდ იმღერე, გინდა იცეკვე.
3. გინდ დარჩი, გინდ წადი, ჩვენ არაფერი გვიჭირს.
4. აქ ხან მზე ანათებს, ხანაც წვიმს.
5. გინდ მე დამეხმარე, გინდ ცალკე იმუშავე.
6. ახლა თუნდ ილაპარაკოს, თუნდ გაჩუმდეს, რა მნიშვნელობა აქვს?
7. „დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია!“
8. ადამიანს უნდა დაეხმარო, თუნდაც არ იცნობდე.
9. ის ხან იმედიანად არის, ხან კიდევ  უიმედოდ.
10. ნინო ხან ფილოსოფიას სწავლობდა, ხანაც მოგზაურობდა.
11. ხან იცინოდა დედაჩემი, ხან კი ტიროდა.

**(B1) სავარჯიშო 9.** **დააკავშირე ერთმანეთთან წინადადების დასაწყისი და დასასრული და ისე გადაწერე:**

ა)

| | | |
|---|---|---|
| 1. | **წყალი ან ჩაი** | ხომ არ ამზადებთ? |
| 2. | ან ეს წიგნი წაიკითხე, | ხანაც – პირისპირ ველაპარაკებოდი. |
| 3. | ხაჭაპურს ან პიცას | **ხომ არ გინდა?** |
| 4. | თუნდ იწვიმოს, თუნდ არა, | ან ამ ფილმს უყურე. |
| 5. | თუნდ შიოდეს, | ვერაფერს შეჭამს. |
| 6. | ხან ტელეფონზე ვურეკავდი, | ხან კი ნინო. |
| 7. | ხან მე ვიყავი მორიგე, | ქოლგა ხომ მაქვს. |

ბ)

| | | |
|---|---|---|
| 8. | **ან ადექი ,** | ან კურორტზე დავისვენებ. |
| 9. | ან ვიმოგზაურებ, | **ან დაჯექი.** |
| 10. | ბავშვები ან მდინარეზე იცურავებენ, | მაკლია ალბათ. |
| 11. | ერთი პატარა მანანა | ბინის ყიდვა მინდა. |
| 12. | სამი ან ოთხი ქულა | ან ეზოში ითამაშებენ. |
| 13. | ორი ან სამოთახიანი | ხან გაიცინებს, ხან არა. |
| 14. | ბებიაჩემისთვის ხან პატარა გოგო ვარ, | კაცი დამეხმარეთ. |
| 15. | ერთი ან ორი | ხანაც დიდი. |

## (B1) სავარჯიშო 10. ჩასვი სათანადო კავშირი წინადადებაში:

**ან-ან,** ან-ანდა, გინდ(ა)-გინდ(ა), თუნდ-თუნდ, ხან-ხან, ხან-ხანაც, ხან-ხან კი, ხან-ხან კიდევ.

**ნიმუში:** ან რძეს დავლევ, ან კაკაოს.

1. ................................ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
2. ................................ ისწავლე, ................................ ნუ ისწავლი, შენი ნებაა.
3. ჩემი ციცინათელა ................................ ანათებს, ................................ არა.
4. ხან გიორგი იყო გამარჯვებული, ................................ მისი მეტოქე.
5. ................................ წადი, ................................ , ჩემთვის სულერთია.
6. ................................ , დაისვენე, ................................ გაერთე, შენი ნებაა.
7. ................................ ხინკალი ვჭამოთ, ................................ ხაჭაპური, ორივეს კარგად ამზადებენ.
8. ................................ წამალი დალიე, ................................ დიეტა დაიცავი.
9. მარტის ამინდია: ................................ თოვს, ................................ წვიმს, ................................ ქარი ქრის.
10. ................................ დედაა ყურადღების ცენტრში, ................................ შვილი.

## (B1). სავარჯიშო 11. დაასრულე წინადადებები მაერთებელი კავშირის გამოყენებით:

1. თუნდ ფეხით წადი, ................................ .
2. ხან ბაბუა მიყვებოდა ზღაპრებს, ................................ .
3. ან დედა უნდა იყოს ჩემთან, ................................ .
4. მამა ხან ქალაქში იყო, ................................ .
5. მაინც ვერ გაიგებ: თუნდ ორჯერ წაიკითხე, ................................ .
6. ეს ფული შენია, გინდა დახარჯე, ................................ .
7. ან აქ დავისვენოთ, ................................ .
8. მას არაფერი ესმის, გინდ ელაპარაკე, ................................ .
9. გინდ დედას დაეხმარე, ................................ .
10. ხან ერთ დასთან წავიდეთ სტუმრად, ................................ .

(B1) სავარჯიშო 12. **შეადგინე წინადადებები მაერთებელი კავშირების გამოყენებით:**

ან-ან, ან-ანდა, გინდ(ა)-გინდ(ა), თუნდ-თუნდ, ხან-ხან, ხან-ხანაც, ხან-ხან კი, ხან-ხან კიდევ.

## (B1) სავარჯიშო 13. ჩასვი საჭირო კავშირი:

ან-ან, ხან-ხან, მაგრამ, თუ, და, არა არამედ, ესე იგი,
როგორც – ისე, ხოლო, თან-თან, ვერც, ვერც, ანუ.

1. ყავას დალევ, .................................. ჩაის?
2. ზარი დაირეკა, .................................. მოსწავლეები კლასიდან არ გამოსულან.
3. .................................. მოისმინეთ და .................................. მონიშნეთ სწორი პასუხები.
4. ისე მოიქცნენ, .................................. გადაწყვიტეს შეკრებაზე.
5. ზარი დაირეკა .................................. გაკვეთილი დაიწყო.
6. დღეს 1 მარტია, .................................. გაზაფხული დადგა.
7. მხოლოდ ბუკლეტები კი არ შექმნეს, .................................. პირბადეებიც დაამზადეს.
8. მამა სამსახურში წავიდა, .................................. დედა სახლში დარჩა.
9. გახარებული ბავშვი .................................. მღეროდა, .................................. ცეკვავდა.
10. .................................. საქმე დავასრულე, .................................. სტუმრად წავედი.
11. კონცერტი გაიმართება 3 საათზე, .................................. გაკვეთილების შემდეგ.
12. .................................. ხინკალი შევუკვეთოთ, .................................. ხაჭაპური.
13. ჩემი ბებია .................................. ბაბუა სოფელში ცხოვრობენ
14. გავაგრძელოთ ზღაპრის წაკითხვა .................................. დავიძინოთ?

## (B1) სავარჯიშო 14. დაასრულე წინადადებები:

1. ელენე ხვალ სასწავლებელში წავა, თუ .................................. .
2. დღეს მზეა, მაგრამ .................................. .
3. მე ჩაის დავლევ, ხოლო .................................. .
4. დედამ ტორტი გამოაცხო, ბებიამ კი .................................. .
5. ზაზა მხოლოდ კი არ ვარჯიშობს, არამედ .................................. არა მხოლოდ?
6. ხვალ შაბათია, თუმცა .................................. .
7. კატო წიგნს კითხულობს და .................................. .
8. ხვალ ორშაბათია, ესე იგი .................................. .
9. ექსკურსიაზე ვაპირებდით წასვლას, მაგრამ .................................. .
10. თამარმა არც იცეკვა და არც .................................. .

**(B1) სავარჯიშო 15. დაალაგე სიტყვები ისე, რომ მიიღო წინადადებები:**

1. (თუ მანქანით სკოლაში დადიხარ ფეხით) ....................

2. (ქიმიაში მოვამზადე და ბიოლოგიასა პროექტი) ....................

3. (ქართული ენის ვწერთ დავალებას ან ვქმნით ან პრეზენტაციას გაკვეთილზე) ....................

4. (მაგრამ საინტერესო ვუყურე ფილმი იყო ვერ ბოლომდე) ....................

5. (ნოვრუზბაირამი გაზაფხულის ანუ დღესასწაული მარტშია) ....................

**(B1) სავარჯიშო 16. გამოიყენე ჩარჩოში მოცემული კავშირები და ააგე წინადადებები:**

თუ, მაგრამ, ხოლო, ანუ, და, ხან-ხან, ან-ან, გინდ-გინდ,
არა მხოლოდ – არამედ, თან-თან.

**(B1) სავარჯიშო 17.** **ჩასვი „და“ კავშირი საჭირო ადგილას და ისე გადაწერე წინადადებები:**

**ნიმუში:** ლუკა გიორგი სკოლის მოსწავლეები არიან
ლუკა და გიორგი სკოლის მოსწავლეები არიან.

ა) ეზოში ირევიან გოგონები ბიჭები.

...

ბ) ჩანთა საათი ერთად ას ორმოცდაათი ლარი ღირს.

...

გ) მე მაია დეიდაშვილები ვართ.

...

დ) ბადრიჯანი ბულგარული წიწაკა სასარგებლო ბოსტნეულია.

...

ე) ჩვენ ირგვლივ მაღალი ხეები ბუჩქებია.

...

ვ) პატარა გოგონა საყვარლად  მღერის უკრავს.

...

ზ) სკოლა ბაღი გვერდიგვერდ მდებარეობს.

...

თ) ტოტები ფოთლები სულ დაბლა ცვიოდა ძლიერი ქარის გამო.

...

ი) დედას მზე მთვარე ამ ერთადერთ შვილზე ამოსდიოდა.

...

(B1) სავარჯიშო 18. **დააკავშირე „და“ კავშირით მარტივი წინადადებები:**

**ნიმუში:** გათენდა. მზე ამოვიდა.
გათენდა და მზე ამოვიდა.

ა) მაშინვე ავდექი.
წამოვედი ჩემს ძველ ადგილას.

..........

ბ) გაფოთლილი ხე შრიალებდა.
ჩრდილს ჰფენდა იქაურობას.

..........

გ) აბღავლდა ძროხა.
აკიკინდა თხა.

..........

დ) გარეთ თოვდა.
ცივი ქარი უბერავდა.

..........

ე) ლუკამ  დავალებები დაწერა.
ნასადილევს ფეხბურთის სათამაშოდ წავიდა.

..........

ვ) საშინლად ცხელოდა.
ქალაქი სავსე იყო ტურისტებით.

..........

ზ) დედამ ყველაფერი მოამზადა.
დედამ სადღესასწაულო სუფრა გააწყო.

..........

თ) პურის ყანა მწვანედ ბიბინებდა.
მოსავალს კარგი პირი უჩანდა.

..........

ი) მაისი მოვიდა.
საადრეო ბალიც დამწიფდა.

..........

**(B1) სავარჯიშო 19.** **ჩასვი მაერთებელი „და“ კავშირი ან მაპირისპირებელი „თუ“ კავშირი გამოტოვებულ ადგილას:**

ა) სად დევს ჩემი ტანსაცმელი – კარადაში ............... ჩანთაში?

ბ) სულ გადამწვანდა მთა ............... ბარი.

გ) რა გირჩევნია, თეატრის ბილეთები ავიღო ............... კინოსი?

დ) ახლა ორი საათი ............... თხუთმეტი წუთია.

ე) ცოტა აცივდა და ვფიქრობდი, სახლში შევსულიყავი ............... ეზოში გამეგრძელებინა კითხვა.

ვ) პიანინოსა ............... კარადას შორის იდგა სარწეველა სავარძელი.

ზ) ბიჭს ლამაზი შავი თვალები ............... შავი თმა ჰქონდა.

თ) კალათბურთი ვითამაშოთ ............... ფეხბურთი?

ი) თოვლიანი ამინდი გირჩევნია ............... წვიმიანი?

ზ) რძე ............... რძის ნაწარმი ჩემი საყვარელი პროდუქტია.

თ) რომელი ენის სწავლას აპირებ – ინგლისურის ............... ფრანგულის?

ი) გთხოვთ, თქვენი კალმები ............... რვეულები მაგიდაზე დააწყოთ!

კ) რომელი ჟანრის ფილმები გაინტერესებს – ფანტასტიკური ............... სათავგადასავლო?

**(B1) სავარჯიშო 20.** **შეცვალე ნიმუშის მიხედვით:**

შინ და გარეთ ციოდა.

ციოდა როგორც შინ, ისე გარეთ.

ა) ახალი ტანსაცმელი დიდებსაც მოეწონათ და პატარებსაც.

........................................................................................................

ბ) ძალიან მიყვარს ყავა და ჩაი.

........................................................................................................

გ) სუფრა სავსე იყო ტკბილი და ცხარე კერძებით.

........................................................................................................

დ) იმ წელს სწავლა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ოქტომბერში დაიწყო.

........................................................................................................

ე) ბაზარში ხილიც ძვირი იყო და ბოსტნეულიც.

........................................................................................................

ვ) ქალაქში მალე დაიწყეს მოძრაობა ავტობუსებმა და სამარშრუტო ტაქსებმა.

........................................................................................................

ზ) ძნელი იყო წასვლაც და დარჩენაც.

........................................................................................................

თ) თბილისში ნახავთ აღმოსავლური და დასავლური კულტურის ნიმუშებს.

........................................................................................................

ი) სიყვარულის თემა ჩანს ამ მხატვრის ძველ და ახალ ნამუშევრებში.

........................................................................................................

**(B1) სავარჯიშო 21.** **რას გამოხატავს წინადადებაში გამოყენებული კავშირი? გაუსვი ხაზი შესაბამის ფუნქციას:**

(საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ზემოთ მოცემული ცხრილი):

1. აღარც შენი მჯერა, აღარც შენი მეგობრის! (უარყოფა, არჩევანი)
2. ლია და გია სკოლაში მიდიან. (დაკავშირება, არჩევანი)
3. ან ნანას დაუჯერეთ, ან მე მომისმინეთ. (დაპირისპირება, არჩევანი)
4. გიგა სამსახურში წავიდა, დათა კი – თეატრში. (დაპირისპირება, არჩევანი)
5. ზრდასრულები, ანუ უფროსები, ხშირად ვერ უგებენ ბავშვებს. (არჩევანი, იგივეობა)
6. როგორც თქვენ, ისე ჩვენც გვიყვარს საკუთარი საქმე. (დაპირისპირება, დამატებითი არჩევანი)
7. ხან წვიმს, ხან თოვს, ხანაც მზიანი ამინდია. (იგივეობა, არჩევანი)
8. ნიკას არც წიგნი აქვს, არც რვეული. (არჩევანი, უარყოფა)
9. ობოლ გოგონას არა მარტო წიგნები უყიდეს, არამედ სხვა სასკოლო ნივთებიც. (დამატებითი არჩევანი, იგვეობა)
10. ნუღარც დედის იმედი გექნება, ნუღარც მამას შეაწუხებ შენი თხოვნით! (არჩევანი, უარყოფა)

## (B1) სავარჯიშო 22. დაუკავშირეთ წინადადების ნაწილები ერთმანეთს, გადაწერეთ და დასვით სასვენი ნიშნები:

1. მალე ზაფხულის არდადეგები დადგება
2. როგორც სწორად მიგაჩნია
3. უნივერსიტეტში მაინც ჩავაბარებ
4. ძალიან გამიხარდება
5. უკვე 12 საათი იყო
6. ოღონდ ეს პროექტი დავასრულოთ
7. ხვალ ვერც სკოლაში წავალ
8. პატარა ერეკლე ხან წიგნს კითხულობდა
9. პანდემია ახლაც არის
10. თამარი მალე მიიღებს გადაწყვეტილებას: ან საქართველოში დარჩება

ა) და მერე აუცილებლად დაგეხმარები
ბ) თუნდაც მთელი ოჯახი იყოს წინააღმდეგი
გ) ან ამერიკაში გაემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად
დ) და მე სოფელში წავალ დასასვენებლად
ე) ხან ბებიას ეხმარებოდა სახლის საქმეებში
ვ) თუმცა სკოლაში დავდივართ
ზ) თუ კონცერტს დედაჩემი დაესწრება
თ) ვერც პროექტის პრეზენტაციაში მივიღებ მონაწილეობას
ი) ისე უნდა მოიქცე
კ) მაგრამ პატარა ვაჩეს მაინც არ ეძინა

**(B1) სავარჯიშო 23. სწორად ჩასვი კავშირები: თან...თან; კიდეც...კიდეც**

ა) მზია ............ ჭამდა, ............ გაუჩერებლად ლაპარაკობდა.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობდა, ............ ვთოხნიდი და ............ ვბარავდი.

გ) უცნაური ამინდია: ............ წვიმს, ............ მზე ანათებს.

დ) ვერ გამირკვევია, როგორი გრძნობა მაქვს ამ ამბავზე: ............ მწყინს და ............ მიხარია.

ე) ბიჭი ............ საკლასო დავალებას წერდა და ............ თვალი ფანჯრისკენ ექირა, საიდანაც ბავშვების ჟრიამული ისმოდა.

ვ) სხვა გზა არ იყო: ............ ვმუშაობდი და ............ ვსწავლობდი.

**(B1) სავარჯიშო 24. შეადგინე ორ-ორი წინადადება მოცემული კავშირების გამოყენებით:**

ა) და

............

............

ბ) თუ

............

............

გ) თან...თან

............

............

დ) კიდეც....კიდეც

............

............

ე) როგორც ... ისე

............

............

**(B1) სავარჯიშო 25.** **შეადგინე პატარა ტექსტი ნებისმიერ თემაზე, სადაც გამოიყენებ შემდეგ მაერთებელ კავშირებს:**

და; თუ; თან...თან; კიდეც...კიდეც; როგორც... ისე.

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

..........

**(B1) სავარჯიშო 26.** **წინადადება გადააკეთე ნიმუშის მიხედვით, გამოიყენე ფრჩხილებში მითითებული უარყოფის გამომხატველი კავშირები:**

**მაგალითი:** კინოში წავედი და ნაყინი ვჭამე (ვერც...ვერც)
ვერც კინოში წავედი და ვერც ნაყინი ვჭამე

1. სურათი დავხატე და გავაფერადე (არც...არც)

..........

2. ტორტი ვჭამე და ხილი დავაყოლე (ვერც...ვერც)

..........

3. ვმოგზაურობ და სურათებს ვიღებ (არც...არც)

..........

4. ჩემს მეგობარს წამოვიყვან და დედაჩემს (ვერც...ვერც)

..........

5. არ მაქვს დრო და ხალისი (აღარც...აღარც)

..........

6. ხვალ მოხვალ და დამირეკავ (ნურც...ნურც)

..........

7. ვარსკვლავებს ეთამაშება და ეჯიბრება (ვეღარც...ვეღარც)

..........

8. შენ კონცერტზე ლექსს წაიკითხავ და იმღერებ (ნურც...ნურც)

..........

**(B1) სავარჯიშო 27.** **წინადადებები დააჯგუფე ცხრილის შესაბამის გრაფაში:**

1. არც თავს მოვიკლავ და არც გავჩერდები.
2. ახლა  ისე დავბერდი, ვეღარც ვხედავ და ვეღარც მესმის.
3. ქრელო პეპელა, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები.
4. ფეხბურთელმა ვერც ბურთი გაიტანა და ვერც მაყურებელი გაახარა.
5. გული ვერც  გულობას იშლის, ვერც ძალ-ღონე მოსდევს.
6. ნურც ნურაფერს მეტყვი და ნურც დაიკარგები.
7. ვერც ვუკრავ, ვერცა ვმღერი, ისე გამიტყდა გული.
8. აღარც ჩიტის სტვენა მესმის, აღარც ჩიტის გალობა.
9. „ნურც გაჯავრდება პირიმზე, ნურც დამწყევლიან იანი".
10. არ იცოდა რა ექნა, ვერც უარს ეტყოდა და ვერც წაჰყვებოდა.
11. მტერმა ვერც დააშინა და ვერც დააჩოქა.
12. არც ჩიტების ხმა ისმოდა, არც ნადირთა ყმუილი და არც მწერების ზუზუნი.

| | |
|---|---|
| კავშირი,<br>რომელიც გამოხატავს<br>უარყოფას<br>(არც...არც; ვერც...ვერც) | |
| კავშირი,<br>რომელიც გამოხატავს<br>უარყოფას (იყო და აღარ არის)<br>(ვეღარც...ვეღარც; არარც...არარც) | |
| გამოხატავს უარყოფას<br>(თხოვნას)<br>(ნურც...ნურც; ნუღარც...ნუღარც) | |

**(B1) სავარჯიშო 28. დააკავშირე ერთმანეთთან წინადადების ნაწილები:**

| | |
|---|---|
| 1. ადრე ყველაფერი კარგად იყო | ა) ვერც ვხატავ და ვერც ვხაზავ |
| 2. მოდი გავიცნოთ ერთმანეთი | ბ) არც წვიმს, არც თოვს |
| 3. მაპატიეთ, ვერ გიცანით | გ) აღარც ახალგაზრდა ხართ, აღარც თმახუჭუჭა |
| 4. ძალიან ცუდად ვარ, დამივიწყე | დ) არც ძმარია და არც წყალი |
| 5. ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი, ახლა კი | ე) ვეღარც ვცელქობ და ვეღარც დავრბივარ |
| 6. იმდენი ვიზარმაცე | ვ) ახლა აღარც მელაპარაკები და აღარც მირეკავ |
| 7. არქიტექტურულზე მინდა ჩაბარება, მაგრამ | ზ) არც გაგეცნობი და არც სახელს გეტყვი |
| 8. უცნაური ამინდია | თ) ნუღარ დამირეკავ და ნუღარ მოხვალ |
| 9. რა უცნაური გოგოა, ამაზე იტყვიან | ი) არც ვმეცადინეობ და არც თავს ვიტკიებ |
| 10. გამოცდები არ მაქვს, ამიტომ | კ) ვეღარც ვისწავლე, ვეღარც მომავალი ავიწყვე |

## (B1) სავარჯიშო 29. ჩასვი ტექსტში შესაფერისი კავშირი:

არც...არც, ვერც...ვერც, ნურც...ნურც, აღარც...აღარც,
ველარც...ველარც, ნუღარც...ნუღარც

გამარჯობა, ლუკა!

როგორ ხარ? რამდენი ხანია შენი ამბავი არ გამიგია. ადრე სულ მეხმიანებოდი, ბოლო დროს კი ........... მწერ და ........... მირეკავ. ნუთუ შენც დამივიწყე, ........... ერთად გატარებული დღეები გახსოვს და ........... ჩვენი მოგზაურობები.

არ ვიცი, რაღაც უცნაური მემართება. თითქოს მარტო ვარ. ჩემ ირგვლივ ადამიანები ........... მხედავენ და ........... მამჩნევენ. ისინიც კი, ვისთანაც ძალიან ახლოს ვიყავი, ახლა ისე ჩამივლიან, თითქოს ........... ჩემს მისალმებას იგებენ და ........... გაღიმებულ სახეს ხედავენ. სიმართლე გითხრა, ძალიან დავიღალე. იქნებ რამეს არასწორად ვაკეთებ? ძალიან გთხოვ, ........... დამიმალავ და ........... მომერიდები, პირდაპირ მითხარი. თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, იძულებული გავხდები, ერთად შევკრიბოთ და ახსნა მოგთხოვოთ.

კიდევ ერთხელ გთხოვ, ........... გაჩუმდები და ........... დაიკარგები.

მოუთმენლად ველი შენს პასუხს

ლადო

## (B1) სავარჯიშო 30. შეადგინე წინადადებები კავშირების გამოყენებით:

არც...არც ...........................................................

ვერც...ვერც ...........................................................

ნურც...ნურც ...........................................................

აღარც...აღარც ...........................................................

ველარც...ველარც ...........................................................

ნუღარც...ნუღარც ...........................................................

(B1) სავარჯიშო 31. **ისაუბრე შენ შესახებ (შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ადრე და ახლა) გამოიყენე უარყოფითი შინაარსის მატარებელი კავშირები:**

(B1) სავარჯიშო 32. **შეარჩიე წინადადება, რომელშიც არასწორადაა გამოყენებული მაქვემდებარი კავშირი — ან ... ან:**

ა) დავითმა სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება: ან შინ დაბრუნდეს, ან სამსახურისკენ გააგრძელოს გზა.

ბ) ბებიამ ან ცხელი ჭადებიც დააცხო, ან ხაჭაპურებიც გამოაცხო.

გ) ყანაში წასულ ზოსიმეს შინ ან მწიფე ატმები უნდა მოეტანა, ან — ქყინტი სიმინდები.

დ) დეკანმა სტუდენტები არჩევანის წინაშე დააყენა: ან წერილობით უნდა ჩაებარებინათ გამოცდა, ან — ზეპირი პრეზენტაციების სახით.

**(B1). სავარჯიშო 33.** **შეარჩიე წინადადება, რომელშიც არასწორადაა გამოყენებული მაქვემდებარი კავშირი — ან ... ანდა:**

ა) – ან ფეხბურთი ითამაშეთ, ანდა სტადიონი გაათავისუფლეთ! – დაუყვირა ფეხბურთელებს გაბრაზებულმა მწვრთნელმა.

ბ) მანუჩანს ან სახლი უნდა გადაეხურა, ანდა შემდეგ დაეწყო რემონტი.

გ) მასწავლებელმა გვითხრა, ან კითხვა დაიწყეთ, ანდა დაფიდან გადაწერეთ წინადადებებიო.

დ) დედას არჩევანი ვერ გაეკეთებინა: ბავშვისთვის ან ფეხსაცმელები უნდა ეყიდა, ანდა – კაბა.

**(B1) სავარჯიშო 34.** **შეარჩიე წინადადება, რომელშიც არასწორადაა გამოყენებული მაქვემდებარი კავშირი — გინდ(ა) ... გინდ(ა):**

ა) ზოგიერთი ადამიანის გადარწმუნებას აზრი არ აქვს: გინდა ტკბილი სიტყვით მიმართე, გინდა — მწარე სიტყვით.

ბ) მარკოზმა გინდა თოხით იმუშაოს, გინდა ბევრი იმუშაოს, მისთვის სულ ერთი არ არის.

გ) თუკი დაღლილი ხარ, გინდ დეტექტივს უყურე, გინდა – კომედიას.

დ) „გინდ მეძინოს, გინდ მეღვიძოს, მაინც სულში მიზიხარ."

**(B1) სავარჯიშო 35.** **შეარჩიე წინადადება, რომელშიც არ გამოიყენებდი მაქვემდებარებელ კავშირს: ხან ... ხან:**

ა) მაკა ... ერთ მხარეს გადააბრუნებდა ახალ პალტოს, ... – მეორეზე.

ბ) მგზავრი ... ცხენზე შეჯდებოდა, ... ქვეითად აგრძელებდა გზას.

გ) ყოველ დილით მანუჩარი ... გაიღვიძებდა, ... ხელ-პირს დაიბანდა ხოლმე.

დ) სამი წლის მაკა ... ტირილს დაიწყებდა, ... გაჩუმდებოდა ხოლმე.

(B1) სავარჯიშო 36. **მოცემული მაერთებელი კავშირები გადაანაწილე შესაბამის წინადადებებში:**

ან...ანდა, გინდა...გინდა, ხან...ხან, ხან...ხან კიდევ

ა) ლამარა სკოლაში ... გრძელი გზით მიდიოდა ხოლმე, ... – გრძელი გზით.
ბ) – ... ჩუმად მითხარით, ... – ხმამაღლა, მაინც არაფერი მესმის, – უთხრა პაციენტმა ოტორინოლარინგოლოგს.
გ) მაიამ ყოველ დილით ... ბრინჯის ფაფა უნდა შეჭამოს, ... ერთი ჭიქა რძე უნდა დალიოს ხოლმე.
დ) მთელი ზაფხული სოფლის მდინარეში ბავშვები ... კამერებით ცურავდნენ, ... ... კამერების გარეშე.

(B1) სავარჯიშო 37. **შეადგინე წინადადებები, მაქვემდებარებელი კავშირების გამოყენებით:**

ან – ან, გინდ(ა) – გინდ(ა), ხან – ხან, ხან – ხან კიდევ

ა) ..............................................................................................

..............................................................................................

ბ) ..............................................................................................

..............................................................................................

გ) ..............................................................................................

..............................................................................................

დ) ..............................................................................................

..............................................................................................

**(B1) სავარჯიშო 38. წინადადებებში გახაზე მაერთებელი კავშირები და ამოწერე ცხრილში მითითებული კატეგორიების მიხედვით:**

1. თოვლი მოვიდა, **მაგრამ** ძალიან არ ცივა.
2. ჯანჯაფილი, ანუ კოჭა, ფართოდ გამოიყენება კულინარიასა და მედიცინაში.
3. დასასვენებლად მხოლოდ ბავშვები კი არ წაიყვანეს, არამედ – მშობლებიც.
4. ოღონდ არ იწვიმოს და ყვავილებს მე მოვრწყავ.
5. თუთის ხეს, ანუ ბჟოლას, კახეთში ფურცელს ეძახიან.
6. მე ფანქრებს მოვაგროვებ, შენ კი ყუთში ჩააწყე.
7. ცაზე ღრუბელი წამოვიდა, ესე იგი გაწვიმდება.
8. თქვენი მოსაზრება მოვისმინე, თუმცა ვერაფერი გავიგე.

| გამოხატავს დაპირისპირებას | გამოხატავს იგივეობას |
|---|---|
| მაგრამ | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**(B1) სავარჯიშო 39. ჩაწერე გამოტოვებული კავშირები:**

ანუ, მაგრამ, კი, ესე იგი, კი არ – არამედ, ოღონდ, ხოლო

1. ნაყინი ვიყიდე ........ ვერ შევჭამე.
2. რადგან ველოსიპედით მივდივარ, ........ მალე მივალ.
3. მე ნამცხვარს ვაცხობ, ........ დედა ნაზუქებს.
4. ნათია დავალებებს წერს, სალომე ........ ტესტებს.
5. თათარა, ........ ფელამუში, ყურძნის წვენისგან მზადდება.
6. ........ შენ მოდი და რასაც მეტყვი, იმას მოგართმევ.
7. სპექტაკლის ბილეთი ვიყიდე, ........თეატრში არ წავედი.
8. ვაზა ........ გატყდა, ........ დაიმსხვრა.
9. თოვლი იყო თეთრი, ........ ქათქათა.
10. ბათუმში ძალიან კარგი ამინდია, ........ ზღვაში ვიბანავებთ.

**(B1) სავარჯიშო 40.** **დაუკავშირე წინადადების ნაწილები ერთმანეთს, შედგენილი წინადადებები გადაწერე და წაიკითხე:**

1. ბავშვებისთვის სასარგებლოა წვნიანები .................................... .
2. ძალიან მინდოდა თეთრი ბლის ჭამა, .................................... .
3. ბებიას არ უნდოდა დაბადების დღის აღნიშვნა, .................................... .
4. გიგამ მე შეხვედრაზე მიმიწვია, .................................... .
5. სადაც გინდა წავიდეთ, .................................... .
6. იამ ფეხი აიდგა და .................................... .
7. დიდები სასაუბროდ დაბლა დსხდენენ, .................................... .
8. თუ გამოცდისთვის იმეცადინე, ...............ბ............... .
9. თეატრის სცენას ღია წითელი, .................................... .
10. სამოგზაუროდ რომში ვაპირებდით წასვლას, .................................... .

ა) **კი არ** დადის, **არამედ** დარბის.
ბ) **ესე იგი** ყველაფერი კარგად იქნება.
გ) **თუმცა** სტუმრების მოსვლა ძალიან გაუხარდა.
დ) **ანუ** ალისფერი ფარდა ჩამოაფარეს.
ე) **ოღონდ** ზღვაზე არა.
ვ) **ანუ** სხვადასხვა სახის სუპები.
ზ) **ხოლო** ბავშვები სათამაშოდ მეორე სართულზე ავიდნენ.
თ) **მაგრამ** ბლის ხეზე ვერ ავედი.
ი) თავად **კი** ლექციას დაესწრო.
კ) **მაგრამ** პანდემიის გამო ვერ წავედით.

1. ....................................................................................................
2. ....................................................................................................
3. ....................................................................................................
4. ....................................................................................................
5. ....................................................................................................
6. ....................................................................................................
7. ....................................................................................................
8. თუ გამოცდისთვის იმეცადინე, **ესე იგი** ყველაფერი კარგად იქნება.
9. ....................................................................................................
10. ....................................................................................................

**(B1) სავარჯიშო 41.** **დააკვირდი კავშირებს და ლოგიკურად დაასრულე წინადადებები:**

1. დღეს ძალიან ცხელა, **მაგრამ** ................................................ .
2. წყლით სავსე ქვაბი უკვე ნახევარი საათი დგას ცეცხლზე, **ესე იგი** ................................................ .
3. შენ **ოღონდ** კარგად ისწავლე და ................................................ .
4. სამი მგზავრი პირველ ვაგონში ავიდა, **ხოლო** ................................................ .
5. ჩემთვის ყავა და ნამცხვარი შევუკვეთე, შენთვის **კი** ................................................ .
6. თუ უნივერსიტეტში მიდიხარ, მარჯვნივ **კი არ** უნდა წახვიდე, ................................................ .
7. ერთი წელი ვსწავლობდი ინგლისურს, **თუმცა** ................................................ .
8. დღეს მორიგეა ბიოლოგიის მასწავლებელი, **ანუ** ................................................ .
9. გიორგი ძალიან გაბრაზდა, **მაგრამ** ................................................ .
10. აქ გაზაფხულზე ცივა, ხოლო ................................................ .

## (B1) სავარჯიშო 42. ტექსტში გამოტოვებულ ადგილას ჩაწერე შესაბამისი კავშირები:

ხოლო, თუმცა, კი არ – არამედ, ანუ, ესე იგი, მაგრამ, კი.

გვინდა გაცნობოთ ჩვენ მიერ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის მაისში. ღონისძიების სახელწოდებაა „ჩვენ ვქმნით“. ეს ღონისძიება დაგეგმილია ახალგაზრდა ხელოვანების გამოსავლენად, .............. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ასაკის ადამიანს.

ღონისძიების პირველი დღე დაეთმობათ მომღერლებს და მოცეკვავეებს, .............. მეორე დღე .............. თეატრალურ ჯგუფებს. ასევე გათვალისწინებულია მხატვრების გამოფენის მოწყობაც, რომლებიც ნახატებს .............. გამოფენენ მხოლოდ, .............. იქვე დახატავენ და გაყიდიან კიდეც, .............. ერთდროულად გაიმართება გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიებაში მონაწილეობისთვის დავუკავშირდით საზღვარგარეთ მოღვაწე ახალგაზრდა ხელოვანებსაც, .............. მათი ნაწილი ჩამოსვლას ვერ ახერხებს მსოფლიო პანდემიის გამო.

ვფიქრობთ, მსგავსი ღონისძიება აუცილებლად უნდა გაიმართოს მომავალ წელსაც, .............. მას უნდა მიეცეს სიტემატური სახე, რაც კარგი საშუალება იქნება კულტურისა და ხელოვნების განვითარებისთვის.

## (B1) სავარჯიშო 43. შეადგინე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

| თხრობითი წინადადების დროს ...ან... | კითხვითი წინადადების დროს ...თუ... |
|---|---|
| ნიმუში: ყავას,ან ჩაის დავლევ | ნიმუში: ყავას დალევ, თუ ჩაის? |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## (B1) სავარჯიშო 44. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი კავშირები: „ან“ „თუ“

ა) ბათუმში წავიდეთ .............. ურეკში წელს?

ბ) დღეს გიასთან წავალ .............. დათოსთან.

გ) ძალიან მომეწონა ეს შარვლები. არ ვიცი, ლურჯს ვიყიდი, .............. ცისფერს.

დ) აქ დაჯდები .............. ფანჯარასთან?

ე) ჩაი შაქრით გნებავთ .............. უშაქროდ?

ვ) საღამოს ან ფილმს ვუყურებ, .............. მუსიკას მოვუსმენ.

ზ) თურქული იცი .............. სპარსული?

თ) ტრენინგი ინგლისურ ენაზე იქნება .............. ქართულ ენაზე?

## (B1) სავარჯიშო 45. შეადგინე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

| ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მოქმედების შესრულება<br>თან... თან... | დროგამოშვებით სხვადასხვა მოქმედების შესრულება<br>ხან... ხან... |
|---|---|
| ნიმუში: თან ვჭამ, თან ვკითხულობ<br>(ორივე მოქმედებას ერდროულად ვასრულებ) | ნიმუში: ხან ვჭამ, ხან ვკითხულობ<br>(ორივე მოქმედებას ვასრულებ დროის სხვადასხვა მონაკვეთში) |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## (B1) სავარჯიშო 46. ჩასვი წინადადებაში შესაბამისი კავშირები:

თან.... თან... / ხან... ხან...

ა) სპორტულ დარბაზში .............. ვვარჯიშობ და .............. მუსიკას ვუსმენ.

ბ) როცა დრო მაქვს, .............. ქუჩაში ვსეირნობ, .............. მეგობართან მივდივარ .

გ) გასულ ზაფხულში .............. სოფელში ვისვენებდი და .............. ქალაქში.

დ) ლილი ახალგაზრდა დედაა. ამიტომ .............. მუშაობს და .............. სწავლობს.

ე) მიყვარს ორ საქმეს ერთად რომ ვაკეთებ. ამიტომ .............. ვხატავ, .............. ვმღერი.

ზ) სამსახურში ბევრი საქმე არ გვაქვს. ამიტომ .............. ვმუშაობ და .............. ვისვენებ.

თ) ხვალ ზუმში ორი შეხვედრა მაქვს ერთსა და იმავე დროს. ამიტომ .............. ერთ შეხვედრაზე შევალ და .............. მეორეზე.

## (B1) სავარჯიშო 47. შეადგინე წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

| აზრის დაკავშირება<br>...და... | საპირისპირო აზრის გამოხატვა<br>...მაგრამ... |
|---|---|
| ნიმუში: ბევრს ვმეცადინეობ და კარგი შედეგებიც მაქვს | ნიმუში: მიყვარს მოგზაურობა, მაგრამ იშვიათად ვმოგზაურობ. |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## (B1) სავარჯიშო 48. „და“ და „მაგრამ“ ჩასვი წინადადებაში მართებულად:

ა) მე მიყვარს ფილმების ყურება ..............ხშირად ვუყურებ ფილმებს.

ბ) მე მინდა ახალი მობილურის ყიდვა, .............. საკმარისი ფული არ მაქვს, რომ ვიყიდო.

გ) ძალიან მომწონს იტალია, .............. ჯერ არ მიმოგზაურია იქ.

დ) სპორტული დარბაზი ჩემთან ახლოსაა .............. ხშირად ვვარჯიშობ იქ.

ე) დღეს ჩემი მეგობრის დაბადების დღეა .............. რესტორანში იხდის.

ვ) ძალიან მომენატრა ბებია, .............. ვერ ვნახულობ ხშირად.

ზ) მაინტერესებს წიგნების კითხვა .............. ყოველთვის ვკითხულობ წიგნებს.

თ) მინდა როკის კონცერტზე წასვლა, .............. სამწუხაროდ, დრო არ მაქვს.

ი) სტუდენტებს გვიყვარდა ექსკურსიებზე სიარული .............. ხშირად დავდიოდით სხვადასხვა ადგილებში.

კ) მეგობრის ზარს ველოდებოდი, .............. არ დამირეკა.

# 10

# მაქვემდებარებელი კავშირები

# თავი 10.
# მაქვემდებარებელი კავშირები

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| სადაც<br>საიდანაც<br>საითკენაც<br>საითაც<br>რომ | ადგილი | ყველა მივიდა იქ, სადაც გუშინ იყვნენ.<br>ყველა იქით წავიდა, საიდანაც ხმაური ისმოდა.<br>ბიჭიც იქით წავიდა, საითკენაც ქალები გარბოდნენ.<br>ბავშვიც იქით წავიდა, საითაც დედა მიდიოდა.<br>ეზოში რომ დიდი ხეა, სწორედ იქ დგას ახლა ის კაცი. |
| როდესაც<br>როცა<br>რომ<br>სანამ<br>თუ არა<br>რაწამს<br>რაკი<br>როგორც კი<br>ვიდრე | დრო | როდესაც ანა მოვიდა, სახლში არავინ არ იყო.<br>როცა კარგი ამინდი იქნება, სასეირნოდ წავალ.<br>ანა რომ მოვიდა, მე სახლში არ ვიყავი.<br>სახლიდან ვერ გავედი, სანამ ანა არ მოვიდა.<br>ანა მოვიდა თუ არა, მაშინვე წავედი.<br>რაწამს ანა მოვიდა,  მაშინვე წავედი.<br>რაკი ყველამ დაიძინა, მეც დავიძინე.<br>როგორც კი ანა მოვიდა, მაშინვე დავიძინე.<br>ვიდრე ანა არ მოვიდა, ვერ დავიძინე. |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| ისე – რომ<br>ასე რომ | შედეგი | ისე რთულია ეს ტექსტი, რომ ალბათ გამოცდას ვერ ჩავაბარებ.<br>მე კარგად ვიმუშავე, ასე რომ ახლა დასვენება შემიძლია. |
| ისე – როგორც<br>ისე – თითქოს | მსგავსება-შედარება | ისე იყოს, როგორც გადავწყვიტეთ.<br>ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ბევრი ვირბინე. |
| ისე – ვითომც<br>თითქოს | არარეალური შედარება | ისე იჯდა, ვითომ(ც) არაფერი არ იცოდა.<br>ისე ლაპარაკობდა, თითქოს არაფერი იცოდა. |
| როგორც | იგივეობა | მე, როგორც ამ ბანკის თანამშრომელს,<br>ჩემი პასუხისმგებლობა მაქვს. |
| რამდენადაც – იმდენად<br>რამდენჯერაც – იმდენჯერ | შეფარდებითი შედარება | რამდენადაც ბინაა კარგი, იმდენად ფასიც კარგია.<br>რამდენჯერაც ვუთხარი, იმდენჯერ მოიტანა. |
| უფრო – ვიდრე | სხვაობა, განსხვავება | ის ერთი დღე უფრო მახსოვს, ვიდრე მთელი წელი. |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| რადგან<br>რადგანაც<br>ვინაიდან<br>იმიტომ, რომ<br>იმის გამო, რომ<br>ამის გამო<br>რაკი – ამიტომ | მიზეზი | გუშინ სამსახურში არ ვიყავი, რადგან სიცხე მქონდა.<br>მე არაფერს აღარ გეტყვი, რადგანაც შენი აღარ მჯერა.<br>ყველა გახარებული იყო, ვინაიდან ყველაფერი კარგად დამთავრდა.<br>მე არ მივდივარ სოფელში, იმიტომ რომ აღარ მინდა.<br>სამსახურში არ ვიყავი იმის გამო, რომ გავცივდი.<br>გუშინ გავცივდი, ამის გამო სამსახურში ვერ წავედი.<br>რაკი სახლში არავინ იყო, ამიტომ მეგობართან წავიდა. |
| რათა<br>იმისთვის, რომ | მიზანი | მე დავბრუნდი, რათა ყველა შეკითხვას პასუხი გავცე.<br>მე ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ შენ დაგეხმარო. |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| ვინც<br>რაც<br>რომ<br>თუ | სუბიექტი, ობიექტი | აქ არის ის, ვინც ეს საქმე დაიწყო.<br>გავიგე ის, რაც აქამდე არ ვიცოდი.<br>დავინახე, რომ ის ვიღაცას ელოდებოდა.<br>მე არ ვიცოდი, თუ რა უნდა გამეკეთებინა. |
| რომელიც<br>ისეთი, როგორიც | განსაზღვრებითი წინადადება | ის კაცი, რომელიც გუშინ ქუჩაში შემხვდა, ჩემი მეზობელია.<br>ძალიან მინდა ისეთი მანქანა, როგორიც გიორგის ჰყავს. |

| კავშირი | ფუნქცია-დანიშნულება | ნიმუში |
|---|---|---|
| თუ<br>რომ | პირობა | თუ კარგად ისწავლი, კარგი სამსახურიც გექნება.<br>ეს რომ გააკეთო, ძალიან ცუდი იქნება. |
| ასე რომ<br>რის გამოც | შედეგი | დილიდან წვიმდა, ასე რომ სასეირნოდ ვერ წავედი.<br>დილიდან წვიმდა, რის გამოც სასეირნოდ ვერ წავედი. |
| თუმცა – მაინც<br>მიუხედავად იმისა, რომ<br>მაგრამ მაინც<br>მართალია – მაგრამ | გამორიცხვა, საპირისპირო ვითარება | თუმცა წვიმდა, სასეირნოდ მაინც წავედი.<br>მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, სასეირნოდ მაინც წავიდა.<br>წვიმდა, მაგრამ სასეირნოდ მაინც წავიდა.<br>მართალია, წვიმდა, მაგრამ სასეირნოდ მაინც წავიდა. |
| გინდ / გინდაც<br>თუნდ / თუნდაც | არარეალური გამორიცხვა | გინდაც წვიმდეს, მაინც წავალ სასეირნოდ.<br>თუნდაც წვიმდეს, მაინც წავალ სასეირნოდ.<br>თუნდაც არაფერი მითხრა, მაინც ვიცი ყველაფერი. |
| რაც (არ) უნდა<br>ვინც (არ) უნდა<br>როგორიც (არ) უნდა<br>სადაც (არ) უნდა | განურჩევლობა | რაც (არ) უნდა თქვას, შენ არ უპასუხო.<br>ვინც (არ) უნდა იყოს, ეს წიგნი დაუტოვე.<br>როგორიც არ უნდა იყოს, მაინც მინდა ამ წიგნის ყიდვა. |
| რაც (არ) უნდა<br>ვინც (არ) უნდა<br>როგორიც (არ) უნდა<br>სადაც (არ) უნდა | განურჩევლობა | რაც (არ) უნდა თქვას, შენ არ უპასუხო.<br>როგორიც არ უნდა იყოს, მაინც მინდა ამ წიგნის ყიდვა.<br>სადაც არ უნდა ვიყო, მაინც წამოვალ თქვენთან ერთად. |

## (B1) სავარჯიშო 1. მოცემული კავშირები გადაანაწილეთ ცხრილში:

ამიტომ, როგორც, რომ, რადგან, რათა, რაკი, სადაც, როცა, ვინც, რის გამოც, თუ, ისე – რომ, იმიტომ – რომ, რაც, იმისთვის – რომ.

| დრო | მიზეზი | მიზანი | შედეგი | პირობა | სუბიექტი/ ობიექტი | იგივეობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

## (B1) სავარჯიშო 2. აირჩიე სწორი კავშირი: რადგან / რათა

| რადგან | რათა |
|---|---|
| გამოხატავს მიზეზს. ზმნა შეეწყობა წარსულ დროში | გამოხატავს მიზანს. ზმნა შეეწყობა მომავალ დროში. |

1. ნინო ვერ წავიდა სასეირნოდ, .................... ძალიან წვიმდა. (რადგან / რათა)
2. ანა ძალიან განერვიულდა, .................... ჯენეტს სიცხე ჰქონდა. (რადგან / რათა)
3. მაია რეპეტიტორთან დადიოდა, .................... გამოცდა ჩაებარებინა. (რადგან / რათა)
4. მანანა მერაბთან მივიდა, .................... წიგნის გამოცემაზე ესაუბრათ. (რადგან / რათა)
5. ვიკამათეთ, .................... რაღაც საკითხებზე ვერ შევთანხმდით. (რადგან / რათა)
6. ვიმსჯელოთ, .................... სწრაფად გადავჭრათ პრობლემა. (რადგან / რათა)
7. გუშინ გიორგისთან წავედით, .................... დახმარება სჭირდებოდა. (რადგან / რათა)
8. ტელეფონი გადავტვირთე, .................... უკეთ ემუშავა. (რადგან / რათა)
9. ხშირად წვიმს, .................... მარტია. (რადგან / რათა)
10. თიკო თეატრში წავიდა, .................... სპექტაკლს დასწრებოდა. (რადგან / რათა)

## (B1) სავარჯიშო 3. მოცემული კავშირების გამოყენებით შეადგინე წინადადებები:

რომ, მართალია – მაგრამ, თუ, რათა, ისეთი – როგორიც, საიდანაც, როგორც, ისეთი – როგორიც, როდესაც, რადგან.

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

## (B1) სავარჯიშო 4. აირჩიე სწორი კავშირი: იმიტომ, რომ /ამიტომ

1. ძალიან ვიმატებ ..................., რომ გვიან ვჭამ. (იმიტომ / ამიტომ).
2. ნინოს არ მოეწონა წიგნი, ................... ვერ წაიკითხა ბოლომდე. (იმიტომ / ამიტომ)
3. ნათია უნივერსიტეტში აბარებს, ................... ბევრს მეცადინეობს. (იმიტომ / ამიტომ)
4. ბებია სოფელში მელოდება ..................., რომ დავპირდი. (იმიტომ / ამიტომ)
5. ნიკომ ბევრი ვაშლი იყიდა ..................., რომ ძალიან უყვარს. (იმიტომ / ამიტომ)
6. ჩანთა ხშირად მძიმე მაქვს, ................... სახელურები ადვილად უფუჭდება. (იმიტომ / ამიტომ)
7. კაბა ვერ ვიყიდე ..................., რომ ძვირი ღირდა. (იმიტომ / ამიტომ)
8. გზაზე დიდი ავარია იყო, ................... სასწრაფოს გამოვუძახეთ. (იმიტომ / ამიტომ)
9. ბაზრობაზე ვერ წავედი ..................., რომ სტუმრები მოვიდნენ. (იმიტომ/ამიტომ)
10. სოსო ავად ყოფილა, ................... მასთან სჯობს წავიდეთ. (იმიტომ / ამიტომ)

**(B1) სავარჯიშო 5. წინადადების ნაწილები დააკავშირე ერთმანეთს და გადაწერე:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გაწვიმდა, | ა) | რომ საზღვარგარეთ ესწავლა. |
| 2. | მაკაც იქ მოვიდა, | ბ) | ნინო ვერსად წავა. |
| 3. | გურამი უფრო მაღალია, | გ) | რომ ავადაა. |
| 4. | ლიკამ ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, | დ) | ჩემი მეზობელია. |
| 5. | როცა კარგად გახდები, | ე) | ამიტომ ნანა სასეირნოდ ვერ წავიდა. |
| 6. | სანამ სახლში არ მოხვალ, | ვ) | რაც გითხარი. |
| 7. | ხვალ ნათიას არ ვერ წავა სკოლაში იმიტომ, | ზ) | არ ინანებ. |
| 8. | თუ დამიჯერებ, | თ) | ვიდრე ნოდარი. |
| 9. | ეს ქალი, რომელიც ახლა ნახე, | ი) | წამლებს აღარ დალევ. |
| 10. | არ დაივიწყო, | კ) | სადაც შენ უთხარი. |

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

## (B1) სავარჯიშო 6. შეარჩიე და გახაზე საჭირო კავშირი:

1. ........................ დასთეს, იმას მოიმკი. (რაც / რასაც)
2. სწორედ ის არის, ........................ გამოვწერე. (რაც / რასაც)
3. დღეს წვიმიანი ამინდია, ........................ , ქოლგა მჭირდება. (ამიტომ / იმიტომ)
4. ნიკოლოზი იქ დაჯდა, ........................ კარგად ჩანდა სოფლის გზა. (სადაც / საიდანაც)
5. კაცი ........................ დაიბადება, იმისი ბაღდადი იქ არისო. (სადაც / როდესაც)
6. ........................ პანდემია დაიწყო, ქვეყანაში კარანტინი გამოცხადდა. (როდესაც / სადაც)
7. ........................ მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. (რაც / რომელიც)
8. ივლისში სკოლაში არ დავდივართ ........................, რომ არდადეგებია. (ამიტომ / იმიტომ)
9. ყველა იქით გაიქცა, ........................ კვამლი ამოდიოდა. (სადაც / საიდანაც)
10. ........................ ქარს თესავს, ის ქარიშხალს მოიმკისო. (ვინც / როდესაც)
11. იქით წავედით, ........................ ისარი გვანიშნებდა. (საითკენაც / სადაც)
12. ის მოხდა, ........................ ყველა ელოდა. (რაც / რასაც)
13. ........................ თონე ცხელია, პურიც მანამდე გამოაცხვე. (სანამ / რომ)
14. მე ........................ გამოვედი, ექიმთან სხვა შევიდა. (რომ /რომელიც)
15. ისე მოვამზადეთ ყველაფერი, ........................ დავგეგმეთ. (როგორც / როგორიც)

## (B1) სავარჯიშო 7. დაასრულე წინადადებები:

1. იქ წავიდეთ, ........................................................
2. მაშინ დაიწყება შეჯიბრი, ........................................................
3. ქოლგა მჭირდება, ........................................................
4. მეგობრის დაბადების დღეა, ........................................................
5. დედამ იცოდა ის, ........................................................
6. ის წიგნი წავიკითხე, ........................................................
7. არ მშია, ........................................................
8. ხშირად უნდა ილაპარაკოთ ქართულად, ........................................................
9. მან დატოვოს დარბაზი, ........................................................
10. ისეთი მზიანი დღე გამოვიდა, ........................................................

## (B1) სავარჯიშო 8. ჩასვი მოცემული კავშირები სწორად:

როცა, რომ, საითაც, თუ არა, საიდანაც, ვიდრე, რაწამს, სანამ.

1. ჩვენ იქით გავემართეთ, ........................ მუსიკის ხმა ისმოდა.
2. ........................ ავდექით, კარგად გათენებულიყო.
3. ტკბილეულს მაშინ შეჭამ, ........................ საჭმელი უკვე ნაჭამი გექნება.
4. თოვლი იდო ყველგან, ........................ არ უნდა გაგეხედა.
5. დავამთავრეთ მუშაობა ........................, მაშინვე მოგვიტანეს გემრიელი სადილი.
6. ........................ წვიმდა, გზისპირა მიტოვებულ სახლს შევეფარეთ და თავს ვირთობდით სხვადასხვა თემაზე საუბრით.
7. ........................ ამ ამბავმა ჩვენამდე მოაღწია, იმწამსვე დავიწყეთ მზადება გასაქცევად.
8. არც გამიგია, ქარი ........................ ამოვარდა და კოკისპირულად წვიმდა გარეთ.
9. ........................ ბავშვებისგან დაწვრილებით გავიგებდი, რა მოხდა კლასში, ერთ-ერთმა მშობელმა მომაწოდა ინფორმაცია.

**(B1) სავარჯიშო 9.** **დააკვირდი მისათითებელ სიტყვას, დააკავშირე წინადადების ნაწილები ერთმანეთთან და გადაწერე წინადადებები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ვინც წყალზე გადო პატარა ხიდი, | ა) | კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო (ანდ.) |
| 2. | სადაც ცული ვერ გამოდგება, | ბ) | მან მადლი ქნა ძალიან დიდიო (ანდ.) |
| 3. | ფარა რომ მობრუნდება, | გ) | პროექტის პრეზენტაციას გავაკეთებთ. |
| 4. | საითაც გავიქეცი, | დ) | მაშინ ჯანსაღი ცხოვრების წესი უნდა დავიცვათ. |
| 5. | როდესაც წვიმა გადაიღებს, | ე) | იქით წავიქეციო. (ანდ) |
| 6. | თუ გვინდა, ჯანმრთელები ვიყოთ, | ვ) | ამიტომ უნდა დაგტოვოთ. |
| 7. | ხვალ, გაკვეთილები რომ დამთავრდება, | ზ) | იმიტომ რომ დედაჩემი ვნახო. |
| 8. | სადაც ველოდი, | თ) | იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე. (აკაკი წერეთელი) |
| 9. | მე შეხვედრაზე მაგვიანდება, | ი) | სწორედ იქ ვიპოვე დამალული ჩემი ლეკვი. |
| 10. | ძალიან მინდა იტალიაში წასვლა, | კ) | მაშინ შევხვდები მეგობარს |

1. ........................................
2. ........................................
3. ........................................
4. ........................................
5. ........................................
6. ........................................
7. ........................................
8. ........................................
9. ........................................
10. ........................................

## (B1) სავარჯიშო 10. წინადადებაში ხაზგასმულ კავშირს მიუწერე, რას გამოხატავს წინადადება? (ადგილს, დროს, მიზეზს, მიზანს, შედეგს)

1. იმ კუთხეში, **სადაც** კირილე იჯდა, ლაპარაკი ატყდა. ადგილი
2. როდესაც მზე ამოვიდა, ლადო უკვე ბაღში მუშაობდა. ..........
3. იქ, საიდანაც შუქი გამოდიოდა, პატარა ბიჭი მიმალულიყო. ..........
4. სანამ მასწავლებელი მოვიდოდა, დავალება სწრაფად დავწერე. ..........
5. როგორც კი ტრანსპორტმა მოძრაობა დაიწყო, მაშინვე წამოვედი. ..........
6. ვიდრე დედა გვყავს, არ დავბერდებით. ..........
7. ყველაფერი გავაკეთე, ასე რომ, ვფიქრობ, კარგად ჩავაბარებ გამოცდას. ..........
8. მე თვითონ დავწერ, რადგანაც შენ არ მეხმარები. ..........
9. რაკი მზე გამოვიდა, მინდორში წავალ სამუშაოდ. ..........
10. საითკენაც ჩემი ნავი წამიყვანს, იქით წავალ. ..........

## (B1) სავარჯიშო 11. ჩასვი შესაბამისი კავშირი წინადადებაში:

1. .......... ქარი ჩადგა, არემარე დამშვიდდა. (რომ / როცა)
2. მონადირე იქით გაიქცა, .......... ხმა შემოესმა. (სადაც / საიდანაც)
3. ზარი .......... დაირეკა, მე უკვე კლასში ვიყავი. (რომ / როგორც კი)
4. .......... 9 საათი შესრულდა, დედამ ბავშვები დააძინა. (თუ არა / როგორც კი)
5. გიორგი .......... მღეროდა, .......... ცეკვავდა. (თუნდ / თუნდ; თან / თან)
6. ლელა .......... მოვიდა, ლია უკვე მაგიდას შლიდა. (რომ / და)
7. თამარი სახლში მივიდა .......... , მაშინვე დაურეკა დედას. (თუ არა / არა მარტო / არამედ)
8. გია იქ წავიდა, .......... მეგობრები დატოვა. (სადაც / საიდანაც)
9. ნინამ .......... კაბა იყიდა, .......... ანას ჰქონდა. (ისე / როგორც; ისეთი / როგორიც)
10. ის ქალბატონი მობრძანდა, .......... ლექცია უნდა წაიკითხოს. (რომელმაც / რომელიც)

**(B1) სავარჯიშო 12.** **შეართე ორი წინადადება შესაბამისი კავშირით და დასვი სასვენი ნიშნები:**

რაწამს, სადაც, რომ, როცა, საიდანაც, სანამ, როგორც კი, როდესაც, საითაც, რაკი, რომ.

**ნიმუში:** ტელეფონმა დარეკა. მაშინვე დაგიძახე.
**რა წამს ტელეფონმა დარეკა, მაშინვე დაგიძახე**.

1. გაკვეთილებს არ ისწავლი.
   გარეთ ვერ გახვალ.
2. ქარი ჩადგა.
   ხმაურიც მიწყდა.
3. დათო იმ სოფელში წავიდა.
   ბავშვობა გაატარა.
4. მე მაშინ წამოვედი სახლში.
   ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო.
5. ბებო იქით გაიქცა.
   კრუხის კრიახი ისმოდა.
6. გოგონა გაჩუმდა და აღარ ტიროდა.
   მაშინვე ბებიასთან წაიყვანეს.
7. ძუ ლომიც იქით გაეშურა.
   ბოკვრები გარბოდნენ.
8. ბავშვები ამ აურზაურში იყვნენ.
   დედა ოთახში შემოვიდა.
9. გაკვეთილები ნასწავლი მქონდა.
   ეზოში სათამაშოდ გავედი.
10. გიორგი წავიდა.
    მე მერე გავედი სახლიდან.

## (B1) სავარჯიშო 13. დააკავშირე წინადადების ნაწილები ერთმანეთთან, გადაწერე და წაიკითხე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ვინც რა უნდა თქვასო, | ა) | როდესაც გაეცლებაო. |
| 2. | ბალს ქერქი მაშინ გააძვრე, | ბ) | წისქვილმა კი ფქვასო. |
| 3. | ბარში რომ ჭკუა გაქრება, | გ) | მაშინ საქმე მცირდებაო. |
| 4. | როცა სიტყვა ხშირდებაო, | დ) | კარს იმას უღებენო. |
| 5. | ვინც აკაკუნებს, | ე) | მთაში მოიძიებენო. |
| 6. | თვალი თუ არ ხედავს, | ვ) | ქადა ორი ხელით იჭმებაო. |
| 7. | თუ გული გულობს, | ზ) | ყურსაც სიამოვნებსო. |
| 8. | რაც გულს ახარებს, | თ) | რომ შვილი სჯობდეს მამასა. |
| 9. | ის ურჩევნია მამულსა, | ი) | როცა შრომით არის ნაშოვნი. |
| 10. | ლუკმა მაშინაა ტკბილი, | კ) | გულს სულ არ ენაღვლებაო. |

1. ..................................................
2. ..................................................
3. ..................................................
4. ..................................................
5. ..................................................
6. ..................................................
7. ..................................................
8. ..................................................

**(B1) სავარჯიშო 14. მიუწერე, რას გამოხატავს წინადადება:**

მსგავსება / შედარებას, არარეალურ შედარებას, იგივეობას,
შეფარდებით შედარებას, სხვაობა / განსხვავებას).

1. ისე ტკბილია ეს მოგონება, როგორც ლამაზი სიზმარი. **არარეალური შედარება**
2. ჩამიარა ისე, ვითომც ვერ დამინახა. ..........
3. რამდენჯერაც ფული ვთხოვე, იმდენჯერ დამეხმარა. ..........
4. რამდენადაც დიდი განათლება გაქვს, იმდენად დიდია მოვალეობა. ..........
5. ამ ერთმა დღემ უფრო მეტი სიხარული მომიტანა, ვიდრე მთელმა ცხოვრებამ. ..........
6. ჩემი ცხოვრება, როგორც ზღაპარი, მალე თავდება. ..........
7. ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ჩიტი ვიყო. ..........
8. რამდენადაც კარგი ადამიანია, იმდენად ბევრი პრობლემა აქვს. ..........
9. მე, როგორც ამ ქვეყნის შვილს, ჩემი ბუნება უფრო მომწონს. ..........
10. ლალი უფრო მაღალია, ვიდრე ლია. ..........

**(B1) სავარჯიშო 15. მიუწერე, რას გამოხატავს წინადადება:**

პირობა, შედეგის გამორიცხვა, საპირისპირო ვითარება, არარეალური გამორიცხვა, განურჩევლობა

1. თუ ქართულს კარგად ისწავლი, უნივერსიტეტში სწავლა ადვილი იქნება. **პირობა**
2. გინდ დაგარიგო, გინდ გაგიწყრე, შენ არაფერი გესმის! ..........
3. მართალია, ეს ამბავი არ გამიგია, მაგრამ ვხვდები, ვინცაა დამნაშავე. ..........
4. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გაფრთხილებული იყო, ბევრი არ გამოცხადდა. ..........
5. ეს რომ გაიგო, ჩემი გზა უნდა გაიარო. ..........
6. მართალია, მე დაგიბარე, მაგრამ ახლა არ მცალია. ..........
7. ვინც უნდა მომიგზავნო, სიმართლეს ვერ დავმალავ. ..........
8. სადაც უნდა წახვიდე, შენი ქვეყანა არ უნდა დაივიწყო. ..........
9. თუმცა ძალიან მაწყენინე, მაინც არ შემიძლია შენი დავიწყება. ..........
10. გინდ დაიჯერე, გინდა ნუ დაიჯერებ, სიმართლე ესაა. ..........

**(B1) სავარჯიშო 16. შეადგინე წინადადებები მოცემული კავშირების გამოყენებით:**

იქ – სადაც; მაშინ – როდესაც; ის – რაც; ის ბავშვი – რომელი; იქიდან – საიდანაც.

**ნიმუში:** ბავშვი დედას იქ ეძებდა, სადაც დატოვა.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........

## (B1) სავარჯიშო 17. ბლოკში მოცემული კავშირებიდან შეარჩიე შესაფერისი და დააკავშირე წინადადებები ერთმანეთთან:

რადგან; თითქოს; საიდანაც; რასაც; იმიტომ, რომ;
რომლებიც; როცა; ასე, რომ; როდესაც.

| წინადადება | კავშირი | წინადადება |
|---|---|---|
| 1. ყველაფერი მაშინ დაიწყო, | | ა) ქალაქში კომისარი ჩამოვიდა. |
| 2. გამოცდა წარმატებით ჩააბარა, | | ბ) მთელი დღე ბეჯითად მეცადინეობდა. |
| 3. ისე გემრიელად ჭამდა, | | გ) მთელი დღე მშიერი ყოფილიყოს. |
| 4. ყველაფერი იმით დაიწყო, | | დ) ხელმძღვანელმა თავისთან დამიბარა. |
| 5. მაინტერესებს ისეთი ხალხი, | | ე) წესიერად ასრულებენ სამუშაოს. |
| 6. ბიჭი კარგ ხასიათზე იყო, | | ვ) ამ მოგზაურობიდან ბევრ სიახლეს ელოდებოდა. |
| 7. ყველამ იქით გაიხედა, | | ზ) ცხენოსნები მოდიოდნენ. |
| 8. მოხუცი მაშინვე მიხვდა, | | თ) ბავშვის თვალები ეუბნებოდნენ. |
| 9. სწორედ მაშინ მივხვდი, | | ი) ყველა იქ დამსწრე ჩემსკენ შემობრუნდა. |
| 10. დადგები და ყველაფერს თავად გააკეთებ, | | კ) დღეს გვიანობამდე აქ დარჩები. |

## (B1) სავარჯიშო 18. შეარჩიე შესაფერისი კავშირი:

**რათა / რადგან**

1. სკოლაში არ წავედი, ................ სტუმრებს ველოდი.
2. ბევრი უნდა ისწავლო, ................ წარმატებას მიაღწიო.

**იმიტომ, რომ/იმისათვის, რომ**

1. უნდა მოიმარაგო ყველა ინგრედიენტი, ................ ნამცხვარი გამოაცხო.
2. საწვიმარი ჩავიცვი, ................ ტელევიზორში თქვეს ამინდი გაუარესდებაო.

**ვინაიდან / რათა**

1. ყველა მხიარულობდა, ................ ახალ, კარგ ამბებს ელოდნენ.
2. ყველა ინფორმაცია გადავიკითხე, ................ გადაცემა საინტერესოდ წამეყვანა.

**იმისათვის, რომ / ვინაიდან**

1. დილიდან საღამომდე თავაუღებლად იმუშავა, ................ სახლს თვალისმომჭრელად ებრწყინა.
2. სახლი თავალისმომჭრელად ბრწყინავდა, ................ დილიდან საღამომდე თავაუღებლად იმუშავა.

**ვინც / რომელიც**

1. კედელთან თავდახრით იდგა ის კაცი, ................ ამ არეულობის მიზეზი გახდა.
2. კედელთან  თავდახრით იდგა ჭაღარა კაცი, ................ ამ არეულობის მიზეზი გახდა.

**(B1) სავარჯიშო 19. ჩასვი წინადადებებში შესაფერისი კავშირები:**

თუმცა; რომ; მაგრამ; ასე, რომ; მიუხედავად იმის, რომ; რომელიც; მართალია; მაგრამ; თუნდაც; ვინც არ უნდა.

1. ბაბუამ შვილიშვილი წინ დაისვა, .................... მისთვის რამდენიმე დარიგება მიეცა.
2. სკოლაში წასვლა არ უნდოდა, .................... სხვა გზა არ ჰქონდა.
3. გაბრიელმა მკაცრად გახედა ბიჭს, .................... თავდახრილი ჩასცქეროდა იატაკს.
4. ნიკო ზარმაცი და მატყუარა იყო, .................... მშობლები ყურადღებას არ აკლებდნენ.
5. ბიჭი ახლა მზად იყო, .................... მთელ სამყაროს შებრძოლებოდა.
6. მე არაფრის მეშინია, .................... იყოს ჩემი მოწინააღმდეგე .
7. არდადეგები იწყება, .................... მოემზადე და ჩანთა ჩაალაგე.
8. ეგ მართალია, ჩემო სოლომონ, .................... მითხარი რა გავაკეთო?!
9. სიხარულით გაიქცეოდა და ჩაეხუტებოდა, .................... ადგილიდან ვერ იძვროდა.
10. ბაბუას ლუკასთან ლაპარაკი უნდოდა, .................... ბიჭს სკოლის გაცდენა უწევდა.

**(B1) სავარჯიშო 20.** **კონტექსტის მიხედვით ჩასვი გამოტოვებული წინადადებები:**

ა) როცა ილია მეუღლესთან ერთად საგურამოსკენ მიემგზავრებოდა;
ბ) რომელიც 1861 წელს დაასრულა;
გ) როდესაც ილია ათი წლის იყო;
დ) სადაც ოჯახი ლეკების შემოსევის დროს თავს აფარებდა;
ე) იმიტომ რომ თავისი ხალხი ძალიან უყვარდა;
ვ) რათა ილიას საფლავისთვის ეყურებინა;
ზ) რომლებშიც ის ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს აღწერდა;
თ) ამიტომ ობოლი ძმისშვილების აღზრდა მამიდა მაკრინემ იკისრა;

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 8 ნოემბერს ყვარელში თავად გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში. ილია დაბადებულა ძველებური საგვარეულო კოშკის მეორე სართულზე, ..........

1848 წლის 4 მაისს, .........., გარდაეცვალა დედა, .......... თბილისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ 1857 წელს ის ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, .......... .

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ილია ჭავჭავაძემ ბევრი კარგი საქმე გააკეთა თავისი სამშობლოსთვის, .......... .

მან დაწერა არაერთი მნიშვნელოვანი ქართული ნაწარმოები, ..........

.......... .

1907 წლის 30 აგვისტოს, .........., თავს დაესხა ექვსკაციანი ჯგუფი და ილია მოკლეს წიწამურთან.

მისმა მეუღლემ ოლღა ჭავჭავაძემ მთაწმინდაზე იქირავა ბინა, .......... და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა, ხოლო მთელი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

## (B1) სავარჯიშო 21.

### ა) შეარჩიე და ჩასვი საჭირო კავშირი:

სადაც, საიდანაც, საითკენაც, საითაც, რომ

1. ყველამ იქით გაიხედა, .................... ბავშვი მიგვითითებდა.
2. ქუჩის ბოლოს, .................... გასართობი პარკია, იქ დაგელოდები.
3. ჩვენც იქით წავედით, .................... ყველა გარბოდა.
4. იქ არ მიხვიდე, .................... არ გელოდებიან!
5. ყველა ვუყურებდით კარს, ....................ჩვენი მეგობარი უნდა გამოსულიყო.

### ბ)

როდესაც, როცა, რომ, ვიდრე, თუ არა, როგორც კი.

1. კარი არავის გაუღოთ, .................... დედა არ მოვა.
2. ცისარტყელა მაშინ გამოჩნდა, .................... წვიმამ გადაიღო.
3. ზარი დაირეკა .................... , გაკვეთილიც დაიწყო.
4. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, .................... მოხვალ.
5. .................... დედა დაბრუნდა, მე ვმეცადინეობდი.
6. .................... შევამჩნიე, მაშინვე ხელში ავიყვანე პატარა ლეკვი.

### გ)

რადგან; იმიტომ, რომ; იმის გამო, რომ; ამის გამო; ამიტომ; იმისთვის, რომ; რათა.

1. მე არ ვჭამ ტორტს .................... , რომ ტკბილი არ მიყვარს.
2. დღეს წვიმდა, .................... სასეირნოდ ვერ წავედი.
3. სოფელში წავედი, .................... ბებიასთვის იუბილე მიმელოცა.
4. .................... ხვალ არ მცალია, დღეს ვასრულებ დავალებებს.
5. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ .................... , რომ შენ ბედნიერი იყო.
6. აქ კონფერენცია იმართება და .................... დარბაზს ვათავისუფლებთ.
7. .................... , რომ ბევრ სტუმარს ველოდით, სუფრა სასტუმრო ოთახში გავშალეთ.

დ)

ვინც; რაც; რომ; თუ; უფრო-ვიდრე; რომელიც; ისეთი როგორიც.

1. ................................ არ გერგებაო, არ შეგერგებაო. (ანდ.)
2. ჩემი ძმა ................................ მაღალია, ................................ ჩემი და.
3. მამას მეგობარია ის კაცი, ................................ მღერის.
4. ................................ ტელეფონი მაჩუქეს, ................................მინდოდა.
5. ის, ................................სხვას არ სცემს პატივს, ვერასოდეს იქნება პატივცემული.
6. ყველამ ვიცით, ................................როგორ დავიცვათ თავი პანდემიისგან.
7. ბაბუამ იცოდა, ................................ კარგად მღეროდა.

ე)

თუ; რომ; ასე რომ; რის გამოც; თუმცა – მაინც / მაგრამ – მაინც
მიუხედავად იმისა, რომ; მართალია – მაგრამ; თუნდ / თუნდაც;
რაც (არ) უნდა; ვინც (არ) უნდა; როგორიც (არ) უნდა; სადაც (არ) უნდა.

1. ................................ ვიყო, ჩემი ენა ყოველთვის მემახსოვრება.
2. ................................ პანდემიაა, სკოლაში მაინც დავდივართ.
3. ................................ კაცი გონიერია, ქვეყანა ღონიერია. (ანდ.)
4. ცული მე რას დამაკლებდა, შიგ ................................ ჩემი გვარის არ ერიოსო. (ანდ.)
5. ................................ თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. (ანდ.)
6. ხვალ კვირაა, ................................ სამსახურში არ მივდივარ.
7. მართალია ბევრი ვიშრომეთ, ................................ შედეგი ამად ღირდა.
8. ქვეყანაში პანდემიაა, ................................ რამდენიმე პროექტი შევაჩერეთ.
9. ................................ ვთქვათ, ეკრანთან დიდ ხანს ყოფნა ჯანმრთელობას აზიანებს.
10. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, ................................ ზღვა ემართოს სისხლისა“. (ვაჟა)
11. მართალია დავიღალეთ, ................................ გზას მაინც ვაგრძელებდით.
12. ................................ იყოს ჩემი ქალაქი, მე ის მაინც მიყვარს.
13. ................................ ყოფილიყო, ყველას ეხმარებოდა ოთარაანთ ქვრივი.

(B1) სავარჯიშო 22.

ა) **შეარჩიე საჭირო კავშირი და ჩაწერე (შესაძლოა, ზოგი კავშირი რამდენჯერმე გამოიყენო):**
სადაც , როგორც, რაც, საითაც, რასაც, სანამ.

1. .................... დასთეს, იმას მოიმკიო.
2. .................... არ გერგება, არ შეგერგება.
3. .................... ქუხს, ისე არ წვიმსო.
4. .................... არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.
5. .................... გავიქეცი, იქით წავიქეციო.
6. .................... ჭკვიანმა მოიფიქრა, სულელმა ხიდი გაირბინაო.
7. .................... წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო.
8. პური მანამ უნდა ჩააკრა, .................... თონე ცხელიაო.
9. .................... ფული ლაპარაკობს, იქ სიმართლე დუმსო.
10. .................... გიჭირდეს, ისე გილხინდესო.

ბ) **დაუკავშირე წინადადების ნაწილები ერთმანეთს:**

| | |
|---|---|
| რამდენჯერაც ეს ანეკდოტი გამახსენდება, | თითქოს ვერ ამჩნევდა მისკენ მიმართულ ყურადღებას. |
| ზუსტად ისე ვიმკურნალე, | იმდენად – საამაყოც. |
| გოგონას თავი ისე ეჭირა, | ასე რომ, არ ღირს წვრილმანებზე დავა-კამათი. |
| ისე მიყვარს დილაობით ყავის დალევა, | როგორც ამ ექიმმა მირჩია. |
| რამდენადაც ძნელი იყო ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარება, | იმდენჯერ გიჟივით ვიცინი. |
| ყველას მოგვდის შეცდომები, | თავი უნდა შეეკავებინა და არ წაჩხუბებოდა პატარა ბიჭს. |
| დათოს, როგორც უფროსს, | ვიდრე ადამიანი წარმოიდგენდა. |
| სახლის ეს მხარე უფრო ბნელი იყო, | ალბათ, ვერასდროს შევეშვები ამ ჩვევას. |

**(B1) სავარჯიშო 23. მიუწერე წინადადებებს, მიზეზის გამომხატველია თუ მიზნის:**

**ნიმუში:** რადგან უკვე ბნელდებოდა, სახლისკენ ვიჩქარეთ. მიზეზი

1. ვინაიდან გზა დიდი იყო, გადავწყვიტეთ, ქალები და ბავშვები მანქანით წამოსულიყვნენ და დანარჩენებს ფეხით გვევლო. ..........
2. ადრე გავიღვიძეთ, რომ არ დაგვგვიანებოდა. ..........
3. იმის გამო, რომ ქუჩაში საშინელი ტალახი იყო, იძულებული ვიყავი ბოტებით მევლო. ..........
4. რაკი ამოვიჩემე ამ წიგნის დასრულება, ამიტომ აღარ მოვეშვი, თორემ ლამის ზედ მეძინა. ..........
5. იმისათვის, რომ ყველასთვის მისაღები ყოფილიყო ეს წინადადება, დიდხანს ვიმსჯელეთ. ..........
6. ფეხბურთის მატჩი შეჩერდა, რადგან მოულოდნელად ისეთი ნისლი ჩამოწვა, ერთმანეთს ვეღარავინ ხედავდა. ..........
7. წიგნები ჩაკეტილ ოთახში ეწყო და ამის გამო სულ დანესტილიყო. ..........
8. იმის გამო, რომ პანდემია უკან არ იხევს, მოსალოდნელია კიდევ ერთი საყოველთაო კარანტინი. ..........

**(B1) სავარჯიშო 24. შეადგინე წინადადებები შემდეგი კავშირების გამოყენებით:**

როცა; როგორც კი; ვინც; თუ; რომელიც; რაც; რადგან; იმისთვის, რომ; საიდანაც; ასე, რომ.

1. ..........
2. ..........
3. ..........
4. ..........
5. ..........
6. ..........
7. ..........
8. ..........
9. ..........
10. ..........

**(B1) სავარჯიშო 25. შეავსე ტექსტი კავშირთა საჭირო წყვილებით (ერთი წყვილი ერთ წინადადებაში):**

მართალია – მაგრამ; რაც არ უნდა – მაინც;

მიუხედავად იმისა – მაინც; თუმცა – მაინც.

პანდემიამ ჩვენი ცხოვრება სრულიად შეცვალა. .................................... , რომ ინფექციებს ადრეც შეუწუხებიათ მსოფლიო, კორონავირუსი .................................... განსაკუთრებულ გამოწვევად იქცა. 21-ე საუკუნეში ყველა დაიბნა, ექიმებიც და უბრალო ადამიანებიც. .................................... მეცნიერები ვირუსის გამოჩენის პირველი დღიდან იკვლევენ მას, ბევრი .................................... არაფერია ცნობილი დღეს.

ერთი რამ ფაქტია: .................................... დიდი იყოს შიში, ცხოვრება .................................... გრძელდება. ადამიანები სწავლობენ ცხოვრებას ვირუსთან ერთად და აღარავის უკვირს ის, რომ ნიღაბი და ჰიგიენა დღეს ჩვენი ცხოვრების მთავარი წესია. .................................... , წესები და შეზღუდვები არც ისე სასიამოვნოა, .................................... დროულ და საბოლოო ვაქცინაციამდე. ეს არის სწორი გზა პანდემიის დასამარცხებლად.

www.tpdc.ge



www.tpdc.ge